

114  
1960/3



# მნათობი

5

მ ა ზ ი ს ტ



1960



ქვემოთხილული ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

წელიწადი 37-ე

№ 5

მაისი, 1960 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერალების კავშირის ორგანო

8037

**შ ი ნ ა ბ რ ს ი**

8038

ირაკლი აბაშიძე — გამოუთქმელი ლექსების სიონას. ლექსი . . . . .	23
რევაზ ჯაფარიძე — ჯარისკაცის ქვრივი, რომანი. წიგნი მეორე. გაგრძელება . . . . .	5
გიორგი კაჭახიძე — ლექსები . . . . .	26
ვალერიან ჩუკურიშვილი — მხედრები, მოთხრობა . . . . .	28
ვაიოზ ნიშნაიანი — გზები და ფიქრები, ნარკვევი . . . . .	34
იოშას შანი — ლუიზენი, მოთხრობა. თარგმანი გერმანულიდან ნოდარ ჩუხაძისა . . . . .	41
კანდელიანი ფადიშაძის ასული, ზღაპარი. თარგმანი თურქულიდან ზ. გუდიაშვილისა . . . . .	52
ნელი გაბრიანი — ლექსები . . . . .	58
მორის ფოცხიშვილი — ასი წლისა თუ ათასის მერე, ლექსი . . . . .	60
ჯეორჯი ქიქოძე — ფრაგმენტები . . . . .	61
სამედიელ მოძღვრიშვილი — გადაწეული ფარდა, ლექსი . . . . .	68
ალექსანდრე მარტოვილი — სურათი და მსახურა. პიესა . . . . .	69

**კრიტიკა და პუბლიცისტიკა**

ტიციან ტაბიძე — რევოლუცია და პოეტები . . . . .	105
ვურაძე ასათიანი — მეგობრობის მატრიანდან . . . . .	108
ე. შუშანიანი — კ. ვამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ . . . . .	116
კონსტანტინე ჭიჭინაძე — შენიშვნები . . . . .	122
ნოდარ კაკაბაძე — ნაწარმი მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხებზე . . . . .	130
ფაშა ციციანი — ძიებების გზით . . . . .	134
აკაკი შალვა ნუცუბიძე — ქართული კულტურის კვლევის მორიგი მიღწევა . . . . .	147
მ. კვეციანი — ფუნქციური იდეები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში . . . . .	
პროკოფი ჩატანიანი — ქართული ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ისტორიიდან. გაგრძელება . . . . .	

მ. მეორე გვერდზე





ოსებ მეგრელაძე — პირველი ქართული თაბიღიანი ხელნაწერი . . . . .	83
ვლენე ვირსალაძე — აკაკი წერეთლის „არსენა“ . . . . .	165
ვრკოლ მუხავერიანი — შარიათ დემურია . . . . .	173

წიგნების მიმოხილვა

2 სულაბერძენე — ს. ფაშალიშვილის ერთკომეული . . . . .	184
შალვა ამისულაშვილი — გ. ჯაბუშვილის ლექსები . . . . .	186
ალ. სანაღობაძე — სათავგადასავლო რომანი . . . . .	188
შოთა ძიძიგური — ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა . . . . .	191
საქალი წიგნები . . . . .	გარეკანის III გვ.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია

- დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი),  
გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42; 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VI-60 წ. ქალაღის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა 7 1/4×12 1/2.  
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 02862.  
ტირაჟი 6700. შეკვეთა № 984.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფიკამომცემლობის  
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры  
Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

ირაკლი აბაშიძე



გამოუთქმელი ლექსების სსრვნას

ციკლიდან: „მიბლობა...“

ეს იყოს თქვენი მოსაგონარი,  
თქვენი ხსენება ამ სიმღერაში,  
თქვენი,  
ვინც უცნობ რაღაც უნარით  
ჩარჩით პოეტის გულის ძვერაში.

თქვენი,  
ვინც კრთოდით უხილავ ალად,  
ხორცშესხმის მაცდურ ცდას არ ჩემობდით,  
რომ შთაგონების შემოქმედ ძალას  
ნაყოფად, ძეგლად არ დარჩენოდით.

არ ეძიებდით სიცოცხლით თრობას:  
ლურჯ კაბადონებს, ცისფერ ნაპირებს,  
უსაზღვროებებს, გაფრენებს, ტრფობას.  
მზიურ მწვერვალებს, წითელ აპრილებს.

შორს, შორს ელტვოდით  
გრძნობებს და აზრებს,  
ფრთხილობდით მისთვის,  
მისთვის ფრთხილობდით,  
რომ არ გასცლოდა ზომებს და საზღვრებს  
მგოსანი თავის გულუბრყვილობით.

მგოსანი იყო, როგორც მგოსანი,  
სუნთქაედა თქვენით, თქვენის იმედით,  
ყველა იდუმლის და საოცარის  
ამოხსნა სურდა თქვენი სიმეზით.

მას თქვენი ღონე  
(ნიბლია ჩიტის)

ეგონა ღონე ყოვლის მძლეველის  
და ხან გიგანტებს უწყებდა ჰიდილს,—  
აწევა სურდა აუწეველის,

ჩან უხილავის ღამობდა ხილვას  
თქვენით, თქვენს ხმებში, თქვენს ნაპრალებში  
და ვერ ამჩნევდა ღიმილს და კილვას  
გონიერ ქვეყნის ფხიზელ თვალეზში.





თქვენ,

ალალ მგოსნის დარაჯად მდგარი,  
თქვენ,

ალალ მგოსნის მცველი და მწველი,  
თქვენ იქ კვდებოდით,  
სადაც ძევს ზღვარი,  
იქ, სადაც პოეტს არა აქვს ხელი,

არას ითხოვდით სიცოცხლის ფასად,  
რჩებოდით მგოსნის გულის ძარღვებში  
და ინთქმებოდით ზვირთების მსგავსად  
პოეტის უცნობ წარმოსახვებში.

რა,

რა დაგარქვათ:

კენესა თუ ჰანგი,  
ჰანგი თუ კენესა დაუკენესელი;  
ლტოლვა თუ თვლემა,  
ელვა თუ ჟანგი,  
შობა თუ კვდომა,  
ცა თუ ქვესკნელი,

ბედნიერება, ჰირი თუ ლბენა,  
მადლიერება თუ სინანული,  
ლოცვა თუ წყევლა,  
წყრომა თუ ხვევნა,  
ქარიშხლური თუ იავენანური;

ოცნება ტკბილი თუ მწარე სევდა,  
სევდა მწველი თუ სევდა მცონარი...  
მშვიდობა თქვენდა,  
მშვიდობა თქვენდა,  
ეს იყოს თქვენი მოსაგონარი.



## ჭარისკაცის ქვრივი\*

რთმანი

წიგნი მორაი

### თავი ორმოცდამორი

გვანატე სივსივამტეს და თეოფილე ლა-  
ზამტეს, ფერმის მიღება-ჩაბარების აქტი  
მოეტანათ თავმჯდომარესთან. როდე-  
საც ელეფთერი კაბინეტში შევიდა, ბო-  
რისი საწერ მაგიდასთან იდგა და ციფ-  
რებს სინჯავდა. ელეფთერმა, ხელი ჩა-  
მოართვა სამივეს, მერე ოთახში გაიარ-  
გამოიარა და ცეცხლგამძლე ყუთზე ჩა-  
მოჯდა მუდგადაფარებულ მაგიდასთან.

უჩა მესხის დაპირებისამებრ ამ დი-  
ლას მიწის მზომლები უნდა ვადმოსუ-  
ლიყვნენ წიფლისწყაროდან. ნაკვეთების  
ხელახლა აზომვაზე თავმჯდომარის და  
აგრონომის დასწრება საეალდებულო  
იყო.

კაბინეტში მარგალიტა მონაგარიშე  
შემოკუნტულდა, წვეთებით დაწინწყ-  
ლული თიხის სურით წყალი შემოიტანა,  
ელეფთერს გადაჰხედა, სალამი წაიპუ-  
ტუნა და სურა მუდგადაფარებულ მა-  
გიდაზე დადგა.

— ხომ არ მოსულან? — ჰკითხა ქალს  
ბორისმა.

არაო, მარგალიტამ თავი გააქანა.

— მოდი, ერთი, მიწვანში დარევე,—  
ბორისი მაგიდას მოსცილდა და ქალს  
ტელეფონთან მოსასვლელი გზა დაუთ-  
მო.

„აღბათ, ადგა ვინ იცის, როგორ  
არის!“ — ფიქრობდა ელეფთერი. შინი-  
დან ისე წამოვიდა, ცოლის გაღვიძები-  
სათვის აღარ დაუცდია. გულმა ვედარ  
ვაუძლო. შფოთვაში გატარებული ღამის

ამბავი ავი სიზმარივით გამოჰყოლოდა-  
წამოსვლა ამჯობინა. იქნებ გულს ჯავ-  
რი გადაეყაროსო.

მზე შემაწუხებელი სიმკვეთრით ანა-  
თებდა გარეთ. ელეფთერმა ოთახში თვა-  
ლები დაასვენა. მაგრამ, აღბათ, ზედმე-  
ტი დაძაბულობის გამო, ქუთუთოები  
სტკიოდა, ყურებში კი გამუდმებული  
შრიალი თუ ზუსუნნი უდგა. უძილოდ  
გატარებული ღამის ბრალი იყო. შეძ-  
ლებდა კი დღეს ფეხით სიარულს? ვინ  
იცის, რამდენი ნაკვეთი უნდა შე-  
მოიარონ.

„ნეტა დამეცადა. გამოიღვიძებს და  
ისევ არ ვიქნები...“ — წამიც და უკულ-  
მა შეუტრიალდა წელანდელი ფიქრი.

უკანასკნელმა სიტყვებმა ელეფთერი  
რატომღაც დააფრთხო. გაახსენდა, როგ-  
ორ უძახდა წუხელ ელენეს, როგორ  
შეეშინდა...

რის შეეშინდა?

ელეფთერი შეინძრა. უეცრად აღძ-  
რული მღელვარება რომ არ გაეცა, წა-  
მოდგა, თითებით ერთიმეორეზე გადას-  
კენილი ხელები ზურგს უკან შემოილაგა  
და მძიმე ნაბიჯით ფანჯარასთან მივი-  
და. ფანჯარაში კანტორის ეზოს კიდე  
და ჯარჯომოვლებული ყორე მოჩანდა.  
ყორის გდაღმა ვენახი იყო. ელეფთერი  
ახლადშესარულ ვაზებს მისჩერებოდა.

არა, ელენეს ავადმყოფობაზე ფიქრი  
უფრო ადვილი იყო. ავადმყოფობას  
ყოველთვის მოველებმა, მითუმეტეს ახ-  
ლა. ელეფთერი ყველაფერს დათმობს,  
მამაპაპური სახლ-კარის გაყიდვაც რომ  
დასჭირდეს, ამაზეც არ დაიხვეს უკან,  
ოღონდ კი...

\* გავრქლება. იხ. „მნათობი“ № 1, 2, 3, 4:

ჯებიდან ბალიშისპირისოდენა ცხვირ-სახოცი ამოიღო. ქუთოთოფებზე მოისვა. ავადმყოფობა ჯობდა იმას, სხვას...

ამ ფიქრით გარეთ გამოვიდა. აივანზე სულის შემხუთველი სიცხე იყო. ხის კედლებს თითქოს გამჟვირვალე ბოლიც კი ასდიოდა.

„ჯერ ხეირიანად არ გათენებულა, — მტანჯველი ფიქრის მოცილებას შეეცადა ელექტერი, — შუადღისას, ალბათ, კვერცი შეიწვის მზეზე!“

— გამარჯობა, ნათლია! — ვიშვართან უბელო ცხენზე ამხედრებულმა პეტრე მიროტაძემ გაიარა.

— გამარჯობა, — ჩაილაპარაკა ელექტერიმა და მესერს იქით მიმავალ ცხენოსანს მხერა გააყოლა. მესერის შუქნირდილებს კრთომამ თვალემა აუქრულა. პეტრე ცხენს მიაჩაქჩაქებდა, ზედნება-ნება ქანაობდა და ისე თავმოქონედ იყურებოდა აქეთ, თითქოს ელექტერს ბედურს ახარებდა.

„არა, უნდა ავიდე, — გადაწყვიტა მცირე ყოყმანის შემდეგ ელექტერიმა, — ასე გაძლება მე აღარ შემიძლია!“

„წუხანდელი რომ განმეორდეს, მერე რაღას აპირებ?“ — ჰკითხა თავს.

„ელენე ავად არის!“ — წაიხურჩულა პასუხად და ამ სიტყვებმა თითქოს ხელი ჰკრეს, ქვის კიბე ჯიკავ-ჯიკავით ჩაატარეს.

ელექტერი არ ეჭვიანობდა. უფრო სწორად, თავს ირწმუნებდა, არ ეჭვიანობო. არამცთუ ახლა, ელექტერს მაშინაც არ უეჭვიანია, როცა ელენე ბევრად უფრო ახალგაზრდა და თვალის მაცოთნებელი იყო.

ელენეს სიყვარული სიგივეს ჰგავდა. ელენესებურად, ალბათ, მარტო თექვისმეტი წლის გოგონებს შეუძლიათ შეყვარება — თავდავიწყებით, უიმედოდ, მხოლოდ ამ ერთისათვის მისაწვდომი მიზეზის თუ საბაზის გამო.

აღრე ელექტერი ეძიებდა და ვერ პოულობდა განსაკუთრებულ ღირსებებს, რომელთა წყალობით ელენემ მთელი ქვეყნის მამაკაცებში გამოარჩია და მაინცადამაინც ის ჩასთვალა თითქ-

მის ავადმყოფური სიყვარულის ღირსად.

ელენე ან დაბადებთვე საღი გონებისა არ იყო, ანდა, რაც უკლებლად დიდ საშინელებას, ქმრის წინაშე თვალთმაჯობდა.

ეს აზრი ეჭვიანობის ნიადაგზე როდი დაბადებია ელექტერს: ქალს გაცილებით მეტი სიყვარულის გამოძვლავნება უნდოდა, ვიდრე ძალა შესწევდა...

ელექტერი ზომიერი გენბათღელვის კაცი იყო და ყველაფერს, რაც წრეგადასულად მიაჩნდა, შემწყნარებლური ღიმილით უყურებდა. ასეთსავე ღიმილს ჰკვირდა ელენეს გიჟური საქციელიც. ქმრის გვერდით ქალი იბნიდებოდა, მის მოჭარბებულ გრძობებს არ გააჩნდა არც კიდე, არც განი...

ერთხანობას ელექტერი დიახაც შეფიქრიადა: ელენე ისეთი არ იყოს, როგორც სხვა ქალები, უმრავლესობა... ყოველდღე ახალ, სრულიად მოულოდნელ უცნაურობას ამკლავებდა და ელექტერიც იძულებული იყო დაეთმო ყმაწვილი ცოლისათვის.

გარდა ელექტერისა, ელენე ირგვლივ ვერავის ამჩნევდა. ელექტერს თუნდაც მთელი ნათესაობის თანდასწრებით მოეხვეოდა და ენებიადა დაუწყებდა კოცნას...

ქმარს რამდენჯერ უთქვამს დაყვავებით, „ჯერ როგორ შეიძლება, ელიკო, ქვეყანაზე მარტო ორნი, მე და შენ კი არა ვართ, სხვებიც არიან, მორიდება გემართებსო.“

„არა! მარტო ჩვენ ვართ! — ჯიუტად იმეორებდა ელენე და საკუთარი გრძობების გამოძვლავნებაში მუდამ თავშეკავებულ ქმარს კიდევ უფრო მხურვალე კოცნით შანთავდა, — მარტო ვართ! მარტო ჩვენ ვართ! სხვები არ არსებობენ!“

ელენე დედამთილის თვალმა მონუსხა. ორიოდ თვეში ქალი საკვირვალად გამოიცვალა. ელექტერიმა მაშინვე იგრძნო ეს. მკაყოფილიც კი იყო: არ უბედებოდა უთავბოლო ზვინტრიცი უკვე ხანდაზმულ ქალს! აწი მაინც ჩადგებოდა კალაპოტში.

დედამთილის სიკვდილმა ახალი უცნაურობა გაუღვიძა ელენეს: ჯერ იყო, ძილად იქცა, არავის დანახვა აღარ უნდოდა; როდესაც მუნჯია გაისტუმრეს და შინ ორნიღა დარჩნენ, ხელახლა აიწყვიტა, სცადა მინაველული გრძნობა გაეხსენებინა, მაგრამ ამაოდ.

„ვერ ურეიდება, რომ ახალგაზრდობამ ჭირი მოგვეპამა,— ასე ხსნიდა ელეფთერი ცოლის საქციელს, — არა უშავს რა, შეეჩვევა, ისევე დაწყნარდება...“

„ავად არის! ელენე ავად არის!“ — ფიქრობდა ახლა გზადაგზა და შემოჩენილ შიშს ამითლა ებრძოდა.

ელენე ისევ პალატში იყო. არ მოელოდა ასე აღრე ჭმრის დაბრუნებას და რადგანაც კვლავ ხის ტახტზე იწვა, ელეფთერის გამოჩენისას გადაღეღილი საბანი თავზე წაიფარა.

— ელიკო... — სასთემალთან წაიჩურჩულა ელეფთერმა, — ელიკო... ცხრის ნახევარია. არ ადგები?

— იქით მიბრუნდი, — საბნის ქვეშედან მოისმა ქალის ხმა.

— დგები?

— ჰო, მიბრუნდი!

— ჩემი გრცხვენია? — ძალაუნებურად გაეღიმა ელეფთერს, — რა გაჩერებს ამდენ ხანს ლოგინში. ფიცრებზე მაინც არ იწვე. გარეთ სიციხეა. იქაურობა იწვის. არ მოგშოვდა? თუ გინდა, იწეკი, აგერ მოგიტან საუზმეს.

ელენემ საბანი გადაიხადა თავზე და მხოლოდ სახე მოაბრუნა, თითქოს დანამდვილება უნდოდა ეს ხმა საიდან მოდისო.

ელეფთერმა კვლავ გაუღვიძა. სახეზე და ყელ-კისერზე მზნინვარე ხორცის ვეება ნაკეცები დაემჩნა.

— მოგიტანო საუზმე?

— ჯერ არ მინდა. ახლავე ავდგები, — წაიჩურჩულა ქალმა.

— ხომ არაფერს იტყვიებ? — ელეფთერი ერთხელ კიდევ ჩაებლაუტა მსხნელ ავადმყოფობას.

თითქოსდა მიუხედაო, ელენემ ამაზე არაფერი უთხრა, მხოლოდ თვალები მიიღულა.

კაცი დაიხარა. შუბლზე კოტრტა ხელი დაადო ცოლს.

— ელეფთერ, — თქვა ქალმა, რომ თვალი არ გაუხვლია, — გარეთ გადი, უნდა ავდგე.

— ადექი მერე, მე რას გიშლი.

— მიშლი.

— საბა თვალები გაახილე, აი, აქ შემომხედე! — ელეფთერმა შუბლზე წარბსა და წარბს შუა მიიღო ნახევრად მოხრილი საჩვენებელი თითი.

— რა გინდა?

— გაახილე თვალი!

— ჰა, გაახილე!

— შემომხედე!

ელენეს სიწითლე მოერიო. თვალები ააფახულა და შემოხედვის მაგიერ ისევ საბანი წაიფარა თავზე.

— ელენე! — წამოიძახა ელეფთერმა.

— თავი დამანებე! — საბნის ქვეშ ბორგავდა ქალი.

— რა მოგივიდა. აღარ იტყვი?

— არაფერიც არ მომსგლია!

— თუ ავად ხარ, თქვი, — თანდათან გული მოსდიოდა ელეფთერს, — ყველაფერს საზღვარი აქვს, იცოდე. თუ აქამდე ხმას არ ვიღებდი, სისუსტეში ნუ ჩამომართმევ.

— ხმას არ იღებდი? — თავი უეცრად ამოჰყო საბნიდან ელენემ და ქმარს ეინიანი, გაკაპასებული თვალები მიიპყრო.

— ტყუილია? — ცოლის შემოხედვამ შეაფორხილა ელეფთერი.

— ხმა რისთვის უნდა ამოგეღო?

— რისთვის...

— ხმა შენ უნდა ამოგეღო? — წლობით ნაგროვებმა ბოლმამ ერთბაშად იფეთქა ელენეს ხმასა და სახის გამომეტყველებაში, — უგულო!

— მე ვარ უგულო, ელენე?

— ნულარ იმეორებ მაინც! მიხედი, გაიგე! აღარ შემოძლია.

— აღარც მე შემოძლია, — წაიღულულა ელეფთერმა.

— რა თქვი? თუ გინდა, ამ წუთში წავალ!

ელეფთერი აირია. თვალები დააქყი-



ტა სანამ ქალის ნათქვამს ბოლომდე გაიზარებდა, ელენემ ნაძალადევი სიმშვიდით განაგრძო:

— აქამდე მეცოდებოდი, ახლა მე ვიცი! უმადური! საცოდავი! უგულო!

— რას აპირებ... — ხმის კანკალი ვეღარ დაიოკა ფერწასულმა ქმარმა.

ელენემ დაუფარავი ზიზლით შეავლო თვალი ბუხართან ვეება ზვინივით აყუდებულ მამაკაცს, მერე საბანი გაიქნია, კედლისაკენ მიაგდო, წამოჯდა და შიშველი, თანთალა წვივები მოურიდებლად გადმოჰყარა ტახტიდან. კაბა თითქოს ძროხას დაეღეჭა, მუხლებზე აღარ სწვდებოდა...

ელეფთერი გულგრილად უყურებდა ახლა ამ მუხლებს, თითქოს საკუთარი სხეულის ნაწილს, მისი გონება სულ სხვა შფოთვის შეეპყრო: ერთხელ ნაბოძები სიცოცხლის ბურჯები ინგრეოდა. ცხოვრების ყველა სიკეთეს ამ გამწარებულ ქალში მოეყარა თავი, ამ ქალში, ტახტზე რომ იჯდა და სიყვარულის მაგივრად გული ცხოველური ზიზლითა და მძულვარებით აესებოდა.

ვერა, ვერსად ვერ გაუშვებს ამ ქალს ელეფთერი, ქვეყნის კიდემდე თან გაჰყვება...

— ელენე... — დაიბრიალა მან, ცოლის წინ ჩაიმხვლა, ზომავზე მეტად სავსე თეძოებზე ხელები მოჰხვია და ტყვიასავით დამძიმებული თავი კალთაში ჩაუღო.

ქალი უჩვეულოდ ააწრიალა ქმრის მოკარებამ, შუახანს გადაცილებული კაცის უხმო ქეთინმა კიდევ უფრო აამხედრა:

— ბოდიშს ნუ მიხდი... ნუ მიხდი ბოდიშს... გაიგე!

ელეფთერი არ უსმენდა. შუბლით მუცელზე ეხუტებოდა.

— რისთვის მიხდი ბოდიშს... რა დამიშავე? — ახლა თავისთვის ჰკითხა ქალმა.

— აბა რას მერჩი...

— ელეფთერ, გიღალატებ, იცოდე! თითქოს ზარბაზანი გეაგრდაო, ელე-

ფთერი ისე შეერთა, დამძიმებული თავი წამოსწია. ცოლს ხელი შეუშვა:

— არ იფიქრო, შენ გეუბნებოდა, ამდენ თავმოყვარეობამ მიპატიე, — აღ-

გზნებულად განაგრძო ელენემ, — გიღალატებ! როგორც კი პირველი შემთხვევა მომეცემა, გიღალატებ! ეს უკვე ლალატს უდრის, მეტიც არის, რაც გითხარი. ჰა... გამარტყი!

ელეფთერი იატაკს დაეყრდნო მარჯვენა ხელით, წელი აითრია, ნელ-ნელა ადგა, თან თვალს არ აშორებდა ცოლის უტიფრად გამომწვევ სახეს.

— გამარტყი! მცემე!

ელეფთერმა თვალები დახუჭა, ისევ გაახილა, მერე თავიც გააქნია, მაგრამ ეს ყველაფერი ცხადი იყო და არა სიზმარი.

— ამამოიც საბრალო ხარ! — თქვა ქალმა, — კაცი ვიყო, ცოლი მღალატობდეს!.. — შეჰყვირა უცებ, სახეზე ხელები აიფარა და ყრუდ აზღუქუნდა.

ელეფთერი ახლალა მოეგო გონს, ცოლს მივარდა.

— ელენე... ელეო... შენი პირიშე, ელენე...

— მომეშვი, თავი დამანებე... — ქმრის კოტიტა ხელვებს უღონოდ იცილებდა სახსრებმოსხლეტილი ქალი.

— დამშვიდდი, ელეო, დაწყნარდი... — ეძალეზოდა ელეფთერი, — ნუ ამბობ მაგისთანა საძაგელ სიტყვებს. რაც გინდა ის ჰქენი, ოღონდ ნუ ამბობ...

ელენე გველნაკებნივით შეერთა. რაც გინდა, ის ჰქენიო?

— ჰო, რაც გინდა, ის ჰქენი... — ლულულეზოდა ელეფთერი.

— ვაიმე, დედავ! — დაიგმინა ქალმა.

ელეფთერი დაიბნა. აღარ იცოდა, რა ექნა. ელენეს გულისათვის არაფერზე უკან არ დაიხვედა; სასწორზე დასდებდა თავის მამაკაცურ ღირსებასაც კი, ოღონდ ელენე შეენარჩუნებინა, ელენე გვერდით ჰყოლოდა...

ვერ გაიგო, რა მოუვიდა ქალს, რომელმა მოუფიქრებელმა სიტყვამ დაუყოფა გული ასე მწარედ. სასწრაფოდ წამოდგა, პალატის იმ კუთხეს მიამურა.



სადაც წყალი ეგულებოდა. სად არის, სად ჯანაბაშია წყალი! ნეტავი მუნჯია იყოს ახლა აქ..

სანამ ელფეთერი შუა პალატაში ტრიალებდა და ბინდგადარული თვალებით წყალს ეძებდა, გამაყრუებელმა ბრახუნმა შესძრა იქაურობა.

ელფეთერი მებნაცემულივით მოტრიალდა.

ელენე იატაკზე ეგდო.

— ვაიმე! — ახალმა უბედურებამ კიდევ უფრო დააბნია ელფეთერი, — მიმველე!

მშველელი არაფერ იყო. ელფეთერის ხმა, ალბათ, მკვიდროდ ჩაგმანულ კარსაც არ გასცილებია.

— ელენე! ელენე! — ელფეთერი გონდაკარგულ ცოლს მივარდა და ხელის ერთი გაკერით საკინძე გაუგლოჯა.

ელენე ქალღღვივით გაფითრებული იწვა იატაკზე. ქვედა ტუჩი სიმწრით მოკუმულ კბილებს შუა მოჰყოლოდა.

„ეს რა ამბავია, ეს რა ვქენი!“ — დაჰრიალ ნადირივით დამოუდა ელფეთერი და დარტყიანებული დარბოდა კუთხიდან კუთხეში. ერთგან წამლიანი შუშა იპოვნა. რეზინის საცობი ვერ მოჰხადა. მაშინვე დანა გამოიღო, ყუთი შემოჰკრა და შუშას თავი გადაამტვრია. თითებში მოყავისფერო სითხე ჩაექცა. ისედაც დახუთული პალატი იოდის სიმყრალემ აავსო. ფუ! ნიშადურის სპირტი იყო აქ სადღაც... კვაწარახისა და პამიდურის წვენი შესანახ განჯინაში, რომელიც შავი ბოთლებით აღმოჩნდა ავსებული. ხელი გაკირკვებით შეჰყო, ბოთლები მისწი-მოსწია. ერთი ბოთლი მეორეს მიეხალა, ძირს გადმოცურდა და იატაკს დაასკდა. აქაფებული კვაწარახი შარვალს მოეხეფა, მაგრამ ელფეთერს არც ხმა გაუგონია, არც იატაკზე გაბნეული ბოთლის ნამსხვრევები დაუნახავს. გამგელებული ეძებდა ნიშადურის სპირტის შუშას. როცა ბევრი წვლების შემდეგ მაინც ვერსად მიაგნო, კელავ იატაკზე განრთხმულ ცოლს მოაშურა.

ელენეს ოდნავადაც არ ეტყობოდა უკეთესობა.

„ვილუბები!“ — დაიკენესა გულფთერმა და იმის მაგიერ, ცოლსა და აუყვანა და ტახტზე დაეწვინა, დერეფანში გაეარდა. ახალა მიხედა, რა ძალიან ყოფილა დამორებული სოფელს, უახლოეს მესობელს. ალაგესთან მიიქრა, ბელლის უკან, იქნებ აქედან მაინც გაეგონო ვისმეო და ბედად აღამიანი დაინახა. მაშინვე იცნო კალისტრატე მასწავლებელი, რომელსაც ვენახის პატარა ნაჭერი ჰქონდა ელფეთერის ვენახის მესობლად. თავშიშველი ბერკაცო მგონი სამამულე რქებს აკრავდა ჰიგოზე.

— კალისტრატე! — თვითონაც ვერ გაიგო, რა სასაჩრელო ხმით დაიძახა ელფეთერმა.

მოხუცმა, თითქოს ხმაში ჩაქსოვილი მთელი სასოწარკვეთილება იგრძნო, უეტკრად მოიხედა.

— მიშველე, კალისტრატე, ვილუბები! — და პასუხისათვის აღარ დაუცდია, ელფეთერი უკან გამოტრიალდა.

ელენე გაუნძრევლად იწვა. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ემჩნეოდა. ეკვი არ იყო. ტახტიდან გადმოვარდნისას სისხლი ჩაექცა...

ელფეთერი თრთოლვამ აიტანა. თავს ვეღარ იმორჩილებდა; „მე მოგალი, მე!“

ლულულდებდა მთლად გადარეული.

— ელენე... ელიკო... გენაცვალე... ხმა გამეცი, ელიკო!

ელფეთერი იატაკზე დაეშო, ქალს მკლავები შემოაჰკრო, ძალის არაჩეულებრივი დაძაბვით ასწია, რათა ტახტზე დაესვენებინა და სწორედ ამ დროს გაიგონა ჩქარი ფეხის ხმა. ეილაც გვერდით ამოუდგა, წაეშველა.

— რა მოუვიდა, კაცო!.. — სული ძლივს ამოითქვა სუნთქვა მოხშირებულმა კალისტრატე მასწავლებელმა. — ასე, თავი აქეთ დაუდოთ, კარისაკენ...

ახსნა-განმარტების დრო არ იყო. როგორც კი ქალი ტახტზე დააწვინეს, ელფეთერმა ბუხრისთავს მიაშურა. მშველელის დანახვამ გაამხნევა თუ რა იყო. ბუხრისთავზე მაშინვე იპოვნა ერთი შუშა. შუშის ფსკერზე რალაც სითხე

მოჩანდა. ელევთერი ცერა-თითის ფრჩხილით ეძგერა საცობს, ამოაგლო და შუშა დაყნოსა.

— ეალერიაანის წვეთებია! — შეჰყვირა გახარებულმა, თითქოს ხსნის ერთადერთ საშუალებებსათვის მიეკვლიოს. თავმობდილი შუშა ცხვირის ნესტოსთან მიუტანეს ელენეს.

— წყალი, კალისტრატე! — დაიძაბა ელევთერმა.

მოხუცმა საიდანღაც გააჩინა წყალი.

— ნუ გეშინია, არაფერი უქირს... პა! — წახანაგებიანი საღვინე კიქა ხელში შეაჩერა.

ელევთერს ზელები უკანკალებდა. ეალერიაანის წვეთების გადმოსხმა და დხოთვლა ვერა და ვერ მოახერხა. ორჯერ თუ სამჯერ გადაღვარეს წყალი.

— მომეცე! — ჭირისუფალზე არანაკლებ შეშინებული კალისტრატე შუშას წაეტანა, მაგრამ იმას სათვალე არ აღმოაჩნდა თან. ვენახზე ამოვლისას თუ დაპკარგა.

— სუნთქავს! ცოცხალია! — აღმოხდა ცოლის სასთუმალთან ჩაჩოქილ ელევთერს.

— ნუ გეშინია, გაუვლის, — კალისტრატე ღია კარში ჩამდგარიყო და მონდომებით ითვლიდა ეალერიაანის წვეთებს, რომლებიც კანტიკუნტად ცვივოდა საღვინე კიქაში.

აეღმყოფს კოვზის ტარით გაუხსნეს კიქა. კალისტრატეს ზელი უძიგძიგებდა. ცოტა წაშალი დაექცა. შეფერადებულმა წყალმა ქალის საესე ლოყა ჩაიბრინა და ბალიში დაასველა. მანც მოახერხეს ორი თუ სამი კოვზის ჩასხმა. ელენეს სული შეეხუთა, დაახველა, მერე ისეთნაირი ხველა აუტყდა, მთელი ტანი შეენძრა, თავი ოდნავ წამოსწია და კაცებმა გაივონეს, როგორ გადაყლაპა წაშალი.

— ოჰ! — გულზე მოეშვა ელევთერს, ღვარად წამოსული ოფლი მარცხენა ზელის ზურგით მოიწმინდა, — მგონია, გადაერჩეთ.

— ხელ-ფეხი დავუხილოთ, — გამოცოცხლდა კალისტრატე მასწავლებე-

ლიც. — იქნება სპირტი ან არაყი იპოვნო სადმე. სულ გაყინულია.

— შენ აგაშენა ღმერთი ჩვენი? — ტე, ამისთანა დროს მომეშველე.

— ჩქარა, ჩქარა, ნუ გეშინია, ამას აღარაფერი უქირს.

ელევთერი საკუქნაოში გავიდა. არაყი მანულის წნელით შემოწნული ნახევარფუთიანი ბოთლით მოიტანა.

კალისტრატემ დაიმკლავა.

— აბა! შენ ფეხები დაუხილე, მე ხელებს მიგხედავ!

ელენემ ათიოდე წუთის შემდეგ გაახილა თვალი და პირველი, ვინც შენიშნა, კალისტრატე მასწავლებელი იყო. ქალი ერთბაშად ვერ მიხვდა, რას მოასწავებდა ეს ამბავი, მაგრამ სულ ბოლოს თმაგაჩნილი ელევთერი დაინახა და ყველაფერი მოაგონდა.

ელევთერი სირცხვილით იწვოდა: ოღონდ მარტო ყოფილიყო ახლა აქ...

— სკამი მიართვი, — ელენემ სტუმარზე ანიშნა და მისუსტებული ხმით მიმართა ქმარს.

ელევთერი კვლავ გაქვავებული იდგა. მკედრებით აღმდგარ ცოლს უყურებდა. უცერად მუხლმა უმტყუნა, ტახტზე ჩამოჯდა და შუბლით ცოლის ფეხებს დაეყრდნო.

— კარგი, კაცო, ახლა შენ გავვიხდი მოსაბრუნებელი! — გაწყრა კალისტრატე.

ელენეს ხმა არ გამოუღია. ჯერ კიდევ ფერმიღებული ძლივს სუნთქავდა.

— რა მოგივიდა, ბატონო, ასე ხშირად მოგდის ხოლმე? — ჰკითხა ქალს კალისტრატემ და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ლერწის ასაკრავი კანაფის ძაფები ისევ მხარზე ჰქონდა გადადებული.

— შეგაწუხებთ... — ბოდიში მოიხადა ელენემ.

— ზუუ ხშირად მოგდის ხოლმე, ექმს უნდა ეჩვენო. იქნება გულის ამბავია. ძალიან გავრცელდა გულის აეღმყოფობა. მეც მაწუხებს. ხანდახან ისე გათენდება, თვალს ვერ მოვუხუჯე, შეშინია, ძილში არ გავიპარო. შენ ჯვარი გწერია, ჯერ ახალგაზრდა ხარ, მაგრამ

თავი ორმოცდამეხუთე

ახლაგზრდასაც ქე უნდა თავის მოვლა. ძირს გადმოგავლო?

— არ მახსოვს...— იტრუა ელენემ და დაწვებზე შესამჩნევად მოემატა ფერი.

— ეჩვენე, ეჩვენე ექიმს.

— ელეფთერ, ადექი.

ტახტზე დახვევებული კაცი მძიმედ წამოდგა, ბუხართან ბარბაცით მივიდა სტუმრისათვის სკამის მოსატანად.

— მეც ავღგები...— წამოიწია ელენე.

— იწექი, იწექი, რა ძალა გადგია,— ხელით შეაჩერა ქალი კალისტრატემ, — თუ რამე დაგვირდეთ, ვენახში ვიქნები. დაცხა კი ძალიან ეს ოხერი... მარჯვედ იყავით!

ელეფთერის დადგმული სკამი კალისტრატემ ფეხით ვანზე გასწია და კარისაკენ წავიდა.

ცოლ-ქმარი არ შეჰპატიებებია. სტუმართან ლაპარაკის თავი არცერთს არ ჰქონდა.

— მადლობა ღმერთს, ძალმა არ შეგმა, — დერეფანში გასვლისას ჯალხანა გაახსენდა კალისტრატეს, — სად არის?

— ბელლის ქვეშ იქნება. დაბერდა. ხმას ველარ იღებს, — ძლივს ამოიღო ხმა ელეფთერმა.

— ექიმს აჩვენე ქალი, ბატონო, ნუ წაუყრუებ.

— კანტორისკენ ხომ არ ჩაივლი, კალისტრატე?

— შეიძლება ჩავიდე.

— იქნება დააბარო ვისმე: მე სახლიდან ვერ გამოვალ, ცოტა ხანს მოვიციდი კიდე. მიწის მზომელებს მოველოდითა და მოსული იქნებიან ახლა.

— კარგი, შევატყობინებ.

— კალისტრატე... — კიდევ წამოეწია ალაგესთან მისულ მგზობელს ელეფთერი. — ასე უპატივეცემოდ გიშვებ...

— იპ. ნეტავი ერთი შენც! — ხელი ჩაიჭნია მოხუცმა, სარებს ორივე ხელით მოეჭიდა და ალაგზე გადავიდა.

ელეფთერი თავლაფდასხმულივით დარჩა ეზოში.

„ახლა რაღა იქნება? — გაიფიქრა მან, — ნუთუ უარესი?“

ისაია ჩუბინიძის ნახედევეჯეფიანი სახლი გამოვიდა. სოფელს მდებარეობს განსხვავებით, საბავშვო ბაღი აგურით იყო აშენებული და დანაკვეთცლებულ ცეცხლივით ღვივოდა მუხნარში.

თუმცა მეორე სართული ზედ არ დაუდგამთ, ისაიამ კედლები ისე ააყვანინა, პირველ შესაძლებლობისთანავე შეიძლებოდა სახურავის გადახდა და ახალი სართულის დაშენება.

საბავშვო ბაღი შორიდან ქალაქური ყაიდის საცხოვრებელ სახლს ჰგავდა: სადა, ორმაგი კარ-ფანჯრები, სოფლის მხრიდან მთავარი, ანუ სადარბაზო კარი, რომელიც ღრმად იჭრებოდა შუბლის კედელში, კარის წინ ორ-სამსაფეხურიანი გამოწვდომი კიბე, თეთრი თლილი ქვით კოპწიად გამოყვანილ... ბრტყელი კრამიტის სახურავი დამრეცად გამართეს, რათა წვიმას შეუფერხებლად ედინა საგანგებოდ მოწყობილ თუნუქის ლარებში.

შენობას ორი გარეთა კარი ჰქონდა: წინა — სადარბაზო და უკანა — მუხნარში გასასვლელი.

ოთახები ორ კარს შუა მოქცეულ უფანჯრო დერეფნის მარჯვნივ და მარცხნივ იყო განლაგებული. სამი ნათელი ოთახი დერეფნის მარცხენა მხარეს ბავშვებისათვის მოეწყობოდა. ერთი — სამეცადინო, ერთი — სასადილო და ერთიც — საძინებელი. სასადილოდან ვიწრო კარი და კედელში დატანებული სარკმელი გადიოდა კიდეც ერთ მომცრო ოთახში, რომელსაც სამზარეულოდ ვარაუდობდნენ.

შენობის მარჯვენა ნახევარი მთლიანად თავისუფალი იყო, უკეთეს ბაღის აღმინასტრაცია ცალკე კაბინეტის გამოყოფას არ აიჩნებდა.

აქამდე სოფელს ამბულატორია არ ჰქონდა. ავადმყოფები შინ დაიარებოდნენ სერგო ლაბაძესთან. ამაზე უკეთეს საამბულატორიო ადგილს ვერც ინატრებდა კაცი. ასე გასინჯეთ, ყველაზე უართო. მზიან ოთახში მწოლიარე ავადმყოფებიც კი მოთავსდებოდნენ.

სერგო დროზე დაეპატრონა თავის წილხედომილს.

როცა სახლი დამთავრდა, ზოგიერთმა გაუთვალისწინებელმა გარემოებაშიც მაშინ იჩინა თავი: საბავშვო ბაღსა და ამბულატორიას ერთი კარი არ გამოადგებოდა. საჭირო იყო ამბულატორიისათვის ცალკე ჩაედგათ კარი შენობის მარჯვენა კედელში, რათა ეს ორი დაწესებულება საიმედოდ გაემიჯნათ ერთიმეორისაგან.

ისაია ძლივს დაიყოლიეს. ახალი კარის გაკეთებით შენობის გარეგნული შესახედობა მთლად მოიჯაყებია, დამაჯერებლად ირწმუნებოდა ძველი მეკუბოვე, თუ ცალკე კარი გინდოდათ, აქამდე სად იყავით, ხელახლა ხომ არ გადავაკეთებ ერთხელ და სამუდამოდ მოთავსებულსო. მაგრამ ექიმის დაყენება იმდენად საბუთიანი აღმოჩნდა, ისაია ბუზღუნით დათანხმდა და კალატოზებთან დაიწყო თათბირი, როგორ ჩაედგათ კარი ისე, რომ შენობას შინა და ღარით არ დაჰკარგვოდა.

ხათუნა შინაურულად ტრიალებდა ოთახებში. ალიზითა და კირით დანაგვიანებულ იატაკს რეცხდა. ფანჯრის მინები ჯერ კიდევ არ იყო ჩასმული და მთელ შენობაში გამჟღავნებული ჰქონდა. ქალი გაცივდა, მკლავები დაწყვეტაზე ჰქონდა, მუხლისთავეები ერთიანად დაუღლიადა სველ იატაკზე ჩოჩიალისაგან. მაგრამ საქმეს მაინც არ ეშვებოდა. იმ დღეს აქეთ, როდესაც სერგომ პირველად აქ მოიყვანა, საკუთარ ეზო-ყურესავეთ უყვარდა მის თვალწინ დაბადებული მალხაზი შენობა. ვანა ცოტა შრომა ჩაალია შიგ. შენს ნაჯახიბრალს აგრე ადვილად ვერ მოსცილდები.

სოფლიდან ხალხი დაიარებოდა ბაღის შენობის სანახავად. შენობას შორიანლო უკლიდნენ, ყოველ წვრილმანს მცოდნე კაცის თვალთ აფასებდნენ, მოწონების ნიშნად თავს აქნევდნენ და თითქოს ყველაფერი მინდელის ჭვრივის საკუთრება ყოფილიყოს, ხათუნას ხელის ჩამორთმევით ულოცავდნენ.

— მე რა... მე რატომ... — იღიმებოდა

ხათუნა, თან გულში უხაროდა, სოფელს რომ აქაურობის ბატონ-პატრონად მიაჩნდა, — ყველასი არ არის ლეონიძე, მეც მომილოცავს!

სამშაბათი დღე იყო. ხათუნა დილითვე შესდგომოდა საქმეს. შუშის ჩამსმელებს კვალდაკვალ მისდევდა და ფანჯრის რაფაზე შემდგარი ცარცის ფხვნილით აბრიალებდა მინებს. შენობის მეორე ნახევარში მძიმე ლომის ყრუ ძლიან ისმოდა. იქ კვლავ მუშაობდნენ კალატოზები: აგურის კედელში საკარგ ნაბრალს ანგრევდნენ. სახლი ზანზარებდა, ჭერებიდან სილა ცვივოდა და შეუბრალებლად ანაგვიანებდა მონდომებით გახეხილ იატაკს.

ხათუნას გულს უსივებდა ეს ხმა და ჭერში საიდანაც დარჩენილი სილის კანტიკუნტი ხრიალი.

წიფლისწყაროელი შუშის ჩამსმელები, რომელთაც ხათუნა აქამდე არსად ენახათ, ქალს მორიდებულად უთვალთვლებდნენ, რამდენჯერმე გამოეცაპარაკნენ კიდევ. მაგრამ ხათუნა ისე იყო საქმეში გართული, ორპროვანი საუბრის გუნებაზე დამდგარ ბიჭებისათვის ყურადღებაც არ მოუქცევია.

— ამას ვერ უყურებ, სად აყოლივებულა! — მოესმა მას უცებ და უნებურად ძირს ჩაიხედა.

ფანჯარას თეთრი აბრეშუმის დილიცილოებიან ხალათში გამოწყობილი სუფთად პირგაპარსული სერგო მოსდგომოდა და ცერა-თითით გასაღებების აცმას აჩხრიალებდა.

ხათუნა არ განძრეულა.

სერგოს ახალგაზრდა ქალი ახლდა თან, შეავგრემანი, შეავთვალ-წარბა, საკვირვლად თეთრი პირისახისა, ერთი შეხედვით მთლად ბავშვი, მხოლოდ ღრმა, კამკამა თვალბაშში ემჩნეოდა ის ნაღვლიანი სიზარული და იღვრალი ქალური სინაზე, რომელსაც საყვარელ მამაკაცთან პირველი სიახლოვე შობს ხოლმე.

— ვაიმე, მაყვალა! — ერთბაშად აღმოხდა ხათუნას. — შენ გენაცეალე!

არც კი გაუგია, როგორ ჩაბტა იატაკზე, წინსაფარი შეიხსნა, იქვე მოაგდო, დერეფანში გაიბრინა, იქიდან აგურის ნატეხებით მოფენილ ეზოში და ახალგაზრდა ცოლ-ქმრის გვერდით გაჩნდა.

უკვე მესამე თანჯარაზე გადასული შუშის ჩამსმელები გულგრილად ადვენებდნენ თვალს ეზოში გამართულ ხევენა-კოცნას და ვითომც ვერაფერსაც ვერა ვხვდავთო, შშვიდად განაგრძობდნენ სატეხის ყუთთ ჭიკარტულების ჩაშედებას.

— როდის გამოგწერეს? — ჰკითხა ქალს ხათუნამ, როცა დედობრივი აღერსით გული მოიჯერა და ერთხელ კიდევ შეათვალიერა თავიდან ფეხებამდე. — ნუთუ მეც ამისთანა ვიყავი მაშინ... — ფიქრობდა თან.

— არ გამოუწერივარ, — მალულად სერგოს გაუღიმა მაყვალამ.

— გამოიპარე? — შეყვარებული წყვილის დანახვას ხათუნა შორეულ მოგონებაში გადაეგდო.

— ველარ გავძელი... — ჩივილის გამოსასწორებლად მაყვალამ კვლავ გაიღიმა, თეთრი, ნაფოტა კბილები გამოაჩინა და ისედაც შუქიანი მწყაზარი სახე უფრო გაუნათდა. — ექიმებმა არაფერი არ იციან!

— ოჰ! — გამოაჯავრა ცოლს სერგომ, — არ იციან!

მაყვალამ თვალები ააბაქუნა:

— ტყუილია?

— აგრონომებმა იცით ბევრი, ბებერა-კიტრი და ნესვი ერთმანეთისაგან ვერ გაგორჩევიან!

— უუუუუ ახლა ამას! თქვენზე უკეთ კი ვარჩევთ!

— ჩვენზე უკეთ!

— გაჩუმდი, თორემ ისეთ რამეს ვიტყვი... — მაყვალა გაიკრიჭა, პაწია თითით დაემუქრა ქმარს.

— ღმერთო, რა სასაცილოები ხართ! — ხათუნამ ცთუნებდა ველარ გაუძლო, მაყვალას ერთხელ კიდევ მოეხვია და ყირმიზა დაწვხე ლოყით მიეყრდნო. უცნაურად გულაძგერებულ ახლა ამ

პატარა ქალს კი არა, თავის სიყმაწვილეს ეალერსებოდა.

— კიდევ გაწუხებს? — ჩამვირჩხა მუქპარჩულით.

მაყვალამ ოდნავ შეატოკა მარჯვენა მხარი.

— ცოტა მაინც არ გიტია, სულ ცოტა?

— ცოტა კი... — მაყვალამ მხერა შუშის ჩამსმელებისაყენ წასულ სერგოს გააყოლა.

— მადა როგორი გაქვს?

— მინდა, მაგრამ...

— გულზე არ გადგება?

— ჰო.

— ნუ გეშინია, მალე გაგივლის. რამდენის არის?

— არ ვიცი. — მაყვალას სიწითლე მოერია ლაწვებზე. ცხადია, იცოდა, მაგრამ ხათუნასი შერცხვა.

— კარგად გძინავს?

— მწ.

— რა გაწუხებს, გოგო?

— მშვიდა. — ხელახლა გამოანათეს ნაფოტა კბილებმა, — სერგო, მოდი აქ!

— ზურიაზე რომ ორსულად ვიყავი... — მოიგონა ხათუნამ, — სიზმარში საკმელს ვიპარავდი.

ქალებმა შეთქმულებივით გაჰხედეს კაცებს, მერე ერთმანეთს და ფხუკუნო აუტყდათ. სერგომ ბედნიერი სახე მოაბრუნა. შუშის ჩამსმელებმაც აქეთ დაიწყეს ცქერა.

— ყოველდღე მესიზმრებოდა... ხან მეზობლებში ვიპარავდი, ხან სად, ხან სად. ჭამა არ მახსოვს, მაინც შიმშილით ვკვდებოდი.

— დაგვცინით? — კაცების გასაგონად დაიძახა სერგომ.

მაყვალას ცხვირსახოცი მიეფარებინა პირზე და სიცილით იგულდებოდა.

— რა გაცინებთ? — მოიბრინა სერგომ და ცოლს ხელი ჩამოსდო მხარზე.

— ხათუნა თურმე საკმელს იპარავდა სიზმარში, — ფხუკუნებდა მაყვალა.

— როდის? — სერგოს შებღზე აუცვივდა წარბები.

— შენ ყველაფერს ყველაზე გვიან

იგებ! — მაყვალამ მხარი შეაქანა და რადგანაც შუშის ჩამსმელები აქეთ იყურებოდნენ, ქმრის ხელი ალერსიანად მოიცილა.

— მაყვალას იცი, რა ესიზმრება? — სერგო ხათუნას მიუბრუნდა.

— არ თქვა! — ტუჩებზე ხელი მიიჭრა მაყვალამ, — ხმას არ გაგცემ!

— ხათუნასი გრცხვენია?

— არ თქვა, არ მინდა.

— თქვი, თქვი, სერგო! — შეეხეწა ხათუნა.

— ცოქვა? — სერგომ ისევ მაყვალას გაუცინა, — ამას ესიზმრება, ვითომც დიდ ქალაქშია, სასტუმროში ცხოვრობს. შედის ნომერში. იქ მე ვგონივარ. ხედავს, ვიღაც ორი კაცი წევს ლოგინში. მე გავპარვივარ. წაავლებენ ხელს ეს კაცები და კლდეზე აგდებენ...

— კლდე საღლა არის? — გაეცინა ხათუნას.

— იქვე, თანჯარასთან, ფხუ...

მაყვალას წუთით დააეწიწა, რომ აქ სხვებიც იყვნენ, სერგოს გრუხა თმაში მისწვდა და მოქაჩა.

— სულელი არ არის? — ხარხარებდა სერგო და ორივე ხელით იცილებდა მაყვალას თითებს.

— ოპ, თქვენ გამხიარულათ გამჩენმა! — ძველებურად დაილოცა ხათუნა, — ამდენი ჩემს სიცოცხლეში არ მიცინია.

— სერგო... — მაყვალას გუნება უცრად შეეცვალა და მთელი თავით მალალ ქმარს მუდართი აჰხედა, — წაივდიეთ...

— ჩემი რეზიდენცია არ ვნახოთ? — სერგოს შემოფოთება დაეტყო.

— მერე ვნახოთ, გეხეწები...

— აგერია?

— ცოტა...

— წაიყვანე, ცოდვია, — გამოცოცხლდა ხათუნაც, — შენი ქირიმე, საწყალი გოგო! რატომ გააკანკალებს, გცივა?

მაყვალა ბარტყივით მოიბუხა, ორივე ხელი ჩასჭიდა ქმარს მკლავში.

— ქვეყანა იწვის, ამას ცივა! — ყველაფრის ხუმრობაში ჩატარება სცადა სერგომ, — უკან სულ მოათავეს?

— ეს ორი თანჯარა დარჩა, — შუშის ჩამსმელებს გაჰხედა ხათუნამ.

— შენს საქმეზე ამ ორ დღეში ვაღალავალ.

— ცაითუ გვიან იქნეს, ბიჭო.

— გვიან რად იქნება, უჩვენოდ კი კერავის დანიშნავენ.

— ბარუსი რომ სხვანაირად ამბობდა?

— ნუ გეშინია, რალაცას მოვახერხებო.

— შენს იმედად ვიქნები.

— ორ დღეში დაგძიხებ და ერთად წაივდიეთ. ხელაც ვნახავ. ზევ თბილისში ვარ ჩასარბენი.

— თბილისში რაზე? — გაუკვირდა ხათუნას.

— თუ შეიძლო, ესეც უნდა წაიყვანო, — ილლიაში ამოჩრილ ქალს დაჰხედა სერგომ.

— რანაირად შეიძლებს!

— თუ ვერ შეიძლებს, მე წავალ. აკადემიური შევებულემა უნდა გაუფორომო.

— სერგო, კიდევ არ იშლი შენსას? — მაყვალამ ნაბიჯი შეანელა, — არ მინდა მე აკადემიური შევებულემა, რამდენჯერ გითხარი!

— მაყვალა! — მოიღუშა სერგო.

— არსადაც არ გაგიშვებ, ნახე თუ გაგიშვა!

— მოიცა, ნუ ბავშვობ. ამხელა ქალი გაიზარდა, ექიმებს ეჯობრება და...

— გამივლის და წავალ. მართლა, სერგო...

სერგოს ღიმილი მოერია, ხათუნას თვალი ჩაუკრა.

ხათუნა ხარბად მისჩერებოდა ორივეს, „ნეტავი თქვენს დედას!“ — შენატროდა გულში და პირზე ღიმილი არ შორდებოდა.

ახალგაზრდებმა ხელი დაუქნიეს, სიმინდის ყანაში შევიდნენ.

ხათუნა კვლავ მოჯადოებულებით იდგა იმავ ადგილზე და მიმავალთ გაჰყურებდა. „არავისთვის არა სცალიათ... ოპ, ნეტავი თქვენ!“

თავი ორმოცდამოთხე

შუშის ჩამსმელებმა საქმე მოათავეს. ისაია ჩუბინიძემ ფანჯრებს ჩამოუარა, ნამუშევარი გულდასმით გასინჯა.

ხათუნა კაცებს აღარ გაჰყოლია, იმ ორ ფანჯარასაც დაუტრიალდა და როცა ესენიც გაწმინდა, მაშინვე შინ გაეშურა, რადგან უკვე შუადღე იყო და ვენახის კუთხეში გამოზმული ძროხის წყლის დამლევიანებელი არაეინ ჰყავდა.

სკოლიდან ახლად დაბრუნებული პავლე ოთახში იჯდა და არითმეტიკის ამოცანას იყვანდა.

შინ მოსვლამდე ხათუნამ ძროხა აუწია, გუბერაზე წყალი დააღვეინა და დასაშუადღებლად ჩრდილში დააბა.

პავლე დერეფანში გამოეგება დედას. სკოლიდან მოსულს დარიგებისამებრ ხელპირი საპნით დაებანა, მოკლედ შეერეჭილი თმა დაესველებინა და უჯან გადაეგარცხნა, მაგრამ გაჯიუტებული თმა კეფაზე ცერად დასდგომოდა, შუბლთან კი ისე ჰქონდა დატკეპნილი და აპრილებული, თითქოს ზედ ძროხას გადაესვას ენა. აქა-იქ წყლის წვეთები ჩამოსდიოდა წუოწურით.

— გუბეში ჩაყავი, ბიჭო, თავი? — უსაყვედურა ბიჭს დედამ და წვეთები წინსაფრის კალთით მოსწმინდა, — ანაყოლ უნდა დაისველო, შვილო, თორემ გაცოვდები.

— დედა, ხუთი მივიღე! — მიახარა პავლემ.

— რაწი, ბიჭო? — ხათუნას თვალე-ბი გაუბრწყინდა.

პავლე ოთახში შევარდა და სათუთად შენახული, მაგრამ ხმარებით მაინც ოდნავ ყდაგადახეხილი „საგარეო რვეული“ გამოარბენინა.

ხათუნამ რვეული გაშალა. ახალი გაკვეთილი შუაში იყო. ჩაჭიკჭიკებულ პწკარებს მოწაფის არაჩვეულებრივი მონდომება ემჩნეოდა. მასწავლებლის წითელი მელნის კვალი არსად ჩანდა. ხათუნამ ეს ფურცელიც გადააბრუნა. მეორე გვერდის ბოლოს თვალში ეცა წითელი მელნით დასმული „ფრიადი“

და ბალღურად გარკვეული ხელმოწერა. კალისტრატე მასწავლებელს მოდგინებას და აზრის მსჯელობას ეგვედა მოსწავლეებს, თავად ხელმოწერასაც არ აფუჩეჩებდა. თვითველი ასო საგულდაგულოდ გამოჰყავდა.

ხათუნამ რვეული დახურა.

— საზეპიროც კარგად უპასუხე?

პავლემ თავი დაუქნია.

— აბა შენ იცი, შვილო, — სველ თმაზე ხელი დაადო ხათუნამ, — ოღონდ ქოჩორს ნულარ დაისველებ ასე ძალიან. ზურიასთან ზომ არ გამოგივლია, შალიყო იქ არის?

— დილას არ წაიყვანა?

ხათუნა ოთახში შევიდა, გორგლად დახვეული წინსაფარი ტახტზე დააგდო.

— წვები? — პავლემ კვლავ მაგიდასთან მიიბრინა და საწურ-კალამს ხელი წამოავლო.

— დაწოლის დროა? ახლა ეახშამი მაქვს გასაკეთებელი. გადი, ნახე, ჰადი თუ დაგვრჩა.

პავლე გაიქცა. ახლადგამომცხვარ მჭადებს საწინახელში ინახავდნენ. დერეფნიდან საწინახლის თავის ბრაგუნნი მოისმა.

— ნელა, ბეჭო, თითი არ დაიწეწო! — გასძახა შვილს ხათუნამ, ნაცარში ჩახვეული წვრილი ნაკვერცხლები საკეცით მოჩხრიკა და ერთ ადგილზე მოაგროვა.

— ნახევარი ჰადია, დედა! — დაიძახა პავლემ.

— კარგი, დაახურე ისევ თავი, — ხათუნა ცეცხლის გასაღვეებლად ფიჩხის მოსაძებნად გავიდა, დერეფანში დაყრილ წალამს ხელი დაქსეია და ოთახში შემოიტანა.

ნაკვერცხლებზე მოლაგებულმა წალამმა, სანამ მოეკიდებოდა, ხრჩოლვა დაიწყო. სქელი თეთრი ბოლი ბუხრის საკვამურმა აიტაცა. ალი გაკრთა, ნელ-ნელა წამოყვლეკვლედა და ბოლოს ერთბაშად მოედო მზის გულზე გამომწვარ წალამს.

ხათუნამ რკინის სამფეხი შედგა ბუხარში, ზედ თიხის კეცები შემოაწყო.



ალი კაცების ქვეშ დატრიალდა. ხათუნამ კიდევ დაამტვრია წალამი, რათა დროდადრო ცეცხლისთვის შეეკეთებინა და ფქვილის გასაცრელად კაბის ვიწრო სახელოები დაიკაპიწა.

მაგიდასთან მიმჯდარ პავლეს კბილები ქვედა ტუჩზე დაებჯინა და დანდობილად იყვანდა არითმეტის ამოცანას.

ოთახში ცხელოდა. გარეთ თავარა მზე ხრავავდა ქვეყანას, აქ კი ცეცხლიც ენთო...

„ჩრდილს მაინც მოძებნიდეს სადმე ის სულელი ბიჭი! — პატარა შალიკოს ჯავრმა შეაწუხა ხათუნა, — ამისთანა სიცხეში ტინი აუღუღდება ადამიანს!“

როცა საცერი კოდის ლინგზე შემოსდო და ზედ ფრთხილად დააპირქვევა ფქვილით ავსებული ზორკლიანი ხაბი, მზრების ტკივილი იგრძნო. ბოლო დროს წელის ტკივილიც შემოეჩვია.

„რეკმატიზმა თუ გავცივდი?“ — შიშობდა ხოლმე ხათუნა და გასამხნევებლად ყველაფერს ორპირ ქარს აბრალებდა.

ავადმყოფობას ჩვეული არ იყო. თავის უბრალო წამოტყევაზეც კი შიშის ზარს სცემდა, მტრის და ავისას გლახა არაფერი მომივიდეს, ბავშვები უპატრონოდ დამრჩებიანო.

შვილებთან დაბრუნებამ, ცხოვრების ჩვეულებრივ კალაპოტში ჩაეარდნამ ხათუნას ხელახლა აგრძნობინა განვლილი წლების სიმძიმე. წინაღუდეს ორი დერი გრძელი ჭლარა თმა ჩამოჰყვა სავარცხელს. ხათუნას საშინლად გაუკვირდა ჭლარა თმის დანახვა. ერთ პირობა იფიქრა, სხვამ თუ ვინმემ დაივარცხნა ამ სავარცხლით და თეთრი თმის ბეწვიც იმისი იქნებაო, მაგრამ აბა ვის უნდა დაევარცხნა, ვინ ჰყავდა აქ ჭლარა! თმა გაიშალა, კარვად დააკვირდა სარკეში და ჭლარა კიდევ იპოვნა — ამჯერად სამი, კიდევ ორი, კიდევ ერთი...

მერე აღარ დაუთვლია. თავი მიანება.

მაგრამ როდის აქეთ გაუჩნდა ჭლა-

რა? ნუთუ ადრეც ჰქონდა და აქამდე არ შეუმჩნევია?

ეჩქონესული

„არსად არ გაგიშვებ, ნახე, ჩემი გვიშვა!“ — მოაგონდა მაცვალას ტინი და მზერა უნებურად მიეჯაჭვა გობის კიდზე დაკრულ თუნუქის საკერველს.

გრძნობენ კი თავიანთ ბედნიერებას? იქნებ ვერცა გრძნობენ, ჰგონიათ, სხვანიირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

ხათუნა ფიქრში გაერთო. მაცვალას გახსენება ალიზიანებდა. უმაწილი ქალის შუქიანი თვალები თითქოს საყვედურით ავსებულებოდა.

— „მე დილის ნამს მოვყვევი, ჯერ არ გავფურჩქნულვარ, — ამბობდნენ ეს თვალები, — ახლა ჩემი დროა!“

„მე კი რა დავაშავე? — ფიქრობდა ხათუნა, — მეც უნისთანა არ ვიყავი? თვალსა და ხელს შუა გამიქრა შენეული სინორჩე, ამოსუნთქვაც ვერ მოვასწარი. რად მერე, რად!...“

ხათუნამ წყალი დაასხა გობზე და გრილ ფქვილში ხელები წარგო.

„მეც მინდოდა შალიკოსთვის მეთქვა, არსად არ გაგიშვებ, ნახე, თუ გაგიშვა მეთქი...“

შალიკოს ეჩქარებოდა. შინ ერთი წუთით შემოიბრინა. ხათუნას პავლე ჰყავდა ხელში ატატებული. აი, ის, ახლა რომ ეგერ ზის და გაკვეთილს სწავლობს. ზურია კალთაზე ეტუხებოდა. ბავშვები ვერაფერს მიხვდნენ. ხათუნას ხმა არ ამოუღია. შალიკოს ჭიშკრამდე გაჰყენენ...

ქალმა იგრძნო, როგორ ჩამოუგორდა დაწვებ ცრემლი და სველ ხელზე დევცა.

შალიკო გვიან გაიწვიეს. გახურებული ომი იყო. ზოგს აღარც კი ეგონა თუ გაიწვევდნენ. წინათ დედისურთები არ მიჰყავდათ ომში. არც წვრილშვილის პატრონები მიჰყავდათ. მოულოდნელად გამოიძახეს. ალბათ, ძალიან საჭირო იყო შალიკოს წაყვანა. ქვეყანას ცხელი დღე ადგა. სამხედრო კომისარიატის საბარგო მანქანა ჩალის

ზვინებთან იცდიდა, იქ, სადაც ახლა ფერმის ბოსელია...

მაშინ ხათუნას კარგად არ ესმოდა, რა იყო ომი. პირველად არ შეშინებია, მხოლოდ შალიკოს დაშორება უშიშმდა, ისე, როგორც მყვალას უშიშმს სერგოს გაშვება...

— დედა, ცეცხლი ჩაქრა! — პავლეს ხმამ გამოაფხიზლა ფიქრში წასული ქალი.

ხათუნა შეკრთა. ცოშში დასვრილი ხელები გობიდან ამოიღო.

— გამოიყვანე?

— შესამე კითხვა დამრჩა! — პავლემ უკვე ბუხართან იყო და ორივე მუხლზე ჩაჩოქილი ცეცხლს უკეთებდა.

— გაიწი, კეცი გადავარდნილა, — წაადგა შეილს ხათუნა.

— ცხელი იქნება, დედა!

— გაიწი, ვერ ხედავ, რა შავია? — ხათუნამ საკეცე მოიმარჯვა და უკან გადატურებული კეცი ისევ სამფეხზე შემოსდგა, — შეუნთე ახლა! ჩუ, ვინ იძახის?

ბუხარში აღმოდებული წალამი ტკაცუნებდა.

— შალიკო ჭყვივის, — პავლემ დერგენში გაგარდა, — შალიკო და ზურია მოდიან, დედა!

ხათუნამ სველი მაჯა აისვა წარბებზე, ხელის ზურგით თვალებიც მოისრისა.

ეზოში შალიკოს ტყრციალი ისმოდა.

„ვიკვიკებმ ჩემი ბიჭი!“ — გაიფიქრა ხათუნამ, გულმა ველარ გაუძლო, წამოდგა და გარეთ გაიხედა.

უმცროსები კისრისტეხით გამოიქცნენ. პავლემ ყასიდად ჩამორჩა. შალვა მორბოდა, თან წამდაუწყემ უკან იტკიოებოდა, ხომ არ მომეწიოა და კვლავინდებურად ტყრციალეზდა.

— ნელა, ბიჭო, წინ დაიხედე! — მიძახა ხათუნამ.

ბავშვები დერგენში შემოკვიდნენ. ნახშირის მტვერით გამურული ზურია შუა ეზოში გაჩერდა და ტანსაცმლის ბერტყვას მოჰყვა.

— რას აკეთებდი იქ ამდენ ხანს, —

დაიხარა და შალიკოს მოეხივებოდა ხათუნა, — ზაქარა ბიჭი ხომ არ გაუჯავრე?

— მეორედ არ გამატანოთ ეგ საიკედლოში! — დაიძახა ზურია.

— რაეა, დააშავა რამე თუ?

— ერთ ადგილზე ვერ გააჩერებ, — ზურია სატინის ჯიბეებშიანი ხალათი გაიხადა, წითელი მაისურის ჩამოვარდნილი სამხრეული ააწია, — გამოხედე! — მირბის გზაზე! გზაზე მანქანები დადის, თუ დაეტყა, პირს კი არ მოუჯოცნის!

— უიმე, ღმერთო კი მომკალი! — ხუმრობით შეიცხადა ხათუნამ, — ავრე უნდა მერე, შალო?

— შალოს ნუ უძახი მაგას, სულ მოელი ბოლო! — ნახშირით მოზუზუნული ზურია დერგენში შემოვიდა, — თბილი წყალი გაქვს?

— უჰ, რანაირად გამურულხარ, ზური! ახლავე შევათბობ.

ზურია ქვის სკამ-ლოგინზე ჩამოჯდა და ტილოს ფეხსაცმლის ჩასკენილი თასმა შეიხსნა.

უმცროსებმა ხმა ჩაიწყვიტეს, ბოჩოლებივით აედევნენ ოთახში შებრუნებულ დედას.

ათიოდე წუთის შემდეგ ხათუნამ კარდლით წყალი გამოიტანა. ზურია პავლემ მოიხმო, დამისხო, მაგრამ ხათუნამ შუშის ქილა გადმოიღო საწნახლის თავიდან და თვითონ ამოჰკრა ორთქლმოკიდებულ კარდალში.

— ძალიან ცხელი არ იყოს, — წაილაპარაკა ზურია.

— ნახე, თუ ცხელია, გავანელებ.

— კარგი, დამისხი!

— დღეს აღარ წახედე!

— როგორღა წაედე, ვერ ხედავ, რა დროა?

— გააკეთეთ რამე?

— აბა ტყუილა ხომ არ ვიქნებოდით!

— საპონი კიდევ წაისვი. მაგრამ წაისვი, მაგრამ!

— ამა! ამაზე უფრო მეტად შეიძლება?

2020



— ახლა არაფერზე აღარ ვახსენებ ხელს. დაჯექი და იმეცადინე.

— დამისხი!

— რატომ წყრები?

ზურია წაუყრუა, ხეხვით გაწითლებული კისერი წინ გაიწვდინა და წყალს შეუშვირა.

— ნუკი წყრები, შვილო. — დაუყვავა ხათუნამ, — საქმე ისე უნდა გააკეთო, ვითომც აქ არაფერი. კი არავინ უნდა შეაწუხო.

— ეის ვაწუხებ მე?! — თვალეზი ძლივს გამოახილა ზურიაში.

— დაიხსომე, რასაც გეუბნები. ახალგაზრდა კაცს სულ ღიმილი უნდა გითამაშებდეს პირზე. სერგოს ვერ უყურებ? ძალიანაც რომ ვიჭირდეს. შენი ვიჭირებო? სხვას არც უნდა გააგებინო. იცი, რანაირი იყო მამაშენი? გეგონებოდა. ამაზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არ დაიარებო.

— უბედური იყო თუ? — რატომღაც აბიღბილდა ზურია.

— შენ გგონია, ძალიან ბედნიერი იყო? აბა წამოიკიდე ზურგზე წვრილი ცოლშვილი, მამინ ნახავ!

— შენ ხომ ვიყვარდა მამაჩენი?

— მერე მართო სიყვარული რის მაქნისა!

— არ ამბობ მართალს, დედა.

— რატომ არ ვამბობ?

— არ ამბობ და იმიტომ. მამაჩემს წარბის შესაკვრელი რა ჰქონდა, მერე რა თუ ცხოვრება უჭირდა!

— შენ რა გაქვს წარბის შესაკვრელი!

— მე როდის... მე ის ვარ. — ზურია კუთხეში მიმწყვდევული აღმოჩნდა და ეს სიტყვები დამნაშავესავით წაიღუღღღღა.

— აჰ! — მკლავზე გადაკიდებული პირსახოცი მიაწოდა ხათუნამ და შუშის ქილა ისევ საწნახლის თავზე დადო.

ზურია ფეხი აითრია დერეფანში, დედის შეხედვისა რატომღაც მოერიდა. საწნახლის ინდურზე რკინეულობა ააჩ-

ხაკუნა, ჭობოსანი იპოვნა და წინა დღეს გამოთლილ წერაქვის საჭურჭელს რომელიც იქვე იყო მიუღებელი, წინა ნივრად გაუსვა. ჭობოსანი დაქანებულ იყო. პრილა თეთრ ხეზე ეანგის კვალი დასტოვა.

ზურიას დაენანა ხის დასვრა. დალქავებული ადგილი მაგრად გადაისვა მუხლზე, მაგრამ ეანგი ისე ღრმად ჩამჯდარიყო. ფერი ოდნავადაც არ შესცვლია.

„არ უნდა ჭობოსანი, ისე დაუუგებ!“ — გადაწყვიტა ზურია და საწნახლის ქვეშ შეიხედა შუშის ნატეხის მოსაძებნად, რათა ფაქიზად გამოეკობიტებულა წერაქვის ტარი ერთხელ კიდევ გაეფხვია.

— რას ეძებ, შვილო? — გამოიხედა ამ დროს ხათუნამ.

— აქ შუშის ნატეხი მჭონდა, რა უყავით?

— ცოცხს თუ გაჰყვა. სანაგვეზე მოძებნე.

ზურია სანაგვეზე გავიდა. სანაგვე ვენახის ყურეში იყო, მოფარებულ ადგილას. ზურია ფეხის წვერით მოხიხრიკა ნაგავი. ორი თუ სამი შუშა იპოვნა, წკიპად აიღო და მტერის მოსაცილებლად ბალახებზე მიუსვმოუსვა. უკან გაბრუნებას აპირებდა, როცა ვენახის ბოლოზე, გუბურასთან, ნიკორა ძროხა და ჭილისქუდიანი გოგო დაინახა. მოწყურებული ძროხა წყალს სვამდა, გოგო ზურიასაკენ ზურგით იდგა და პირუტყვს თვალს ადევნებდა.

— გვანცა! — ხმადაბლა დაიძახა ზურიაში.

ძროხამ ტუჩი მოაცილა გუბურას. თავი განზე გაიქნია და დაიფრთვინა, ალბათ, ბზიკი დააფრთხო.

— გვანცა! — კიდევ უფრო გაუბედავად დაიძახა ზურიაში.

„ნამდვილად არ ესმის, აბა რას მებუტებო!“

ამის გაფიქრებისთანავე ზურია შუშის ნატეხები იქვე დაჰყარა, ალაგესთან მიიბრინა და ვენახში გადასტა. ვახ-

ნარი თვალის დახამხამებაში ჩაირბინა. აღარც კი გაჰსენებია, ვენახის ბოლო და გვერდები ახალი შემოკავებული რომ ჰქონდა. ტრიფოლიატის ღობის გამეჩხერებული ადგილები ძეძვით იყო ამოვსებული, თან მთელ ღობეს ეკლიანი მთეთული გასდევდა სამპირად. ჩიტიც ვერ გადმოფრინდებოდა ვენახში.

ზურია არც ცდილა ღობეში გაძრომას, ხელებს ამაოდ დაისისხლიანებდა, ზემოთ ასვლა და სიმინდებზე ჩარბენა კი უკვე გვიანი იყო. ამასობაში გვანცა გაასწრებდა.

გაფოთილი ცოცხალი ღობის იქით არაფერი ჩანდა. ზურია მინც იპოვნა ჭურჭუტანა, ეკლიანი ტოტები გაპირვებით მისწი-მოსწია.

მზეზე ლურჯად ღივლივებდა გუბურა. შიგ მგონი რაღაც უჩინარი მწერი დასცურავდა და ოდნავ შესამჩნევ წრეებს აჩენდა.

„გაუსწრია! — იმედი გადაუწყდა ზურიას, — ძროხა, ალბათ, ლუხუნისას პირზე ჰყავდა საბალახოდ. მაგრამ აქეთ რად ამოიარა, ლუხუნიაზე წყალი არ იყო?“

ჭურჭუტანა შეძლებისდაგვარად გააფართოვა და თავი თითქმის მთლიანად გაყო ღობეში. ერთხახს იჭურბობას ზევრავდა, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ. მერე ხმადაბლა დაიძახა:

— გვანცა! — და ყური მიუგდო.

ირგვლივ ჩამიხუმი არ ისმოდა.

— გვანცა! — ერთხელ კიდევ უიმედოდ დაიძახა ზურია.

მაჯა ქაცვიანი ეკლით გაეკაწრა. სისხლის მრგვალი წვეთი მხოლოდ ახლა შენიშნა. ჩაჯდა და მტკივან ადგილზე სილა დაიყარა. სილა უმალევე შეადგა სისხლი. მაჯაზე მოშავო ბურთულა გაჩნდა. ბურთულის თვალღერება ზურიას ართობდა. მაჯა თვალების სიმაღლეზე დაიჭირა და სისხლნარევი სილის ბურთულა წიკბურტით გააჭრო. მაჯაზე სისხლის კვალი დარჩა. ზურია მხელ-ახლა დაიყარა ზედ ცხელი სილა.

„იქნებ გვანცა არ იყო?“

როგორ არა, ზურიას, მართალია,

თვითონ გვანცა არ დაუნახავს, რადგან მზე შიგ თვალეში სცემდა მტკივან ძროხა კი ნამდვილად იცნობდა.

გული დაწყდა. მას შემდეგ, რაც ზაქარა მუქელის ვიშკართან ელაპარაკა, ზურია კიდევ ორჯერ თუ სამჯერ გადააწყდა გვანცას. გვანცა სამივეჯერ ამხანაგებთან ერთად იყო და ზურია ამხლო მიკარებაც ვერ გაბედა. ახლო მიკარება რომელია, დაინახავდა თუ არა, თავადვე იმალებოდა, რათა გვანცას თვალი არ მოეკრა. სამაგიეროდ, ლოვინში ჩაწოლისას, ძილის წინ იყო ზურია უსაზღვროდ გულმაგარი. ათასნაირ გეგმებს აწყობდა. ერთხელ გვანცას მოტაცებაც კი გადაწყვიტა. მშობლებთან შერიგებამდე ტყეში ნადირი ვით ცხოვრება მთელ აღრინდელ გეგმებს ეწინააღმდეგებოდა და თუნდაც მარტო ამის გამო ზურიას მაცოფებელი ოცნების განხორციელება არ შეეძლო. ოცნებას მინც აწყვა.

აი, ისინი მთაში არიან, სადღაც შორს. ვეებერთელა თეთრი წიფლის ქვეშ, წიფლისევე ტოტებით გადახურული კარავი უდგათ. ტყე საესება გულყვითელა ნიყვებით, ძაბრივით ყუნწ-წაწვრილებული მიქლიოებით, ქათქათა ვარყებით, მოყავისფრო შავხოხებით, რძიანა მქადოებით, მტრედიოებით, ღვინოებით, წიფლიოებით. ჭყუბლა-სოკოთი...

გვანცა და ზურია არჩევენ, რომელი სოკო სჯობია პირის ჩასატკბარუნებლად. მერე შეშას აგროვებენ. მთაში ბევრია შეშა. აქ ხომ ადამიანს ფეხი არასოდეს არ დაუდგამს. ყოველ ხის ძირას ხმელი ტოტები ჰყრია...

კარვის წინ ცეცხლს ანთებენ. ბოლო სულ ზევით ადის და ხის კენწერებში იბნევა.

„ამ ბოლის ძალიან მეშინია, — ჩურჩულებს გვანცა და ზურიას ეკერის, — ბოლი შეიძლება შორიდან დაინახონ.“

ზურიასაც ეშინია, მაგრამ ეეცეკა: „შინს ხომ არ გაამხელს.“

„ჩაეაჭროთ, ზურია, ძალიან მეშინია ბოლის“, — კიდევ ჩურჩულებს გვან-

ცა და თავის ერთადერთ იმედს გულზე ეკვრის.

ზურია გრძნობს, როგორ ცახცაებს გვანცა, მართლა როგორ ეშინია და უნდა მთელი ტანით გადაეფაროს, საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნას ვანსაცდელისაგან...

ცეცხლი ნელ-ნელა ქრება.

კოკისპირული წვიმის წვეთები მალე კარავსაც ატანს. ზურია ხალათს იხდის, გვანცას აფარებს, თვითონაც ეფარება, საკუთარი სხეულის სითბოთი ათბობს და უსასღვროდ ბედნიერია, რომ ყველაფერი ჩინებულად მოეწყო.

„ნეტა ადრე ჩავგვექრო ცეცხლი, — ჩურჩულებს ზურიას ცხელ მკერდში ჩახუტებული გვანცა, — ჩვენ კარავში ვართ. ვინ იცის, წელან ბოლი დაინახეს და ახლა უკვე გვეპარებიან!“

ზურია სატრფოს ამშვილებს, გემბრის საწოლზე აწვენს და თვითონ კი გარეთ გადის სადარაჯოდ.

„ხალათი მაინც წაიღე!“ — ეძახის გვანცა.

არა, არ უნდა ზურიას ხალათი, ასე ურჩევნია.

კოკისპირული წვიმა ასხამს. ტყეში თანდათან ბნელდება. ყურის წამლები გრუხუნის ისმის. სადღაც მეხი ვარდება.

აქ უშინარი ალაგია. თუ მეხი არ დაეცათ, ვერც ნიაღვარი დააკლებთ რასმე და ვერც მტერი.

ზურია კარავში შედის. გვანცას ძინავს. ყვრიმალქვეშ ხელი ამოუდვია და საყვარლად ძინავს, მხოლოდ ხანდახან გაუკრთება პაწია წარბი. ვაითუ ავსიზმარს ხედავს გვანცა!

„გაიღვიძე! — ჩურჩულებს ზურია, — ცუდი სიზმარი ხომ არ ნახე?“

გვანცა თვალებს ახელს. არა, არაფერი დამსიზმრებია, წვიმის?

წვიმს! წვიმს და როგორ, სულ მიაქვს მთა და ბარი!

„შენ გეყვარება შენი შვილები?“ — ეჩურჩულება სატრფოს გვანცა.

„შენი?“ — უღიმის ზურია.

„მე ხომ დედა ვიქნები...“

სხვა რა უნდა თქვას გვანცამ, აბა მეტი რა უნდა თქვას!

თვალების დაჭყეტა და დღის სინათლე უკვალოდ შლიდა ღამის ნაოცნებას. ზურია სირცხვილით იწურებოდა, თითქოს იმ არარსებულ ტყეში ვინმე მოწმე ჰყოლოდეს. დღის დადგომა ასევე უკვალოდ აქრობდა გამბედაობას, რომელიც ძილის წინ აგრე მძაფრად უჯდებოდა ძარღვებში და ზურია კვლავ უზომოდ მორიდებული იყო ზღაპრულ ფერებში გახვეული გვანცას წინაშე.

„ალბათ, ეს არის ნამდვილი სიყვარული, — ფიქრობდა ზურია, — როგორი ყოფილა!“

მაგრამ ეს გრძნობა არაფრით არ განირჩეოდა იმ გრძნობისაგან, რომელიც ზურიას ყელშეხვეულ შავგერემან ქალისადმი ჰქონდა. აქაც ყველაფერი აუხსნელი იყო და გაურკვეველ ბურუსში ზურია მხოლოდ თავისისავე თავს ხედავდა.

„რა მწარედ მიჩხვლიტა!“ — გაიფიქრა ბიჭმა, სახელო გადაიწია და მაჯაზე დაიხედა.

ეკლის წვერს მხოლოდ პაწაწინა წერტილი დაეტოვებინა. სისხლი აღარ მოსდიოდა.

„ნეტა რომელი ეკალი იყო?“

ჭუჭრუტანასთან ტრიფოლიატის შეკვეცილი ტოტები მოსინჯა, ეკალზე აუცილებლად დარჩებოდა სისხლის ევალი. ეკალი ყველა ერთნაირი ჩანდა — მწვანე, გოჯის სიგრძეზე, ზოგჯერ ოდნავ უფრო გრძელი, წვეტთან ანამყოლ მოწითალო...

„დღეს აუცილებლად უნდა ენახო. თუ არ ენახე, გავგიჟდები!“ — გაფიქრა ზურია. ენახის მწკრივს აღმა აუყვას. ვაშებს ჯრთხილად უგლიდა გვერდს, რათა უცაბედად არ წამოსდებოდა და ნორჩი ყლორტი არ მოეტეხა. სანაგვესთან ბალახზე დაყრილი შუშები იპოვნა და აკრიფა. შუშები მზეს გაცეხელებინა. კინაღამ ხელი დაიწვა.

— აქ რა გინდა, ბიჭო? — მოუ-



ლონელად მოესმა დედის ხმა და გული შეუქანდა.

— ზურია, არ გესმის? — გაიმეორა გაკვირვებულმა ქალმა.

— შეშებს ვეჭვობდი.

— ამდენ ხანს მერე? შემოდი, მანდ ხომ არ დაღამებ!

— ახლავე, — ზურიამ თავისუფალი მარჯვენა ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიჩარა და სახლისაკენ წავიდა.

### თავი ორმოცდამეხუთე

ნაშუადღევს ზაქარა მკედელი მარტო მუშაობდა სამკედლოში. თეოფილე ლაბაძემ ურმის ახალი თვლები მოიტანა სალტეების შემოსაგებად.

— შეგირდი რა უყავი, კაცო? — ჰკითხა მოსულმა მკედელს, როცა თვლები ურმიდან გადმოიღეს და რკინის სალტეებთან ერთად სამკედლოს კედელზე მიაყუდეს.

— გვირდება თუ? — ზაქარიამ ფეშტემალი აიწია, ხელი ღრმად ჩაიყო ჯიბეში და ოქროსთავიანი სიგარეტი ამოაქვრინა.

— ხარ-ურემს გავატანდი.

— საღამომობით არ ვამუშავებ.

— აბა რა ვუყო ამ ხარებს მე!

— გამოუშვი და დააბი ეგერ. დღეს უზღვავე ჩალა გამოხშირეს ყანაში. მიდი და შენც გამოხშირე. ხარები მშიერი გეყოლება, — ზაქარა დაიხარა, ლამაზად გამოხარატებულ ხუნდს მოხრილი შუათითი მიუკაკუნა, — ვისი ნახელავია, თოფილა?

— პარმენა აჯახირებს ეს ორი თვეა. ძლიეს მოათავა დღეს.

— მალე გვირდება?

— დაჭირებებით, აბა, ახლავე მვირდება, მარა...

— დაჯექი, დაისვენე, — ზაქარამ სამფეხა სკამი დაუდგა. უნდოდა მაყვალას ამბავი ეკითხა, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა.

— ამ ხარებს რა ვუყო ახლა მე, — გაიმეორა თეოფილემ.

— გავატანთ ვისმეს თუ ასე ვეჭვობ რება.

— ვის გავატანთ!

— არაინ გამოივლის?

— შაბიამნის ჭურჭელია გამოსატანი გორიჯვრიდან.

— მოგაკითხავენ, შეკაცო.

— ზაქარა, გცალა შენ? — წელში ვალვერილ სახრეს დაენდო თეოფილე ლაბაძე.

— რა მეკითხები?

— ამ გოგორებს გამიკეთებ დღეს? — თეოფილემ თელეგზე ანიშნა.

— დღეს გინდა?

— თუ მოშითავენ, ძალიან მადლიერი დაგრჩები.

— კი, ბატონო. გადავდებ სხვა საქმეს და... მარტო რომ ვერ მოკერევი, თოფილა?

— ახლავე მოვალ მე. ხარებს ჩავდენი ფერმაში.

— მერე ამათ წაღება არ უნდა?

— ამალამ წავიღებ.

— კეთილი, — დაყაბულდა მკედელი.

თეოფილე მაშინვე გაცუხტუხტა გარეთ. ღობეზე გადაალაჯა, ურემზე ყმაწვილივით შეხტა და ხარებს სახრე უშხველა.

— გამარჯობა, ზაქარა!

— გაგიმარჯოს, — მკედელმა ოდნავ მიაბრუნა ჯაგარა სახე გზის მხარეს და ბოლი გამოუშვა.

— ისვენებ? — ღობეზე ფეხი შემოდგა საგარეოდ გამოწყობილმა პეტრე მიროტაძემ.

— ვისვენებ, რა ვქნა.

— რა გენაღვლეება, ბიძია, რა!

— ნურც შენ მოიკლავ თავს. გადმოდი აქეთ.

— თოფილას რა უნდოდა? — გზას გაჰხედა დაღვრემილმა პეტრემ.

— ქონდა საქმე. გადმოდი, თუ თუნს მოგაწყვინებ.

— მე რა მაგის მუშტარი ვარ...

ამოუწყდა მამგონი! მომეცი, მოვწევ. მაგის რჯულიც ამოვარდა! — პეტრე ღობეს გადმოეწეო.

— ავრე, შეეცადო, — ზაქარამ ურმის თვალი წააქცია, ზედ ჩამოჯდა, ჯეშტემალი აიწია და ჯიბიდან ოქროს-თავიანი სიგარეტი ამოაძვრინა.

— საიდან რას გაპჩენს, რა გასაკვირალი კაცია! — პეტრემ სიგარეტი გამოართვა, ხელში შეატრიალ-შემოატრიალა, მერე დაყნოსა, — იფ, რა სუნი აქვს! ამისთანას ქე მოწევს კაცი. მაგარია?

— მოწიე და ნახავ.

პეტრემ სიგარეტის მოოქროვილი თავი პირში უხერხულად ჩაიდო და მაშინვე ააკლაპუნა:

— მოიტა ცეცხლი!

— სად გიმგზავრია? — ზაქარამ ზანტად გაუწოდა მოკიდებული სიგარეტი და სანამ თუთუნის წვეგს უჩვევი შიროტაძე მოუხერხებლად ალაკუნებდა, შარელის ჯიბე გაისწორა, — მაგრად მოქაჩე, პო!

პეტრემ მოუხიდა. მოქაჩვისას სიგარეტის სრიალა ბოლო პირიდან უვარდებოდა, მაგრამ თითებში ამავრებდა.

— საით იმგზავრე? — თავის კითხვას დაუბრუნდა ზაქარა მკედელი.

— ჩალასავით არ ყოფილა? — პეტრემ ნერწყვით დასველებული სიგარეტი გამოიღო პირიდან და ზედ დაძხუნდა. — ხველებით მოგკლავს კაცს!

— მაგის წამალს მე გასწავლი: ნუ მოსწევ.

— შენ თუ ყველაფერი არ გააქილიკე... ვისია ე გოგორები?

— საგარეოდ რომ არ გეცვას ახლა ხომ მომეხმარებოდი, — ცალკუბად წაილაპარაკა ზაქარამ.

— რავე?

— სალტეებია შემოსაქელი.

— პოო. გავშპი მე! — პეტრე წამოდგა, თავი კინალამ კოჭსა და კოჭს შუა გადებულ დირვს აარტყა.

— დაჯექი, მართლა კი არაფერს დაგასაქმებ! — მხოლოდ თვალები ასწია ზაქარამ.

— მეჩქარება. ელუკი გადაირეოდა ჯაფრით.

— სად იქ-იქ?

— ცოლისძმა უნდა ჩამოსულყო, — პეტრემ ჩამქრალი სიგარეტი თიფთუმი მოსრისა, დაამრგვალა და მარჯვნივ აგდო სიმინდის ყანაში.

— მატარებლით? — დაინტერესდა ზაქარა.

პეტრემ გადააბურჭყა.

— აბა ფეხით იქნებოდა? რავე ფეხრობ?

ჩამოვიდა?

— შენ ყურს ხომ არ გაკლია?

— ძმა რომ არა ყავს ედუკის, პეტრე?

— ბიძაშვილ-მამიდაშვილი იგივე ძმა არ არის?

— პო, ეგ სხვა საქმეა.

— ზაქარა, ერთი სიკეთე უნდა მიქნა ახლა შენ, — პეტრე საწყალობლად დაილირიჯა, ფეხი წაქცეულ სკამზე შემოსდგა და მუხლს ნიდაყვით დაეყრდნო, — სხვასთან მივიდოდი, მარა...

— რა გინდა?

— ცოლისძმა რა დროს დამეცემა, არ ვიცი. ჩინჩალაძეები თავალებული ხალხია. აქ კიდევ, — პეტრემ მხრები აძვინდა და თითქოს ძაღლის მოსაგერიებლად ქვეს ეძებო, მიხედ-მოიხედა, — ხალხი უნდა დავეუპატიყო. მეც კაცი ვარ, ზაქარა. ავრე კი ნუ მიყურებ! — იმე, ვინ გითხრა, კაცი არა ხარო! ღვინო გინდა?

— ცოტა, ბევრი არა. ღვინო მეც ქე მაქვს, მაგრამ მომიჭანგდა დალოცვილი. სტუმარს მომმარებულ ღვინოს ხომ ვერ მივართმევ! თან პეე მოიკიდა... რამდენიც მოგიტერხდება, ჩემო ზაქარა. გინდ სესხად და გინდ...

პეტრემ წინდახედულად აღარ დაამთავრა, გინდ ნაღდ ჟულადო.

— გადმოდი ამ საღამოს, — წამოიწია მკედელმა და ნელ-ნელა გაიმართა, — ახლა საქმეზე მიკიდა ხელი, ხომ ხედავ.

— ღმერთმა ბარაქა ნუ მოგიშალის, ჩემო ზაქარა. პეტრეული წამოვიღო თუ შენსას გამატან?

— წამოიღე.

— ამ კისერზე იყოს შენი პატივის-

ცემა! ლალი ნუ მომიკედება, ტოლუმ-ბამალ დაგაჯენ!

— ჰო ჰო, — ზაქარა ურმის თვალს დასწედა და წამოაყენა, — რა ქნა ნეტა ამდენ ხანს თოფილამ!

მიროტაძე აღარ გამოხმაურებია. ზაქარამ დინჯად მიაბრუნა კისერი. პეპინა მიწას ჩაეყლაპა.

„რანაირად გასხლტა, ფეხის ხმაც ვერ ვაივინე, — წაიბუზღუნა ზაქარამ, — გაინაღდა თავისი. ისევე რა გითხრა, შენ სტუმარს ელოდე! მაინც მოგაშავებ, ჯანდაბას შენი უნამუსო თავი!“

შეძველი შეჩვეული იყო პეპინას ოინებს. წელიწადი ისე არ გაივლიდა, დიდი სტუმრიანობის მომლოდინე პეპინას ღვინო და საკლავი არ ჩამოეთხოვა მესობლებში. ყველაფერი სესხად მიჰქონდა. ძვირფასი სტუმრების მისაღებად მთელ კვირას ემზადებოდა, ხოლო როცა ათიოდე დღის შემდეგ ჰკითხავდნენ, რა ჰქენი, პეტრე, ხომ არ მოგატყუეს იმ შენმა სტუმრებმაო, მიროტაძე შუბლზე ხელს შემოირტყამდა და იკივლებდა: „მომატყუეს, აპა! მოდი და ეცი ახლა ამისთანა ხალხს პატრევი! ხარჯში ჩაგაგდებენ, შეგაწუებენ და — არაფერი!“

ვალს, რასაკვირველია, არასდროს არ იხდიდა. ყოველ მვეალს სათითაოდ ჰპირდებოდა, ვენახს გაგითოხნი ან შენს მავიერად საგზაო ბეგარაში გავალო, მაგრამ როგორც კი დათქმული სამუშაო მოაწევდა, პეტრე ან ლოგინად იყო ჩავარდნილი ან გადაუღებელი საქმე გამოუჩნდებოდა.

ზაქარამ ბარე სამჯერ დაიქადა, თავს აღარ გავასულელებინებო, სხვებიც ამავე აზრისა იყვნენ, მაგრამ პეტრე მაინც ახერხებდა ცოცხალი საბაბის გამოძენას ახალი შესაწირავის ასაკრუთად. თავ-ღვინოს ითხოვდა, წაღებისას სახარჯოზეც არ ამბობდა უარს მიმხვედრი მაშინვე უნდა მიმხვედარიყო...

— მოვედი მე, მძახალო! — შუბლგაოფლიანებულმა თეოფილემ ღერე-

ფანში შემოალაჯა და შეინდის სახრე, რომელსაც არასოდეს ახერხებდნენ ბოძე მიაყუდა. გონიერებისა

— ო, მობრძანდი! — თავის მოუბრუნებლად მიუგო ზაქარამ.

— დააზომე?

ზაქარა ურმის თვლის წინ იყო სონანეზე ჩაჩოქილი. რკინის სალტეს ხელში ატრიალებდა. თეოფილემაც ჩაჩოქა, გადაყირავებული თვალი გაასწორა.

— სალტეც დაგლევი, თოფილა.

— რაც მაგან კლდე-ღრეზე იხათქუნა!

— ამ მხარეს მოკიდე ხელი!

სალტე ძიგძიგით დაუპირდაპირეს მომრგვალებულ ფესოებს.

— ეს ვიწროც არის. ბიჭო, — სალტე შეაქანა ზაქარამ, — ფესოს გათხელება დასჭირდება.

— რა ვუყო ახლა!

— თაროზე თანქარი დაედვეი... მოიცა, აგერ არის! — ზაქარამ ფეშტემალის ჯიბეში იპოვნა წახნაგებიანი დალეული ფანქარი და წვერი ნერწყვით დაუსველა. — მიდი, პატარა ჩაქუჩი გამომიტანე. ქურაზე დეეს.

თეოფილემ ჩაქუჩი მოიტანა. ზაქარა თვლით ზომავდა „გოგორას“. დინჯად ატრიალებდა აქეთ-იქით, მერე თეოფილეს ჩაქუჩი გამოართვა და კორბან ფესოს, რომელიც ოდნავ ამოზნექილი მოეჩვენა, ფრთხილად შემოჰკრა.

განზე გადაღებული სალტე ხელახლა აიღეს და თვალს მოარგეს. ალაგალაგ ფესოები სალტის გარეთ იჭრებოდა და ურო დილამდეც რომ ერტყათ, სალტე მაინც ვერ მოიკიდებდა პირს. ზაქარამ კიდევ დაასველა ფანქრის წვერი და სალტის გარეშეში შემოუსვა ხის ნაწილს. როცა ესეც მოთავდა, სალტე კვლავ გერდზე გადასდეს.

— გვარიანი შემოსათლეი ყოფილა. — თქვა თეოფილემ.

— ამას ახლავე! — ზაქარამ ფანქარი ყურსუკან დიამაგრა და ნაჯახის მოსატანად შევიდა სამჭედლოში.

თეოფილე წამოდგა.





- მე რა გავაკეთო?
- დაჯექი, სკამი არ არის?
- ნაჯახმომარჯვებული ზაქარა თვალს მიუახლოვდა, გაჰხედა, გამოჰხედა და დაიახებოთ შემოჰკრა იმ ადგილას. სადაც ფანჯრის წვერით გავლებული ხაზი ხუნდის მხარეს იწევდა. თეოფილეც იქვე ჩაცუცქდა. თვალს ადევნებდა მკვდლის ხელის მოძრაობას.
- ეგნატე რა გუნებახეა? — სასხვათაშორისოდ იკითხა ზაქარამ, — ენებს ტირილის შემდეგ აღარ მინახავს.
- არის. წარმოებაში აპირებს წასვლას.
- რაიო? — ორად მოკეცილმა მკვდელმა ნაჯახი შეაჩერა.
- მე ასე მითხრა და...
- წარმოებაში რა უნდა გააკეთოს ცალხელა კაცმა!
- მეც მაგას არ ვეჩიჩინებოდი? ღამის დარაჯად დავდგებო.
- დიდება შენდა, ღმერთო, გადაჩრეულა და ეგ არის!
- ბარუსიმ ძალიან ატკინა გული, რაც მართალია, მართალია!
- ბარუსის უგდებს ყურს? მის ხელში გამოჰკეცილი ღლაპია! — ზაქარამ ხელახლა მოიმარჯვა ნაჯახი და ფესოს ჩამოჰკრა, — ფეხი დაადგი ერთი ამას!
- აუტყდა, არ მისცა საშველი, — თვლის კიდეს თეოფილემ მუხლი დააბჯინა, — ლაპარაკი მოსვლიათ. ეგნატე არც ამხელს.
- ფერმის გამგედ თუ არ იქნა, მოკვდებო? ეგ კი არა, მეფეები გადააყენეს.
- სამართალია საქმე, ზაქარა. სამართალი. ერთი შენ მოგადგეს ენმე და უდანაშაულოდ დაგიხოვოს აქედან!
- დამითხოვოს! სამუშაოს ვეღარ ვიშოვნე?
- ახლა ამბობ აგრე! ეგნატესაც მაგის იმედი აქვს. აქ ყოფნას ღამის დარაჯობა ურჩევნია.
- უნდა ეუთხრათ რამე, შეკაცო.
- უთხარი, ჰე, თავს იკლავს, არაფრის გულისთვის არ შერება.
- ბარუსიმ იცის?
- იცის, კი, მე გავაგებინე.
- რას ამბობს?
- ვერსადაც ვერ წავიო. ნებართვას არ მივცემო.
- ჰოდა, სად წავა!
- წავა, ზაქარა, დამაჯერე. გამწვარებულია. ნებართვის სათხოვნად, მგონია, არც კი მივიდეს ბარუსისთან.
- წაიქცევა, ბიჭო. გლენი, დერეფანში ჩაუგდებენ სამანს.
- სახლიც რომ წაიღონ, არ მოვიცილიო. ერთი პატარა გოგო მზადია და იმას ხის წვერზე შევიჩინებო.
- მანდ რაღაცა სხვა ამბავია! — დაეკვდა ზაქარა და მეზობლის უგუნური განზრახვით შეწუხებული წელში გაიმართა.
- სხვა ამბავი? — ბინდგადაკრულ ცისფერ თვალეში გაკვირვება ჩაესახა თეოფილეს.
- ყურს არაეინ გეგდებდეს, — ზაქარამ ფრთხილად მიმოავლო თვალი გარემოს, — ბიჭის თავს გაფიცებ, არ წამოგდეს სადმე. ეგნატეს შალიკოს ქვრივის შერთვა უნდა და ქალი უარს ეუბნებო. ღმერთო, ნუ მიწყენ!
- ეინ ვითხრა? — განცვიფრდა თეოფილე.
- ბარუსიმ. საიღუმლოდ.
- იმას ვინ უთხრა?
- არ ვიცი, გაუგია.
- მერე ერთმანეთს ხმას რომ არ სცემენ?
- სწორედ მაგის თაობაზე დაუბრებულან.
- რა გავიგე ეს!
- ბიჭის თავს გაფიცებ. არსად თქვა. ნურც სახლში იტყვი.
- არა, რაღა ვიტყვი, — თეოფილე ჩაფიქრდა, — ზაქარა! — წამოიძახა წუთიერი ღუმლის შემდეგ.
- მკვდელმა ზემოდან დაჰხედა მძახალს. თეოფილე სადაც შორს იყურებოდა.
- ჩაეღვით შუაკაცებად. იქნება ქვავთათოთ ეგ საქმე, მაღლია.



ზაქარამ თავი გადააქნია, დაიღუნა და ნაჯახს ხელები მოუნაცვლა.

— პა, რას იტყვი? — თეოფილეს ეშპაქურად აუციმციმდა თვალები.

— დააწეჭი, დააწეჭი გოგორას!

— არ ივარგებს ვითამ?

— მაგისთანა რამეში ჩარევას, შენუმრები შენ, თოფილა?

— მე მივალ, კაცო, ხათუნასთან.

— იქნება სულაც ჭორია ყველაფერი, იცი?

— ჭორი ახლა...

— დაკავდი შენს ადგილზე.

— არ წაყვება?

— ნეტავი ეს არ შეთქვა და სხვა...  
ფრე უნდა მივეუდგეთ ეგნეტის...  
სოფლიდან წასვლა გადავათქმევინოთ.

— კი, ბატონო, მე მაგაზე ყაბულს ვარ, — უხალისოდ დათანხმდა თეოფილე, რადგან სხვა ღონე არ იყო და წელანდებურად მოიწყინა.

ზაქარა თავჩაღუნული უჩაკუნებდა ნაჯახს. ნაჯახის მოკლე ტარი ხანდახან ილიაში სცემდა. ამ დროს ზაქარა ხელს მოინაცვლებდა და ახლა მეორე მხრიდან თლიდა ფესოს. სოხანეზე კოპიტის ნაფქველების ვიწრო ზოლი გაჩნდა.

გაგრძელება იქნება

გიორგი კაჭახიძე



### ჩემი სიმღერა საიალაო

აქ გავლა ასე რად მიხარია,  
ამ მიწას ასე რა აღიადებს!  
პისი დალოცვა ჩემი ვალია:  
ცა აქ გაეხსნა ჩემს განთიადებს, —  
გრძნობის უკვნობი ზეივანია  
ჯიხაიშიდან სამტრედიაშდგ.

აქ სულს მიბრუნებს ყრმობის სახლ-კარი,  
მოველ, რომ ცქერით გული ვალალო.  
ჩემი სიმღერის დედა აქ არის,  
საშევარდნო და საიალალო.

ჯერ რად შევეთერთდი,  
ჯერ რად დავებრდე,  
აქ სიკაბუჯე ნატვრით მეძახის!  
ისევ ღულუნებს ჩემი სამტრედე,  
ისევ ყვავილობს ჩემი ვენახი.

შიგ რომ შევდივარ და ბელტს გავტეხავ-  
გლების შიშუნად კვლავ ვიბადები.  
მისთვის ჰყვავიან ასე, ამდენხანს  
ჩემი პირველი ტრფობის ვარდები.

სადაც არ ვიყო, გული აქ მიცემს,  
აქ არის ჩემი მამულ-დედული,  
ფიქრით მოვივლი ჩემად ამ სიერცეს,  
ამ სიცოცხლის და ხალხის ერთგული:

სადაც არ ვიყო, აქ ვკრეფ ყვავილებს,  
გულში ამ მიწის მადლზე ვბუბუნებ,  
ჩამოუქროლებს ფიქრი აივნებს  
და დაუკონის ნისკარტს ბულბულებს.

აქ ჩემს სიყვარულს უდგას სახლ-კარი,  
მოველ, რომ ცქერით გული ვალალო.  
ჩემი სიმღერის დედა აქ არის,  
საშევარდნო და საიალალო.

ვარ მათ დღეებში ჰანგად ჩართული,  
ხან შემდგარი ვარ გრძნობის მორევად.  
ფესვი ისე მაქვს მე აქ გადგმული,  
წლების გრიგალი ვერ მომერევა.

მამის გახსენება

დაღამება, დასვენება ჯერ არ მინდა,  
 მაგრამ ბინდი ჭალებიდან შეჰყვა ქედებს.  
 ეთქვი, გლეხკაცის მოსულის დროა მინდვრებიდან  
 და ჭიშკრისკენ უნებლიეთ გავიხედე.

მყისვე გული ისე შედგა დასაკენესად,  
 გამოფხიზლდა მითელემილი მწველი სევდა:  
 ჭიშკარს რომ არ გააღებდა მამა დღესაც,  
 თითქოს ახლა გამახსენდა.

ბელი საქმეს არ ეშვება, არ იღლება,  
 გულში მაინც წამოდგომას ცდილობს ელდა.  
 მიჩვეული ვიყავ მამის გაღიმებას,  
 ჩემს ნაოფლარს ჩუმად თვალს რომ მრავლებდა:

მიჩვეული ვიყავ მის ხმას, სათნო ცქერას,  
 მის იმედად. მის სიცოცხლედ მიჩნეული,  
 მაგრამ მამის შინ არ მოსვლას, სიზმრად ქცევას  
 არ ეყოფილვარ მიჩვეული.

გვექონდა ერთი სიხარული, ერთი დარდი,  
 გაგვიშლია, დაგვიკეცავს ერთად ფრთები...  
 ჰოდა ხშირად, რომ ბინდდება, მზე რომ ჩადის,  
 უნებლიეთ ჭიშკრისაკენ ვიხედები.

ვამბობ, საწოლს მამა სხვაგან როგორ გაშლის!  
 არა, გულს ვერ ვაჩაგვრინებ მწველ იარას, —  
 მეგობრებთან ბაასს შერჩა, ალბათ, გზაში,  
 ან წისქვილში შეიარა.



## მხმერები

ლევანის ბრაღია...

მე ჩემთვის მშვენიერად ვიყავი ბაღში წამოწოლილი. ის რო არ მოსულეყო და არ ჩამციებოდა, ფეხს არსად გავადგამდი.

ასე მგონია, ლევანმა ეს ამბავი განგებ მომიწყო.

ის კი ვითომც არაფერი, მოვა და ჩამაცივდება, ადგილი, სადმე გავიაროთო, ცხენები გავაქენოთო...

სასტიკ უარს ვუბნებდი.

ერთხელ აყვავი და ისიც სანანებელი გამიხდა...

ლევანი ჩემი ყრმობის მეგობარია

ჩვენი სახლები სოფელში გვერდი-ვერდ დგას.

მე და ლევანი ერთად ვიზრდებოდით, სულ ერთად ვიყავით სკოლაში და სკოლის გარეთ...

ის ჩემზე ცელქი და თავნება იყო, ათასგვარი ოინების გამომგონებელი. მე კი პირიქით, — წყნარი და გამგონე, მაგრამ მინც გადამიბირებდა, ამიყოლებდა...

სკოლიდან რომ დაგბრუნდებოდით, ლევანი შინიდან ცხენის ლაგამს მოიპარავდა, მეც მომპარვინებდა ლაგამს და შეუშინებდა, პერი — კოლექტივის ძველ ნაკლოვანებას! იქ საბალახოდ დაბმულ ცხენებს ავუშვებდით, ამოვლავებდით, მოვახტებდით და აღმა-დაღმა დავაქენებდით. ჭენებთ რომ ვიკვებდით გულს, ცხენებს ისე თაყვის ადგილას დავაბამდით და „სკოლ-ველნი“ ვბრუნდებოდით შინ. საღამოს კი პაპანეი იტყოდა: კაცო, ახლა ქვე-ზედაც ბალახია მოსული და ეს ცხენი კი მშვირია, რა ეშმაკი ემართებაო.

დღეს ერთი სამჯერ, ოთხჯერ მშვენიერ ბალახზე გადაუწაცელი ადგილი,

ბაო, — დაიჩვილებდა ლევანის მამაც. ამ ცხენს კი ნაბალახობა არ ეტყო-მე და ლევანი კი ვითომ, აბა რაეიცო-დით, ცხენები რატომ იყვნენ მშვირე-ბი, ან ყურებჩამოყრილები... მე კი ხში-რად გვერდები მჭონდა დალურჯებუ-ლი და მუხლისთავეები გადატყაული... ეს მხოლოდ მე, თორემ ლევანი ცხენის ზურგზე ტკიპასავით დაეკრობოდა ხოლმე...

ლევანის ცხენი ჭაკი იყო.

ერთ დღეს ლევანის მამამ თქვა: მა-კე ცხენის წვალება ცოდვასო და იმ დღიდან მეზობლებში აღარ ანათხოვ-რებდა.

სწორედ იმ ზაფხულს მეშვიდე კლა-სი დავამთავრეთ. მამაჩემი ქალაქში გადაიყვანეს და იქ დავსახლდით.

მე და ლევანი დავმორდი.

სოფელში ბებო და პაპა დარჩნენ მხოლოდ...

მე სწავლა განვაგრძე ქალაქში.

ყოველ ზაფხულს მინდოდა არდა-დეგების დროს სოფელში ჩასვლა, მაგრამ მამაჩემს ყოველთვის საგზური მოჰქონდა და ზღვაზე მივდიოდით... მხოლოდ შემოდგომით თუ ჩამოვი-დოდი მოხუცების სანახავად.

მე სკოლა დავამთავრე და ახლა უმაღ-ლესში მესუთე კურსზე ვსწავლობ. ამ ზაფხულს ჩვენები ზღვაზე გაეისტუმრე. მე ბებოსა და პაპას ვესტუმრე. ყოველ დღე სახლის წინ ბაღში ვარ წამოწოლი-ლი, ხან ვკითხულობ, ხან მძინავს, ხან ლევანი გამომივლის და ვიგონებთ ჩვენს ბაღლიბის დროინდელ ოინებს.

— მართლა, ლევან, მამინ შენ ჭაკს რა ეყოლა? — ვკითხე ერთხელ.

— ულავო! იცი რა ცხენი ვავზარდე? ისეთი იორღაა, მტერს თვალებს უბრ-მავებს.

— მართლა?

— თუ გინდა შეგიკახმავ და აქენე.

— ეჰ, არა, არ მინდა.

— რა, ბიჭო, ცხენის ჰენება არ გინდა?

— არა, ცხენის ჰენება როგორ არ მინდა. მაგრამ ახლა არა, სხვა დროს იყოს...

ვატყობ, ლევანს ვერ წარმოუდგენია კაცი, რომელსაც შეიძლება ცხენი არ უყვარდეს და უკვირს ჩემი პასუხი. ის კი არ იცის, რაც მე სოფლიდან წავედი, მუხლები აღარ გადამყვლეფთა და არც მშობლების ჩუმიად დამიზღვლია გვერდები ნათით... ეს იმიტომ, რომ ცხენს ახლოსაც არ გაეკარებოდა.

ერთ დღეს ამიტუდა მეზობელ სოფელში ქორწილში ვარ დაპატივებული, გინდა თუ არა — წამყევით. დავუსახველეთ ათასგვარი მიზეზი, რომელის გამო ჩემი ქორწილში წასვლა არ შეიძლებოდა, მაგრამ ყველა მიზეზი ამაო გამოდგა. ლევანმა თავისი გაიტანა და დამითანხმა.

გზა საკმაოდ შორი გვაქვს გასაღვლილი.

ლევანს ჰყავს იორლა ცხენი, მე კი — არც ჯაგლაფა.

შემოვიარეთ სოფელი. ლევანი ჩემთვის ცხენს თხოულობს, მაგრამ არავინ გვაძლევს. ზოგს დაუკოჰლდა, ზოგს მგელმა შეუტყამა და ზოგმაც გუშინ თუ გუშინწინ სხვას ათხოვა...

ბოლოს გამოჩნდა კეთილი კაცი. ლევანის ბიძასთან სტუმრად მოსულმა ფშაველმა გაიგო ჩვენი გასაჭირი და გვეკითხა:

— ცხენი გინდათ? აი, შეიღებო, ჩემი ცხენი წაიყვანეთ. იმედი მაქვს არ შეგარცხვენთ, ოღონდ ძალიან გეხვეწებით, ბიძაილასა, არ დამიკარგოთ. ორი-სამი დღე მაინც აქა დაერჩები საქმე მაქვს, მანამდე ალბათ თქვენც დაბრუნდებით.

ჩვენ აღვუთქვით, რომ ცხენს თვალის ჩინივით მოვუვლით და ზეგ ჩაჯაბარებთ.

— წაიყვანეთ, შეიღებო. მეცა ვყოფილვარ თქვენი ტოლი, აჰა, გაიხარეთ... შეკაზმულ ცხენზე ავმხედრდი. ავ-

მხედრდი და მეჩვენება, თითქოს ჩემს სიცოცხლეში პირველად ვმხედრდი ცხენზე. ლევანიც მოახტა თავის ცხენს, მისი ლევანის ცხენი ნისლისფერია და პატრონი „ნისლას“ ეძახის. ჩემი ცხენი თეთრია, სახელი არ ვიცი და მეც ფერის მიხედვით „თეთრონს“ ეძახის.

მართალი გითხრათ, თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობ ცხენზე და ბევრად მირჩენია სულაც არ ვიჯდე. ლევანი კი ვაჟკაცურად ატყლაშუნებს მათრახს და ნისლას ყალყზე აყენებს. მე კი თუ ოდნავ მადლა ავწევ ხელს, თეთრონი ფრთხება. მეშინია ამ დამთხვეულმა სადმე ორღობეში კისრით არ გადავიშვას.

ლევანი ვერ ისვენებს, ყიყინებს და ნისლას მიაჰენებს. ჩემი თეთრონიც იწევს, მაგრამ ლაგამს ვეწვევი, — თავს ვუტერ. საერთოდ სიამოვნებას ვერა ვგრძნობ მე ამ ცხენოსნობაში...

სოფლის ბოლოში პატარა რუს რომ გავდიოდით, ნისლამ წყალში შეტოპა თეთრონმა კი ისკუპა და ბეწვზე გადაერჩი — ეინლამ კისრით გადავეშვი.

— უჰ, შენი!.. ლევან, ცხენები ცოტა ნელა ვატაროთ რა! — წამიხდა გუნება. ენანობ, რა ღმერთი გამიწყრა, რად დავეთანხმე. სად მივიღივარ, რა ჩემი საქმეა ცხენოსნობა, ვის ქორწილში ვისი მყარი უნდა ვიყო?..

— ლევან, მე უნდა დავბრუნდე.

— რატომ?

— რა ვიცი, ცუდად ვგრძნობ თავს, ალბათ ავად ვავხდები.

ლევანმა ამხედ-ჩამხედა, მიზეზი მიმიხვდა, შემატყო რა მხედარი ბიჭიც ვბრძანდები და პირდაპირ მითხრა:

— ავად კი არა, ცხენზე ჯდომისა გეშინია.

— უჰ, არა, ლევან, რას ლაპარაკობ?

— არა კი არა, ასეა!

— არა-მეთქი!

— სირცხვილია, ბიჭო, ფშაველ კაცს ცხენზე ჯდომისა...

— არ მეშინია-მეთქი. ლევანი — არა ვტყდები.

— გამარჯობათ, ბიჭებო! — ამ დროს ვიღაც ცხენოსანი წამოგვეწია.

— გაგიმარჯოს! — ვუპასუხეთ.

— ჩხუბობთ?

— რაზე უნდა ვიჩხუბოთ, საჩხუბბარი რა გვაქვს?

— მაშ რაზე დავობთ? — ენას უკიდებს, ეტყობა ცოტაოდენი ღვინო სადღაც გადაუყარავს.

— არაფერზე, ისე... — დაუფარეთ მე გობრული პირდაპირობა.

— ფშავლები ხართ?

— დიახ!

— მე პანკისელი ქისტია ვარ!

— კეთილი.

— ფშაველი ბიჭები ძალიან კარგები არიან, მე მიყვარს ფშავლები. ძმად ნაფიცოც მყავს. თქვენ?

— ჩვენც გვყავს ქისტია ძმაცუბი და შეიძლება უფრო მეტადაც გვიყვარს ვიდრე შენ.

— გენაცვალეთ სულში: მოდი თითო დავლიოთ, ჩვენი ხალხის დამძაყებულისა. ხომ კარგი იქნება? ქორწილიდან მოვიდვიარ, ხურჯინით საგზაო და საგზალი გამომატანეს. — ქისტმა ცხენი შეაჩერა.

— აჰ, არა, კაცო! — ეიუარე მე.

— გმადლობთ, გმადლობთ. გვეჩქარება, — ამბობს ლევანიც.

ქისტია გაჯიუტდა. ცხენიდან ჩამოხტა, ჩვენს ცხენებს ლაგამში წააგლო ხელი და იქვე გზის პირას ჩრდილში გადაგვიყვანა.

ლევანი დაქვეითდა, ჩამოდი თითო დავლიოთ და მალე წავიდეთო. მეუბნება.

მწვანე მოლზე გაიშალა პურ-მარლი. ქისტმა ხურჯინიდან პატარა ტიკჭორა და ყანწი ამოიღო. გაავსო, დაილოცა და გამოცალა.

ლევანმაც გამოცალა.

ჯერი ჩემზე დადგა. მეც თითქმის იგივე სიტყვები გავიმეორე. რაც ქისტმა და ლევანმა თქვეს და გადავყარი. უპიტატურმა ისევე მალლა ამოიწია, მაგრამ ლუკმა დავაყოლე და გავაჩერე.

ქისტია ჰყვება, დიდი ქორწილი იყო, ქორწილში ფშავლებიც იყვნენ მაყრა-

დო, სამი ძროხა დაეკლეს ლუდი/და არაყი სპილენძის ქვაბებზე, იმდენივე არაყის გაგონებანზე ტანსაცმელსა და ნებისგან მაკრთუნებს. საკვირველია, რა ეშმაკმა დამალევიანა ეს ეშმაკის ზედაზე. მეორე თასზე უარი განაცხადე, არ დავლევ-მეთქი.

— რას ამბობ, კაცო, ანწლის არაყია! — ქისტს გაუკვირდა, ამისთანა საამო სასმელზე უარს როგორ ამბობო.

— კარგია, მაგრამ ვერ დავლევ! — ეთქვი გადაწყვეტით.

— ჩვენი ძმობის სადღეგრძელოა! არა სუამ? — უკვირს ქისტს.

მინდა დავლიო, მაგრამ ვერა ვსვამ. ლევანმა და ქისტმა თითო კიდევ გამოცალეს.

მე თავში ამივიდა ეპიბატურის წვენი. — ეგ ცხენი შენია? — შეკითხება ქისტს, თან „თეთროს“ უყურებს.

ხომ არ ვეტყვი ნათხოვარ ცხენზე ვზივარ-მეთქი.

— ჩემია!

ქისტმა ახლა ბარკლებზე შეხედა.

— ეტყობა კარგი ცხენია!

— თუ ცხენი კარგი არ არის, არც შევჯდები! — ვუუხუნებო.

— ეს ჩემი ცხენიც ძალიან კარგია, ბიჭებო. ალავერდობაში ვიყოფე წოვა თუვისგან, ერთი „პობედის“ ფასი მივიცი.

— ძალიან ბევრი მივიცი! — ისე ვუუხუნებო, რომ აშკარად მეტყობა არა მჯერა.

— ღირს კიდევაც!

— რა ღირს, კაცო? ბოლოს და ბოლოს ცხენია, მეტი ხომ არაფერი, ერთი მანქანის ფასი რამ მივაცემინა?

— ასეთი ხასიათი მაქვს! ბიჭი ვარ და მივეცი! — ამაყად ამბობს ქისტია. — შენს ცხენს კი აჯობებს, მეტი რა გინდა!

— რა იცი, აჯობებს?

— ვიცი. თუ გინდა, გავაჭენოთ.

— ეჰ, არა ღირს. — ხელი ჩავიჭინე.

— ვინც ეს საგზალი გამოგატანა, იმ ხალხს გაუმარჯოს, — ამბობს ლევანი და ყანწს ცლის.



— გაუმარჯოს!

შემდეგ ქისტიც კლის საესე ყანწს.

— გავაჟენოთ? — მეკითხება ისევ.

— გაჟენება რად გინდა?

— არა, უნდა გავაჟენოთ! სანამ-  
ლეოზე.

— ჰო, კარგი, სჯობდეს შენი ცხენი.

— შენ რა დამციანი? — შუბლი შეიკრა  
ქისტმა.

— არა, დაცინვა რა შუაშია.

— როგორ, განა მარტო შენა ხარ  
კარგი ვაჟკაცი და ცხენიც მარტო შენა  
გყავს კარგი?

— მარტო მე რადა, შენც კარგი ბიჭი  
ხარ, შენც... — ვუღბნები.

ამ კაცს ჯინის ცეცხლი ედება თან-  
დათან. მიწა დამამშვიდებელი ვუთხრა  
რამე, მაგრამ რატომღაც შებრუნებით  
გამოდის. — ცეცხლზე ნავთს ვუსხამ.

— მოდი გავაჟენოთ, ახლავე გვიგოთ  
ესი ცხენი სჯობია!

— არ მინდა.

— როგორ თუ არ გინდა?

— ისე, უბრალოდ, არ მინდა ცხენი  
დავალო.

— არა! თუ კარგი ვაჟკაცი ხარ, თუ  
კარგი ცხენი გყავს, გავაჟენოთ!

რა თქვა? თუ კარგი ვაჟკაცი ხარო?  
ჯერ იყო და ლეუანი ჩამაცივდა ცხენზე  
ჯდომისა გეშინია, რა ვაჟკაცი ხარო,  
ახლა კიდევ ეს ქისტი... ბოლოს და  
ბოლოს, ეს ცხენი გადმომავდებენ, მე-  
ტი რა უნდა მოხდეს.

— აბა, თუ ბიჭი ხარ, გავაჟენოთ! —  
ჩამცივბია.

— გავაჟენოთ! თუ ძალიან გინდა გა-  
ვაჟენოთ! — მეც შემომენთო გულზე  
ცეცხლი.

— სანამლეოზე! ვინც უკან დარჩეს,  
ცხენზე აილოს ხელი.

— ცხენზე?.. არა, სანამლეო რა საჭი-  
როა!

— გეშინია?

— შიში რა შუაშია?

— თუ არ გეშინია, მამინ...

— კარგი, კარგი, ამაზედაც თანახმა  
ვარ.

ჰმ, უკან ვეღარ ვიხევე...

მაგრამ ეს ნათხოვარი ცხენი რომ წა-  
ვაგო სანამლეოში, მერე სად წავიდე,  
სად დავიმალო, სოფელში როგორ გა-  
მოვინდე, ან იმ ფშაველს რა ვუთხრა?..  
ნეტა ეიცოდე მაინც ცხენოსნობა. კარგ  
ცხენს მხედარიც კარგი უნდა. მე კი იმ  
რუში კინალამ კისრით ვადამიშვია ამ  
სამგლემ...

კაცს ერთი მანქანის ფასი მიუცია,  
ქისტი კაცი ტყუილად არ გადაყრიდა  
ამდენ ფულს. ალბათ მართლა კარგი  
ცხენია.

იმედი აქვს და მიწვევს. მე? მე რისი  
იმედით გავდივარ?..

ციცმა ოფლმა დამასხა.

ნეტა შეიძლებოდეს ახლა უკან და-  
ხევა... არა, უკან დახევა თავის მოჭრაა.  
მაგრამ თუ ეს ცხენი წავაგე, თავის  
მოჭრა მერე ნახეთ.

უჰ! ბრწყინვალე აზრმა გამიელვა  
თავში, თუ შევატყვე, რომ ეს ქისტი  
მჯობნის. ცხენიდან გადმოვარდები,  
ცხენს დავაბრალებ ფეხზე ფეხი დაიბი-  
ჯაო. ხომ ჩაითვლება საპატიო მიზე-  
ზად?

რა თქმა უნდა, ჩაითვლება!

ჰა, ვითომ ეს ბრწყინვალე აზრია?..  
ეხ, ჩემო თავო, შენ რომ ჰკუთა გქონდეს,  
დღეს შენ ცხენიდან გადმოვარდნას  
უნდა აპირებდე? რომ გადმოვარდე და  
სადმე ქვებზე დაანთხიო ეგ ტენი, ხომ  
იქნება ახი.

ყველაფერს ჯობდა პაპაჩემის ბალი-  
დან ფეხი არ გამომედგა, მაგრამ რას  
იზამ ახლა?

ჯანდაბას, რაც მომივა მომივიდეს!

— დამისხით ერთი ყანწი ჟიპიტურო!

წინ გრძელი მინდორია, მინდორზე  
შტერიანი შარაა გაწოლილი, აქედან  
დაახლოებით სამი კილომეტრის დაშო-  
რებით შარავნის პირას ბებერი ნამგხა-  
რი მუხა დგას მარტოდ მარტო, ის მუ-  
ხა დაეთქვით მიჯნად.



ლევანს ორი ახირებული ცხენოსნის მსაჯობა დაეკისრა.

მსაჯი წინასწარ გავგზავნეთ მუხასთან.

ახლა მე და ქისტი ცხენებზე ვსხედვართ და გვერდი გვერდ ვდგავართ. ფრტუტუნებენ ცხენები და მტერიან შარას ტორავენ. ვერ ისვენებს „თეთრონი“, თითქოს რაღაცას გრძნობდეს. ქისტის ჭყრანი ლაგამს ხრავს და ფრტუტუნებს, ცმუტავს...

ქისტი მიყურებს და ვატყობ დარწმუნებულია, რომ მე გამოცდილი მხედარი ვარ. სადღაც გულში შეიძლება ეშინია კიდევაც, ვაი თუ მსაჯობოსო.

მიზგითელი ნაიბების შთამომავალმა სამი უნდა დაითვალოს და გავაჭვნოდ.

— მზადა ხარ? — მეკითხება.

— რა თქმა უნდა! — ისეთი კილოთი ეპასუხობ, თითქოს იმის თქმა მინდოდეს, რა მომზადება მინდაო.

— ერთი... ორი... სამი!.. — და ჩვენი ცხენები გაფრინდნენ თითქოს.

პირტუტყვს არა ზოგავს ამაყი ქისტი. ქუსლებს სცემს გვერდებში, მიჰკივის და მიერეკება.

— დაიედ გაურ! \* — დასძახის და გადარეულივით უტყალაშუნებს მათრახს.

თეთრონი უჩემოდ ცდილობს, უკან არ ჩამორჩეს მეტოქეს. მიიწვევს, მაგრამ ლაგამს ვეწვევი, თავს ვუჭერ, ასე დაწყებისთანვე არ მინდა გადმოვეშვა ძირს. ესეც ხომ სირცხვილია.

თეთრონი ლაგამს ეწვევა — მოუშვი ჩემს ნებაზე ვიაროო. მე არ ვუშვებ. თეთრონი იგრიხება, თავს აქეთ-იქით აწყვეტს და მაინც გარბის... მე კი ჩემი ნებით გადმოვარდნაზე ტყუილადლა გავირჯები. ბებერ მუხამდე არც უმისოდ მევრჩები ცხენის ზურგს. თუ შევრჩი, არც ეს მინდა, ვიცი, ქისტი მსაჯობებს.

— დაიედ გაურ! — კვლავ წინიდან მესმის ქისტის ყიყინა, ჰაერში შხუის მისი მათრახი.

ჰმ, მიერეკება და მიუხარია... რა თქმა უნდა, პირველი მივა ნამეხარ მუხასთან.

მეც მივალ და მიუუყვან ნათხოვარ ცხენს.

ვაი სირცხვილო! ნათხოვარ ცხენის პატრონს რა ვუთხრა? ცხენის პატრონს?..

ხედავს ქისტის ცხენი წინ უსწრებს და გადაირია თეთრონი. ლამის ლაგამი დაგლიჯოს.

— აჰა, ჯანდაბას შენო თავი, გადმოვარდე თუ გადმოვარდები! — მთლიანად მივეშვი ლაგამი.

თეთრონი გასწორდა და გაიკიმა.

— დაიედ გაურ! — კვლავ მესმია წინიდან.

მე ხმას არ ვიღებ, არც უკან ვიხედები, მაგრამ ვიცი, მტერის კორიანტილო მოგვდევს. მე და ქისტს შორის თანდათან მკირდება მანძილი.

გული მომეცა, ხალისი მომემატა, გავთამამდი და თეთრონს გამეტებით ვუშხუვლე მათრახი.

— მიშველე, თეთრონო! გასწი! გასწი! გაფრინდი! — დავეცი ყიყინა.

მათრახი დამარტყაო? ვაგიედა ენა-ლამ.

მირბის კი არა, მიფრინავს თითქოს. გაჭენებულ ცხენზე ჯდომია ადვილი ყოფილა. გათამამებული თეთრონს დაეყიენებ და როგორც ის ქისტი, მეც ჰაერში ვაშხუვლებ მათრახს.

ჩვენს შორის თანდათან მკირდება მანძილი.

სადაც არის გავტოლდებით. ჩვენკენ გამოიბის ნამეხარი მუხა. წინ ქისტია, ალბათ მუხა პირველად ქისტს მიეგებება.

— დაიედ გაურ!

— ჰა-მეთქი, თეთრონო!

ელახლოვდები.

ყიყინებს, ყიყინებს.

გავტოლდით...

ვერეკები, ერეკება.

გადავასწარ... და ნამეხარ მუხას პირველმა ჩავუჭროლე შლეგიანივით.

ორიდან ერთს უნდა ვაემარჯვა. ის ერთი ახლა მე ვარ.

\* გასწიე ცხენო! — ქისტური.

მჯობნის მჯობნი არ დაიღვეო, ამ-  
ბობს ლევანი.

ქისტი არ უარყოფს დამარცხებას.  
ცხენიდან ჩამოხტა.

გაქაფულ ულავს მკერდზე რამდენ-  
ჯერმე შემოჰკრა მათრახი, და ლაგამი  
მომაწოდა.

— ალალი იყოს შენზე! აჰა, ძმავო,  
მშვიდობაში მოიხმარე!

არ ვართმევ. რად მინდა?

— სიტყვა — სიტყვაა, მე ეს ცხენი  
ალარ მინდა.

მაინც არ ვართმევ.

— ცხენი შენია, როგორც გინდა მოუ-  
არე. — ლაგამი მომაწოდა და ფეხით  
დაადგა მტერიან შარას.

ეს ვინა ყოფილა! აბა, მე რაში მჭირ-

დება მაგისი ცხენი?.. მე სიხარულად  
ისიც მყოფნის, რომ დამტყუდელი ვარა  
ვარ და საღამოს იმ ფშაველს თავის  
ცხენს ჩაებარებ.

ვეძახი.

უკანაც არ იხედება ქისტი. მტერიან  
შარაზე მიალაჯებს...

მივრბივარ. უნდა მივეწიო და ახლა  
მე მივეცე ლაგამი, თუ ძმობა გწამს, შენი  
ცხენი წაიყვანეო...

• •  
•

ლევანი კი მოვა, ბალში წამოწოლილს  
თავზე დამადგება და მეხვეწება, ადექი,  
სადმე გავიაროთო, ცხენი ვაჭენოთო.

როგორა გგონიათ, გავყვები?



## გზები და ფიქრები

მე დავიბადე შვიდწლედის პირველი ახალი წლის პირველ დღეს.

პირველი დღიდანვე ავედევნე წამებს, საათის ტიკტიკთან ერთად ჩემი სიჩქარშობებიც იმეორებენ ტიკ-ტიკ, ტიკ-ტიკ... დრო გარბის, მეც გავრბივარ, დრო არ იცდის, მეც არ მიყვარს დგომა, ვინ ვის უსწრებს?... ამას მომავალი გვიჩვენებს.

...როგორც ტაიქის უზნაგზე, ფრთხილად აღვამს ფეხს დაკიდებული კიბის პირველ საფეხურს შემანქანე, მერე სწრაფად არბის და ჯიხურში იკარგება, მერე სარკმელს მოაწყდება-ღიმილს იმედად უტოვებს გამცილებლებს და ისევ იკარგება.

ელმავლის მძლოლი მართვის ფართან სერისპირ რჩება, გვერდზე შეუმჩნეველად ცმუკავს თანაშემწე ღონიერი ზელი სწვდა რევერსორის სახელურს. წინ გადასწია. გოგორწყვილებმა ნვლა მოხაზეს რკალი, მერე — წრე... თვლები უხმაუროდ გასრიალდნენ რკინის ღვედებზე და დაიძრა რკინის სასახლე.

გზა მშვიდობისა, ბედნიერად გველოს! ამ გულისთქმით აცილებს შვიდწლედის პირშოს საქართველოს მთა და ბარი, მისი ზღვა და ხმელეთი.

...პირველი ბრუნე, პირველი მეტრი, პირველი კილომეტრი... პირველი ქართული ლოკომოტივი მიაბობს სივრცეს, ნელი-ნელ თვალს ეფარება თბილისი.

და და და და... დადადა... დადადადა... ყვითელია! ამბობს თანაშემწე და გზას ჩამტერება.

ყვითელია! იმეორებს მემანქანე. ეშელონი ხან ხიდებზე გადაარბის, ხან ხეე-ხევეში მოიქნევს კულს, ხან კი ისევ ლარივით გზაზე გაწვება და მიცურავს.

მწვანეა! — ამბობს თანაშემწე.

მწვანეა! — იმეორებს მემანქანე.

„მწვანე ქუჩაზე“ ასევე თავქუდმოგლეჯილი გარბის ელმავალი, კრიალოსნის გიშრის ქვებივით აწყობილი ცისტერნები ადევნებია.

ღიმილი არ სცილდება ჯაკაკს სახიდან... სიხარულით ცმუკავს მისი ხელქვეითიც: თბილისი უშვებს რვაღერძიან საკუთარ ლოკომოტივს — ხუმრობა საქმეა!.. პირველი ქართული ელმავალი მოგანდონ — პატარა ამბავია!.. პროექტორის შუქი ჩეხავს კუნაპეტ ღამეს, დიდი მუხის ჩრდილი დევკაცის სილუეტით ჩაგვიქროლებს. ვიცანი ეს კუშტი მზერა, თითქოს მისი სიტყვებიც ჩამესმა, მომღვეს... ბრუნდება, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ჩვენი ვალოდია „ვლადიკავკაზიდან—თბილისში“, ბრუნდება ზეიმზე დასასწრებლად.

„მე ველი, ამ მთებში ჰაერო

აფრინდეს.

საყვარელ ქალივით იმედი მეგულვის, რომ ვნახო მის კულზე წარწერა

„თბილისი“

და ეკრას ბეჭედი აქ დამზადებულის“.

ქარი არხევს ბერმუხის ტოტებს, თუ ის გვიქნევს ხელს, ეს მისი ხმაა, თუ ჩვენი გულისთქმის გამოძახილი... არ ვიცი, ვხედავ კი მას, აი, ასე, როგორც ცოცხალს... ვხედავ მის ახდენილ ოცნებასაც.

ღუ, ღუ, ღუ, ღუ, ღუ, ღუ...

დიღუბე... თბილისია.

გა, გა, გა, გა, გა, გა...

აგვალა... აქაც მოსულა თბილისი, იზრდება ჩემი ქალაქი!

ისევ გაიჭრა ველზე, გარბის, გარბის კასპი... ქარხნის კონტურები... ფანჯრებნათელი კორპუსი... ჩანს არ სძინავთ,

აქ ცხვება მშენებლობის პური-ცემენტი... მერე რამდენია საკირო, ხარაჩო-ებშია მთელი ქვეყანა!

მწვანეა!.. გასცქერის შუქნიშანს თანამეგობრს

მწვანეა! — ეთანხმება მემანქანე.

გორი!

უუუუუ, უუუუუ, უუ!.. ესალმება ქართლის გულს პირველი ქართული ელმავალი და განაგრძობს თავისას მემანქანე.

...რა იყო და რა გახდა გორი!.. ქართველებს ფეიქრობითაც გაუთქვეს სახელი აქაურებმა.

სუსხიანი ქარი დათარეშობს გარეთ, ძუ შველივით დაძრწის ზამთარი, ელმავალი მიაპობს სივრცეს.

ყველაფერი რიგზეა, მანქანა უმფოთველად მიიკვლევს გზას. ვნახოთ რას იტყვის სურამის უღელტეხილი... უღელტეხილი კი არა ლაბორატორია. დიახ, სწორედ ასე შეარქვეს მას. აქ გამოცდას გადიოდნენ და გადიან, როგორც საზღვარგარეთული, ისე სამამულო მარკის ლოკომოტივები, ეს ხომ ურთულესი პროფილის გზაა!

უკან დარჩა ხაშური, ეშელონი ლიხის გვირაბსაც გაუძერა და აჯამეთის ტყის გასწვრივ შეუჩერებლივ განაგრძო რბოლა. ჩინებულად მიდის საქმე. ღმერთმა გიკურთხოთ მარჯვენა ქართველ-ელმავალმშენებლებო!

მემანქანეს რაღაც გაახსენდა, გაიღიმა... ჯერ კიდევ 1920 წელს ილიჩი ამბობდა თურმე: სახალხო მეურნეობის წინსვლა წარმოუდგენელია მრეწველობასა და ტრანსპორტზე ელექტროფიკაციის გარეშე... ვინ, ვინ და ქართველმა ელექტროფიკატორებმა, ზენბაევ ისეთმა ექტერანებმა, როგორც ლოგუაა, ქარუმიძე, ხევსურიანი, ზერეკიძე, კაკაბაძეა და ვინ მოთვლის ყველას. იცოდნენ ეს შორს დანახული კემპარტიზმა... სწორედ აი, ეს გზასურამის უღელტეხილი იქნა ელექტროფიკირებული პირველად მთელს კავშირში... ახლა, მოუმატე ეს ახალი მაგისტრალური რეაღერბიანი ელმავა-

ლიც... რა ჩქარა გარბის დრო, როგორ იცვლება სურათი, რაზეც გუშინ ვთქვამდნენ არ შეიძლებოდა დღეს... იქნებ ასეთი ელმავალი ოთხჯერ უფრო მეტ ტვირთს ერევა ვიდრე ჩვეულებრივი ორთქლმავალი და ორჯერ ძლიერია იმ ლოკომოტივზე, რომელიც სამი ათეული წლის წინ ოქროს ფასად მოგვეიდეს ამერიკელებმა.

...ყვითელია! — გამოჰყავს ფიქრიდან თანამეგობრს.

ყვითელია!..

საინტერესო ჩანაწერი შემორჩენია პირველი ქართველი რეპორტიორის დიმიტრი ლომთაძის ძველ ბლოკნოტს: 1931 წლის ივნისი, ბათუმის ნავსადგურში ტევა არ არის. აქ არიან ადგილობრივი ხელისუფლებიცი... პორიზონტზე უზარმაზარი საოკეანო გემის „ექსელონას“ სილუეტი გამოჩნდა.

ნაპირს მოადგენენ. გემიდან გადმოდიან ცნობილი ამერიკული ფორმის „ჯენერალ ელექტრიკის“ სპეციალისტები ნელსონი და ბელაუ. ოდესიდან საგანგებოდ ჩამოსული მძღაერი ამწეიანი ხომალდი ამერიკულ გემს მიუახლოვდა და ელმავლის კვანძების გადმოტვირთვა დაიწყო. მისტერ ნელსონსა და ბელაუს ქვეყნის ბატონპატრონებით, მედიდურად უჭირავთ თავი. უცბათ მათ თვალში ეცათ ჩვენ ხომალდზე გაკრული წითელი ტილო წარწერით: — დავეწვიოთ და გავუსწროთ ამერიკას!

აიფხორენ, ზურგი შეაქციეს ხალხს.

როცა ამერიკული ლოკომოტივი მზად იყო, ხაშურამდე მის წასაყვანად მამაპაპური ორთქლმავალი მოახბეს, ერთი კი ამოიხვნეშა, დაიძრა და ორიოდ მეტრში გაიყინა — უცხოურმა ელმავალმა, თითქოს გზა იუცხოვავო, ფეხი მიასო.

რა მოხდა?

მისტერ ნელსონი და ბელაუ ცივი, უსულო ქანდაკებებით გაყინულან ადგილზე და სიამის ბორტი ღმირით უთრთით ზედა ტუჩი. ადვილად ამოკითხავდით „ჯენერალ ელექტრიკის“

ფორმის წარმომადგენელთა ირონიას: —  
„ჰა, ჯერ მიხედით განა რატომ ვე-  
რადმარა ორთქლმავალმა ელმავალი?...  
და, ეს თქვენ გასურთ გაუსწროთ აქ-  
როიას?...“

...ელმავალი“ H-8-201“ — პირველი  
რეალერძიანი ქართული ელმავალი თა-  
ვაწყვეტით გარბის დაკლავნილ გზებ-  
ზე და კვლავ ირევიან ფიქრები.

ჰოდა რა, ავტორდით?... არ დასცალ-  
დათ ამერიკელ მასტერებს დიდხანს  
სიცილი, ჰუმანუკმა ინჟინერმა მაკავარიან-  
მა ყურადღებით შეათვალიერა მანქანე-  
ბი. შემდეგ ინჟინერ ლოგუსას, თოიშესა  
და კავაბაძეს მოუბრუნდა და თქვა.

— თვითმუსრუქების ოინია, რას  
იტყვი?

...მართლაც, ნაჩქარევად დაყენებუ-  
ლი დეტალი გაასწორეს და ამერიკული  
ელმავალი თვინიერად გაჰყვა მასპინ-  
ძელს.

დღეს, ამერიკელებს ელმავლების  
წარმოებაში ჩვენთან არაფერი აქვთ და  
სატრაბახებელი. მას შემდეგ ბევრმა  
წყალმა ჩაიარა, აი, ისე, როგორც ახლა  
ყვირილა მიღუღუნებს შორაპანთან.

მემანქანე მთვარის შუქზე ვერცხ-  
ლისფრად ატორტმანებულ ტბალებს  
გასცქერის. „რატომ ქვია ამ მდინარეს  
ყვირილა?“ — გაიკვირვა თითქოს პირ-  
ველად სმენოდეს მისი სახელი. კამკამა  
ყოფილა ეს წყალი სათავეში, რა  
მეტრის სიღრმეზე თითისიგარქე თევზს  
შეამჩნევ თურმე. მერე მარგანეს რეც-  
ხავენ, მსოფლიოში სახელგანთქმულ  
ჭიათურის მარგანეს და შავი ფერიც  
მისი მოჰყვება...

— მწვანეა! — განაგრძობს გზის  
შუქნიშნების თვალთვალს თანამემწე.

— მწვანეა! — ეთანხმება უფროსი  
მემანქანე და დასძენს. — ზესტაფონში  
შევიღვივართ...

— უღელტეხილმა გამოგვცადა...

— შეფასება?

— ფრიადი!

ფეროშენადნობთა ქარხნის გრძელი

„ყალიონიდან“ ყვითელი ბოლი ხრჩო-  
ლაეს.

თანამემწე ქუდს იშვლევს თაყნიდან  
და გაფაციცებით იქნევს, თითქოს ნაც-  
ნობი შეენიშნოს ვინმე ამ სიბნელეში,  
მერე მემანქანეს მოუბრუნდა და უთხ-  
რა; — აქაური ვარ, ჯეროში დავიწყებ  
პირველად მუშაობა.

— ყოჩაღ! — ანგარიშმიუცემლად  
ამბობს მემანქანე, — თუმცა რატომ  
„ანგარიშმიუცემლად“ — ზესტაფონელ  
ფეროშენადნობის ოსტატებთან ერთად  
მოსხენიება დიახაც საამაყოა... ჩანს,  
კარგი სკოლა გაუვლია, ივარგებს ცხოვ-  
რებაში, კაცი დადგება!..

გზები, ხიდეები, სარკინიგზო ბაქნების  
განმალურება...

— წითელია!

წითელია!

რიონთან სვლას უკლეს... ჩქარა  
მოპირდაპირე მხარიდან ღია პლატ-  
ფორმებზე ახალთ-ახალ სატვირთო ავ-  
ტომანქანებჩამწყრივებულმა შემადგენ-  
ლობამ ჩაიგრილა.

— მოდის ქართული, ქუთათური ავ-  
ტომობილი!

სიმამლორი გაიხსნა — გზა თავისუ-  
ფალია... სვლა განაგრძეს.

გზაში გაცვდა ღამე, გაფითრდა, გაა-  
ქრკოლა... თენდება. მერსრესავეით შე-  
მოგვეფეთა შავი ზღვის სანაპირო, პირ-  
ველი ევკალიპტი, ნისლით დაბამული  
მთები.

მწვანეა!.. კვლავ ისმის გვერდიდან.

მწვანეა!.. მეორდება... და მატარებე-  
ლი გარბის მოტორტმანე შავი ზღვის  
მარადმწვანე სანაპიროს გასწვრივ...  
შორს — ცისა და ზღვის კიდურზე მო-  
ჩანს: ნაეები! უთენია გასულან ზღვაში,  
ან ღამენათევი ბრუნდებიან დიდ მიწაზე  
მეთევზეები... მე ვიცნობ ერთ ბათუმელ  
მეთევზეს... ამბობს მემანქანე, — ყვე-  
ლაზე მაგარი ბიჭია შავ ზღვაზე... უკ-  
ლებია!..

— გამიგონია — ეთანხმება თანამემ-  
წე.

იქნებ აგერ ის სწორედ მისი სეინერია...

— აბა ჰე, მიდიო ბიჭებო!.. კაცი-კაცით და ღობე სართოო... — თქვენ თევზი მოგვეციო... ჩვენ ამას წავიღებთ, იმას ჩამოვიტანთ, ასეა მოწყობილი ეს ცხოვრება.

...მზემ გამოიხედა, ზღვა და მიწა ააფერადა.

სულ ცოტა მინძილიდა დარჩა და ქართული ელმავალი პირველად გაიჭრება რესპუბლიკის გარეთ.

— გაუმარჯოს პირველ ქართულ ელმავალს, გზამწვიდობისა! — ეგებებიან და აცილებენ სამამულო წარმოების შესანიშნავ კმნილებას... ელმავალი საზეიმოდ ტოვებს სადგურებს, შორ გზას აღგია.

მემანქანემ ფერდებშელეწილ ნსახლარის ჩონჩხი დალანდა ერთგან და გუნება წაუხდა.

... ექ, რამდენი გადაიტანა მაინც ჩვენმა მიწამ... აქა-იქ გამახსენებს თავს 1941 წელი. ვის შეეძლო აღედგინა ასე სწრაფად ცხოვრება. პოდა სწორედ ეს დრო იყო, სახელმწიფო ტვირთზიდვის მოცულობის ზრდაზე რომ ითქვა.

— მოგვეციო რეაღერძიანი სამაგისტრალი ელმავალი... გადაჭრით ითხოვდნენ ტრანსპორტელები ელმავალმშენებლებისაგან.

საქმე იქამდე მიდგა, ახალი ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის აშენება გადაწყვიტეს. ქარხანა ასეთი მძლავრი ელმავლების გამოშვებას ვინ იცის რამდენი წლის შემდეგ შესძლებდა. ახლა ხარჯი იკითხეთ, მილიონებზე არა, მილიარდებზე იყო ლაპარაკი.

— ჩვენ გამოვუშვებთ სერიულად ელმავლებს! გაისმა თბილისელ ელმავალმშემკეთებელთა ხმა.

ვინ იყვნენ ისინი, რა ძალა მოდგამდათ, რა იცოდნენ ამ მაღალი სიზუსტის კლასის რთული ლოკომოტივის წარმოებისა, როცა სიტყვას იძლეოდნენ? ვინ?.. ქართული ელექტრომავლის პიონერები — ლევან დემეტრაშვილი, სოლომონ მაღაციძე, ირაკლი ბადრიძე,

მიხეილ ხატიაშვილი, ვასო პაპინაშვილი, აპოლონ მასხარაშვილი, ანდრეას მარტოვილი, გივი ლამბაშიძე, ნიკოზ მარტოვილი, რომელი ერთი ჩამოგივთვალათ... სწორედ იმათ დაადგეს თავი საქმეს — და აი, პირველი ელმავალი, ხედავთ, ჩაება ტვირთზიდვის ორომტრიალში.

მანქანის გულისხმა — ძრავების გუნდი...

ხარკოვეში შეედივართ!.. თითქოს თავისთვის ამბობს თანამშემწე.

... ადამიანები, მთავარი იყო კადრები — განაგრძობს ფიქრს მემანქანე... ლითონმზურღავეები, ზეინკლები, მრანდავები, მემონტაჟეები, ელექტროსადენდამშვევები... სხვა ადვილი საშოვნელია ჩვენში: ლითონი — რუსთავის, ლითონსმული დეტალები — აგქალის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის, საიზოლაციო მასალებს და ვინ მოსთვლის სხვას, რესპუბლიკა გვაძლევს... აკი ვამბობ, ადამიანები, უპირველესად კაცი მითხარი... ერთი დაკერით წვეის ძრავი ავითვისეთ, მოტორ-კომპრესორი ვენტრილიატორი, მართვის გენერატორი, რალა დარჩა?

... ქარხანა კი არა ქალაქია ჩვენი ელმავალსამშენებელი. თვალსა და ხელს შუა გაიზარდა. ათასობით მუშახელი ჰყავს, მომძლავრდა, აზვირთდა... 20-ზე მეტი საცხოვრებელი სახლია ტრანსპორტმშენებელთა დასახლებაში, ნამდვილ ქალაქს ჰყავს — თბილისის თანამგზავრს. რკინიგზელებს ისედაც თანამგზავრებს უწოდებენ. ხან რომელ ორბიტზე გადიან, ხან რომელზე!.. არც ერთ საქმეში არ თმობენ პირველობას ელმავალმშენებლები — კომუნისტურად ვიშრომით და ვიცხოვროთ — პირველობა იტრიელი ბიჭის გურამ ჩაღუნელის ზეინკალ-მეამწყობებებს, პნევმატიკის დიდოსტატ ვასილ პაპინაშვილს, შოთა დევსურიშვილის ზეინკალ-მეამარატეთა და ლაურა იობიძის განმზოლოვებელთა ბრიგადებს ერგოთ, ახლა სხვა 37 ბრიგადა, ვინ — ვის უსწრებს საპატიო სახელისათვის ბრძოლაში! გახსოვთ, რესპუბლიკაში შეიღწულდზე

რომ პირველი სიტყვა ითქვა „შვიდწლედ-ექვსწლედში“ — ვინ ითქვა პირველად — ქართველმა ელმავალმშენებელმა. ქარხანაში მარტო სამუშაოდამთავრებული 2.000-მდე ახალგაზრდა... ზოგ-ზოგივით არ იფიქროთ რაკი დაზგებთან მოვიდნენ სწავლაზე გული აღარ უდგებოდათ ერთი სული აქვთ უმაღლესი ტექნიკური განათლება მიიღონ. მიიღებენ კიდეც, მომავალ წელს ჩვენს წარმოებასთან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი გაიხსნება, ჩქარა კი აქ ქარხანა ინსტიტუტი იქნება... ჰო, სწორედ ასე ერქმევა ცარიელი დაპირება არ გეგონოთ უკვე 8 ოთახი გამოჰყვეს, 1961 წლისათვის კი 2.000 მეტრი ფართის შენობა აიგება.

...მემანქანემ გუგუნით შეძრა სიერცე, შორს მთებში გადაიკარგა ხმა. „— გაიგოს, კარგად გაიგოს შინაურმაც და გამათიფლამაც!“

...იქნებ მოთხრათ მუშისათვის სწავლას მარტო შენობა და ფილიალი არ ეყოფა, დროც სჭირდებაო — ექნებათ, დროც ექნებათ. აგერ, საჩამოსხმო, ხის დამამუშავებელი, სამჭედლო სექციები-სა და გრაგნილების საამქროები აპრილიდან ხომ გადავიდნენ 7 საათიან ცვლაზე, დანარჩენებსაც ჩქარა ექნებათ მოკლე სამუშაო დღე... ასე, რომ ნუ გეფიქრებათ — კომუნისტური პარტია ზრუნავს!

თანამემწე გზას თვალს არ აცილებს „მწვანე ქუჩით“ გაიარეს ხარკოვი, ბელგოროდი... უკან რჩება დონბასი — შავი ოქროს მხარე.

აქაური ქვანახშირით სულდგმულობს მრეწველობის გოლიათური ორგანიზმი, აქაური ქვანახშირით უდგათ სული ჩვენს მცირე ძმებს — ორთქლმავლებსაც... ჩვენ კი, მეელმავლებს, თქვენი სათხოვარი არაფერი გვაქვს გარდა იმისა, გითხრათ: უშრეტო სიმდიდრე შეგზრჩნოდეს და სულ კარგად მენახე დონბასი...

თუმცა ერთიც არის, — განაგრძობს საკუთარ ორეულთან მასლაათს მემან-

ქანე — არ იფიქრო ელექტრომგვლანგვლები ვიყოთ, არ ვიცოდეთ მისი ყადრი და ყაირათი... თუ მეტწილად მშენებელი საკონტაქტო ქსელიდან ისხამს სისხლს სხეულში, ხან იგი თვით ზღება მოძრავი პატარა ჰესი — ენერჯის გამოიმუშავებს და უკან, საკონტაქტოში აბრუნებს დენს — ზოგი ჩემს თანამომძიებს გაუნაწილე, გზაში არ შეფერხდნენ.

როგორ?.. სულ უბრალოდ. დაუკვირდით, სწორედ ახლა ქანობზე ვდგევართ, ერთად საერკოპერაციო სქემას... დავევით თავვე, მექანიკურ ენერჯის ვილებით, ქსელიდან უკვე აღარ ვიკვებებით... გარდასახ-გენერატორები ელექტროენერჯის პირიქით უბრუნებენ საკონტაქტო ქსელს.

მწვანეა!..

მწვანეა!.. გაისმის ჩვეულებრივ.

ეს კიდეე რაა, — განაგრძობს მემანქანე, — როცა კიდეე 40.000 კილომეტრ მაგისტრალზე ელექტრონი გადავიღის, იმ დროისათვის ახალი ელმავლები იჯირითებენ რკინიგზებზე. ქარხანამ უკვე მიიღო საპატიო დაკვეთა — დააპროექტონ და თბილისის მარკით შექმნან სრულიად ახალი ტიპის რვაღერძიანი ელმავალი „თბილისი-8“ მოსკოვისა და რესპუბლიკის დედაქალაქის მეცნიერები ქარხანასთან ერთად ქმნიან აგრეთვე ყველაზე პერსპექტიული — ცვლადი ერთფაზიანი დენის ელმავალს სტატი-ტიკური გადამრთველობით. იგი ცვლად დენზე 25.000 ვოლტის ძაბვით იმუშავებს... ცვლადი დენის სამგზავრო ელმავალი პირველი იქნება მთელ სამკოთა კავშირში.

პარტიის XXI ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ითქვა, რომ შვიდწლედში, რესპუბლიკაში, ელმავლის გამოშვების მასშტაბი 1958 წელთან შედარებით ბევრად გაიზარდება და საქართველო გაუსწრებს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას — საფრანგეთს.

რას იტყვიან ამაზე მისტერ ნელსონი და ბელაუ... ან იქნებ უკვე მათი სახსენებელიც უარ არის!

მემანქანემ მეორე დილაკი მოსძებნა, მასაც აწერია „პანტოგრაფი“ — იგი ახლა აღიშართება, უკანას საშეულს მისცემს — ქსელსაც გასწმენდს და ღენის წყაროსაც მიაწვდის ფოლაადის სხეულს.

100 ათასი წერილი და მსხვილი ნაწილი აქვს ელმავალს, ასიათასივეს თავიანთი სახელი ჰქვია, მისი შემქმნელის — კაცის სახელი, მეორე კი ტექნიკური ზედმეტსახელი: კვანძი, დეტალი, ქანჩი... რაც გსურთ დაარქვით... ისინი ახლა აქ არიან, ამ სხეულში სხედან და ერთიან ძალას აძლევენ ელმავალს.

წევის ძრავები დატვირთვის ქვეშ დგანან... ესე იგი ღუზის დამხვევები ზოთა ნოზაქ და ანზორ კველიშვილი პნევმატური აპარატურის მაგა ნორმალურად სცემს — ეს კომპრესორის ძრავების წყალობაა — მამ, სამანქანო საამქროს ბიჭებიც გვერდში მყვანან, ირაკლი ბადრიძეც აქ არის თავის ჯალაბობით, ძია ირაკლი... ჩვენი წარმოების ერთკლე მეფე, რალა მიჭირს... მალალი ძაბვის ჯიხურში ღულუნებენ შექანხმები — ლითონის კონსტრუქციების საამქროს ზეინკლები, ნოდარ ვალიშვილო მადლობა, მადლობა... აბა, ვივი აბიაშვილო, კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელისათვის რომ იბრძვი არ შემარცხეინო — ჩართო ძრავა, საათივით აეწყო საქმე, ამუშავდა ორგანიზმი, შეება იგრძნო მოზღვავებული ენერჯით...

— სრული სელა!.. ფიქრობს მემანქანე და კონტროლიორის სახელურს კბილანებზე ღონივრად გადმოსწევს.

— არის სრული სელა! — ესმის მანქანას, ლალად ჭრის სივრცეს და მიიწევს წინ, სულ წინ... წინ მოსკოვია!

მოედევარ, მომაქვს სიხარული და მომიხარია. პირველად შრომის ამბებს მოგიტხრობ. ეს იმიტომ, რომ შრომა შრომის შვილისათვის პირველია, მერე მათი ცხოვრების ამბავსაც არ დაგიმაღავ. ყველა რად გინდა, აი, ძია ერთკლეს ამბავი აიღე... სამანქანო საამქროს მატორკომპრესორების ამწყობთა ბრიგადირ ბადრიძეზე მოგახსენებ... სოფ-

ლელ ბიჭს თურმე მატარებლის ზმაც არ სმენია, თრიალეთის მთეშე ტხელომ აძოვებდა და ზოგჯერ მწვანეში გულ-ალმა გამოტილი ბედს ნატრულობდა... მოგეცა ლხენა, ამბობს — მაშინ თურმე იმდენი ნატრაც კი არ შემძლებია, რაც ქვეყანა ვნახეო... მეოთხედი საუკუნეა ამ საქმისათვის ხელი არ შეუშვია. მერე თავისი ვაჟაკიც მოიყვანა, ვალიკო, დეტალების მონიშენაზე მუშაობს და ინსტიტუტშიც სწავლობს. ძია ირაკლის ქალიშვილმა — თინათინმა, საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა, იმანაც ქარხანაში მუშაობა აიჩემა — მთავარი ტექნოლოგიის განყოფილებაში მხაზველად მოეწყო... აქ იყო ერთი კარგი ახალგაზრდა ოსტატი ბიჭი — სიმონ ჩინჩლაძე... მოსწონდა ეს ბიჭი ძველ ოსტატს — კარგად სწავლობს უმაღლესში და საამქროშიც. შეხეთ რა სახელი აქვსო... შვილივით უყვარდა... უყვარდა და აგერ, სიძედ გაუხდა!.. ჰოდა ასე, მთელი ოჯახი აქ არის.

დაგვიჯდება ხოლმე ხანდახან ძია ირაკლი და ამბებს მოყვება. რამდენი ზამთარ-ზაფხული, რამდენი პერანგი გაუცვეთია ჩვენზე აღრე, ვუსმენთ გატაცებით.

— ფულს არასოდეს გამოეკიდოთ, სიკეთე ნამდვილმა შრომამ იცისო. თავიდან თურმე რასაც სხვა აკეთებდა, იმასაც კი ვერ ერეოდა... მერე კი — 100, 120, 190, 200, 300 პროცენტი შემოსავალიც თანდათან იზრდებოდა — 270, 800, 1000-ზე მეტი, 2600 მანეთი...

ელმავალმა უკან მოიტოვა კურსკი... ორიოლი...

გზა ხსნილია... ჩქარა გამოჩნდება მოსკოვი!

... მოდით ვიანგარიშოთ, განაგრძობს თავისთვის ფიქრს მემანქანე, — ჯამაგირის უწყისზე ხელს აწერს მამა, მისი ვაჟაკი, სიძე, ქალიშვილი...

... 2.600

... 700

... 1.200

... 550 — ჩამოწერე და მიუმატე



ბიჭო, — გადაულაპარაკებს თანაშემწეს.

ახალ სახლში ახალი ბინა, რადიომიმღები, ტელევიზორი, პიანინო... — არა, ნამდვილად ამდენის ნატვრაც არ შემძლო თრიალეთელ მწყემს ბიჭს... კეთილი ღიმილი ეპარება შავ უღვამებში ძველ ოსტატს...

... კიდევ ამიტომ, ხალხი გრძნობს მისი მშობლიური პარტიის მამობრივ ზრუნვას, და შეიძლება რაა, მთას დაძრავს — თუ ძაბირო იქნა!..

ხშირად შეიღობა გაგვიგონებთ, კომუნისტია, ოქროსხელის ზეინკალი. რა სასწაულს ახდენს იცით ეს კაცი! — პირველი შეიღობის ანგარიში გაასწორა, მეორე შეიღობის მოათავა და ახლა მესამე შეიღობის ბოლო წელს ისტუმბებს — 1979 წლის ანგარიშში მუშაობს... საათივით აქვს აწყობილი საქმე... ჰმ, თუმცა რას ვამბობ... მისი მაჯის ან კედლის საათები მასავით, რომ მუშაობდნენ!..

... კარგი ხალხი გვყავს ძმაო, სანაქე-

ბო... აბა ისე ვინ მოაქუფენებდა ჩვენს ქარხანას ლენინის სახელს? მსაჯულთა ყველა, ღირსი — გამოსარჩევი.

„კაცი იყო და იქცა მნათობად, ქვეყნად რამდენი შუქი დასტოვა“

... ელმავლის მძლავრი პროექტორის სხივზე აციმციმდნენ დიდი ქალაქის მისადგომები.

მწვანეა! — ხმას იმალლებს თანაშემწე.

მწვანეა! — საზეიმოდ იმეორებს მემანქანე.

წინ დგას მოსკოვი!

... ლიანდაგები, ლიანდაგები, ლიანდაგების წრე... მზესავით შეკრულან, მზის სხივებივით განტოტებულან... რომელ ტოტზე შეგვყენებს უკიდევანო სამშობლოს გული, რომელ სხივს გაგვაცოლებს! ასე ნათდება გზებზე ფიქრები, გზები იცეცება მოკლდება ხოლო ფიქრს არა აქვს დასასრული...



## ღუიზჰმნი

ზოგიერთი ქორწინების მიზეზს თვით მწერლის გავარჯიშებული ფანტაზიაც კი ვერ წარმოგიდგენთ ხოლმე. იგი ისე უნდა მივიღოთ, როგორც თეატრში ვიღებთ ზოგჯერ სიბერისა და სიჩრჩიტის, სილამაზისა და ცხოველყოფილობის წინააღმდეგობათა საოცარ შეხამებას. ეს ხომ ყოველი ფარსის მათემატიკური აღნაგობის წინამძღვარი და საფუძველია.

რაც შეეხება ვეჟილ იაკობის შეუღლეს, იგი ახალგაზრდა, ლამაზი და არაჩვეულებრივად მომხიბლავი ქალი იყო. ამ ოცდაათიოდე წლის წინათ მას ნათლობისას ანა, მარგარიტა, როზა და ამალია დაარქვეს, მაგრამ არასოდეს მისთვის ამრას გარდა სხვა სახელი არ უწოდებიათ, — ამრა ამ სახელების საწყისი ასოებისაგან შეედგინათ და მისი ეგზოტიკური ელერადობა ზედგამოჭრილი იყო ამ ქალისთვის. ერთი შეხედვით მისი ხშირი, რბილი თმა შავი ჩანდა, მაგრამ თუ გულმოდგინედ დააკვირდებოდით, წაბლისფერი აღმოჩნდებოდა. თმა გვერდზე ჰქონდა გაყოფილი და ვიწრო შუბლის ორივე მხარეს აკეცილი; მის კანიდან სამხრეთული მქრქალი სიყვითლე გამოსჴვიოდა და ეს კანი გადაკვროდა სხეულის ნაკეთებს, რომელნიც ასევე სამხრეთული მზით დამწვარი ჩანდნენ და თავისი სისაესით სულთანის ასულის სხეულს მოგვაგონებდნენ. ამ შთაბეჭდილებას, რომელსაც მისი ვნებიანი და მოთენთილი მძეობხვრა იწვევდა, თან ერთვოდა მეორე შთაბეჭდილებაც; მისი გონება გულს ეჭმევდებარებოდა. თუ კი ეს ქალი ვინმეს თავისი გულუბრყვილო თავლისფერი თვალებით შეხედავდა და თანაც ვიწრო შუბლზე მშვენიერ წარბებს თავისებური მომხიბლავობით აწ-

კებდა, მისი ვნებიანობა ნათელი ხდებოდა. მაგრამ არც თვითონ იყო ისეთი შიამიტი, რომ ეს არ ცოდნოდა; ამიტომ იგი ერთდებოდა თავისი სუსტი მხარის გამოჩენას და ძალზე იშვიათად, თანაც ცოტას ლაპარაკობდა. ვის რა ეთქმის იმ ქალის მიმართ, რომელიც ლამაზია და თანაც სდუმს! თუმც სიტყვა „შიამიტი“ ყველაზე ნაკლებად შეეფერებოდა ამრას. მისი გამოხედვა მხოლოდ უგუნურობის შთაბეჭდილებას როდი ტოვებდა, მისგან გამოკრთოდა გარკვეული მსუნავი ეშმაკობაც, თუმცა ჩანდა ეს ქალი არ იყო იმდენად უგუნური, რომ თავისი ავხორცობით ამ ქვეყნად მხოლოდ უბედურება ეთესა. მისი ცხვირი პროფილში ცოტათი ენერგიული და ხორცოვანი ჩანდა. სამაგიეროდ სავსე და ფართე პირი დასრულებული მშვენიერება იყო, თუმც სხვას არაფერს არ გამოხატავდა გარდა ავხორცობისა.

და აი, ეს მაცდური ქალი ორმოც წელს მიღწეული ვეჟილის იაკობის მეუღლე იყო; ყველა ვინც კი ვეჟილს ნახავდა, განცვიფრებული რჩებოდა. ვეჟილი ნამდვილი ბუმბერაზი იყო. ნაცრისფერ შარვალში გამოხეუული ფეხები თავისი ბოძისებური უფორმობით სპილოს ფეხებს მოგაგონებდათ, სიმსუქნისაგან ამოტრეცილი ზურგი თითქოს დათვისა იყო, ხოლო მის უზომოდ მრგვალ მუცელს ფარავდა უცნაური მომწვანო მონაცრისფრო პიჯაკი, რომელიც ძლივს იკვრებოდა ერთადერთ ღილზე და საკმარისია შეგეხსნათ, რომ პიჯაკის კალთები მხრებამდე აფრიალებულიყო. ამ უზარმაზარ სხეულს, რომელსაც კისერი თითქმის არ ემჩნეოდა, ზედ ედგა შედარებით პატარა თავი, ვიწრო, წყლიანი თვალებით,

მოკლე ჩაწყვლელი ცხვირითა და სიმსუქნისაგან ჩამოკიდებული ლოყებით, რომელთა შორის ჩაკარგულიყო პაწაწინტელა, სევდიანად დაშვებული აირი; მრგვალ თავს, ისევე როგორც ზედა ტუჩს, ფარავდა მეჩხერი, ქერი და უხეში ჯაგარი, საიდანაც გამოკრთოდა შიშველი კანი, ისეთი, ზომანზე მეტად ნასუქებ და ნაპატიებ ძაღლს რომ აქვს ზოლმე. მგონი ყველასათვის ნათელი უნდა ყოფილიყო, ვეჭოლის ასეთი აღნაგობა ჯანმრთელობის ნიშანი არ იყო. მის უხარმანარ სიგარძესიგანეში ქონად ქცეულ სხეულს კუნთები, სულ არ ეტყობოდა და ხშირად შეამჩნევდით, როგორ წამოაწებოდა სისხლის უცარი ნაკადი შეშუპებულ სახეს, რომელიც უცებ მოყვითალო სიმკრთალეს იკრავდა; ამ დროს მას ტუჩები შწარედ ემანქებოდა.

ვეჭილს მაინცდამაინც დიდი პრაქტიკა არ ჰქონდა, მაგრამ, რადგანაც გვარიანი ქონების პატრონი იყო, ნაწილობრივ თავისი ცოლის მზითველს წყალობითაც (თანაც ცოლქმარი უშვილონი იყვნენ) კაიზერშტრასეზე მათ კომფორტაბელურად მოწყობილი ბინა ჰქონდათ და მაღალი წრის მჩქეფარე ცხოვრებას ეწეოდნენ; რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ქ-ნ ამრას მიღრეკილებათა შესაბამისად ხდებოდა, თორემ ვეჭილს, რომელიც გაწამებული გულმოდგინეობით იღებდა მონაწილეობას ამ საქმიანობაში, შეუძლებელია თავი ბედნიერად ეგრძნო. ამ მსუქანი კაცის ხასიათი უაღრესად უცნაური იყო. არ არსებობდა ქვეყნად მასზე უფრო თავაზიანი, ზრდილი და დამთმობი ადამიანი, მაგრამ, შესაძლებელია ამის თქმა ძნელიც კი იყოს, რადგანაც ყველა გრძნობდა, მისი გადაჭარბებულად კეთილმოყვრული და პირფერული ქცევა, რაღაც გარკვეული მიზეზით იყო ნაკარნახევი. ყველა ხედებოდა, მისი ასეთი ყოფაქცევა დაფუძნებული იყო შინაგან დაურწმუნებლობაზე, რის გამოც თანამოსაუბრეს უსიამოვნო განწყობილება ეუფლებოდა ზოლმე. იმა-

ზე უფრო საზინდარი სანახავი არაფერია, ვიდრე ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავი სძაგს, მაგრამ სიღალბურისათუ ყალბი პატივმოყვარეობის გამო სურს იყოს სასიამოვნო და მოსაწონი ჩემის აზრით, ასე სჭირდა ვეჭილსაც, რადგანაც, თითქმის ქვემძრომული თვითდამკირებით ისე შორს წასულიყო, რომ ადამიანისათვის აუცილებელი პიროვნული ღირსების გრძნობაც დაეკარგა. ვეჭილს შეეძლო რომელიმე ქალისათვის, რომლის მავიდასთან მიპატიებდა სურდა, ეთქვა: „მოწყალეო ქალბატონო, მე უმსგავსი ადამიანი ვარ, მაგრამ იყავით ესოდენ კეთილი და...“

და ამას იგი ამბობდა საკუთარი თავის მიმართ ყოველგვარი დაცინვის გარეშე, სიმწარისა და სიტკბოს უცნაური შეხავებით, გაწამებულად და გულის ამრევად. ანეკდოტს, რომელსაც ახლა მოგიყვებით, ნამდვილად მოხდა: ერთ დღეს, სეირნობისას ერთმა ტლანქმა გზირმა, ურიკას თვალი ზედ ფეხზე შეადგა ვეჭილს. კაცმა საკმაოდ გვიან შეაჩერა ურიკა და ვეჭილს მოხედა; ვეჭილს საქციელი წაუხდა, გაფითრდა, ლოყები აუცახცახდა, ქუდი მოიშვლიჭა და წაილულღულა: „ბოდიშს ვიხდი!“ მოდი და ნუ აღმფოთღები! ამ გასაოცარ ბუმბერაზს „ჩანდა“ მუღმივად ბოროტი სინდისი ქეჯენიდა; როდესაც იგი მეუღლესთან ერთად „ლერპენბერგზე“ — ქალაქის მთავარ სასერო ადგილას გამოჩნდებოდა, მის გვერდით მოხდენილად მორონინე ამრას დრო და დრო შიშნარევად გადახედავდა, გამვლელებსაც ქუჩის ორივე მხარეს ისეთი ზედმეტი გულმოდგინეობით, მჭრთხალად და მონდომებით ესალმებოდა, თითქოს მოთხოვნილებას გრძნობდა ყველა ლეიტენანტის წინაშე ორად მოხრილიყო და პატიება ეთხოვა, მხოლოდ იმისათვის, რომ სწორედ იგი ფლობდა ამ მშვენიერ ქალს. ამავე დროს მისი ტუჩების უხადრუკი, ქლესური გამომეტყველება თითქოს გივედრებოდათ, ამისათვის ნუ დამცინეთო.

ჩვენ უკვე გადაკვირით ვთქვით. არაინ იცოდა, თუ რატომ გავყვა ამრა სწორედ ვეკილ იაკობის ცოლად. მაგრამ ვეკილს იგი თავის მხრივ უყვარდა; უყვარდა ისეთი მგზნებარე სიყვარულით, რომელიც იშვიათად გააჩნიათ მისი აღნაგობის ადამიანებს. უყვარდა ისე მორჩილად და შიშნარევედ, როგორც ეს მთელ მის არსებას შეეფერებოდა. ხშირად გვიან საღამოთი, როცა ამრა უკვე იწვა თავის ფართო საძინებელ ოთახში, რომლის მაღალ ფანჯრებზე ნაოკებიანი, ყვავილებამოქარგული კონიპიტები ეყიდა, ვეკილი ისე წყნარად მიუახლოვდებოდა მძიმე საწოლს, რომ ოდნავადაც არ ისმოდა ფეხის ხმა, მხოლოდ საგრძნობი იყო იატაკისა და ავეჯის ნელი რხევა. ვეკილი ამრას წინ დაინოქებდა და უდიდესი სიფრთხილით შეეხებოდა მის ხელს. ამრა ასეთ შემთხვევაში წარბებს აწკეპავდა და მის წინ გაშოტილ, სინათლის მკრთალი შუქით განათებულ უზარმაზარ მეუღლეს მდუმარედ და ბოროტი გამომეტყველებით ათვალერებდა. ვეკილი კი, ტლანქი აკანკალებული ხელებით ამრას პერანგის სახელოებს ფრთხილად ხელს უსვამდა და მსუქან ნაღვლიან სახეს, ქალის საეცე და ხორბლისფერ მკლავს აყრდნობდა, (იმ აღგილას სადაც თავს იყრინ პატარა, ცისფერი ძარღვები) და თანაც ყრუ და მითოთლვარე ხმით იწევებდა ლაპარაკს, ისე როგორც, არცერთი ჭკუათმყოფელი კაცი ცხოვრებაში არ ლაპარაკობდა. „ამრა!“ — ჩურჩულებდა იგი, — „ნემო საყვარელო ამრა! ხელს ხომ არ გიშლი? ხომ არ გეძინა? ღმერთმანი, მთელი დღე იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორი ლამაზი ხარ და როგორ მიყვარხარ! ყური მიგდევ, რა შინდა ვითხრა, თუმც გამოთქმა მიჭირს: მე ისე ძლიერ მიყვარხარ, რომ ზოგჯერ გული მეკუშმება და არ ვიცი, რა წყალში ჩავარდე. ჩემს ძალას აღემატება შენდამი სიყვარული. ამას შენ ვერ გაიგებ, მაგრამ, ალბათ, დამიჯერებ მაინც; ერთხელ ისიც უნდა მითხრა, რომ ! ელ

ცოტათი მაინცა ხარ ჩემი მაღლობელი, რადგან ასეთი სიყვარული დაფასების ღირსია; ისიც უნდა შემთხვევით არასოდეს მილალატებ და არ მომატყუებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ ჩემი სიყვარული არ შეგიძლია; ეს ყველაფერი მაღლობის ნიშნად, მხოლოდ და მხოლოდ მაღლიერების ნიშნად; მე მოვედი იმისათვის, რომ ეს მეთხოვა, მეთხოვა ისე გულთადად და ისე მგზნებარედ, როგორადაც კი ძალმიძს...“ და ასეთი საუბრები თავდებოდა იმით, რომ ვეკილი მდგომარეობის შეუცვლელად წყნარად და მწარედ ატირდებოდა. ასეთ შემთხვევაში ამრა ოდნავ მოღებოდა ხოლმე, ხელს გადაუსვამდა ქმრის ჯვარს და მოშვებული, მანუგეშებელი და თანაც დამცინავი ხმით რამდენიმეჯერ განუმეორებდა, ისე როგორც მიმართავენ პატრონთან სალაქუცოდ მისულ ძალს: „ჰო, ჰო! კეთილო ცხოველი!“

ამრას ასეთი საქციელი, რასაკვირველია, არ შეეფერებოდა ზნეობრივი ქალის ყოფაქცევას. თუმც დიდი ხანია თავს ვიკავებდი, მაგრამ ახლა უკვე დადგა დრო სიმათლეს ფარდა აეხადო; ამრა თავის ქმარს მაინც ატყუებდა ღალატობდა.

ამ კაცის სახელია — ბ-ნი ალფრედ ლოიტერი. ეს იყო ერთი ახალგაზრდა საკმაოდ ნიჭიერი მუსიკოსი, რომელიც თავისი მცირე საღაღობო მუსიკალური ნაწარმოებებით ოცდაშვიდი წლის ასაკში რამდენადმე ცნობილი გამხდარიყო. იგი ტანადი მამაკაცი იყო, ოდნავ უტიფარი სახისა, თმა ქერა ჰქონდა და გაჩეჩილი; თვლებში თვითდარწმუნებული ღიმილი უციალებდა, იგი ეკუთვნოდა თანამედროვე წერილფება ხელოვანთა იმ ჯგუფს, რომლებიც საკუთარ თავს ბეერს არ სთხოვენ და პირველ რიგში ცდილობენ სეპედნიერი და სანდომიანი ადამიანები იყენენ და თანეანთი პატარ ნიჭი გამოიყენონ იმისათვის, რათა პირადი თავაზი გაზარდონ და საზოგადოებაში მემიტი გენიოსებად გაასაღონ თავი. შეგნებულად ბავშვურნი, ამორალურნი, უტიფარნი, მხიარულ-

ნი, თვითკმაყოფილნი და ამასთანავე ესენი იმდენად ჯანმრთელნი არიან, რომ თვით ავადმყოფობის დროსაც სურათ სხვას მოაწონონ თავი. მათი ეს კვლევება სასიამოვნოა, სანამ რაიმე უბედობა შეხვდებოდეთ, მაგრამ, ვაი, ამ ძალად სვებედნიერებსა და პამპულებს, როცა მათ სერიოზული უბედურება დაატყდებათ თავს, უბედურება, რომელთანაც კვლევება შეუძლებელია. ისინი ვერაფერს ვერ გაუგებენ ამ უბედურებას, ვერ გაღიჯნენ მას ვაჟაკურად, ისინი დაიღუპებიან... მაგრამ ეს უკვე სხვა მოთხრობის თემა... ბ-ნი ლოიტნერი მშვენიერ ნაწარმოებებს თხზავდა: მეტწილად ვალსებსა; ღამა მახურკებს, რომლებიც იმდენად პოპულარული იყვნენ, რომ მათი ჭეშმარიტ მუსიკად მიჩნევა გაჰირდებოდა (რამდენადაც მე ეს ვამეგება), თვითველ მათგანში, რომ არ ყოფილიყო ერთი ორიგინალური ადგილი, თავისებური გადასვლა, უჩვეულო ჩანართი, ჰარმონიული შემობრუნება, ანდა ისეთი რამ, რაც ნერვებს აღიზიანებს და ჭკუამახვილობასა და თავისებურ გამოგონებლობას ამკლავებს. ამიტომ იყო, რომ ეს მუსიკალური ნაწარმოებნი სპეციალისტებსაც აინტერესებდათ. ზოგჯერ ლოიტნერის ამ ორიოდ განკერძოებულ ტაქტს თან დაჰყვებოდა რაღაც გასაოცრად სევდიანი და მელანქოლიური, მაგრამ ყოველივე ეს მოულოდნელად და სწრაფად ინთქებოდა მუსიკალური ნაწარმოების ფარალალა საცეკვაო განწყობილებაში.

სწორედ ამ ახალგაზრდა მამაკაცისადმი აღიზნო ამრა იაკობი ცოდვილი ენებით და ვაჟსაც თავის მხრივ არ აღმოაჩნდა იმდენი ზნეობა რომ წინააღმდეგობა ამ ცდუნებას. ისინი ხვდებოდნენ ხან იქ, ხან აქ და თვეების და წლების მანძილზე გრძელდებოდა მათ შორის სასიყვარულო ურთიერთობა; ეს იცოდა მთელმა ქალაქმა და ვეჭოლის ზურგს უკან ჭორაობდა. რაც შეეხება ვეჭოლს... ამრა იმდენად შტერი იყო, რომ სინდისის ქეჯნას არ განიცდიდა

და ამით საკუთარ თავსაც არ ამკლავებდა. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, როგორადაც არ უნდა ყოფილიყო ვეჭოლის გული ზრუნვითა და შიშით დამძიმებული, თავისი მეუღლისადმი კონკრეტულად მაინც არ ეჭვიანობდა.

და აი, ყველას გულის გასახარად გაზაფხული დადგა და ამრასაც მშვენიერი აზრი დაებადა.

„კრისტიანი“ — თქვა მან — (ვეჭოლს კრისტიანი ერქვა) — „გავმართოთ დღესასწაული, დიდი დღესასწაული ახლადამდგარი გაზაფხულის აღსანიშნავად, — რასაკვირველია სრულიად უბრალოდ, გვექნება მხოლოდ შემწვარი ხბოს ცივი ხორცი, ხალხს კი ბევრს მოვიწვევთ“.

„კარგი“, — უპასუხა ვეჭოლმა. — „მაგრამ არ შეიძლება მცირეხნით გადავდეთ?“

ამრას ამაზე არ უპასუხია, იგი მაშინვე დეტალების დაუსტებას შეუდგა.

„ხალხი იმდენი იქნება, რომ ჩვენი ბინა ვერ დაიტევს; ამიტომ დავიჭირავებთ სახლს, ბაღს, დარბაზს, რათა საკმარისი ადგილი და ჰაერი გვექონდეს. ეს შენთვისაც გასაგებია, პირველ რიგში მე ბ-ნ ვენდელინის დიდი დარბაზი მაქვს მხედველობაში; ლერპენბერგის ძირას. ეს განცალკევებული შენობაა, რომელიც სამზარეულოსა და ლუდის სახდელს შუშაბანდით უკავშირდება. შეიძლება მოვრთოთ სადღესასწაულოდ, ჩავდგათ გრძელი მაგიდები და ესვით გაზაფხულის ლუდი. შეიძლება ვიცეკვოთ და მუსიკა დავუკრათ, აგრეთვე წარმოდგენაც ვავმართოთ, იქ ხომ არის პატარა სცენაც, რაც განსაკუთრებულად მაინტერესებს. ერთი სიტყვით, ეს უაღრესად თავისებური დღესასწაული უნდა იყოს და ჩვენც შესანიშნავად უნდა მოვილხინოთ“.

ამ ლაპარაკის დროს ვეჭოლს სახე ოდნავ გაუყვითლდა და ტუჩის კუთხეები აუკანკალდა. მან შენიშნა:

„მე გულით მიხარია ეს, ჩემო საყვარელო ამრა. სრული იმედი მაქვს

შენი მოხერხების, გახვოვ სამზადისს შეუდგე“.

და ამრა შეუდგა სამზადისს. იგი მოეთათბირა სხვადასხვა ქალებსა და მამაკაცებს, პირადად დაიქირავა ბ-ნ ვენდელინის დიდი დარბაზი; მანვე ჩამოაყალიბა წარმოდგენის გამმართავი კომიტეტის მსგავსი რაღაც, რომელშიაც შევიდნენ სპეციალურად მოწვეული პირები და აგრეთვე ისეთებიც, რომლებმაც თავისი ნებით განაცხადეს სურვილი. ამ წარმოდგენით უნდა დაგვირგვინებულიყო დღესასწაული. კომიტეტი შედგებოდა მხოლოდ მამაკაცებისგან, გარდა კარის მსახიობის ჰილდებრანდტის მჭულლისა, რომელიც მომღერალი იყო. სხვებთან ერთად კომიტეტის შემადგენლობაში იყვნენ ბ-ნი ჰილდებრანდტი, ასესორი ვიტცენაგელი, ერთი ახალგაზრდა მხატვარი და ბ-ნი ალფრედ ლოიტნერი, აგრეთვე ასესორის შიერ მოყვანილი რამდენიმე სტუდენტი, სტუდენტებს ზანგური ცეკვები უნდა შეესრულებინათ.

ამრას გადაწყვეტილების მიღებიდან რვა დღის შემდეგ კომიტეტი საათობიროდ შეიკრიბა კაიზერშტრასეზე; ამრას სალონში, ერთ პატარა, თბილ ოთახში; ოთახი მორთული იყო სქელი ხალიჩით, ოტომანით (ოტომანზე ბევრი ბალიშები ეყყო) პალმით, ინგლისური ტყავის საგარძლებით და ზავერდის-საფრანოი წითელი ხის მაგიდით, მაგიდა მოხრილ ფეხებზე იდგა. აქვე იყო აგრეთვე ბუხარი, მას ჯერ კიდევ ანთებდნენ ხანდახან, ბუხრის თავზე ეყყო რამდენიმე ბუტერბროტიანი თეფში. იქვე იდგა ჰიჭები და ორი სურა შერით საესე. ამრა, რომელსაც ფეხი-ფეხზე გადაედო, ოტომანის ბალიშებს მიყრდნობდა; ოტომანს პალმის ჩრდილი ეცემოდა, და ამრა ისეთი მშვენიერი იყო, როგორც თბილი ღამე. მის ზედა ტანს ძლიერ თხელი აბრეშუმის ქათქათა ხალათი ფარავდა. ხოლო კოფთა, რომელზედაც დიდრონ-დიდრონი ყვავილები ამოქარგათ, მიმომე და მუჭიფერი ნაპრისა იყო. ამრა ხანგამოშვებით ხელით ის-

წორებდა ვიწრო შუბლზე ჩამოშლილ წაბლისფერ თმის კულულებს; მანვე ჰილდებრანდტი, — მომღერალი მხოლოდ ამრას გვერდით იჯდა ოტომანზე. მას წითელი თმა ჰქონდა და მხედრის ტანისამოსი ეცვა. ქალების მოპირდაპირე მხარეს, მკიდრო ნახევარწრედ მამაკაცები მოთავსებულიყვნენ. ძალიან დაბალ ტყავის სავარძელზე ვეჭილი მოკალათებულიყო, სახეზე, უსაშველო უზედურება ეხატებოდა, ხანგამოშვებით ღრმად ამოისუნთქავდა და ნერწყვს ისე ყლაპავდა, თითქოსდა მოძალებულ გულისრევას ებრძვისო. ბ-მა ალფრედ ლოიტნერმა, რომელსაც ჩოგბურთელის კოსტუმი ეცვა, უარი თქვა დაჯდომაზე, ირწმუნებოდა, დიდხანს უძრავად ჯდომა არ შემიძლიაო; იგი მოხდენილად და კოპწიად მიყრდნობოდა ღუმელს.

ბ-ნი ჰილდებრანდტი სასიამოვნო ხმით ინგლისური სიმღერების შესახებ მსჯელობდა. იგი უაღრესად სოლიდური შესახედლობისა იყო, ეცვა შავები, ჰქონდა ცეზარის ფართო თავი და საზოგადოებაში ძალდაუტანებელი თვითდაჯერებული საქციელით გამოირჩეოდა. იგი სასახლის მსახიობი გახლდათ. მრავალმხრივ განსწავლული იყო და დახვეწილი გემოვნება ჰქონდა. მას უყვარდა ფრიალ სერიოზულ საუბარში იბსენის, ზოლასა და ტოლსტოის გაკიცხვა, რომლებიც მისი აზრით ერთი და იგივე დასაგმობ მიზნებს ისახავდნენ. დღეს კი იგი შემწყნარებლურად დაშვებულიყო ასეთ უმნიშვნელო საქმიანობამდე.

„ნაცნობია თუ არა თქვენთვის, ბატონებო, მშვენიერი სიმღერა „Tha's Maria?“ — იკითხა მან. ეს არის ცოტათი პიკანტური, გასაოცარი ზემოქმედების სიმღერა. კარგი იქნება ცნობილი..“ და მან ჩამოთვალა, კიდევ რამ-

1 ეს არის მარია. (ინგ.) სიმღერის სათაურია, რომელიც მოდამი იყო თომას მანის სამშობლო ქალაქში — ლიუბეკში, გასული საუკუნის 90-იან წლებში.

დენიმე სხვა სიმღერა, რაზედაც ბოლოს და ბოლოს ყველანი შეთანხმდნენ, ხოლო ქ-მა ჰილდებრანტმა მათი შესრულება იკისრა. ახალგაზრდა მხატვარს, უზომოდ ჩამოვარდნილი მხრები და ქერა წვეტიანი წვერი რომ ჰქონდა, ოინბაზი უნდა განესახიერებია, ხოლო ბ-ნ ჰილდებრანტს ცნობილი ადამიანები უნდა წარმოედგინა. მოკლედ, საქმეს კარგი პირი უჩანდა და პროგრამაც თითქოს უკვე საბოლოოდ შედგენილი იყო, როდესაც ასესორმა, ბ-ნ ვიტცნაგელმა, რომელსაც დახვეწილი ქცევა ჰქონდა და სახეზე მრავალი ნაჭრილობები ეტყობოდა, უცბათ კვლავ სიტყვა ითხოვა.

„კეთილი და პატიოსანი ბატონებო, ყველაფერი ეს, ჩანს საინტერესო იქნება, მაგრამ შეუძლებელია არ განვაცხადო, რომ ჩვენ კიდევ რაღაც გვაკლია, სახელდობრ მთავარი ნომერი, ბრწყინვალე ნომერი, დამავიკრგვინებელი ნომერი, რაღაც სრულიად განსაკუთრებული, საესებით მოულოდნელი, ხუმრობა, რომელიც ჩვენი მხიარულების მწვერვალი იქნება. მოკლედ ეს თქვენთვის მომინდვია, მე კონკრეტული იდეა არ მაქვს, მაგრამ ჩემი გრძნობების კარნახით...“

„სწორია!“ — გაისმა ბ-ნ ლოიტნერის ტენორი, — „ვიტცნაგელი მართალია. მთავარი და პროგრამის დასკვნითი ნომერი სასურველია და აუცილებლად უნდა მოვიფიქროთ“. და ვიდრე იგი სწრაფი მოძრაობით წითელ ქამარს ისწორებდა გამომცდელად ვადავლო თვალი იქ მყოფთ. მისი სახის გამომეტყველება ამ დროს მართლაც რომ თავზიანი იყო.

„კი მაგრამ“ — წარმოსთქვა ბ-ნ ჰილდებრანტმა, — „განა დიდი ადამიანების გამოსახვა არ წარმოადგენს პროგრამის კულმინაციურ წერტილს?“..

ყველა ასესორს უკერდა მხარს. განსაკუთრებით სახუმარო ნომერი იყო საპირო. თვით ვეჭილმაც კი დააქიციანა თავი და წაილულულა „ჭეშმარიტად,

რაღაც გამორჩეულად მხიარული... ყველა ფიქრებში ჩაეფლო. **ეროვნული** და ამ პაუზის ბოლოს **სალონის** თითქმის ერთი წუთი გრძელდებოდა ოლონდ შიგადაშიგ მოკლე-მოკლე წამოძახილებით თუ ირღვეოდა, მოხდა რაღაც გასაოცარი. ამრა, ოტომანზე მიყრდნობილი ბალიშებში ჩაფლულიყო, ცქციტად და გულმოდგინედ, თავივით ღრღნიდა ნეკა თითის წაწვეტებულ ფრჩხილს; მის სახეს განსაკუთრებით თავისებური გამომეტყველება მიეღო. ტუჩებზე დასთამაშებდა ღიმილი, რომელიც მტყველებდა მტანჯველ და ამავე დროს საშინელ ავზორცობაზე; მან ფართოდ გახელილი თვალებით მხერა ბუხრისაკენ ზანტად მიაპყრო, წუთით ახალგაზრდა მუსიკოსს თვალი თვალში გაუყარა, შემდეგ მოწყვებელი მოძრაობით ქმრისკენ გადაიხარა, ორივე ხელი კალთაში ჩაუდო, გამგზირავად და გამჭვალავად ჩააშტერდა, ისე, რომ ქალის სახე შესამჩნევად გაფიქრდა და მკაფიოდ და დაბეჯითებით თქვა:

„კრისტიან, წინადადებას გაძლევ კონცერტის დასასრულს გამოხვიდე ზავ-შვის წითელ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი და თანაც იცეკო!“.

ამ სიტყვების ზემოქმედება შემაძრწუნებელი იყო. მხოლოდ ახალგაზრდა მხატვარმა სცადა უწყინრად გაციინება, ბ-ნ ჰილდებრანტს სახე ქვასავით ცივი გაუხდა და სახელოს ჩამობერტყვა დაიწყო; სტუდენტებმა ხველა ატეხეს, უხრდელად და ხმამაღლა იხოცავდნენ ცხვირებს, ქ-ნი ჰილდებრანტი საშინლად აიღეწა რაც არც თუ ისე ხშირად ემართებოდა, ასესორი ვიტცნაგელი გაიქცა, რათა ბუტერბროტი მოეტანა. ვეჭილი საცოდავად დაკოსებულიყო თავის დაბალ საეარქელზე. სახე გაყვითლებოდა, შიშნარევი ღიმილით აქეთ-იქით იყურებოდა და თანაც ბურტყუნებდა:

„მაგრამ ღმერთო ჩემო... მე... ვეჭვობ ვივარგო... არა იმიტომ რომ... გთხოვთ მამატიოთ...“

აღფრედ ლოიტნერს უდარდელი სახე შეცვლოდა. ცოტა გაფითლებულიც ჩანდა, კისერი წაეგრძელებია და თავგზააბნეული, გაკვირვებული და შემკრთალი ამრას უყურებდა.

ამრა კი არ იცვლიდა თავის გამოწვევ იერს და ისევ დაბეჯითებით განაგრძობდა:

„იმღერებ სწორედ იმ სიმღერას, კრისტინან, რომელსაც ბ-ნი ლოიტნერი დაწერს, აკომპანიმენტს თვითონვე ლოიტნერი მოგაწვდის. ეს იქნება ჩვენი დღესასწაულის ქეშმარიტი და ნამდვილი კულმინაციური წერტილი“.

ჩამოვარდა სიჩუმე, მძიმე სიჩუმე. ხოლო შემდეგ უეცრად მოხდა რაღაც ვასაოცარი: ბ-ნმა ლოიტნერმა თითქოსდა ამრას განწყობილება გადაედო, გატაცებულმა და აღელვებულმა ნაბიჯი წინ გადადგა, აკანკალებული ხმით, რაღაც უცაბედი შემთხვევით აღფრთოვანებულმა, აჩქარებულად დაიწყო ლაპარაკი:

„ღმერთმანი ბ-ნო ვეჭილო, მე მხად ვარ, მე პირობას გაძლევთ დავწერო თქვენთვის რაიმე, თქვენ კი უნდა იმღეროთ და იცეკვოთ. ეს იქნება დღესასწაულის ერთადერთი მწვერვალი. თქვენ ნახავთ, თქვენ დაწმუნდებით, ეს იქნება ყველაზე საუკეთესო რამ, რაც მე დღემდის გამოიკეთებია და რასაც შემდგომში გავაკეთებ. ბავშვის წითელ კაბაში! ოჰ, თქვენი მეუღლე ხელოვანია, ხელოვანი-მეთქი, ვამბობ მე! ეს რომ ასე არ იყოს, ასეთი აზრი არასოდეს დაებადებოდა მას. გემუდარებით, დათანხმდით, თანხმობა განაცხადეთ! მე რაღაცას მოვიმოქმედებ... აი, თქვენ ნახავთ...“

აქ კი უხერხულობა გაიფანტა და ყველა ამოძრავდა. ბორბლებისა თუ თავაზიანობის გამო ყველა ვეჭილს მიმართავდა თხოვნით, ხოლო ჟ-ნი პილდებრანდტი ისე გათამამდა, რომ თავისი ბრუნპილდესებური ძლიერი ხმით ვეჭილს უთხრა:

„ბ-ნო ვეჭილო, თქვენ ხომ საერთოდ მხიარული და მომღიზიანებელი ადამიანი

ხართ!“ ბოლოს როგორც იქნა თვით ვეჭილმა მოძებნა სიტყვები და ჯერ კიდევ რამდენადმე გავეფხვინებულმა მტკიცე გადაწყვეტილებით განაცხადა:

„მომისმინეთ, ბატონებო... მომისმინეთ... რა უნდა გითხრათ? მერწმუნეთ მე ამისათვის არ გამოვდგები. არ მაქვს კომიკური ნიჭი და ამას გარდა... მოკლედ, არა... სამწუხაროდ. ეს შეუძლებელია“.

ვეჭილი ჯიუტად იდგა უარზე, რადგან ამრა მეტად აღარ ერეოდა ლაპარაკში (იგი თითქოსდა ოცნებებში წასული ოტომანს მიყრდნობოდა) ბ-ნი ლოიტნერიც არ იღებდა ხმას, იგი დაფიქრებული, ხალისის ერთერთ არაბესეს მიშტერებოდა, ბ-ნი პილდებრანდტმა შესძლო საუბრისათვის სხვა მიმართულება მიეცა. მალე საზოგადოება ისე დაიშალა, რომ ეს უკანასკნელი საკითხი გადაუწყვეტელი დარჩათ.

მაგრამ იმავე დღეს, საღამოთი, როდესაც ამრა უკვე დასაძინებლად წავიდა და ჯერ კიდევ ფართოდ გახელილი თვალებით იწეა, მასთან მძიმე ნაბიჯებით მისი მეუღლე შევიდა, სკამი საწოლთან მიიდგა, ზედ დაეშვა და წყნარად და ყოყმანით დაიწყო:

„მომისმინე ამრა, მართალი გითხრა, ეჭვებისაგან განადგურებული ვარ. თუ დღეს საზოგადოებას უარი ვუთხარი, თუ იგი გავაწბილე, ღმერთმა უწყის, რომ ამის განზრახვა არ მქონია. ან შენ სერიოზულად თუ ფიქრობ... ვთხოვ...“

ამრა ერთხანს სდუმდა, ბოლოს წარბები აზიდა, მხრები აიჩეჩა და თქვა:

„არ ვიცი, რა უნდა გიპასუხო, ჩემო მეგობარო, შენ ისე მოიქეცი, რომ ამას შენგან არასოდეს არ მოველოდი. შენ უხეშად უარი თქვი წარმოდგენის გამართვაში დაგვხმარებოდი და მხარი დაგვიჭირა ჩვენთვის. შენ მთელი საზოგადოება, რბილად რომ ვთქვა, მძიმედ შეურაცხველი და მთელი დღესასწაული შენი ტლანქი უზრდევლობით მოგვიწამლე, მაშინ როდესაც შენი, როგორც მასპინძლის მოვალეობა იყო...“



ვექილს თავი ჩაეჭინდრა და ქოშინით ამბობდა:

„არა, ამრა, დამიჯერე, მე არ მინდოდა უხეში ვყოფილიყავი. არც მინდა ვინმე შეურაცხევყო ანდა ვინმე გავანაწყენო. თუ მე საზიზღრად მოვიქცეო, მზად ვარ დანაშაული გამოვიწყიდო. საქმე ეხება ხუმრობას, სახიობას, უწყიხარ ლაღობას, რატომაც არა? მე არ მინდა ხელი შევეუშალო ზეიშს, თანხმობას ვაცხადებ“...

მეორე დღეს ამრა კიდევ ერთხელ გაემგზავრა „სასყიდლებზე“. მან ეკიპაჟი ჰოლცშტრასზე № 78-თან გააჩერებინა, ჩამოხტა და მეორე სართულზე ავიდა, სადაც მას უკვე ელოდნენ. როცა იგი ნდომა-აშლილი და თავდავიწყებული ვაჟის თავს გულში იხუტებოდა, ვნებისაგან აკანკალებული ხმით ჩურჩულებდა:

„დასწერე ოთხი ხელისათვის, გესმის! ორივე დაეუკრავთ აკომპანიმენტს, იგი იმღერებს და იცეკვებს. კოსტუმზე კი მე, მე ვიზორუნებ!“ და უცნაური ყრკოლა, შეგავებული და კონვულსიური სიცილი ჩაიღვარა ორთავეს სხეულში.

ყველას, ვისაც სურვილი აქვს გადაიხადოს დღესასწაული, დიდი დღესასწაული და ისიც სუფთა ჰერზე, ბუნების წიაღში. თამამად შეუძლია დაიჭიროს ბ-ნ ვენდელინის სახლი ლერჰენბერგზე. ჩაივლით მშვენიერ ქუჩას და შეხვალთ მალალი გისოსებიანი კიშკრის გავლით ბაღში, რომლის შუაგულში ვეებერთელა სანადიმო დარბაზია. ეს დარბაზი ვიწრო დრეფნით რესტორანს, სამზარეულოსა და ლუდის სახელს უკავშირდება. არქიტექტურულად იგი ჩინური და რენესანსული სტილის უცნაურ ნარევს წარმოადგენს; მას აგრეთვე რამდენიმე დიდი კარი აქვს, რომელიც კარგ ამინდში შეიძლება ღიად დაეტოვოთ, საიდანაც ხეების სურნელობა შემოიჭრება.

დღეს ვენდელინის დარბაზისაკენ უამრავი კარეტა მოჰქროდა. კარეტებში

მსხდომნი ჯერ კიდევ შორიდან ამჩნევდნენ გისოსებზე, ხეებზე და კედელდარბაზზე მიჯრით ჩამოკიდებულ ხეობებზე ჰრელ მოციმციმე ლამპიონს. რაც შეეხება დარბაზის შიგნითა მორთულობას, იგი ნამდვილად შესანიშნავ სანახაობას წარმოადგენდა. ჰერს მთელს სიგრძეზე შიშვე გირლანდები გასდევდა, რომლებზედაც ქალაღლის მრავალი ლამპიონი იყო დამაგრებული, თუმცა ბოლოში ფოთლოვანი მცენარეულობით ნური ყვავილების მორთულებათა შორის უამისოდაც უამრავი ელექტრონათურა ანათებდა, რაც დარბაზს თვალისმომჭრელად აელვარებდა. დარბაზის ბოლოში ფოთლოვანი მცენარეულობით დამშვევებული სცენა იყო. სცენის წითელ ფარდაზე მხატვარს მფარველი სული გამოესახა. დარბაზის მეორე ბოლოდან, თითქმის სცენამდის გრძელი, ყვავილებით მორთული სუფრები გაეშალათ. მათ ვექილ იაკობის სტუმრები შემოსხდომოდნენ და გაზაფხულის ლუდს და ხზოს ხორცს შეეძვეოდნენ; ესენი იყვნენ: იურისტები, ოფიცრები, ვაჰრები, ხელოვანნი, მსხვილი მოხელენი. თავიანთი ცოლებითა და ქალიშვილებით — ერთად აღებული ასორმოცდაათ სულზე მეტი. ყველა სადად იყო ჩაცმული; მამაკაცები შვედურ სურათუკებში, ქალები კი ღია ფერის საგაზაფხულო კაბებში, რადგანაც დღეს ძალდაუტანებლობა და სისადავე კანონად იყო გამოცხადებული. მამაკაცები კათხებით ხელში თვითონ მიდიოდნენ დიდ კასრებთან და ლუდს ისხამდნენ; კასრები კედელთან ეწყო. ნაძვების, ყვავილების, ადამიანების, ლუდისა და საჭმელის მოტკპო და დახუთულ ოხშივარით გაელენთილ ვრცელ, ჰრელ და გაკაშვავებულ დარბაზში ერთი გნისი იდგა. ისმოდა ზუზუნნი და ხმაური, ამა-მალალი და ხმაღაბალი საუბარი, წკრიალა, თავზიანი, ცოცხალი და უდარდელი სიცილი, ვექილი უდიმლაზოდ და უმწეოდ იჯდა სცენის მახლობლად. ერთ-ერთ მაგიდის ბოლოში; იგი ცოტას სვამდა და დროგამოშვებით თავის მე-

ზობელს, მრჩეველ ქალს — ჰავერმანს ცალიყბით გადაულაპარაკებდა ხოლმე რამდენიმე სიტყვას. ვეჭილი მძიმედ სუნთქავდა. მას ლაშები უწნოდ ჩამოჰკიდებოდა, მისი შეშუპებული, ამღვრეული და წყლიანი თვალები უძრავად და უცხოდ შესცქეროდნენ გარშემო გამართულ მხიარულ ორომტრიალს, თითქოსდა ამ სადღესასწაულო ოზონვარში, ამ ყურისწამდებ მხიარულებაში იყო რალაც მისთვის გამოუთქმელად სამწუხარო და გაუგებარი.

დაიწყეს ტორტის ჩამოტარება, თან ტკბილი ღვინის სმასა და სადღევრძელოების წარმოთქმას შეუდგნენ. ბ-ნმა პილდებრანდტმა, სასახლის მსახიობმა, თავის სიტყვაში, რომელიც მთლიანად კლასიკური, მათ შორის ბერძნული ციტატებისაგან შესდგომოდა, ხოტბა შეასხა გაზაფხულის ლუდს; ასესორი ვიტცნაგელი ნატიფი ეესტებით ჰიქს უქაზუნებდა ქალებს; ამავე დროს ვაზიდან და სუფრიდან ყვავილის კონას იღებდა და თვითველ მათგანს ადარებდა და ერთ-ერთ რომელიმე ქალს. ამრა იაკობი, რომელიც თხელ, ყვითელ აბრეშუმის კაბაში ასესორის წინ იჯდა, აღიარებული იქნა „ჩაის ვარდის ულამაზეს დაიკოდ“.

ამ სადღევრძელოს მოსმენის შემდეგ ამრამ თავზე ხელი გადაისვა, წამწამები თავისებურად შეაზიდა და სერიოზული სახით ქმარს რალაც ანიშნა; ცოტა ხნის შემდეგ ჩასუქებული ვეჭილი წამოდგა და ცოტა დააკლდა კინაღამ საზოგადოებას გუნება გაუფუჭა. თავისი უსიამო, საზიზღარი ღიმილით ისე უზადრუჯად წაილულულა ორიოდ სიტყვა. გაისმა ნაწყვეტნაწყვეტი „ვაშას“ შეძახილება და უცებ მძიმე ღმილი ჩამოწვა. მაგრამ წუთიც და მხიარულება კვლავ განახლდა. გვარიანად შეზარხოშებული სტუმრები პაპიროსის წევით წამოიშალნენ და დარბაზიდან დიდი ხმაურითა და აღიქოთით მაგიდების გატანა დაიწყეს, რადგან ყველას ცეკვა სურდა.

უკვე თორმეტი საათი დაწყებულიყო და სრული ძალდაუტანებელი მხიარუ-

ლება სუფევდა. საზოგადოების ნაწილი სუფთა ჰაერზე მრავალფეროვნად დაგვიჩრადლებულ ბალში გამოფხვნილი ნაწილი კი დარბაზში დარჩა, ჯგუფ-ჯგუფად მოიყარეს თავი: პაპიროსს ეწეოდნენ, ლაყბობდნენ და ლუდს ზეზეურად ხერებდნენ. მაგრამ აი, სცენიდან გაისმა ძლიერი საყვირის ხმა, რომელიც ყველას დარბაზში იხმობდა; მუსიკოსები — სასულე და სიმებიანი საკრავებით — შემოვიდნენ და ფარდის წინ მოკალათდნენ; რიგ-რიგად ჩამწკრივებულ სკამებზე წითელი პროგრამები იდო. ბანოვანები სკამებზე ჩამოსხდნენ; მამაკაცები კი ზოგი მათ უკან გაჩერდა და ზოგიც ქალებს ამოუდგა გვერდში. ჩამოწვა მოლოდინით აღსავსე სიწყნარე.

შემდეგ პატარა ორკესტრმა ხმაურიანი შესავალი დაუკრა. ფარდა გაიხსნა; სცენაზე მუვირალა კოსტუმებში გამოწყობილი საზიზღარი შესახედლობის რამდენიმე ზანგი იდგა, ისინი სისსლივით წითელი ტუჩებს, მანქავდნენ, თეთრ კბილებს აჩენდნენ და ვეღურად ყმუოდნენ. ეს წარმოდგენა ამრას დღესასწაულის ნამდვილად კულმინაციური წერტილი იყო. გაისმოდა აღფრთოვანებული ოვაციები. თანდათან საინტერესო ხდებოდა ჰქვიანურად შედგნილი პროგრამა: ქ-ნი პილდებრანდტი შებუღრული პარიკით გამოვიდა, გრძელი ჯოხი იატაკს დაარტყა და ხმაამღლა „Tha's Maria?“ იმღერა! ოინბაზმა, ორდენებით დაფარულ ფრაკში რომ გამოჩნდა, თავისი ხელოვნებით, მოლოდინს გადააჰარბა: ბატონმა პილდებრანდტმა გასაოცარი მსგავსებით წარმოადგინა ვოეთე, ბისმარკი და ნაპოლეონი, ხოლო რედაქტორმა, დოქტორ ვიზენშპრუნგმა, უკანასკნელ წუთებში რომ გადაწყვიტა კონცერტში მონაწილეობის მიღება, წაიკითხა ჰუმორისტული მოხსენება თემაზე: „გაზაფხულის ლუდი და მისი სოციალური მნიშვნელობა“. დასასრულ დაძახულობამ მწვერვალს მიადწია: რადგანაც მოახლოვდა უკანასკნელი ნომრის შესრულების დრო, უკანასკნელი იდუმალე-

ბით აღსაყვებელი ნომრისა, რომელიც პროგრამაში დაფინანსების გვირგვინით იყო გარემოვლებული და შემდეგ იქვე დაიწყო: „ლუიზიანი. სიმღერა და ცეკვა. მუსიკა ალფრედ ლოიტნერისა“.

დარბაზი შეიკრა. ყველამ ერთმანეთს გადახედა: მუსიკოსებმა თავიანთი ინსტრუმენტები გვერდზე გადასდეს. ბატონი ლოიტნერი, რომელიც აქამდე მღეროდნენ მიყრდნობდა კარს და დაუდევრად გაეჩინა პირში პაპირისი, ამრა იაკობისთან ერთად პიანინოს მიუჯდა; პიანინო შუა ადგილას, ფარდის წინ იდგა.

ალფრედ ლოიტნერს სახე აღეწოდა და ნერვიულად ფურცლაგდა ხელით ნაწერ ნოტებს, ამრა კი, პირიქით, რამდენადმე ფერმკრთალი იყო, ერთი ხელით სკამს დაყრდნობდა და საზოგადოებას ფრთხილად ზეგრადა. შემდეგ გაისმა მწუხრის ხარის ხმა და ყველამ კისერი წაიგრძელა. ბატონმა ლოიტნერმა და ამრამ დაუკრეს ორიოდ ტაქტი, ფარდა აიხადა და სცენაზე ლუიზიანი გამოჩნდა...

მაყურებელს გაშტერებისა და გოცების ტალღამ გადაუარა, როდესაც სცენაზე დათვისებური, ვითომდაც საცეკვაო ბაჯბაჯით, მჭუნვარე, საზიზღრად შეთითხნილი მასა გამოჩნდა. ეს იყო ვექილი. ფართო უნაოჭო სისხლივით წითელი აბრეშუმის კაბა. რომელიც კოჭებამდე სწვდებოდა, შემოტყეცოდა მის უფორმო სხეულს, კაბა ისე იყო გამოჭრილი, რომ ფქვილით შეთხუზნული კისერი საზიზღრად ამოხრცულიყო. სახელოები მხრებთან ნაოჭდებოდა, ხოლო გრძელი, ღია მოყვითალო ხელთათმანები მის სქელ უკუნთო მკლავებს ფარავდა. თავზე გაკეთებულ მაღალ ქერა პარიკში გარკობილი ფრინველის მწვანე ფრთა აქეთ-იქით ქანაობდა. პარკის ქვემოდან გამოიყურებოდა გაყვითლებული, შეშუპებული, გაუბედურებული, უღიმგამოდ მოციხარი სახე; მუღმივად მოქანავე ჩამოკიდებული ლოყები სიბრალულს იწვევდა, ხოლო ჩაწითლებული პატარა თვალები ვერა-

ფერს ვერ ხედავდნენ, უშიზნოდ ჩაშტერებოდნენ იატაკს. ვექილი მან ურთ ფეხზე შეხტებოდა, ხან მეროჩეხ და თანაც ორთავე ხელით თავის კაბას ზვეითენ ექაჩებოდა, ანდა საჩვენებელი თითს პაერში გაიშვებდა — სხვაგვარად მოძრაობა მას არ შეეძლო. იგი აქლოშინებული და ყრუ ხმით როიალის აკომპანემენტზე სულელურ სიმღერას მღეროდა. ეს უბადრუკი მონჯენება ტანჯვისა და წამების უცნაურ ერკოლას გვრიდა იქ მყოფთ, რაც ყოველგვარ უშუალო მხიარულებას ახშობდა და მაყურებელს უგუნურების სახარელ კომპარად აწვეებოდა. მაყურებელთა ურიცხვ თვალებში ერთი და იგივე ძრწოლა ჩაწოლილიყო; ეს თვალები მონუსხულივით მიშტერებოდნენ პიანინოსთან მსხდომ წყვილს და სცენაზე მხტუნავ ვექილს. უხმაურო, აქამდე გაუგონარი სკანდალი ზუთ წუთ გრძელდებოდა.

შემდეგ დადგა წუთი, რომელსაც იქ მყოფთაგანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერ დაივიწყებს. აი, რა მოხდა ამ მცირე, მაგრამ საშინელი და მძიმე დროის მონაკვეთში.

ყველასათვის ცნობილია სასაცილო კუბლეტი, რომელსაც „ლუიზიანი“ ეწოდება: ექვს გარეშეა, ყველას მოაგონდება მელერი სტრიქონები.

არაფინ იცის ჩემსავით:  
ვალსი, მანურკა, პოლკა,  
მე ლუიზიანი ხალხიდან  
ყველა კაცის გულს ვბორკავ.

ეს უხვირო და მსუბუქი სტრიქონები შეადგენდნენ სამი სტროფის რეფრენს. ალფრედ ლოიტნერს ამ სიტყვებზე ახალი მუსიკა შეეთხზა; მას გამოეყენებია თავისი მანერა და ვულგარული სალალომო მუსიკაში პასაჟები შეეტანა. პირველი სტროფის მელოდია „ღო-ღიეზ-მაკორში“ ეღერდა საკმაოდ ლამაზად და საესებით ბანალურად, ზემოთმოყვანილი რეფრენის დასაწყისში ტემპი გამოცოცხლდა, გაჩნდა დისონანსები;

სულ უფრო და უფრო გახშირდა „სი“, რომელიც მოსალოდნელს ხდიდა „ფადიეზში“ გადასვლას. ეს დისპარმონიები თანდათან რთულდებოდა მეორე სტრიქონის ბოლო სიტყვამდე, ხოლო მესამე სტრიქონის დასაწყისში, სადაც დახლართულობა და დაძაბულობა თავის უკანასკნელ ზღვარამდე აღწევდა, უნდა მომხდარიყო გადასვლა „ფადიეზში“. ამის მაგიერ მოხდა სრულიად გასაოცარი რამ. უცაბედი შემობრუნებით, რომელიც ჩაფიქრებული იყო გენიალურად, ტონალობა გადადიოდა „ფამაჟორში“ და ეს დასაწყისი აუწერელ აქამდე გაუგონარ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე! ეს იყო მოულოდნელი, უცნაური თავზარდაცემა, ერთნეტლის მომგვრელი იჩქითი გაღიზიანება ნერვებისა. ეს იყო სასწაული, გამოცხადება, თავისი მოულოდნელობით შემზარავი გამოაშკარავება, თითქოს ჭარდა ჩამოიხიაო.

„დო-მაჟორის“ აკორდთან ვეჭილმა იაკობიმ ცეკვა შეწყვიტა. იგი ჩუმად იდგა შუა სცენაზე მილურსმნულივით, ორივე საჩვენებელი თითი ზეალმართული დარჩენოდა. სიტყვა „ლუიზ...“ პირზე შეეყინა. იგი დადუმდა — თითქმის იმავე წუთს შეწყდა აკომპანემენტც; ამ საზარელ, ამავე დროს სასაცილო არსებას კისერი ცხოველივით წინ წაეგრძელებია და ანთებული თვალები მიეპყრო სიერცისათვის. იგი უაზროდ ჩაშტერებოდა ამ მორთულ მოკაზმულ ნათელ და ადამიანებით საესე სადღესასწაულო დარბაზს, რომელშიაც თავშეკავებული სკანდალის სუნი ტრია-

ლებდა. იგი უყურებდა ზეაწეულ მკაფიოდ განათებულ დამცინავ სანთებს, უყურებდა ასობით თვალმსკერპელ ნიც ხან პიანინოსთან მსხდომ წყვილს, ხან კი მას ათვალეირებდნენ. დარბაზში საშინელი სამარისებური სიჩუმე ჩამოწოლილიყო, რომელსაც არ არღვევდა არც ერთი ჩქამი, ვეჭილს მზერა ზანტად გადაჰქონდა პიანინოსთან მსხდომ წყვილიდან ხალხზე და ხალხიდან წყვილზე. უცებ თითქოს თვალი აეხილაო, სახეზე სისხლი შემოაწვა, რომელიც ჯერ მის ტანზე ჩამოცმულ კაბის ფერს დაემსგავსა, ხოლო შემდეგ სანთელივით გაყვითლდა. და უცებ მსუქანი ვეჭილი მოწყვეტით დაეცა ძირს, ისე რომ სცენა შეზანზარდა.

წუთით სიჩუმე გამეფდა, შემდეგ გაისმა წამოძახილები, ატყდა ჩოჩოლო, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი არ დაბნეულა და მათ შორის ახალგაზრდა ექიმი, რომლებიც ორკესტრიდან სცენაზე შეხტნენ; ამ დროს ფარდაც ჩამოუშვეს...

ამრა იაკობი და ალფრედ ლოიტნერი კვლავ როიალთან ისხდნენ ერთმანეთის ზურგშექცევით. ვაქს თავი ჩაეჭინდრა, თითქოს კვლავ ყურში „ფამაჟორი“ ჩაესმისო, ქალს თავისი ბელურას ტვინით ჯერ კიდევ ვერ მოესაზრებია თუ რა მომხდარიყო, ცარიელი თვალებით თავის გარშემო იხედებოდა.

მალე დარბაზში სერიოზული სახის შევწვეროსანი, ტანმოძეგრო, ახალგაზრდა ებრაელი ექიმი გამოჩნდა. რამდენიმე კაცს, კარებთან გარს რომ შემოეხვივნენ, მან მხრების აჩეჩვით უპასუხა:

„შველაფერი გათავდა“.

თორემანი გერმანულიდან ნოდარ რუხაძისა

## კანდეპირის \* ფაღიშაჰის ასული

(თორქული ზღაპარი)

ოდესღაც ერთი ფაღიშაჰი ცხოვრობდა. ფაღიშაჰს მემკვიდრე არა ჰყავდა და ამით ძლიერ დადარდიანებული იყო. ერთ დღეს ფაღიშაჰმა ვეზირს უთხრა: „ვეზირო, შენც ჩემსავით უშვილო ხარ, მოდი, წავიდეთ, ქვეყანა მოვიაროთ, ვნახოთ ერთი, ალაჰი რას მოგვცემსო!“ დაჰყვა ვეზირიც ფაღიშაჰის ნებას. აღგნენ და ერთად წავიდნენ საშოგზაუროდ. იარეს, იარეს და ერთ გაშლილ ველზე წყაროს წაადგნენ. „მოდი, ვეზირო, ამ წყაროსთან ცოტა შევისვენოთო!“ უთხრა ფაღიშაჰმა ვეზირს. ორივენი ხის ძირში ჩამოსხდნენ. უცებ მათ ერთი ღერვიში \*\* გამოცეხადათ და ფაღიშაჰს, მიესალმა. ფაღიშაჰმა საღმთოვე უპასუხა და ღერვიშა ჰკითხა: „ღერვიშ ბაბა\*\*\*, შენ გამოიციანი, რომ მე ფაღიშაჰი ვარ. ალბათ, ისიც გეცოდინება, მე რა დარდი მაწუხებსო“. ღერვიშმა უპასუხა: „პოი, დიდებულო მბრძანებელო, შენ აქ იმიტომ ხარ მოსული, რომ სასახლეში გული არ გიდგება, რადგანაც მემკვიდრე არა გყავსო“. ამის თქმაზე ღერვიშმა უბიდან ორი ვაშლი ამოიღო, ერთი ფაღიშაჰს გაუწოდა, მეორე კი ვეზირს, თანაც დაარიგა: „ეს ვაშლები წაიღეთ სასახლეში, ნახევარი თქვენ მიირთვიეთ, ნახევარი კი თქვენ ცოლებს აჭამეთ და ალაჰი აუცილებლივ თითო მემკვიდრეს მოგცემთო“. თქვა ღერვიშმა ესა და წავიდა.

ფაღიშაჰი და ვეზირი აღგნენ და დაბრუნდნენ სასახლეში. იმ ღამეს იმ ვაშლების ნახევრები ცოლებს შეაჭამეს

\* იგივე კანდაპირი. ქალაქია სამხრეთ ავღანისტანში.

\*\* მუსლიმთა ბერი — სუფისტის. მოხეტიალე ღერვიშები განთქმული იყვნენ მკითხაობით. შელოცვებით, ექიმბაშობით და ხალხი მათ ჯადოქრებადაც სთვლიდა.

\*\*\* მამა. ამ შემთხვევაში — მამაო. (მიმართვა სასულიერო პირისადმი).

და დაწვენენ. ცხრა თვის თავზე ორივეს ვაჟები შეეძინათ. დიდად გაიხარეს ფაღიშაჰმა და ვეზირმა. დიდი ზეიმი გამოართეს, გადაიხადეს დიდი ლხინი და დაუწყეს ბავშვებს ერთად გაზრდა. როდესაც ბავშვები ცოტა წამოიზარდნენ, სწავლაც დააწყებინეს. ასე გადიოდა დრო.

ვაჟები თორმეტ-თორმეტი წლისა გახდნენ და ისე დამშობილდნენ, რომ დღე და ღამე ერთმანეთს ვერა სცილდებოდნენ. ერთ დღეს, როდესაც ბაზარში სეირნობდნენ, დაინახეს, რომ ერთ კაცს ხელში პატარა ღამაში ყუთი უჭირავს და ჰყიდის. კაცმა ყუთი ასი ლირა დააფასა. შაჰზადემ\* მოინდომა ყუთის ყიდვა. ვეზირის ვაჟმაც მოუწონა აზრი. ბიჭებმა ყუთი იყიდეს, სასახლეში წაიღეს და თავიანთ ოთახში დადეს. როგორც კი ვეზირის შვილი ოთახიდან გარეთ გავიდა, შაჰზადემ გაიფიქრა: „ნეტავ ამ ყუთში რა არის? მოდი, გავხსნი და ვნახავო!“ მივიდა და ყუთს სახურავი ახადა. ყუთში ღამაში ქალის სურათი იდო. ვაჟმა სურათს დახედა თუ არა, დაეცა და გრძნობა დაკარგა. ამ დროს მოუსწრო ვეზირის შვილმაც. შაჰზადემ ამ ყოფაში რომ ნახა, შეეშინდა, მოიტანა წყალი, ასხურა სახეზე და როგორც იყო, გონზე მოიყვანა. „მამო, მე ამ სურათმა გონება დამაკარგვინა, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა წავიდე და ეს ქალი ვიპოვოო“, უთხრა შაჰზადემ თავის მეგობარს და აჩვენა ქალის სურათი, რომლის ქვემოთ კუთხეში ეწერა „კანდეპირის ფაღიშაჰის ასული“. ბევრი ელაპარაკა ვეზირის ვაჟი, ბევრი ურჩია, რომ ამ საძნელო საქმისათვის თავი დაენებებინა: „ცოდო ხარ, ეს საქმე ბევრ უბედურობას დაგატეხს თავსაო“, მაგრამ ვერას გახდა. შაჰზადემ მის მულა-

\* უფლისწულო.

რას ყური არ ათხოვა. „მე მივდივარ და შენ, როგორც გინდა, ისე მოიქეციო“, თქვა და წასასვლელად გაემზადა. რას გააწყობდა ვეზირის ვაჟი, შაჰზადეს მარტო ხომ ვერ გაუშვებდა! ადგნენ ორივენი, შუალამისას შეკაზმეს ცხენები, არაჲის არაფერი უთხრეს და სასახლიდან გავიდნენ.

იარეს, იარეს და ერთ ქალაქში მოვიდნენ. ვაჟები ქუჩაში ერთ დედაბერს შეხვდნენ. „დედი, ამაღამ სტუმრად არ მიგვიღებო?“ ჰკითხეს. „შვილო ერთი პატარა ქოხი მაქვს, თავს რომ ქოხში შევყოფ, ფეხები გარეთა მრჩება და თქვენ სადღა მოგათავსოთო?“ უპასუხა ქალმა. შაჰზადემ დედაბერს ერთი მუჭა ოქრო აჩუქა. დედაბერმა ფული რომ დინახა, მოღბა და ძმობილები შინ წაიყვანა. შაჰზადე სიყვარულით ისე იყო გაგიჟებული, რომ ვერა ჩერდებოდა, სულ ტიროდა. მოხუცმა ქალმა რომ ვაჟი ამ მდგომარეობაში ნახა, ჰკითხა: „შვილო, რა მოგივიდა, რა გატირებსო?“. შაჰზადემ ჯიბიდან ქალის სურათი ამოიღო და აჩვენა დედაბერს. „დედი, აი ეს ქალი შემეყვარდა, მის საძებნელად ვართ წამოსული. თუ ამ ქალს ვერ ვიპოვნი, თავსაც აღარ ვიციოცხლებო“. დედაბერმა დახედა სურათს და ვაჟს უთხრა: „შვილო ეს ქალი ჩვენი ქალაქის ფადიშაჰის ქალიშვილია. ამ კვირას ათხოვებენ. მე სასახლეში ყოველდღე დადივარ. შენ ნუ გეშინია, ხვალ დილით შენც თან წაგიყვან და როგორმე ფადიშაჰის ქალიშვილს შეგახვედრებო“. ამის გაგონებაზე ვაჟი გადაეხვია დედაბერს, თავიდან ფეხებამდე დაჰკოცნა და დიდი გასამრჯელო აღუთქვა.

მეორე დღეს, დილით, დედაბერი პირდაპირ ფადიშაჰის სასახლისაკენ გაემურა. სასახლეში ფადიშაჰის ცოლი და ასული დიდის ამბით შეხვდნენ: „მობრძანდი, გეთყვა, რამდენი ხანია აღარ გამოჩენილხარ, რასა იქმ, ხომ კარგადა ხარო?“. დაუწყეს გამოკითხვა ქალებმა დედაბერსა და გაუბეს საუბარი. როგორც იქნა, დედაბერი ფადი-

შაჰის ქალთან მარტო დარჩა, იბეღოთა დრო და ვაჟის შესახებ სიტყვა-ჩამოტყველო. „ძალო, განა შენ არ გეცოდნებოდა დანიშნული ვარ და ამ კვირას მათხოვებენო?“. უპასუხა ქალმა. მაგრამ დედაბერმა მის სიტყვებს ყური არ ათხოვა და ქალს დაუწყაო ხვეწნა: „შვილო, ერთი ახალგაზრდა ბიჭია, შენი სურათი უნახავს და თავდავიწყებით შეტყვარებია. მხოლოდ ერთხელ უნდა შენი დანახვა. დღე და ღამე ისე ტირის, რომ ცრემლის ნაცვლად სისხლსა ჰღვრის, მოდი შვილო, ხათრს ნუ გამოიტეხ და ამ ვაჟს ერთხელ შენი სახე დანახვეო“. ვეღარ გაუძლო ქალმა დედაბერის მუდარას და უთხრა: „დედი, მე ხვალ ამა და ამ ქალაქში მივდივარ. იმ ქალაქის ფადიშაჰი ჩემი საქრმოა და მე საქორწინოდ მოუთმენლად მელოდება. მაგრამ იმ ვაჟს თუ ჩემი ნახვა ეგრერიგადა სწადიან, მაშინ მავან ადგილას რომ ბნელი აკლდამაა, იქ მივიდეს. როდესაც ჩვენ იმ სამარხის წინ გავივლით, მე ეტლიდან გადმოვალ და შიგ შევალ, იმ ვაჟს იქა ენახავო“. დედაბერი ადგა და შინ დაბრუნდა. ვაჟს ქალის ნათქვამი სიტყვა-სიტყვით გადასცა. გაუხარდა შაჰზადეს. შუალამისას ადგნენ ვაჟები, ცხენები-დედაბერის სახლში დატოვეს და დანიშნული ადგილისაკენ გაემართნენ. ფადიშაჰის ასულიც დილით ადგა, ჩაიცვა, მოიკაზმა და საქორწინოდ ამაღასთან ერთად ეტლში ჩაჯდა. გაუდგნენ გზას; როდესაც ბნელ სამარხს გაუსწორდნენ, პატარძალმა ეტლი გააჩერებინა და მსლებლებს მიმართა: „მე ცოტა ხნით აკლდამაში შევალ, თქვენ-კი აქ მომიცადეთო!“ ქალი შევიდა აკლდამაში და კარი გამოიკეტა. შაჰზადე და ვეზირის ვაჟი უკვე იქ იყვნენ. ფადიშაჰის ასულმა როგორც კი პირმშვენიერი შაჰზადე დანახა, სიყვარულის ცეცხლი მასაც მოედო და ვაჟს გადაეხვია. მიჯნურებმა დაუწყეს ერთმანეთს ალერსი და ხვეწნა-კოცნა. როდესაც ერთმანეთის ალერსით გული იჯერეს, დაწვნენ და დაიძინეს. ვეზირის ვაჟი კარებთან მცველად დადგა.

ამსობაში პატარძლის მსლებლები გარეთ ლოდინით დაილაღნენ და დაუწყეს სამარხის კარებს კაკუნი: „ქალბატონო, გვაგვიანდება, გამოდით, წავიდეთო!“ მაგრამ ქალსა და შაჰზადეს მაგრად ეძინათ და ამ ქვეყნისა არა ესმოდათ რა. შეფიქრიანდა ვეზირის ვაჟიც. აღარ იცოდა რით ეშველა მეგობრისათვის. ჩქარა ქალის მსლებლები კარებს შემოამტრევედნენ და შაჰზადე და ფადიშაჰის ასული დიდ ხიფათში აღმოჩნდებოდნენ. კარგა ხანს იფიქრა ერთგულმა ყმამ და გამოსაუვლიც იპოვა: მივიდა მძინარე ქალთან, გახადა საქორწინო ტანსაცმელი, თვითონაც გაიხადა ტანთ და ქალის ტანსაცმელი თვითონ ჩაიცვა, თავისი კი ქალს გვერდით დაუწყო და გარეთ გამოვიდა. „ძალიან დიდხანს დაგავგიანდათ, სულთან ხანუმ“, ქალაქში როდის მივალთო?“ შეეგებნენ მსლებლები, მაგრამ ვაჟმა, ვითომც აქ არაფერიყო, „დიახ, ცოტა დამაგვიანდაო“ თქვა და ქალის მაგიერ საპატარძლო ეტლში ჩაჯდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფადიშაჰის ასულსა და შაჰზადეს აკლდამაში გამოვლევიათ. ქალმა მიმოიხედა და თქვა: „ვაი, შაჰზადე, ეს რა მოგვივიდა, რამდენი ხანი გასულაო“, მერე დაიხედა ტანზე და მთლად შეშველი რომ ნახა თავი, დაიყვირა: „გავუშარტცივართ, ჩემი ტანსაცმელი წაუღიათო“. ამ დროს შაჰზადემ დაინახა ქალის გვერდით დალაგებული ვეზირის ვაჟის სამოსი და ფადიშაჰის ასულს დამწვიდება დაუწყო: „ნუ გეშინია, შენი ტანსაცმელი ჩემს მეგობარს ჩაუტყვამს და შენს მაგიერად პატარძლად ის წასულა. ის იქ თავის თავს უშველის და მოდი, ჩვენც მოვასწროთ აქედან გაქცევით!“ წამოიყვანა შაჰზადემ ქალი და თავის ნაცნობ დედაბერთან მოიყვანა. მოხუცმა ქალ-ვაჟს ერთი ოთახი მოუჩინა და იმთაც დაიწყო ბედნიერად ცხოვრება.

ვეზირის ვაჟი შექორწილებთან ერთად ქალაქში მშვიდობით ჩავიდა და

ფადიშაჰის სასახლისაკენ გიემართა. სასახლეში დიდი ქორწილისი სამზადისი იყო. პატარძლის ტანსაცმელში ვაჟი-წყობილი ვეზირის ვაჟი ცალკე ოთახში შეიყვანეს. მაგრამ ვაჟმა ითხოვა: „მგზავრობით ძლიერ დაღლილი ვარ და ორმოცი დღე დამაცადეთ, ცოტას დავისვენებ და შემდეგ ვიქორწინოთო“. ფადიშაჰმაც პატარძლის თხოვნა შეასრულა და ქორწილი ორმოცი დღით გადადო.

ფადიშაჰს ერთი ლამაზი და ჰყავდა. ახალგაზრდა ქალს უხაროდა ძმის ბედნიერება და მთელ დღეებს პატარძალთან ატარებდა. მას აზრადაც არ მოსდიოდა, რომ პატარძლის ტანსაცმელში მშვენიერი ვაჟკაცი იმალებოდა. ვეზირის ვაჟი და ფადიშაჰის და ბაღში სწორად გამოდიოდნენ და აუზთან სხდებოდნენ. ერთხელ, როდესაც ისინი აუზთან ისხდნენ, ზეზე ერთი ჩიტო ჩამოვარდა და გალობა დაიწყო. ვეზირის ვაჟმა გაიცინა და ქალს უთხრა: „იცი, ამ ჩიტო რა თქვა, ესენი რომ აუზში ჩავიდნენ და იბანან, ერთ-ერთი მათგანი კაცად იქცევა და ერთმანეთს შეერთავენო“. ქალს გაუხარდა და შესძახა: „მოდი, ერთი ვცადოთ, ვიბანაოთო!“ მაგრამ ვეზირის ვაჟი გაინახა: „არა, მე რომ კაცად ვიქცე, შენ ცოლად აღარ წამიყვებიო“. ქალმა დაუწყო ხეყინამულდარა: „მოდი, ვიბანაოთ და თუ მე ვიქცეი კაცად, შენ ცოლად შეგირთავ, თუ შენ იქცევი კაცად, მე ცოლად წამიყვანო“. მოილაპარაკეს, შეჭტიცეს ერთმანეთს და აუზში ჩავიდნენ. იბანავეს და აუზიდან რომ ამოვიდნენ, ქალმა დაინახა, რომ მისი სარძლო კაცად ქცეულიყო. „ვიიმე, დო, ალაშმა შენ კაცად გაქცია. მე შენ სიტყვა მოგეცო და ეხლა ცოლად უნდა მიითხოვო, მაგრამ რომ გავგივონ, ჩვენ ერთმანეთს არ მიგვცემენ და მოდი, სანამ არავის დავუწახივართ, აქედან გავიქცეთო!“ შესხდნენ ვეზირის ვაჟი და ფადიშაჰის და ცხენებზე და ქალაქიდან გავიდნენ.

იარეს, იარეს ქალ-ვაჟმა და ისინიც იმ დედაბერის სახლში მოვიდნენ, სა-

\* ქალბატონი. სულთან ხანუმი — სულთანის ცოლი ან ქალიშვილი.

დაც შაჰზადე და ფადიშაჰის ასული ცხოვრობდნენ. ძალიან გაუხარდათ მშობილებს ერთმანეთის ნახვა და გააწყვიტეს მეორე დილას ოთხივეს ერთად დაეტოვებინათ ქალაქი და თავიანთ სასახლეში დაბრუნებულიყვნენ. მეორე დილით მისცეს მოხუც ქალს ცოტაოდენი ოქრო, შესხდნენ ცხენებზე და გზას გაუდგნენ.

ფადიშაჰის სასახლეში კი დაუწყეს ძებნა პატარძალსა და ფადიშაჰის დას. ეძებეს, ეძებეს, მაგრამ მათ კვალსაც ვერ მიაგნეს. „ეჰ, აქ რაღაც ამბავიაო“, გაიფიქრა ფადიშაჰმა და ქალის მამას შეატყობინა. გაჯავრდა ფადიშაჰი „ჩემმა ქალმა გაქცევა როგორ გაბედაო“ და მღვერად დაადევნა, მაგრამ ამაოდ, ქალეყანი უკვე შორს იყვნენ. განრისხებულმა კანდეპირის ფადიშაჰმა მთელი სამფლობელო ფეხზე დააყენა და თავის ხელქვეითებს უბრძანა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ ეპოვათ მისი გაქცეული ასული. დატრიალდნენ ფადიშაჰის მსახურნი და ერთხელ ძებნისას ერთ ჯადოქარს წააწყდნენ. „ფადიშაჰის ასულს მე ვიპოვი. ისინი ოთხნი არიან. ოთხივეს დავიჭერ და მოგოყვანთო“, უთხრა დედაბერმა ფადიშაჰის მსლებლებს. მღვერებსაც ამ სიტყვებზე იმედი მიეცათ: „აბა, შენ იცი, შენ ეგ მოახერხე და კანდეპირის ფადიშაჰი უხვად დაგასაჩუქრებსო“, უპასუხეს მათ და ჯადოქარიც მამინევე დაედევნა გაქცეულებს.

შაჰზადემ და ვეზირის ვაჟმა ქალებთან ერთად ცოტა იარეს თუ ბევრი, ერთ წყაროს მიადღწიეს. „მოდი, აქ ცოტა დავისვენოთო!“ თქვეს და წყლის პირას წამოწვენენ. ჩქარა ყველას ძილი მოერია, მარტო ვეზირის ვაჟი ფხიზლოდა. როდესაც სამივეს კარგა მაგრადა ჩაეძინათ, ხეზე ორი მტრედი ჩამოჯდა. ერთი მტრედი განუწყვეტილად იცინოდა, მეორე კი ტიროდა. პირმცინარემ მტირალ მტრედსა ჰკითხა: „გენაცვალე, ეგრე რა გატირებსო — როგორ არ ვეტირო, ამ ხის ქვეშ მძინარე ოთხ ახალგაზრდას ხომ ხედავ? ესენი

ახლა ამ მოპირდაპირე მთას რომ გადავლენ, ტყიდან ერთი ლამაზი ცხენი გამოუბრუნდებათ, ახალგაზრდებს ცხენი მოეწონებათ და დასაქურად გამოუდგებიან. სინამდვილეში ეს ცხენი კი არა, ჯადოქარია. ოთხივეს დაიჭერს და კანდეპირის ფადიშაჰთან წაიყვანს. ფადიშაჰი კი მათ სიკვდილით დასჯის. აი, მეც ამიტომ ვეტირო, — უპასუხა მტირალმა მტრედმა.

— ჩემო კარგო, მაგისტვის რა გატირებს, მაგაზე ადვილი რა არის. ის ცხენი მათ უნდა მოკლან და ამით ხიფათს თავიდან აიცილენო, თქვა პირმცინარე მტრედმა, მაგრამ მეორემ ტირილი მაინც არ შეწყვიტა: „ეგ კიდევ არაფერი. ახალგაზრდები მეორე მთას რომ გადავლენ, წინ ერთი კობტა ძალღი დახვდებათ. ახლა იმ ძალღს გამოეყიდებიან. ეს ძალღი იგივე ჯადოქარია. ის ამ ახალგაზრდებს დაიჭერს და ფადიშაჰთან მიიყვანსო“. მეორე მტრედმა კვლავ სიცილი დაიწყო: „არც ეგ არის მაინცა და მაინც სამხელო. ის ძალღი ერთი დარტყმით უნდა მოკლან და გათავისუფლდებიანო“. მეორე მაინც ტირილით მოსთქვამდა: „ამით კიდევ ყველაფერი არ გათავდება. როდესაც შაჰზადე და ფადიშაჰის ასული იქორწინებენ, ქორწილის დამეს მოვა ის ჯადოქარი, ორივეს თავიანთ ლოგინიანად მოიტაცებს და წაიყვანს, მაშინ ამ საცოდავებმა რა უნდა ჰქნანო?“.

— რა უნდა ჰქნან და ჯადოქარს უნდა დაარტყან რამე და მოკლან. ამის შემდეგ სამუდამოდ თავისუფალი იქნებიანო, — მიუგო პირმცინარემ. მერე მტრედებმა თქვეს: „ვინც ჩვენს ნათქვამს გაიმეორებს, ქვად იქცევაო“. შეიფრთხილეს და გაფრინდნენ.

ვეზირის შვილმა ეს სიტყვები რომ მოისმინა, მძინარე მეგობრები გააღვიძა და საჩქაროდ გზის გაგრძელება უარჩია.

შესხდნენ ოთხივენი ცხენებზე და გავიშვარნენ. იარეს, იარეს და ერთი მთა გადაიარეს. უცებ ტყიდან მშვენიერი ცხენი გამოხტა. შაჰზადემ ცხენი რომ



დინახა, შეჰყვირა: „ეს რა ლამაზი ცხენია, მოდი, დავიჭიროთო!“ მაგრამ ვეზირის შვილმა არ გაუშვა და უთხრა: „შენ აქ გაჩერდი, მე მას ეხლავე დავიჭერო“. მიუახლოვდა ცხენს, იძრო ხმალი და ერთი დარტყმით სული გააფრთხოვნა. შაჰადესა და ქალებს ძალზე გაუკვირდათ ვეზირის ვაჟის საქციელი, მაგრამ არაფერი თქვეს. ყველანი ერთად ადგნენ და გზას გაუდგნენ. გადაიარეს მეორე მთაც. ახლა მათ წინ ერთი კობტა ძალი შემოხვდათ. მიეწონა შაჰადეს ეს ძალიც. მოინდომა მისი დავჭერა, მაგრამ ვეზირის შვილმა არც ეს დაანება: „შენ აქ მოიცადე, მე მოგიყვანო“. თქვა და ძალისაკენ წაივდა. ახლო რომ მივიდა, იძრო ხმალი და ისიც მოკლა. შაჰადემ ძალის ლეში რომ დაინახა, ისე შეეშინდა, რომ გაქცევაც კი დააპირა. ვეზირის ვაჟმა კიდევ გააფრთხილა მეგობარი: „შაჰადე, ასეთმა რამეებმა არ მოგატყუოს, ესენი ჩვენი მტრები არიან და ფრთხილად იყავით!“

ოთხივე ახლაგაზრდამ გზა განაგრძო. იარეს, იარეს, ცხრა მთა გადაიარეს და, როგორც იყო, შაჰადეს მამის სამფლობელოს მიაღწენ. ვაჟების დაბრუნება მაშინვე ფადიშაის ახარეს: „შაჰადე და ვეზირის ვაჟი საღსალამაით დაბრუნდნენო“. გახარებული ფადიშაი შეეგება შვილს, გადაეხვია და გადაკოცნა. „შვილო, ამოდენა ხანი სად იყავი? მე სულ გზისკენ მრჩებოდა თვალიო“, უსაყვედურა მამამ შვილს. შაჰადემ მამას კანდებირის ფადიშაის ასული აჩვენა და უთხრა: მამი, აი საცოლუე ჩამოვიყვანე და ქორწილის თადარიგს შეეუდგეთო!“ ფადიშაიმ მოუწონა არჩევანი შვილს და დიდი ქორწილიც გადაუხადა. ქორწილი ორმოც დღესა და ღამეს გაგრძელდა, ბოლოს ნეფე-დედოფალი ცალკე ოთახში მოათავსეს. ვეზირის შვილმა როგორღაც მოახერხა და დიდიდანვე შაჰადეს საწოლ ოთახში დაიმალა. როდესაც დაღამდა, ნეფე-პატარძალი დაწვნენ და დაიძინეს. შუალამისას უცებ ოთახის ჰერმა ერთი სა-

შინლად დაიჭრიალა და გაიხსნა, აიხტდა ზემოთ საწოლთან დამალულმა ვეზირის შვილმა და დაინახა, რომ ერთი რაღაც უმსგავსი ჯოჯო ზემოდან საწოლისაკენ დაეშვა; ჯადოქარი ისეთი შესაზარი რამ იყო, რომ სახზე არ შეეხებდებოდა. დედაბერი მიუახლოვდა საწოლს, მძინარეებს საბანი გადასადა და ის იყო საწოლიანად უნდა აეწია, რომ ვეზირის შვილმა შემოუქნია ხმალი და იქვე მოკლა. ვეზირის შვილი მაშინვე შეუჩნევლად გამოვიდა, შევიდა თავის ოთახში და დაწვა.

გათენდა მეორე დილა. გაიღვიძეს ნეფე-პატარძალმა და საწოლთან საზარელი ლეში რომ დაინახეს, ისე შეეშინდათ, რომ საბანი თავზე წაიხურეს და ადგილზე განძრევაც კი ვერ გაბედეს. ასე გავიდა ხანი. ბევრი უცადეს ნეფე-დედოფალს, აი, ახლა ადგებიან და აი, ახლა გამოვლენო, მაგრამ ნეფე-დედოფლის ოთახიდან ჩაში-ჩუმიც არ ისმოდა. ბოლოს შეამტკრიეს კარები და ოთახში შევიდნენ; მაგრამ დაინახეს თუ არა იმ ჯადოქარის ლეში, მაშინვე შიშით უკან გამოცვივდნენ. დაიწყო ერთი პითქმა-მოთქმა: „ეს ლეში აქ ვინ მოიტანაო?“ მაგრამ ამაზე პასუხის გამცემი არავინ იყო.

შაჰადეს მახლობლები ხედავდნენ, რომ შაჰადეს თავისი ტოლი და მეგობარი ვეზირის შვილი ძლიერ უყვარდა და ძალიანა შურდათ. ამიტომ იფიქრეს: „მოდი, ამ ლეშის აქ მოტანა ვეზირის შვილს დაეაბრალოთ და იქნებ ამითი სასახლიდან მოვიშორათო“. გადაწყვიტეს და შეასრულეს კიდევ. მივიდნენ და ფადიშაის მოახსენეს: „დიდებულო ფადიშაი, ამ ჯადოქარის ლეში ვეზირის შვილმა შეიტანა შაჰადეს ოთახში, რადგანაც უნდოდა, რომ შიშისაგან შაჰადე მომკვდარიყო და მისი ლამაზი ცოლი მას დარჩენოდაო“ იმდენი ელაპარაკენ ფადიშაის, რომ დაარწმუნეს ვეზირის შვილის ვერაგობაში. ფადიშაიმ იხმო თავისთან ვეზირის შვილი და ჯალათებს უბრძანა მისთვის თავი მოეკვითათ. ბევრი ეხვეწა, ემუდარა შაჰ-

ზადე მამას: „ვეზირის შვილი ამის გამკეთებელი არ არის, მან ბევრი სიკეთე გამოიწია და ბევრ ზიფათსაც გადამარჩინაო“, მაგრამ ფადიშაჰის გული მიანც ვერ მოაღბო. ვეზირის შვილმა იფიქრა: „ნომ მიანც ვკედებმი და ბარემ ყველაფერს ვიტყვი, ქვად ვიქცევი და დანის სიმწარებს მიანც ველარ ვიგარძნობო“ და უამბო, რაც კი თავს გადახდათ მასა და შაჰზადეს სასახლიდან გამოსვლის დღიდან. უამბო მტრედების ნახვა, მათი საუბარიც და ვაჟი მუხლებამდე ქვად იქცა. „შვილო მეტს ნურას მეტყვი, ახლა კი ნამდვილად მჯერა, რომ შენ ჩემი შვილის მტერი კი არა მეგობარი ხარო“. მაგრამ ვეზირის ვაჟმა უპასუხა: „რალა დროსია, მუხლებამდე ქვა ვარ და ყველაფერს ბოლომდე გეტყვიო“. დაამთავრა თავისი ამბავი ვაჟმა და სულ მთლად გაქვავდა. შემოიკრა თავში ხელი ფადიშაჰმა, იტირა, ივავლახა შაჰზადემ, მაგრამ რას გახდებოდნენ?! მეგობარს ვერა უშველა-რა. მეტი რა გზა ჰქონდა შაჰზადეს, ბაღში ააშენა აკლდამა, შიგ მოათავსა თავისი გაქვავებული მეგობარი და თვითონაც დღე და ღამ გვერდიდან არა სცილდებოდა.

გავიდა შვიდი წელიწადი. ერთ დღეს, როდესაც შაჰზადე ასე იჯდა თავის გაქვავებულ მეგობართან, კარი გაიღო და სამარხში ერთი თეთრწვერა მოხუცი შემოვიდა. შაჰზადემ შემოსული რომ დაინახა, ფეხზე წამოდგა და ხელზე ემთხვია. მოხუცმა ჰკითხა: „შვილო, რა გატირებსო?“ შაჰზადემაც ყველაფერი დაწვრილებით უამბო. „შვილო, მაგის გაცოცხლება ძალიან ადვილია. შვიდი წლის ბავშვი იპოვე, ამ ქვას დააკალი, მისი სისხლი ქვას დაადნობს და შენი მეგობარიც მაშინვე გაცოცხლდებაო“. შაჰზადეს სწორედ შვიდი წლის ვაჟი

ჰყავდა და დერვიშმაც ამ ბავშვის ცაკლა მოსთხოვა მას. შაჰზადემ მაშინვე შეეარდა სასახლეში და ბავშვი მოიკითხა. ყველას გაუკვირდა. „ამდენი ხანია ბავშვისათვის ზედაც არ შეუხედავს და ესლა ალბათ, რამე ქეიფს აწყობსო“, იფიქრეს გამზრდელებმა. ბავშვი ღამ-ზად მორთეს და შაჰზადეს მიჰგვარეს. შაჰზადემ მომვლელებს შვილი გამოართვა, ხალხი დაითხოვა და ბავშვს ქვავე ყელი გამოსჭრა. ბავშვის სისხლმა ქვა დაადნო და ვეზირის შვილი გაცოცხლდა. „ჰეი, შაჰზადევ, ეს რა ჰქენი, ბავშვი რად დაღუბე? მე ამ ქვაში ძალზე მოსვენებულად ვიყავი, აღბარაფერი მაწუხებდაო“, უსაყვედურა ვეზირის შვილმა შაჰზადეს, მაგრამ შაჰზადემ უპასუხა: „მეგობარო, ასი შვილი რომ მყავდეს, ყველას თავს შემოგავლებდი, ოღონდ შენ იყავი კარგადო“. ამ დროს ის დერვიში კვლავ შემოვიდა აკლდამაში და ვაჟებს მიმართა: „ნოდით, შვილებო, მე ვილოცებ, თქვენ კი „ამინი“ თქვით. იქნებ ალაჰმა ეს ბავშვი კვლავ გააცოცხლოსო“. მოხუცმა დაიწყო ლოცვა. შაჰზადე და ვეზირის შვილი „ამინს“ ამბობდნენ. დერვიშმა ბავშვის თავი ტანს შეაწება და ხელი გადაუსვა. მართლაც, ბავშვს თითქოს ძილისაგან გამოღვიძაო, ადგრილიდან წამოდგა და მამას შემოეხვია. მოხუცი ისევ გაუჩინარდა. გამოვიდნენ ყველანი ერთად სამარხიდან და ფადიშაჰთან მივიდნენ. ფადიშაჰმა მათი ნახვით ძალზე გაიხარა, გადაეხვია და ყველა გადააკონა. ამ სიხარულს ფადიშაჰმა ისიც დაუმატა, რომ ვეზირის ვაჟს თან წამოყვანილი ფადიშაჰის და შერთო ცოლად და გადაუხადა დიდო ქორწილი, რომელიც ორმოც დღე-ღამეს გაგრძელდა.

თარგმანი თერქულიდან ზ. გუღიაშვილის

ნელი გუბირიძე



ნაწვიმარი ქუჩა,  
სიცივემდე დასული სიგრილე  
და მაისის მოახლოება  
რატომლაც მაგონებს  
    მირზა გელოვანს.  
მოულოდნელად ძვირფას ჭაბუკს —  
    მირზა გელოვანს.  
და გავფითრდები  
როდესაც ვფიქრობ,  
რომ გააკეთა ადამიანმა  
    პატარა ტყვია,  
თავისებურად ლამაზი და  
    სიმძიმის მქონე,  
და რომ ეს ტყვია ესროლეს პოეტს,  
რომელსაც შორით ეგულებოდა,  
    სუანეთის მთები.  
მაინც რამდენს ესროლეს ტყვია,  
რამდენს ესროლეს;  
(და მოწამლული ხიროსიმაც  
როგორ კოოდა).  
გადმოსცქეროდნენ ვარსკვლავები  
ხანძართა ვულკანს,  
მათ ახლაც ახსოვთ,  
ო, ახსოვთ ალბათ

ქალაქებიდან აგარდნილი  
    ბოლის სიმწარე,  
და შავ ღამეში გადამწვიარი  
    პურის ყანები,  
რომლებიც წითლად ანათებდნენ  
    ჭრილობებივით,  
და მშიერ კაცებს უგზავნიდნენ  
    კვამლიან სურნელს.  
მათ ახსოვთ ალბათ...  
მე კი დღეს მირზას მაგონებენ  
    სველი კედლები,  
საყვედურით დარჩენილი  
    ცივი სიგრილე,  
და მაისის მოახლოება.  
და მაქვს ნუგეშად იმედები  
    ყოვლისმფარავი,  
რომ ლამაზ, ბავშვისთვალეზიან  
    ჭაბუკ პოეტებს  
არ დასჭირდებათ ხელმეორედ  
    თოფის აღება,  
რომ აღარასდროს გაკეთდება  
    ნაღმი და ტყვია,  
და თეთრ ქალაქებს არ დასეტყავს  
    სიკვდილის ტალღა.

მდინარის დაბრუნება

სოფლის გადაღმა დასჭირდათ კაცებს  
ჩვენი მდინარე.  
ჩვენი მდინარე ჩაიკარგება  
შაორის წყალში.

რომ დიდ წყალსატევს შეუერთონ  
და შემდეგ ისევ  
მზისფერ სინათლედ დაუბრუნონ  
სოფლის გოგონებს.

ის სამზრეთისკენ მიდიოდა  
ხმაურიანი,  
როგორც უსაზღვროდ მზიარული  
ლამაზი ბიჭი.

ახლა დარჩება კალაპოტი  
ხავსიანი სრიალა ქვებით,  
და აღარასდროს იხმაურებს მდინარე  
    იგი,  
რადგანაც არხში არ ექნება ლოდები  
    თეთრი.

დასაელეთისკენ წაიყვანეს  
    ანკარა წყალი

და საბანაოდ როდესაც წავალთ,  
ასვლა მოგვიწევს ძალიან მაღლა.

სადაც წყალი ცივია ძლიერ  
 იქვე ამოვლენ კალმახები  
 და წყლის გველები,  
 რომლებიც წარსულს აღმერთებენ  
 ბრძნული თვალებით.  
 ო, იქ წყალი, ცივია ძლიერ,  
 და მაინც მომწონს,  
 რომ ჩვენს მდინარეს

დასავლეთით უხმეს არხებში,  
 და რომ სახლებში აყვავდებენ  
 მარადი შუქი,  
 როგორც იელის ყვავილები,  
 ან ბროწეული...  
 . . .  
 დასავლეთისკენ წაიყვანეს ანკარა  
 წყალი.

ანძა

ო, მფრინავებო, იყავით ფრთხილად,  
 ჰაერში ახალს შეხვდებით ანძას,  
 დგას მთაწმინდაზე ის ნებიერად  
 და ანთებს ღამით წითელ ნათურებს.

ო, მფრინავებო, მაღლა იგი,  
 ვით საუკუნის ამაყი სული...  
 და ბროწეულის ყვავილისფერ  
 ნათურებს გინთებთ...

ჩიტი

ბავშვი იძინებს,  
 თითქოს ალუბლის ყვავილებში  
 დამდება.  
 თვალებს აწვება სურნელება, —  
 ალუბლის ყვავილს.  
 აპრილის ღამეს  
 ზამბახები ესიზმრება.  
 მაგიდაზეა ფერადი თანქრები

და თეთრი ფურცელი  
 დაუმთავრებელი ჩიტით,  
 რომელსაც აკლია ფეხები და ნისკარტი.  
 ბავშვი იძინებს,  
 ჩიტს მოუწყენია  
 და დამთავრებას ელოდება.



ყოველთვის არა, ყოველთვის არა,  
 დღეს შევიღებავ ვარდისფრად ბაგეს,  
 ფერმკრთალ ტუჩებით როგორ გიამბო,  
 ო, შევიღებავ ვარდისფრად ბაგეს.  
 და შენ არ მითხრა რომ ჯერ აღრეა,  
 რომ არ მჭირდება, ვერც შენ ეჩვევი,

ქუჩა ისეთი მხიარულია,  
 და იმდენია ბალში კენჭები.  
 და გაზაფხულიც მოდის ისეთი...  
 ჯერ არ მოსულა, მაგრამ ხომ მოდის,  
 მე ველოდები და რა სჯობია  
 ამ უსასრულოდ მშვენიერ ლოდინს.



## ასი წლისა თუ ათასის მერე

მ. დემეტრაძეს

შეც დამრჩებიან ალბათ ბუკარები  
უბატრონონი, უსახლკარონი,  
ჩემს სახლშიც მოვლენ  
ფერნამკრთალევი  
ცივი დავთრებით,  
ცივი კანონით...  
და აღმიწერენ გრძნობებს, სიმღერებს,  
როგორც აღწერენ ნივთებს, საბუთებს,  
სადღაც სარდაფში ვიღაც მიწიღებს,  
რადღაც არხივი დამისაყუთრებს.  
დამეფარება მტვერი ფენებად,  
არც დაღამდება, არც გათენდება;  
არ გაიღება კარი ჰრიალით,  
არც არვინ მოვა კელაპტრიანი...  
მაგრამ შე ვიცო —  
კაცი შენებრი  
დასტოვებს მზეს და სიმწვანეს ველთა,  
დასტოვებს ღვინით გაქლენთილ პაერს  
და ბნელ სარდაფში  
ჩამოვა ჩემთან...  
მომისმენს შე და  
სიცხეში, მტვერში

არ მომცილდება ერთი წამითაც.  
ამიღებს ფრთხილად ორივე პეშუსთ  
და ალბათ ხალხშიც ფრთხილად  
ამიტანს.

ამიტანს ზევით —  
ბაღებში, ზვრებში,  
ჩემი სიცოცხლე რომ ხალხს ახაროს,  
ჩემი ტირილით ქვეყანას შესძრავს,  
ჩემი სიცილით შესძრავს სამყაროს.  
ჩემი თვალებით განსჭვრეტს  
გარდასულს,  
აიყოლიებს ასებს, ათასებს, —  
აიყოლიებს ასებს, ათასებს  
და კვლავ აღესდგები ამ ქვეყანაზე.  
კვლავ დაეიბრუნებ პირვანდელ ფერებს,  
ვით იბრუნებდნენ ფერებს მრავალნი,  
ასი წლისა თუ ათასის მერე  
აღმადგენს შენი შთამომავალი.  
სეთი რწმენა მაცოცხლებს შე და  
ურწმუნო ჩემში წვეთიც არ არის.

## გაგონი ქიობი



### ფრაგმენტები

სიკვდილის შიში

რომელიღაც ძველი დროის ფილოსოფოსი ამტკიცებდა, სიკვდილი საშიში არაა, ვინაიდან სანამ ჩვენ ვართ, ის არ არის, ზოლო როცა ისაა, ჩვენ აღარ, ვართო. მაგრამ ასეთი სოფიზმებით ძნელია სიკვდილის შიშის დაძლევა. რა კულტურულ დონეზეც უნდა იდგეს ადამიანი, ის ყოველთვის მისტიკურ შიშს განიცდის სიკვდილისადმი. ამით სარგებლობენ მტარვალები: ისინი ცდილობენ თავიანთი ტირანია ტერორით განამტკიცონ.

ცნობილია, რომ სიკვდილის შიშისაგან ცხოველებიც არ არიან დაზღვეულნი; ვისაც სოფელში უცხოვრია, ალბათ, არაერთხელ უნახავს, როგორ აზღაველებიან ზოლმე ხარები და ძროხები, როცა მიწაზე ახლად დაკლული შინაური ცხოველის სისხლს დანახავენ. მაგრამ თვით ცხოველები და ფრინველები ხშირად მზად არიან თავი გასწირონ, როცა მათ პატარებს მომავლდინებელი საფრთხე ემუქრება.

მხოლოდ ადამიანი ამოღდა იმ დონემდე, რომ თავისი როლი ღირსეულად შეასრულოს ცხოვრების ფარდის დახურვის წინ.

„სოკრატის აპოლოგია“ ყველაზე ამაღლებელი და ზნეობრივად გამამტკიცებელი წიგნია. მრავალ თაობათა წარმომადგენლებს ორიათასხუთასი წლის მანძილზე გამხნევება და ნუგეში უპოვნიათ სოკრატის სიტყვებში, სამსჯავროსადმი მიმართულში: ათენელეზო, თქვენ შეგიძლიათ ჩემს ბრალდებულს ანიტს დაუჯეროთ ან არ დაუჯეროთ, შეგიძლიათ გამამართლოთ ან სიცოცხლე მომისპოთ, მაგრამ არ

შეგიძლიათ მაიძულოთ ჩემი რწმენის წინააღმდეგ ვიმოქმედო, თუნდაც ათასი სიკვდილით დამემუქროთო.

რა გაელენას ახდენდნენ პლატონის დიალოგები ამაღლებული სულის ადამიანებზე, შემდეგი ფაქტებიდან ჩანს. როდესაც იულიოს კეისარმა რესპუბლიკური წესწყობილების მომხრეები თავსუსთან საბოლოოდ დაამარცხა, მათი მეთაური კატონი ქალაქ უტიკისკენ გაიქცა. სამხედრო კარავში მან ღამით ორჯერ წაიკითხა პლატონის „ფედონი“. შემდეგ თავისი მახვილი ყველაზე ერთგულ მოწას მისცა და უბრძანა, განმგმირეო. მონამ ვერ გაბედა ამ ბრძანების შესრულება. მაშინ კატონმა მახვილი მიწაში ჩაარქო ტარით და ზედ წამოეგო. იულიოს კეისარმა დიდად იწანა კატონ უტიკელის თვითმკვლელობა; ის მზად იყო მას შერიგებოდა. მაგრამ დიდმა რესპუბლიკელმა ამჯობინა თავისი სტოიკური ცხოვრება სტოიკური სიკვდილით დაესრულებინა.

მეორე ფაქტი იტალიური რენესანსის ეპოქას ეკუთვნის. როდესაც ფლორენციის მმართველმა, ახალი პლატონური აკადემიის დამაარსებელმა კოზიმო მედიჩიმ სიკვდილის მოახლოებება იგრძნო, მან თავისი თავი ვილაში გადააყვანინა, სადაც ის კარგა ხანს ლოგინში იწვა დაფიქრებული და თვალდახუჭული. — რად ჩაფიქრებულხარ და თვალები რად დაგიხუჭავს? — ჰკითხა მას ცოლმა. — უცნაური ქალი ხარ, — უპასუხა კოზიმომ, — შენ ორი კვირით ადრე იწყებ, ფუსფუსს როდესაც ხაფხულში ქალაქიდან აგა-

უნდა დაეფიქრდე, როდესაც სხვა ქვე-  
რაცხე აპირებ გადასვლას. ნუთუ მე არ  
ყანაში გადასასვლელად ვეშაბდები.  
თვალეხს კი იმისთვის ვხუჭავ, რომ  
სიბნელეს შევაჩვიო. შემდეგ მან მოახ-  
მობინა გამოჩენილი ფლორენციელი  
ჰუმანისტი მარსილიო ფინინო და  
სთხოვა, პლატონის დიალოგები წამი-  
კითხე ხმადაბლა; ამ კითხვის დროს  
მან სამუდამოდ დაიძინა.

ძლიერი სულის ადამიანს სიმტკიცეს  
ანიჭებს არა მარტო ფილოსოფიური  
ფიქრები, არამედ სუსხიანი პოლიტი-  
კური და საზოგადოებრივი ატმოსფე-  
როც, რომელიც გაშანადგურებულია  
სუსტი და ნებიერი ადამიანისთვის.  
თვით ავტორცმა და ელეგანტურმა პეტ-  
რონიუსმა სტოიკურად დაასრულა თა-  
ვისი სიციცხლე: როდესაც ნერონმა  
მას უბრძანა თავი მოეკლა, პეტრონი-  
უსმა ბანკეტზე შეგობრები მოიწვია და  
მაჯა გადაიჭრა; მაგრამ რომ უცებ არ  
მოშვედარიყო, ის დროდადრო იხვევდა  
ჭრილობას, თავისი საყვარელი ლექსე-  
ბის დეკლამაციას ისმენდა და შეგობ-  
რებს ესაუბრებოდა.

სიკვდილის შიშს, როგორც ეტყობა,  
კავშირი არა აქვს მატერიალურ კეთილ-  
დღეობასთან. სახელოვანმა ფრანგმა მათე-  
მატიკოსმა და მწერალმა ბლუზ პას-  
კალმა თავისი ხანმოკლე სიციცხლე  
ისე გაატარა, რომ მუდამ ეჩვენებოდა,  
უფსკრულის პირას ვიმყოფებო. ის  
მორწმუნე ადამიანი იყო, მაგრამ ჩანს  
სექტიციზმის მძლავრ შეტევებს განი-  
ცდიდა. ის ლაპარაკობს დაუსრულე-  
ბელი სივრცეების მუდმივ დუმილზე,  
რომელიც ადამიანს სიკვდილის შემდეგ  
ელის. პასკალი მუდამ სიკვდილის ში-  
შით იყო შეპყრობილი. იგი ამტკიცებს:  
ადამიანები ხელფეხშეკრულ დამნაშა-  
ვეებს ჰგვანან, ისინი ჯერში დგანან და  
ხელავენ, როგორ აყავთ რიგრიგობით  
წინმიმავალნი სახარხოზელაზო.

თანამედროვე ინგლისელი მწერალი  
სომერსეტ მოკემი მოგვითხრობს, ჩემმა  
პიესებმა, რომანებმა და ნოველებმა  
სახელი მომიხვეპეს და შეძლებული

კაცი გამხადესო. საუცხოო სახლი მაქვს  
ზღვის პირას, რამდენიმე მსახურე  
მყავს, თითქმის მთელ მსოფლიო შე-  
მოვიარეო, მაგრამ სიკვდილისკენ ისე  
მივისწრაფი, როგორც შეყვარებული  
მამაკაცი თავისი სატრფოს გულშეკრ-  
დისაკენო; სიკვდილის მოახლოვების  
გრძნობა პირდაპირ მათრობსო. იგივე  
მოკემი იხსენიებს ერთ ახალგაზრდა  
მწერალს, რომელიც თავისი მოტოციკ-  
ლეტით ქალაქის ყველაზე სახიფათო  
ადგილზე დაჰქროდა თურმე, რათა  
ავარიამში მოხვედრილიყო და ამრიგად  
თავიდან აეცილებინა სამარცხვინო სი-  
ბერე. სიბერის ტრაგედიის შესახებ  
კარგად ამბობს ერნესტ რენანი; მე  
მიცნობდნენ ახალგაზრდას, გონებამა-  
ხვილ ადამიანს, აღარ მინდა გონება-  
დაჩლუნგებული და დახვესებული მიხი-  
ლონო.

ბევრი დიდსულოვანი ადამიანი შეი-  
წირა საფრანგეთის დიდმა რევოლუ-  
ციამ. როდესაც ანთებული სულის რეს-  
პუბლიკელი ქალი, ერონდელეების მე-  
გობარი მანონ როლანი იაკობინელების  
დიქტატურის დროს გილიოტინაზე აიყ-  
ვანეს, მან თამამად გაიხსნა საყელოს  
საყინძი და წარმოსთქვა უცედავი სიტ-  
ყვები: „—ოჰ, თავისუფლება, რამდენ  
ბოროტმოქმედებას ჩადიან შენი სახე-  
ლით!“ როდესაც დანტონის მეგობრებ-  
მა დაინახეს, რომ მას გილიოტინის  
ნაჯახი ელოდა, ურჩიეს ინგლისში გაქ-  
ცეულიყო. დანტონმა უპასუხა: „განა  
ადამიანს შეუძლია თავისი საშობლო  
თავისი ფეხსაცმელების ქუსლებით წაი-  
ლოს თან?“ ემაფოტზე დანტონმა გან-  
ზე გადაისროლა თოკი, რომლითაც ხე-  
ლების შეკვრას უპირებდნენ, რომეს-  
პიერისთვის გამოვადგებათო; ხოლო  
როდესაც მას ჰკითხეს, რა არის შენი  
უქანასკნელი სურვილიო, მან თქვა, —  
„ჩემი თავი იმის ღირსია, რომ ხალხს  
უჩვენოთ, ხოლო გვამი — რომესპიე-  
რისო“.

ყოველი ქვეშაირი ვაჟაკი ინატ-  
რებდა მარშალ მიშელ ნეის სიკვდილს.  
როგორც ცნობილია, ის ნაპოლეონს

მიემხრო მისი კენჭულ ელბიდან დაბრუნების შემდეგ. როდესაც ნაპოლეონის ასი დღის მეფობის შემდეგ ვატერლოოსთან დამარცხდა, ლუი XVIII მთავრობამ ნების დახვერტა გადაუწყვიტა. მაგრამ ჯარისკაცებს დაენანათ თავისი სახელოვანი მხედართმთავარი, უმაჰაცესი მამაცთა შორის, როგორც მარშალ ნების ნაპოლეონი უწოდებდა, და დიდხანს უმოძრაოდ იდგნენ. მაშინ ნიემ დამსჯელ რაზმს თავისი დაშინით ოჯით უბრძანა მისთვის ტყვეები ესროლოთ. ალბათ, მოქანდაკეს თვალწინ, სხვათა შორის, ეს ეპიზოდიც ედგა, როდესაც მარშალ მიშელ ნების ძეგლს დგამდა პარიზში.

რადგან ქრისტიან მოწამეებს, მათ შორის ქართველებსაც, სწამდათ, რომ ამქვეყნიურ სიამეთა განწირვით შეეძლოთ საუკუნო ნეტარება მოეპოვებინათ, მათ უფრო ეადვილებოდათ სიკვდილი, ვიდრე სექტაციურად განწყობილ ან ურწმუნო ადამიანებს, რომელთაც მხოლოდ ადამიანური ღირსების შეგნებაში, სამშობლოს სიყვარულში ან პირალურ იდეებში უნდა ეპოვათ რელიგიური რწმენის სანაზღაურო; მაგრამ ძველ საქართველოში იშვიათად თუ მოიძებნებოდა სექტაციოსი ან, მითუმეტეს, ათეისტი, და ქრისტიანული რელიგია ეროვნული თავდაცვის ძლიერ ფაქტორად იქცა ჩენს სამშობლოში.

ორიოდე ეპიზოდი ჩვენი ისტორიიდან ცხადყოფს, რა ძლიერ სულიერ ძალას ამჟღავნებდნენ ჩვენი წინაპრები და თანამედროვეები.

არჩილ მეფეს, რომელმაც დიდი შეუდრეკლობა გამოიჩინა, როდესაც ის არაბებმა აწამეს, ორი ვაჟი და ოთხი ქალი დარჩა; იმათგან ერთმა ვაჟმა და ორმა ქალმა თავი შეაფარეს ეგრისს, ხოლო მეორე ვაჟი ჯუანშერი თავისი ორი დით კახეთში დარჩა. ყველაზე უმცროსი და შუშანი უმშვენიერესი ქალი იყო. მისი სილამაზის ამბავმა ხაზარების ხაკანის ყურამდე მიაღწია და მან მისი შერთვა განიზრახა, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ ხაკანმა თავისი

ჯარი გამოგზავნა ლეკეთს გზით; ამ ჯარმა გარემოიკცა ჯუანშერის უღელ შუშანის სამყოფელი ციხე და დაძმა დაატყვევა და დარიალია გზით ხაზარეთისკენ წავიდა. შუშანს ბეჭდის თვალის ქვეშ საწამლავე ჰქონდა. მან თვალი ამოიღო, საწამლავე ამოსწოვა და მაშინვე მოკვდა. ხაკანმა სიკვდილით დასაჯა თავისი სპასალარი, რადგან მან ქალის გვამიც არ ამოიტანა, რათა მისი მშვენიერება ეხილა. ხაკანი ჯუანშერს პირდებოდა, არაბების წინააღმდეგ დაგეხმარები, თუ შენს დას მომათხოვებო. მაგრამ, ვფიქრობ, ახალავარდა ქალმა თავისი სიკვდილით უფრო მეტად შეუწყო ხელი ქართველი ერის თვითმყოფობის შენარჩუნებას, ვიდრე ხაზარეთიდან გადმოსული ჯარები შეუწყობდნენ.

თეიმურაზ პირველის დედის ქეთევან დედოფლის გმირული სიკვდილის ამბავი იმდენად ცნობილია, რომ საჭირო არ უნდა იყოს მისი გაშეორება. ამ სახელოვანი მუხრან-ბატონის გვირგვინი ქალმა შირაზის საპყრობილეში გმირულად აიტანა შამ-აბასის ჯალათების ყველა გახურებული შანთი და მარწყხი, რითაც ევროპელი მისიონერების გაოცება და უღრმესი მოკრძალება გამოიწვია. მან თავისი დაფლეთილი ძუძუებით მეტი გმირი აღუზარდა თითქმის საესებით დაცარიელებულ და გავერანებულ ქართლ-კახეთს, ვიდრე ასი ათასი ქალი თავისი რძით აღზრდილა.

იმ ქვეშარიტების შეგნება, რომ ყველაზე შერცხვენილი შვედარი ისაა, ვინც სამარცხვინოდ განაგრძობს ცხოვრებას, დღემდე არ მოსპობილა ქართველ ერში. განა ჩვენს დროში კი არ იყვნენ გმირები, რომელთაც ღირსეულად შეასრულეს თავიანთი ადამიანური როლი? როგორ არა, ძალიან ბევრიც, — ყველა ქვეყანაში.

საერთოდ სიკვდილი უფრო ადვილია ადამიანისთვის, რომელსაც უკვდავება სწამს, თუნდაც ეს მხოლოდ იმ იდეის უკვდავება იყოს, რომელსაც ის



თავს სწირავს. და სიკვდილი უფრო აღვილია განათებულ ავანსცენაზე, ვიდრე ბნელ კულისებში.

### მსახიობის დღიურიდან

ეს არის კომედიის თეატრიდან დაგბრუნდი. გარეთ საშინლად ცივა, თოვლი ბარდნის, დროდადრო ქარის ღმუილი გაისმის, ხოლო ქუჩაში ჩემს საყვარელ ხეებს ტოტები დაუხრიათ. მეჩვენება, თითქოს ისინი ჩემი ახალგაზრდობის დღეებს გლოვობენ. ჩემს ბუხარში ცეცხლი ქრება, ნაკვერცხლები იფერფლება და ჩემი დროებითი "სასტუმროს კედლებს სიბნელე იცავს.

მე ამ საღამოს სცენაზე ისე ვღელავდი, რომ აღარ მახსოვს, როგორ შევასრულე ამ დაბალი გემოვნების ფარსის უკანასკნელი აქტი. გასაოცარია, რომ აუდიტორიის წინაშე დღესაც ისე ვღელავ, როგორც ნახევარი საუკუნის წინათ ვღელავდი, როდესაც პირველად გამოვედი ერთს აღაჩუხში, რომელიც მაშინ თითქმის ეშაფოტის ფიცარნაგი მეგონა. ვერასოდეს ვერ ვარჩევ, თანაგრძნობით მხედება მაყურებელი საზოგადოება თუ სიძულელით, ტაშს მიკრავს თუ მისტვენს. ჩემი უბედურება კიდევ ისაა, მე არ შემძლია, სიკვდილის სარეცელზე მწოლარე იმპერატორ ავგუსტივით, კარისკაცებს მოვუხმო და ვკითხო, როგორ შევასრულე ჩემი როლი-მეტეი, ვინაიდან საკუთარი კარისკაცები არასოდეს არ მყოთვის მეჯავრებოდა კარისკაცებიც და კლაკიორებიც.

როგორც ყველა სახედანაოკებულ და მელოტ კომედიანტს ჰგონია, რომ თავის როლს უკეთ შეასრულებს თუ გრიმსა და პარიკს განუახლებენ, მეც ხანდახან ვფიქრობ, რომ შეიძლება

უკეთესი მსახიობი გავმხდარიყავი, თუ არტიტულ სარბიელს ზელანლა დამაწყებინებდნენ. სამწუხაროდ ეს შეუძლებელია. ჩემი პარტნიორები ძალიან ხშირად უსამართლოდ მეპყრობოდნენ; კიდევ უფრო უსამართლო იყვნენ რეჟისორები და მათი თანაშემწეები. ისინი ყოველთვის შეუფერებელ როლებს მაძლევდნენ: სანამ ახალგაზრდა ვიყავი და ზუჭუჭი თმა მქონდა, სოკრატის ან სეიმონ მესვეტის როლს მასრულებინებდნენ, ახლა კი, როცა ბანჯგვლიან ოჩოკონს დავემსგავსე, მეუბნებიან, ტრისტანის, პაოლო მალატესტას, რომეოს როლები უნდა ითამაშოო. მაგრამ ამ მოხეტიალე დასის და მათი ხელმძღვანელების გასამართლებლად ისიც უნდა ითქვას, რომ მე არ მქონდა ანსამბლის გრძნობა და ყოველთვის როგორღაც განმარტოებული ვიყავი, თითქოს რაღაც აბსტრაქტული თეატრის მსახიობი ვყოფილიყავი, სადაც ერთი და იგივე კაცი რეჟისორიც არის, აქტიორიც და მაყურებელიც და ჩემი ამხანაგების მიმართ შურის გრძნობაც გამომიცენია, ქედმაღლობაც, წერილმანობაც, გულციკობაც.

მე არ ვიცოდი, რა როლი უფრო შემეფერებოდა, უგუნურის თუ ჰკუაღამჯდარის, კეთილის თუ ბოროტის, ძუნწის თუ ხელგაშლილის. ხანდახან ჩემი ქედმაღლობა იქამდე მიდიოდა, რომ მეგონა, დიდ ქართველ ტრაგიკოს მსახიობივით ერთსა და იმავე საღამოს კარლოსის და ფრანცის როლებს შევასრულებდი შილერის „ყაჩაღებში“.

მე გვიან შევიგნე, რა დაუსრულებელი სიამოვნების წყაროს შეიცავს ქალის სხეული. რაც შეეხება მისი სულის ლაბირინთებს, არ ვიცოდი, რომ იქ შესვლისას სხვა რამეც გველის, გარდა შეუმღვრეველი სიხარულისა. ფიცარ-

ნაგებმა, ნიღებმა, ფუყე ტირადებმა, მღაბიო გემოვნების დიალოგებმა დამიკარგეს რეალური ცხოვრების გემო. საერთოდ მე ცუდი სტრატეგია ვიყავი იმ მრისხანე ციხის აღებაში, რომელსაც ქალის გული ჰქვია. ზშირად მე უგუნურად მეგონა, ეს ციხე-სიმაგრე ავიღე მეთქი, შიგ შევდიოდი შელეწილი კარებით, მაგრამ ვაწყდებოდი ფარულ ორმოებს, ბნელ ნაპრალებს და თავს ძლივ ვაღწევდი მომაკვდინებელ საფრთხეს.

ერთი მზიანი ზაფხულის დღეს კორღზე ვიჯექი ჩემს მეგობარ ქალთან ერთად. მას შიშველი ფეხები მთის მდინარეში ჩაეყო; გვერდით ცისფერი კესანეს, და ვარდისფერი ეგირის ყვავილწულეები, მოცხარი და წყავი ეწყო. წყალში ფიჭვის გირჩებს ისროდა. მისი სავსე გულმკერდი და მკლავები რელიეფურად იხატებოდნენ ტყის ფონზე. მისი თვალები ისევე ლივლივებდნენ, როგორც ტალღები მის ფეხთქვეშ. მოზორებით თოვლიანი მთის დაღარული ფერდობები მოსჩანდა. მე არ მესმოდა, რას მელაპარაკებოდა ის: მდინარის ჩხრილის აკომპანიმენტზე რალაც სცენაზე წარმოსათქმელ რეპლიკებს ვიმეორებდი.

რა მხურვალედ მოვეხვეოდი ახლა მის ფეხებს, როგორ შევეცდებოდი ჰეგალიონის როლი შემესრულებინა და ჩემი მეგობარი გამეცოცხლებინა.

ესი მას რამდენიმე წელიწადი ჩვენი დედაქალაქის სასაფლაოზე სძინავს. მე ისღა დამრჩენია, რომ ბოდლერის ოდნავ შეცვლილი სტრიქონები გავიწყურო: „ჩემო ძვირფასო, უთხარი აჩრდილებს, რომელნიც თავიანთი კოცნით შენს სხეულს ღრღნიან, რომ შევეინარჩუნე ფორმა და ღვთაებრივი არსი ჩვენი დაშლილი სიყვარულისა!“

ყველაზე დიდი უგუნურება ის იყო, რომ ბოლო დრომდე არ მწამდა მთავარი რეეისორის არსებობა. უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა, მე ის მწამდა, სანამ ჩემს გონებას მღაბიო და ყალბი ფილოსოფია არ შერყვნიდა; ზოლო, როდესაც დავინახე, რომ მთავარი რეეისორი კულისებში ზის და იქიდან ყოველივეს აწესრიგებს, უკვე გვიანა; უკვე მექანიკოსები დიდი ფარდის ჩამოსასვენად ემზადებიან. რა მელის ამის შემდეგ? ძილქუშიდან გამოფხიზლება? გარდახოციულება? არც ავანსცენის სინათლე, არც კულისების სიბნელე, არამედ ხელახლა არყოფნაში გადასვლა? კიდევ კარგი. მე აღარ ვიგრძნობ სინდისის ქეჯნას, მე აღარ ვაგაგონებ მრისხანე შეძახილს, რომ გვაფუჭე ძმადნაფიცის, მამულიშვილის, რაინდის, მიჯნურის როლი, არ შემეშინდება, რომ ტაშისცემაში ძლიერი სტვენის ხმა მომესმის. და ჩემი სული საბოლოოდ გადავა დაუსრულებელი სიერცემების მუღმივს მღუმარებაში.

სიზმრის სილუბტები

ერთ ჩემს ნაცნობ ქალს გადაჰარბებულად ცხოველი ფანტაზია ჰქონდა, თუმცა ის ახალგაზრდა იყო, მაგრამ მოესწრო თავისი ყოფილი კარისკაცებისაგან საკმაოდ მდიდარი მანეკენების მუზეუმი შეეღვინა. ქრონოლოგიის ნიხედვით უკანასკნელ ადგილს დავიჭერიდი ამ მუზეუმში, თუ ამისათვის ჩემს ასაკსა და გარეგნობას ხელი არ შეეშალა და ჩემი მეგობრისადმი რაიმე სხვა ინტერესი გამომეჩინა, გარდა წმინდა

ფსიქოლოგიურისა და ლიტერატურულია. მან მე გამაცნო თავისი უკანასკნელად სამსახურიდან დათხოვნილი კარისკაცი, რომელსაც ყოველი იმედი არ წარკვეთოდა, ხანდახან მასთან შემოღობოდა და აშკარად მეშურნებოდა ვნებიანი ბერებოდა. ის უფრო კარგი სპორტსმენი იყო, ვიდრე ინჟინერი, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, თავისი ვირებუთ და ორძელებით ვერ მოეხერხებია ეს-

დენ ნატიფი და ძლიერი გულის საბოლოოდ დაპყრობა.

ერთხელ საღამოთი უკაცრიელ ქუჩაში მივიღიოდი და კუთხეში ჩემი ნაცნობი ქალი დაეინახე: განმარტობით იდგა და ჩაფიქრებული იყო. როდესაც მიუახლოვდი, მან თდნაე შეჰკვივლა: — რა მოგდით, — შევეკითხე მე. — მომეჩვენა, თითქო ქვაფენილიდან ამოძვერით, — მითხრა შემფოთებული ღიმილით. ჩემდა საბედნიეროდ, მხოლოდ ერთი წუთით დავემორჩილე ამ დემონოლოგიის ზეგავლენას და შემდეგ არასოდეს არ მიფიქრია, რომ მიწისქვეშ ძრომა შემეძლოს ჰამლეტის მამის აჩრდილივით.

არსებითად ჩემი მეგობარი ქალი მაინც უფრო თანამედროვე ეპოქას ეკუთვნოდა, ვიდრე წარსულ საუკუნეებს. არ ვიტყვი, რომ ის ქალთა სამეფოს ნაპოლეონი ან ედისონი ყოფილიყოს, მაგრამ საკმაოდ ნიჭიერი გამომგონებელი და სტრატეგი იყო ტრფიალების ასპარეზზე. მის ყველაზე სახიფათო იარაღს მისი ხმა წარმოადგენდა, მკერდის სიღრმიდან მომდინარე ბგერები. მგონია, კარგი მეცოსობრანო იქნებოდა, თუ მეტი ეზრუნა თავის მუსიკალურ აღზრდაზე; მაგრამ კარმენის როლისთვის მაინც არ გამოდგებოდა. ის განებფერებული იყო არა მარტო შამაკაცების მიერ, რომელთაც მეტნაკლები წარმატებით იერიში მიჰქონდათ მისი სათნოების წინააღმდეგ, არამედ, რაც უფრო იშვიათია, მეგობარი ქალების მიერაც, რომელთაც ის გულწრფელად უყვარდათ.

თუ კერამიკის ოსტატი ვყოფილიყავი, ჩემს მეგობარ ქალს მოდელად გამოვიყვანდი რაიმე შედეგების შესაქმნელად და ამისათვის არც ისე დიდ შემოქმედებითი ნიჭი დამჭირდებოდა: ის თვითონ ჰგავდა ფაფურის ჭურჭელს, ერთი შეხედვით ადვილად გასატეხს, გამჭვირვალეს, მაგრამ მტკიცეს და შიგნიდან განათებულს მოციმციმე ცვილის სანთელის მიერ. არ ვიცი,

შეძლო თუ არა მას თავისი ფართო მწვანე თვლებით გაენათებინა თავისი დიდი საწოლი ოთახი: ორმაგად დაბნელებული მისი შავი თმის გაშლილი კულულებით; მხოლოდ ეგრძობდი, რომ სულის სიღრმეში უბნელესი კუნჭულები ჰქონდა, ძნელად მისაწვდომი თვით ჩემზე უფრო ღრმა ფსიქოლოგისა და ნათელმზილველის საკრეტელისთვის. ერთსა და იმავე დროს სუსტი იყო და ძლიერიც და მუდამ თითქო რაღაც ბეწვის ხილზე იდგა სიკვდილისა და სიცოცხლეს შუა. — მე ერთხელ უკვე მოვეკედი, — მითხრა მან სრულიად გულწრფელად. უნდა ვაღიარო, რომ ვერ დავიჯერე, თითქო მკედრებით აღდგომა შესაძლებელი იყოს ჩვენს დროში, ათას ცხრაასი წლის შემდეგ ქრისტეს აღდგომის დღიდან.

რომანებში მას ყველაზე მეტად ბენჯამენ კონსტანის „ადოლფი“ მოსწონდა, დიდი სიყვარულით გადმოთარგმნილი განსვენებული ქეთო ირემაძის მიერ. მაგრამ უნდა ითქვას, ჩემს მეგობარ ქალს იმდენად ორიგინალური სული ჰქონდა, რომ ლიტერატურული პროტოტიპები არ დასჭირდებოდა ვნებათაღელვის განსაცდელად. მგონია, მის სატრფოებს ხშირად მოეჩვენებოდათ, რომ სისხლის გემოს გრძობდნენ მის ტუჩებზე; მით უმეტეს, რომ ბოლო დროს ფილტვების დაავადების გამო ახველებდა. მათ აგრეთვე სურვილი დაებადებოდათ ხელი შეეყოთ მის ბალიშის ქვეშ, რათა იქიდან პატარა სატევარი ამოეღოთ, არც ისეთი ბლაგვი, რომ მარტო სათამაშოდ გამომდგარიყო; ხოლო მისი ბინიდან გამოსვლისას მათ სახეზე წამოსასხამის საყელოს აფარება მოუხდებოდათ, რათა ბნელ კუთხეში ჩასაფრებული ბოქსიორის ნოკაუტი შეენელებინათ.

არ ვიცი, როგორ ეპყრობოდა თავისი თაყვანისმცემლების ჯიბეებს: მხოლოდ მგონია, დიდ კაცთმოყვარობას გამოიჩენდა, თუ მათ დააცარიელებდა.

ღარწმუნებული ვარ, ჩემი მეგობარი

ქალის უკანასკნელი მიჯნური კმაყოფილი იყო, რომ არაფერი დაიშურა, რათა მისი სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა. მაგრამ ოქროს ფული და ოქროს გული ერთნაირად უძლეური აღმოჩნდნენ საშინელ სენტან ბრძოლაში.

ერთი ზაფხულის საღამოს რუსთაველის პროსპექტზე შემხვდა და მთხოვა ერთხანს გაეყოლოდა. ჩაფიქრებული მიედიოდით. უცებ მოვიხედე და დავინახე, რომ ქალი ჩემს გვერდით აღარ იყო. უნდა გამოეტყდე, ცოტა არ იყოს, უსაფუძვლო შიშმა ამიტანა, გულგრილ ბრბოში ხომ არ დაიკარგა ან ხეივნის ჩრდილებს ან მთვარის შუქს ხომ არ შეუერთდა-მეთქი. აღმოჩნდა, რომ ნაცნობებს შეეჩერებინა. ამის შემდეგ მხოლოდ მძიმედ დაავადებული ვნახე. საწოლიდან აღარ ამდგარა.

შემდეგ ის მხოლოდ სიზმარში მეჩვენა. რამდენიმე მეგობართან ერთად სადღაც მივემგზავრებოდით. ჩემმა მეგობარმა ქალმა გეთხოვა მისი აგარაკისაკენ შეგვეხვია. შინ მისვლისთანავე რაღაც წერილი მიიღო, ცხენზე შეჭდა და ვილაც ვაყის შესახვედრად გაემგზავრა. რა მომზიბვლელი იყო ეს ფერმკრთალი ამორძალი, რა სევდა გამოიწვია ჩემში მისმა განშორებამ! და ამ ქალისადმი პირველად სიზმარში განვიცადე მეშურნეობის გრძნობა, რომელიც ცხადში არასოდეს არ განმიცდია. როდესაც გამომიღვიძა, დავინახე,

რომ აპრილის მზით განათებულ ოთახში ვიწეკი, ჩემს ფახჯარაში თეთრად აყვავებული ალუბლის წის ტოტები იცქირებოდნენ, ხოლო ეზოში ფრინველების მზიარული ჭიკჭიკი გაისმოდა. ყოველივე ამაში ჩემი გარდაცვლილი მეგობრის გულის ფეთქვა ვიგრძენი. ინდივიდუალური უკვდავება არც მას სწამდა და არც მე მწამდა.

\* \* \*

„ცხოვრება სიზმარია“, ამტკიცებდა ზოგიერთი ავტორიტეტი, სხვათა შორის „ვისრამიანის“ ავტორი — ფახრედინ გურგანელი, „ბალავარიანის“ სხვადასხვა ვარიანტის რედაქტორები, კალდერონი, შექსპირი, ბლეს პასკალი ამბობს, ცხოვრება იგივე სიზმარია, მხოლოდ უწყვეტელიო; მეწაღე, რომელსაც ყოველ ღამით დაესიზმრებოდა, რომ ის მეფეა, ისევე ბედნიერი იქნებოდა როგორც მეფე, რომელსაც ყოველ ღამით დაესიზმრებოდა რომ ის მეწაღეაო. ეს აზრი ნამდვილი ხსნა იქნებოდა სკეპტიკოსებისა და ურწმუნოთათვის: თუ ცხოვრება მართლაც სიზმარია, ერთხელ ხომ გამოვიღვიძებთ და დავინახავთ რანი ვიყავით დაძინებამდე და რა მოგველის მომავალში. ჩვენ შეგვიძლია მოკლევადიან ძილს შევუერიგდეთ, თუნდ ის კოშმარი იყოს.



## გადანული ფარდა

ვიწვი, ვმფოთავ რა ხანია  
და ვუმღერი ცას და მიწას,  
ოცნების ცა მაღალია,  
ლექსმა ძარღვი გადამიწვა.

თმაზე უკვე დამათოვა.  
ნუთუ მართლა ზამთარია?  
სიკაბუქემ თუმც დამტოვა,  
სიყვარულმა გადამრია.

მოხუცობას ვერიდები,  
ის კი სადღაც მელოდება,  
მაგრამ მღერით შევიცვლები,  
ვერ მიცნობს და შელონდება.

იქნებ თავი დაეაღწიო  
ა იმ მთაზე გადასვლამდის  
და სიცოცხლე გადაეწიო  
აბრეშუმის ფარდასავით!

სიბერე ვერ დამეწიოს,  
ვერც სიკედელიმა მახლოს ხელი  
და მზე ლხინში დამეწვიოს,  
როგორც ცეცხლით მახლობელი.

ცას გავეკრა ცისარტყელად,  
მკვრეტდნენ დროის მანიშნებლად.

მზემ რომ თავი ისახელა,  
განა ის მზე დაიშლება?

მხეს თუ ბედი დავუწუნე,  
წარღვნას როგორ გადავურჩე?  
მე მომავალ საუკუნეს  
ეტლში როგორ გადავუჯდე?

როგორ მოემკა ეშხი დროის  
და დროებად თავად ვიქცე?  
თუ სიცოცხლეს დავხაროდი,  
როგორც წყალი, რად დავიქცე?

დღე, დროებამ მომავალში,  
როგორც მტრედი, გადამტყორცნოს.  
ვფრენდე ლექსის მონა მზისკენ,  
მზემ, ვით დედამ, გადამკოცნოს.

მე სიბერეს ვერიდები,  
ის კი სადღაც მელოდება,  
მაგრამ მღერით შევიცვლები,  
ვერ მიცნობს და შელონდება.

იქნებ თავი დაეაღწიო  
ა იმ მთაზე გადასვლამდის  
და სიცოცხლე გადაეწიო  
აბრეშუმის ფარდასავით!

აღიწივით



## სურათი

(რუსთაველის სივრცითი)

დამატული პოემა 4 მოქმედებად და 8 სურათად 1

### მოქმედი პირობები:

- რეჟისორი** — მუსიკის პროფესორი, კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე.  
**ქმედები** — მისი მეუღლე, მეორედ შერთული, მისწავლებელი.  
**ნელი** — ქმედების ქალიშვილი, რეჟისორის გერი.  
**თამაზი** — ახალგაზრდა კომპოზიტორი.  
**ვაჟი** — ახალგაზრდა კომპოზიტორი, კომპოზიტორთა კავშირის პარტიულის მდივანი.  
**ფეფუნა** — თამაზის უმცროსი და.  
**გუგუნა** — ფეფუნას მეგობარი ქალიშვილი, თანატოლი.  
**ოსეპი** — თამაზის მამა, რუსთაველის ძველი მეფოლადე.  
**რუსუდანი** — თამაზის დედა, დიასახლისი.  
**ელეფთერი** — რუსთაველის ძველი მეუღლე, მეფოლადე.  
**დექსო** — ელფთერის შვილი, ახალგაზრდა მეფოლადე.  
**გენო** — კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, დარაჯი.  
**მართა** — კომპოზიტორთა კავშირის დამლაგებელი.  
**მდივანი** — რუსთაველის ქალაქკომისარა.

- 1 კომპოზიტორი.
  - 2 კომპოზიტორი.
  - 3 კომპოზიტორი.
  - 4 კომპოზიტორი.
- დირიჟორი.

მოქმედება წარმოებს თბილისსა და რუსთაველაში.

## პროლოგი

პარტერში თანდათან ეშვება სიბნელე. ამასობაში ფარდის უკან მოისმის რთილის ხმა. ეს რუსთაყვის შრომის სიმფონიაა. მუსიკა უფროდაუფრო ძლიერდება. სულმთლად ბნელდება. ნელ-ნელა იშლება ფარდა.

წინა პლანზე დგას საკონცერტო რთილი. კომპოზიტორი თამაზი დიდი ექსტაზით უკრავს თავის სიმფონიას. მის სახეს ანათებს შუქი. შორიხლოს სხედან კომპოზიტორები, ქიურის წვერები, მუსიკას უსმენენ. ისინი ოდნავ ჩრდილში არიან, მათგან უფრო გამოიყოფა ქიურის თავმჯდომარის, კომპოზიტორ რევაზის სახე. ქიურის წვერები სხვადასხვა პოზითა და მიმართულებით გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას მუსიკისადმი, ჩუმად, უმოძრაოდ. სიმფონიის კულმინაციურ, ლირიკულ მომენტში სინათლე ერთხელ კიდევ მოლანახლ ითიშება და გამოჩნდება მეორე სცენა.

## მოკვლევა პირველი

## სურათი პირველი

კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მისაღები ოთახი. შიგ არიან მდივანი ქუქუნა, დამლაგებელი მართა და შიკრიცი — გენო. თავმჯდომარის ოთახიდან მოისმის იგივე მუსიკა. ოთახში მყოფნი მომიჯნავე კარებთან დგანან და მუსიკას უსმენენ. ამ დროს გაისმის ტელეფონის გამჟვალავი ხმა. ქუქუნა ნერვიულად იღებს ტელეფონის მილს.

**ქუქუნა** — კომპოზიტორთა კავშირია. კელაე თათბირია.

არა მგონია, მალე შორჩეს... რა საკითხია?

თამაზის ახალ სიმფონიას ისმენს ქიური. (მილს დადებს).

ამათაც გული გააწყალეს.

**გენო** — (სიამოვნებით უსმენს მუსიკას) რა ტკბილი ხმაა?

**მართა** — (ქუქუნას) კეთილშობილი, კარგი ძმა გყავს, ჩემო ქუქუნა, ჩვენი თამაზი ცუდ მუსიკას დასწერდა ვინა?

**გენო** — (ეთანხმება) მამ, მამ, ეგ რა!

**ქუქუნა** — ეჰ, რა ვიცი! მას ბევრიც ებრძვის. (კარებზე მიაყურადებს).

**გენო** — სიხარბემ თუ არ გაიმარჯვა და სიაცაცემ,

რა აქვს ნეტავი დასაწუნი ემაგ მუსიკას?

შრომელი კაცის გულსხმაა შიგ გამოთქმული,

იმედია, შრომლოური, მხნე და მართალი.

**მართა** — ჩვენი უფროსიც კეთილია, სამართლიანი, თამაზს დაიცავს, უსათუოდ დებუბაჩება.

(ისმის ზარის ხმა. ქუქუნა შედის თავმჯდომარის კაბინეტში. გენო და მართა თვალს გააყოლებენ... ქუქუნა მალე დაბრუნდება. ტელეფონის ნომრებს, აკრეფს და ლაპარაკობს).

**ქუქუნა** — საიდანაა? ბატონ რევაზს ელაპარაკეთ! (მილს გადასდებს და შერბის თავმჯდომარის კაბინეტში. უშალეე გამოდის და მილს ტელეფონზე დადებს. გენო და მართა ცნობისმოყვარეობით შესცქერნიან მას).

სდუმან, სმენაც და ლაპარაკიც ჰდლის აღმინან. (სათს ახედავს).

ჰა, თითქმის ხუთი საათია თათბირი მიდის,

განა ეს დროა დაეარგულა? ხუთსაჯერ მეტი.

თათბირს ქიურის ოცი წვერი ესწრება, ყველა,

გადაამრავლეთ ხუთზე ოცი, ასი გამოვა.

გადაამრავლეთ ასი რიცხვი იმ სამსახურთა

თანაშრომლებზე, ვინც ჩვენსავით ასე, უსაქმოდ,

სხედან უფროსთა შოლოდინში და დროს კარგავენ.

ეს ხომ ურიცხვი ზარალია სახელმწიფოსთვის? (მიაყურადებს).

ანდა ამდენი ლაპარაკი სად გაგონილა?

**გენო** — ზომიერების არამქონეს ჰქუაუც აყლია.

• რაღას დაუშლი? ავი ენას ძველი არა აქვს?

**მართა** — ძგალი რომ ჰქონდეს, ენა პირში გაიჩხირება.

**გენო** — ცალ ფეხზე უნდა დააყენო მოლაყებ კაცი.



**თეთრა** — რამ გამწარათ? წელან ერთი ისე ჩხაოდა, რომ ყურებადმე პირს აღებდა, როგორც ყორანი.

(ამ დროს კარს შემოაღებს ლექსო, რუსთაველის ქარხნის ახალგაზრდა მუშა).

**ლექსო**, შენ ხარ? (ხარი. შერბის კაბინეტში. გამოდის, რაღაც ქალაღმე შეაქვს. უკან ბრუნდება). რუსთაველიან როდის ჩამოდი? (ლექსო პასუხს ვერ ასწრებს. **თეთრა** ისევ შედის კაბინეტში და ქალაღმე გამოაქვს).

**ლექსო** — ასე ხშირ-ხშირად რად გეძახის შენი უფროსი?

**თეთრა** — საქმე აქვს. (უბრაღმებს არ აქცევს).

**ლექსო** — შენთან!

**თეთრა** — რატომ ჩემთან? საქმე სხვებთან აქვს.

**ლექსო** — მერე? უშენოდ ვერ აკეთებს სხვებთან მაგ საქმეს?

**თეთრა** — მე თავმჯღრომარის მღღეანი ვარ და თანამეგწეც.

**ლექსო** — თუ სამსახური სხვანაირად არ შეიძლება,

რა გაეწყობა? (ესმის მუსიკის ხმა) იქ რა ხდება?

**თეთრა** — ეიურის კრება.

**ლექსო** — მუსიკით კრების ჩატარება მე არ მინახავს.

**თეთრა** — შენ რომ რუსთაველი ფოლაღს აღნობ, ხომ გახალისებს,

როცა ღმმელში ცეცხლი მღერის... იქაც ასეა.

ღღეს ხომ ჩემი ძმის ბეღი წყდება?

**ლექსო** — ვინ? თამაზის?

**თეთრა** — დიაბ, მის ახალ სიმფონიას არჩევს ეიური.

**ლექსო** — თამაზი უკრავს? რა კარგია, შენ გენაცვალე!

მკერა: შენი ძმა გაიმარჯვებს. (მართა და გენო უღასტურებენ).

**თეთრა** — აბა, რა ვიცი!

**ლექსო** — ახლა მოვედი რუსთაველიან.

**თეთრა** — ღღეს არ მუშაობ?

**ლექსო** — არა, ვისვენებ... ღღეს გვაქვს კლებში რეპეტიცია.

**თეთრა** — ვინ მოგახსენათ?

**ლექსო** — ჩვენმა ნელიმ... შენ ხომ წამოხვალ?

**თეთრა** — აბა, რა ვიცი?

**ლექსო** — სამსახური როდის თავდება?

**თეთრა** — (უკმეხად) ჩვეულებრივად ვქვს საათზე.

**ლექსო** — მერე საღ წახვალ?

**თეთრა** — ჩვეულებრივად სახლში წავალ, ისევ რუსთაველი.

**ლექსო** — ვარტო მოგიცილი. (ხარის ხმა. **თეთრა** კაბინეტში შერბის).

ღღდა, მომკლა ამ ქალიშვილმა!

მაგის გულისთვის რას არ ვშერებდი, რას არ ჩავდივარ:

ჩემი ცხოვრების მარშრუტია რუსთაველიანობისი.

თითქმის ყოველღღე აეტობუსით, ან მატარებლით,

ღღედივარ... თავი მოვაბეზრე კონღტორებსაც.

მას კი არაღრად მოახნია ეს ყველაღერი. (ღღღნატყენი გაღის. კაბინეტიღღან შემოღღს

თეთრა).

**თეთრა** — უკვე წავიღღა?

**მართა** — რაღს ერთი, კარგი ბიჭია!

**თეთრა** — ქარხნის მღშა, მოწინავე, ფოლაღმღღობელი,

ცოტას არტისტობს, ცოტას კიღვე გამომგონებლობს.

კარგია... თმეცა ერთ საკითხში სცეღმა ძალიან,

მაგრამ ეს კარბი ფანტაზიის, ფიქრის ბრაღია.

**გენო** — (კარბზე მიუფრადებს) ნეტავ რა ხღღება?

**თეთრა** — ისევ-ისევ ბღობენ, ღაობენ. (რეკავს ტეღეფონი).

საიღღანა? „ახალგაზრდა კომუნისტიღღან“?

რა ღააღღინეს? რა გაღაწეღღა? ჯერ არაღღერი.

ვიცი, თამაზის გამარჯვება გაინტერესებთ.

მაღე ფარული ხმის მიცემა უნღა ღაიწყონ.

იმეღი გეკონღღეს? ეჰ, რა ვიცი! (კარბში გამოჩნღება ნელი).

ნელი, გეთყავა! (სიხარულით მიეგებება).



**ნელი** — ვატყობ, დიაცო, ძლიერ ღელავ შენი ძმის გამო. (მოეხვევა. კაბინეტის კარებს გახედავს). რა ამბავია?

**მუჟუნა** — ერთმანეთი ღამის დაჭამონ! (საჩქაროდ მანქანას მიუჯდება, ბეჭდებს).

**ნელი** — ვერ წარმოიდგენ, თამაზის ბედს როგორ განვიცდი.

მისთვის მოვედი რუსთავიდან.

**მუჟუნა** — მჯერა, ვეთაყვა!

შენ ხარ ჩემი ძმის მეგობარი, კეთილმოსურნე.

და უფრო მეტი: შენ ხარ მისი შთამგონებელი.

მის შენი გული უნათებდა შემოქმედებას.

მას ხშირად უთქვამს შენს ბრწყინვალე ნიჭზე, უნარზე,

თუ რა საგრძნობი წვლილი გიძღვის ამ მუსიკაშიც.

**ნელი** — სულ უშინშენილო... თუმცა ჩემი ბედიც, იმედიც

ამ სიმფონიის ბედთან არის შეერთებული.

ჩვენ ამ მუსიკამ სულიერად დაგვაკავშირა,

დაგვაშეგობრა... და ამიტომ მის გამარჯვებას,

როგორც საკუთარ წარმატებას, ისე შევხარო.

**მუჟუნა** — მჯერა, ძვირფასო! მეც დასავით მიტომ მიყვარხარ.

და მე მგონია: ამ დროს შენმა მაშინაცვალმა,

არ შეიძლება თამაზს ხათრი არ გაუწიოს. (ბეჭდვას განაგრძობს).

**ნელი** — (გულგრილად) შენც, მით უმეტეს, რახანია მასთან მსახურობ.

**მუჟუნა** — ეჰ, თუმცა ჩემი სამსახური რა უნდა იყოს?

ახალგაზრდული წლების ფლანგვა, სხვა არაფერი.

თუ გინდათ ახლაც, თქვენ გგონიათ, რამეს ვაკეთებ?

ბელი რომ მქონდეს შენისთანა, მუსიკალური,

დილა-საღამოს ამ მანქანას მოეუჯდებოდი?

ეგ არის ჩემი პიანინოც და როიალიც.

ხშირად, მთელი დღე, მას ვეზივარ და ვურახუნებ,

ანდა ტელეფონს ვუტრიალებ, როგორც პილოტი.

შენ რომ იცოდე, რა ძნელია, რა მოსაწყენი?

ო, როგორ მინდა, თავისუფლად განავარდნა?

ფრინველი ლაღად ფრთებს რომ გაშლის, მაშინ ჩანს დიდად

მე კი ბზეწვია ჩიტავით ვარ, ფრთებშეკვეცილი.

**ნელი** — შენ, როგორც ვატყობ, ამ სამსახურს ძლიერ ვმდური.

**მუჟუნა** — ო, მე სიხარულს მხოლოდ შენთან ვგრძნობ...

**ნელი** — (ირონულად) თუ ლექსისთან?

**მუჟუნა** — ააა, ღმერთმანი!

**ნელი** — წელიან შემხედა.

**მუჟუნა** — მე განა მჯერა:

სიტყვაპრაველი მისი ენა, ქათინატრი?

მე მინდა ვიგრძნო სიყვარული, კი არ ვისმინო.

(ტელეფონი დარეკავს. მისს განზე გადასდებს).

მე უშაღლესში ვერ შევსულვარ, სწავლა კი მინდა,

ჯერ რუსთავიდან თბილისამდე, შემდეგ პირიქით,

ამ სამსახურში სიარულმა მთლად გამათავა.

ზოგი უვიცი დედაკაცი, უწნო, უკონო,

მართლაც, მკუდიან შეიშლები, ისეთ ბედშია:

გუშინ ვიყავი რუსთაველში, ვნახე „ოტელო“.

ჩემს გვერდით იჯდა ვიღაც ჭალბი, მდიდრიად ჩაემუღო,

მსუქან თითებზე ბრილიანტებს აბრიალებდა,

ჩემოდნის ტოლა ხელის ჩანთა ედო მუხლებზე.

ბოლოს კივილით ისიც აყუვა ტაშის. ცემას: ბის!

ავტორს ეძახდა, რომ სცენაზე გამოსულიყო...

(კაბინეტიდან ისმის ზარი. მუჟუნა შერბის).

**ნელი** — (მარტო) ნეტავ ვიცოდე, საბოლოოდ რას გადაწყვეტენ!

ვითომც დაიცავს თამაზს ჩემი მაშინაცვალი?

არა! პირიქით, ხელს შეუშლის და შეეცდება,

როგორც ფიქრის თაემჯდომარემ, საქმე ჩაშალოს.



ის ებრძვის თამაზს, ცხოვრებაში მეც მელობება, რადგანაც იცის მასთან ჩემი ურთიერთობა. ო, რომ იყოფდნენ, რა კაცია შამინაცვალი, სახით თითქოსდა კეთილია, გულთ — ცბიერი, მივირს, ღიმილით როგორ მალავს ამდენ სიყვეს. ხალხში თითქოსდა გულუბნია, გულსხმიერი, სამაგალითო კომუნისტი და მოქალაქე.

სახლში ნამდვილი მტარვალა, თანაც უზნეო. ანხლობს, მიზნობს, შეეწევა სული დედაჩემს. მე ხომ იმათთან წუთით ვეღარ გაეჩერებულვარ? სწორედ ამიტომ რუსთავეში ვარ გახიზნულივით. ბავშვი ვიყავი, როცა მამა ვადამისახლეს, ტყუილ-უბრალოდ წამებული სადღაც დაღუპეს. მან ისარგებლა ამ უბედურ მდგომარეობით და ჩვენს უმწეო, ობოლ ოჯახს დაეპატრონა. მე თითქოს შურდიდა, მასწავლიდა, დღეს ტანჯავდა. ვუყვარდი, აღერსს არ მკაცრებდა, მეფერებოდა, მაგრამ, მაშობრივს აღარ ჰგავდა მისი მოქცევა.

რა გქნა? ვერ მითქვამს ვერაფერი, ვიღაც მივმართო? დავდივარ, დარდებს დავატარებ გულნათხრობილი. დედაჩემს როგორ ვავეუმილო? ეს რომ ვიგვოს, თავს დაატყდება საშინელი უბედურება. ნუთუ თამაზსაც არ დაინდობს, და ეკვების ვამო გზას გადაუტრის ჩვენს მომავალ ბედნიერებას?

(კრებიდან გამოდის ძუძუნა. წელი მას შეაჩერდება. მეორე კარებიდან გამოჩნდება იან გენო და მართა).

**ძუძუნა** — ენების ყრა უფვე მორჩენილა და ხმებს ითვლიან.

იმედო უნდა ვიქონიოთ. (უყვლა შევებით ამოისუნთქავს) ბუობენ, ხუმრობენ.

კარგ გუნებაზე არის შენი შამინაცვალი.

(კრებიდან გამოდის ერთ-ერთი კომპოზიტორი. მას ჰქვია თომა. ზედმეტ სახელად „ურწმუნო თომას“ ეძახიან).

**1 კომპოზიტორი** — (დაშხედურებს შიმართავს).

მოცარტი, ბახი, ბეთოოვენი აღარ არიან.

ისინი ცაში დაფრინადნენ, ღმერთთან მსჯელობდნენ,

ღალადისობდნენ, ლოცულობდნენ ციურ პანგებით,

სხივთა სიმებზე აედრებდნენ მისნურ საკრავებს,

მზეს შეგლობდნენ და მთიარესთან ჰქონდათ კავშირი.

ამას — პირიქით, (გულსხმიობს თამაზის სიმფონიას), შუგ მიწაში ცოცხლად ჩაყვავართ.

არა, ბატონო! მუსიკის დრო უყვე წავიდა.

არ მეორდება ბელოგენების სავერველები. (გამოდის მეორე კომპოზიტორი და ისიც ჩაერევა საუბარში, ბაქია).

**2 კომპოზიტორი** — თქვენ ვსურთ გაავით. თუ რა მოხდა, რა გადაწყვიტეთ?

იმე! რა უნდა მომხდარიყო? მათქვამს და ეიტუო:

მას კიდევ ბევრი დასჭირდება დამუშავება.

აი, მუსიკა იმას ჰქვია, მე რომ დავწერებ,

მაგრამ ვინ არის ქვეყანაზე მისი გამგები?

ერთდროს აქ ისიც გაარჩიეს, გააკრიტიკეს,

და ეს კრიტიკა კი არ იყო, — ჩაკირკიტება,

უწოდებს უში, უსუსური. უშინაარსო,

თანაც დამწამეს კუთხურობა და პრიმიტივი.

უვლაზე უფრო ჩემს მუსიკას ჰგობდა თამაზი.

ღამო კაცი არ ვარ, მას ჩემი ხმა მაინც მივეცი.

**ნელი** — (მოუთმენლად) გვიბარბო მაინც, რა გადაწყდა, რა დაადგინეთ?

**2 კომპოზიტორი** — მე ჩემი საქმე ვაყავით. მორჩა, გათავდა. (ძუძუნას ამშვიდებს).

შენი ძმის საქმე, ნუ გადარდებს, კარგად იქნება.

რაც შეეხება ჩემს მუსიკას, საყიბი დავსვი,

თვითონ ცენტრალურ კომიტეტში, პირველ მდივანთან.



(პორთფელიდან ნოტებს იღებს).

რა კეთხურობა უნდა იყოს ამ კრიმინალში!

(კრიმინალთა გელის, გამოდის მესამე კომპოზიტორი. წუნია).

3 კომპოზიტორი — წელან კრებაზე არ მაცალეს, ახლა განვაგრძობ:

ფალაშვილი რატომ იყო ერის გენია?

ქართველი ხალხის გულში, სულში იხედებოდა,

ერიდებოდა უცხო პანგებს, უცხო გავლენას.

ჩვენი მუსიკა უნდა იყოს მკვიდრი, ქართული,

ის უნდა ჰგავდეს მთის გულიდან ჩანჩქერს მოვარდნილს,

ჩანჩქერს, რომელსაც, სანამ ზღვას არ შეუერთდება,

ხმა გაანია საკუთარი, ფერიც, იერიც.

სიცოცხლე მუდამ წინსვლაშია, არა? (კრებიდან გამოდის კიდევ ერთი კომპოზიტორი და საუბარში ჩაერევა, შეთანხმებულია, დასტურის ხიშნად ამბობს „კი კაცოს“. მამუკას ეძახიან).

4 კომპოზიტორი — (ეთანხმება), კი, კაცო!

1 კომპოზიტორი — ჩვენს მუსიკაში შემოიჭრა კილო ჯგზური,

თანდათან სდევნის ქართულ პანგებს და მელოდიას.

3 კომპოზიტორი — ეს ხელოვნების სხვა დარგებშიც შესამჩნევია.

4 კომპოზიტორი — ან ცუდია რას ჰგავს, ქაჯთა როცა ისტერიული?

1 კომპოზიტორი — ან თქვენ გგონიათ, ეს მუსიკის ბრალი არ არის?

3 კომპოზიტორი — ან ლექსი რას ჰგავს? ზოგიერთებს როცა ვითხულობ,

ფუტურისმის და დადასმის დრო მავონდება.

1 კომპოზიტორი — არა მგონია ამას ჰქმნიდეს ჩვენი ცხოვრება,

ეს ყველაფერი კვლავ გარედან შემოტანილი

მოღერნიშვია.

3 კომპოზიტორი — ამიტომაც ხალხსაც არ მოსწონს.

4 კომპოზიტორი — ძლიერ გაშორდა მუსიკობა და პოეტობა.

3 კომპოზიტორი — ხშირი სიმინდი ნაყოფიერ ტაროს არ ისხამს.

4 კომპოზიტორი — ამიტომ უნდა გამოხშობო მტრელი კრიტიკით.

3 კომპოზიტორი — რედაქტორებმაც მოუბშირეს მათი დაბეჭდვა.

1 კომპოზიტორი — რა აიძულებთ, რომ ბეჭდავენ?

4 კომპოზიტორი — ეს რატომ, იცი:

უწინ ჰაბუკი რედაქტორთან თუ შედიოდა,

მორიდებისგან შიშით მუხლი უკანკალუბდა,

ახლა რედაქტორს უკანკალებს მუხლი, პირიქით.

3 კომპოზიტორი — მე მუსიკისთვის ლექსებს თვითონ ვწერ,

ვეკრებ თვითონვე, — თუ დამჭირდა, ვიმღერებ კლდეც.

(დაბოლოს მათ შემოუერთდება დირიჟორი, მაღალი კაცია, ხანმოშენული, შეღებილი თმა მზრებზე აყრია. ილიაში ამოჩრილი აქვს რაღაც აპარატი. გამომგონებელია, ცოტას მოიყრუებს).

დირიჟორი — (თავაწევით) ბავშვი იზრდება ივე-ნანით, ასე მცენარეც

ტყბლად ფშტინავს და იფურჩქნება მუსიკის ხმაზე.

ამ ხმის გამტარი აპარატი გამოვიგონე.

მით ჩავიხედე ტყის წილში, ჩაეწვდი ზუნებას.

ვესმენ გარკვევით მცენარეთა აბუბუნებას.

ტყბილი ხმა არჩენს ავადმყოფებს, არჩენს უბოლოებს.

1 კომპოზიტორი — (ირონულად) და კაციც ცოცხლობს სიყვდილამდე.

3 კომპოზიტორი — მართლა?

4 კომპოზიტორი — კი, კაცო!

3 კომპოზიტორი — ტყბილი სიტყვებით მთას ირეში მოიწველათ!

1 კომპოზიტორი — წარმოიდგინეთ, ამის შემდეგ, რა ვრწმობიერი,

რა ტყბილხმოვანი უნდა იყოს ეს აპარატი,

რომ გაანელოს, გაატყბილოს ხმა შემზარავი,

თორემ ხმაურა მცენარეებს ღუბავს პირიქით.

აი, მიხაკო, მაგალითად, მგავს ვერ იტანს,

რადიოს ხმა და ლაპარაკი აქნობს უმაღლე.

დირიჟორი — მოსკოვს წავედი, კრემლში ვიყავ ვოროშილოვთან.



გამოვინებდა მომიწონეს, მომცეს პრემია.

აქ ჩამოვედი, თბილისში და... ქე დამიწუნეს!

(ერებიდან გამოდის გივი, კომპოზიტორთა კავშირის პარტიურის მდივანი)

**ქეთევანი** — (მასთან მივარდება) იქნებ შენ გეთხრა, რა გადაწყვიდა?

**გივი** — (დაღონებით) რა ვქნა, ვიცავდი:

მაინც თავისი გაიტანა უმრავლესობამ...

(ქეთევანი ქეითინით დაემშობა მაგიდაზე).

**ნელი** — (გივის) მერე თქვენ გჯერათ?

**გივი** — არასოდეს! ჩემი გავეებით:

შრომის ნამდვილი სიმფონია სწორედ ეს არის,

მაგრამ მას ბევრი აღმოუჩნდა წინააღმდეგი,

განზრახ წერილობებს ჩააცვდნენ, ძალით ჩაადრჩეს.

**გენო** — (მართას) გესმის, რა ხდება?

**მართა** — (სინანულით) მესმის, მესმის!

**გენო** — (გააჯერებელი) უსამართლობა!

(პაუზა. უცებ გაიღება კამინეტის კარი და გამოჩნდება რევაზი, გამარჯვებულს იტოვებს. შეამჩნევს ნელის).

**რევაზი** — (ნაძალადევი ღმილით).

შენც აქ იცდიდი, ნელი ჩემო, მოწყენილი ხარ!

ჩემთან მოხვედი? დამოცადე, წავალთ ახლავ. (ქეთევანს):

შენ რა გატირებს, ქალიშვილო, რა დაგემართა?

ჩვეულებრივი ამბავია, ჩვეულებრივი:

მოხდა პირველი დამარცხება... მერე, რა ვუყო?

იგი შემდგომი გამარჯვების საწინდარია.

თქვენ კარგად იცით, მე გულწრფელი კაცი ვახლავართ.

შეტად შეწყვიტა ეს ამბავი, მაგრამ, რას იზამ?

უმრავლესობის მხარეზეა კვებარაობა.

ახალგაზრდა იკვრ თამაზი, და ცოტას ჩქარობს,

უნდა ერთბაშად ზენიტს აწვდეს, ყველას გაუსწროს,

არაფერია, წარმატებას მიაღწევს ბოლოს!

**ნელი** — (ირონიულად) თქვენც, იმედია, ხელს შეუწყობთ მას ამ საქმეში.

**რევაზი** — ეს რა სთქვი, ნელი? მე არ მესმის შენი ქარავმა.

(ამ დროს თავმჯდომარის კამინეტის კარებთან გამოჩნდება თამაზი, სასოწარკვეთილია, შწარვ ღმილი დაკრავს სახეზე. ყველა მას მიანერდება).

**რევაზი** — (გენოს, მართას და სხვებს, თითქოსდა საყვედურით).

აქ რატომ დგებართ? არ სჯობია საქმეს მიხედოთ?

გენო, მანქანა გამოვიდეს, აბა, სასწრაფოდ,

ნელი სახლამდე მიიყვანოს, მერე დაბრუნდეს,

ისევ ცენტრალურ კომიტეტში უნდა წავიდე.

**ნელი** — (შეხედავს თამაზს, შეცბება) მე დეხით წავალ!

**რევაზი** — (ბრძანებით) დედა გიციდს, უნდა წახვიდე!

(ნელი გადის, რევაზი თავის კამინეტში შებრუნდება. სხვებიც გადიან. სენაზე რევაზიან თამაზი, გივი და ქეთევანი, რომელიც მაგიდაზე დამოხობილია და ქეითინებს. პაუზა.)

თამაზი მიდის ქეთევანსთან, მოფერებით თავზე ხელს გადაუსვამს).

**თამაზი** — კარგი, ნუ სტირი, ჩემო დამო, ნუ დაღონებ!

მე თვითონ ვლავა, ვარ საშინლად აღშფოთებული?

რა ჰქნეს? რა მოხდა ჩემს გარშემო? რწმუნა დაეკარგე!

**გივი** — თამაზ, გამხნევედი! ნუ იჯერებ, გულს ნუ გაიტეხ,

შენში კი არა, თვითონ ჩემშიც რწმუნა შეირყა,

მეც არა მჯერა ამ ცბიერი ამბავების.

ყველა მათგანი, თავის-თავზე შეყვარებული.

გულით კი არა, შურიითა და ღვარძლით მოქმედებს.

შენმა მუსიკამ დღეს მოლოდინს გადააჭარბა,

უკვე დაჩრდილა ყველა ჩვენი შემოქმედება.

და შენი ბედი ერთხანობას მეც შემზარბა,

მაგრამ ეს გრძნობა იმათ მდამალ გრძნობას არ ჰგავდა.

მე პარტიურის მდივანი ვარ, კომპოზიტორი,



პარტიულ სინდისს და სიმართლეს მელამ დაეცია,  
იცილდე, შენი მუსიკის ბედს, არა ესენი,  
არამედ ხალხი, პირთოვნელი ხალხი გადაწყვეტს.  
მოპილოცნია გამარჯვება! (მაგრად ართმევს ხელს).

თამაზი — (სახეგაბრწყინებულად) მაშ, გჯერა ჩემი?!

გივი — (მტკიცედ) როგორც უოველთვის!

რეჟინა — (გაბარებული) თამაზ... გივი, შენ გენაცვალე! (უნებლივთ გივის კისერზე მოხვევა).

### სურათი-მორაი

კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის კაბინეტი. მაგიდასთან დგას რეჟინა. კმაყოფილებით დილინებს. ხელში უჭირავს ყდაში ჩასმული კლავირი, კამერტონივით თითს ათამაშებს, თითქოს დირიჟორობს.

რეჟინა — რუსთავის შრომის სიმფონია ეს უნდა იყოს.

თამაზი უკვე მოვიცილდე, როგორც მეტოქე.

მეც ამის შემდეგ წინ რა უნდა გადავდგომო?

აკი ჟიურის მძლე სადავეც ხელთ მიკავია?

(პაუზა. თავის-თავთან ლაპარაკობს).

უცებ მოხდა და... მეც სასტიკად გამაჟირტიკეს.

მიტხრან: ამაში არ იგრძნობა შრომის პათოსი.

ვეტყვი: თქვენ ცდებით და ზერელედ მსჯელობთ საკითხზე.

უფროსთა მიმართ ახალგაზრდებს ასე გჩვევიათ.

— პარტიკულულო პროფესორო, ეს ხომ რჩევაა?

— ისლა მაკლია: დარიგებას, რჩევას მაძლევდეს

ახალგაზრდობა, ისიც ჩემი ნამოწაფარია.

— რჩევა თუ არა, შენიშვნები ხომ შეგვიძლია?

— არც შენიშვნები მჯერა თქვენი, რადგან არ გესმით!

— ბატონო, ასე რატომ ღელავთ, რატომ ბრახდებით?

— როცა მდინარეს წინსვლად გზას გადაუჭრიან,

კალაპოტიდან რომ ამოვა, არ იცით განა?

(სივც ჩაფიქრდება. კლავირს დახედავს).

ნეტად ვიცილდე, რა აკლია, რა გაეასწორო,

ნუთუ ამაში ხელოვნების ნიჭი არ არის?!

იქნებ ვტყუვდები და პირმოთენ სიტყვებს ვუჯერო.

იქნებ კარგი მშურს და სიკეთე მტრობა მკონია.

იქნებ არ ვარგა ეს მუსიკა და მე არ ვიცი.

მაგრამ, ო, არა! ვველა მშობელს მახინჯი შევილიც

სხვაზე უმეტეს მაინც უყვარს და ენანება.

თედაცვის გრძნობა ასეთია, და მეც ამიტომ

ჩემივე მიზნის მისაღწევად უნდა ვიბრძოლო.

მისთვის არ კმარა პროფესორი იყო მუსიკის,

ანდა კავშირის თავმჯდომარე, არამედ მეტი.

ესოქვად, მაგალითად, ჩემს შესახებ ხმა რომ გაერცხლდეს.

ამასობაში ჩემს მიზანსაც უკეთ მივაღწევ...

ხმას კი ერთბაშად გაერცხლებს ჩვენი ძუძუნა.

(სარკასტულად ჩაიციინებს. ზარს რეკავს. და სანამ ვიქნება შემოვიდოდეს, აიღებს

ტელეფონის მილს და მის ვასაგონად განზრახ ლაპარაკობს).

თითქოს კულტურის მინისტრობა შემომთავაზეს?!

აბა, რას ამბობ, რა დროს ჩემი მინისტრობაა?!

ან ეს ამბავი ხომ არა ჰგავს ქართულ ანდაზას:

„ბაშტი გატყდა და, კი არ გატყდა, ხმა გავარდაო!?“

კვამლი უცუცხლოდ არ იქნება? სწორია, მაგრამ,

ეს განა ჩემთვის კარგი არის? ამ დროს, მეტადრე,

მტრები ფხიზლობენ და ცდილობენ საქმე ჩაშალონ,

მასთან მინისტრიც გადამიჯდონ და მოადგილაც.

(თითქოს ახლა დაინახავს ძუძუნას).

მტკიცე პირობა უნდა მომცე, ჩემო ძუძუნა!



**მეფენა** — პატივემულო, ნეტავ რისთვის?

**რევაზი** — რომ არსად იტყვი.

**მეფენა** — განა კულტურის მინისტრობა დასაშლია.  
პირიქით, უნდა მოვილოცოთ, ღირსი ბრძანდებით!

**რევაზი** — მაინც ამაზე ლაპარაკი ნადარევია.

თუ შეასრულებ შენს პირობას, მეც დაგპირდები:

ჩემი ერთგული მდივანი ხარ, აქ არ დაგტოვებ.

ახლა წადი და გვივს სთხოვე! (მეფენა გადის).

მომეცა პირობა! (ხიზხითით).

მეუჯღიც რომ იყოს, — საიდუმლოს ქალი დამალავს?

ახლა წავა და ტელეფონით ამცნობს მთელ ქალაქს.

კორო სწრაფია, სიმათლეზე ადრე ვრცელდება.

მერე? ხომ ვიცი, კორიკანა ხალხის ამბავი?

აბუდება რევა, მოლოცვა და პირმოთენობა.

ამ ღროს რევაზი განდიდების მწვერვალზე დგას და

ხალხს გადასცემის, მდიდრად უხდის მადლობას.

ბევრი-რამ ძალუთ ამ პატარა ადამიანებს:

მთ, შეუძლიათ დაგეხმარონ განდიდებაში!

რევენი კაცს პეტა თვალში აქვს და არა თავშიო!

მამ, ასე: ყველა დაბრკოლება უნდა დაეძლიო,

თამაზი უნდა დავაშრო ნელის... (ამ ღროს შემოდის გივი) მოხვედი? (უკრიდან იღებს

მონეროლობას და გვივს გადასცემს) გივი, მე მინდა შეგითანზმო ერთი საკითხი.

ვინ შეიძლება გაიგზავნოს ჩინეთში?

**გივი** — რისთვის?

**რევაზი** — ჩვენს შესაცაზე ლექციები რომ წაიკითხოს.

**გივი** — ნეტავ, როდის და რამდენი ხნით?

**რევაზი** — მგონი ერთი წლით.

აღბათ შემდურის, მე კი მისთვის კარგი მინდოდა.

ახლაც კარგი მსურს და ამისთვის ვცდილობ კიდევაც,

როგორც შეგობარს, მჯერა, შენც რომ გაგზავნაღება

და ეს ცენტრალურ კომიტეტშიც დამიდისტრერეს.

ამ საპატრიო საქმისათვის, ყველაზე უფრო,

შესაფერია, ჩემი აზრით, მხოლოდ თამაზი.

**გივი** — მეც ასე ვფიქრობ.

**რევაზი** — მსურდა შენი გაგზავნა, მაგრამ,

შენ პარტიურის მდივანი ხარ, ვერ მოიცილიდი.

**გივი** — არაფერია!

**რევაზი** — სხვა, რა ხდება? რა ამბავია?

ჩემი ვიურის კრების გამო, ნეტავ, რა ისმის?

**გივი** — (ღიმილით შეაპარებს) რაღაც გაგივე თქვენ შესახებ, თუ მართალია!

**რევაზი** — გამაგებინა, ვინ მივრცელებს ამ ხმას, ნეტავი?

**გივი** — რაბან ამბობენ, აღბათ, სადმე იყო მსჯელობა.

წინადადება ხომ არ მოგეცეს, ნუ დაგვიმალავთ.

**რევაზი** — არ დაგიმალავ, შენ — შით უფრო... ეს კი ცხადია:

რომ ცენტრალური კომიტეტი ხშირად შეძახის,

მძღვეს ათასგვარ დაეალებას... ახლაც მივდივარ!

(ტელეფონის ხმა) უკვე დაიწყეს, ხომ ვითხარი? ჩემი ცოლია.

(თითქოსდა ტყბილად უსმენს და ტყბილადვე ვლაპარაკება).

გისმენო, ქეთევან პლატონოვნი! რამ შეგაწუხებ?

ნელი წავიდა? სად? რუსთავეში? კარგი, გეთაყვა, (გივი გადის. რევაზი მრისხანედ).

ქალო, რა იყო, რა ვაჩხელებს, რამ გადაგრაო?

სხვავან წავალო? დე, ჯანდაბას იქით წავიდეს!

შენ კი, ოჯახურ საქმეებზე, აქ, სამსახურში,

ჩემთან რეკვა და ლაპარაკი ხომ ავიკრძალე?

(მიღს დაანარცხებს).

ღროა: მისაწყენ ამ წარსულსაც ბოლო მოედოს,

რაც ელოდება ჩემს მომავალ ბედნიერებას.

## მოკამედეზა ზიორა



რუსთავი, თამაზის მშობლების ოჯახი. ბაღში დგას აიენიანი კოტეჯი, ხისტყეში მარჯვნივ შევოსაჯღღამებით. სახლიდან შოისმის სიმღერა. მეგობრები წინეთში მიმავალ თამაზს აცილებენ. ბაღშია თამაზის მამა იოსები. ხეს რგავს. შორს მოსჩანს რუსთავის ქარხნის პეიზაჟი.

**იოსები** — კარგია, კარგი მუშაობა ბაღში, პაერზე, ყვავილების და ხეხილების გაზრდა გახარებს. უკლი ყოველ ბუნქს, მშობელით ვალერსები. საღ მზის თაქარა, საღ ფოლადის მწველი აღმტერი? მამიე შრომაა, იჭაური ოფლიც სხვა არის, თუმცა ორივე ტკბილია და სასიამოვნო.

**რუსუღანი** — (აიენიდან ვადმოსძახებს) ნუ გადაპყვეი დილიდანვე ხეებთან ბაასს.

**იოსები** — შე ხეხილებთან საუბარი არ მომწყინდება, მათ შენი ესმით და ამიტომ შენც ვიხარია, ზოგი ყვავილებს გამოვიწვდის, ზოგი — ნებავრად ფოთოლთ მარაოს გადავიშლის და გინიავებს. მეორე ცვლამდე ჯერ ადრეა, რა მერქარება? დასვენებაა ქარხნის შემდეგ აქ მუშაობა. დრო თუ საქმითვე არ შეივსო, ცარიელია! (ისმის ხმა).

**გარედან ხმა** — შენ გამარჯვება.

**იოსები** — გაგიმარჯოს, ჩემო ელეფთერი! წასვლის დრო არის?

**ელეფთერი** — არა, ისე გამოვიარე. (შემოდის ბაღში). ანდროს არ იყოს, შენც ამ ბაღში არ გაგიტაცოს.

არ მოვანატროს კვლავ სოფელი და გლეხკაცობა.  
**იოსები** — ჩემი გუთანი მუდამ იყო დაზგა, ქარხანა, თუმცა დიდი, მიწიბდეელი ძალა მიწისა.

**ელეფთერი** — ჩვენ კი, ეს გრძნობა რომ აღმოვუხრათ, იმის მაგიერ, ვიმეწებთ კერძო კარმიდამოს, ბაღს და ხეხილებს.

ამიტომ ზოგმა ქარხანაში უკლო სიარულს, თავის ბაღს უფლის და ხეხილით ვაჭრობს კიდევაც.

**იოსები** — ვითომც არიან ასეთები?

**ელეფთერი** — რა შორს მიდიხარ? ჩვენი პარტკომის საყვედური გუშინ, კრებაზე, პირველად ანდროს ეხებოდა.

**იოსები** — ეს არ ვიცოდო.

**ელეფთერი** — მგონი ლათობაც დაუწყია იმ შეჩენებულს, წუხელ ისეთი მთვრალი ვნახე, მთლად ვალეშილი,

ახლოს ასანთი რომ ვაგეკრა — აფეთქდებოდა. როცა ქარხანას გაახსენებ, საყვედურს ეტყვი, — უმალ მოგიშვებს ორდენივით თმის კრილობას.

**იოსები** — ეპ, დაღუპულა და ეგ არი, რა ეშველება?  
**ელეფთერი** — საბაში წყლით სავსეს უმაღლავნ თერამე გრადიშნაც.

**იოსები** — ვინც მიტოვებს შრომისხადმი პატივისცემას, ის არა მარტო კეთილ საქმეს, ნამუსხაც ჰკარგავს.

**ელეფთერი** — ნელი, ხომ იცი, ჩვენი კლუბის გამგე რომ არის, ჩამციება, პენსიაზე რომ გადავიდე.

**იოსები** — მეც ასე არ ვარ? მაგრამ ძველი გამოცდილება კიდევ სჭირდება ჩვენს ქარხანას, მამ, რა ვეგონა?! (ელეფთერს, რომელიც ეხმარება მას ხის დარგვაში).

ღრმად ამოთხარე! დე, ფესვები მაგრად გაიდგას. ეს ხე თამაზის სახელობის არის, იცოდე.

**ელეფთერი** — ვიცი! თამაზი ყველასათვის საყვარელია.



იოსები — ჩვენ ხომ უბრალო მუშები ვართ?! ასეც მოეხუცდით.

და ახლა, ზედაე, რა დრო დადგა, რას მოვესწართ?

ელფთერი — ხუმრობ: აქედან ცაცს იწვევენ მომე ჩინეთში,

რამ ლექციები წაიკითხოს პროფესორებთან,

და მათ გააცნოს ტბილქართული ჩვენი მუსიკა.

ამ ხემ იხაროს, გაუფრთხილდი თვალისჩინივით,

მას, ვით მოზარდ ბავშვს, ისეთივე მოვლა სჭირდება.

ეგრე არ არის?

იოსები — მართალს ამბობ, ჩემო ელფთერი!

ზეც ხომ ეოცხალი არსება? ტოტებაურილი,

ჩემი თამაზის ჩამოსვლისას, აქ უნდა დახედეს.

ელფთერი — ასევე მისი მომავალიც გაიფურჩქნება. (სახლიდან მოიხშის ტბილი სიმღერა).

იოსები — შეხე, უსმინე! რა ტბილად და კარგად მღეროან.

მასთან მოვიდნენ მეგობრები, ვზას ულოცავენ.

ელფთერი — შენც ვიხაროდეს, შეილი კეთილ საქმეზე მიდის

და მეგობრებიც ზელს უწყობენ, ეხმარებიან,

სურათ გაატანონ სიყვარული შორ ქვეყანაში.

იოსები — შეც ასე ვფიქრობ... (ზელებს ვაუშევრს).

ამას ზედაე, ჩემო ელფთერი,

მე ფოლადს ეადნობ, ჩემი შეილი მუსიკოსია.

ელფთერი — ჩვენ ფოლადს ეადნობთ, ეცებლს ვამღერებთ, გულს ვახალისებთ,

ეს ყველაფერი შენმა შეილმა იცის... ამიტომ,

მართალია და მიშვიდველი მისი მუსიკაც...

მიტრინავს?

იოსები — დიხს! ორ საათში ჩავა მოსკოვში.

მერე ჩინეთში გატრინდება.

ელფთერი — აი, ზღაპარი:

ფეხით აქედან ჩვენს ქარხნამდე მერე დრო უნდა. (აივანზე რუსუდანი გადმოდგება).

რუსუდანი — ასეთ შორ ვზახე შეილი მიდის და შენ, იოსებ,

დილიდან მაგ ზეს უტრიალებ, რა დროს ეგ არის?

ზევით ამოდით, ბედნიერი ვზა დაულოცეთ,

ვინ იცის, როდის დაბრუნდება ჩემი თამაზი?

ის დალოცვილი შორი ვზაა, შორი ქვეყანა.

და შენც, ელფთერი, აყოლილხარ ჩემს ქმარს და ამ დროს

ჩინეთით მაგ მიწას... ვავიონილა ასეთი რამე?

ეპ, მამაკაცებს გული არ გაჭეთ...

იოსები — როგორ თუ არ გეაქვს?

მაშ, ეს ზე, ნეტავ, რისთვის დაერგე, რატომ ვახარე?

იგი მე გულმა, სიყვარულმა დამარგვევინა.

ელფთერი — ეს ზე თამაზის სახელობის ვახლავს, რუსუდან,

ამას მოვრჩებით და ბედნიერ ვზას დავულოცავთ.

იოსები — შენ კარგი სურფა გავვიშალე და ჩვენ მოვდივართ.

ელფთერი — ბედნიერ დღისთვის შემონახულ ღვინოს ხომ ვახსნი?

რუსუდანი — არა, დღეს არა!

იოსები — აბა, როდის, ჩემო რუსუდან?

ამაზე უფრო ბედნიერი დღე დავვიდგება?

რუსუდანი — როცა მშვიდობით დაბრუნდება ჩემი თამაზი!

თქვენ სხვა ღვინოსაც კარგად დალეეთ, ზევით ამოდით!

(წყლის ონკანთან ზელს იბანენ).

ელფთერი — კარგი, ბატონო, ყაბულსა ვართ, აი, მოვდივართ! (სახლში შედის).

იოსები — (ზელის დაბანავს მოათავებს. აივანზე შეაშინვეს ლექსოს, რომელიც გარინდებულ

დგას და ზელმოჩრდილვით ცას შესცქერის. აცვია ახალი მოდის კოსტუმი. მკერდის

ჯიბეში ვარდი აქვს გაცემებული).

რას უტყერ, ბიჭო?

ლექსო — დედამიწის თანამგზავრს.





იოსები — მერე?

განა ეს ბალი სათვალთვალო შენი პუნქტია?  
თუმც მის დანახვას არ უშეუღლს ხელის მოჩრდილვა,  
მას იარაღით აღჭურვილი თვალი სჭირდება.

ლექსო — შე შორსმხედველი ვარ, ბიძია!

იოსები — არა მგონია!

შენ, როგორც ვატყობ, უნდა იყო ახლომხედველი,  
ამ ბალს რომ უვლი ახლომბლო... რად არ მემოხბო?  
ახლა არ განახა მამაშენმა? რამე არ გითხრა?  
შენი ლემელი ჩამქარალია? დროს რატომ კარგავ?

ლექსო — შე დღეს ვისვენებ ლამის ცელამდე... გარდა ამისა:  
დროს დაკარგვია დასვენება?

იოსები — აბა, რა? თუმცა... (ხელს ჩაიქნევს)

დროს დაკარგვაზე ლაპარაკი დროს დაკარგვია.  
(შემოდინ ნელი და ქუეყნა).

ნელი — სალამი, ძია!

იოსები — პატივცემულ ნელის სალამი! (ქუეყნას მოფხერება).

შენც ჩამოფრინდი თბილისიდან ჩემო კედრაქვავ?

ნელი — ლექსო, აქა ხარ?

ლექსო — გამარჯობათ, პატივცემულო!

ნელი — აკი დღეს განხე? დაგვიწყდა! (ქუეყნას სიცილი აუტყდება და სახლში შერბის).

ჩამო, შე ვიცო,

შენ ეისი ხათრით მეუბნები ამდენ სალამსაც?

(ხელს ჩაქიფებს, სურს აივანზე აიყვანოს. სახლიდან გამოჩნის ქუეყნა).

იოსები — ხალხო, სტუმარი მოგივიდათ, ნელი შობრაძედი! (შედიდა).

ლექსო — (ქუეყნას დაედევნება) დაიცა გოგო, სად შირბიხარ?

ქუეყნა — არა მცალია.

ლექსო — ჩემვან ვეშინწინ ხომ მიიღე ვრცელი ბართათი?

ქუეყნა — (განზრახ) არ მიშლია!

ლექსო — როგორ არა?

ქუეყნა — საიდან იცი?

ლექსო — იგი თვითონ შე ჩავიდევნი ჩემად ჯიბეში.

რა ქენი, გოგო, წაიკითხე?

ქუეყნა — ზეპირად ვიცო!

შენ პოეტობაც დაგიწყია, როგორც ვეტყობა.

ლექსო — ჰო, კანტიკენტად ვწერ ლექსებსაც, მხოლოდ ისინი.

ჯერ რემინგტონზე დასაბუქდალ თუ ივარგებენ.

ქუეყნა — (ირონიულად) ასე რემინგტონს ნუ დასცანი, მთელი ცხოვრების

„სიბრძნე-სიცრუე“ სულ მაგაზე არ დაბეჭდილა?!

ლექსი კარგია, მხოლოდ ფორმა არ მომეწონა,

„სიხარული და სიუფარული“ ძველი რითმაა.

ლექსო — სამაგიეროდ. შიგ აზრია მარად ახალი,

დაუქმონებელი სიყვარულის აზრი შალაღი.

ახესალომის ეთერივით გაღამაზებულს,

განა შენ მხოლოდ აბრეშუმი დაგამშვენებდა?

ქუეყნა — (კოსტუმზე აკვირდება)

ისე, როგორც შენ, ეს კოსტუმი... (სიცილი აუტყდება).

ლექსო — რა იყო, გოგო?

შენთვის ჩაიცვი ეს კოსტუმი და შენ დამყინე?

ქუეყნა — სამკერვალოდან სხვისი ხომ არ გამოიტანე?

პატერიაში რა მიცვი?

ლექსო — მხოლოდ ექვსასი.

ქუეყნა — მერე — შეკერვა რა დაგიჯდა?

ლექსო — კიდევ ექვსასი.

ქუეყნა — ძველად ეს მოდა ქალებს ეცვათ. მოკლე წერწება,

მას ძველებურად, „შანტიკური“ ერქვა სახელად.

ლექსო — პარამუტივით ფართო შარვალს დღეს არ იცვამენ.

ეს ხომ ახალი მოდა არის?

**ჟურენა** — მოდა კი არა:

სწეულუბაა, გადაძვლები ავადმყოფობა.

**ლექსო** — მაინცღამინც არც თქვენ იკლებთ მოდებს უცნაურს:

ჭედის მაგიერ რომ ვახურავთ ბატის ფიტული,

ფეხსაცმლის ნაცვლად ფეხზე თითქოს უთო ვაცევათ.

**ჟურენა** — მე? უკაცრავად!

**ლექსო** — (მობოდიშებით)

არ გეწყინოს, შენ მართალი ხარ!

ეს დღევანდელი მოდა სწორედ სწეულუბაა,

ან გადაიჩან სამულდამოდ, ან გადაიგიტანს.

ასე მგონია: ტანზე მეცეას ბავშვის კოსტუმი.

ჰოდა, მირჩიე, ამ სენისგან როგორ გადავრჩე,

ყველა კოსტუმში დავამოკლე, დავაფოროვე. (ჟურენა ისევ იცინის).

**ჟურენა**, ეგრე ნუ დამციხნი! და ნუ სარგებლობ

ჩემი შენდამი ერთგულებით... შენ თუ გინდოდა

ჩემთვის კეთილი, რატომ ადრე არ მაფრთხილებდი?

ნეტაეი რა მაქვს დასაციხნი? გუშინ ხომ ნახე:

როცა ღემელი გვაჯე და — ფოლადის ცეცხლში

იფეთქა უცებ... შენ კი, მართლაც, ელვა გავგონა.

**ჟურენა** — შენ მაშინ, მართლაც კარგი იყავ და მოსაწყონი.

**ლექსო** — ე, სიყვარულის ცეცხლში იწვის გულის ფოლადიც.

**ჟურენა** — გამოიწართობა და სიყვარულს არ უღალატებს.

**ლექსო** — შე თუ მანამდე გულმა თვითონ არ მიღალატა. (მოწყვენით).

უსიყვარულო კაცი რაა? სულმთლად უცეულო.

როცა შენ გისმენ, მიხარია, გული ხალისობს,

ასე მგონია: კრიმინულობა შერცხლის ენაზე,

ნეტაეი მომცა შენისთანა ანკარა ხმა და

მთელ ჩემ სიცოცხლეს შენ გიმღერდი, შენ გიგალობდი.

**ჟურენა** — ხმა რომ გავანდეს, მომღერალი შენც იქნებოდი,

შენ ხმა და ნიჭი ხელეში გაქვს, მათ მოუარე.

**ლექსო** — თანაც იცოდე: ხელის ნიჭი გულიდან მოდის.

გული, რომელიც. ვით ცეცხლგამძლე რამ ცხრავლიტული,

ორ ათას გრადუს სიცხეს უძლებს ქარხნის ღემელთან,

შენთან კი: თაფლის სანთელივით იწვის და დნება.

(ჟურენა იცინის, წასვლას აპირებს. **ლექსო** აჩერებს და გულწრფელად მიმართავს).

იცი! ფოლადი ტყდება, მაგრამ არ იღუნება.

**ჟურენა** — მერე? მე რა ვქნა?

**ლექსო** — ჩემს ბართზე რა პასუხს მაძლევ?

**ჟურენა** — ასე უცერად გულის პასუხს როგორ იტყვიან.

**ლექსო** — უნდა იცოდე, რომ ფრინველი ფრენას არ სწავლობს.

ასე, უცერად სიყვარულშიც იციის მოფრენა.

**ჟურენა** — ეიფიჭრებ!

**ლექსო** — ფიჭრი სიყვარულზე ვის გაუგია?!

პასუხს მოველი, „მო“ — მითხარი, არ გადამრიო.

**ჟურენა** — აეი ამბობდი: სიყვარული კაცს ამუნჯებსო?!

**ლექსო** — პოეტური თქმა პირუტყლში უნდა გაიგო.

პირიქით — ენას ამოუდგამს, შე არ შეტყობა?

(ამ დროს სახლიდან გამოდიან ნელი და თამაზი. **ლექსო** და **ჟურენა** სახლისაკენ გაიქცევიან).

**ნელი** — სერიოზულად უყვარს მგონი იმ ვაჟს შენი და.

როგორ უყურებ შენ ამ საკითხს?

**თამაზი** — როგორ და კარგად.

აბაღაზრდაა, მოწინავე და მოწადინე.

მეც და ჟურენაც მუშის ღვიძლი არა ვართ ვანა?

თუ ერთმანეთი მართლაც უყვართ, იბედნიერონ.

**ნელი** — (მაფიჭრებით) იბედნიერონი! რა ბერეს ნიშნავს ბედნიერება?

და განა ყველას შეუძლია ის მოიპოვოს?



**თამაზი** — შენ გვეპყვება.

**ნელი** — არა, მაგრამ... მაინც ძნელია.

**თამაზი** — ბედნიერება ჩვენს ხელო არის, მის მოპოვებას რწმენა სჭირდება, თავდადება და სიყვარული. სწორედ ამ რწმენას, ამ სიყვარულს მომავლისადმი, მოაქვს პირადი და საერთო კეთილდღეობა. ნული, არ მომწონს, რომ არ გჯერა ეს ყველაფერი. გაცქერ და ვხედავ, რომ გაწუხებს რაღაც ნაღველი. ხარობ და ნანობ, ხარ თითქოსდა გაორებული. მზის შექთან ერთად გაფენია ჩრდილი სახეზე. შეერთებულა სიმწუხარე და სიხარული. მე მიყვარს შენი შექთანი, ნათელი მხარე. ამაყი სახე და ბრწყინვალე შენი თვალები. შენი ძლიერი ნებისყოფა, ეშბიც, იერიც. და მაშინ ჩემთვის ნათელი ხარ და გასაგები, და ჩემი გულიც, შენთან ერთად. ფუტყავს ხალისით. მაგრამ, ის მხარე შენი სახის, ახლა რომ ვხედავ, დამწუხრებული ეს მეორე მხარეა, მხოლოდ. ვფიქრობ და ეღვლე: რა გაწუხებს, რაა მიხეზი, მინდა გავიგო და მასუბი ვერ მიპოვინა.

**ნელი** — მეც ვერ ვპასუხობ... შენ რაც ჩემში გიყვარს და მოგწონს, — ეს ბედნიერი წუთები ჩემი ცხოვრების, მე ბედნიერად თავს ვგრძნობ მაშინ, სიუცხლე მიყვარს, შწამს ყველაფერი, უსულაა თუ სულიერი. ეს ჩემში იწყებს მაღალ გრძობებს, გულწრფელს სიყვარულს, რომ ვეშასხურო კეთილ საქმეს, კეთილ სურვილებს. გულიც მღელავრედ ეწაფება ამ დიდ ცხოვრებას, სადაც იმიტომ გაჩენილა ადამიანი, რომ იფოს ლაღი, გულით სავსე და ბედნიერი. და როცა ვხედავთ შენ და იმ წრეს, სადაც შენ ცხოვრობ, შენს კეთილ მშობლებს, შენს მეგობრებს, ტოლამხანაგებს, ვგრძნობ: ფრთები მესხმის და მეზრდება მეც სურვილები. შენ მინათობდი ცხოვრების გზას... ახლა მიდიხარ, ამან მოპოვინა მწუხარების ჩრდილი ჩემ სახეს. მე გული მწყდება, რომ მიდიხარ... რადგან უშენოდ რაღა ხალისი უნდა პქონდეს აქ მუშაობას? რვა თვე დიდია დარდისათვის...

**თამაზი** — უნდა გჯეროდეს:

დარდი კი არა, ჩვენ კეთილი მიზანი გვჩრება, კეთილი მიზნის მისაღწევად დროც მაღე მიდის.

**ნელი** — აქ უნდა ვიყო, მე თბილისში ვერ გაეჩრდებათ. აუტანელი გახდა ჩემი მამინაცვალი, მაღე დედაჩემს აძულებს, რომ განქორწინდნენ.

**თამაზი** — ასეც ეუღ საქმეს არ ჩაიდენს, შენ მას უყვარხარ. (ნელი შეერთება უკანასკნელი სიტყვის გავრნებაზე). ოჯახს არ დაშლის თქვენი ხათრით, არც თქვენ დაგროვებთ. ნელი კეთილი, გაიღიმე, გამზიარული, არ მსურს წასვლის წინ, რომ ვხედავდე ასე მოწყენილს. მე შენს ნაღელიან თვალებს დარდად ნუ გამაყოლებ. მეჯროდეს, ჩვენი სიყვარული, რომ უშწივლია. და მას უჩრდილოდ დამახვედრებ.

**ნელი** — მედამ გჯეროდეს!

გაძლევ პირობას, ჩვენს სიყვარულს არ ვუღალატებ.

**თამაზი** — მე გჯერა შენი... აი, ხელიც, მენდე, მეჩწმუნე. არ დაგივიწყებ, სადაც ვიყო...

**ნელი** — მეც, იასოდეს!

**თამაზი** — წასვლის დრო არის და მთავარი კადეე არ მიტყვამს.



(წასვლას აპირებს)

**ნელი** — მოიცა, თამაზ! შე თვით გეტყვი... დაე, ეს იყოს ჩვენი ნდობის და სიყვარულის მტკიცე ბეჭედი? (აეოცებს).

**თამაზი** — და ეს ბეჭედიც არასოდეს არ წაიშლება.

(სახლიდან გამოდის გივი, ყუეუნა და ლექსო ჩემოდნებით) ნელი, აი რა: (ამოიღებს მუსიკის ნოტებს).

შენ ვიტოვებ ჩემს გულისნადებს.

ამ მუსიკაში შენც საგრძნობი წვლილი მივიძღვის.

იქნებ დასპირდეს გასწორება, ვალამაზება,

მჯერა, რომ შენი უებარი მუსიკის ნიჭი

მას ფრთებს შეასხამს, ახალგაზრდულ სულს შთაუბერავს.

(ნოტებს ნელს გადასცემს).

აქ რომ ვერჩებოდე, მაშინ ნათლად დამტკიცდებოდა.

ვინ იყო სწორი ამის გამო და ვინ ცდებოდა.

**გივი** — თამაზ, შენ იცი ჩემი აზრი ამის შესახებ,

და ჩვენც დავიცავთ, უსათუოდ ის ვაიმარჯვებს.

**ლექსო და სხვები** — (უდასტურებენ) სწორია, უნდა ვაიმარჯვოს ლირსია, ლირსი! (სახლიდან გამოდის იოსები, ელუფთერი და სხვები. შემთვრალნი არიან).

**იოსები** — ესეამ სადღეგრძელოს და გისურვებ კეთილ მგზავრობას.

შვილი ხარ, მაგრამ იშვიათი ჩვენი სტუმარი.

წელი გაეა და... თბილისიდან გიმიზის ამოსვლა.

შორი მანძილი მაინც იყოს. თქვენ, თბილისელებს

ჯერ პროვინციად მიგანიათ ჩვენი რუსთავე.

მაგრამ, სულ მალე დაგეწვეით, კიდევ ვაგისწრებთ.

ახლა იქნება, ამ შეიღწულეში.

**გივი** — (ხუმრობით) არც ჩვენ მოგიცდით.

**იოსები** — რუსუდან, ბევრი ვაიბანე ტყბილი ნამსხვარი.

დაე, გასინჯონ ჩინელებმაიც... (არაყს გადაქრავს).

შენი არაყიც.

თითქოს მტკბილია, ხომ ასეა, ჩემო ელუფთერ?

**რუსუდანი** — შენ ხომ ყოველთვის ამ დროს ენა დაგიშაქრდება?

**იოსები** — მამ, როგორ? შვილი მიდიოდეს ცხრამთას იქით და

გზა ბედნიერი ენატკბილად არ დავულოცო?

უნდა ბოდიში მოუხადო შვილის წინაშე,

ველარ ვაცილებ... ქარხანაში გვიცდის ლემელი.

ცეცხლი შექაბის? არა, ჯერ არ დავბერებულვარ.

გული კვლავ მერჩის! ემა, ჩემო ახალგაზრდობავ?

**რუსუდანი** — ახალგაზრდობის მონატრება სიბერემ იცის.

**იოსები** — რა ვქნათ? ხანდახან შენც იგონებ ახალგაზრდობას.

ეჰ, სიჭაბუკის მოგონება, არა სიბერემ,

არამედ იცის ერთადერთმა ბედნიერებამ.

ბედნიერია ცხოვრებაში მართალი კაცი,

იღამიანთა სიშართლე კი — არის შრომაში.

**ელუფთერი** — ახალგაზრდული ძალა უნდა ცეცხლთან ბრძოლასაც.

კომპოზიტორი რომ ბრძანდებით, თამაზ, ბატონო,

თქვენ კარგად იცით, თუ რას მღერის ცეცხლი შრომისა.

ფოლადს უბრალო ბუხრის დევლი კი არ დაადნობს,

მას, რომ იტყვიან, ამიჩანის ცეცხლი სპირდება.

ახალგაზრდებიც კარგები გვეყავს, მეტალურგები,

პირდაპირ ცეცხლში ვარდებიან... ასე რომ: არც მე,

არც მამაშენი პენსიაზე არ ვადავდივართ.

**იოსები** — შრომა სიშღერის დედა არის, უნდა იცოდეთ:

რაც კი ცხოვრებით შობილია, — მუდამ იცოცხლებს. (ნელს მიუბრუნდება)

კეთილ მამაშენს მე ვიცნობდი, ერთად ვიჯექვით,

ტყუილ-უბრალოდ დაიღუპა მართალი კაცი.

**ელუფთერი** — ჩვენ დროში ეცხოვრობთ, დრო არადროს უკან არ მიდის.

**იოსები** — (შვილს აეოცებს) აბა, ნახვამდის, ჩემგან რჩევა შენ არ გჭირდება,



ყველგან, ყოველთვის, წარმატებას გისურვებ, შეილა,  
შენს კეთილ ამბებს თუ ხშირხშირად გაგვაგებინებ,—  
მასიამოვნებ, დედაშენსაც გაუხარდება.

მხად ხარ, რუსულან? თვითმფრინავზე შეილს ხომ აცილებ?

რუსულანი — (სახილდან) უი!

იოსები — რა იყო?

რუსულანი — ჩემს ფეხსაცმელს რა დამმართინია?

წუხელ წვიმაში... მთლად ქალაღის ძირი ჰქონია.

იოსები — ყველგან ყველაფერს მორიდებით ითმენს ქალაღი,  
მაგრამ ვერ იტანს ფეხქვეშ ტუყვის მავიერობას.

რუსულანი — ეჰ, ისეე ჩვენი, ჩვენებური ჩავიცვა, თორემ.

იოსები — მაშ, რა გეგონა?

რუსულანი — როგორ ვაჭლებ, ასე დიდი ხნით?

ჩინეთი შორი ქვეყანაა, შორი მანძილი!

ეუფენა — რას ამბობ, დედი? იქ მგზავრობა ხომ ზღაპარია:

ამ ბედნიერ დღეს კაცი ერთხელ თუ ეღიბება?

იქ რამდენ რამეს გასაოცარს ნახავს ჩემი ძმა.

ასე არ არის, თამაზ?

თამაზი — დიად, ჩემო ეუფენა!

კარგ საჩუქრებსაც ჩამოგიტან.

ეუფენა — შენ გენაცვალე! (მოებგვება, აყოცებს)

დედა, თამაზი ორ საათში ჩავა მოსკოვში.

დილით რუსთავში ისაუბმა, იქ ისადილებს.

ნუ დამიღონდი, ჩინეთიდან მოვა მშვიდობით.

ნეტავი მეც თან მიეყვებოდე, მეც მიფრინავდე?

თამაზი — დედა, ხშირხშირად მიაკითხეთ წელის ბინაში.

იგულე, როგორც დანიშნული სარძლო.

რუსულანი — კი, შეილა!

ბედნიერება თქვენი ვნახო, მტეი რა მინდა?

თამაზი — ნახავ, დედიკო!

რუსულანი — როდის, ბიჭო, თმა შეგიფერცხლდა.

თამაზი — დაებრუნდები და ეიქორწინებთ.

რუსულანი — მაგ დღეს მომასწროს.

თამაზი — ჩემო ეუფენა, შენ გიტოვებ ბინის გასაღებს,

ხშირად, თბილისში, მიაკითხე წელისთან ერთად.

დედა — (უეცრად წრეს დაუღლის. ასტუდება ტამაზანდური)

ამა-ჰე, ტაში დამიკარით, ტაში მავარი!

(ღუმეს და ეუფენა ცეკვავენ. ბოლოს ცეკვაში ჩაითრევენ იოსებს და რუსულანს.  
უეცრად გამოჩნდება რევაზი. ყველა ვაშეშებული დარჩება).

რევაზი — ბოდიში, ხელო შეგიშალეთ, თამაზს აცილებთ?

რუსულანი — მობრძანდით!

იოსები — ღვიწი დაგვილიეთ! გზა დაულოცეთ!

რევაზი — (სავეს კიჭას გამოართმევს და თითქოს კეთილი გულით):

სიამოვნებით! თამაზს გზა ბედნიერია.

თან საამყო, სასახელა, სახარბილო.

ასეთი ბედი განა ყველას ზედრად ერგება?

და ჩვენ თამაზი შევარჩიეთ, რადგან ეს: ნიჭით,

კეთილი საქმით და ცოდნითაც დაიშახტრა.

შეძლებსისამებრ მეც ვეცადე ხელო შემეწყო,

და რაც შეეძლო, თქვენ ყველანი ზედაეთ, — ეს არი.

გისურვებ კეთილ გამგზავრებას, ბედნიერებას.

მჯერა: ჩვენს იმედს გაამართლებ... (მიმართავს თამაზის დედას)

თქვენც, ჩემო დედა,

ბედნიერეთ, იამყეთ ასეთი შვილით! (კიჭას აწევს)

მამ გაუმარჯოს!

ყველანი — გაუმარჯოს!

რევაზი — ახლა კი მინდა:

დიდი ბოდიში მოეხალო, ვეღარ გააცილებთ,



ვეწხვარ, რომ წელიც ვერ წამოვა...

წელი — შამა, ეს როგორ...

რევაზი — მართალი არის... კაცს აცილებთ... უხერხულია...

მაგრამ, გამოივებთ... მბატივებთ... თქვენც მშობელი ხართ...

დამტყუებებით, მე აქ ისე არ მოვიდოდი,

აუცილებლად რომ საჭირო არ ყოფილიყო.

წელი — ნება მომეცით... შამა, მე გთხოვ...

რევაზი — ნებას ვერ მოგცემ...

ყოველი წუთი ძვირფასია, უნდა ჩქარო,

შეუძლოდა დედაშენი, წამომვევ, შეილო!

(ხელს ჩაკიდებს, წელი ჯიუტობს, რევაზი ჩემად და მკაცრად)

წამოდი-მეთქი, მე გიბრძანებ!

(გაიყვანს, ყველანი გაშვებული დარჩებიან).

დედა — (რევაზის მისამართით) უ, საზიზღარო!

იოსები — იგი, მე მკითხეთ, რა კაცია... ახლა არ მიცნობს...

### სომეხები მისამ

რევაზის ბინა. მისაღები ოთახი მორთულია მდიდრულად. დილაა. ფანჯარასთან დგას ქეთევანი, რევაზის მეუღლე. ჩაფიქრებულია. ფარდას გადასწევს. ოთახში შემოდის დილის მუქი.

ქეთევანი — უკვე გათენდა მზემ ქედლიდან ამოანათა, ჯერ კიდევ სძინავთ, მე კი ძილი არ მკარება. დარდი მწუხებს და არ ვიცი — დღეს რა მომეღოს. მზე დიდებული სიცოცხლეს ჰგვრის ყოველ არსებას, ათბობს ქვეყანას, მის ბუნებას ხედება ხალისით. მე კი ეს დილა არ მახარებს, არ მანეტარებს, პირიქით, უფრო დარდს მიმატებს, მანაღვლიანებს. თითქო მზის შუქი ამ ოჯახში არ შემოსულა, ჩემთვის ეს ბინა საკანია, ვარ ტყვეობაში. როდის დავაღწევ, ნეტავ, თავს ამ მდგომარეობას? მე ავიტანე ბევრი ტანჯვა, კიდევ ავიტან, მაგრამ არ მინდა, ჩემს ქალიშვილს ერგოს ეს ბედი, ის უნდა აცდეს... უნდა აცდეს ჩემს გზას უბედურს, მე ხომ დამნაგრა ჩემმა ქმარმა, მონა გამხადა, და სურს აგრეთვე ჩემი წელიც ჰყავდეს მორჩილი, რომ ის წარმართოს ახირებულ თავის ნებაზე. არა! ჩემი ქმრის გავლენაში ის არ იქნება, მეყო წვალება, საუვარელი ქმარი დავკარგე. ვერ აღვადგინე დანგრეული ჩემი ოჯახი, მინდა: შეიღს მაინც ის შევექმნა, ვყო ბედნიერი, თუმცა პირადულ და ოჯახურ მის ბედს, რატომღაც წინ ეღობება მისი შამა, შამინაცვალი...

(მეორე ოთახიდან მოესმის კენესა, ქეთევანი მიდის, მიაყურადებს, წინ შემოგჩეხება წელი, ნახევრად-ჩაცმული).

რა იყო, შეილო? ასე ძლიერ რამ აგაშფოთა?

წელი — დედა, შენა ხარ? ო, რა ცუდი სიზმარი ენახე?

ქეთევანი — ნეტავ ისეთი რა გესიზმრა, რომ ასე დღეა?

წელი — ო, დედა, დედა! აცი, როგორ ვიტანჯებოდი? (ჩამოჯდება).

ქეთევანი — მიამბე, შეილო! არ მართლდება თქმული სიზმარი.

წელი — ენახე თამაზი ჩამოსული, თითქოს აქ იყო.

მას მოწყენილი სახე ჰქონდა, დედა, რა არი?

ქეთევანი — ბედნიერება და მშვიდობით შინ დაბრუნება.

წელი — მკიცრე ჰრილობა ანდა დავწვებ, ნეტავ რა არი?

ქეთევანი — ეს ღიმილია სიხარულით გამოწვეული.

წელი — მაკოცა, გულში ჩამიხვია, მომიადურსა



და ჩვენი ტყბილი საუბარი ასე დაიწყო:  
 — როგორ ვღარღობდი იქ უშენოდ?  
 — მეც, ჩემო კარგო!  
 — იქ ხარ, ვავიგე, შენ პირველად გამოვიარე.  
 — მეჯერა, კეთილი! მოუთმენლად მეც მოგვლოდი.  
 — ჯერ დედანეში არ მინახავს, ერთად წავიდეთ.  
 — კი, გენაცვალე! იცი როგორ ვახეხარდებო?  
 — ჩვენი პირობა როგორ არის, წელი ძვირფასო!  
 — მალე საჯაროდ შემს მუსიკას შევასრულებენ.  
 — შენ, ალბათ, სული შთაუბებე შთაგონებისა!  
 — გივიც დამპირდა, რაინდელი მომცა პირობა.  
 — ო, ვივის მაინც არ ივიწყებ, ნეტავ რა ვითხრა?  
 — რომ დიაცვდა უსათუოდ, მან შემომთვია.  
 — ნუ დაენდობი, გაგაწბილებს...  
 — ო, არა მეჯერა!  
 — ნურც სიყვარული გჯერა მისი...  
 — თამაზ, რას ამბობ?

ნუთუ შენ ეკვი გეპარება ჩემ ხიყვარულში?  
 მე მასთან მხოლოდ მეგობრობა თუ მკაცწირებს? (პაუზა)  
 მამატეო... და ისევე გულში ჩამიერა.

უცებ მოვიარდა შავი კაცი, და ვით ყორანმა,  
 ძალით გაგეთიშა ერთმანეთი და გამიტაცა.  
 მაგრამ, თამაზი არ მომცილდა, არ მეშვევოდა.  
 იყო მათ შორის დიდი ბრძოლა, დიდი კიბილი,  
 და შავი კაცი მაშინაცვალს ჰგავდა რატომღაც.  
 ერთხანს გვარძელდა ჩვენი ფრენა ჰეროვანი,  
 ბოლოს უფსკრულში გადავიჩეხე და გამეღვიძა.

ქეთევანი — დამშვიდდი, შეილო! ეგ სისმარი ცუდი არ არის.  
 ახალგაზრდა ხარ და ლანდები გეჩვენებოინ,  
 ყრმა გული გერჩის და საფრენად ფრთები გეზრდება.  
 კარგი სისმარი სიტხადგეში ცუდად მართლდება,  
 ცუდი, პირიქით, მოასწავებს ბედნიერებას.

წელი — მომიალერსე, ჩემო დედა, მომიალერსე,  
 გულში ჩაგვერა, ბავშვობაში როგორც ვიცოდე,  
 მე ხომ, შენს გარდა, სანუგეშო არვინ მყოლია?  
 შენ იყავ ჩემთვის ტყბილი დედა, მამაც მშობელი,  
 რომლის აღერსი მე არ მახსოვს, არ განმიცდია.

ქეთევანი — ო, რომ იცოდე, შეილო ჩემო, როგორ უწყვარდი?

წელი — რა ხნის ვიყავი, როცა მამა ვარდაიცვალა?

ქეთევანი — მხოლოდ ორი წლის იქნებოდა.

წელი — მე კი არ მახსოვს... (პაუზის შემდეგ)

დედა!

ქეთევანი — პო!

წელი — ორი სიყვარული გამოგიცდია?

ქეთევანი — რას ამბობ, გოგო? ძილში ხომ არ ვაგვიებულხარ?

ორი კი არა, ერთი ძლივსღა ვაღვიტანე.

მე მამაშენი თუ მიყვარდა, მეტი არავინ.

წელი — ძლიერ გიყვარდათ ერთმანეთი?

ქეთევანი — რაღა თქმა უნდა?

წელი — თუ ასე იყო, ხელშეორედ რატომ გაიზოგედი?

აკი თქვი: ორი სიყვარული არ იქნებოა?

ქეთევანი — ორი კი არა, ეს მეორედ შეყვარებოა.

თუმცა პირველი სიყვარული არ მეორდება.

წელი — ეპ, დედა ჩემო!

ქეთევანი — ცხოვრებაში ერთი ბედია.

წელი — ორს თუ მოსწონხარ?

ქეთევანი — ეს არ ვიცი... არც ერთ სკოლაში

მე სიყვარულის ვაკვეთილებს არ ვასწავლიდი!  
 (პაუზა. ქეთევანი ჰყვება თავის წარსულს)  
 თურმე აღრევე მე მოეწონდი შენს მამინაცვალს,  
 ჩემს პირველ საქმროს მეგობრობდა, ამხანაგობდა,  
 ძმობდნენ, უყვარდით ერთმანეთი. სულ ერთად იყვნენ.  
 ბოლოს მან მშობაც დაიფიქვა და მეგობრობაც.  
 მე რა მეგონა, მაგას თურმე ცოლად ეწოდოდი,  
 ეს რომ გავიგე განეერიდებ, შორს გავეცალა-  
 ის კი განრისხდა, ვაბოროტდა, ღვარძლით აივსო,  
 და მამაშენზე ბოლოს შერიბ იხია კიდევ...

ნელი — რას ამბობ, დედა?! ეს იყოლი და არ მოშორდი?

ქეთევანი — დღესაც არ მჯერა.

ნელი — მე კი მჯერა! თამაზის მამა  
 ყოფილა მოწმე. დაკითხვაზე ცილს რომ სწამებდნენ. —  
 იგი პირისპირ დაუყენეს თურმე მამანემს.  
 ეს იცის მგონია... მისთვის ვაჭლევათ მკვ და თამაზიც.

ქეთევანი — ნორჩი იყავი, არ მინდოდა გვერძნო თბლობა  
 და უმამობა.

ნელი — ჰე თბლობა შერჩია შენთან.

ქეთევანი — ის მინც შენი გამზრდელია, რაც უნდა იყოს,  
 ძლიერ უყვარხარ, მშურს შენდამი მისი აღურსი.  
 შენ მას შვილივით მიამჩნობარ...

ნელი — ვითომ ვგრტა?

ქეთევანი — მამ, სხვანაირად როგორ უნდა...

ნელი — ეხ, დედა, დედი!

ქეთევანი — თემკა ბოლო დროს მთლად ვაკვიდა, ვადიარია,  
 დაღის ოთახში და თავისთავს ეკამათება.

ნელი — იქნებ კულტურის მინისტრობის დიქრი აწუხებს.

ქეთევანი — თვითონ ავრცელებს, ტყუილია, არ დაიჯერო,  
 ნამდვილ სამრეკლოს დაემსგავსა მისი ოთახი.  
 ზარბივით რეკავს ტელეფონი და გვილოცავენ.

ნელი — და თუ ასეა... იქნებ, მართლაც...

ქეთევანი — არა მგონია.

მან ხშირად იცის დაქაღნება მდივნის სახელით,  
 იმისი შვილი, აქაოდა, ჩემთან სწავლობსო.  
 მე იმას ვფიქრობ: მინისტრობის უქმად ძებნაში  
 ძველი ადგილიც არ დაკარგოს.

ნელი — აბიცი იქნება.

ქეთევანი — კაცი ბერდება და ბავშვობას უახლოვდება.

ნელი — ბავშვი სულელად იბადება, ვანა სულელად  
 ბერდება უველა?

ქეთევანი — ეხ, არ ვიცი, რა დაემართა.

(ამ საუბარში მათ შემოესწრებს რევაზი)

რევაზი — რა იღილია ვაგიმართათ დილა-ადრთან?  
 ნუთუ ოჯახში მეტი საქმე არ უნდა გქონდეთ?  
 სტუმრებს მოველი...

(ნელის კი მოფერებით)

შენ კი, ნელო, ჩემო გოგონა,  
 როგორ დაქაღდი, ვიზარდე და გაიფერმქნე?

(მკლავზე ხელს მოკიდებს)

ახლა წახვალ და ჩემს მუსიკას გაიმეორებ,  
 კარგად დაჯარ, სტუმრებს უნდა მოვასმენინო.

(ნელი უკმეხად მოიცილებს რევაზის ხელს და მეორე ოთახში გადის. რევაზი კი საუ-  
 ვედროით მიმართავს ქეთევანს)

შენი გაზრდილი ჭალიშვილი... აი, ზომ ხედავ:  
 შესისავით კერბი, ჯიუტია, უკარბელი.  
 სწორედ შენა გვავს.





ქეთევანი — დიაბ, მე შეგვს... და მით ვამაყობ.

რევაზი — ოცო წელია შეილივით ვზრდი, არაფერს ვაკლებ, ის კი გამიზრბის ველურით, არ შეგარბება, თითქოსდა მისთვის უცხო ვიყო და შორეული, ჩემს კეთილ ზრახვებს და სურვილებს აბუნად იგდებს.

არა, მე ამას არ მოვიტყენ... არ შემიძლია.

ან ისე იყოს, როგორც მე მსურს, ანდა მომწონს!

ქეთევანი — ან მე, ან ჩემმა ქალიშვილმა რა დავიშავებ?

ვანა მე ცუდად გავიწიე შეუღლებობა,

ან წელი, როგორც მამინაცვალს, ცუდად გაიქცა?

რევაზი — აი, ზომ ნახე მაგალითი! (ოთახიდან გასულ წელსაკენ მიუთითებს)

ქეთევანი — ეპატრება:

დილა-ადრია სიზმარს აყვავა ცუდ გუნებაზე.

რევაზი — სიზმარი... ავი: თქვენ ცხადია სიზმრებით ცხოვრობთ?

ქმარა! მე აღარ შემიძლია შეტის ატანა.

(სიძის ზარის ხმა ქუჩის კარებზე. ქეთევანი ფანჯარაში გადაიხედავს).

ქეთევანი — აი, ხომ ხედავ, ადრე დილით კარზე მოგადგნენ.

გუშინაც რეკდნენ განუწყვეტლავ და გვიღოცადნენ.

უხერხულ დღეში ჩამაყენე, რა მებასუხა?

ვითომც გაძღვევ უფრო მაღალ თანამდებობას.

ეს მართალია, თუ ისევე ხმებია მხოლოდ,

როგორც ყოველთვის შენს გარშემო ხდებოდა ხოლმე.

რევაზი — შენ რა? ამაში მე მამტყუნებ? მისაყვედურებ,

და ისე ამბობ: თითქოს ამ ხმის გავრცელებაში

თვითონ მიმიძღვის ბრალი... მე ხალხს პირს ვერ აეუბამ,

დღე, რაც უნდათ, ის ილაყბონ, ილაპარაკონ!

ქეთევანი — მე შენი თავი მედარდება, რომ არ გამართლდეს...

სირცხვილი... (ისევ ისმის ზარის ხმა დერეფანში)

რევაზი — ამას შენ არაეინ არ გეკითხება!

და ჩემს საქმეშიც ნუ ერევი... იგი მე ვიცი...

პასუხს მე ვაგებ ყველაფერზე... წადი, დამტოვე!

(ქეთევანი გადის. რევაზი თავისთვის)

რა სულელია?! მე რას ვკარგავ? რა მენიღლება?

მე ზომ ჩემ საქმეს მოვადგარებ ამდერეულ წყალში?

ჭორის სათავე კი ეჭიონ, რამდენიც უნდათ!

(მიდის, დერეფნის კარებს აღებს. შემოაკვება კომპოზიტორი, რომელსაც შემთან-

ხმებულს ეახიან)

4 კომპოზიტორი — აქა მშვიდობა!

რევაზი — ასე ადრე რაზე გარჯილხართ?

4 კომპოზიტორი — იმე, ბატონო! რა ექნა — გულმა ვერ მომიტოვინა.

გვიან გავიგე წუხელ, თორემ აქ გავჩნდებოდი.

როგორც ვუღიოდა შენს შეგობარს და თანამომამებს,

მინდოდა პირველს მომელოცა... თანაც ვიცილი:

ახლა თუ არა, შემიდეგ ჩემთვის ვერ მოიცილიდი!

რევაზი — აბა, რას ბრძანებ? შენთვის მედამ ღია იქნება

სამსახურის და, მითუმეტეს, სახლის კარები.

შაინც არ ვიცი, რას მილოცავ.

4 კომპოზიტორი — ვითომც არ იცი!

მთელი თბილისი ღაპარაკობს...

რევაზი — (თითქოსდა გაკვირვებულ) ჩემზე?

4 კომპოზიტორი — კი, კაცი!

თქვენ თავდებალი კაცი ხართ და... სდუმხართ ამიტომ,

მაშ, თქვენზე უფრო ღირსეული ვინ იქნებოდა?

რევაზი — ეს ჯერ ხმებია...

4 კომპოზიტორი — არ იქნებებს, თუ არ იელვა.

და რასაც ხალხი ღაპარაკობს, ხშირად მართლდება.

მაღე მინისტრი რომ გახდები, ეს კი ცხადია.

არ დამოიწყებ, იმედია.



**რევაზი** — აბა, რას ამბობ:

შე არ შაბრავეებს აღმატება და წარჩინება.

რაც უფრო მალა და შორსა ვარ, მით უკეთ ვხედავ.

**1 კომპოზიტორი** — ვიცი, რომ შეთვის არწივით შორმკურეტილი ხარ!

**რევაზი** — ჩემთან რაიმე სათხოვარი თუ გაქვთ. მითხარი!

**1 კომპოზიტორი** — შე — არაფერი მოსალოცად მოვედი მხოლოდ.

მინდოდა ძველი მეგობრობის დადასტურება.

თუმც შემთანხმებულს შეძახიან, მაგრამ გჯეროდეთ:

მუდამ მზიბლავდა შენი დიდი მუსიკის ნიჭი.

(კვლავ ისმის აიენის ხარი)

**რევაზი** — თქვენთან ბოდიში, იქ შებრძანდით, სასაღილოში.

სტუმარს მიხედვ. კეთილ ჩემო, ახლავე მოვალ!

(შემთანხმებულს გაისტუმრებს მეორე ოთახში. კარს აღებს. შემოდის სხვა კომპო-

ზიტორებიც, წუნია, ბაქია და ურწმუნო თოშა).

**2 კომპოზიტორი** — რევაზს სალაში! (წუნიას) ამის შემდეგ მე ვარ ბაქია?

**1 კომპოზიტორი** — შე, ჩემო რევაზ, სკეპტიკოსი კაცი გახლავარ.

შენი ამბავი დავიჯერებ, მომილოცნია!

**2 კომპოზიტორი** — კაცი თუ გინდათ სამინისტრო, სწორედ ვგ არის.

ენა არ უჭრის, ვინება თუ შეხედულდება?

თანდაყოლილი ნიჭი მოსდგამს მამაპაიდან.

მხოლოდ ეს კია: დიდ და მალა პოსტზე უოფნის დროს,

ყველანი თუ არ ღვაჯიწყდით...

**რევაზი** — აბა, რას ბრძანებთ?!

**1 კომპოზიტორი** — თორემ ზოგჯერ ხელმძღვანელი მოგაეს რადიოს:

აქით მადახის, იქით — სიტყვას ვერ გააგონებ!

**2 კომპოზიტორი** — ნეტავ ვიცილდე შეა გზაზე სად გაგვეპარა?

„ნუთუ რევაზის მინისტრობა და მუსიკობა

თქვენცა გჯერათო?!“

**რევაზი** — ის ვინ იყო?

**2 კომპოზიტორი** — ვინ და, მამუჯა!

სწამს თუ არა სწამს, ყველაფერზე ამბობს „კი კაცოს“.

**1 კომპოზიტორი** — შე ვარ ურწმუნო, იმან სულმთლად დავასამარათ.

ვერ გამოვიგია: რა კაცოა — იდამიანი?

ასეთი კაცი შინ არ არის შემოსაშვები.

**2 კომპოზიტორი** — გველი გარედან არის ურწმუნო, კაცი — შიგნიდან.

**1 კომპოზიტორი** — სწორია! კაცი უნდა იყოს ნათელი გულის,

რა საჭიროა მლიქვნელობა, პირმოთენობა?

კაცის რაიმე თუ ვრ მომწონს, — ვეტყვი პირდაპირ.

უკან ვინება რა წესია, რა საკადრისი?

**1 კომპოზიტორი** — სიმატლე ხშირად არ ფასდება, სიკრძე სჯარბობს.

თითქოსდა უფრო გზახსნილი აქეთ ფლიდებს, მლიქვნელებს.

**რევაზი** — ვიცი: თქვენ ჩემი გულითადი მეგობრები ხართ.

**2 კომპოზიტორი** — რევაზ ბატონო, თქვენ ხართ ძველი პოლიტიკოსი,

და მთელი მარქსიზმ-ლენინიზმი იცით ზეპირად.

იცი თქვენთვის ამ ცხოვრების დიალექტიკაც.

ჩვენი კავშირის შეუცვლელი თავმჯდომარე ხართ.

თქვენს მუსიკაზე ლამაზად ხომ ზედმეტია?

(მეგობარს) მართალს არ ვამბობ?

**1 კომპოზიტორი** — დიახ, ნამდვილ ჰუმანიტებს!

(ღერეუფაში ისევ ისმის ხარის ხმა)

**რევაზი** — თქვენთან ბოდიში, იქ შებრძანდით, სასაღილოში.

შეგ შეგობარი გელოდებათ...

(ვადის აივანზე. ამ დროს სასაღილოდან გამოჩნდება მამუჯა)

**1 კომპოზიტორი** — მამუჯა, შენ ხარ?

**2 კომპოზიტორი** — შენც აქ?

**4 კომპოზიტორი** — კი, კაცო!

**1 კომპოზიტორი** — აქი სხვაგან ვეჩქარებოდა?



- 4 კომპოზიტორი** — მე დავასწარიტ და თქვენს მოსელას აქ დაველოდე, თან უფრს ვივლებდით, ჩემი ქებაც კარგად მესმოდა.  
(დარცხენილი შეხვედბან მამუკას მეორე ოთახში. რევანს ავნიდას მოსყევბიან მესამე კომპოზიტორი და ღირიფორი, რომელსაც ილიაში ლაქ ამოდებული აქვს აპარატი).
- 5 კომპოზიტორი** — მოგვილოცია, ჩემო რევან, მოგვილოცინია!  
**ღირიფორი** — თქვენი ამბავი ვივრე და, ქე გამიხარდა, კვლავ თქვენ უშველით ამ აპარატს, თქვენი ჰირიმე!
- 6 კომპოზიტორი** — მამ, ვინ უშველის, თუ ეს არა, ვინ გაავრებს?  
ახლა ხომ დიდი კაცი არის, უფლებიანი,  
მალე გახდება უფრო დიდი, უფრო ძლიერი,  
და შენს აპარატს, ამ შენს ძვირფას ვამოვონებს,  
ელსმენის ერთის დარვევითაც დაავივრგვინებს.
- ღირიფორი** — სად არ ვყოფილვარ? მისწავლია გერმანიაში,  
დიდი ვაგნერის ოპერებზე მომისმენია.  
ოცი წელია თითქმის, რაც ეს ვამოვივრე,  
და ზეთოსავეთ ილიაში ქე დავატარებ.
- რევანი** — დავებმარები უსათუოდ...  
**ღირიფორი** — შენს პირს შექარი .
- 7 კომპოზიტორი** — მე კი უბრალო რამესა ვთხოვთ, რევან ბატონო,  
და იმედია ამ საქმეშიც დამებმარებით.  
**რევანი** — რაო, რა ვინდოთ?
- 8 კომპოზიტორი** — ბინა შინდა, სხვა არაფერი.  
**ღირიფორი** — დასტურ ერგება! თავისთავზე ვამოვიცდია.  
კაცს თბილი ბინა, თუ არ ვქნა, როგორ იცხოვროს?  
როგორ იმღეროს, ან მუსიკა როგორ დაწეროს?
- 9 კომპოზიტორი** — მე განა მარტო მუსიკას ვწერ, პოეტურ ტექსტსაც.  
**ღირიფორი** — რა უნდა შექმნა, თუ ოცნებით ჰერს არ შეხყურებ?!  
(რევანს) შენი კეთილის-მურველები მხოლოდ ჩვენა ვარ,  
შენი მუსიკას დამცველებიც, დამფასებლებიც.
- რევანი** — გმადლობთ ძალიან, მთხარია, რომ ასე მსჯელობთ.  
მე ამ საკითხში სწორედ თქვენი აზრი მჭირდება.  
თქვენ ხომ ყიურის წვერები ხართ, ჩვენი კონცერსის,  
ფიქტობ: კრებაზე მხარს დამიჭერთ.
- ღირიფორი** — უამველია.  
მხოლოდ უფრთხილდით სეკტაკოსს და ურწმუნო თომას.
- 10 კომპოზიტორი** — და ნერც მამუკას დავნდობი, ფლიდი კაცია.  
**ღირიფორი** — მათ არ ჩაფუშონ თქვენი საქმე, თორემ ჩვენ მუდამ  
ახლოს ვევივრეთ...  
**რევანი** — (სასადლო ოთახში მივითვებს) იქ შებრძანდით... მოვალ ახლავე!  
(ცბიერად თვალს გაავლოებს და ზითხითებს)  
აი. ცხოვრების ტიკინები, საცოდავები.  
ადამიანის, კაცის მოდგმა კი ეწოდებათ.  
მე მარწმუნებენ კაცობაში, გულწრფელობაში.  
მათ რა იციან, რომ ტიკინებს მე ვქმნი თვითონვე,  
და ჩემს ნებაზე მათ ვაცეკვებ და ვთამაშებ.  
მართლაც, ამ ბრიყვებს, ამ უბედურ საწყლებს ჰკონიათ,  
რომ ვარ სულელი. და მე თითქოს მჯერა მთავით.  
დღე, იცვბონ იმედებით და სურვილებით,  
მე კი დავსტებები სინამდვილის უხვი ნაყოფით.  
(შედის სასადლო ოთახში. ბუნა, მეორე ოთახიდან გამოდის ნელი).
- ნელი** — არა, ამდენი მოთმინება არ შემოძლია,  
მეტს ვერ ავიტან ამ სიყრფეს, ამ თვალთმაქცობას.  
როდის იქნება — ჩამოვშორდე აქაურობას?  
მე დედაივბი შეცოდება. საწყალი დედა,  
მის გამო ვიტან ამდენ ტანჯვას, ამდენ წვალებას.  
ნეტავ, თამაზი როგორ არის, როგორ მოეწყუო,

ის დღეს, რატომღაც, და არაფერს არ იწერება.  
და მინც შეკრა: მის კარგ ამბავს მალე გავიგებ,  
მე ვცოცხლობ მხოლოდ ამ იმედით, ეს მამლევს ძალას,  
რომ ყველაფერი ავიტანო... ეს, თამაზ, თამაზ!

(ფიქრებს მიეცემა დაღონებული. კარებზე ისმის ფრთხილი კაკუნი. შემოდის გივი და ფიქრებში წასულ წელს თავზე დაადგება).

გივი — ნელი!

ნელი — (შეკრთება, დიმილით) გივი ხართ?

გივი — ბოდიშს ვიხდი, — გაუფრთხილებლად  
შემოველ, კარი ღია დამხვდა.

ნელი — არაფერია.

მე შენი მოსულა გამიხარდა.

გივი — და მეც გახარებო.

ნელი — თამაზისაგან რამე ცნობა ხომ არ მოსულა?

გივი — დიახ, მივიღეთ... თქვენს სახელზე, აი, წერილიც.  
(წერილს გადასცემს. ნელი სიხარულით ხსნის წერილს)

ნელი — გივი, დღეს როგორ გამიხარეთ, თქვენ რომ იცოდეთ?

ამ მოვით, ერთად წავიყიბოთ, არ დავიშალათ: (კითხულობს)

„ჩემო... (აღვიღებს გამოტრეფებს)

... წინეთი ქვეყანა, მართლაც ზღაპრული.

საკუთარ ქვეყნით გალაღებულ კაცსაც აოცებს.

კარვად ვარ, თბილად მებყრობიან, მეფერებიან.

ამ ხომ საერთოდ ჩვენ ვუყვარვართ, საბჭოთა ხალხი.

ჩვენი ქვეყანა ყველას როდი გაეგონია.

სტალინის ახსენებ, — საქართველოც მაშინ იცოდა.

ევყურებ ამ ხალხს და ვრწმუნდები: სანამ ერთად ვართ.

ჩვენ ვერასოდეს ვერა მტერი ვერ მოგვერევა.

მინტრი კილო და შესივა ჩვენებურს არ ჰგავს.

მათი სიმღერა უფრო მეტად სასაუბროა.

მიმზიდველია ჩინელ ქალთა ცეკვა, თამაში.

ნახია მათი მოძრაობა: ჰაეროვანი.

დაგკამანებენ მწყურებელით ნელა და თითქოს:

ჩიტების ენით მღერიან და ლამაზაობენ... (გამოტრეფებს)

საში თვე დარჩა სამშობლოზე დარდი მაწუხებს.

დრომ როდი იცის მონატრება სიყვარულისა,

არამედ გზებმა და სიშორემ... მოკითხვა ყველას...

თქვენს დაპირებას ხომ ასრულებთ? კარვად იყავით!

გურ ბეკინიდან, მარად შენი... (თავისთვის)

ეს, თამაზ, თამაზ!

რა დამაეწიყებს, მეგობარო, ჩვენს დაპირებას?

იგი წინ მიდევს, როგორც ხატი და ზედ დავცქერი.

ეწერ სიმღონიას, თითქოს ეხატა შენს ნათელ სახეს,

ეს ხომ პიშია შრომისა და სიყვარულისა?

გივი — ნელი, მე სწორედ ამ საქმისთვის თქვენთან მოვედი.

ვიცი: თამაზმა სიმღონია თქვენ დაგიტოვათ,

პირველ ყოვლისა ის რუსთავში უნდა შესრულდეს.

ეს მოითხოვეს ქალაქკომში და კომკავშირში.

მალე სახალხო თეატრს ხსნიან და კონცერტი აქვთ.

ქარხნის მუშებზე აღტაცებით ელოდებიან,

რომ მოისმინონ სიმღონია იმათ შრომაზე.

ამ სიმღონიის მომზადება თქვენ დაგვეალათ.

ნელი — ეს დაეალება ჩემთვის დიდი სიხარულია.

მე სიამაყით შევასრულებ, თუკი შეეძელი.

რადგან მწამს, რომ ეს დიდებული სიმღონიაა.

წაილ. ახლაც ვამოვიტან... (გადის).

გივი — (მარტო) რა ეჭნა? არ ვიცი.

გონება მე სხვის შეებნება, ვრძნობა კი — სულ სხვას.



ქართული

ენციკლოპედია

მეც ხომ კაცი ვარ, ახალგაზრდა აღამიანი,  
რატომ ჩავისმო სურვილები გულში თვითონვე,  
თუკი ისინი სიცოცხლისკენ მომიწოდებენ?!

მიყვარს ეს ქალი, ვიტანჯები დიდხანია,

ბევრი ვეცადე დაიწყება, მაგრამ — ამაოდ.

ჩემი ცხოვრება უმადისოდ ცარიელია.

ვიცი და ვხედავ: მას თამაზი მოსწონს ძალიან,

უყვარს თამაზი, ის კი ჩემი მეგობარია?!

როგორ დაეძლიო, აღარ ვიცი, ეს დაბრკოლება.

თამაზის წასვლით დამებადა ეჭვიც, იმედიც:

იმას რომ ნელი ჰყვარებოდა, აქ დასტოვებდა,

და თვითონ შორეთს წაეიდოდა ასე დიდხანით?

მაგრამ, ეჰ, განა სოყვარულმა იცის მანძილი?

(შემოდის ნელი, ვივის ვადასცემს ნორებს. ვივი ავიკრდება. პაუზის შემდეგ გაოცებით)

ეს ხომ ნამდვილი შედეგია, შესანიშნავი,

უკვე ვტყობა თქვენი მადლიც, ვირტუოზობა.

ნელი — ოი, ნამეტანს ნუ შემაჭებთ, თქვენც კირიმე,

შე მხოლოდ ტექსტი ვადავწერე, გადავთეთრე.

თუმც შემსრულებლის ავტორობას კი დავინებებ.

ვივი — დიას, ამაში, მართლაც, ისმის მძლავრი, გმირული,

ახალგაზრდობის შრომის პიში, შრომის დიდება!

ნელი, თუცა ვარ, გაძლევ სიტყვას აღამიანურს,

როგორც ქიურის ერთი წვერი ამას დავიცავ.

აქ, შეიძლება, ზოგიერთის თავმოყვარული,

პირადი გრძნობა შეიღებოს, მათ შორის ჩემიც,

მაგრამ, ვგრძნობ, რომ ეს უმჯობესი არის გველანგე.

და, კონკრეტულად გამარჯვება მას მიენიჭოს.

ნელი — შენ გენაცვალე! (ინსტიტუტურად გადახვევა).

ვივი — თამაზს ალბათ ახლაც ჰგონია:

ამ ნაწარმოებს თქვენი ხათრით ვიცავდე თითქოს.

ნელი — და განა ჩვენი მეგობრული ურთიერთობა

საბაზს იძლევა ამისათვის? არა გგონია.

ვივი — მას ალბათ ახსოვს ის პირველი ჩვენი ტრფიალი.

ნელი — ნუ გამახსენებ წარსულ ამბებს, თქვენი კირიმე,

ანუ ვიყავი, სოყვარული შე რა ვიყოდი.

ვივი — თუმცა პირველი ვატყებინს მთლად დაიწყება...

ნელი — ო, ნუ დაიწყებთ, ასეთები ახლა არ მკერა.

თქვენ ხომ კარგი ხართ, ფრიად კარგი აღამიანი,

უფრო უკეთესს იბოვნით და იბედნიერებთ.

შე კი ნუ მართმევთ საკეთარ ბედს, — მიყვარს თამაზი.

ვივი — გულსატკენია ვე სიტყვები, მაგრამ რას იზამ?

სჯობს — ერთი წუხედეს, ვიდრე ორი იტანჯებოდეს.

იბედნიერეთ ჩემს წინაშე უფრო ამაღლდით,

რომ თქვენ თამაზი ასე ვიყვართ... შე კი ავიტან...

ნელი — ამიერიდან მშაღნაფიცია იქნებით ჩემი.

და შემომფიცეთ, რომ თამაზი თქვენც გეყვარებათ

მედიდრი მამსავით... მიპასუხეთ, რატომ განუშლით?

ვივი — (თამაზის მუსიკის ტექსტზე, რომელიც ხელში უკირავს)

ჩემი პასუხი ამაშია, ამას დავიცავ.

და მტკიცედ მკერა: საბოლოოდ ეს გაიმარჯვებს.

ნელი — გმადლობ კეთილო, მკერა შენი და მიხარია.

ვივი — მამ, წამოშვევით, დავალბულ საქმეს შევედგეთ!

(აივანზე ვადის. ნელი შერბის თავის ოთახში, სასწრაფოდ გადაიკვამს,

თან შემოჰყვება დედა).

ნელი — დედა, თამაზის სიმფონია უნდა მომზადდეს,

ახლა მივიღე ზინეთიდან მისი წერილი.



რუსთავს მივდივარ, სამსახურში... აბა, ნახავიშინ?  
(ღედა ფანჯრიდან თვალს გააყოლებს. სასადილო ოთახიდან კი ისმის ზარბაზნაძის ხმა).

**ქაივანი** — ჩემი გოგონა ძლივს არ ვნახე სახენათელი?  
მეც გულს მინათებს მზიარული მისი ლიმილი.  
იბედნიერე, შეილო ჩემო, იბედნიერე!  
(უსმენს სასადილო ოთახიდან ხმურს)  
თითქოსდა ისმის შემზარავი ხმები ქაობის,  
ოპ, ნეტო ამან უნდა შთანთქას ნელის სიციცხლეც?

**მოკვდება გიგონა**  
სურათი პირველი

რუსთავი, სახალხო თეატრის გახსნის დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით თეატრში უნდა შედგეს ქორის კრება, სადაც გაირჩევა მუსიკალური ნაწარმოებები შრომის თემზე. აქედან უნდა შესარტულდეს თამაზის სიმფონია თეატრში დროსტარება. უკრავს ორკესტრი. კარნავალია დიდი ფანჯრიდან მოსჩანს რუსთავის ქარხნის სილუეტები, წითლად მოღაქვავი ცა. საღამო ვაჟი. დაზარალებული თევზიკობილი არიან მუშები, ქალ-ვაჟები. ისინი შენელებული არიან და ცეკვავენ. სცენაზე მეორე სართულიდან ჩამოდის კიბე.  
უეცრად შეწყდება ხმაური და ცეკვა-თამაში. მეორე სართულის კიბეზე გადმოდგება ქალაქკომის მდივანი და სიტყვას ამბობს:

**ქალაქკომის მდივანი** — ამხანაგებო! ჩვენს ქარხანას თქვენ კარგად იცნობთ.

ჩემგან ამ ქარხნის ისტორიაც არ გესწავლებათ.  
და როგორც იცით: შორს წარსულში აქ არსებულა „ბოსტან-ქალაქად“ წოდებული ქართლის ქალაქი.  
ჩვენში ფოლადის წარმოებაც აქ დაწყებულა.  
ამას გათხრებიც გეიმტკიცებენ... შემდეგ ვერაფერს მთლად მოუსპიათ ეს ქალაქი... დღეს, როგორც ხედავთ, რუსთავი ერთ-ერთ ინდუსტრიის ქალაქად იქცა.  
ჩვენი ფოლადი განთქმულია საზღვარგარეთაც.  
ეს ჩვენი ქვეყნის სიმტკიცე და ხერხემალია.

(მოწონების დასტური ტაში).  
დღეს, როგორც ხედავთ, გვაქვს ლხინი და მზიარულება.

ჩვენი თეატრის საზეიმო გახსნის დღე არი.  
ქორის კრებაც აქ შედგება, აქვე მოვისმენთ ახლადაწერილ შრომის ჰიმნებს და სიმფონიებს.

(ისევ მოწონება და ტაში).  
ჩვენ აქ გვეწარება მუსიკოსთა მთელი ქორი,  
მაშ, მოესმინოთ, რას გვატყვიან ჩვენი სტუმრები.

(ისევ დასტური ტაში).

- ვაჟი** — (რევანს) გობოთ, ორიოდ სიტყვა უთხრა ჩვენი სახელით.
- რევაზი** — არა, მე არა! თქვენ უნდა თქვათ პარტიის ზახოთ.
- ვაჟი** — როგორც ხელმძღვანელს, თქვენ გვეუბნით სიტყვა პირველი.
- რევაზი** — (თითქოსდა იძულებით) ამხანაგებო!

ჩვენ, ქართველი მუსიკოსები  
შეფობას ვიღებთ დღეს იქით ამ ქარხანაზე.  
სასახელაო თქვენი შრომა და წარმატება.  
თქვენ პატრიოტულ იოსების ღვაწლით ამაყობთ,  
ასე ამაყობს მისი შეილი ჩვენი კავშირი,  
მისი ძველნაც, თამაზის და, ჩვენი მუშაობის,  
თქვენს გამბრახზე, თქვენი შრომით შთაგონებულნი,  
ვეცდებით შევქმნათ შრომის ჰიმნი და სიმფონია!  
(იძულებით აღფრთოვანება და ტაში).

**ქალაქკომის მდივანი** — სამადლობელო სიტყვას იტყვის თამაზის შამა.

**იოსები** — მე გაზეთივით ლაპარაკი არ შეხერხება.  
მაღე დავიწყებთ გამოშვებას და დღემოდან ცეცხლად ფოლადის ნიაღვარი გადმოიღებება.

და იგუგუნებს ცეცხლი შრომის გამარჯვებაზე,  
და ნახავთ: როგორ იქედება ჩვენი ცხოვრებაც.  
(მოწონება. ტაში)

**ქალაქკომის მდივანი** — ახლა განაგრძეთ დროსტარება... (რვეზს) ჩემთან მობრძანდით!  
(განახლდება ცეცხლ-თამაში, ისმის ვალსის ხმა, რვეზს შემოხვდებიან  
კომპოზიტორები).

**კომპოზიტორი** — (რვეზს) რა კარგი იყო თქვენი სიტყვა?  
**რვეზი** — ეათომ?

**კომპოზიტორი** — კი, კაცო!

**რვეზი** — მე შევეცადე გამომეთქვა თქვენი სურვილი.

**კომპოზიტორი** — იმდენი ტაში ვიტაკიდენე, რომ ხელი მეწვის.

**რვეზი** — გულის სიღრმიდან წარმოთქმული ვგ ჩემი სიტყვა  
თქვენ გეუთვნოდათ, ტაშიც თქვენვე დაიმსახურეთ.

**დირიჟორი** — (ახლაც ამორილი აქვს ილღიაში აპარატი)

ასე თუ ისე, თქვენი სიტყვით ქე გვასახელებთ!

**რვეზი** — რაც შეეხება თქვენს აპარატს, უკვე მოგვარდა,

იგი სამხედრო მნიშვნელობის თერმე უყოფილა.

და ჩვენც ამიტომ გერჯერობით ჟნდა ვაგჩუმდეთ. (მეორეს).

ველაპარაკე თქვენს ბინაზეც თვითონ შელაპეს.

**კომპოზიტორი** — (აიმედებს) მისი პირობა პირობაა!

**კომპოზიტორი** — მართლა?

**კომპოზიტორი** — კი, კაცო!

**რვეზი** — უზრუნვე ყველაზე: არც შენ, არც თქვენ დამეიწყებიახლო.  
სხვა საქმე თუ გაქვთ, მომხსენეთ, წუ გვირდებათ.

(ყველანი ნაძალადეგ მადლობას უხდებიან)

ამ უზრუნველობას, იმედია, მეც დამიფასებთ.

დღეს, მაგალითად, გაარჩევნ ჩემ სიმფონიას,

თქვენც დამიცავით, კენჭის ყრის დროს ხმა შემაწიეთ.

თანაც თამაზის სიმფონია ქსერთ შეასრულონ,

იგი ხომ ერთხმად დაეიწუნეთ პირველ კრებაზე?

მაგრამ, რუსთავეის ქალაქკომი აპირებს თურმე,

ეიფორის წევრთა გვერდის ავლით, აქ მოისმინოს.

სად ქალაქკომი, ეს შითხარით, და სად მუსიკა?

ნეტაც რა ესმით, — ამ საქმეში რომ ერევიან?

მათ სიმფონია მოხსენება ხომ არ ჰგონიათ?

გმართებს დავიცავთ ჩვენი მტკიცე დადგენილება.

თქვენ კარგად იცით, — რა კაცია თვითონ თამაზი.

მას, თავის გარდა, არცინ არ სწამს კომპოზიტორად,

ყველა ჩვენთაგანს თელის უნიჭოდ, ყველას დასცილის.

თუ გამომარჯვია, — თავზე უფრო წამოგვაჯდება.

არა! თამაზის ვე მუსიკა უნდა ჩაფლავდეს,

და თქვენც ამაში მხარს დამიჭერთ.

**კომპოზიტორი** — მაშა!

**კომპოზიტორი** — (ორტოფულად) კი, კაცო!

**კომპოზიტორი** — ვაჰ, თუ თამაზის ვე მუსიკა ხალხს მოეწონოს?

**დირიჟორი** — ეგ შეიძლება.

**კომპოზიტორი** — მაშინ რა ექნათ, როგორ მოვიტყუო?

**რვეზი** — დღეს აქ, საჯაროდ, ვგონებ იგი არ შესრულდება,

თუ შეასრულეს, — დამარცხდება... არის მიზეზი!

**კომპოზიტორი** — ო, თუ ასეა, უსათუოდ ჩვენ მხარს დავიჭერთ.

**რვეზი** — კრებაზე ჩემი სიმფონია უნდა გავიდეს,

მერე აქედან ჩემთან წავალთ, უნდა მესტუმროთ,

მისთან დღეობა გახლავთ ჩემი... აბა, ნახეამდის!

(რვეზი მიდის. დანარჩენები აღშფოთებული დარჩებიან)

**კომპოზიტორი** — ამას ჩვენ, მართლა, სულელები ზომ არ ვგონივართ?

სანამდე უნდა — ხალხი ჰყვებოს დაპირებებით?

ჩვენით სარგებლობს და საყუთარ საქმეს აკეთებს.

მაგრამ, ესენი არ გამოვა, უკვე გავიგეთ.  
მისი კულტურის მინისტრობაც უალბი გამოდგა.

4 კომპოზიტორი — ნეთე ვერა?  
ღირდორი — მეც გავიგე!

3 კომპოზიტორი — იქნებ... რა იცი?

2 კომპოზიტორი — სუ, კაცო! მავას მინისტრობას ვინ ჩააბარებს?  
ღირდორი — ჭველი მინისტრი მაგრად ჭე ზის თავის ადგილზე.

1 კომპოზიტორი — მაშ, სხვანაირად იქნებოდა? ვუებნებოდით:  
„მოკორილია ეს ამბავი, არ შეეცა-მეთქი!“

3 კომპოზიტორი — ვინ გააერცვლა, ნეტავ, ეს ხმა?

2 კომპოზიტორი — შენ არ მითხარი?

3 კომპოზიტორი — მე კი სხვამ მითხრა?

1 კომპოზიტორი — ვინ, ვინ, ნეტავ?

2 კომპოზიტორი — ვინ და — ეუუუნამ.

2 კომპოზიტორი — ახლა კი ვიცი, — ჯორის წყარო საიდან მოდის.  
ღირდორი — იცოდეს: ამდენ მოტყუებას მას არ შეეარჩენ.

4 კომპოზიტორი — არც მე!

3 კომპოზიტორი — სუყველას მასხრად გვიგდებს და გვაპაპულებს.

ღირდორი — ან სამსახურში როგორ დადის, როგორ იქცევა?

1 კომპოზიტორი — ამბარტავნულად.

2 კომპოზიტორი — შედიდურად.

3 კომპოზიტორი — თავალებულად.

1 კომპოზიტორი — არა! ის ჩვენი კავშირიდან უნდა მოიხსნას.

2 კომპოზიტორი — პარტიიდანაც გარიცხავენ.

3 კომპოზიტორი — ეს დროც დადგება.

ღირდორი — ასეთებს თავის რიგებიდან სდევნის პარტია.

3 კომპოზიტორი — ვგ არის სწორედ, რომ იტყვიან „კაცი-ნიღბში“.

2 კომპოზიტორი — მალე ამ ნიღბს ჩამოხდებიან და გაუგებენ.

ღირდორი — მის გამო თამაზს ვაწყენინეთ!

2 კომპოზიტორი — მაშ, მაშ, რა ვქენით?

1 კომპოზიტორი — ტყუილ-უბრალოდ დაიჩაგრა ის ახალგაზრდა?

2 კომპოზიტორი — მისი შესიკაც კარგი იყო, — კი დაეიწუნეთ.

ღირდორი — ახლა თამაზი აქ არ არის, და ამას უნდა

უფრო დაჩაგროს... მაგრამ, არა... ეს არ გამოვა.

2 კომპოზიტორი — კარგად მოიტყა ჭალაქკომიც, რომ აქ მოაწყო

მისი შესიკის ზღმეორედ განსჯა-განზილვა.

რადგანაც ვგი შრომის კერას, რუსთავს ეხება.

1 კომპოზიტორი — თუ გაიმარჯვა, ეს ჩვენთვისაც იქნება კარგი:

ის რევაზია, თუ ვინცხა, ვერ იპარპაშებს.

მაგრამ, სიფრთხილე გემართებს ყველას, უნდა გაეჩემდეთ.

უნახოთ: თამაზის სიმფონიამ თუ გაიმარჯვა

და აქეთ ქარმაყ დაგვიბერა, — ჩვენი იმას გავყვეთ.

ღირდორი — ჩინეთის შემდეგ ის პირველი კაცი იქნება,

და ეს შესიკაც მას დიდებულ სახელს გაუქვამს,

და შეიძლება: ეს კი არა — ფლიდი რევაზი,

არამედ ვგი, მალე გახდეს ჩვენი უფროსი.

1 კომპოზიტორი — რევაზი ახლა შეკადარ სულეზში ჩასარიცხია,

სამსიცი არის მასთან უოფნა და შეგობრობა.

როგორც პროფესორს და შესიკოსს პატივს არ სცემენ.

ამაოდ ცდილობს დღეს კრებაზე თავის ვატანას,

მისი შესიკა ცარიელი უნიჭობაა.

2 კომპოზიტორი — თავის შესიკას ისე აქებს და ბაჭიბუქობს,

თითქოს მოცარტის მეორმოცე სიმფონიაა.

1 კომპოზიტორი — დღეს თამაზს უნდა დაეუპიროთ მხარდ სუყველამ.

მაშ, დაეიშალოთ! შემდეგ ისევ აქ შევიყაროთ!

არავის კრინტი არ წამოცდეს... ფრთხილად იყავით!

(მალა სართულში ისევ გაისმის საცეკვაო შესიკა)





2 კომპოზიტორი — ნიღაბი ხომ არ გავიყვითო?

1 კომპოზიტორი — მაშა!

4 კომპოზიტორი — კი, კაცო!

დირიჟორი — ქვე შენ რას ამბობ? ჩვენც ნიღაბი თუ გვაქვია და...

(აღვლევებულნი შემოდინ იოსებნი და ელფფფერი, იოსებს ზელში ქალადი უქირავს).

იოსები — ჩემი თამაზი ჩინეთიდან გადმოფრენილა,

აი, დეპეშა, ამაღამვე ჩამოვა თურმე.

ხომ არ გინახავთ გივი, ნელი, ანდა ჩუქუნა?

1 კომპოზიტორი — ა იქ არიან, ქალაქკომთან, წითელ დაბაზში.

2 კომპოზიტორი — მოგვილოცნია შენი შეილის შინ დაბრუნება.

კარგი კაცია, სიხარულით მას ველოდებით.

სწორედ ამ წუთში ჩვენ თამაზის ქებას ვამბობდით,

და გადაუწყვიტეთ, რომ დავიცვათ მისი მუსიკა.

(იოსები და ელფფფერი საჩქაროდ გადიან მითითებული მხრისაკენ).

ახლა კი რევეზს დაეცემა რისხვა და შეხი,

შენ რომ იყოდე, რა ამბები დატრიალდება?

ენახავთ, რა მძვინვარ ხასიათზე დადგება იგი.

საერთოდ, სანჭმე, ისე მიდის, როგორც გვინდოდა.

მაშ, ასე: ციმციმ დავიშალათ, ვიყოთ ცალ-ცალკე,

თითქოს არასდროს არ ვყოფილვართ, ერთად... ბოლოს კი:

ბრძოლის ადგილას კვლავ ერთმანეთს შევხვდეთ და რევეზს

თავზე დავესხათ უცაბედად და წაეაქციოთ.

(გადიან. ისევ ისმის მუსიკა. რამდენიმე წველი მოცეკვავე სცენაზე გამოქვანება. წინა პლანზეა ლექსო და გუგუნა ნიღბებით).

ლექსო — (ქათინაურით) მე თქვენ მეცნობით!

გუგუნა — (ხმაშეცვლით, თითქოს უცხოა) ნუთუ-მართლა? თქვენ ვინ ბრძანდებით?

ლექსო — ახლობელია ტკბილი სითბო თქვენი სხეულის.

გუგუნა — თქვენ, ალბათ, ყველას ეუბნებით ქათინაურებს! (თითქოს ქართულს ამტრავებს).

ლექსო — მაინც რა გქვიათ, რა გვარის ხართ?

გუგუნა — ესპანოლა!

ლექსო — თქვენ აქ მუშაობთ, ქარხანაში?

გუგუნა — დიხ, მუშა ვარ!

ლექსო — დიდი ხანია, რაც აქა ხართ?

გუგუნა — ხუთი წელია.

ლექსო — ქართულიც კარგად გისწავლიათ, ტკბილმოსამშენი.

გუგუნა — მე ბავშვობიდან აქ მიშვილეს, აქ ვიზრდებოდი.

ლექსო — თქვენი სახელი გამაგონეთ.

გუგუნა — მქვია გუგუნა!

ლექსო — რა ლამაზია! ალბათ სახელს ასახიერებს.

გუგუნა — მოგწონთ?

ლექსო — ძალიან!.. ტკბილია და თავბრუდამსხმელი.

გუგუნა — თქვენი სახელი?

ლექსო — ლექსო!

გუგუნა — ვიცით! გამიგონია!

ლექსო — ნუთუ მას იცნობთ?

გუგუნა — ეს ვანთქმული ლექსო რომ არი?

გამომგონებლობს, ფოლადს ადნობს, თანაც პოეტობს.

ლექსო — ნორმის ვაჭარბებ, ყველაფერში ვარ მოწინავე.

გუგუნა — დადგენილ ნორმას, როგორც ვატყობ, აქაც აჭარბებთ.

ლექსო — დიახ! იცნობდეთ კომუნისტურ შრომის ბრძაღობს,

ფოლადისმდნობელ კომკავშირებს, გამომგონებელს.

გუგუნა — მაინც რა მქვია იმ თქვენს ძვირფას გამომგონებას.

ლექსო — წილა!

გუგუნა — ეს რაა?

ლექსო — გსერთ იყოდეთ, ეს რა ცუცხლია?



- მას მთელი საბას ლექსიკონის ცოდნა სჭირდება.  
 მოკლედ: ეს არის რკინისა და სხვათა მეტალთა  
 ვადადნობისგან დარჩენილი ზეწევი, ნაყარი,  
 დღეს მით ზურდება ჩვენი ქარხნის უველა ლემელი.
- ვაჟუნა** — ნაყარი? მე კი — ელექტრონის დენი მვგონა.
- ლექსო** — ელდენით ცა და ქვეყანაა გაბურბებული,  
 და ხელშეორედ აღმოჩენა მას არ სჭირდება.  
 (შეერთვიან სხვა მოცეკვავეებში. მათი საუბარი წყდება. მცირე პაუზის  
 შემდეგ ისევ განაზღვდება).
- ვაჟუნა** — დღიად მსახურებს თქვენისთანა კაცის გაცნობა!  
 (ხელს ნაზად მოხვევს წელზე და ცეკვას განაგრძობენ).
- ისეთ ნოყატორს, ვინც ეგ წიდა აღმოაჩინა,  
 უნდა ეწოდოს ამირანი, ანდა პარამეთე.
- ლექსო** — შენ ვინაცვალე! (უფრო ჩაეკრება) რა სწორედ თქვით? აქ ბირველი  
 ცეცხლფარეში და შეფოლადე პრომეთე იყო,  
 საქართველოში ამირანად დაბადებულნი?  
 აქი მოდგმიდან ქართველ ტომებს ერქვათ ხალიბი?  
 თურმე უალიბში ძველთაგანვე აწრთობდნენ ფოლადს?  
 ჩვენი ამ ფოლადის ნებისყოფა გამოგვეოლია!
- ვაჟუნა** — მხოლოდ საშინი და სასტიკი ვინმე ყოფილხართ:  
 არ მიცნობთ, სახეც არ ვინახავთ, მაინც მოგწონვართ.
- ლექსო** — ეის არ მოხიბლავს თქვენი ტანი, თქვენი ფეხები,  
 თქვენი სიცილი და ჭიკჭიკი მერცხლისებური?
- ვაჟუნა** — მეც თქვენ მომწონხართ, მხოლოდ ვშიშობ, იქნებ სხვა ვიყავით!
- ლექსო** — არაინ...
- ვაჟუნა** — გიცო: თქვენ ერთ გოგოს ეარსიყებით.
- ლექსო** — რას არ იტყვიან?
- ვაჟუნა** — ვინ არი, რომ ასე მოხიბლათ?
- ლექსო** — იქნებ კაბუჯი მრაველ ქალთან ქათინაურობს,  
 მაგრამ, მე ქალი თქვენისთანა არ შემხედვარია. (ცეკვით გადინა... კის-  
 კისით შემობრბინა გუგუნა და ვუჟუნა ნიღბებში. ნიღბებს მოიხდიან, ერთ-  
 მანეთს შეაკვირდებიან და ისევ სიცილი აუტყდებიათ).
- ვაჟუნა** — ნახე, ვუჟუნა, რა მშვენივრად ვგავთამაშე?
- ვაჟუნა** — გათამაშება ახლა ნახე! (სასწრაფოდ ნიღბებს შეიცვლიან და სახეც  
 იცვლებენ). სუ! აქეთ მოდის! (შემოდის ლექსო).
- ლექსო** — აქ ხარ, გუგუნა?! თქვენ დაგემებთ! (ცეკვას განაგრძობენ).  
 მაშ, ხვალ შევხვდებით!
- ვაჟუნა** — (მუნჯურად აძლევს თანხმობას).
- ლექსო** — იქაც ამ ნიღბით ხომ არ მოხვალთ? მე როგორ გიცნობ?
- ვაჟუნა** — (ცლავ მუნჯურად პასუხობს).
- ლექსო** — რატომ დამუნჯდით? გამაგონეთ თქვენი ტუბილი ხმა.
- ვაჟუნა** — (ხელოვნურად და ხმაშეცვლილად იცინის).
- ლექსო** — წუთით დავმორდით ერთმანეთს და... სულშილად შეცვლილხართ!
- ვაჟუნა** — (იციინს).
- ლექსო** — თითქოს თქვენს ხმასაც ვერ ვცნობილობ... ნეტავ, რა მოხდა?
- ვაჟუნა** — ძლიერ მოგწონვართ?
- ლექსო** — გაგიყვებით ჩემი ბედი ხართ!
- ვაჟუნა** — ო, არა მჯერა! შემომდივით!
- ლექსო** — თქვენს თავს ვფიცავარ!
- ვაჟუნა** — მაშ, დამანახეთ თქვენი სახე.
- ლექსო** — თქვენც დამანახეთ! (ცეკვას შეწყვეტენ და ნიღბს აიხდიან, გაშვებულ-  
 ლი დარჩებიან).
- ვაჟუნა** — (ჩვეულებრივი ხმით) ეს არის შენი სიყვარული? ლექსო, გრცხვენოდეს!  
 სულ ციხე-კოშკებს მპირდებოდი, შეფიცებოდი,  
 თურმე ცრუობდი, მე კი შენი როგორ მჯეროდა?  
 ვილაც ეხანად ქალს აყვავი, უხსნი სიყვარულს,  
 წამს მოგწონა ვილაც, ასიც კინკას ნიღბში.



ლექსო — ვუქუნი...

შუშუნა — არა! ხმა არ გამეც, არ გამეკარო,  
უკვე ჩვენ შორის ყველაფერი შორია, გათავდა.

ლექსო — ვუქუნი, გულიც?

შუშუნა — შენი ფიცი მე კარგად ვიცი.

ლექსო — აკი შეგფიცე?

შუშუნა — (ნიღაბზე) ვის, ამ ჭინკას?

ლექსო — ხმაზე ვიცანი და ვიცოდი, რომ შენ იყავი.

ასეთი ტანი და ფეხები, მაშ, ვის ექნება?

გათამაშება გასურდა ჩემი... და მეც...

შუშუნა — კი მაგრამ:

როცა არ შეკონდა ეს ნიღაბი, მაშინ სიუვარულს,

ასე ტკბილად და გრძნობიერად რაღა არ მიხსნიდი?

ლექსო — სწორედ ნიღაბში გაიბედე გული-სათქმელი.

შუშუნა — არა, არ მაკერა შენი სიტყვა.

ლექსო — არ გჯერა? კარგი: (გულშოსულად).

მაშინ, შენ წყლან, რათ მიხსნიდი ამდენ სიუვარულს?

რათ მინიშნავდი ან პაემანს, ან დროს და ადვილს?

შენ ხომ, ნიღაბში არ მიცნობდი — მე ვინც ვიყავი?

შუშუნა — ლექსო...

ლექსო — პირიქით: მე შენზე ვარ გაბრაზებული.

მე და შენს შორის ყველაფერი უნდა გათავდეს.

აკი უცნობი დაინახე და მიღალატე.

წამს მოგეწონა ვიღაც, ისიც დათვის ნიღაბში.

შუშუნა — ო, არა ლექსო! მეც ვიცოდი — შენ ვინც იყავი.

ლექსო — მეც გამოგვიადე...

შუშუნა — თუ ასეა, მაშინ შევრიგდეთ!

ლექსო — სულ ამ ნიღაბებში შეგვიყვანა ჩვენ შეცდომაში.

შუშუნა — ნეტავ, ნიღაბი რათ სჭირდება ნამდვილ სიუვარულს?

(ნიღაბებს მოიხსნიან და გადაავლებენ).

ახლა დრო არის — ჩვენს დღევანდელ საქმეს მივხედოთ!

ლექსო — ჩვენი ნომრები კიდევ ერთხელ გავიშვოთ.

შუშუნა — (მიმართავს ორკესტრს) აბა, მიესტრო!

გთხოვთ დაუკრათ ჩვენი ნომერი.

(ორკესტრი უკრავს. ლექსო და შუშუნა პიექობენ).

ლექსო — (თითქოს გიტარას უკრავს და დაამღერებს).

ქალო, ქალო, რა მოგსვლია,

გაუბდი შენი მკერდებელი,

ტუჩზე ვარდი ამოგსვლია,

პირით მოსაწყვეტელი?

შუშუნა — ვაჟო, ვაჟო, რა მოგსვლია,

თვალხარბი ხარ, მკრეხელი,

უღვაშებიც ამოგსვლია,

თითზე დასაგრეხელი!

ლექსო — ქალო, ქალო, რა მოგსვლია,

მტანჯავს სიფიქრებელი,

მკერდზე ვაშლი ამოგსვლია,

ხელით მოსაყრეფელი!

შუშუნა — ვაჟო, ვაჟო, რა მოგსვლია,

გაქრეს შენი მკეხელი,

მხარმკლავებიც ამოგსვლია,

უშნო, უსარგებელი!

(ამ დროს ფანჯარას მოადგება წითელი სინათლე).

ლექსო — ოი, გაიხედეთ: ცისკარივით ბრწყინავს ქარხანა.

ჩემი ღუშელიც კვამლს აბოლებს და მელოდება.

ცუცხლიც დედაყებს, მას ფერი აქვს ღია-წითელი,

მაშასადამე: ფოლადია უსპეტაცესი!



მაღე ამ შრომის სიმფონია დაიგუგუნებს,  
მასთან მოუსმენთ ზემს პოეტურ ორატორიას:  
გამურული ზენი დგანან,  
მიწისძვრა და ზანზარია,  
ტყე რომ იწეის,— მზეა, ვანა  
თემურ-ლენგის ხანძარია?!  
აქ რა უნდა მტრების ბნელეთს,  
გაქტრეს მათი მოგონება...

(საჩქაროდ შემოდის ვივი).

**ვივი** — სად არის ნელი, არ ვინახავთ? რატომ არ მოდის?  
თუ არ მოვიდა, სიმფონია ზომ ჩაგვივარდა?  
ჩქარა მოძებნეთ! მხოლოდ წყნარად, ვანგაშს ნუ შექმნით.  
(ქუქუნა და ლექსი გარბიან).  
თამაზი უნდა ჩამოვიდეს, დღეს აქ გაჩნდება.  
ნელი კი არ ჩანს, რამე ზომებს უნდა მივმართო! (საჩქაროდ გადის).

### სურათი მორა

რევაზის ბინა. საღამო ეამა. ოთახში გაწყობილია დიდი სუფრა, რევაზის დაბადების  
სამოცი წლისა და ახალი სიმფონიის შესრულებასთან დაკავშირებით. სუფრას ჯერ-ჯერო-  
ბით არაეინ უზის. ფანჯარასთან დგას ნელი, ქუნას გასტეტრის, დედა კი ჩამომკლარა  
ტაბტუ, მაგიდის ახლოს. კაბინეტლიან შიოსმის როილის ხმა. რევაზი უყრავს თავის ნაწარ-  
მოებს, რომელიც დღეს საღამოს რუსთავეის სახალხო თეატრის გახსნაზე უნდა შესრულბუ-  
ლყო. პაუზა. სუფრაზე გამოირჩევა დიდი სურა.

**ქეთევანი** — სუფრა მზად არის რახანია, არეინ არა ჩანს.  
კარგია, შეილო, რომ შენ მაინც არ მიგვატოვე.  
თორემ, ზომ ხედავ, ყველამ როგორ პირი გვიბრუნა?

**ნელი** — მხოლოდ თავისთავს დემდუროს, მისი პრალია.

**ქეთევანი** — სხვა დროს რევაზის დღეობაზე ტევა არ იყო.

ახლა: არც ერთი სულერი არ გამოცხადდა.

ისინი, ვინც კი პირში ძმობას ეფიციეზოდნენ.

**ნელი** — შეც, შენი ხათრით, დედა, თორემ არ მოვიდოდი.

**ქეთევანი** — და კარგიც ქენი, სხვანაირად როგორ იქნება?

ეს მაინც შენი გამზრდელია, რაც უნდა იყოს.

**ნელი** — ეპ, სამწუხაროდ!

**ქეთევანი** — რატომ, შეილო? ვერც ნუ ამბობ!

მარტოკა დარჩა, მისთვის ესეც საყმარისია.

ჩვენ ნუ დავტოვებთ.

**ნელი** — გულშეიწყი ხარ, დედაჩემო!

**ქეთევანი** — რას იზამ, ბედმა ეს მარტუნა, უნდა ეთმინო.

ბოლო დროს ისე გაბორტდა, კარში მაგდებდა,

იღარ ვუნდოდი, შენი ნახვაც ეზარებოდა.

ჩვენ მაინც უნდა მოეთმინოთ, გულში ჩაეყლათ,

სხვამ რომ გასწიროს, ჩვენ დავიციეთ, ნულარ გავწირავთ.

ბოლომდე უნდა ავიტანოთ, ვალდებული ვართ.

(ისმის წერტილი, ქაორტური მუსიკა და ბოლოს როილის დახურვის ხმა).

**ნელი** — ო, არა, დედა! არა! ეგ არ გამოსწორდება!

ხედავ, გულს როგორ ეჭიდება, როგორ ასკდება?

ჯაერობს და ვეღარ ვაუვია, რომ კარგ მუსიკას,

ადამიანის გული უნდა, წარფელი, სპეტაკი.

მას კი ეს გული, სამწუხაროდ, არ გააჩნია.

ეს მედამ ამ გზით მიდიოდა, მედამ უგულოდ,

ამიტომ სხვათა სიუფარულიც უცებ დაკარგა.

აი, ამისი მაგალითი! (სუფრაზე მიუთითებს) არეინ არა ჩანს.

და ეს ქუქუნა თუ არ მოვა: არა მარტო მათ, —

ხალხს და მეგობრებს, — ამ ოჯახსაც დაკარგავს შადე.



**ქეთევანი** — სწორს ამბობ, შეილო! მისგან ბევრი წვალემა მახსოვს.

მაგრამ, დღეს მისი დღეობაა, ეპატემა.

**ნელი** — მხოლოდ ოცნებას აყოლილხარ, შენ, დედაჩემო! აბა, რა ვახსოვს მისგან კარგი? მარტო სიავე, ტანჯვა-წვალემა, დამცირება და ბოროტება. იგი სარკვებლობს ისევ შენი უზადრტობით, მონად ვაქცია, ბედზე მონად, არაარაბად.

**ქეთევანი** — ნუ, შეილო, მავს ნუ ძახილ!

**ნელი** — ო, არა, დედა!

უკანასკნელად ვარ ამ სახლში, ესეც იმიტომ, რომ შევესრულო მხოლოდ გერის მოვალეობა, ვისაც, ამ ძვირფას ხალიჩებით მორთულ კედლებში, სიავისა და სიმწრის მტრი, სხვა არ უნახავს. და მე, როგორმე, თავს დაეაღწეე ამ წყვეულ ოჯახს... შენ მენანებდი!

**ქეთევანი** — ჩემი თავი კირმა წაიღოს,

მხოლოდ შენ იყავ ბედნიერი, ჩემზე ნუ დარდობ!

**ნელი** — ო, რა კარგი ხარ, დედაჩემო, რა მშვენიერი?

(ჩაეხევეა, კოცნის).

წრფელი გული გაქვს, მეც ამიტომ ასე მიყვარხარ!

**ქეთევანი** — აბა, შენს მტრ, მე ვინა მყავს, ჩემო სიცოცხლე,

ჩემი წარსულიც შენში არის და მომავალიც,

ბედნიერების ის წუთებიც, როცა ეხარობდი.

და მომავალი სიხარული თუ გამაჩნია.

ეს არის შენა, მხოლოდ შენი ბედნიერება.

აი თამაზი, დღესვე უნდა ჩამოსტეიყო?

**ნელი** — რეა საათისთვის კვლავ რუსთავეში შელოდებიან,

დღეს იქ თამაზის სიმფონია უნდა შესრულდეს.

**ქეთევანი** — შენც რომ წახვიდე, უხერხული იქნება, შეილო!

ხომ ხედავ, როგორ დაგვიფიწყეს, პირა გვიბრუნეს?

რა ვქნათ, ასეა კაცის ბედი დაუნდობელი.

როცა რევანი კარგად იყო, — თავს გვაბერებდნენ,

როცა გაიგეს დამარცხდაო, ყველა გაგვექცა.

**ნელი** — რადგან, სამარეს ვინც სხვას უთხრის, თვით ჩაეარდება.

მხოლოდ თავისთავს უნდა უთხრას მან სამედურაი.

მხოლოდ ის არის დამინამავე თავის წინაშე.

რადგან მან მხოლოდ ანგარებით ალღო აუღო

ჩვენი ცხოვრების ცუდ მხარეებს, მანკიერ გრძნობებს,

რაც კიდევ ცოცხლობს და ცხოვრების წინსვლას აბრკოლებს.

და დროებითი გამარჯვება მას ანარმავებდა,

მან სინამდვილის ღრმად შეგრძნობის ალღო დაკარგა,

და გააყვა ძველ გზას, მას წარსული დაეპატრონა

და ჩაკლა მასში ახლის გრძნობა და სიყვარული.

(ამ დროს სასაბილოს კედლის საათი დაიწყებს რეკვას. კარებში გამოჩნდება.

რევაზი, უსმენენ საათს. ექვსჯერ დარეკავს. რევაზი მიდის მაგიდასთან).

**რევაზი** — ექვსჯერ დარეკა. შეშინებულდა წელი სამოცი.

რად მოღუფულხართ, გაიღიმეთ, გამზიარულდით,

სწორედ ამისთვის ეს მაგიდაც არის გაშლილი.

ნეთუ გადარდებთ, რომ სტუმრები მას არ უსხედან?

იყო დრო, როცა: უხეად ვაშლილ ამ მაგიდასთან,

ორ-ორი იჯდა თითო სკამზე და მოილხენდა,

შემომკვეროდნენ და მასხამდნენ ქება-დიდებას,

და ქედს იხრიდნენ ჩემს წინაშე, ვით ლაქიები,

და იცლებოდა ყანწები და აზარფეშები,

ისმოდა მრავალეამიერის ხმა და გუგუნი,

და ჩვენი ღბინი გრძელდებოდა ვარიერაჟამდე,

შემომცინოდნენ და სიყვარულს მეფიცებოდნენ,

როგორც უკეთესს და ყველაზე ძლიერს მათ შორის.  
შეც უგუნური ვასრულებდი იმათ მოთხოვნებს.  
დღეს კი რევანში არვის ახსოვს...

**ქეთევანი** — დამწვილდი, რევანში!

**რევანი** — ასეთი მშვიდი მე არასდროს აღარ ვყოფილვარ,  
ახლა გავიგე ყველაფერი, ავიც და კარგიც.  
თუ ვინ ყოფილა ჩემი მტერი, და ვინ მოყვარე,  
მე დღეს დაემარცხდი, მაგრამ ისევ რევანში მშვიანი.  
არა! იმათზე დაბლა მაინც არ დავეშვები.  
აბა, მობრძანდით მაგიდასთან და მომილოცეთ.  
ნელი, დავიქო, ნუ შემდტრა, შუბლი ვახსენი.  
ჩემი კეთილსმსურველები მაინც თქვენა ხართ.  
(სურას აიღებს).

აი, ეგ სურაც, მამა-პაპის ნაანდერძია,  
თითქოს გულია შოგ თითქოსდა ჩემი სული დგას.  
ასე მაჯერებს დღეს რატომღაც მე წინაგრძნობა!  
(დაასხამს).

ამიტომ ღვინოც, ამ სტრიდან გადმოქცეული,  
უნდა შეისვას წრფელი გულით და სიყვარულით...  
მე, გავეიმარჯოს! (დაღვებს) ვიღღვრძელოთ! აბა, დალივთ!

**ქეთევანი** — შეილო, მამაშენს მიულოცე დაბადების დღე!

**ნელი** — რა ვუთხრა, დღესაი მეძნელება.

**ქეთევანი** — უთხარი რამე!

**რევანი** — იტყვის, მამ, იტყვის! დღეს შეტადრე მისი მოლოცვა  
ჩემთვის იქნება მტრისმეტად სასიამოვნო!

**ნელი** — (ჭიკით ხელში) მამა, იცოცხლეთ, იღღვრძელოთ, იბედნიერეთ,  
თქვენი ცხოვრების, დე, ეს წელიც იყოს კეთილი,  
და დღეაჩემიც ბედნიერი იქნება თქვენთან.  
ვფიქრობ, ეგ სუფრა საღლეობო ამაა ამტკიცებს.  
გისტრვებთ ღიღხანს ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას! (დაღვებს).

**რევანი** — ო, გამაღობ, ნელი! შენც იცოცხლე, ჩემო ქეთევანი!

(ჭიქას მიუჯახუნებს, ქეთევანიც დაღვებს).

ამიერიდან ეს დღე ჩემთვის იქნება მედამ  
დაუვიწყარი!.. და მეც, თითქოს, ახლა ვიგრძენი  
ოჯახის სითბო, სიყვარული და სიტკბოება.  
ამიტომ მინდა შეეასრულო თქვენი სურვილი,  
თემც მიმალავდი: ვიცი — გული სად მივსწრაფის.

**ნელი** — მამა...

**რევანი** — გაჩემდი ვიცი, ვიცი, დამილოცინხართ!

და ის კბაუკო, ვინც შენ მოგწონს, ღირსებულია,  
შენც—ნიჭირთ! — ერთი სიტყვით: კარგი წყვილი ხართ!  
თუ თანახმა ვარ! თან მზითვეს და ქორწილს გვირდებოთ,  
მამაღობასაც მე გაგიწიეთ... რას იტყვი, ქეთო?

**ქეთევანი** — ეს კი იქნება ჩემთვის დიდი ბედნიერება!

**ნელი** — (გაკვირვებით) რა ვთქვა, არ ვიცი! თუ ეგრეა, მაღლობელი ვარ!

**რევანი** — ეგრეა, ეგრე, ჩემო ნელი! მე, სწორე ვითხრა,  
თამაზი წინათ არ მომწონდა, მაგრამ ბოლო დროს  
კარგი ყმაწვილი დაღვა... ფრიად კარგი ყმაწვილი!  
მან, მართალია, მე მაჯობა, მაინც არა მშურს.  
კარგი მუსიკა დაევიწერა, მოსაწონარი,  
და მომავალიც მას დიდი აქვს... ბედნიერეთ! (შესხამს).  
შესვი, ქეთევანი!

**ქეთევანი** — ბედნიერი იყავი, შეილო! (ქეთევანი და ნელი დაღვები).

**რევანი** — იხხარტლეთ! (ქეთევანს) აბა, ცრემლი არ დამანახო!

**ქეთევანი** — მე სიხარულის გამო ვტირი...

**რევანი** — გასაგებია! (ველავ ასხამს სტრიდან).

რადგან ასეთი საგანგებო სადღეგრძელოა,



ამის კირდება ზეიმური დაგვირგვინება.  
 აბა, თამაზის სიმფონია დაგვიყარ, ნელი!  
 და ეს იქნება მისი დიდი სამაძლობელოც.  
 (ნელი მეორე ოთახში გადის).

**ქეთევანი** — რეზო, ნეტავე, რომ იცოდე, დღეს რა კარგი ხარ!  
 მე არ მეგონა, თუ ასეთი გრძნობის იყავი.

წლების მანძილზე, ვგონებ, ასეთს გზედავ პირველად.  
 თითქო: სამოცი წლის კი არა, ახალგაზრდა ხარ,  
 მთლად ისეთივე, როს პირველად შევხვლით ერთმანეთს.

**რევაზი** — ჩემო ქეთვინო, მე ყოველთვის ვიყავ ასეთი,  
 მხოლოდ გარემომ, ჭრელმა საქმემ, მდგომარეობამ,  
 აღამაინთა ცხვირობამ, პირმოთენობამ,  
 ავზნელ, ავგულად შემოიკვალა მე ხასიათი.  
 ნერვებს მიშლიდა ყველაფერი... და ჯერს ვკვლავდი  
 აჰ, ჩემს ოჯახში... მასთან ბევრი შენც ვაწყენინე.

**ქეთევანი** — რაც იყო, იყო!

**რევაზი** — მართალი ხარ, ნუ მოვიგონებთ!  
 (მეორე ოთახიდან მოსიშის როიალის ხმა. რევაზი შეიშმუნუნება).  
 გესმის? თამაზის მუსიკა... მოგწონს, ქეთევანი?

**ქეთევანი** — მომწონს და ნელიც კარგად უყარავს.

**რევაზი** — მაშ, სიყვარულით!

თამაზისადმი სიყვარულით... აი, შეხედე:  
 მერცხლის ფრთებივით დაფრინავენ მისი თითები,  
 კლავიშებივით ეღერენ თითქოს, და მათი ხმები,  
 ხან მძლედ და ლაღად, ხან ალერსით, ხან კი მირისხანდელ,  
 ამაღლელებელ გულის გრძნობებს გამოხატავენ.  
 და შეგრა: ნელის, მართლაც უყვარს მისი ავტორი.  
 ეგრე არ არის? ჰა, რას იტყვი, ჩემო ქეთევანი!

**ქეთევანი** — მე ასე არ ვგრძნობ! მესმის მსჯობლად კარგი მუსიკა.

(რევაზი გადაყრულ პასუხზე საყვედურით ეტყვის.)

**რევაზი** — შენ ვერ ჩაწვდები მუსიკაში, — მე კი ამას ვგრძნობ!

ახლა წადი და მოსივინე... მეც წამოვწყვიტო!

(ტახტზე წამოწვება. ქეთევანი გადის. პაუზა. მუსიკა თანდათან ძლიერდება.)

**რევაზი** ვერ ისვენებს, წამოდგება. მერე შედის ნელის ოთახში. მუსიკის ხმა  
 გრძელდება. პაუზა. მუსიკა შეწყდება. მოსიშის ნელის ძახილი. დედა გამოეარდება.  
 შეიხედავს ოთახში).

**ქეთევანი** — რა ამბავია, ეს რა არის? რევაზ, რას შერბობ?

(ამასობაში აიგნის კარებზე ისმის კაცური).

**ნელი** — ხელი გამიშევი!

**რევაზი** — (არ ეშვება) არ გავიშვებ! შენ იქ ვერ წახვალ!

**ქეთევანი** — (შეიარდება რევაზთან) რევაზ, ვაგოფდი?

(ამ გაბრძოლების დროს რევაზი ხელს წამოჰკრავს მაგიდაზე სურას, უკანას-  
 კნელი ძირს დეარდება და დაიშხებრევა. ნელი კარში გაეარდება).

აჰ რა ხდება, გამაგებინეთ! (იფორიაკებული)

ო, წყველ იყოს ეს ოჯახი! შორს, შორს აქედან!

(ნელის დაედევნება).

#### სურათი მესამე

ისევ რუსთავი. კარნავალი გრძელდება. იგივე სურათი. შემოდიან ქალაქკომის  
 მდივანი, იოსები, ელფფთერი და სხვები.

**ქალაქკომის მდივანი** — (იოსებს) მაშ, დღეს ჩამოვა თქვენი შეილი, და ჩვენც  
 დავხვდებით!

**იოსები** — თქვენ გაიხარეთ, კარგი ცნობა შემატყობინეთ.

ვაზაფხულია, და თამაზიც ამ დროს ჩამოდის.

**ელფფთერი** — ჩემო იოსებ, სასახელო შეილის მამა ხარ.

**ქალაქკომის მდივანი** — დღეს დაუტარევენ მის მუსიკას, იქნებ მოუტაროს.

**იოსები** — თქვენი ღვაწლია ამ საქმეში, მაღლობელი ვარ.



(ტანვოს თამაშით შემოდინ შენიღბული წყვილები. ვაისმის მათ შორის ლამარაიცი.)

— გაიგე? ნელი თურმე არ ჩანს, არ გამოცხადდა!

— რას ამბობ: მაშინ სიმფონიას ვინ შეასრულებს?

— საქმეც ეგ არი.

— ნელი არ ჩანს.

— ნელის ეჭვებენ.

(ეკევა შეწყდება. ყველა აიხდის ნიღაბს და ქალაქკომის მდივანს მიმართავენ.)

— სად არის ნელი?

— რატომ არ ჩანს?!

— ნუთუ არ მოვა?

— ნუთუ ჩავარდა სიმფონია?

ქალაქკომის მდივანი — ეგ არ იქნება.

— თუ არ მოვიდა, სიმფონიას ვინ შეასრულებს?

— გივის ეთხოვოს!

ყველანი — გივი! გივი!

გივი — არა, მე-არა!

ძალიან რთული მუსიკაა, გუნდი, ორკესტრი...

არა! ამისთვის მე არა ვარ მომზადებული!

(ამსობაში პირველ პლანზე გამოჩნდება რევაზი.)

ქალაქკომის მდივანი — (რევაზს მიმართავს) სად არის თქვენი ქალიშვილი? გეცოდინებათ რევაზი — (ეკევა) აბა, რა ვიცი! აღბათ რამე შეემთხვა, თორემ?

აეცოდებლად მოვიდოდა.

ქალაქკომის მდივანი — საყვირეელია!

გივი — როგორ?! საღამოს პირველ ნომერს ნელი ასრულებს,

თუ არ მოვიდა, ხომ ჩავარდა მთელი კონცერტი?!

ქალაქკომის მდივანი — (რევაზს) თქვენ ხომ მუსიკის პროფესორი კაცი ბრძანდებით?

იქნებ ვასწოთ თქვენი შეილის მავიერობა?

განა თქვენ მისი წარმატება არ გინაბიათ?

რევაზი — (ამაყად) სხვის ნაწარმოებს მე არ ეუყრავ, არც ეღირიერობ,

მე შემიძლია შევასრულო ჩემი მუსიკა.

გივი — დრო გადის, ნელი მაინც არ ჩანს...

ქალაქკომის მდივანი — მამ რა ექნათ?

(ამ დროს ყველა იყვირებს: ნელი!)

(გამოჩნდებიან ნელი და ქეთევანი. ნელი დაქანცულია. ხელში კლავირო უჭირავს. პაუზა).

ქალაქკომის მდივანი — ნელი, ხომ მზად ხართ?

ნელი — (მტკიცედ) დიახ, მზად ვარ!

ქალაქკომის მდივანი — აბა, დაიწყეთ!

(ისმის მოწონება და ტაში. ეკევა-თამაშით ვაღიან. ისმის ტანვოს მუსიკა. სცენაზე რჩებიან რევაზი, ნელი და ქეთევანი.)

რევაზი — (მკაცრად, ნელს) როგორ გაბედეთ და მოხედით, მე ხომ ვიბრძანეთ?

ნელი — მე არ ვასრულებ თქვენს ბრძანებას.

რევაზი — როგორ? ეს რა თქვი?

ნელი — დიახ, მე აწი არ მაშინებს თქვენი მუქარა.

რევაზი — აჰ, დღეს ჩემი დღეობაა,

სტუმრებს მოველი,

მარტოკა იყო, მსურდა დედას დახმარებოდი.

ნელი — ვიცი, რაც ვსურდათ, ამიტომაც აქ წამოვიდი.

ისე დაეცით, დაწვრილმანდით შურით და ღვარძლით,

რომ ტუსაღივით მომინდომეთ სახლში ჩაკეტვა.

რევაზი — ასე აღსაებ შენ ჩემს ამაგს? მე ხომ მამა ვარ?

შენი გამზარდელი და მზრუნველი თავდაღებული,

ბავშვობიდანვე, შენ ხომ იცი, როგორ მიყვარხარ!

მე ასეაც თქვენი სიყეთისთვის ვზრუნავ, იცოდე!

(ქეთევანი გაგულსებული უყურებს რევაზს).

ნელი — მადლობით თქვენ ამით ვერ შემპოროკეთ, თვალს ვერ ამიხვევთ.





ჩვენზე კი არა, მხოლოდ თქვენზე ჰფიქრობთ უოცელთვის.  
თქვენ საკუთარი თავის გარდა, არცინ არ გიყვართ.

**რევაზი** — შენ მეტუბნები ამას?

**ნელი** — დიას! მე გეუბნები!

თქვენგან მრავალჯერ წამებული, გამწარებული.  
ნუთუ გგონიათ, რომ ბოლომდე დამაბრკოლებდა  
თქვენი ხრიკები და ბოროტი თქვენი ზრახვები?  
სახლში ჩამჯვტეთ, მაგრამ განა შეიძლებოდა  
ჩემი სურვილის შემოზღუდა და შეჩერება?!  
რაც უნდა ციხე შემოგველოთ თქვენ ჩემს გარშემო,  
მაინც დაეძლევი დაბრკოლებას, აქ მოვიდოდი,  
და მოქალაქერ ჩემს ვაღს მაინც შეეასრულებდი.

**რევაზი** — ამის უფლებას მე არ გაძლევ.

**ნელი** — გზა, გზა მომეციო!

თქვენ ერთი მსხვერპლი შეიწირეთ და ის გეყოფათ.  
რაც მამანემი დაასმინეთ, კიდევ დალუპეთ!

**რევაზი** — რაო? რა სიტყვი? მამ, მტრები ვახდით ჩემი? **წაბრანდით!**

(ნელი და ქეთევანი სწრაფად გადიან).

ახ, მე რევაზი ნუ ეყოფილვარ, თუ არ განანოთ!

არა, არც ისე ადვილია ჩემი დაძლევა!

(თითქოს საშინელი რამ მოგონდაო).

ეს რა სიტყვა? ნუთუ იმ წარსულის ბოლმა ვახსნა?

ნუთუ მან იცის ის ამბავი და უკვე სჯერა?

ორივე დღეაშვილს, აი — თურმე, რად ვეზიზღები!

(უცებ რუსთავის ქარხნის კვამლიან ცაზე ცისარტყელასავით გადმოშვება, ფოლადის ნაყოფი.  
მასობაში შორიდან მოისმის თამაზის სიმფონიის უფერტიურა. დიდ ფანჯარაში ნათლად გამო  
მოჩნდება მეტაბურგიული ქარხნის პეიზაჟი. მუსიკა თანდათან ძლიერდება. მოსჩანს ნელის  
ჩრდილი, თმაგაწიწილი. დირიჟორობს. ისმის ორატორია, რომელსაც კონსტანტინე ლექსოვი  
გამორუღი ხენი დგანან,  
მიწისძვრა და ზანზარია,  
ტყე რომ იწვიის, შხვა, — განა  
თემურ ლენვის ხანძარია?!  
აქ რა უნდა მტრების ბნელეთს.  
გაპტრეს მათი მოგონება,  
ვერც თათრებმა გადაგვთელეს,  
ვერც ურჯულო მონგოლებმა.  
აი, გმირი! შრომის გმირი,  
ის რუსთავში ფოლადს ქედაეს,  
შეასრულა დანაბირი  
და ფიქრებში თითქოს ხედაეს:  
ზის სტალინი კრემლში დინჯაო,  
სწევს თუთუნს და... კვამლი ბოლავს,  
თან ფოლადის ხელათ სინჯავს  
ხალიბურად ნაქედ ფოლადს..)

(რევაზი თვალბზე ხელებს მიიფარებს და ისტერიულად ჰყვიროს. მუსიკის უკანასკნელი  
ხმა და მოწონების ტაში მას თავზარივით ეცემა).

**რევაზი** — ამის რას ეხედავ? თვალებს ეხუჭავ, ყურებს ხომ ესმით?

არა, არ მინდა მოვისმინო! წყურთლიც იყავ.


ო, ნელი, ნელი! მე განანებთ შენ და შენს თამაზს.

ათასჯერ მეტად გადავიხდით სამაგიეროს.

(შეკრთება).

ვაი, რომ გული... გული გასკდა... სურა დაიმსხვრა...

(წაბარბაცდება და უგონოდ ძირს ეცემა).



## სიუჟეტის სახე



## რეჟოღური და პოეტები

ამ წერილის საგანი არ არის გამოარკვევის თუ რა დამოკიდებულება არსებობს ზელოვნებასა და რეჟოღურის შორის, არც ის, როგორ მოქმედებს ზელოვნებაზე რეჟოღურის პროცესი და არც მისი შედეგების აღნიშვნა. ეს საგანი წინათაც და, განსაკუთრებით, ესლა დიდ ყურადღებას იქცევს და მოკლე დროში ამის შესახებ მთელი მონოგრაფიებიც დაიბეჭდება. არასდროს ამ საკითხს არ მისცემია მეტა გამწვანება და არასდროს ის არ ყოფილა ისე მჭრელად დაყენებული, როგორც დღეს, რუსეთის რეჟოღურია დიდ მასალებს იძლევა და უფრო მეტს კიდევ შემდეგში მისცემს ამ საკითხის გადარკვევას, თავის პრაქტიკითა და გამოცდილებით. მხოლოდ ამ წერილის საგანია აღნიშნოს, როგორ დამოკიდებულებაში იყენენ, საზოგადოდ, პოეტები რეჟოღურისათან. შეიძლება ამ საგნისთვის ჯერ განსაკუთრებით არავის არ მიეცეოს ყურადღება. ყოველ შემთხვევაში, ის წიგნები, რომლებსაც მე აქამდე ვიცნობ, არ აღნიშნავენ ამის. სრულიად არ იქნება პარადოქსი იმის მტკიცება, რომ ყოველი დროისა და ყველა ქვეყნის პოეტები ყოველთვის იღვანენ რეჟოღურის მხარეზე, ბევრი პოეტი სამუდამოდ ყოფილა შთაგონებული რეჟოღურის ცეცხლით, ბევრს ვერ: გაუძლია ამ ცეცხლის პირდაპირ თვალბში შეხედვა და ზოგჯერ გვერდი აუქცევია რეჟოღურისათვის, მაგრამ ანალოზი მათი მთლიანი პოეტური სახის მიმდე აღასტურებს, რომ რეჟოღურის ქარიშხალი მათი პოეტური სტიქიისთვის ყოფილა დღეს სტიმული. თავი რომ დავანებოთ ანტიკურ ქვეყანას, რომელმაც არ იცის რეჟოღურის მაგალითი, თანამედროვე გაგებით, იქაც შევამჩნევთ ერთ ტენდენციას, რომელიც შემდეგში უფრო ვარკვევით ხასიათს მიღებს და ამოწმებს ჩვენს შიერ წარმოდგენილ თვისის.

ანტიკური ქვეყნის პოეტები ოპოზიციისაში უღვანენ თანამედროვე საზოგადოებას და მთავრობას. ისინი მთელი თავისი შეგნებით ცდილობდნენ არსებული ყოფის ვარდაქმნას. ეს ტენდენცია კი, როგორც შემდეგში დაივინახავთ, ვახსენება რეჟოღურისაში. ამიტომ ეს პოეტები ყო-

ველთვის ყოფილან დევნილი როგორც ფილისტერი საზოგადოებისაგან, ისე მთავრობისაგან. უმთავრესად ამის მაგალითს იძლევიან რომის პოეტები. მე არ ვიცი თანამედროვე რეჟოღურის რომელი პოეტის სიტყვა გაუძღვებს თვეუნალის მხამიან სატირასა და მის აღმულოებელ სატირასთან შედარებას, ამიტომ არის, რომ ანთოლოგიებში, რომელშიც მოქცეული არიან მებრძოლი პოეტები, ივენალს ყოველთვის დიდი ადგილი უჭირავს.

უფრო უახლეს დროშიც, ისეთი დიდ პოეტების მაგალითით, როგორიც არიან დანტე და ბაირონი, შეიძლება ამის დამტკიცება. დანტე, რომლის ნაკვდი ლექსი უძლებს ამდენ საუფუნეს, დევნილი იყო თავის სამშობლოდან და უცხოთა კარზე სეტყალში. ლედა თავის სიოცხლეს, ამიტომ არის, რომ ასეთი გასაოცარი გულწრფელობით გამოიტარა მან ემიგრანტობის სიმწუხარე, მისი იდეალი ვერ ურიგდებოდა თანამედროვეთა ვიწრო ვგონისტრუქტურას. ზემო აღნიშნულის უფრო მეტად დამამტკიცებელია ლორდ ბაირონის ცხოვრება და პოეზია. ბაირონი წარსულ საუფუნეში ბაიროლი იყო რეჟოღურისა და ამბოხების. მასაც წილად ზედა განდევნა სამშობლოდან, რომელიც ვერ ურიგდებოდა მის მებრძოლ ტემპერამენტს. დღესანს დარჩება უკეთილშობილეს ლეგენდად ბაირონის სიყვდილი ბერძენ ინსურგენტებში, რომელთაც ააფრიალეს აჯანყების დროში დესპოტური ოსმალეთის წინააღმდეგ, თითქმის ბაირონივით მღელვარედ გაატარა თავისი ცხოვრება მეორე მისმა თანამედროვემ და ინგლისის უნახესმა პოეტმა პერსი ბიში შელიმ. ისიც განდევნილ იქნა ინგლისიდან როგორც პროტესტანტი და ემიგრანტობაში შესწავლიტა უდროოდ თავისი სიოცხლე. შელის „განთავისუფლებული პრომეთე“ და „ირლანდიისადმი“ დღესანს დარჩება მებრძოლი პოეზიის შედეგად.

განა მართო ბაირონი და შელი, ან შილერი, რომელიც აგრეთვე ცნობილია ვერმანის მწერლობის სახელოვანი პერიოდის „სტურმისა და დრანგის“ დამწვეხად. — ისეთია—თითქონ კონ-

სერვატორმა პოეტმა კი, როგორც იყო გოეთე, პირველმა ჩაუყარა თავის „მეტამორფოზებში“ საფუძველი ევოლუციონიზმს, რომელიც შემდეგში შეიქმნა მამოძრავებელი ეპოქისა. შექსპირი, რომელიც ცხოვრობდა დედოფლის სასახლეში და თითქო უნდა ყოფილიყო მონარქის-ტო, თავის ნაწარმოებებში იძლევა სრულიად საწინააღმდეგო შეგნებას და ბევრი ევროპელი მეისტორიე ლიტერატურისა იმ აზრის არის, რომ შექსპირის იდეალი ადამიანისა და მისი ქემანი-ში უსწორია საქვეყნო ლიტერატურაში. და ვინა პიებრბოლა იქნება ამის თქმა, რომ სერვანტესის თავის დონკიხოტო, უფრო რეაოლუციონერია, ვინამ უველა ესპანელი ბომბოსტი ანარქისტი ერთად შეკრბოლი? ვოლტერის ერთ დროს დროში იყო სექტიციონიზისა და ათეიზმის... უკანასკნელ დროს, როცა, რევოლუცია ჩვენ გველანება თავის თანამედროვე სახით, ვან ფრანკე პოეტებზე არ იბრძოდნენ ბარაკალებზე? ბარაკალებზე იბრძოდა შარლ ბოლდერი, უდიდესი ინდივიდუალისტი და დეკადენტი და დაწყები სიმბოლისტთა სკოლის. ბოლდერავე სეკმა ვახეთ „ბარაკალებს“ რევოლუციის ყველაზე უფრო საგმირო პარტიის კოპუნის დროს, კომუნარებთან ერთად, იბრძოდნენ რუმბო და ვერაუნი; რუმბოს „დასახლებული პარტია“ შედევრია რევოლუციის პათოსისა და რუმბოს იქეთ ხომ ჯერ არ წახელა პოეზია. და როგორც ვერაუნი ამ რევოლუციის პოეზიისა, როგორც უზარმაზარი გოტიკური ტაძრის ხარი, რევოლუციის ბარაკანს სეკმს ვიქტორ ჰიუგო, ეს ყველაზე დიდი და ყველაზე ნაციონალური პოეტი საფრანგეთისა. უახლოეს დროს ემილ ვერპარნი თუჯანს ლექსში აქანდაცბა ქალაქს. მისი პოეზია ვამართლებბა რევოლუციისა და აქანყების. საფრანგეთის რევოლუციის პოეტმა და კომუნარმა ვენე პოეტამ შექმნა „ინტერნაციონალი“, რუსეთის შწერლობა ყველაზე უფრო დამამტაკებელი ამ თეზისისა. რუსეთის ახალი შწერლობა თითქმის რადიშევიდამ იწყება და რადიშევიტი დამწყებული ყველა რუსი პოეტი ამტკიცებს თავის მებრძოლ ტემპერამენტს.

პუშკინი ამბობდა:

«Велел за Радищевым прославил я слово».

პუშკინის ცხოვრება ერთი გამწყვიე ოპოზიციია ნიკოლოზ პირველის ოფიციალური მემანიბონისა და ბენეკენდორფის ქანდარმერიის წინააღმდეგ. ამის მოსდევს მცირე რივი უკეთილშობილესი რუსი ინტელიგენციისა და პოეტი დეკარისტებისა, რომელთა წყებას ამთავრებს პოეტი რილევი და უდიდესი მიაზაროვნი. ჰ. ჩაადავი. ყველასათვის ცნობილია, აგრეთვე, მ. ლერმონტოვის ხანმოკლე, მაგრამ მშფოთავარ პოეზია, რომელიც ბრძოლისათვის ამზადებდა მთელ თაობებს. ლერმონტოვის მოსდევს რისხვიანი და შურისმაძიებელი ნეკრასოვი, რომელმაც რუსული მტანჯველობით გამოიტირა რუსეთის ხალ-

ხის ბედი, შემდეგ პოლონსკი; მისი ერთი საქეთის ლექსია „სოფია პეროუსკაია“.

რუსული პოეზიის ლიბერალიზმში უკვე უზარმაზარად მივიდა, რომ ლიბერალიზმა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინესკი ოპონირე, მხოლოდ იმბიტომ, რომ იყო პოეტი კ. რ. „თუ ეს მებრძოლი პოეზია იყო რუსეთის პოეზიის ტრადიცია მთოცე საუუენმდე, თვით უკადურსი დეკადენტები და ინდივიდუალისტები ჩვენ დროისა, ბალმონტი და ბრიუსოვი ავრძელებენ ამ ტრადიციას. ბალმონტი 1905 წელს ებრძოდნენ წიგნისთვის „Песня мстителя“. სადაც შეურაცხყოფა მიაყენა იმპერატორების წინაპრებს, რადგან მათ დააჩქვა ფლიტა რევოლუციონერების ძვლებსა. ვალერი ბრიუსოვის „ხანჯალ“-ში არის ისეთი სტრიქონები, რომლებიც შეიძლება ეპიგრაფად დაეწეროს საზოგადოდ პოეზიას.

Он вырван из ножен и блещет вам в глаза  
 Как в былые дни, отточенный и острый  
 Поэзия — с людьми, когда шумит гроза  
 И песня — с бурей — вечно сестра.

თებერვლის რევოლუციის დროს, მოსკოვში, პირველი მანიფესტებით რუსულ გაზეთებში გამოვიდნენ ლექსებით კ. ბალმონტი და ვ. ბრიუსოვი. პეტერბურგის ამბოხებს შესაბამე ტელეგრაფებს ეს ლექსები უსწრებდნენ წინ. ვალერი ბრიუსოვი დღესაც ითვლება მთელი საბჭოთა რუსეთის ლიტოს გამვედ. წელს აგვისტოში ვარდაცადაბებული პოეტი, ამივე დეკადენტების სკოლისა ა. ბლოკი წერს თავის „თორმეტს“ და განსაუთრობბით „სყიფებს“. ეს უკანასკნელი ამოლოგია რუსეთის რევოლუციისა და გეგანებათ სახკომსაბჭოს მანიფესტი. ყველაზე უფრო მემარცხენე ჯგუფი თანამედროვე პოეზიისა, ფეტურისტები, მიაყოესკის მეთაურობით, დანან რევოლუციის ფრონტზე მთავოესკი დღეს საუკეთესო პოეტია რუსეთში და მისი შემოქმედება თითქმის სულ შეიწირა რევოლუციას.

საქართველოში ჩვენ ვხედავთ სრულ ანალოგიას. ქართული შწერლობა თითქმის რუსთაველიდან იწყება და რუსთაველი დღემდე ინახავს ქემანიზმის სახეს. მისი იდეები, თანასწორობისა და შრომის შესახებ, დღესაც ისე იხმარება საქართველოში, როგორც სახაგბის ტექსტი. რუსთაველიც ვერ გადაურჩა თანამედროვეთა დევნას, კლერიკალებმა დასწევს მისი წიგნი, და, გადმოცემით, მანაც იძულებითს ეპიგრატიზმაში დალია სული.

მსოფლმეტყველება რუსთაველისა და მისი პოეზია ამართლებს როგორც პოეზიის პრინციპს, ისე იმ თეზისს, რომელიც ამ წერაღში წამოვენებულა. რუსთაველის შემდეგ, უმეტესად პოეტებად გამოდიან მეფეები, ამ პოეტებზე შეიძ-

ლება იოქვას ის, რასაც ამბობდნენ ლედოვიკ ბაეარელებზე: ისინი იყვნენ ოპორტიუნი თავისი თავისა. მეცბრამეტე საუკუნეში პოეზია აკაკიმ და ილიამ იარაღად აქციეს ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ილია ჭავჭავაძემ შექმნა მთელი იდეოლოგია შრომის განთავისუფლების. მისი ოდა „მე-19 საუკუნეს“, კონკრეტულად გამოხატავს შრომის განთავისუფლების პრინციპს. დაუფასებელია, აგრეთვე ისტორიისათვის მისი ლექსი „კომუნის დამარცხება“ აქ არის გადმოცემული მთელი აღმშოთება თანამედროვესი კომუნის თავგანწირული გმირების დამარცხების გამო.

ქართული პოეზია აგრძელებს ტრადიციას ბრძოლისას. ქართველი პოეტები ასე ფიქრობენ: ეროვნული თავისუფლება დამოკიდებულია სოციალურ განთავისუფლებაზე და რევოლუციის დაცვა, ეს ერის ეროვნების იდეის დაცვაა, რად-

გან შრომის განთავისუფლებასთან ერთად განთავისუფლება ერთი.

აქ შეიძლება წერტილის დასმა, რადგან დადამტკიცებულია ის თეზისი, რომ პოეტები წინ უსწრებენ რევოლუციას და უცვლელად დგანან ამ ფრონტზე. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა პირველი ცდა ხდება სოციალური გარდაქმნისა და ამას აქვს ოთხი წლის ისტორია, შეიქმნა სრულად ახალი — „პროლეტარული პოეზია“.

ყოველ შემთხვევაში, უნდა იოქვას, რომ პროლეტარული დიქტატურის დროს იქმნება ახალი პერიოდი კულტურისა. რა სახეს მიიღებს შემდეგში ეს კულტურა, ან რით იქნება განსხვავებული წარსული კულტურისაგან, ამაზე შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ ლაპარაკი. დღეს ეს მხოლოდ შემოქმედების პროცესშია და, ალბათ, სხვა დროს, ეს იქნება საგანი ახალი კვლევისა.



## გუგამ ასათიანი



# მემგობრობის მატინაჟი

Грузино-русских строк отряды  
В примерном встретились бою.

Н. Тихонов.

(წერილი პირველი)

რუსი და ქართველი პოეტების მეგობრობას თავისი მრავალმხრივ სინტერესო ანალებზე აქვს. იგი სათავეს იღებს ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველი ნახევრიდან: ალ. ჰაფიზაძისა და გრიბოედოვის ერთიანი 'რუსის ტრაგიკულ ქრონიკაში.

ამ ორი მწერლის სიახლოვეს თითქოს სიმბოლიური ხასიათი აღმოაჩნდა. შემდეგშიც, სულიერი ნათესაობის გრძნობა ერთმანეთთან აახლოებდა და აკავშირებდა მოძვე ხალხთა ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებს.

არა მხოლოდ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში, არამედ უკვე ქართველი რომანტიკოსების ლექსებში ჩვენ ვხვდებით რუსული კლასიკური პოეზიის კორიფეთა იღვებისა და პოეტური სახეების შესამჩნევ ანარეკლს.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ასალი ქართული მწერლობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოწინავე რუსული ლიტერატურის კეთილისმყოფელმა ზემოქმედებამ.

მაგრამ, მეორე მხრივ, თვით საქართველომაც თავისი წარმატები ბუნებოთა და მრავალსაუკუნოვანი კულტურით, რომლის მჭერმეტყველი ნაშთი შემორჩენილი იყო თითქმის ყოველ მალაობზე დარიალიდან მცხეთამდე — ქართველმა ხალხმა. თავისი მკაფიო ნაყოფანაღური ხასიათით, მდებარი ისტორიითა და პოეტური ლეგენდებით, უაღრესად ღრმა ზეგავლენა მოახდინა გასული საუკუნის მთელი რიგი რუსი პოეტების შთაგონებაზე.

გაიხსენოთ ბელისის სიტყვები: „კავკასიას თითქოს წილად ხვდა ყოფილიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვანი, მათი შეზღუბების შთამაგონებელი და გამოწვევითელი, მათი პოეტური სამშობლო“.

რუსული პოეზიის ამ თავისებურ ტრადიცი-

ციას თავისი გამგრძელებები აღმოჩნდნენ ჩვენს დროშიც.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე რუსი და ქართველი პოეტების ურთიერთ სიახლოვემ, თავისი გამოხატულება პოეზიაში შეიძლო და გულწრფელ მეგობრობაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს, კერძოდ, მე-20 საუკუნის ორი შესანიშნავი რუსი პოეტის მიაკოვსკისა და ესენინის დამოკიდებულება ქართველ მწერლებთან. სერგეი ესენინი იყო პირველი რუსი პოეტი, რომელმაც ჩვენს დროში პოეზიის ერთი გამოხატვა ეს ღრმა და წრფელი გრძნობა ურთიერთ სიყვარულისა ლექსში „საქართველოს პოეტებს“:

Поэты Грузин!  
Я нынче вспомнил вас.  
Приятный вечер вам,  
Хороший, добрый час!  
Товарищи по чувствам,  
По перу,  
Словесных рек живище  
И шорох,  
Я вас люблю,  
Как шумную Куру.  
Люблю в ширях и разговорах,  
Я — северный вам! друг  
И брат!  
Поэты — все единой кровью...

ეს წრფელი მეგობრობისა და სიახლოვის გრძნობა, რომელიც ამ სიტყვებში არის გაშვებული, ცალმხრივი არ ყოფილა. ესენინი საქართველოში შეიყვარეს ნამდვილი სიყვარულით, ღრმად და სამუდამოდ. რუსი პოეტი თბილისში გარს შემორტყმული იყო არა მხოლოდ აღტაცებული უფრადღებოთ, არამედ მეგობრული მზრუნველობითაც.

ესენინმა საქართველოში დაყო ნახევარ წლამდე (1924 წლის სექტემბრიდან 1925 წლის მარტამდე).

1 ბ. ბელისი, რჩეული თხზულებანი, სახელგამო, 1952 წ., I ტ. გვ. 351.

მოსკოეში დაბრუნებისთანავე იგი, ტიციან ტაბიძეს სწერს:

„საყვარლო მეგობარო ტიციან! აი, მე უკვე მოსკოეში ვარ. ძალიან მიხარია, რომ ვხედავ ჩემს მეგობარებს, ვიხიანებ და ვუამბობ მათ თბილისის ამბებს...“

საქართველომ მე მოშინდა. როგორც კი შევხვამ მოსკოესა და პეტერში ჩემთვის დაგროვილ პაერს, უშაღვე მოგქრიათ თქვენცენ, რომ განსით და გულში ჩავიკრათ. ამ გასაუხელზე თბილისში, აღბათ, მოსკოელთა მთელი ყრილობა იქნება. წამოსვლას ამირებენ—კახალოვი, პილნიაცი, ტოლსტოი, და ეს. ივანოვი. ბაბული ჩამოვა უფრო ადრე... ჰქოთე პაოლს, როგორი თოფი უნდა ვიყიდო ტახებზე სანადიროდ...

მომკოთხე ყველა ჩემი კარგი მეგობრები—პაოლო, ლეონიძე და გიფინდამეილი. აყოცე ხელზე ზენს ცოლს და ქალიშვილს და თუ არ გეძნელება, მომწერე ორიოდე სიტყვა.

ბრიუსელსი 2, კორპუსი პრადისა ა, ბინა 27.

ს. ესენინს<sup>1</sup>  
20/III—25

როგორც ამ წერილის ადრესატს, ისე დასახელებულ სხვა ქართველ პოეტებსაც სურვეი ესენინთან აკავშირებდა ძვირი სიყვარულისა და შემოქმედებითი სიახლოვის გრძნობა. მართალია, ესენინი საქართველოში აღარ ჩამოსულა 1926 წლის დამდეგს თბილისში მოვიდა ცნობა მისი თვითმკვლელობის შესახებ.

ტიციან ტაბიძის ლექსი — „სურვეი ესენინს“ წარმოადგენს ერთ იმ პოეტურ ნაწარმოებთაგანს, რომელშიც რუსი პოეტის ტრადიციული აღსასრული განცდილია მთელი სიმძაფრითა და ადამიანური მწუხარების უშუალოდ:

სამწუხაროა ყველა ესენი  
და უფრო მწარე მაინც ის არი,  
ღამაზო ზიკო, სურვეი ესენინ  
ცოცხალს არ გეხმის ეს საფიციარი...

საქართველოში ყოფნას და ქართველ პოეტებთან სიახლოვეს უკელოდ არ ჩაუღელია ესენინსათვის.

სკვითარის, ნიკოლოზ ტიხონოვი 30-იანი წლების თავის ერთ-ერთ გამოცემაში ამბობდა, რომ რუსი პოეტები საქართველოს მიმართავდნენ თავიანთი შემოქმედებითი ბიოგრაფიის უმძიმეს პერიოდებში.

ამ მხარე სანიტაროსა, რომ ესენინი ლექსში „На Кавказе“ (1924 წ.) აღნიშნავს რა ამ საყვირველ მისწრაფებას, თავისებურად

ხსნის კიდევაც მას. მისი სიტყვით, საქართველო რუსი პოეტებისათვის წარმოუდგენდა იმ აღთქმულ ქვეყნას, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ და პოეზიადნენ კიდევ განუერნესათეიანთ „ღვინილი“ სულისა.

და თვით ესენინიც, რომელიც იმ დროს მწვევე სულიერ კრიზისს განიცდის, თავის მხრეივაც, ცდილობს ეხიაროს ქართული ბუნების ამ ცხოველმყოფელ სულს, რადგან ეს უკანასკნელი მას სულიერი განახლებისა და აღორძინების წყაროდ წარმოუდგება:

«Прости, Кавказ, что я о них  
Тебе промолвил ненароком,  
Ты научи мой русский стих  
Кизильным струится соком.  
Чтоб порылся опять в Москву,  
Я мог прекраснейшей поэмой  
Забить ненужную тоску  
И не дружить по век с богомой.»

ამ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ესენინს საქართველოს ბუნება წარმოუდგებათ თავისებურ მთლიანობაში ქართულ პოეზიასთან („მე თქვენ მივერხარათ, როგორც მწუხარე მტკიარი“) — მიმართავს იგი ქართველ პოეტებს.

შეიძლება ითქვას, რომ სერგეი ესენინმა არა მხოლოდ სამხრეთის შინსგან გაჯაგარებულ ქართულ მიწაში, არამედ ქართულ პოეზიაშიც აღმოაჩინა ის მაცოცხლებელი სითბო და მღვდარება („Словесных рок кипение“). რაც რუს პოეტს ასე მწვევედ ესაჭიროებოდა იმ დროს, საკეთარი სვედის გასაღობად.

მართალია, ყოფილი „ცისფერყანწულებს“ პიუზია, რომელიც ესენინი განსაკუთრებით დაუახლოვდა საქართველოში ყოფნისას, აღბეჭდილი იყო არანაკლებად ღრმა შინაგანი წინააღმდეგობებით, ვიდრე თვით ესენინის შემოქმედება, მაგრამ არ უნდა დაგვიწყვიდეს, რომ სწორედ ამ დროისათვის, ისეთი პოეტების შემოქმედებაში, როგორც ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, და გ. ლეონიძე, დაისახა ახალი მოტივებიც დეკლენტური მსოფლმეგობრების უარყოფისა, რამაც ისინი შემდეგში მიიყვანა ჯანმრთელ, ოპტიმისტურ პოეზიამდე.

საჭიროა ვაჩიხსეთო აგრეთვე, რომ თმცა „ცისფერყანწულები“ თავიანთ ადრინდელ მანიფესტებში თავის თავს ფრანგი დეკლენტების მიმდევრებად აცხადებდნენ და სისოვადოდ უოვედმხრივ ხაზს უსვამდნენ თავიანთ „ვეროპიზმს“, მიუხედავად იმისა, მათ გაანდოთ ზოგიერთი „ორიენტალისტური“ სიმბატეობიცკერძოდ, ნიშანდობლივია, რომ ისინი თავყანს სცემდნენ ისეთ „აღმოსავლური“ მიმართულების პოეტს, როგორიც იყო დიდი ქართველი ეპიკურელი და პედონისტი ზესიკი.

ჩვენ ამხროთ, შემოხვევითი არ უნდა იყოს, რომ ს. ესენინმა სწორედ საქართველოში ყოფნის დროს მიმართა მისი შემოქმედებისათეა

<sup>1</sup> წერილი ინახება ტიციან ტაბიძის პირად არქივში. თარგმანს ვებუცდათ შ. დემეტრაძის პუბლიკაციის მიხედვით. იხ. „ცისყარი“, № 1. 1957 წ.

სრულად ახალ, სიციცხლით ტკობისა და ჯანმრთელი სენსუალიზმის მოტივებს.

როგორც ვიცი, ესენინი არ ყოფილა არც ირანში და არც თურქეთში. მისი „სპარსული მოტივები“ იწერებოდა უმთავრესად საქართველოში (თბილისსა და ბათუმში). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ციკლის შექმნა შთაგონებული იყო არა მხოლოდ ირანული კლასიკური პოეზიის მოტივების გავლენით, არამედ იმ განწყობილებებითაც, რომლებიც იგრძნობა უკვე ესენინის ზემოთხსენებულ მიძღვნილი ქართული პოეტებისადმი.

დამახასიათებელია, რომ ამ ლექსში რუსა პეტრე ქართველ ცისფერყანწულებთან თავისი სულიერი ნათესაობის ერთ-ერთ საბუთად შემდეგ გაგრძობებს ასახელებს:

...И сам я тоже азиат  
в востушках, в помыслах  
и слове.

(გაეხსენათ ტ. ტაბიძის: „მონღოლის სისხლი გვიდღეს ორივეს“)

ჩვენი ფიქრით, აქ სიტყვა „აზიат“, როგორც ქართველი პოეტების, ისე თეთი ავტორის მიმართაც, მხოლოდ პირობითი მნიშვნელობით არის ნახშირი. იგი უნდა გაეიგოს როგორც ამქვეყნიური არსებობის პედონისტური განცდის სინონიმი. სწორედ ამგვარი მსოფლმეტრებისაკენ ისრება ამ დროს ესენინი იმ შთაბეჭდილებათა ზეგავლენით, რომელნიც მან საქართველოში მიიღო.

რასაკერძეულია, აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ და არა იმდენად „ცისფერყანწულთა“ პოეზიის პირდაპირი გავლენა, არამედ სხვა ხასიათის ზემოქმედებანიც.

როგორც ვიცი, ოციანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს დედაქალაქი, სადაც ესენინმა 1924 წლის მთელი შემოდგომა გაატარა, ჯერ კიდევ ინარჩუნებდა აღმოსავლური ქალაქის კოლორიტს, რომელიც მისი განსაკუთრებული ისტორიული წარსულით იყო გაპირობებული.

ამ უკვე დასაღუბად განწირულ, მაგრამ ჯერ კიდევ დღემქანარი ენით სავსე ძველ თბილისს, რომელსაც სერგეი ესენინი დიდს ინტერესითა და აღტაცებით ეცნობოდა, იმ დროს ჰყავდა თავისი ერთგული მგონებელი, არა მხოლოდ იოსებ გრიშაშვილის, არამედ ისეთი სახალხო მომღერლების სახითაც, როგორიც იყო, მაგალითად, ცნობილი ქართველი აშული ეთიმ გურჯია.

ესენინის ერთი თბილისელ მეგობართავანი ნ. ვერბიციკი თავის ესლახან გამოქვეყნებულ მოგონებებში ვაღმოგვეცნო სინტერესო ამბებს ესენინისა და ეთიმ გურჯიის ნაცნობობის შესახებ. მისი სიტყვით, რუსი პოეტი თბილისელ აშულს ესტუმრა სწორედ მაშინ, როდესაც

ეს უკანასკნელი შევირდებს სიმღერას აწვავდა თავის ღარიბ ქოხში.

მასპინძელმა დიდად გაიხარა „ესენინის სიტყვებით და მის საპატრუცულად...“ მისი სიმღერა შესრულა.

მოგვეავს ერთი მათგანი, ნ. ვერბიციკის მიერ რუსულად ჩაწერილი:

Посмотри на этот мир —  
Его не купишь за серебро.  
Много было таких, которые погибли,  
Думая завладеть им с помощью  
богатства.

А когда они умерли в одинокой роскоши  
Некому было даже закрыть глаза  
Этим разжиревшим гордецам.

А я выбираю себе друзей  
Не из тех, у кого много золота,  
А из тех, кто всегда весел и бодр,  
Кто верит, что счастье сбудется  
Счастье для всех!  
Так поступает Иетим Гурджи  
Следуйте его примеру.

„როდესაც სიმღერა დაამთავრა — წერს ნ. ვერბიციკი, — მოხუცმა ჩვენ ხალჩაზე დასასხლოდ მივეცივია. მან თავშეკავებულად გამოსთქვა კმაყოფილება, როცა ვთავო რომ სტუმრებს შორის ცნობილი რუსი პოეტი იმყოფებოდა. ღვინით სავსე დიდი თიხის ღოჭა აიღო კუბზეში. ყველას დაგვისხა და თქვა:

ორი პოეტის შეხვედრა — ეახზე ფოლადის დავესებებს ჰეავს. იგი სინათლესა და სითბოს ბადებს! შე ცუდად ვიცი რუსული, მაგრამ პოეზიის ენა ყველგან ერთია, ჩემს ძმას ვთხოვ, რაიმე წაგვიეთხოს!

და მან კიდევ ერთხელ მიუჯახუნა ჭიქა ესენინს. ესენინი ადგა, დიღხანს ჩუმად იყო და მეგრ სიმღერით დაიწყო: „Есть одна хорошая песня у соловушки...“ ესენინმა დაამთავრა ხალჩაზე დეშეა და ერთი სულს-მოთქმით გამოსცალა სასმისი. მასპინძელი თავ-ჩაქინდრული იდგა.

— არ გვინდა სეედა — უცებ წამოიძახა მან და ფხვი ჰქრა კარებს.

— შეხედეთ რა მშვენიერია ქვეყანა!.

თბილისელი აშულს ამ უბრალო სიტყვებში, ისევე როგორც მის მომხიბლავ და უშუალო სიმღერაში, ძალიან ბევრია სწორედ ის ხალხური სულის სიხალისე და სიციცხლის სიყვარული, რომელიც ყველაფერზე მეტად ესპირიობოდა იმ დროს სერგეი ესენინს.

ჩვენი აზრით, ყოველივე ეს, ივრთვე, რადღეცნობად აისახა ესენინის „სპარსულ მოტივებში.“ მართალია, ამ პოეტურ ციკლშიაც

1 «Звезда», 1958 г. № 2, Н. Вержбицкий, «Встречи с Сергеем Есениным».



ჯერ კიდევ იგრძნობა ესენინსათვის ჩვეული სველიანი ვაწყობილება, მაგრამ აქ იგი ვაიკლებით უფრო მსუბუქ ხასიათს ატარებს, ვიდრე მავალითად იმავე 1924 წლის სხვა პოეტურ ნაწარმოებებში.

და რაც მთავარია, აღმოსავლური ლექსების დომინანტურ მოტივს წარმოადგენს სულიერი განვრუნებისა და განახლების ვრძნობა — ის ხალისიანი მსოფლმეგრძენება, რომელიც ამ ცოცხლის პირველივე ლექსის დასაწყისის სტრიქონებში ქვდრს:

Улетела моя бывшая рана —  
Пьяный бред не гляжет сердце мне...

რა თქმა უნდა, გადამეტებული იქნებოდა ეკვიფრია, რომ საქართველოში სრულიად მოიარინა სურვეი ესენინის სულიერი კრილოებია. მაგრამ ამ შესანიშნავი პოეტის შემოქმედებაში, მან მაინც დასტოვა თავისებური ნათელი კვალი.

საერთოდ, ესენინი, მისი მეგობრების მოწმობით, საქართველოში ყოფნისას, განიცდიდა არამყველებრივ შემოქმედებით აღმადგრენას. ამის შესახებ წერს კერძოდ ტიციან ტაბიძეც თავის 1927 წლის წერილში „ესენინი და საქართველო“ (იხ. ვაზ. „ზარია ვოსტოკა“ 1927 წ. 6-1). სანამ ზვენ ქვეყანაში ჩამოვიდოდა, ესენინმა ვერობა და ამერიკა შემოიარა, მაგრამ ამ ქვეყნებს თითქმის არაეითარი საზრდო არ შეეციათ მისი შთავონებისათვის, მაშინ, როდესაც საქართველოში გატარებული დრო ყველაზე უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

„სპარსული“ ლექსების ეგრადესობის გარდა, საქართველოში დაიწერა ესენინის პოემები „ანა სნევისა“, „წერილი ბაბუას“, „ყვავილება“ „დედამიწის კაბიტანი“ და მთელი რიგი სხვა პოეტური ნაწარმოებებისა.

რაც შეეხება ესენინის მიძენას, საქართველოს პოეტებს“ ეს ლექსი ისევე, როგორც მისი „ბალადა ოცდაექვსისა“, წარმოადგენს საბჭოთა თემატიკისაგან მობრუნების საგულისხმო ცდას.

ეს არის ერთი იმ პირველ ნაწარმოებთაგანი საბჭოთა პოეზიაში, რომლებიც საბჭოეთის ხალხთა მეგობრობის თემას მიეძღვნა.

საქართველოსა და რუსეთის პოეტთა მეგობრობა ესენინსათვის შრავალსაკეტნოვანი მონობისაგან გათავისუფლებულ ხალხთა ძმობის თავისებურ გამოხატულებასა და სიმპილოს წარმოადგენდა. და ამის გამო, საყვირელი არ არის, რომ მის ლექსში ქართველ პოეტებთან შემოქმედებითი ნათესაობის მოტავი ბუნებრივად უკავშირდება ხალხთა რვეოლუციური სოლიდარობის თემას:

Самодержавный  
Русский гнет  
Сжимал все лучшее за горло,

Его мы кончили —  
И вот  
Свобода крылья распростирает,  
И каждый в племени своем,  
Своим мотивом и наречьем,  
Мы всяк  
По-своему поем,  
Поддавшись чувствам  
Человечьям...

ეს ახალი, რაც ესენინმა დაინახა კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში, გარკვეული თვალსაზრისით დეხმარა მას უფრო სწორად და ღრმად ვაეკო თავისი დროის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ძვრათა დედააზრი.

მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ თვით საქართველოს სინამდვილე, ამ ლექსის აეტორს ჯერ კიდევ ძველებური ტრადიციულ-ლიტერატურული ვლდერთი წარმოდგება, როგორც „იდეშალების ნისლი“ მოსილი „სვედიანი პანკების“ ქვეყანა.

ახალი საქართველოს მშენებლობის თემა ჯერ კიდევ უცხოა ესენინის ლექსისათვის. ქართულ სინამდვილეში ესენინს ყველაზე მეტად ხიზლავს რომანტიკული „იდეშალება“ და ველური, ექსოტიკური სილამაზე, სწორედ ის „კავკასიური ექსოტიკა“, რომელსაც მისი დროის მეორე რესმა პოეტმა ვლადიმერ მააკოესკიმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა.

მაიაკოესკის ცნობილი ლექსი „ვლადიკავაზი — თბილისი“, რომელიც იმავე 1924 წელს დაიბეჭდა ვაზეთ „ზარია ვოსტოკაში“, მოასწავებს რუსულ პოეზიაში პრინციპულად ახალ დამოკიდებულებას ხსენებელი თემისადმი. და თუ, ამ გარეგნულად ირონიულ და თავისებური შხიარული კადნიერებით აღსაყვე პოეტურ ნაწარმოებში, საქართველოს სინამდვილე (როგორც თანამდროვე, ისე ისტორიული) დანახულია და გაგებულია ბევრად უფრო მეტი სიღრმით, ამაში, უთუოდ, თავისი ვაყოვლინება სპოვა მაიაკოესკის ბიოგრაფიულმა სიახლოვემ საქართველოსთან და ქართველ ხალხთან.

სხვათაშორის, მაიაკოესკის შემოსხენებულმა ლექსმა, რომელიც აგრეთვე შეიცავს ქართველი პოეტებისადმი თავისებურ შხიარულას, საკმაოდ მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა 20-ანი წლების ქართულ მწერლობაში მიმდინარე ბრძოლათა მომავალ პედილაზე.

მაიაკოესკიმ გაუადვილა ბევრ, იმ დროისათვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ქართველ პოეტს ახალი რვეოლუციური პოეზიისაკენ სწორი გზის მოძებნა. ამ შხრვ მისი მავალითის ზეგავლენა არ შემოღდა რვეოლუცია პოეტის მამინდელი უშუალო თანამოაზრეების — ქართველი ფეტურისტების ვიწრო წრით.

ამ მავალითმა სერიოზული ვაეღენა მოახ-



დინა იმ პოეტებზეც, რომლებიც მაშინ მთავროვნების საწინააღმდეგო ესთერეოტიპ პოზიციებზე იდგნენ. ამას მოწმობს, კერძოდ, ისეთი პოეტების აღიარებანი, როგორც ტიციან ტაბიძე და გიორგი ლეონიძე (იხ., ტ. ტაბიძე „შეხვედრა მთავროვნებასთან“, წიგნში „წერილები და ნარკვევები“, 1957 წ., გიორგი ლეონიძე, „დრეუბა ნარკოდოვ“ 1950 წ. № 2).

მთავროვნების ლექსი „ელადიკავანი — თბილისი“, რომელიც რევოლუციური ვარდაქმნის რომანტიკისადმი იყო მიძღვნილი, ახალ მიმართულებას აძლევდა ქართველი პოეტების იდეურ-შემოქმედებით ძიებებს.

ამ ლექსის სტრიქონები, რომლებიც ძველის სასტიკ წერებსა და ახლის შენებას უმეტესად შთაგონებულ მოწოდებად იქცნენ ქართველი პოეტების მთელი თაობებისათვის.

გზარამ, თუ თვით მთავროვნებას წინააღმდეგად თავის თავს ასეთი კატეგორიული ტონით დატყვევდა საქართველოსა და ქართული პოეზიის შესახებ, ამისათვის მას გააჩნდა საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზები.

როგორც ვიცით, ვლადიმერ მაიაკოვსკი საქართველოში დაბადა და იგი სრულიად გულწრფელად და სერიოზულად ლაბარაობდა თავისი ქართველობის შესახებ.

მაიაკოვსკიმ კარგად იცოდა ქართული ენა, რომელსაც იგი ბავშვობაში მშობლიურად თვლიდა. იგი იზრდებოდა ბაღდადში გლეხების ბავშვებთან ერთად, მათთან ერთად ითვისებდა თავისებურ ხალხურ ადათ-ჩვეულებებს, სწავლობდა ქართულ სიმღერებს, ზღაპრებს, ანბანებს.

ცნობილია, თუ რა ღრმად რჩება ადამიანის ცნობიერებაში ის პირველი შთაბეჭდილებები და წარმოდგენები, რომლებიც მან თავის ბავშვობაში შეიძინა. ამ მხრივ, უთუოდ, სამართლიანია მაიაკოვსკის ცნობილი ბიოგრაფიის პერსონალის სიტყვები:

„შესაძლებელია ის სიღალის, დამოუკიდებელი ძალისა და უზარმაზარი მასშტაბების ვრცობა, რომელითაც სავსეა მისი პოეზია, მაიაკოვსკიმ უკვე სიცოცხლის პირველი შთაბეჭდილებებიდან გამოიტანა“<sup>1</sup>.

ეს მოსაზრება შეიძლება კიდევ უფრო განვსვავოთ, თუ მხედველობაში შევიტყობთ მაიაკოვსკის ლექსისათვის დამახასიათებელ მძიმე რიტმსა და მქუხარე ელერადობას.

უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ მაიაკოვსკი ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევდა საკუთარი ბიოგრაფიის ამ ადრინდელ პერიოდს და ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის „ქართულ“ წარმოშობას.

არა მხოლოდ საქართველოსადმი მიძღვნილ

ლექსებში, არამედ სხვა თავის პოეტურ ნაწარმოებებში, ისევე როგორც თავის ავტობიოგრაფიაშიც, იგი ხშირად უბრუნდება ბავშვობაში განცდილ სახეებს, ბაღდადის ხეყვასა და რიონის სანაპიროებს.

თავის პოემაში — „მიყვარს“ მაიაკოვსკი პირდაპირ გვეუწყებს, რა ღრმად და ორგანულად შთაბეჭდა მომავალი პოეტის შეგნებაში ქართული „მზე, მდინარეები და კლდეები“, როგორ იქცნენ ისინი მისი არსების განუყოფელ ნაწილად.

იგონებს რა თავის სიკბამუეცს, როდესაც იგი მსავასად ურტ უიტმენისა, მთელი დღეობით ვეღო თაყარა მზისგან გაფარებულ ქვიშვლ მშობლიური მდინარის ნაპირას, პოეტი წერს:

Без груза рубах  
без башмачного груза  
Жарился в кушанском зное.  
Вворачивал солнцу то спину,  
То пузо —  
нога под ложечкой не заноет.  
Дивилась солнце:  
«Чуть виден весь-то!  
А тоже  
С сердечком.  
Старается малым!  
Откуда  
В этом  
в аршиние место —  
И мне,  
И реке,  
И старостыям скалам?!»

მაიაკოვსკის ადრინდელ პოეტურ წარმოდგენათა ჩამოყალიბებაზე, ისევე როგორც საზოგადოდ მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირებაზე, საგრძნობი ზემოქმედება მოახდინა, არა მხოლოდ საქართველოს ბუნებამ, რომლის წიაღშიც იგი გაიზარდა, არამედ გააყვეული თვალსაზრისით თვით ქართულმა პოეზიამაც.

თუ არას ვიტყვი ბავშვობაში მოსმენილ ხალხურ ლექსებსა და სიმღერებზე, ცხადია, რომ კბამუეცა მაიაკოვსკის შეგნებაზე განსაკუთრებული გავლენა უნდა მოეხდინა ქართული პოეზიის იმ ქმნილებებს, რომლებიც ცხრაას-სხუთი წლის რეველუციამ შექმნა.

როგორც ცნობილია, მაიაკოვსკი — ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოწარმე მონაწილე იყო იმ მასობრივი რევოლუციური მოძრაობისა, რომელმაც ქალაქის მშრომელები და მოწინავე ინტელიგენცია მოიკრა 1905 წელს.

სხვათაშორის, თავის ავტობიოგრაფიაში პოეტი წერს, რომ იმ დროს მისთვის „ლექსები და რევოლუცია რადიკალურად გაერთიანდნენ“. მაიაკოვსკის ეს სიტყვები მთლიანად ეხება,

<sup>1</sup> В. Маяковский, Соч. в одном томе, ГИХЛ, Москва, 1940, стр. VI.

კრძოდ, იროდიონ ვედოშვილის ცნობილ ლექსს — „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“ — რომელიც რუსმა პოეტმა საშუალოდ დიმიტრ-სოვრა იმ დროიდან.

ასევე საშუალოდ ჩარჩა მესხიერებაში ზიაკოსის მეორე ქართული ლექსიც — არსენა ჯორჯიაშვილის შესახებ, რომელიც ხალხურ სიმღერად იქცა 1905 წლის საქართველოში.

არსენ ჯორჯიაშვილს მიაიკოსეი იხსენიებს თავის ლექსშიც:

И вот  
я мечу,  
я, мститель Арсен,  
бомбы

5-го года.  
სიმონ ჩიქოვანი, რომელიც განსაყუთრებით ახლოს იყო მიაიკოსესთან, თავის მოგონებებში რუსი პოეტის შესახებ წერს:

„ბერჯეგრ მომისმენია, როგორ წარმოსთქამდა მიაიკოსეი ამ ლექსებს (ირ. ვედოშვილისას და ხალხურს) ზეპირად, გამიგონია, მსგან ქართველი რევოლუციონერების მიმართ გამოთქმული აღტაცება“.<sup>1</sup>

იგივეს გვიდასტურებს ტიციან ტაბიძეც, რომელიც პაოლო იაშვილთან ერთად, ჯერ კიდევ გიმნაზიიდან იცნობდა მიაიკოსეს: „მიაიკოსეი ქუთაისში ჩამოვიდა ბაღდადიდან... ქართულ ენას ბავშვობის ასაკში მშობლიურ ვნად თვლიდა. პოეზია კი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვით, პირველად შეიგონა იროდიონ ვედოშვილის ლექსებში. იმ დროს იროდიონ ვედოშვილი რევოლუციური ახალგაზრდობის წრეში მტკაღ პოპულარული პოეტი იყო“.

ქართულ რევოლუციური პოეზიას არ შეიძლება თავისი დიდი არ დაენიჭა ახალგაზრდა მიაიკოსესი შეგნებაზე. ექვს ვარგეში, რომ პოეტი, რომელმაც შემდგომში ღრმა ზემოქმედება მოახდინა ქართული მწერლობის რამდენიმე თაობაზე, თავის მხრივ საგრძნობლად დავალებული იყო იმ მოწინავე რევოლუციური პოეზიისაგან, რომელიც ცხრაასხუთ წელთან დაკავშირებით შეიქმნა საქართველოში.

საქართველოდან მიაიკოსეები 1906 წელს გაემგზავრნენ. მაგრამ მოსკოვში ყოფნის დროსაც მათ კავშირი არ გაუწყვეტიათ თავიანთ ქართველ მეგობრებთან.

ვლადიმერ მიაიკოსეი, როდესაც იგი უკვე ცნობილი პოეტი იყო, ოთხჯერ ეწვია საქართველოს — 1914, 1924, 1926 და 1927 წლებში. მიაიკოსესი ქართველი მეგობრები იგონებენ, რომ იგი, თბილისში უკანასკნელად ყოფ-

ნისას, ბერის ლაპარაკობდა ქართული პოეზიის შესახებ, კითხულობდა ქართულ ლექსებს სწორად იგონებდა ბავშვობას, ქუთაისის მთის სიღვრეს, გამოტყდა რომ ოცნებობდა — აქ წასვლაზე...

მიაიკოსეიმ ველარ მოახერხა ბაღდადი ჩასვლა.

მშობლიური სოფლის მოგონება მის პოეზიაში შევიდა გადახედული მოვალეობის მოტივთან ერთად, რომელიც მას სიციცხლის ბოლომდე აწუხებდა:

И в долгу...  
перед вами  
багдадские небеса...

მაგრამ ის შედარებით მცირეოდენიც, რაც მან თავისი მშობელი კუთხის შესახებ დაწერა, იმდენად საინტერესო და მკაფიო თავისი შემოქმედებითი სიხლბით, რომ ჩვენ უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ მთელს „ქართულ თემაზე“ მიაიკოსესი პოეზიაში.

ლექსებში „ვლადიკავკაზი — თბილისი“ და „თამარა და დემონი“ მიაიკოსეი პოლემიკა აწარმოებდა, არა იმდენად ამ თემისაღმის მიძღვნილ კლასიკურ კმნილებებთან, რამდენადაც იმ გვიანდელ ეპოქურ ხასიათის ნაწარმოებებთან, რომლებშიც „ქართული თემა“ წარმოსაბული იყო ტრიალურ-ვგზორტიკურ ასპექტში. დამახასიათებელია, მაგალითად, რომ რუსული დეკადანსის ერთ-ერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა ბალმონტმა (რომელსაც, როგორც ცნობილია, გუთუნის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თავისუფალი თარგმანი რუსულ ენაზე), საქართველოში ყოფნის დროს, დაწერა რამდენიმე სონეტი ჩვენი ქვეყნის შესახებ სწორედ ამგვარი ვგზორტიკური სტილით, და საქართველოს რატომღაც „სამხრეთის შავი ვარდი“ უწოდა.

ძველი თბილისის შესახებ დაწერილი აქვს ლექსი რუსული მოდერნიზმის მეორე ცნობილ წარმომადგენელს ოსიპ მანდელშტამს. აი ორა ძალზე დამახასიათებელი სტროფი ამ ლექსიდან:

Мне Тифлис горбатый снится,  
Сазандарный стон звенит,  
На мосту народ толнится,  
Вся кроваяя столица,  
А внизу Кура шумит.  
Над Курою есть духаны  
Где вино и милый плов,  
И духаници там румяный  
Подает гостям стаканы  
И служить тебе готов...

ხსენებულ ლექსებში მიაიკოსეი თავის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ისახავდა იმ ბანალური წარმოდგენის გაფანტვას, რომელიც შექმნილი იყო რუს მკითხველთა გარკვეულ წრეებში. ე. წ. „კავკასიური ვგზორტიკის“ შესახებ. და მან

<sup>1</sup> ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 27, 1950 წ.  
<sup>2</sup> ტ. ტაბიძე. შეხვედრა მიაიკოსესთან, წიგნი „წერილები. ნარკვევები“, თბილისი, 1957 წ., გვ. 136.  
8. „მნათობი“ № 5.



შესძლო კიდევაც მისთვის ჩვეული ბრწყინვალე გონებასხეულობით, ქვაქვანზე არ დატოვებინა ამ კერპორტულ-ტერისტული სისულელებისაგან ენებთან დედოფლებისა და მათი სისხლიან—რომანტიული თავგადასავლების შესახებ:

Взярялась царица,  
к книжалу рука,

Козой  
Из берданки ударенной..

და სხვა.  
დამბასიათებელია, რომ ლექსში „ვლადიკავახი—თბილისი“ მთავოესკი მასხარად იგდებს აგრეთვე ძველი თბილისის ეგზოტიკას — „კინტოების და ზურნების“ რომანტიზაციას, რომელთაც იგი, არც თუ უსაფუძვლოდ, ქართული სინამდვილისათვის უცხოად და არაორგანულად თვლის.

საზოგადოდ, ორივე ლექსში მთავოესკი ირონიულად იხსენიებს „კავკასიური კოლორიტის“ ყველა ტრადიციულ ატრიბუტს.

გვარამ ეს, არამედარამდე, არ ნიშნავს იმას, თითქოს იგი, საერთოდ, ამ თემის დისკრედიციას ეცილობდეს. კერძოდ, თუ დაკვირვებით განვიხილავთ მთავოესკის დამოკიდებულებას საქართველოს ბუნებისადმი, ჩვენს ყურადღებას უსაბუთოდ მიიპყრობს პოეტის „პოზიციის“ უცნაური ორმზროება ამ შემთხვევაში.

მართალია, „თამარა და დემონი“ იწყება შესამჩნევი აგდებული ტონით და თავისი ძირითადი ტენდენციითაც ეს ლექსი პირდაპირ პოლემიკურია ესენინის კავკასიური ლექსებისა, მაგრამ ერთში ესენინისა და მთავოესკის დამოკიდებულება საქართველოს ბუნებისადმი მინც ემთხვევა.

თუ ესენინი ქართული „მდინარეების მჭებარებას“ უპირისპირებდა მის მიერ მოსკოვში მიტოვებული დეკადენტური ბოკების არაფანსად აღრზაურს, მთავოესკისათვის ეს სილაღე და „ველურობა“ წარმოდგება თავისი იმდროინდელი, შეიძლება ითქვას, ზედმეტად „ლიტერატურული“ ცხოვრების თავისებურ ანტითეზად.

და აქ პოეტი მოულოდნელად გვიტყდება იმაში, რაც თითქოს პირდაპირ საწინააღმდეგაა მისი ლექსის პირველადი ჩანაფიქრისა:

Стою,  
и злоба ваяла меня,  
что эту дикость и выстужим  
с такой бездарностью  
я  
променял  
на славу.  
рецензия,  
диспуты.

Мно место

не в «Красных пивах»,  
а здесь,  
И не построчно,  
а даром

реветь  
стараться в голос весь,  
Срываю  
струны гитарам.

ჩვენი ფიქრით, ამ შემთხვევაში მთავოესკის მიერ გამოთქმული სინანული სრულიად მოკლებულია ირონიას და ნამდვილად გულწრფელ ხასიათს ატარებს.

შემთხვევითი არ არის, რომ, აქვე, მთავოესკი, თავისი საკეთარი პოეტური ხმის დაბასიათებისას, პირდაპირ უცუფსობებს მის „შმაგ ძალას“ „ხელოვნების თავმჯდომარეთაგან“ დაუმორჩილებელ ამ ლალ და „ხელთქმულ“ ქართული ბუნების სილამაზეს.

ლექსი „თამარა და დემონი“ სინტერესოა არა მხოლოდ თავისი პოლემიკური მიმართულებით, რომელიც „კავკასიური თემის“ მოდერნიზატულ ან უფრო სწორედ ეტიკონურ გაგებას უპირისპირდება, არამედ იმითაც, რომ აქ მთავოესკი, რომელიც აბუნად იგდებს ყოველგვარ გაუკეთილ ეგზოტიკურ ლეგენდებს, ამავე დროს თვითონვე თითქოს ახალ ნიადაგს, ახალ, მისთვის ადრე უცხო თემის პოეტობის საკეთარი პოეტური შთავონებისათვის.

აქ მთავოესკი (შეგნებულად თუ უგნებოდ) პირდაპირ ეხმარება რუსული კლასიკური მწერლობის იმ წარმომადგენლებს, რომელთაც თავის დროზე პოეტური სადიდებელი უმღერეს კავკასიის ბუნებას და პირველ რიგში იმავე „დემონის“ გენიალურ ავტორს.

საჭიროა ითქვას, რომ ეს შინაგანი გამომავლება არა ნაკლებად არსებითი ხასიათისაა. ეიღერ ის კადნიერი პოლემიკური ტონი, რომელსაც მთავოესკი მიმართავს კლასიკურ ტრადიციათა გადამღერებლების დისკრედიციის მიზნით.

მთავოესკისათვის, ისევე როგორც პუშკინისა და ლერმონტოვისათვის, საქართველოს ბუნება არ არსებობს დამოუკიდებელი, თავისთავადი სახით. ამ პოეტების შემოქმედებაში იგი სრულიად მოკლებულია განყენებულ ხასიათს და თითქმის არასოდეს არ იქცევა ნატურ-ფილოსოფიური კვებრებისა და რეფლექსიის საგნად.

ამ პოეტებისათვის ბუნების სერათები, პეიზაჟი, როგორც წესი, წარმოადგენს ადამიანთა საზოგადოებრივი ყოფის „აქტიურ ფონს“, ხოლო ზოგჯერ თავისებურ სიმბოლოსაც.

მთავოესკის, ისევე როგორც „Кавказ“-ის უცვდავ ავტორს, ამ ქვეყანაში აღლევებს არა მხოლოდ აჭარის მწვერვალების, ზეაგებისა და ჩანჩქერების დაუდგრომელი და ზეიადი

შეენება, არამედ ამ კუთხის ბინადართა არა-  
ნაყლებ დრამატული აღმზიანური ბედობა-  
ლი.

შეიძლება ითქვას, რომ, ამ მხრივ, მიაკოვ-  
სკი არა თუ არ უარყოფს, არამედ პირ-  
დაპირ განაგრძობს რუსული კლასიკური პოე-  
ზიის ტრადიციას.

უფრო მეტიც, მიაკოვსკი მიდის წინ ამ  
მომართულებით, რადგან მის ლექსებში თემა  
ხალხური, აღმზიანური ბედობისა კიდევ  
უფრო მეტი სიძლიერითა და რელიეფურობით  
არის გამოკვეთილი.

ლექსში — „ვლადიკავკაზი—თბილისი“ მია-  
კოვსკი ქართული მშრომელი ხალხის ისტო-  
რიას პირველ პირობა მოგვითხრობს. ეს არ  
არის უბრალო პოეტური ხერხი. აქ ჩვენ საქმე  
გვაქვს მიაკოვსკის შემოქმედებისათვის საერ-  
თოდ დამახასიათებელ პიროვნულისა და სა-  
ყოველთაოს ერთიანობის თავისებურ გამოხა-  
ტრულებასთან.

საყურადღებოა, რომ ამ ლექსში მიაკოვსკი,  
რომელიც უბრალო ქართული მშრომელი  
აღმზიანების სახელით ლაპარაკობს, თავის  
ველსიტყვილს გამოთქვამს იმის გამო, რომ  
საქართველოს მემბრატაინი სდომდნენ იმათ  
შესახებ, ვინც საყურთარი მრავალსაუკუნოვან  
ოფლით მორწყა და აყვავა საქართველოს  
მიწაწყალი:

От этих дел  
не вспоминают ни зги.

История —  
врун доровитый,  
бубнит ливнь,  
что были  
царьки да князьки...

რასაკვირველია, ჩვენ შორს ედგევართ ყო-  
ველგვარი სწორხაზოვანი განზოგადებისაგან,  
მაგრამ არ შეიძლება აქ არ გავიხსენოთ, რომ  
სწორედ ასეთ სინანულს გამოთქვამდა ნახევარ-  
ი საუკუნით ადრე დიდი ქართველი მწერა-  
ლი ილია ჭავჭავაძე ძველი საქართველოს ეამ-  
თაღმწერლების მიმართ.

მიაკოვსკის მთელი ლექსი გამსჭვალულია  
ამ ამაღლებელი შეგნებით, რომ საუკუნეთ-  
ბით ჩაგრული ქართველი ხალხი საბოლოოდ  
იქცა თავისი ქვეყნის სრულუფლებიან ბატონ-  
ბატონად და საყურთარი ისტორიის თავის-  
უფალი შემოქმედად.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მიაკოვსკის ლექსი  
თავის დროის მკაფიო დალით არის აღბეჭდი-  
ლი. იგი დიდძალი შვილია იმ წლებისა, როდუ-  
საც ახალი ცხოვრების ძლევამოსილი მსვლე-  
ლები დაუნდობლად ანგრევედა და სთელავდა  
ყოველგვარ დრომოქმედს, ვარდასულს და ხე-  
ლისმშემულს.

სწორედ ამ ნგრევისა და განახლების შეუ-  
ჩერებელი პათოსით არის ნაქარნახევი ლექს-  
ბელი ლექსის უკანასკნელი სტრიქონები:

Если  
даже  
Казбек поменяет, —  
срыть!

Все равно  
не выдать  
в тумане.

ცხადია, ეს სიტყვები წარმოადგენენ თავი-  
სებურ პოეტურ ხუმრობას, თუ გნებავთ, შეგ-  
ნებულ „თავებობას“, რაც ამ ლექსის პო-  
ლემიკური მიმართულებით აიხსნება. ტრადი-  
ციითა რღვევით გატაცებული ახალგაზრდა  
პოეტი აქ თითქოს განგებ აღმართავს ხელს  
იმხებ, რაც მის წინამორბედთ წმინდათაწმინ-  
დათ მიაჩნდათ. გვიხსენათ თუნდაც ლერმონ-  
ტოვის ცნობილი სიტყვები: „Горы кавка-  
ские для меня священные“.

სებათაშორის, თავის დროზე მიაკოვსკის ამ  
სტრიქონებმა გარკვეული უკმაყოფილება და  
საახსუხო ირონია გამოიწვიეს პოეტის ზოგი-  
ერთ თანამედროვეთა მხრივ (ყურძოდ, ივანე  
სერგვი ესენინი, ნ. ვერბიციის სიტყვით, გა-  
დაკრული ირონიით ლაპარაკობდა „ვლადიკავ-  
კაზი-თბილისის“ ამ ადგილზე მიაკოვსკისთან  
შეხვედრის დროს).

სინამდვილეში, მიაკოვსკი, მიუხედავად ამ  
„მკრეხელური“ ფრაზისა, თავის სულის სიღრ-  
მეში არა ნაკლებ სიყვარულსა და აღტაცებას  
ატარებდა საქართველოს ბუმბერაზი მთა-მწვერ-  
ვლების მიმართ. მისთვის არანაყლებ ახო-  
ბელი და ძვირფასი იყო მათი ხელნახლებელი,  
შუებლადი სილამაზე. ეს მიაკოვსკიმ დაა-  
დასტურა იმევე ლექსის ცნობილ სტრიქონებში:

Я знаю:  
глушость — адемы и рай!  
Но если  
пелось про это,  
должно быть,  
Грушно,  
радостный край,  
подразумевали поэты.

მიაკოვსკის ზემოთგანხილულმა ლექსებმა  
საფუძველი ჩაუყარეს ახალ, შემოქმედებითი  
თელსაზრისით უაღრესად სინტერესო ტრი-  
დიციას რუსულ საბჭოთა პოეზიაში.

ისევე როგორც ბელიმსკის დროს, ჩვენს  
ემოქანიც საქართველო იქცა მთელი რაიკი  
შესანიშნავი რუსი პოეტების მეორე სამშობ-  
ლოდ. „მათი მუხების შთამავრებლად და  
გამომწერონელად“.

(გაგრძელება იქნება)



### კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“

„...დიდი ხნის ოცნებაა ჩემი, — აღნიშნავს კ. გამსახურდი, ქართული ქრონიკების კრებულს გვერდში ამოუყუყუნო რომანების სერია, რომელსაც თავის დროზე ვუწოდებ „ქართლის ცხოვრებას“.

იმ ციკლის ისტორიული რომანებიდან მკითხველი იცნობს „დიდოსტატის მარჯვენას“, და ტერტრალგოვია „დავით აღმაშენებელის“ სამ წიგნს.

კ. გამსახურდი მეცნიერი ისტორიკოსის ერუდიციითა და მხატვრული ვირტუოზობით აცოცხლებს ჩვენგან ასე დამორბეული, მაგრამ მახლობელი ეპოქების კოლორიტს, ჩვენი ერის ისტორიული წარსულის უკეთეს ფურცლებს, აცოცხლებს იმ გამორჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა სახეებს, ვინც ხალხის სსოვნამ წმინდად შეინახა, როგორც ქვეყნის პროგრესისათვის მებრძოლი, ერის კეთილდღეობისათვის თავდადებული გმირები.

როგორც ისტორია, ასევე ისტორიული რომანი წარსულს აღადგენს, მაგრამ ისტორიულ რომანში, ისტორიული მასალის გვერდით, მოქმედობს მწერლის ფანტაზია, მისი მხატვრული გამოგონებლობა, რომელსაც დიდი ცხოველმყოფელობა და სიახლე შეაქვს ამ მასალებში.

არისტოტელე თავის პოეტიკაში წერს:

„პოეზია უფრო ღრმაა და შინაარსიანი, ვიდრე ისტორია, იმდენად რამდენადაც ერთს — საქმე აქვს ზოვადთან, ხოლო მეორეს — ეერქოსთან“.

„ისტორიულ რომანში, — აღნიშნავდა ბელინსკი, ისტორია, როგორც მეცნიერება, გრწყემის ხელოვნებას, ავსებს მას, არის მისი დამატება, მისი მეორე მხარე. როცა ვკითხვლობთ ისტორიულ რომანებს, ჩვენ თითქოს გადავდივართ იმ სამყაროში, ვხვდებით თანამედროვენი იმ მოვლენებისა, მოქალაქენი იმ ქვეყნისა, რომელიც ამ რომანშია აღწერილი. და ეს რომანები უფრო ნათელ, ჰუმანიტარულ ცოდნას გვაძლევს ამ მოვლენებზე და ფაქტებზე, ვიდრე რომელიც ვინდეთ, ისტორიული წყაროები და წიგნები“.

თუ ტერტრალგოვია „დავით აღმაშენებელი“ მიეძღვნა სახელგანთქმულ ნაციონალურ გმირს, თავისი ხალხის მიერ აღმაშენებლად წოდებულს, და მის გვირგვინს სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, რომელიც „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, ჰმინია იმ დიდოსტატებისა, რომლებმაც შექმნეს ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრ-

ბის დიდებული ძეგლები, გვერდში რომ უდვანან შოთა რუსთაველის გენიალურ „ვეფხისტყაოსანს“.

კლასიკური პერიოდის ქართული კულტურა და ხელოვნება საკაცობრიო მასშტაბის საგანძურის სფეროში გადადის.

„დიდოსტატის მარჯვენას“ მთავარი გმირი ქართული ხელოვნების კლასიკური ძეგლი სვეტიცხოველი, რომელიც შექმნილია ქართული ნაციონალური ხუროთმოძღვრების ტრადიციებზე<sup>1</sup> და მისი აღმაშენებელი დიდოსტატი კონსტანტინე არსაკიძე.

„სვეტიცხოველი მარტო ღვთის სახელი რაღა, — წერს მწერალი, — არამედ დიდი ხელოვნების იგავითწოდებული ქმნილებაა საქართველოს გულში, აგებული საინიო ადგილზე“.

სვეტიცხოველის აღმშენებელი დიდოსტატის ტრაგიკულ ბედზე მოგვითხრობს ტაძრის ჩრდილოეთის ფასადის კედელზე გამოსახული მარჯვენა გონიო უხურია მას. იქვე ასეთი წარწერაა: „ხელი მონისა არსაკიძისა, რათა შეუნდოთ“.

გარდა ამისა, ხალხს ასეთი ლეგენდა შემოუნახავს სვეტიცხოველის ამშენებელზე: ხეკორძელას წყალი მისვამს მცხეთა ისე ამივია, დამიპირეს, მკლავი მომპრეს რატომ კარგი ავივია.

რომან „დიდოსტატის მარჯვენას“ ერთ-ერთი ცენტრალური გმირი: — გიორგი მეფის შესახებ მწერალი წერს: „ხალღობიდანვე მიყვარდა და მიტაცებდა საქართველოს მეფე გიორგი პირველი. სიკმაბუკეში მომეშატა პატრიარქმა მისდამი, როცა ვაივიე თუ რაოდენ ვეშაბს შებშია ეს შესანიშნავი რაინდი. ვინც დაახლოებთ შაინც წარმოიდგენს თუ რა დიდი მხეცი იყო ბასილი მეორე, მისთვის გასაგება თუ რა კოლოსალური ძალის მატარებელი ყოფილა იმეპინდელი საქართველოს მეფე გიორგი პირველი, რომელმაც ერთხელ, მაგრამ მაინც დამარცხა კეისარი ბიზანტიისა“.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ მწერალი აცოცხლებს საქართველოს მეფის გიორგი პირველის ეპოქას, აცოცხლებს ამ შესანიშნავ სახელმწიფო-

1. გ. ჩუბინიშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I. თბილისი, 1936 წ.

ყო მოღვაწეს, რომლის შესახებაც შემატანე წერს, რომ იგი იყო „სავე ყოვლითა სიკეთითა, ვაჟსა ოდენ სიურმისსა, რომელ არაინ გამოჩენილ იყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვნებითა, კბაუკობითა და სიქველითა, ტანითა და სახითა, ცნობითა და სავე ყოვლითა განგებითა სახელმწიფოთა“.<sup>1</sup>

„სვეტიცხოველთა გალავანთან იწუება საუკუნე რიცხვით მეთუ თვისი მრტმე ღამეებით“ — წერს ავტორი რომლის დასაწყისშიცა, მართლაც, ჩვენს წინ იშლება ამ ეპოქის დიდი ისტორიული მოვლენები.

რომანში ასახულია ისტორიული მოვლენები ამ ეპოქისა, რომელიც საქართველოს ისტორიის ეკლასიური პერიოდის დასაწყისს წარმოადგენს.

„მეთუ საუკუნის მიწურულსათვის საქართველოში ადრე ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობა დამთავრდა და ქვეყანა ფეოდალური განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე შედგა... პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით ფეოდალური ურთიერთობის ეს საფეხური იმაში გამოიხატა, რომ ჩამოყალიბდა ახალი სოციალ-ეკონომიური ვითარების შესაფერისად გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, მის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლისათვის“<sup>2</sup>.

გიორგი პირველის მამამ, ბაგრატ მეფემ (975 — 1014) შესძლო საქართველოს გაერთიანება, ვარდა თბილისისა, რომელიც სარკონოებს ეყარა.

„ბაგრატ მეფის მტკიცე ხასიათმა, ბრძნულმა წინდახედულმა მმართველობამ ვაჟაკურმა გულადობამ და შორსმჭვრეტელმა პოლიტიკამ საქართველო გააერთიანა და მის ძლიერებას მკიდრო საფუძველი დაუდგა“<sup>3</sup>.

შემატანეს სიტყვებით, ბაგრატ მესამეს „დაუშორაჩილნა ღმერთმან ყოველი მტერნი და წინააღმდეგონი, მოშალდა დღითა მისთა მშვიდობა და დიდი დაწყნარება ქვეყანისა“.

ამ ეპოქის მოვლენებს მწერალი ვაღმთვეცემს ისტორიული სისწორით.

საქართველოს გაერთიანება-გაძლიერება შიშს ჰგვიტოვებს არაბ დამპყრობელთა ნაშტებს, რომელთა ბატონობის ხანა დასასრულს უახლოვდებოდა. ამიტომაც იყო, რომ ვანძის ამირამ ეს თავისთავის საფრთხედ მიიჩნია და ქე-

რეთ — კახეთის განაპირა კუთხეებს აოხრებას მიყო ხელა. 1011—12 წელს ქართველ-სომხურ მებთა შეერთებული ლაშქარი განაძემა შეჭრის და ქალაქ შამქორს ალყა შემოარტყა, ბაგრატ მეფემ ფაღღონის დაიარსა ყოველწლიური ხარკის ვალდება.

ბაგრატ მეფე გარდაიცვალა 1014 წელს, ამის შემდგომ საშეფო ტახტზე ადის მისი უცრ მცირეწლოვანი შემკვიდრე ვიორგი პირველი. „ხოლო ესე ვიორგი ეუფლა ყოველსა მამულსა და სამეფოსა თავისთა ვაჟსა ოდენ სიურმისა და სიქველისა მისისა, რამეთუ იყო რაჟამს მეფე იქმნა წლისა თორმეტისა“.<sup>4</sup>

გიორგი მეფეს ბავშვობაში დაადგეს თავზე გვირგვინი, „სათამაშოების ნაცვლად სკობტრა შეაჩვენეს ხელში“. „ადრე დააწვა გიორგის კაბუტურ მხრებს ომებისა და აჯანყებებში დანთხებული სისხლის კომშარი“ — წერს მწერალი.

გიორგი პირველის მეფობა პერეთ — კახეთის განდგომით დაიწყო. აზნაურებმა ისარგებლეს იმით, რომ გიორგი მცირეწლოვანი იყო, გადააყენეს ბაგრატ მესამის მიერ დაყენებული მოხელეები და თავიანთი წინანდელი მმართველი მოიწვიეს. ამგვარად, კახეთი და პერეთი ჩამოშორდა ბაგრატ მესამის მიერ გაერთიანებულ საქართველოს.

„—განდგა ქვეყანა პერეთ — კახეთისა და ღაღრთობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნენ ერისთავნი. მთ ქვეყანათ კვალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ იქუნდა იგი“<sup>5</sup>.

რომანში მოცემულია მრავალრიცხოვანი სიუჟეტური კენჭები, სადაც გახსნილია არა მარტო გვირგვინისანი გმირის სახელმწიფოებრივი და პირიადი ცხოვრება, არამედ იგრძნობა მთელი ცხოვრება მაშინდელი საქართველოს, მისი რთული საგარეო და საშინაო მდგომარეობა, იგრძნობა მთელი ეპოქის მაჯისცემა.

დაძაბული საგარეო და საშინაო ვითარების მრავალ დრამატულ მოვლენათა ხლართვით, მწერალი გამოყოფს გიორგი პირველის მოღვაწეობის პროგრესულ-ისტორიულ ტენდენციას, მის მისწრაფებას — საქართველოს გაერთიანებასა და განმტკიცებისაკენ, მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ ეს იყო ცენტრალური, არსებითი, ძირითადი გიორგი პირველის მოღვაწეობაში და ასევე რჩება იგი რომანში.

ამაში კ. გამსახურდიას ისტორიული რომანის დიდი ღირსება.

გიორგი მეფეს უხდება სასტიკი ბრძოლა საქართველოს ისეთ ძლიერ მტერთან, როგორც იყო ბიზანტია. ამ საკითხშიც რომანი მისდევს ისტორიულ სიმართლეს.

გარდაიცვალა თუ არა მეფე დავით კეროპა-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1955 წ., გვ. 290

<sup>2</sup> საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილი, ე. დონდუა, მ. დუმბაძე, გვ. 137. 1958.

<sup>3</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, გვ. — 422.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 283.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 284

ლატი (1001 წ.) შაბა გიორგი პირველისა, ბიზანტიის კეისარს დიდძალი ჯარით ტაოსაყენ დაძრა. ბიზანტიის კეისარმა ბასილამ დაიკავა დანეთ კუროპალატის სამფლობელოს დიდი ნაწილი. კეისრისათვის არ იყო ხელსაყრელი საქართველოს გაერთიანება-გაძლიერება, რადგან, მაშინ იგი ვერ შეძლებდა თავისი ადრინდელი მფლობელობის აღდგენას საქართველოში.

ბიზანტია ცდილობდა ქართველი დიდგვარიანი აზნაურების მოსყიდვა-გადაბირებას. საქართველოს შიგნით — რეაქციულ ძალებს — დიდგვარიან აზნაურებს — სარკინოზებს და ბიზანტია თავიანთ მოკავშირეებად ეველებოდნენ მეფის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ნათლად ჩანს რომანში.

კახეც მეფეს საქართველოს ასეთ ძლიერ და ვერაფერ მტერთან მოუხდა პირველადე შემხპ.

„გიორგი პირველმა მეფეი თავისი მეფობა და ძალდონე ბიზანტიის კეისარის წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია, როცა ბასილი კეისარი ბულგარელებს ეომებოდა, გიორგი მეფემ ამით ისარგებლა, შეესია საზერნეთს და ადილად დაიპყრო ყველა ის ქვეყნები, რომელიც კეისარმა დავით კუროპალატის გარდაცვალების შემდეგ დაისაკუთრა 1014 — 16 წ. გიორგი პირველმა ბიზანტიის საზღვრები გადალახა და ტაო დაიბრუნა.“<sup>1</sup>

როცა კეისარი ბულგარეთის ომს შორის, მან გიორგი მეფეს ტაო მოსთხოვა. გიორგი მეფის მისწრაფება იყო ბიზანტიის ბრძულებსაგან დაეხსნა საქართველო. მას კეისრისათვის „შენდობა არ უთხოვია, მის მიწაზე ქედი არ მოუხრია“, პირიქით, აღაქმითან საიდუმლო ურთიერთობა დაიწყო ბიზანტიაზე ერთობლაგი ლაშქრობისათვის.

„ბასილ კეისარს ეს უნდა ერთმორწმუნე საქართველოც სომხების დარად გადასანსლოს, როგორც სანაჰდი პირში სული მიღვას ვერ მოესწრება იმ დღეს ძალთა პირი ბასილ კეისარი“ — ამბობს მეფე გიორგი. ბასილი კეისარს ეს არ გამოპარვია და 1021 წელს მრავალრიცხოვანი ჯარით ტუცრაღ დიძირა საქართველოსაყენ „გიორგი მეფე განედიდა სპითა დიდათა წინააღმდეგობად მისხა და დაიბანაკეს ორთავე ქვეყანას ბასიანისასა“.

რომანში ისტორიული სიმართლითაა ასახული ქართველების ბრძოლა ბიზანტიის კეისარის წინააღმდეგ. ქართველებმა უბრძოლველად უყან დაიხიეს ჯერ ოლთისში, დიდი ბრძოლა მოხდა სოფელ შირიმში, სადაც დაიხოცნენ ქართველი სარდლები რატი ლიპარტისძე და ხუტკი. აქ გამარჯვება დარჩა კეისარს, რომელიც არაბთანში გადავიდა, ქალაქი გადასწვა და მცხოვრებნი ტყვედ წაიყვანა. გიორგი მეფე იძულებული იყო თრიალეთში გადასულიყო.

1. ი. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, გვ. 91.

სადაც მას მაშველი ჯარი დახვდა, ასევე ბიზანტიის კეისარმა განიზარაბა უკანდახვევი და ქ. ტრაპიზონის მახლობლად დაიბანაკა.

ამ დროს ბიზანტიაში შინაგანი ამბოხება მოხდა. კეისარს ქსიფე განუდგა. გიორგი მეფემ აჯანყებულ ქსიფესთან კავშირი გააბა, თანადგომა აღუთქვა კეისარის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბასილი კეისარმა ეს აჯანყება ჩააჭრა და მოლატის მოჭრილი თავი გიორგი მეფეს გამოუგზავნა, ამით აგრძნობინა, რომ იყოდა ქართველი მეფის დამოკიდებულება შეთქმულებთან.

ბასილი კეისართან საბადალი ზეიად ერისთავი წარგზავნა მეფემ, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა საზავო მოლაპარაკების გაუმართებლას რათა დრო მოეგო და გიორგი მეფეს მოესწრო ჯარის შეყრა საომრად, მაგრამ ბიზანტიის კეისარმა დაასწრო და კვლავ ომი დაიწყო. ეს იყო 1022 წელს. ქართველები დამარცხდნენ. გიორგი მეფე იძულებული იყო ზავის მიძიე პირობებს დასთანხმებოდა. მას კეისრისათვის უნდა დაებრუნებინა დავით კუროპალატის სამფლობელო ტაოს, კოლა არაბთანა და ჯავახეთში, ამის გარდა კეისრისათვის სამი წლით მძევლად უნდა მიეცა თავისი მცირეწლოვანი შვილი ბეგატატი, რომელიც მხოლოდ 1025 წელს დაბრუნდა საქართველოში.

რომანში სიუჟეტის განვითარების საფუძველს წარმოადგენს ნამდვილი ისტორიული კონფლიქტი — წინააღმდეგობა მეფესა და დიდგვარიან აზნაურებს შორის.

ჯერ კიდევ ბაგრატ მესამის მეფობის დასაწყისშივე თავი იჩინა ამ უთანხმოებამ. ბაგრატ მესამემ ქართლის ურჩი დიდგვაროვანი აზნაურები დაამარცხა, უფლისციხეში დადგა და ქვეყნის მართვა — გამგეობას ქართლშიაც თვითონ შეუდგა. ქართლის საქმეების მოგვარებობა შემდეგ, ბაგრატ მეფე ისევ დასავლეთ საქართველოს ეწვია: ბაგრატ მესამის მამის, გურგენ მეფის გარდაცვალების შემდეგ (1008 წ.) მის გამგებლობაში მყოფი შვეშეთ — კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი ბაგრატ მესამის საბრძანებლს შემოუერთდა.

1010 წელს კახეთ-პერტივი შემოიერთა, შეიპყრო და ციხეებში გამოკეტა თავისი ნათესავენი და მახლობლები, რომლებიც ძველებურ ბატონობას ლაშობდნენ თავიანთ მამაპაპულ სამეკვიდროში.

როცა გიორგი პირველი ტახტზე ავიდა, ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული საქართველოს გაერთიანება. თბილისი ისევ არაბ ამირას ეჭირა. საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგნი იყვნენ დიდი აზნაურები, რომლებიც საქართველოს მტრების — ბიზანტიისა და სარკინოზების მხარეზე გადადიოდნენ. საქართველოს „ციხე

შეინდიან ტყდებოდა“. დიდგვარიან აზნაურთა ორგულობისა და მოღალატეობის წყალობით საქართველო მარცხდებოდა მტერთან ბრძოლაში.

რომანში გიორგი პირველი წარმოდგენილია როგორც დიდი ნაციონალური მოღვაწე, რომლის მთელი ძალისხმევა საქართველოს გაერთიანებისა და პოლიტიკური განმტკიცებისადმი იყო მიმართული. მეფის ზურგს უკან დგას მთელი საქართველო, მისი თანამდგომი მოღვაწენი, რომლებიც იღვწიან მეფის პრაგმატული იდეების განსახორციელებლად, იბრძვიან ქვეყნის განსამტკიცებლად.

დიდგვარიან ურჩ აზნაურთა რეაქციული მისწრაფება რომანში გადმოცემულია თალავა კოლნეკლიძისა, შავლევ ტოხაისძის მამამზე და ჭიბებერ ერისთავების სახით.

გიორგი მეფეს განუდგება კეცტარის ერისთავი კოლნეკლიძე, მას გვერდში უდგანან მამამზე და ჭიბებერ ერისთავები, შავლევ ტოხაისძე. რომანში ნათლად ჩანს ამ შინაგანი რეაქციის დამღუპველი გავლენა ქვეყნის საერთო მდგომარეობაზე, ნაწევნებია, თუ როგორ ეწირებოდა მსხვერპლად საქართველოს ეროვნული ინტერესები დიდგვარიან აზნაურთა ეგოისტურ ზრახვებს, მათი ვანდილიზმისა და განკერძოების მისწრაფებებს.

გიორგი მეფე ვარემუ მტერთა მიმართ სასტიკი, უძლეული, ახსოვანი და უშოში ვითარცა უზორცო“, ქვეყნის შიგნით მოაშეთა სისხლისღერას ერადებოდა და სხვა ღონისძიებას მიმართავდა ურჩ ერისთავთა მოსათინიერებლად.

„შინაური ომი სიძავა ეამის დღესავით გიორგი მეფეს“ მაგრამ ის უღმობელი იყო საქართველოს მოღალატეობის მიმართ. „ხურსი აბუღელი სარკინოზებთან რომ გაეცა მეფეს, ციხე წაართვა, ხურსის ვაყების ძელები ამოსთხარა აბუღელთა საძაღუდან, ღორსა და ძაღლს აორვეინა“.

ასევე „შემზარავი სისასტიკე გამოიჩინა თავათ გიორგი მეფემ ოლთისში — ეკობხულობთ რომანში, ათასზე მეტ ბერძენ მონასასს თვალები დასთხარეს, ორი ათას სტრატიკობი თავი წააცლეს, სამაის ტყვე ცოცხლად დამარხეს“.

რომანში გიორგი მეფე ნაწევნებია როგორც უშიშარი რაინდი, მტკიცე და შეუპოვარი პატრიოტი, სასტიკი და უღმობელი ვარემუ და შინაური მტრების მიმართ.

„დიდოსტატის მარჯვენას“ სიუჟეტის განვითარების ცენტრში სატრფიალო — რომანული კონფლიქტია.

გიორგი მეფე ნაწევნებია არა მარტო სახელმწიფოებრივი და სამხედრო მოღვაწეობის ასპარეზზე, არამედ ინტიმურ ცხოვრებაშიაც.

მჭარალმა გვიჩვენა, რომ გიორგი მეფესაც ჭკონია ისეთი წუთები, როცა მას შეეძლო ეფიქტრა, რომ ეს ქვეყანა, ეს ცხოვრება მარტო

მართვისა და ომებისათვის არ ყოფილა გაჩენილი. ისევე როგორც ბალხაისე კესტრეფელ რომანებში — „ხნელი საქმე“ უფრო მჭიდროდ სიყვარულის ფსიქოლოგია გადასწონის მოვლენების ისტორიულ ფონს, ასევე „დიდოსტატის მარჯვენაში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი სატრფიალო-სამიჯნურო ამბებს.

რომანული პერსპექტივები საშუალებას აძლევს ავტორს უფრო ღრმად გახსნას გიორგი მეფის, როგორც ისტორიული პიროვნების, ხასიათი.

გიორგი პირველის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს სიყვარულს, იგი როგორც ბედისწერა იმორჩილებს მის დიდ ნებისყოფას, ორ ნაწილად ჰყოფს მის პიროვნებას — ერთგან ის სახელმწიფო მოღვაწეა, მეორეგან — შეყვარებული. მაგრამ მაინც, მეფე არისად, არასოდეს, არაა გამოთიშული საქვეყნო ინტერესების რკალიდან. საქართველოს გაერთიანება და გამტკიცება, ფეოდალური განდგომის აღკვეთა, ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლა — ასეთი იყო გიორგი მეფის უპირველესი ფიქრი და ოცნება მაშინაც იყო, როდესაც „წელიწადში ორჯერ, ირმის მყვიარალობასა და წეროთა გადაფრენის თვეებში, ინით წვერს შეოღებავდა, სელის სამოსელსა, სამაგვის წაღებს ჩაიყვამდა, აიყოლიებდა მდამიორებს, თავად გლახუნა აეშინისებს დაირქმევდა და ნადირობდა ნარეკვასა და არაგვის ქალებში“.

აქ მეფეს არ აწუხებდა კარისკაცთა მოქმენლობა, არც მეტეული უდარავებდა საღმე, არც თუ მოშივნიან ადიოდა მის დანახვისას ზეზე“. რომანში პოლიტიკურ ინტრიგებს ცეცის სიყვარულის ინტრიგები.

და ისევე, როგორც შექსპირის დრამებში, აქაც გრძვალისებური ენებები სისხლს მოითხოვენ ხარკად.

კოლნეკლიძის მხოლოდშობილი ქალის, პირმშენიერი შორენას ტრფიალებით შეპყრობილი გიორგი მეფე, უოველგვარ საშუალებას მიმართავს თავისი მეტოქეების ჩამოსაცილებლად, რამეთუ „ძლიერ არს სიყვარული, ვითარცა სიყვლილი“.

პირველად მცხეთობას ენახა შორენა მეფეს და ისეთი ძლიერი შეიქნა ძალა ცდუნებისა, რომ „საესებოთ ვდადვიწყდა, რომ იგი მეფე იყო და თავდაპეტეა მართებდა. შორენას მიეპრა. ცხენზე ასვლაში უშველა თავათ, შემდგომ ამისა უნაგირზე გათამაჯდარ ქალს მისწვდა, ცხენი აიფარა, საწმერთლის ტოტი აუწია და აკოცა წივებზე“.

გიორგიმ იცოდა, რომ შორენა აკვანძოვებ დანიშნული ჰყავდა ჭიბებერს. მან შოაკლევინა ჭიბებერი მეფის ეს საბედისწერო სიყვარული გახმაურდა. დედოფლისა და მეღმისედეკ კათალიკოსის თვალის ასახვევად, მეფემ შორენას ახალ საქმრო ამოურჩია — თავისი დედის ქმისწული — გირშელი, ყველისციხის პატრონი, მაგრამ ზოლის ისიც გასწირა. ფხოვის ამბობებაში მო-



აყვლივინა გირშელი მეფემ, ფრიაქით მთერალ-  
მა. ამის შემდეგ ახალი მეტოქე გამოუნდებმა  
მას, კონსტანტინე არსაკიძის სახით, რომელიც  
სხნის რომანის ძირითად დრამატულ კენამს.

რომანის მთავარი გმირია კონსტანტინე არსაკი-  
ძე, დიდოსტატი, ქართული კლასიკური ხელო-  
ვნების დიდებული ძეგლის სვეტიცხოველის  
აღმშენებელი.

იგი ხალხის წაილიდან გამოსული ტალანტია,  
რომლის ბედ შემთხვევამ განსაზღვრა. ნადირო-  
ბის დროს შეხვდება იგი გიორგი მეფეს, რომელ-  
მაც ახალგაზრდა ლაზ კრიოთუროს შიანდო  
მიწისძვრით დანგრეული სვეტიცხოველის აგება.  
გიორგი მეფემ უბოძა კონსტანტინე არსაკიძეს  
ხეროთომოდვრის ხარისხი.

გიორგი მეფემ და შელიქსიდეც კათალიკოსმა  
ახალგაზრდა მოკრძალებული ოსტატი არსაკიძე  
შეარკინეს ცნობილ ოსტატს ფარსმან სპარსს.  
არსაკიძის ქმნილებას უნდა დაეჩრდილა ყველა  
ტაძარი ფარსმანის მიერ სამსახურ აგებულში.

დიდი ზომიერებისა და სიყვარულის გრძნო-  
ბით გვიხატავს მწერალი ამ უნიჭიერესი ხელო-  
ვანის ზრდისა და ფორმირების რთულ პროცესს,  
გადავიწყების მის შინაგან შემოქმედებით წესას  
და ძიების წამებით მოსილ გზას, ვეინჯვენებს იმ  
დაუცხრომელ ტიტანისებურ შრომისმოყვა-  
რეობას, რომელსაც ყოველი კუმშარატი ხელო-  
ვნება მოითხოვს მსხვერპლად.

კონსტანტინე არსაკიძე დღენიადავ ერკინებო-  
და უხემ სლოდებსა და უხიავ ქველს, როგორც  
იაკობი თავის შრისხანე დმერთს, ვიდრე არ  
შექმნა ის მომჯადოებელი პარმონია, რომელიც  
საუკუნეებს გადასწვდა.

„ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფა-  
სურად, იგი ის კრპია, რომელიც მთელს შენს  
არსებას, მთელს ჯანს მოითხოვს“ — ამბობს არ-  
საკიძე. ხელოვნების ასეთმა თავგანწირულმა  
სიყვარულმა შეაძლებინა მას უჯიათი ლოდ-  
ბისგან უუთქარისი, უღამარისი ჩუქერთმების  
გამოქვეყნება.

ასე გვგონია, თითქმის „მარმარილოსათვის სით-  
ბო ესესებინოს სულს, გრანიტისათვის პარალე-  
ლებრი სირბილე“.

„და თავად უნდა გახდეს შემოქმედი უფლის  
მეტოქე“ — ამბობს დიდოსტატი და ეს იდეა ჩა-  
აქსოვდა მან თავის სურათში, სადაც ღმერთთან  
შორკინალი იაკობია გამოხატული.

დიდოსტატი კონსტანტინე არსაკიძეს მთელი  
თავისი არსებით უყვარს შორენა. ეს უძლიერესი  
გრძნობა მას ატქმევიანებს: „ან თუ ღმერთთა  
სადმე ამ ქვეყნად, სიყვარულია აღბათი, ის  
ღმერთიც; სიყვარული თავად ღმერთთა ამ ქვეყნა-  
ნაზე. თუ სიყვარული ღმერთი ყოფილა, შენ ხარ  
ჩემი სიყვარული და ღმერთი თავად... ძლიერი  
მანამდის ვიყავი, სანამდის შენი სიყვარული და-  
მართობდა“.

მიუხედავად ამისა, არსაკიძე თავის ხელო-  
ვნებას ყველაზე მაღლა აყენებს: **ქონსტანტინე**

„მე ჩემი ხელოვნება სვეტიცხოველზე მეტად  
შემყვარებია, — ამბობს იგი, ამიტომაც განწირუ-  
ლი მაქვს თავი. უერთხელა მხოლოდ ნაბიჯი  
ვაღმობდისა, შრომაა უდიდესი სიქველე ამ  
ქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაე-  
კაცს, როგორც შრომამი გამოჩენილი სიამაყე.  
უდიდესი სიამაყე შეუდგება გულს, როცა შე-  
მოქმედებითს შენის ნაყოფი ცხოვრებასა და მი-  
წას სამყაროლად გამოდგება“.

სვეტიცხოველი თუ შორენა? ეს ორი უძვირ-  
ფასესი სახელი ერთ სასწორზე იდო და ვაერ-  
კვეველი იყო თვით მისთვისაც კი, თუ რომელი  
მათგანი გადასწონიდა. ორივენი ერთსადაიმავეს  
მოითხოვდნენ მისგან: სიციერსა!

სატრფოს უნდა შეხვედროდა არსაკიძე. შეხ-  
ვედრის დრო დანიშნული იყო და იგი ეკითხე-  
ბოდა იღუმალ თავისთვის:

„ხომ არ ეწადა, წვიმას არ გადაელო, შორენა  
არ მოსულყო, არ მოსულიყო არც დღეს, არც  
ხვალ და არც არასდროს, არც არაფერი ეთქვა  
მისთვის იმ „შეორე გზის გამო“?

ხედავდა არსაკიძე, ეს გზა ისევე უამებო იყო,  
როგორც შორენას წინაშე მდებარე ყოველი  
გზა“.

ღიღხანს იბრძოდა მის სულში აზრი, ღიღხანს  
სტანჯავდა მას არჩევანი: სვეტიცხოველი თუ  
შორენა და სასიკვდილო აგონიის წუთებში უკა-  
ნასკნელად კვლავ დაუბრისპირდა ისინი ერთ-  
მანეთს:

„...ღიღხანს ერკინებოდა მხატვარი სიკვდილის  
ღმერთს. ამაოდ ებრძოდა წიწამურის ველზე მა-  
მალი ხიზობი ღამეს. ბოლოს მოაწია რიგჯამში,  
ატყდა ნათლის ლიცილიც ვარედ, ყაყაოები  
დაათოვა მწვერვალებს ცამ, იფრქვეოდა ის-  
ფერი შექცია როგორც ჩქერალები ფსოვის  
მთებიდან.“

შორენა გადმოვიდა კედლიდან, ხატური  
ფარჩის კაბა ეცემა შავი, ოქროსფერი თმები  
გადმოღვრილიყვენ მარებზე, მოდიოდა ყაყა-  
ოების ველზე, თავთხის თაველებს ესროდა  
უტას, ყაყაოებსა და თავთხის თაველებს.

დაუნოქა სამგზის სანატრელში, სთხოვა დი-  
დოსტატს სული.

„ცემლებმა იწყემეს კონსტანტინეს თვალითაგან,  
მარამ ვერც სავარულს მისცა მან სული, რად-  
გან სვეტიცხოველისთვის შეეწირა იგი“.

ასე გადაწყდა ეს არჩევანი. სვეტიცხოველმა  
გადასწინა სამგზის სანატრელ შორენას...

„ხელოვნებაა თვით უქცეავება.  
მხოლოდ ოსტატს ვერ დაეწვეა სიკვდილი.“

ათაბეული წლები წალკავენ ირგვლივ ყოვე-  
ლივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება რო-  
გორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი  
იაკობი“.

ეს გენიალური ზეროთომოდვარი ასევე დიდი  
ვაჟკაცია და პატრიოტი. მას უსაზღვროდ უყვარს

თავისი სამშობლო, მზად არის მისი თავისუფლები და კეთილდღეობისათვის გასწორის თავი. „საქართველო ჩვენი დედაა, ხოლო იბერიელები ძმებია ჩვენი, აბაიან ისე საძაგელი არაა ამ ქვეყნად, როგორც ძმების მოღალატე მშინობრა ვაჟაკები, ხედავ რომ ბერძნები ან სარკინოზები შემოეწყონ საქართველოს ციხეებს, მოკლადკის საქრეულს განსზე გადავდებ და ხმალთ შეეებრძობლები საქართველოს მტრებს“ — ასე ეუბნება კონსტანტინე არსაკიძე ლაზ კირითხურავებს.

კონსტანტინე არსაკიძეს თავისი დიდების გზაზე წინ ვადაღობება ფარსმან სპარს—რენევატი და ავანტირისტი, ჩამოყენებული ხუროთმოძღვარი.

ბნელი წარსულის მქონე ფარსმანმა თავისებური იაგოს როლი გაითამაშა. მან მეფეს აძენო არსაკიძის სიყვარული შორენასადმი და ყალბი ფაქტებიც დაიმოწმა. ამის გამო შეიძულა მეფემ დიდოსტატი კონსტანტინე და ეს უკანასკნელი მეტოქეც გასწორა.

დაიწყო შურისძიების ბნელით მოსილი გზა. ხუროთმოძღვრად კვლავ ფარსმან სპარსი და ნინოა გიორგი მეფემ.

ფარსმანმა სვეტიცხოვლის ტაძრის დანგრევა მოითხოვა, ხოლო გიორგი მეფემ სვეტიცხოვლის „სუდად ამგებულს“ შკლავის მოკვება მიუსაჯა. მეორე დღესვე ბაგინეთის მონასტერში მონაზნად აღკვეცეს შორენა. იქ მან გაიგო კონსტანტინე არსაკიძის ტრაგიკული ბედი. შორენა „შვირ ბანს გატრუნული აჯდა, შერმე წამოდგა, შთვარეულით წაბარბადა ქარაფისაყენ, პარჯვარი გადაწერა, გარღვეულით დაბარბადა და გადაეშვა ქარაფიდან შორენა... მას მიწამდას არ დაჟუღია სული“.

კონსტანტინე არსაკიძის მავალითვე მწერალმა გვიჩვენა დიდოსტატის ბედი ფეოდალურ საზოგადოებაში, სადაც შური და მტრობა თანსდევს ყოველ დიდ ტალანტს, როგორც შვი ბედისწერა.

კ. გამსახურდიამ დიდი ფსიქოლოგიური სიღრმითა და მხატვრული დამაჯერებლობით შექმნა ტიპური სახე იმ ქართველი დიდოსტატებისა, რომლებმაც თავიანთი სიჭაბუკისა და სიცოცხლის ფასად შექმნეს ხელოვნების დიდებული ძეგლები და გადასცეს შთამომავლობას, როგორც განსახიერება წინაპართა ბოხოქარი სულისა და ნიჭისა.

რომანში მოცემულია დიდი ეპიტუოზობით შესრულებული სურათები ხალხის ყოფისა.

შედარებული მხატვრული ოსტატობითა აღწერილი ომების, მეფეთა კარზე დარბაზობის პუ-

რობის, ნადიმის, ნადირობის სცენები. მოცემულია ცხენაზმისა და მხედართა შეჯიქების, მეფეთა ინვენტარის, კოსტუმების აღწერა. ყველაფერი ეს მწერალს სჭირდება იმისათვის, რომ აღადგინოს ჩვენგან ასე დაშორებული ეპოქის ისტორიულ-ნაციონალური კოლორიტი.

რომანში მოქმედების არე ფართოა. მოქმედ პერსონაჟებს უხედავთ ხან ზიზანტიაში, ხან რანში, ტრაპიზონში, ფანასკერტის ციხეში, თრიალეთის ტყესა თუ მცხეთაში.

რომანში მოქმედობენ ცნობილი ისტორიული მოღვაწენი — მარიაშ დედოფალი, სარდალი ზვიად ერისთავი, კათალიკოსი მელქისედეკი — „შესანიშნავი მწევესი ქრისტიანობისა და ეკლესიათა დიდი აღმშენებელი“, რომელსაც, გიორგი მეფისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ღრმად სჯერა, რომ „მეფე ქვეყანას ზედა ხელმწიფეა, ხოლო ქრისტე — ზეცისა, ქვესქნელისა და ზესქნელისა“. მწერალი ამით ვადაღობს ამ ეპოქის კლასობრივ ტენდენციას, ეკლესიის პევემონიას საერო ხელისუფლების მიმართ, რასაც ადგილი ჰქონდა დაეთ აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმადე.

გიორგი მეფემ თრიალეთის ტყეში დასრულა თავისი სიცოცხლე. გარდაიცვალა 45 წლის ასაკში, ვლახუნა ავსთისძეს ირქმედა იგი მეჯორგების კარებში დამის მთველი ირმებზე ნადირობის ვაშს.

სიკვდილის წინ, თავის მსახურ პიასთან, იგა ასეთ აღსარებას წარმოსთქვამს:

„მე მრავალი ცოდად მიმიძღვის ამ ქვეყნად როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს. თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მტარებია, ვაჟაკიც ვიყავი და მშინობრაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ზვიარის ფესეებისა, გულზვიადიც ვიყავი და ლოთიცა, მაგრამ ჩემი ხალხისათვის არასოდეს მოღალატეა.“

ჩვენი სამეფოს უხედურება ევაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებას: ვინა თუ სხვისა, საერთო თავის, თავისი ხალხის მოღალატენი. კარგად ვიცო, თვით ჩემს მსტორებში ნახევარი ზიზანტიელებს ყუდათ შესყიდული, ნახევარი სარკინოზებს.

როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა უვას, მკედღონელიც ვერ გამარჯვებინებს მას. ბასიანთან აზნაურებს რომ არ ელაღებნა, იქაც ეძლევი ბასილი კეისარს იცოდეთ. თუ მოეღმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მას მკედღონელიც ვერას უშველის.

...დამანელა აზნაურებისა და სარდლების კანკლაობამ“.

გიორგი მეფის ამ სიტყვებში ისტორიული სიზუსტით არის ვადაღობული ქვეყნის შინაგანი აშლილობის დამღუპველი გავლენა სახელმწიფოს საერთო ბედზე.



## შენიშვნები

პეშინისა და ლერმონტოვის თხზულებათა  
რუსული გამოცემების გამო.

უფროსი თაობის ქართველ პოეტებს განათ-  
ლება რუსულ სკოლაში გვაქვს მიღებული. ჩვენ  
უპირატესად პეშინისა და ლერმონტოვის პო-  
ეზიაზე ვიზრდებოდით. ამიტომ ისინი ქართუ-  
ლი პოეზიის დიდ კლასიკოსებზე ნაკლებად არ  
გვიყვარს. ზოგიერთები პეშინისა და ლერმონ-  
ტოვის ლექსებსა და პოემებს ქართულად  
ეთარგმნით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ წიგ-  
ნებში ჩვენ ხშირად ვიხედებით.

ეს ხშირი ჩახედვა ზოგჯერ იწვევს ერთგვარ  
გულისტიგილს იმის გამო, რომ ახალგაზრდო-  
ბიდან ზეპირად დახსომებული ლექსების ზო-  
გიერთი სტრიქონი განსხვავებულად იკითხება  
ახალ გამოცემებში. ამ საკითხის გამო რუსულ  
პრესაში, კარგა ხნის წინათ, არაერთხელ გა-  
მოთქმულა უამაყოფილება, მაგრამ ფილოლო-  
გებმა თავისი გაიტანეს და ამჟამად სადავოდ  
ალარაფერი მიანიათ. წლები გადის და ის,  
რაც წინათ ტრადიციული ტექსტის დარღვევა  
იყო, ახლა თავად ხდება ტრადიციული, რის  
გამო მომავალში უფრო და უფრო განქვავდება  
ბრძოლა დამახინჯებული წაკითხვების ნაც-  
ვლად სწორი წაკითხვების დასაბრუნებლად.

ეს ჩემი ხმა იმის გამოა მიმართული უმთავ-  
რესად პოეტების ყურადღებისაკენ, რომ ლექ-  
სთა სხვადასხვა რედაქციის ავტორგონობაში  
ყველაზე უკეთ ისანი ერკვევიან და ლექსის  
ცალკეულ სიტყვებზე მსჯელობა მათ წეროდ-  
მანად არ მოეჩვენებათ. რაგიობა შეიძლება  
იტყვიან — ერთი სიტყვა ვინდ იქით, ვინდ აქე-  
თო, მაგრამ ეს ასე არ არის. ერთს შეუფერებ-  
ლად ხშირად სიტყვას შეუძლია ის როლი  
შეასრულოს მთელი ლექსის მიმართ, რასაც,  
ცნობილი რუსული ანდაზისა არ იყოს, შვას-  
რულებს თავლით სავსე კისარში ჩაფარდნილი  
ერთი წვეთი კუპრი.

ამ წინასწარი შენიშვნის შემდეგ გადავიდეთ  
ტექსტუალური მასალის განხილვაზე. მოვიყვან-  
ოთ რამდენიმე მაგალითი ჯერ პეშინისა და  
შემდეგ ლერმონტოვის ლექსებიდან.

ვინ არ იცნობს პეშინის სახელგანთქმულ  
ლექსს „რათა მშობელი გეხილა მხარე“... საბ-  
ჭოთა კავშირში რომ ანექტა ჩატარდეს იმის  
გამოსარკვევად, თუ რომელი ლექსი მაჩინათ

მკითხველებს ყველაზე უკეთესად რუსულ ლი-  
რეულ პოეზიაში, ვეჩქრობ, ეს ლექსი მიი-  
ღებს ხმათა უმრავლესობას. ცხადია, რომ ამ-  
გვარ ლექსში ყოველი სიტყვა თავის ადგილზე  
უნდა იყოს და მცირე ხორკლიც არ უნდა შე-  
იძინებოდეს.

პეშინის აღნიშნული ლექსის ტექსტს საყ-  
მად დიდი ისტორია აქვს, რომელსაც ისევე  
ზედმიწვევნი იცნობს ამ სტრიქონების ავტო-  
რი, როგორც რუსი პეშინისტები. გავაცნოთ  
იგი მკითხველებს:

ლექსი „რათა მშობელი გეხილა მხარე“, შე-  
იცავს სულ 24 სტრიქონს. იგი პეშინის სი-  
ცოცხლეში არ დაბეჭდილა. პეშინმა არ და-  
ბეჭდა ის, რადგან არ ჰქონდა დამთავრებული,  
წესრიგში მოყვანილი მისი ორი სტრიქონი —  
მეცხრამეტე და ოცდამეორე. ლექსი დაბეჭდა  
პოეტის გარდაცვალების შემდეგ. ორი-სამი  
სიტყვის შეცვლის წუალობით ამ ლექსმა მიი-  
ღო სრულყოფილი სახე ანგელოვანულ გამო-  
ცემაში 1855 წელს. ეს ტექსტი იქცა კანონი-  
ქრად და იბეჭდებოდა იგი უცვლელად ყველა  
გამოცემაში (ერთი გამოცემის გარდა, რომ-  
ელზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი) მთელი  
ოთხმოცი წლის მანძილზე (1855 — 1925 წ.).  
ამ გამოცემათა შორის განსაკუთრებით აღსა-  
ნიშნავია ისეთი ავტორიტეტული გამოცემები,  
როგორცია ბროკაუზისა და ეფრონის გამო-  
ცემა, ს. ვენგეროვის რედაქციით (1907 —  
09წ.), და ვალერი ბრიუსოვის რედაქტორო-  
ბით გამოსული 1920 წლის გამოცემა. 1926  
წლიდან კი ეს ლექსი იბეჭდება პეშინის ავ-  
ტორგრაფის მხედვით, ე. ი. დუშინთაველებს  
სახით, რა სახითაც პეშინს მისი გამოქვეყნე-  
ბა — ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს — არ  
სუ რ და.

გვეცნოთ ჯერ იმას, თუ რას წარმოადგენს  
პეშინის ავტორგრაფში მოუწესრიგებული მე-19  
სტრიქონი. მოვიყვანოთ იგი თავის ვარგმოც-  
ვაში, სადაც მას შესაძლებელი ადგილი უჭირავს:

«Но там, увы, где неба своды  
Сияют в блеске голубом,  
Где тень олав легла на воды,  
Заснула ты последним сном».

ამ სტროფის მესამე სტრიქონით პუშკინი არ დაკმაყოფილებულა იმ აშკარა მიზეზის გამო, რომელსაც აქვე ქვემოთ გამოარკვევთ, წაუშლია სიტყვები „тень оливы легла на“ და ჩაუწერია მათ ნაცვლად „дремлют“, რის შემდეგ სტრიქონს ასეთი სახე მიუღია, „Где.... дремлют воды“. პუშკინს სდომებია, რომ ასე უფოფილიყო ამ სტრიქონის თავი და ბოლო, შეაშინო ეს უნდა ჩამჯდარიყო შესაფერის სიტყვები აზრისა და სალექსო ზომის მიხედვით. ახლა ეს ვეიკობთ: რა არ აკმაყოფილებდა პუშკინს ამ სტრიქონში? რუსი ფილოლოგი გენოეჟიკა ეხება ამ საკითხს თავის წიგნში „Критика поэтического текста“ (95 გვ.) და აღნიშნავს: „საეჭვო არ უნდა იყოს, რომ გასწორების მოთხოვნა აქ გამოიწვია არა-პარამონიტლმა თვითგანმეორებამ“ და მოჰყავს წინა სტროფიდან სიტყვები „в тени оливы“, რაც მეორდება პუშკინის მიერ ჯერ დაწერილსა და მერე უარყოფილ სტრიქონში. ვადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეინოეტრის ეს მოსზრება არაა სწორი. პუშკინს აქ მოეძებლა აქვს რვა სტრიქონის შემცველი პოეტური პარალელუზმი, რომელიც კი არ ერიდება, არამედ მოითხოვს, არსებული წესის მიხედვით, გარკვეული სიტყვების განმეორებას. აი ამ პოეტური პარალელუზმის შინაარსი: „შენ მეუბნებოდ: შეხედრის ეპოსს, მარად ლურჯი ცის ქვეშ, ზეთისხილთა ჩრდილებში, სასიფარტო კოცნა კვლავ განვახლოთ, ჩემო მეგობარო“. მაგრამ, ვაკლახ, იქ, სადაც ცის თალი ლურჯად კამყამებს, სადაც ზეთისხილს ჩრდილებში... (სტრიქონი დაუშთავრებელია), შენ დაიძინე უკანასკნელი ძილით“. სავსებით აშკარა არის, რომ ამ პოეტურ ფიგურაში იტალიის დამახასიათებელი „ლურჯი ცისა“ და „ზეთისხილთა ჩრდილებში“ განმეორება პოეტის მიერ გამიზნულია წინასწარ.

თუ არა განმეორების თავიდან აცილება, მაშინ რა იყო ის მიზეზი, რის გამო, პოეტის აზრით, სტრიქონი აუცილებლად მოითხოვდა გასწორებას? საქმე იმაშია, რომ პუშკინს აქ შეეძლება უნდა მიეჩინა ზმნის ეტიმოლოგია: შემასმენელა „легла“ მოკემულია ნამყო სრული ფორმით, რაც ყოვლად დაუშვებელია ნამყო სრული მოვლენის აძლევს კერძო ზასიასთ, მოვლენის განზოგადობას ახდენს აწმყო დრო. მაგალითად, იტალია ფიგურალობად ასე შეიძლება გამოვხატოთ: ქვეყანა, სადაც წყანან ზეთისხილის ჩრდილებში. ამის ნაცვლად არ შეიძლება ითქვას: ქვეყანა, სადაც დაწვნიან ზეთისხილის ჩრდილებში. დიას, პუშკინს არ შეეძლო შერიგებოდა აქ ზმნის ნამყო სრულ ფორმას, ვადაუხვა ზაზი და ჩასწერა სხვა ზმნ: „дремлют“ — აწმყო დროში. ამ სიტყვის დამატებითი უზიარებლობა იმაში გამოიხატება, რომ იგი, მომდევნო სიტყვასთან ერთად, ჰქმნის

შესანიშნავ ბგერათა წყობას („дремлют воды), რასაც პუშკინი საერთოდ უღიღეს მნიშვნელობა ანიჭებდა. დანარჩენი სიტყვები სტრიქონში აღარ იატება. პუშკინს აღაზარა, ზმირად უტრიალებდა თავში სტრიქონი-„где под олиной дремлют воды“, მაგრამ იგი მისაღები არ იყო „ზეთისხილის“ მხოლოდითი რიცხვის გამო.

ახლა განვიხილოთ ამ ლექსის ოცდამესამე სტრიქონი, რომელიც აგრეთვე მოუწესრიგებელი დარჩა პუშკინს. პუშკინმა თავდაპირველად ასე დაწერა სტროფი, რომელშიც ამ სტრიქონს მესამე ადგილი უჭირავს:

«Твоя краса, твои страдания  
Исчезли в урне гробовой. —  
Но сладкий поцелуй свиданья...  
Его я жду, он за тобой...»

აქ პუშკინმა გაასწორა მეოთხე სტრიქონის პირველი ნახევარი ასე — „Но жду его“, რაც დარჩა საბოლოოდ. მაგრამ ეს არაფერია მთავარი, რასაც არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა პუშკინი ამ სტროფში, არის მესამე სტრიქონი. მისი ნაკლი გამოიხატება იმაში, რომ ჯერ ერთი, აკლია სიმეტრია, და მეორე, რაც უშთავრესია, ეპითეტო „сладкий“ (ტბილი), „იმქვეყნიერ“ კოცნასთან დაკავშირებით, მეტად ველგარეულია პოეტმა ასე გაასწორა ეს ადგილი: „А с ним и поцелуй свиданья“, მაგრამ ეს წინანდელზე უარესია, რადგან დაშვებულა გრამატიკული შეუსაბამოა — ნაცელსახელი უნდა იყოს მრავლობით რიცხვში. პუშკინმა, ცხადია, ეს ოცდამესამე სტრიქონიც ვერ ჩასთვალა მოწესრიგებულად, ისე როგორც მეცხრამეტე, და ლექსის დაბეჭდვა არ ისტრება, ვიდრე ამ ორ სტრიქონსაც არ მიიყვანდა სრულყოფამდე, რაც არ დაცალდა ნაადრევი სიცილიის გამო.

ჩვენს დროში, როცა პუშკინის გარდაცვალებიდან საუკუნეზე მეტმა ხანმა გაიარა, რატომ უნდა, ყოვლად შეუწესრიგებელი იქნებოდა მისი რომელიმე სიტყვის გასწორება. მაგრამ გასული საუკუნის ორმოციანი, ორმოციდათიანი წლებში, როცა პოეტის ბევრი მეგობარი ცოცხალი იყო, ამგვარი გასწორება მკრებელობად არ ითვლებოდა.

ასე თუ ისე, მაშინ სწორდებოდა პუშკინის ზოგადი სიტყვა და მთელი ფრაზა, უშთავრესად, ცენზორული კანონების გამო. მაგალითად, იმდროინდელი პერსურის შესაგებებლად პოეტმა ეუკოესვიმ განსაცვიფრებელი ოსტატობით გაასწორა სამი სტრიქონი პუშკინის ლექსში — „ქველი“. თვით პუშკინს ბრწყინვალედ ჰქონდა დაწერილი ეს სამი სტრიქონი, რომელიც მხოლოდ ჩვენს დროში იქნა აღდგენილი.

როგორც ზემოთ მქონდა აღნიშნული, ლექსი „რათა შობელი გვიხლა მზარე“ სრულყოფილი

სახით დაიბეჭდა პუშკინის თხზულებათა ანენკოვისეულ გამოცემაში, სადაც გასწორებული იყო ორი დაუმთავრებელი სტრიქონი. რუსი მეცნიერებრბასავან განხილავებით, მე არ ვუწოდებ ამ შესანიშნავ გასწორებებს პირდაპირ ანენკოვის გასწორებებს, ვინაიდან იმხანად შეტრად მიღებული იყო, მწერალთა და მწერლობის მოყვარულთა წრეებში, შინაურულა სჯავახასი სხვადასხვა ლიტერატურულ საკითხებზე და, შესაძლებელია, ეს გასწორებები კოლექტიური ფიქრის ნაყოფი იყო.

აი, ეს გასწორებანი. მეცხრამეტე სტრიქონი ამ სახით დაბეჭდა ანენკოვმა, პუშკინის მეგობარმა:

**«Где под скалами дремлют воды».**

მონახულია პრწყინელი გამოცემა! შესარჩუნებულია პუშკინის მიერ დატოვებული სუმივე სიტყვა, ხოლო შუაში პუშკინის ხელით წაშლილი სიტყვების ნაცვლად ჩაწერილია ორი ახალი სიტყვა. მთლიანად სტრიქონის ეფერადობა დიდებულია. ასეთივე ოსტატობითაა გასწორებული ოცდამესამე სტრიქონი:

**«Исчез и поцелуй свиданья»...**

ამ სახით მოხდა ამ ლექსის ტექსტის კანონიზირება და, როგორც ზემოთ ითქვა, ასე იბეჭდებოდა ის ყველა გამოცემაში ოთხმოცი წლის მანძილზე. იყო ერთი გამოჩაყლისი, — 1899 წელს პ. კანჩალოცკიმ ოცდამესამე სტრიქონი ამგვარად გასწორებული დაბეჭდა: **„А с ними поцелуй свиданья“**... ეს კონიექტურა იმითაა სიახტერესო, რომ ინარჩუნებს სხვაანაირი შეკრებით პუშკინის სტრიქონის ყველა ბგერას; მაგრამ პუშკინს რომ ასე დაეწერა, არ დაიფიქრებდა ტირის ჩასმას **„с НИМИ“**-ს შემდეგ. კანჩალოცკის კონიექტურა დამაკმაოფილებელი იქნებოდა, რომ არ იყოს ანენკოვისეული გამოცემის უკეთესი გასწორება. რითთა იგი უკეთესი? იმით, რომ გამორებული სიტყვა **„исчез“** სტრიქონის ანიჭებს სიმკვეთრეს და, ვარდა ამისა, ვადარჩენილია ის **„и“**, რომელსაც, ეტყობა, პუშკინი ვერ იბეჭებდა, რადგან იგი ფრაზას აძლევს დიდ გამოშახველობით ძალას. კანჩალოცკის გასწორება, რომელიც ყლავებს ამ **„и“**-ს, საბჭოთა პერიოდში აღმდეგ პუშკინის არც ერთ გამოცემაში არ გაუზიარებია, ყველა ბეჭდავდა ანენკოვისეულ ტექსტს.

პუშკინის თხზულებების საბჭოთა გამოცემებში მდგომარეობა შეიცვალა, დავიწყებას მივცა ანენკოვისეული ტექსტი და შესაძინელი ვახდა ერთგვარი დაბნეულობა. მაგალითად, ბ. ტომშევსკიმ ოცდამესამე სტრიქონად დაბეჭდა პუშკინის მიერ უარყოფილი ადრინდელი ვარიანტი **„сладкий поцелуй“**. სამეცნიერო აკადემიის მრავალტომიან გამოცემაში მიღებულია კანჩალოცკის გასწორება. მეცხ-

რამეტე სტრიქონში კი იბეჭდება პუშკინის ხელითვე წაშლილი სიტყვები **„целуй“** ყველა გამოცემას ვერ გამოუვადგებიათ. მრავალწლოვან ეს ორი სტრიქონი სამეცნიერო აკადემიის გამოცემაში (1948 წ.). მეცხრამეტე სტრიქონი იქ ასეა დაბეჭდილი:

**«Где (тень оливы легла на) воды»**

კვადრატული ფრჩხილები აქ მოუშველებით იმის აღსანიშნავად, რომ მათში მოთავსებული სიტყვები გუთუნის პუშკინს, მაგრამ მის მიერვე წაშლილია.

ოცდამესამე სტრიქონი ამ სახითაა წარმოდგენილი:

**«А с (ними) поцелуй свиданья»...**

აქ ეს კეთხოვანი ფრჩხილები იმის მანკენებელია, რომ მით შორის მოქცეული სიტყვა გუთუნის არა პუშკინს, არამედ სხვას, (კანჩალოცკის). ეს რა გამოდის? ლექსი, როგორც მხატვრული ნაწარმოები, ხომ ვინადგურებულია, მაგრამ არც ტექსტოლოგიის პრინციპებთა სახარბიელო მდგომარეობაში. მანასადავამ, აქ შევადგე დამწვარია და შამფურიც. ამ სახით დაბეჭდილი ეს ლექსი, არა თუ რუსული ლირიკული პოეზიის საუკეთესო ნიმუშად არ შეიძლება ჩაითვალოს, უბრალოდ, დასრულებული ნაწარმოებიც არ არის. ხალხისთვის კი რაა უფრო საჭირო: ის, რომ აღნიშნული ლექსი ქვეყნდებოდეს მისი სრულყოფილი, ტრადიციული სახით, თუ იშვარად, რა სახითაც იგი ავტორს არ მიანდა დამთავრებულად და ამის გამო არ სურდა მისი დაბეჭდვა? რა თქმა უნდა, უფრო სასურველია ლექსის უნაკლობა, სრულყოფილობა. წარმოიდგინოთ, რომ პუშკინი გაიცოცხლდა ცრტა ხნით და გაეცნო ლექსის ორივე რედაქციას, რომელს აირჩევდა იგი? ცხადზე უცხადესია, ის უწყომანოდ მოაწერდა ხელს ანენკოვისეულ რედაქციას. მაშ რაშია საქმე? რატომ უნდა ეწირობოდეს ამ დიდებულ ლექსის მხატვრული აღნაგობა რაღაც თვითმიხნურ ფილოლოგიურ კვლევა-ძიებას? უნდა აღინიშნოს, რომ გ. ვინოკურიც, სხენებულ წიგნში, მეცხრამეტე სტრიქონს ანენკოვისეული რედაქციითა სოვლის მისაღებად, მხოლოდ იმ განხილავებით, რომ სიტყვები **„Под скалами“** ფრჩხილებში იყოს ჩასმული. არავითარი ფრჩხილები ეს ლექსი უნდა იბეჭდებოდეს სუფთად, რომ არ დაპრკოდეს მისი შევენიერების შეგარჩება მკითხველის მიერ. მართალია, უკანასკნელ გამოცემაში აკადემიური გამოცემის ფრჩხილები მოხსნილია, მაგრამ შინაარსი იგივეა დაიტოვებული.

ავილოთ ახლა პუშკინის ყველასათვის ცნობილი **„19 ოქტომბერი“**. მსოფლიო პოეზიაში, აღზბათ, ცრტა მოიძებნება ისეთი ლექსი, რომელიც, მისი ყოველმხრივი აწონ-დაწონის შემდეგ, შეიძლებაოდეს გვერდით ამოუყუროთ **„19 ოქტომბერს“**. გააქვედაში მყოფმა ოცდა-

ექსი წლის პუშკინმა ამ ლექსში გამოხატა თავისი დიდი სულიერი მღვდლარება და მწვენივე გულსტკივილი ამ სათულ მსოფლმხედველობასთან შეზავებით, რომელიც ყოველთვის ახასიათებდა მის შემოქმედებას. ვაგეცნოთ ლექსის კარგავს. პუშკინსა და მის ლიციტ ამხანაგებს წესად ჰქონდათ ყოველივე, რომ ლიციტის დამოკრებების სიველ წლისთავზე საერთო ნაღიშზე შეკრებილიყვნენ. ამ ლექსის მიხედვით პუშკინი ზის ბუხრისწინ თავის სოფელში და სევამ ამხანაგების სადღევრძელოებს. ლექსი დაწერილია რუსტრიქონიანი სტროფებით. პუშკინის სიციცხლეში იგი ორჯერ დაიბეჭდა. თავდაპირველად (დაბეჭდვამდე) ეს ლექსი შეიცავდა ოცდაოთხ სტროფს. ვიდრე საცენზუროდ და, მაშასადამე, დასაბეჭდად წარადგენდა, პუშკინმა ამოიღო ლექსიდან ექვსი სტროფი, და ორ სტროფში ნახევარნახევარი გამოსცვალა. ეს ამოღებული სტროფები 1857 წელს გამოაქვეყნა აკად. გროტმა; მაგრამ შემდეგშიც ლექსი იბეჭდებოდა იმ თვარამეტი სტროფის შემადგენლობით, როგორც ავტორის სიციცხლეში დაიბეჭდა.

საბჭოთა პერიოდშიც ლექსის ტრადიციული ტექსტი შეცვნიშდება მხოლოდ ერთი სტროფის ჩამატებით, ავტორის მიერ მოხსნილი ექვსი სტროფიდან. თანაც სტროფების ამოღება ახსნილია იმდროინდელი ცენზურული პირობებით. მაგალითად, 1937 წელს გამოცემაში რედაქტორი ბ. ტომაშვესკი პირდაპირ სწერს შენიშვნებში: „პირველად ლექსი დაიბეჭდა ცენზურული შემოკლებით“. ეს, ჩემი აზრით, საკითხის გამარტივებაა. პუშკინის მიერ ამოღებული ექვსი სტროფი, გარდა ერთისა აბსოლუტურად არ შეიცავს არაფერს ისეთს, რაც მიუხედავად იქნებოდა იმდროინდელი ცენზურისათვის. ის ერთი სტროფი, რომელსაც არ გაუშვებდა ცენზურა, წარმოადგენს ლიციტის დამარტყლის ალექსანდრე პირველის სადღევრძელის. ამ სტროფში აღნიშნულია ახლად გარდაცვლილი იმპერატორის ზოგიერთი უარყოფითი თვისება. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ყველა ეს ექვსი სტროფი მხატვრულად, ძირითად ტექსტთან შედარებით, სუსტია და მოგვაგონებს შლას, რომელიც დარჩენილა ამ გრანდიოზული, ლექსის გამოდნობის დროს. ისინი არა თუ სუსტნი არიან თავისთავად, დიდად აფერხებენ ლექსის ლირიულ მდინარებას, რომელიც ძირითად ტექსტში აღმავალი ძალით ვადანის სტროფიდან სტროფში. ის ერთი ზედმეტი სტროფი, რომელიც შეტანილია ჩვენს დროის გამოცემებში, არის ალექსანდრე მეფის სადღევრძელი. იგი ისეა ჩადებული ლექსში, როგორც დიდი წყალქვეშა ლოდი, რომელსაც მოულოდნელად ეხუთქება აღდგომიანებული მკითხველის სულიერი განწყობილება.

დიდად საინტერესოა აქ აგრეთვე კომპოზიციის საკითხი. ამ სტროფს უკირავს ტექსტში მესამე ადგილი ბოლოდან. რატომ? პუშკინს მოსუერებია მისი ამოღება ტექსტში და დამარტყლად თუნდაც ცენზურის გამო, ხოლო შემდეგ უპიველად მხატვრულ მოსაზრებითაც, მას საჭიროდ დაუნახავს მეზობელი სტროფების ისე გადამწყობება, რომ საფინალი ნაწილი წინა სტროფიდან დაწყებულიყო, რის შემდეგ პერსონალურ სადღევრძელის ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა. ამისათვის პოეტის მოცხსნია ამ წინა სტროფის მეორე ნახევარი („Златые дни! Уроки и забавы“) და მის ნაცვლად ვადმოტრიაია მომდევნო სტროფის მეორე ნახევარი (მასწავლებელთა ზოგადი სადღევრძელი), ხოლო ამავე სტროფის პირველი ნახევარი, სადაც ლიციტის ლექტორის ენციციონის პერსონალური სადღევრძელი იყო („Купишь ли дань сердца и вина“) და სხ.) სულ ამოღებულია და შეუთხზავს შემდეგი სტროფიები:

„იღბინეთ, ვიდრე დარტყავდეს საათი ჩვენს ვაი, ხომ ზედავთ, რა სისწრაფით ეს წრე თხელდება!  
 ვინ კუბოში წევს, ვინ შორსმყოფი მარტოხელდება!  
 ბედი გვდარაჯობს, უცაე ვეკნებით, გარბიან დღენი“.

პუშკინმა ხელახლა შეთხზა აგრეთვე ამ სტროფის მეორე ნახევარი, ნაცვლად იმ ოთხი სტროფისა, რომლებიც მან ზემოთ ვადატანა. როცა ამის შემდეგ, ან ამაზე უმაღ პუშკინმა მეფის სადღევრძელი ამოიღო ლექსიდან, დარჩა სამი სტროფისაგან ბრწყინვალედ ჩამოყალიბებული ფინალი, რომელიც ვადამუშავებამდე მხოლოდ ერთნახევარ სტროფს მოიცავდა. ახლა აქ მეფის სადღევრძელის ხელახლა ჩაწერა ჩვენს დროის რედაქტორების მიერ სრულ ვადგებობას წარმოადგენს. ის ამოიღო პუშკინმა არა მარტო ცენზურის გამო, არამედ, უმთავრესად, მხატვრული მოსაზრებით და მისმა ამოღებამ გამოიწვია ეკეზოველი სტროფების ვადაკეთება.

ამგვარად, ამ სტროფის შეტანა ტექსტში არც წმინდა მეცნიერული, ტექსტოლოგიური თვალსაზრისითაა ვასამართლებელი. ან შეტანილი უნდა იყოს ავტორის მიერ უარყოფილი ყველა ექვსი სტროფი, როგორც ეს ვალერი ბრისლოვის 1920 წლის გამოცემაშია, ან არცერთი. ნუთუ ამ სტროფის ცალკეული აღდგენა ჩვენს დროს იმისთვისაა საჭირო, რომ პუშკინის დროინდელი ცენზურა არ დაბეჭდავდეს? ეს ხომ რაღაც შებრტუნებელი ცენზურა გამოდის. ლექსი „19 ოქტომბერი“ უნდა ქვიყნდებოდეს ამ სტროფული შემადგენლობით (18 სტროფი), როგორც ის პუშკინმა დაბეჭდა ორჯერ თავის სიციცხლეში. ასე იცნობდა ბელინსკი ამ ლექსს და, აღტაცებული მისი

მალაშხატრულობით, აღნიშნავდა: „პუშკინს არასოდეს არ აქვს რაიმე ზედმეტი და არც რაიმე დაკლებული“.

ცნობილია, რომ პუშკინის პოემა — „ბრინჯაოს მხედარი“ დაწერილია დიდის ხელოვნებით. განსაკუთრებით ბრწყინვალეა მისი შესავალი, რომელშიც შექმნილია პეტროგრადი ერთი-მეორეზე უფროსი სტროფებით. მათ შორის მანძი, ჩემი აზრით, ყველაზე მშვენიერი შემდეგი სტროფია:

**«И перед младшею столицей  
Главой склонилась Москва,  
Как перед новою царицей  
Порфиросная вдова».**

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გრაციოზული, უაღრესად მხატვრული სტროფი ჩვენს დროში ამ სახით აღარ იბეჭდებოდა. მას აქვს თავისი თავგადასავალი, რომელსაც უნდა გავცინოთ. პუშკინი ძალიან ბევრს მუშაობდა ლექსზე. განსაკუთრებით „ბრინჯაოს მხედარზე“ იმუშავა ბევრი. მას ჰქონდა ამ პოემის ცალკეული სიტყვებისა და სტრიქონების მრავალი ვარიანტი. როცა მან 1833 წელს პოემა საცენზუროდ წარადგინა, ხელნაწერი წაიკითხა თვით ნიკოლოზ პირველმა და გაუყვია მრავალი შენიშვნა. ზემოაღნიშნული სტროფი ასე იკითხებოდა იმ ხელნაწერში:

**«И перед младшею столицей  
Померкла старая Москва,  
Как перед новою царицей  
Порфиросная вдова».**

ამ სტროფს ნიკოლოზ პირველმა მთლიანად გადაუსვა ხაზი. ძნელი არ არის იმის მიხედვრა, თუ რა იქნებოდა აქ მეფისათვის მიუღებელი. მას არ მოეწონებოდა ორი სიტყვა „Померкла старая“ განსაკუთრებით მეორე სიტყვა, რადგან ეპითეთი „მებერი“, შედარების ძალით, გადადიოდა ქვრივ დედოფალზე და შეურაცხყოფდა მას.

შეღის ამ შენიშვნებმა დიდად გააშფადა პუშკინი და მათი მიხედვით ტექსტის სწორება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყო იმ განზრახვით, რომ ნაწარმოები მთლიანად გამოეცეკუნებია (შესავალი 1834 წელს დაიბეჭდა) საკუთარ ჟურნალ „სოფრემენიკში“, მაგრამ მოუსწრო სიყვდილმა და სწორება დარჩა დამთავრებულად. დანარჩენი გასწორებები მოახდინა პოეტმა ფეოკსიმ, და პოემა 1937 წელს გამოაქვეყნა. ამჟამად ჩვენთვის საინტერესო სტროფი პუშკინმა თავად გაასწორა, მეორე სტრიქონი „Померкла старая Москва“ ასე შესცვალა — „Главой склонилась Москва“. ეს გასწორება არაჩვეულებრივად კარგია. აქ მოხდენილია მოსკოვის პერსონიფიკაცია, იგი, როგორც ცოცხალი არსება, თავს იდრეკს უმცროსი სატახტო ქალაქის წინაშე,

რითაც შედარება პორფიროსან ქვრივ დედოფალთან უფრო მკაფიოდ გამოკვეთილი ხდება და სტროფის მხატვრულობა უმეტესად წერტილს აღწევს. სიტყვა „მებერი“ — „მხატვრული“ ტექსტიდან თავისთავადაც დიდი მიღწევად იტყობა, სწორების დროს, პუშკინი ხელახლა გააყვია ფიქრს, რომელმაც წარმოშვა ამ სტროფის ერთ-ერთი აღზრდილი ვარიანტი, სადაც სურათს შერთალად აქვდაყვანდა სიტყვა „по-никла“ (დადრკა) და კიდევაც მიაგნო მის გამოხატავად სრულყოფილ ფორმას.

პოეტი, საერთოდ, ძალზე მტკიცეულად დებულობს რედაქტორულ შენიშვნებს, რადგან, სხვა რომ არა იყოს რა, ძნელია ლექსის სწორება. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში „იძულებით“ ამუშავებული პოეტური ფანტაზია აზრის ისეთ გამოხატულებას ნახულობს, რომ ავტორი თავად რჩება აღტაცებულ, და, თუნდაც სრული თავისუფლება მიიღოს, წინანდელ ვარიანტს აღარ დაუბრუნდება. ეს კარგად იცის ყოველმა პოეტმა.

წლების მანძილზე თანდათან ხდებოდა „ბრინჯაოს მხედრის“ ტექსტის გაწმენდა მეფის მითითებით მოხდენილი იძულებითი გასწორებებისაგან, მაგრამ ამ სტროფის გასწორება, იშვიათი გამოხატვისის გარდა (ვესტგროვის რედაქცია), ძალიან რჩებოდა. უკანასკნელ პერიოდში მოხსნა ყველა გასწორება. სამწუხაროდ, საკითხის შექანიერება გადაწყვეტამ იმსხვერპლა განხილული სტროფის მალაშხატრულობა. პუშკინისეული გასწორება ამ სტროფს უფროდ უნდა დაუბრუნდეს. არაა საჭირო ამ შემთხვევაში ჟინში ჩაუდგეთ ნიკოლოზ პირველს, თორემ აქაც ვრთავარ შებრუნებულ ცენზურას მივიღებთ.

ლერმონტოვის ზოგიერთი ლექსი, და განსაკუთრებით პოემა „დემონი“, თანამედროვე რუსულ გამოცემებში არ არის დამაკმაყოფილებლად წარმოდგენილი.

„დემონის“ ტექსტს რთული ისტორია აქვს. ამ პოემის თემა ათი წლის განმავლობაში იპყრობდა პოეტის ყურადღებას. არსებობს პოემის რამდენიმე ვარიანტი. უკანასკნელი რედაქციით (1841 წ.) პოემა ხელნაწერი სახით ვრცელდებოდა, ვინაიდან დაბეჭდვა ცენზურული პირობების გამო არ ხერხდებოდა. სამეფო გვარეულობის ერთმა წევრმა მისი წაკითხვა მოისურვა. ლერმონტოვმა გადააწერა კალიგრაფის პოემა და გავზავნა სასახლეში. რამდენიმე დღის შემდეგ იგი უკან მიიღო.

ლერმონტოვის სიყვდილის შემდეგ ამ კალიგრაფიული ხელნაწერის ერთი ასლი ხელზე ჩაუვარდა ე. თ. ფილოსოფოსს და 1856 წელს დაბეჭდა იგი საზღვარგარეთ, კარლსრუეში. ფილოსოფოსი, როგორც იტყობა, არ დარჩა კმაყოფილი მის მიერ გამოქვეყნებული პოემის ტექსტით და გამოითხოვა რუსეთიდან ლერ-

მონტოვის ნათესაისა და მეგობრის სტოლიბინისაგან პოემის ნამდვილი ავტორადი და მიიღო კიდევ. 1857 წელს კარლსრუეში გამოვიდა პოემის მეორე გამოცემა, განსხვავებული წინა წლის გამოცემისაგან. „დემონის“ ყველა მომდევნო გამოცემა რუსეთში ძირითადად ემყარებოდა კარლსრუეს 1857 წლის რედაქციას, რომელიც ამგვარად ტრადიციული ვახდა. მხოლოდ ჩვენი საუკუნის ოცნა წლებში ლერმონტოვის თხზულებათა გამოცემის რედაქტორებმა კ. ხალაბაევმა და ბ. ეიხენბაუმმა „დემონი“ დაბეჭდეს კარლსრუეს 1856 წლის გამოცემის მიხედვით და მას შემდეგ ეს დეფინიტიური ტექსტი იბეჭდება. სწავლულ რედაქტორებმა ცდილობენ დავენიშნოთ, რომ სხვისი ხელით გადაწერილი ასლის ასლი, რომელიც კარლსრუეს პირველ გამოცემას დაეჯი საფუძვლად, უფრო სიმძლავრე იქნებოდა, ვიდრე თვით ავტორადი, მაგრამ რა აზრი აქვს ამ ისედაც ახირებულ მტკიცებას, როცა ფაქტები სულ სხვას მეტყველებენ. აი ეს ფაქტები. პოემის ტრადიციულ ტექსტში დემონის ერთი ცნობილი მონოლოგი ასე იწყება:

«Я тот, которому внимала  
Ты в полуночной тишине,  
Чью мысль, душе твоей шептала,  
Чью грусть ты смутно отгадала,  
Чей образ видела во сне;  
Я тот, чей взор надежду губит,  
Едва надежда расцветет,  
Я тот, кого никто не любит  
И все живущее клянет.  
Ничто пространство мне и годы;  
Я бич рабов моих земных,  
Я царь познания и свободы,  
Я враг небес, я зло природы,  
И, видишь, я у ног твоих!»

ამ ამონაწერის ხუთ პირველ სტრიქონს მოსდევს ჩვენი დროის გამოცემებში ექვსის ნაცვლად შემდეგი სამი სტრიქონი:

«Я тот, чей взор надежду губит;  
Я тот, кого никто не любит,  
И бич рабов моих земных».

ამგვარად, პოემის ამ უზნიშნელოვანეს ადგილას ამოვარდნილია სამი შემდეგი სტრიქონი:

«Едва надежда расцветет»,  
«И все живущее клянется»  
«Ничто пространство мне и годы».

რედაქტორები კეთილსინდისიერად აღნიშნავენ ამ სტრიქონების არსებობას არა მარტო კარლსრუეს 1857 წლის, არამედ ყველა მომდევნო გამოცემაში და, მასასადაემ, სთვლიან მათ ავტორის მიერ უარყოფილ ვარიანტებად. ესაა სრული გაუგებრობა. ლერმონტოვმა

აღნიშნული სამი სტრიქონი კი ვერ უარყოფ, არამედ, პირიქით, შესთხოვა პოემის ამ მონაცემების საბოლოოდ ჩამოყალიბებისას (დროის უკან) კარაა, რომ მათი შეთხზვის სწავლულმა გამოცემებმა იწყეს უმათარესად რიტმის მოთხოვნილებამ: უმათოდ ტექსტი შექმენილია, რიტმი შეხუთული. ამგვარ ლექსში, სადაც რითმის წყობა ასიმეტრულია, ე. ი. სადაც ერთსაზოვანი სტროფების ნაცვლად გვხვარდენი, შემოღვევლი, წყვილი და სამწევრი რითმები სცვლიან ერთმანეთს არა განზომიერი თანამიმდევრობით, პოეტს საშეალება ეძლევა მიადგინოს რიტმის მეტად მდიდარულ მოძრაობას, თუ მას შესწევს საინისი უნარი. ლერმონტოვი არახვევლობრივ ოსტატობას ამდღავენს ამგვარ შემთხვევაში; სკირო რიტმის შეგარბობა მის მიერ უცდომელია. ზემოთმოყვანილ ამონაწერში პირველი ხუთი სტრიქონი ერთი სტროფია, რომელშიც მოცემულია სამწევრი რითმა (პირველი, მესამე და მეოთხე სტრიქონები). ერთ თავის ლექსში ლერმონტოვი ხომ ამბობს, რომ მას ვაგოებზეთ უყვარს სამწევრი რითმა („И без ума от тройственных созвучий“). ამონაწერის მომდევნო სტროფი ოთხი სტრიქონისაგან შედგება გვარადენი რითმით; აქ კერძო პოეტს ჰქონია წყვილრიტმიანი ორი სტრიქონი და გაუფაართოებია იგი. ამონაწერის დანარჩენი ხუთი სტრიქონი წარმოადგენს აგრეთვე ერთ სტროფს და, მსგავსად პირველისა, შეიცავს ლერმონტოვის საყვარელ სამწევრი რითმას; უმალ აქ მას ჰქონია ოთხსტრიქონიანი სტროფი შემოღვევლი რითმით. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ საბოლოო რედაქციებში სამი სტრიქონის ჩამატებით, პოეტს რიტმულად უმაღლეს დონეზე აუყვანია ლექსის ეს მონაცემი. ამას უნდა დავამატოს, რომ ლექსი შინაარსურულადაც დიდადაა გამდიდრებული. კარლსრუეს პირველ გამოცემაში ამ სამი სტრიქონის ვერ მოხვედრა რალაც შემთხვევითაა გამოწვეული. ისინი აუცილებლად ისევ ძირითად ტექსტში უნდა მოხვდნენ.

მაგრამ ლერმონტოვის თხზულებები ხომ ხშირად იცემა რუსულად, და იქნებ ბოლო ხანში აღნიშნული სამი სტრიქონი აღდგენილია? ვიხედებო 1954 წლის გამოცემაში — არ არის. ხელთ ვიღებ სულ ბოლო გამოცემის მეორე ტომს (1958 წ.) — არ არის (არის იქვე მოთხოვნილებულ 1838 წლის ვარიანტში). ამგვარად, ვრწმუნდებით, რომ ეს სამი სტრიქონი საბოლოოდ გაქვევებულია პოემის ძირითადი ტექსტიდან. საყვირველია: მომდერალმა რომ დემონის არიამი ერთი სიტყვა გამოტოვოს, მსმენელს გაოცდება, დაბეჭდულ პოემაში კი გამოტოვებულია სამი სტრიქონი და ამას არავინ უყრადლებას არ აქცევს.

გააკეთეთ კიდევ რამდენიმე შენიშვნა კარლსრუეს პირველი გამოცემის მიხედვით გავ



რცელბული ტექსტის ნაეღლოვანებათა შე-  
სახებ. ტრადიციულ ტექსტში ვკითხვლობთ:  
«Отрекся я от старой мести  
Отрекся я от гордым дум».

ამასთან შედარებით უძველად არ ვარგა  
წყაიხება «Я отрекся» და «Я отрекся». ეს  
წყაიხება ცუდია, როგორც რატომღაც, ისე  
ენობრივად.

ახლანდელი წყაიხება სტრიქონისა «Всем  
упошнем, всю властью» იძლევა ლექსში  
ზედმეტ მარცვალს. უნდა იყოს «упошьем»,  
როგორც ტრადიციულ ტექსტშია. ნეთუ ფი-  
ლოლოგია მოწოდებულია იმისთვის, რომ დი-  
ლხნის გასწორებული კაღის შეცდომა, თუნ-  
დაც იგი ავტორის გუთუნოდეს, ხელახლა და-  
უბრუნოს ტექსტს?

მელოვიანე ვეღალი, გარდაცლილი თამა-  
რის მამა, მერდში მჯიღს იცემს უსიტყვოდ. კჷ  
ტრადიციულ ტექსტში ნათქვამია — «неarmo-  
вно поражае грудь, ахал გამოცემებში კი  
ვკითხვობთ «неarmoльно поражаа в грудь»,  
რაც ნიშნავს იმას, თითქოს ვეღალი ვიღაც  
სხვათა სცემს მჯიღს მერდში. ეს შეცდომა  
გასწორებულია 1954 წლის გამოცემაში.

ტრადიციულ ტექსტში ვკითხვობთ:  
«Природа тешитса шута,  
как беззаботное дитя».

ახლანდელ გამოცემაში იბეჭდება «Как  
беззаботная дитя». ეს გრამატიკული შეუსა-  
ბამობა პოემის შეორე ადგილსაცა დაშეებელი  
(«реавую дитя»).

საინტერესოა, რომ ლერმონტოვის თხზუ-  
ლებათა შერით მოხსენებელ რედაქტორებს  
უარეუვით კარლსრუეს 1856 წლის გამოცემის  
ორი შეესაბამო წყაიხება: «Дыханья тысячи  
растений» და «чуждый выраженья», ნაც-  
ვლად მიუღიან ტრადიციული «Дыханья» და  
«чуждой», მაგრამ ეს მათ შენიშვნებში აღნიშ-  
ნული არა აქვთ. ალბათ იმიტომ, რომ აქ აშკა-  
რად დარღვეულია მათი რედაქტორული პრინ-  
ციპა.

პრინციპი დაურღვევით კიდევ ერთ შემთხ-  
ვევაში: დიალოგი ღმერთის შესახებ, რომელიც  
კარლსრუეს პირველ გამოცემაში არ მოიბოვება,  
შეუტანიათ ტრადიციული ტექსტადან. ეს  
ცვლილება კი მოხსენებელია შენიშვნაში: დია-  
ლოგი, ცხადია, არ მოხედებოდა სამეფო კარის-  
თვის გადაწერილ ასლშიო. შე აქ მიიდა ვისარ-  
გებლო შემთხვევით და ჩემი აზრი გამოვთქვა  
ამ დიალოგის შესახებ. «ღმონის» ტექსტუ-  
ლური ანალიზი ვეიჩვენებს, რომ ეს დიალოგი,  
რომელიც გვხვდება პოემის ადრინდელ რედაქ-  
ციებში და ძალზე ახალგაზრდა ავტორის შერ  
შენათხზავდაც გამოიყურება, თითქოს უკანას-  
კნელ რედაქციამა აღარ უნდა მოხედრილიყო  
მართლაც, ბოლო რედაქციამა დამუშავებულ  
ღმონის გრძელი, სახელგანთქმული მონოლო-

გი, რომელიც იწყება სიტყვებით «რატომ,  
ღმონი?» და თავდება სტრიქონებით:  
«მაგზოლუემი განვლულ შევიტყუე  
მეცდარ იმელების და ენებებისა»

აზრობრივად უშუალოდ იწყებს თამარის მონო-  
ლოგს:

«თუმც ვინაობა არ ვიცი შენი,  
ასე უზომოდ წამებულისა,  
უნებლიეთად ფარულის ლხენით  
ვისმენ, მსახერგლო ჩემის ველისა»... და სხ.

ამ ორ მონოლოგს შუა არის ჩართული დია-  
ლოგი ღმერთის შესახებ და ხელოვნრად თი-  
შავს მათ ერთმანეთისაგან. ეტყობა, ლერმონ-  
ტოვის განზრახვლა ჰქონია არ შეეტანა იგი  
საბოლოოდ დამუშავებულ ტექსტში, მაგრამ  
ვერ გაუმეტებია შინც გადასაგდებად და მოუ-  
თავსებია შიგ. თუ თვალს გადავავლებთ პოემის  
ადრინდელ რედაქციებს, აშკარად დავინახავთ,  
რომ ეს დიალოგი იქ, პირიქით, მოტყუელია  
სავსებით შესაფერ გარემოცვაში. ლერმონტო-  
ვის ყოყმანი ამ დიალოგის მიმართ იქედანაც  
ჩანს, რომ იგი სამეფო კარისთვის გადაწერილ  
პოემის ასლში არ შეუტანია. ამით სატულიადაც  
არ მინდა ვთქვა, რომ ის პოემაში არ უნდა შე-  
დოიღეს.

საერთოდ, «ღმონის» შესახებ უნდა ითქვას,  
რომ ამ პოემის ტექსტი მეცხრამეტე საუკუნე-  
ში სავსებით მოწესრიგდა; მისი ხელახალი არე-  
დარევა შეუწყნარებელია ვიცი, თუ, ამ აზრის  
საწინააღმდეგოდ, ხელნაწერებისა და მათი ას-  
ლების როგორი კორიანტლის დაყენება შეუძ-  
ლიათ ლერმონტოვის თანამედროვე რედაქტო-  
რებს. მაგრამ სიტყვა სხვაა და საქმე სხვა.  
ამ დიდებულ პოემის ტექსტის წვალებას ბო-  
ლო უნდა მივლით. შიდად უნდა გვახსოვდეს,  
რომ ლიტერატურული კვლევა-ჩიების საგანი  
მეტია, ვიდრე თვით ეს კვლევა-ჩიება.

ლერმონტოვის სახელგანთქმული ლექსი  
«უშეინის სიყვლილზე» ხელნაწერებად ერთდ-  
ნებობდა ხალხში. წარმოიშვა ვარიანტული წა-  
კითხვები. ზოგიერთი უვარგისი ვარიანტი ჩვენი  
დროის გამოცემებში დამკვიდრდა, მიუხედავად  
ტრადიციული ტექსტის არსებობისა. ტრადი-  
ციული ტექსტი მომდინარეობს ხელნაწერიდან,  
რომელიც დაერთო ამ ლექსის გამო შექმნილ  
სავამომჩიებლო საქმეს. ავიღოთ, ერთი სტრო-  
ფი ტრადიციული ტექსტიდან:

«He вы ль сперва так долго гнали  
Его свободный, чудный дар,  
И для потехи возбуждали  
Чуть затаявшийся пожар?»

ეს ახლა ამ სახით იბეჭდება:  
«He вы ль сперва так злобно гнали  
Его свободный, смелый дар,  
И для потехи радували  
Чуть затаявшийся пожар?»

ბევრათა ის იდეალური მუსიკალური წყობა. რომელიც ახასიათებს პირველად ამოწერილ სტროფს, დარღვეულია მის ვარიანტში სამა განსხვავებული სიტყვის მიზნით. სრულიად მიუღებელია ამრობრავად „Смелый дар“ ნაცლად წაითხვისა „чудный дар“, ვინაიდან ერთეული „გაბედული“ არა ემარა პეშკინის კლასიკალური პოეტური ნიღის დასახასიათებლად. გაბედული შეიძლება ეწოდოთ რაღვევს, პოლევავის ნიღს, პეშკინს კი პქონდა სწორედ „чудный дар“. დაუჯერებელი იქნება ვიღებროთ, რომ ლერმონტოვს დაუწერია სტროფი ჯერ ისე, როგორც პირველადა აქ ამოწერილი, და მერე გაუსწორებდა იმ სახით, რომელსაც შეორე ამოწერილი ვერხვენებს. რა თქმა უნდა, მომხდარა პირიქით.

ასევე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ლერმონტოვის ამ ლექსში ჯერ დაუწეროს — «Пустое сердце бьется ровно, в руке не дрогнет пистолет» და შემდეგ გაუსწორებოს „не дрогнул“, როგორც ჩვენი დროის გამოცემებშია ცხადია, პირიქით, პოეტს უმალ პქონია „не дрогнул“ და მერე მის ნაცლად დაუწერია „не дрогнет“ დროის შედარების მიზნით.

უკეთესია აგრეთვე ამ ლექსის ტრადიციულ წაითხვები — «Последних перенести, не могу, «Подобно сотням беглецов», «Клеветникам безбоязненным», «бесчувственных надежд», «глубокой жаждой мщенья» და «длинных песен», ვიდრე საბჭოთა გამოცემებში მიღებული მათი შესატყვისი ვარიანტები — «Последних вынести не могу, «Подобный сотням беглецов», «клеветникам ничтожным», «насмешливых надежд», «с напрасной жаждой мщенья» და «чудных песен».

ყველა ამ ვარიანტს წყალობით ლერმონტოვის აღნიშნული ლექსი — რუსული პოეზიის ერთ-ერთი მშვენიეა — ჩვენი დროის გამოცემებში ქაჯრავს თითქოს იმ დიდ მხატვრელობას, რომელიც მას გააჩნია.

ეს ჩემი უკანასკნელი შენიშვნა ცოტა განსხვავებული ხასიათის იქნება წინა შენიშვნებთან შედარებით. ლერმონტოვს აქვს ერთი პატარა ლექსი „მადლობა“. მადლობას ადრესატი ნაცუელასხელითაა აღნიშნული ლექსის პირველ სტრიქონში; თვით „მადლობა ირონიულია: პოეტი მადლობას უხდის მას, ვისაც პირადალ ტანჯვა და გულსტრეკილა მოუყენებია მისთვის ცხოვრებაში, და სთხოვს შოაწყოს ისე, რომ დღხანას არ დასჭირდეს მისთვის მადლობის გადახდა. თუ ჩვენი არ ვიცით, ვის ეწირება ეს მადლობა, მაშინ ამ ლექსს განსაკუთრებულ

მნიშვნელობას ვერ მივაჩიებთ, იცა რა მათი ბეჭდილებას ჩვენზე ვერ მოახდენს, მაგრამ თუ გვეცოდინება, რომ პოეტი ამ ირონიულ მადლობას უხდის ლმერთს, მაშინ სავსებით შეიძლება რძნობთ ლექსის დიდ სიმძაფრეს და დაინახავთ, რომ ირონია აქ ისეთ სარკაზმშია გადასული, რაც ლეთის მიმართ ძველად მკრებელობად უნდა ყფილიყო მიჩნეული. წინანდელ გამოცემებში ნაცუელასხელი ამ ლექსში დიდი ასოთი იწერებოდა («за все, за все тебе благодарю я»), რაც ნათელს ხდიდა, რომ მადლობა ლეთისადმი მიმართული, და ლექსის შინაარსის ათვისებაც ამის მიხედვით ხდებოდა. როდესაც ეს ლექსი მე ქართულად ვადმოვთარგმნე მისი ნაცუელასხელით (ქართულად ხომ დიდი ასო სმარებაში არ არის), დაეინახე, რომ არაეიეთისა შთაბეჭდილების მოხდენა მას მკითხველზე არ შეუძლია. მაშინ ავიღე და ნაცუელასხელი შევცვალე მის მიერ გამოსახატავი არსებითი სახელით (ღმერთით), რის შემდეგ თარგმანში ლექსმა შესაფერი წონა მოიპოვა.

საბჭოთა გამოცემებში ეს ნაცუელასხელი, ცხადია, პატარა ასოთა იბეულება. განმასხვავებელი ნიშანი აღარ არის. ჩვენი დროის მკითხველებს ჰგონიათ, რომ ლექსი „მადლობა“ ლერმონტოვს ვიღაც ქალის მისამართით დაუწერია. შემძლია მოვიყვანო ამის დამამტკიცებელი ფაქტი. „ეურნალ დროსას“ 1954 წლის მეთუ ნომერში დაიბეუდა ერთი ახალგაზრდა პოეტის მიერ შესრულებული ამ ლექსის თარგმანი, რომლის შესამე სტრიქონის ასე ითხვება: „რომ შენი ბავთი მშაში შევსეი დამართობელ“ («за горечь слез, отраву поцелуй»). გაუგებრობის გამო აქ შთარგმნელი გასამტყუნარი არ არის. ლექსის ნამდვილი შინაარსი მან შეიტყო ჩემთან პირად საუბარში, როცა თარგმანი უკვე დაბეუდილი იყო.

ლერმონტოვის თანამედროვე რუსულ გამოცემებში უნდა მოხერხდეს ამ არაჩვეულებრივი ლექსის ისე დაბეულება, რომ შესაძლებელი იყოს მისი სწორი გაგება. დიდი ასო აქ არც შეიძლება და არც უშველის საქმეს. ნაცუელასხელი „ದೆმა“ უნდა მივუბნებოდეს დამოირობორებელი ასოებით; მაგრამ ეს არა ემარა, საჭიროა აგრეთვე კომენტარებში გაიხსნას, თუ ვის ჰგულისხმობს აღნიშნული ნაცუელასხელი. სათანადო განმარტების მოთავესებას შენიშვნაში ბევრად მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე, მაგალითად, ცნობებს, თუ როდის გამოუყენდა ეს ლექსი პირველად, როდის შეორედ, სად ინახება მისი ავტორგრაფი, რა ფორმატის ქალაღდნა დაწერილი და სხვ. რა თქმა უნდა, არც ეს ცნობები იქნება შედმეტი ავადმეორ გამოცემაში.



# ნაზრომი მხატვრული: თარგმანის თეორიის საკითხებზე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თარგმნითი ლიტერატურა ყოველი ერის ორიგინალური ლიტერატურის ორგანული, განუყოფელი ნაწილია. ამის ნათელ დამადასტურებლად, შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი ქართული ლიტერატურაც წარმოადგენს. როცა ამა თუ იმ ხალხის სულიერი კულტურაზე სპეკულობენ, ორიგინალური ლიტერატურის გარდა, თარგმნითი ლიტერატურასაც ითვალისწინებენ. ყოველ დიდ ერს, საყოველთაო ორიგინალური შექმნის გვერდით, დიდი თარგმნითი ლიტერატურაც აქვს. თარგმნითი ლიტერატურა არა იშვიათად ზემოქმედებს ორიგინალურ შექმნაზე, მის მიმართულებასა და განვითარებაზე. მოვიგონოთ შექმნის გერმანული თარგმანები და მათი ზეგავლენა ახალ გერმანულ ლიტერატურაზე. რამდენი რამ დააკლდებოდა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურას ვანო შანაველის ზემოქმედების გარეშე! ანდა როგორ გაღარიბდებოდა მე-20 საუკუნის ჩვენი შექმნა გერონტი ქიქოძის თარგმნითი პროზა რომ გამოგვეყო!

... გოეთესათვის, მთელ თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში, ღირსსახივოვარ დიდ დარჩა ის დღე, როცა ეპიკური ბრძენი კალიდასას დრამას — „საქუნტალას“ გაეცნო. ჰუმბოლტი ლოცავდა იმ დროს, როდესაც ინდურ სავაზრო ეპოსს „მამა-პარატას“ კითხულობდა.

მთელი ევროპა განაცვიფრა ერთ დროს სპარსულმა და ჩინურმა პოეზიამ. ყველა ზემონათმეორე ზემოხევევაში შეამავლის რაღაც ვეროპულესა და აღმოსავლურ შექმნას შორის თარგმანი ასრულებდა.

შეიძლება ვაიხსენოთ ასეთი ფაქტი: შტუტგან ცვაიგის მიერ შესრულებული ემილ ვერპარნის ლექსების კონვენიალური გერმანული თარგმანის წყალობით ბელგიელი პოეტი ერთ დროს ავსტრიასა და გერმანიაში უფრო პოპულარული იყო, ვიდრე ფრანგულად მოლაპარაკე ქვეყნებში. ზოგიერთის აზრით, ემილ ვერპარნი მსოფლიო დიდებას თავის მთარგმნელს შტუტგან ცვაიგს უნდა უზადლოდეს.

მაგრამ შემწინებელი საწინააღმდეგო შემთხვევებიც, როცა თარგმანი ამა თუ იმ მწერალზე, მისი სპეციფიკისა და ზემოქმედებით ინდივიდუალობაზე ყალბ, არასწორ, დამახინჯებულ წარმოდგენას ქმნის. რასაკვირველია, აქ დამანაშავეა ცუდი თარგმანი. შეიძლება მთარგმნელი განზრახ, გაეცნობიერებულად, შეგნებულად ცდილობს დედნის „შეცლას“, გადასხვაფერებას, მასში

სუბიექტური ელემენტის შეტანას, მამასადავად, ესაა მისი თვალსაზრისი, მისი მთარგმნელობითი კრედო. ასეთ მთარგმნელთან შესაძლებელია თეორიული კამათი თარგმანის მეთოდოლოგიურა პრინციპების გამო (ასეთ მთარგმნელთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, კ. ბალმონტი), მაგრამ ვხედვით მეორე შემთხვევასაც: მთარგმნელს არავითარი თეორიული პრინციპები არ გააჩნია, მაგრამ პროფესიული მოქმედებლობის გამო ათვისდაუნებურად ცვლის, ასხვაფერებს დედნის სულს, შეაქვს მასში საკუთარი „სულისკეთება“. ამ მეორე შემთხვევის ჩინებულ მაგალითად გამოდგება ერის მარია რემარკის „სამი ანბანაკის“ ქართული თარგმანი, რომელშიაც დედნის ვაჟაყფრი, მამაკაყფრი, სპეციფიკურად რემარკისებური გულითადად შეცვალა საანტიმენტალური, მელოდრამატული განწყობილებით.

... ღიორ ფოიბტანგერს ერთ-ერთ წერილში ეწერდო: „პატარა ერის (განსაკუთრებით არაევროპელისა) უხედავება ისაა, რომ მისი ენა მსოფლიოში თითქმის არავინ იცის და ამიტომ მისი ლიტერატურაც უცნობია. პატარა ერის ლიტერატურა მთლიანად თარგმანის ანბანაკა მითარგმნული“.

ამიტომაც, რომ ყველა პატარა ერისათვის, და განსაკუთრებით ისეთი ხალხისათვის, რომლის ენაც თითქმის უნათესავთა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თარგმანის თეორიას, თარგმანის პრობლემების გარვევასა და გადაწყვეტას. თუ ჯერჯერობით ჩვენი შოთა რუსთაველი მსოფლიოში საკადრისად არაა დაფასებული, თუ ჩვენი ქვეყნის გარეთ ხეირიანად არც კი იცნობენ ნიკოლოზ ბარათაშვილის, ანდა ვიყავს პოეზიას, თუ გალაკტიონის განუმეორებელი მელიქია ვეროპელთის მთვლემელია, ამის მიზეზი მარტო ჩვენი ენის უყოღინარობა კი არაა, არამედ ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების მერტაკეზად რიგინი თარგმანების უქონლობაც.

... გვი გაჩენილამის ფუნდამენტური ნაშრომი — მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“ (თბილისი, 1959), არა მარტო „ხელს შეუწყობს ქართველ მთარგმნელთა საქმიანობას“ (გვ. 4), როგორც მორიდებულად აღნიშნავს ავტორი, არამედ ის მნიშვნელოვანი შენახვია, საერთოდ, მხატვრული თარგმანის თეორიის სფეროში და საგრძნობი დარგებულების მქონეა როგორც ქართული ლიტერატურის უცხო

ენებზე, ასევე უცხო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის საქმეში.

თარგმანის თეორიის შემუშავებისას ყოველთვის ასეთი საკითხები წამოიჭრება: რა მიზანს ისახავს თარგმანი? დედნის სპეციფიკის, ორიგინალის სულისა და არსის „რეპროდუქციას“, თუ დამოუკიდებელი, ახალი, თავისთავადი ნაწარმოების შექმნას, რომელსაც ნათარგმნობა ოდნავადაც არ ეტყობა? ღირსება თუ არა თარგმანისა, როცა მის ვერ შეატყობს, რომ თარგმანი? ანდა: ნაკლია თუ ღირსება, როცა მხატვრულა თარგმანში თავის ინდივიდუალობას ამტკიცებს? რამდენად გამართლებულია მთარგმნელის სრული „გარდასახვა“, როცა ის მთლიანად გადასახლება დედნისა და მისი ავტორის სახეთა და გამომატველ საშუალებათა, აგრეთვე აზრთა წყობისა და ემოციების საშუაროში? და პირიქით, მისაღება თუ არა დედნის გამომატველ ენობრივ და მხატვრულ საშუალებათა მთლიანი შეცვლა მთარგმნელის ენისა და პოეტის კანონების მიხედვით? და ა. შ.

თარგმანის შესახებ არსებულ თეორიულ ლიტერატურას თუ გადავხედავთ, თავდაპირველად ისეთ შთაბეჭდილებას მივიღებთ, რომ თითქმის ყველაფერი ნათელი და აშკარაა: ყველა აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ თარგმანი კარგი, სრულფასოვანი, ადეკვატური უნდა იყოს, უნდა ვაღმოვცემდეს დედნის სულსა და არსებას, თანდა ნათარგმნი ენის ლიტერატურის ორიგინალს ნაწილად უნდა იყოს ქვეყნის; სიტყვა-სიტყვით თარგმანი არ შეიძლება და არც შეტისმეტად თავისუფალი თარგმანია მისაღები. ერთხმად აღნიშნავენ აგრეთვე, რომ თარგმანი შემოქმედებაა, შრომასთან ერთად სპეციფიკურ ნიჭსა და უნარს მოითხოვს.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული ცარიელ ფრაზებად, დეკლარატიულ განცხადებებად, ზოგად მსჯელობად დარჩება, თუ ისინი არ დაკონკრეტდება, არ შეივსო ხელშესახები და პრაქტიკულად ლიტერული შინაარსით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოთქმულის ვაგება და ინტერპრეტაცია ათსწინააღ შეიძლება. ასე რომ, არც ისე მარტვადაა საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

გვიკავიჩილაძის წიგნის მიზანია, გააკვივოს მხატვრული თარგმანის თეორიის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები, დაგვიმტკიცოს და გვიჩვენოს, რომ თარგმანი უნდა იყოს (და შეიძლება იყოს კიდევ) ლამაზი! (ე. ი. თარგმანი ორიგინალური ნაწარმოებზე თუნდბრედ უნდა ეყრდნობეს) და ამასთან, ერთვულიც (ე. ი. დედნის ადეკვატური). რაც მთავარია, ავტორის განზრახვა გვიჩვენოს, ვასწავლოს, თუ

რა გზით, რა საშუალებებით შეიძლება ზემოთქმულის მიღწევა.

თარგმანი რომ კარგი, ე. ი. სრულწმინდი, ანდარეალისტური უნდა იყოს, ეს ყველამ იცის ზოგადად, მაგრამ გ. ვაჩიჩილაძის დამსახურება ისაა, რომ მან კონკრეტული შინაარსი ჩასდო ამ ცნებებში და ნათლად გვიჩვენა, თუ რას ნიშნავს, ანდა როგორი უნდა იყოს კარგი თარგმანი. ავტორმა, ცოცხალი მავალითების მოშველიებითა და მათი დახვეწილი ანალიზით, ადეკვატური თარგმანის მიღწევის გზები დასახა, ლოგიკური სიმწუვობითა და თეალსაინოებით, ქართული ენობრივი გამოხატველი საშუალებებისა და ქართული ლიტერატურის სპეციფიკის ვითვლილწინებით, მოახა ასეთი თარგმანის განხორციელების ზერებები. უდარეხად საინტერესოა ავტორის მსჯელობა რეალისტური თარგმანის მეთოდზე. წიგნის ძირითად პრობლემას სწორედ რეალისტური თარგმანის დღევანდელი გაგების ჩამოყალიბება წარმოადგენს. ტერმინი — რეალისტური თარგმანი — რასაკვირველია, ვივი ვაჩიჩილაძის გამოგონილი არაა და არც მის არ უხმარია იგი პირველად. მაგრამ დღემდე ამ ცნების შინაარსი ერთობ გურკვევითა იყო, რადგან არ ეციოდით მისი არსებითი ნიშნები.

მხატვრული თარგმანის თეორიაში რეალისტური თარგმანის ცნების განსაზღვრას ყველაზე მნიშვნელოვანი ცდა, რამდენადაც მე ვიცი, აქამდე ეკუთვნოდა საკმაოდ ცნობილ მთარგმნელსა და ლიტერატორს ივ. კაშინის (იხ. „Вопросы художеств. перевода 1955, стр 125; 126 — 127).

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ივ. კაშინი ერთგვარად სტიქიურად, თითქოსდა ვაუცნობივრებლად მივიდა რეალისტური მეთოდის აღიარებამდე. მის ნაშრომში ეს მეთოდი არაა თანმიმდევრულად ჩამოყალიბებული, მეთოდოლოგიურად დასაბუთებულია და მეთოდოლოგიურ სისტემაში მოქცეული.

ივ. კაშინის მსჯელობაში რეალისტური მეთოდი, როგორც თვითონვე აღნიშნავს, მხოლოდ „სამუშაო ტერმინია“, ხოლო გ. ვაჩიჩილაძის ნაშრომში რეალისტური მეთოდი გამოყვანილია მთელი მეთოდოლოგიური სისტემიდან, დაკავშირებულია მწერლის მსოფლმხედველობასა და პოეტურ კრდოსთან.

ასახვის თეორიაზე დაყრდნობით გ. ვაჩიჩილაძე ასაბუთებს მხატვრული თარგმანის გამოსავალ პოზიციებს.

თარგმანის შემთხვევაში გ. ვაჩიჩილაძე დედანს ასახვის ობიექტად მიიჩნევს, ე. ი. თარგმანი, მისი აზრით, დედნის მხატვრული სინამდვილის რეალისტური ასახვაა. ამდგევარად, თარგმანის თეორია დაახლოებულია ორიგინალური ლიტერატურას კრიტიკიუმებთან (ორიგინალური ლიტერატურის ასახვის ობიექტს — ცოცხალ სინამდვილეს თარგმანის შემთხვევაში ცვლის დედნის სინამდვილე — როგორც ასახვის ობიექტი). მაგ-

1. ავტორი შესავალში იშველიებს ვაერცელზე-ბელ პარადოქსს: „მხატვრული თარგმანი მოგვადგონებს ქალს: თუ ლამაზია, ერთვული არ არის, თუ ერთვულია, ლამაზი არ არის“ (გვ. 3).

რამ მხოლოდ ამის თქმა სრულიად ვერ გამოავლენდა რეალისტური შეთოდის ცნების მთელს სიღრმესა და სიმდიდრეს. ამასთან მხოლოდ ამის აღნიშვნა მთარგმნელის სპეციფიკურ როლს რამდენადმე გააღარიბებდა და მის ფუნქციას თითქოსდა ერთგვარად ორიგინალური შემოქმედის ფუნქციასთან გაიგივებდა. გ. განვიჩილაძე აქ არ შეჩერებულა: მან უერთადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მთარგმნელის წინაშე ორივე ამოცანა დგას: მან უნდა შეიცნოს საკუთრივ ის ცოცხალი, ემპირიული სინამდვილე, რომელიც დედანშია ასახული და, მეორე მხრივ, სწავდეს უშუალოდ დედანში მხატვრულად გადამწვავებულ სინამდვილეს. მთარგმნელმა არა მარტო დედანი (დედნის სინამდვილე) უნდა შეისწავლოს; არამედ მან სხვა წყაროებითაც უნდა გაიცნოს დედანში ასახული ემპირიული სინამდვილე. მაშასადამე, თარგმანი წარმოადგენს ასახვის ასახვას: გვიც განვიჩილაძის მიერ დადგენილი თარგმანის ეს სპეციფიკა, უმკვეთად, მნიშვნელოვანი ღირებულებების მქონე თეორიული მონაპოვარია.

აქვე შეიძლება შევნიშნოთ: ასევე უადრესად სანატერესია ავტორის მსჯელობა მხატვრულ თარგმანზე. არა როგორც დედნის ასლის ვადმოღებაზე, არა როგორც უბრალო რეპროდუქციონზე (ასეთია არამხატვრული, მეცნიერული ლიტერატურის თარგმანი), არამედ როგორც მხატვრულ ასახვაზე მისი ყველა არსებითი ნაწილი (მხატვრულ თარგმანში ასახება დედნის არა სრულ სურათი, არამედ ტიპური, დამახასიათებელი, არსებითი მომენტები). ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება თარგმანის შემოქმედებითი ხასიათი და მისი გარკვეული ანალოგიურობა ორიგინალურ ლიტერატურასთან.

თარგმანის თეორიის დარგში ავტორის თეორიულ მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე მთარგმნელობის შეთოდისა და ლიტერატურულ მიმართულებას შორის შესაბამისობა — სანამდენინობის დადგენა. ამ მხრივ საკულისხმო მავალითებია მოტანილი ბალმონტის, ბრიუსოვის, ინოკენტი ანენსკის, პასტერნაკისა და სხვათა თარგმანებიდან. მაშასადამე, მტკიცდება, რომ ამა თუ იმ მთარგმნელის შეთოდს განსაზღვრავს მისი მსოფლმხედველობა და მისი იმპრიატივა ამა თუ იმ ლიტერატურულ სკოლასთან.

აქ ერთ გარემოებას უნდა მივუქცეს ყურადღება. ხელოვნება, საერთოდ, და მხატვრული ლიტერატურა, თუნდაც მხატვრული თარგმანი, კერძოდ, მეტრისმეტად რთული, ნიუანსობრივი და ყოველგვარი სქემისა და სწორბაზონების გამოშრიცხველი ფენომენიაა მასში ყოველი კანონზომიერების მათემატიკურად ზუსტი დადგენა ვერ სერხდება. ამიტომ ლიტერატურათმცოდნეობას, ანდა თარგმანის თეორიას, საკლავო ობიექტის ამ სპეციფიკურობის გამო, ვერ მოვითხოვთ ურყევი და „დამწმენდილი“ ფორმუ-

ლებისა და კანონების გამოყენებას. აქ ყოველთვის რჩება ადვილი დავისა, შეუთანხმებლობისა და დაუმკვიდრებლობის.

ლიტერატურათმცოდნეობა და თარგმანის თეორია სწავლობს ადამიანის ფსიქიკის პროდუქტს, რომელიც გაცილებით რთულია, ვიდრე ბუნების პროდუქტი. ამიტომაცაა, რომ ზოგიერთი რამ აუხსნელი რჩება თარგმანის თეორიისათვის. ასეთ სიძნელეთა რიცხვი მიეუთვნება, ჩემი აზრით, მავალითად, შემდგომ ფაქტებს: თუ ლიტერატურულ სკოლასა და მთარგმნელობის შეთოდს შორის შესაბამისობაა, ე. ი. ნატურალისტი თარგმნის ნატურალისტურად, რომანტიკოსი რომანტიკულად, იმპრესიონისტი იმპრესიონისტურად, სიმბოლისტი სიმბოლისტურად და ა. შ. და, მაშასადამე, რეალისტური თარგმანი, ისევე როგორც მხატვრულ ლიტერატურაში სხვადასხვა მიმართულებებს შორის რეალიზმი, უნდა აღემატებოდეს, და აღემატება კიდევ, სხვა შეთოდით შესრულებულ თარგმანებს, მაშინ როგორცაა ხდება, რომ შლეგელისა და ტიკის შექსპირის დრამების რომანტიკული თარგმანი ჯერჯერობით გერმანულ ლიტერატურაში უბრწყინვალესად, სანამდენიმე და კლასიკურად ითვლება, თა არა მარტო გერმანულ ლიტერატურაში! და საქმე ისაა, რომ გერმანულ ენაზე შექსპირის უამრავი თარგმანი არსებობს! შესაძლოა, აქ ერთმანეთს დაემთხვა რომანტიკული სკოლის ამოცანა (უცხო ერის სულში ჩაწვილობისა) და რეალისტური შეთოდისათვის დამახასიათებელი ობიექტური ასახვის პრინციპი. მაგრამ არ არსებობს ამ მოვლენის ერთადერთი უტყუარი და მათემატიკურად ზუსტი ახსნა. შესაძლებელია მრავალი ვერაუდის წამოყენება.

საინტერესოა ამბავს მოგვითხრობს პოლონელი მწერალი და მთარგმნელი შ. ასტრუნი. მას კარგად უთარგმნია პუშკინი, ლერმონტოვი, არაგონი და შაიკოვსკი. მისი აზრით, ეს თარგმანები დედნების ადაკავტურია, ასტრუნი აღნიშნავს: მე დაერწმუნე, რომ მთარგმნელს დათვის ენის ფარვლებში შეუძლია შექმნას დედნის ბადალი ნაწარმოებებო. მაგრამ, როცა პოლონულ მთარგმნელს უცდია გოტეს, ჰაინეს, პოლდერლინისა და რილეს თარგმან, მარცხი განუცდია. და ისტორიის დასვენს, ამის შემდგომ ეკვი შემეპარა საერთოდ თარგმანის მიზანშეწონილობაშიო.

ამ გარემოების ზუსტი მიზეზის დადგენა შეუძლებელია. პუშკინი, ლერმონტოვი, ანდა შაიკოვსკი რომ კარგად თარგმან, ამის ახსნა შეიძლება პოლონური და რუსული ენების, აგრეთვე პოლონურებისა და რუსების ნათესაობით, ხოლო გოტეს, ანდა პოლდერლინის ცუდი თარგმანი, შესაძლოა, პოლონური და გერმანული ენების საგრძნობი სხვადასხვაობით იყოს პირობადებული.

მაგრამ აუხსნელი დარჩება ის, თუ რატომ მოიპოვა წარმატება არაგონის თარგმნისას, იმ დროს, როცა მარცხი განიცადა ჰაინეს შემთხვე-



ვაში. ისტორიი გარკვევით აღნიშნავს, რომ მას განსაკუთრებით უკიოს გერმანული პოეზიის თარგმნა. იგივე ისტორიი შენიშნავს, როცა ჩემი ლექსების გერმანულ თარგმანს ვკითხულობ, დიდი ხნით გტყნება მიფიქვლებო, ვიფიქვებ, მეტად აღარ დაეწერო ლექსებიო (იხ. „NDL“, 1956, N 7, „გზა ვაიმარისაკენ“).

საქმე ისაა, რომ ისტორიი კარგი მთარგმნელია. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, მაინც არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ პოლონური პოეზია გერმანულ ენაზე ცუდად ითარგმნება ანდა, პირიქით, გერმანული ლექსის ბუნებას ვერ იგულებს პოლონური ენა. რადგან არსებობს გერმანული ლირიკის კარგი პოლონური, და პოლონური პოეზიის რიგიათი გერმანული თარგმანები.

გ. გაჩეჩილაძის წიგნში თარგმანის პრობლემის გადაწყვეტა-გარკვევისას მოწოდებულია მხატვრული ლიტერატურის, მისი კონკრეტული ნიმუშების სპეციფიკურ ნიშანდობებთან ესთეტიკური ანალიზი. ეს საგანგებოდ აღსანიშნავია, რადგან ჩვენში მეტწილად იწერება წიგნები და შრომები, რომლებშიაც ცალმხრივად, მხოლოდ იდურო მხარის გათვალისწინებითაა განხილული მხატვრული ნაწარმოებები: ნებისთი თუ უნებლიედ. იგნორირებულია მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკა, არაა განხილული მხატვრული ქმნილებანი მხატვრული ზერებებისა და სტილის მიხედვით.

უღრესად საინტერესო და ღირებულია გ. გაჩეჩილაძის დავიერებები პროზისა და პოეზიის თავისებურებებზე. პროფესიული ლიტერატორის ტაქტიკა და გეოგეზებთთაა ვაანალიზებული ცალკეული სათარგმნი დედნისა და მათი თარგმანების ურთიერთმიმართება, ნატყვადაა დაწახული და გადმოცემული მათში ჩატყვიელი ემოციები, განწყობილებანი და მხატვრულ-სტილური ნიუანსები.

განსაკუთრებით მინდა გამოვეყო ჩვენი ბრწყინვალე მთარგმნელისა და ესეისტის — გერონტი ქიქოძის განმეილაძისეული გონებაშახვილური და გქსპრესიული დახასიათება. გერონტი ქიქოძე ქართული ენის უდიდესი არტისტი, მის ზღვში ქართულმა ენამ საოცარი მოქნილობა, ფეროანება და ელუარება შეიძინა, რაც კიდევ დღესანს შეინარჩუნებს სტილური ნიმუშის მნიშვნელობას. გერონტი ქიქოძეზე თითქმის არაფერი დაწერილა. ჯერჯერობით არავის შეუტყვავლია მისი თარგმნის მეთოდი და ტყქნიკა. სპეციალურად არავინ დაინტყვრესებულა ქართული ესეის საყვანისარომლის სფეროში პირველობა უქველად გერონტი ქიქოძეს ვუთმვის.

გივი გაჩეჩილაძის უღრესად საინტყვრესო და სწორი შენიშვნები გ. ქიქოძის თარგმანებსა და ესეისტყვანზე ჩინებელი შესავალია ჩვენი თანმედროვე უნატყვრელი სტილისტისა და რიგიენალური მოაზროვნის შემოქმედების შესყვავლი-

სათვის. გივი გაჩეჩილაძე წერს დამაინტყვრესებლად, ფეროვანი, ემოციური სტილით. მას განსაკუთრებით უყვანს ხასს, რადგან წყვეტენის შენიშვნის მომყვინიერო ლიტყვრატორი თუ ლიტყვრატურის ისტორიკოსი იფიწყებს, რომ მხატვრულ ნაწარმოებზე წყრა არ შეიძლება იმ სტილით, რითაც კათედრის სხდომის ოქმებს, ანდა კანცელარულ განცხადებებს წყრენ. ისინი ლიტყვრატურულ მოვლენებზე ისე მსჯელობენ, თითქოს საბუნხალტრო წიგნებში კრედტსა და დებეტს ადგვენო. ამის გამო ასეთი ლიტყვრატორების წიგნებში მყოხბული ვერ წყდება ესთეტიკურ ნიუანსში. და რადგან მათი სყველა ნაშრომები თუ ნარკვევები, დაწყვრილია ისეთი ენით, რომელიც უსიამო მალაღყვრადოვნებისა და კანცელარულ-მედანტური სტილის ნახავს წარმოადგენს, ამიტომ მყოხბულს ძალიან უკიოს მათი ბოლომდე ჩაყთხვა. ლიტყვრატურის იმდავარ სპეციალისტებს არ ესმით, რომ მყენიერული სიზუსტე ლიტყვრატურათმცოდნეობაში არ გულისხმობს უფეროვნო, უგემურ და უღამალაში სტილს.

გ. გაჩეჩილაძის წიგნი — „მხატვრული თარგმანის საყთხები“ — აღსატყვრებს, რომ შესალებელია მხატვრული ლიტყვრატურისა და მხატვრული თარგმანის საყთხებზე ფეროვანი, ცოცხალი, ემოციური ენით წყრა, ისე რომ ოდნავადაც არ მყრდებოდეს წიგნის მყენიერული, შემყენებებით მნიშვნელობა.

...სასტყველი იყო, რომ აეტორს თავის წიგნში შეეყანა მხატვრული თარგმანის პრობლემის ისტორიის თუნდაც მოკლე მიმოხილვა დასავლეთსა და რუსეთში. ეს ამ სერიოზულსა და სოლოდურ ნაშრომს მთლიანობასა და სისრულეს შესყვნდა. განსაკუთრებით საინტყვრესოა თარგმანის თეორიის მდგომარეობა თანამედროვე დასავლეთში.

მართალია, როგორც თვითონ აეტორი შენიშნავს, მთარგმნელისათვის მხატვრული ლიტყვრატურის შესამე ეანრი, დრამა პრაქტიკულად წარმოადგენს ან პროზას ანდა პოეზიას (ლექსის ფორმით შესრულებულ ნაწარმოებს), და დრამის თარგმნის ტყქნიკა თუ ტყქნოლოგია პროზისა, ან პოეზიის თარგმნის ტყქნოლოგიათმდე დაყევანება, მაგრამ ამ ეანრს მაინც ვაანინდა თავისი სპეციფიკური თვისებები, რომელიც უთუოდ აისახება თარგმნის პროცესში. კარგი იქნებოდა, წიგნში სათანადო ადგილი დათმობოდა დრამატული ნაწარმოების თარგმნის საყთხსაც, მით უმეტეს, აეტორი შექსპირის დრამების მთარგმნელიცაა. საფიქრებელია, რომ დრამა, რომლისთვისაც სანაშაობითი ელემენტი და ცოცხალი, მოსამყენი, სცენიური მეტყველება დაშახასიათებელი, აეტორს მრავალი საყვლისაგან დაყვრებინდა და დასყვნის გამოტანის საფუძველს მისცემდა.

## უახა სიხიაშვილი



# ძიების გზით

(ო. კილაძის წიგნის „მატარებლების და მგზავრების“ გამო)

მწერლის შეფასება იმ სიხლიდან იწყება, რომელიც მას და მხოლოდ მას ახასიათებს, რომელიც მას შემოაქვს ლიტერატურაში.

ეხლახან გამოვიდა ო. კილაძის ლექსების პატარა კრებული, დიდად საინტერესო და კამათის ღირსი. წიგნი თამამად შეგვიძლია წავეყუნოთ ყველა ის მოთხოვნისგან, რაც კი კარგა და უკემპირიტო პოეზიას აქვს იტყობის.

ამ კრებულის ავტორი არ დღის დატყუბილი გზებით. იგი ეძიებს საკუთარ გზას და სხვის მიერ თვალდატყუარ საგნებსა და მოვლენებს, და არა მარტო ეძიებს — ხშირად კიდევ პოულობს.

მწერლის მნიშვნელობას ერთადერთი საზომი აქვს — იგი უნდა აკმაყოფილებდეს თავისი დროის მხატვრულ-ესთეტიკურ მოთხოვნებს და გამოხატავდეს იმ საზოგადოების იდეურ ტენდენციებს, რომელსაც ეკუთვნის. ო. კილაძის შესახებ ვაძეგულოდ შეიძლება თქვას, რომ იგი თანამედროვე პოეტია, და არა მხოლოდ ქრონოლოგიურად, არამედ თავისი ლექსებით, თავისი მხატვრული აზროვნებით და სულიერი წყობით.

ფრიალ ორიგინალურია ო. კილაძის, როგორც ალქმის, ისე ვადმოცემის ხერხები. საგნის აღქმის იგი შორიდან იწყებს და ნელ-ნელა უახლოვდება მას. საგანი სხვადასხვა მანძილიდან სხვადასხვა შთაბეჭდილებას სტოვებს, სხვადასხვაგვარია მისი შუქი და ჩრდილი, მისი ფერი და მოძრაობა. აქედანაა პოეტის ალქმის სხვადასხვაობაც, რაც ასე დამაბულს ზღის პოეტურ აზროვნებას და რასაც ასეთი ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განწყობილების შექმნისათვის:

რა შეიძლება, რომ ნახოს თვალმა  
ამ თეთრ, ამ მტერიან და ამ ცხელ გზაზე...  
მხოლოდ ხეები, რომლებიც თითქოს  
ჩემად და შენთან ერთად მოდიან.  
მხოლოდ ხეები... რომლებიც თურმე  
ერთმანეთს მარტო შორიდან ვეინან.

და მე ვგრძნობ, როგორ ვმატებიან  
ისინი ჩემთვის ძვირფას სახეებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ო. კილაძის ლექსებში არა მარტო ცალკეული, კონკრეტული საგანია ფერაშესაქმელი, არამედ მთელი ის გზაც, რომელიც ავტორმა გაიარა.

სანამ ამ მთავარ საგანთან ახლოს მივიდოდა. ამიტომაც მოცემული მის პოეზიაში სურათები ასე ვარბადა. ნათლად იგრძნობა, რომ ო. კილაძე კარგად იცნობს თანამედროვე მხატვრობას, იცის ხაზის მნიშვნელობა, ფერისა და ფონის მნიშვნელობა და თამამად შემოაქვს ლექსში: „ნაცრისფერ ცაში დაქიმული მავთულები“, „ცხელ რკინაზე დამსხვრეული სხივი“, „თეთრ კედელზე დარჩენილი გულუბრყვილოდ მომღიმარი კაცის სურათი“ და სხვანი და სხვანი. ასეთი ხილვა განუყოფელი ნაწილია პოეტის მხატვრული აზროვნებისა და, რა თქმა უნდა, განწყობილების შემქმნელი ერთერთი მთავარი ფენომენი. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ლექსები — „პორტი“ აგრძნობს გადაუტყვევს მალაღი ბოშა“. ეს უკანასკნელი მიძღვნაა ფედერაციო ვარსია ლორკასადმი და მეტად ორიგინალური მიძღვნაც. ლექსში ვაკოცხლებულია ესპანეთისათვის დამახასიათებელი ღრმა პოეტური სურათები და... ავტორი ენდობა მკითხველის ასოციაციურ ნიჭს — ეინ, თუ არ ლორკა უნდა ვგაგასენდეს ამ სურათების აღქმის შემდეგ, რადგან ეს ტიპური ვარგვია, როგორც თვით ლორკას, ასე მისი პოეზიისა: ...და ხელს იზრდილებს ხესთან ირანე — ვილაც მხედარი ღიღინებს მთაში, ფორთოხალს ჭამს და იციანის ბავშვი და ყვირის ირანე... ირანე...

აქვე არიან — „მალაღი ბოშა, რომელმაც ცენი გამოხსნა და იფხანს კედლს“, „გრანადის საბრელო“ და „ბოშათა ურმები“.

ესადა, იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი თვალთ არის დანახული ეს საგნები თუ სურათები, რა ფსიქოლოგიური მომენტში ხდება ხილვა ხედვა ო. კილაძისა. უბრალოდ რომ ვთქვათ, ინტელექტუალის ხედვა, ხოლო ხილვის ფსიქოლოგიური მომენტი თანამედროვე მოწინავე აღამიანის დახვეწილი გემოვნების ექვივალენტურია.

მაინც მთავარ უფრადლებას ო. კილაძის ინტენაციია იმურობს. პოეტის სახეს ხომ ინტენაციია ქმნის. ო. კილაძე ლექსს — სათქმელს — კი არ აშბობს, არამედ თავისთვის ფიქრობს და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს ფიქრი, როგორც საერთოდ ფიქრი, დუსურულელები და უსაზღვროა. აღბაი ანთ არის

გამოწვეული, რომ როდესაც ამ პოეტის ლექსს კითხულობ ვერცხვებმა, რომ იგი კი არ მთავრდება, არამედ წყდება, როგორც ფიქრი წყდება, და მოვლი, რომ სადაცაა ისევე გაგრძელდება. მაგალითად, ასეთია ერთი ლექსის დასასრული:

...და მათელებიც რაღაცას გრძნობენ.  
რაღაცას დღემდე უცნობს და საშინებს  
და ნუგეშით უსმენენ შობენს  
დაჭიმულები ნაყრისფერ ცაში.

ეს სტრიქონები მთლიან ლექსს კი ამთავრებს ლოკუტრად, მაგრამ მკითხველის ვადაც დას არ უსვამს წერტილს.

იგივე შეიძლება ითქვას განწყობილებაც. განწყობილება ამა თუ იმ ლექსისა არ მთავრდება ლექსთან ერთად. ამის მიზეზი ცაღია ზემოთქმულიდან. ესეც ერთგვარ სიძლიერეს აქლეს ო. კილაძის ლექსებს.

ო. კილაძეს თემის მოქმენა არ უციხის. მისი დიაბაზონი ამ მხრივ საკმაოდ ფართოა. ამის მიზეზი არა მარტო პოეტის ინტერესთა მრავალფეროვნებაა, არამედ ისიც, რომ მისთვის მთავარია არა იმდენად თვით მოვლენა ან საგანი, არამედ ამ საგნითა თუ მოვლენით გამოწვეული ვადა, აზრი და გრძნობა:

როდესაც ასე ახლო გრემი,  
მეც მინდა ვეყო უფრო მაღალი...

მე ყველაფერი მომწონს და მიყვარს,  
მე ყველაფერი მგონია ჩემი,  
როდესაც ასე ახლო გრემი,  
როდესაც ასე ახლო გრემი.

ერთი შეხედვით, თითქოს გრემზეა დაწერილი ეს ლექსი, მაგრამ სინამდვილეში გრემში მხოლოდ ფონია, მხოლოდ მიზეზია და ავტორი თითქმის არაფერს ამბობს მასზე, თუმცა საბოლოოდ მაინც ნათელია გრემის სურათი.

იგივე მიღვამაა სიყვარულის თემაზე შექმნილ ლექსებშიც:

მე ვარ ამ წუთას ყველაზე მაღლა,  
ქარხნის მიღებზე და ცაზე მაღლა.

ეს ყოველთვის ასე არ არის. არის ლექსები, სადაც სულ საწინააღმდეგო მიდგომა შეინიშნება. ძნელია იმის თქმა, თუ რომელი ვხაა უკეთესი, უნდა ითქვას კი, რომ პირველი უფრო ახალია.

ერთობა ო. კილაძე ბევრს ფიქრობს, როგორც მთლიანად ლექსზე. (შხედვლობაში

მაქვს ლექსის გარეგანი მხარე), ისე, ცალკეულ სიტყვებზე და პოეტურ ფრაზებზე. სტრიქონის გრძნობა კარგი პოეზიის აუცილებელი პირობაა, ხოლო პოეტური ფრაზის მნიშვნელობა განუზომებლად დიდია.

ლექსის აღმა სიტყვიდან იწყება, ლექსის სიძლიერეს ყოველი სტრიქონი განსაზღვრავს. შთამბეჭდავად დასრულებული და ჩამოყალიბებული პოეტური ფრაზის მთავალი საკმაოდ მოიპოვება ო. კილაძის ლექსებში:

მატარებლებით საცეა ღამე

ანდა:

დადებარ, ფიქრობ და გვიჩვენება,  
როგორ იდებლებს თოვლი სახურავს.

ფრაზა აქ მთლიანად იტყვის პოეტურ სახეს და ამიტომაც არის მეტად შთამბეჭდავი.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ლექსში ე. წ. „პოეტურ მსჯელობასაც“. აქაც მეტად თავისებურია ო. კილაძე. მისი პოეტური სინტაქსი მეტად ორიგინალური და თვითმყოფელია. ამ მხრივ ყოველთვის გამოიხსნება მის ლექსს:

ბავშვობა გადის და უცებ გადის,  
ჩვენ გვიხარია, რომ უცებ გადის.

პოეტს ენერჯება აგრეთვე ერთი საგნისა თუ მოვლენის, მეორე, ერთი შეხედვით ძალიან შორეულ საგანთან დაკავშირება, ანდა ერთი საგნის მინიშნებით მეორე საგნის სურათის შექმნა:

თურმე რა გრძელი ყოფილა წუთი,  
თურმე რა ძნელი ყოფილა ძილი,  
როცა ფიქრს, როგორც ცარიელ ყუთებს,  
აქანებს ღამის ვეება ჩრდილი.

ბევრი კარგი ლექსია „მატარებლებში და მგზავრებში“. ლექსი იდამიანს ჰგავს — ხან მზიარულია, ხან სვედიანი. ასეთია ოთარ კილაძის ლექსებიც. მათში არის „დიდი სინათლე, დიდი სიცილი, დიდი ქიქები“. „შომავლას ზარების“ ხმამაღალი რეკვა და „შხეზე ბრწყინავი“ და „მდუშარე და მწუხრის ფერიც“ არის მათში.

მე დღეს ბუხარი ვერაფერს მეტყვის,  
მე დღეს სურვილებს გრიგავს ვატოლებ,  
ის აიშენა მან, ესაც მეტი  
ქმონდა წუხილი და სიმარტოვე.

ბევრი რამ არის ამ სტრიქონებით ნათქვამი. მაგრამ იმ იდამიანსაც, რომელიც „სურვილებს





გრიგალს ატოლებს\*, აქვს წუთები დაღლის. ეკვის, მატარებლის ფანჯრიდან დანახული დიდი გზების, დაბურული ტყეებისა და მაღალი მთების სვედის. ხანგრძლივად მოგზაური ადამიანის, მატარებლის ბორბლების მონოტონური ხმაურით გამოწვეული უმისზეო წესილით შექმნილია შესანიშნავი განწყობილება ლექსში — „ეუბნე, გზაში“.

ეს ჩვენი სუნთქვაა ტყეებს რომ აფხიზლებს, ატრებს რომ აწეება, ბორბლებს რომ აბრუნებს.

ტაკუნობს კარტი, კრიალებს ჭორო, და ძილი მოდის ძალით და გვიან. მე მიყვარს ყოფნა უცნობებს შორის, ისინი კაცად მაშინვე გთვლიან. მე ყველა მიყვარს, როგორც ჩიტები. ყველას ვცნობ, როგორც ცხენი სცნობს შუკებს.

ხოლო ხვალინდელ დღეზე ფიქრი ზარივით რეკავს, მზიარული ზარივით, რომელიც „მზეზე ბრწყინავს“.

მათ არ იციან და არც ჭირდებათ შენ თუ ვილაცს მოგზარდი უკვე.

მთელი წიგნი გამსჭვალულია ხვალინდელი დღის ნათელი რომანტიკით.

სევდაა, მოწყვნილობაა, მაგრამ აქაც კი. ამ სევდაში იჭრება მაღალი შუქი:

საბუნდევროდ ის დრო წაივდა, როცა პოეტის იდეურობას ყალბი საზომებით უდგებოდნენ და მიანდათ, რომ, ეთქვათ, შრომაზე დაწერილ ლექსში ყველა შემთხვევაში და აუცილებლად ქარხნები, საკომპერუნო მინდვრები და სოციალისტური შეჯიბრება უნდა ყოფილიყო პირდაპირ და პლაკატურად ნახსენები. ასეთი ლექსები იწერებოდა მშრალად, ზერტულად და მკითხველზე ვერ ახდენდა ეერავითარ გაელენას. მართალია, ასეთი თეორია არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო, ასე წერას არავინ მოუწოდებდა მაგრამ ფაქტობრივად ჩვენს პოეზიას დიდხანს აწვალებდა ეს ხინჯი. დღეს უკვე ელემენტარული კუშმარტებაა, რომ არა მიშველია ფრაზა, არა რომელიმე თარხის გამო დაწერილი მშრალი ლექსი, რომელიც მკითხველის სულსა და გულს არაფერს ეუბნება, არამედ კუშმარტი პოეტურობით სხვისოსილი მაღალი ჰუმანიზმი, საბრძოლო პათოსი ყოველგვარი რუტინის წინააღმდეგ მიმართული, მისწრაფება მშვიდობისა და სიმართლისადმი განსაზღვრავს პოეტის, მწერლის იდეურობას, და, რაც მთავარია, ხალხი მოითხოვს სულ სხვას, იგი ვეღარ კითხულობს მშრალ რიტორიულ ლექსებს, ვეღარ კითხულობს იმიტომ კი არა, რომ მას თავისთავად დიდი და აჭრელური თემა არ აინტერესებს, არამედ იმიტომ, რომ ეს აჭრელური თემა ზოგჯერ გადაწყვეტილია ზერტულად, პლაკატურად, ყოველგვარი განცდის გარეშე. ხოლო თუ მკითხველმა გულწრფელი განცდა ვერ იგრძნო, ლექსი რანაირი სამკაულდებაც არ უნდა იყოს შეყვლი. მას ვერ ააღვლავებს. ნამდვილი პოეზია რიტორიკას ვერ იტანს.

მე ყველა მიყვარს, როგორც ჩიტები.

საკრთოდ ნათელი, ამალელებული განწყობილება უფრო ორგანულია ო. კილაძისათვის. ღრმად იდეური დამოკიდებულება აქვს პოეტს სამყაროსთან, მაგრამ ამას შემწნევა უნდა, დაქვერა უნდა, რადგან იგი ვაუზბის სტანდარტებს და შებლონურ იდეურობას და ხშირად ნახევრად ტონებში ანდა სტრიქონებშია ამკლავნებს ამას.

მის ლექსებში, თითქმის ყველა ლექსში, შეინიშნება მოძრაობა, მოსვენრობა, სინქარგ. ეს არ არის შემთხვევითი, ეს უშუალოდ ცხოვრებიდან არის შეჭრილი ო. კილაძის პოეზიაში. სიმბოლისადმი რტოლვა, ადამიანის მისწრაფება მწვერვალებსკენ, სიმბოლოებით გამოხატული, პოეტის მრავალ ლექსშია გაბნეული. მშრალად და შიშვლად არასოდეს ამბობს იგი სათქმელს, ძუნწი მინიშნება, მაგრამ, სიმკვივროდ ძალიან ნათელი სახტე მინც ვასაგებაა და ოსტატურად უბრალოს ზღის მის ლექსს. აი. თუნდაც სტრიქონები სადაც მშვიდობიანი, უღრუბლო ცხოვრებაა გამოხატული:

ანთია ცეცხლი...  
ყვიცს მამალი...  
იზრდება ზავშვი... და საწოლები  
გაღლენთილია კაცის სურნელით.

ო. კილაძის იდეურობას განსაკუთრებულ სიმამრეს მატებს მისი ასაკისათვის დამახასიათებელი გატაცება, ცეცხლი, აღფრთოვანება. იგი დღევანდელი ცხოვრებით ცხოვრობს, ხვალინდელ დღეზე ფიქრობს. დღევანდელი დღე საესეა შემოქმედებით:

• • •

შეადარებთ სუსტი ლექსებიც არის „მატარებლებსა და მგზავრებში“, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ ნიჭიერი კაცის დაწერილია ეს სუსტი ლექსებიც. ცხადია, დიდი განსხვავებაა ნიჭიერი და უნიჭო პოეტის სუსტ ლექსებშიც. ნიჭიერი მწერლის სუსტი ნაწარმოები შეიძლება ცუდი მწერლის საუკეთესო ნაწარმოებ-

საც კი სჯობდეს. ამიტომ ო. ჭილაძის არც ეს ლექსებიც ინტერესს მოკლებული „დედაა, რასაც პირველად ნახავ“ შე არ მიმანინია თუ შეიძლება ასე ითქვას, თანაზომიერად საინტერესო ლექსად. ძალიან ზოგადია ძალიან ბევრი „მშაბი“ მასში „თბრობა“ ვადაპარბებულა, მაგრამ აქვეა რამდენიმე ისეთი დახვეწილი, გაუდღელი თქმა, რითაც საბოლოოდ მაინც „გადის“ ლექსი. გვიხუთვერისადმი და მთავრესასადმი მიძღვნილი ლექსებიც არ არიან უძლიერესნი კრებულში, მაგრამ იქაცაა სტრიქონები, რომლებიც დაგამახსოვრდებათ:

...და შენი ლექსი მთარღვევს ქრწას,  
როგორც ამრველი და ღალი ბიჭი,  
უცინის ქალებს, ხელს ართმევს მემშას...  
ყველაფერს ესწრებს ყოჩაღი ბიჭი.  
ეს მთავრესის კარგი და სხარტი ჩანახატია.

ო. ჭილაძის ლექსებში საერთოდ შეინიშნება ეს, — ბევრი ყარგი სტრიქონია შედარებით ლექსებში და პირიქით, ბევრ ყარგ ლექსში შეუფერებელი სტრიქონებიც გვხვდება. ყარვად არის დაწერილი უსათაურო „მე ვარ ამ წითლს ყველაზე მაღლა“. იგი ერთერთი საუკეთესო ლექსია კრებულში და აქ ასეთი სახეების გვერდით:

კედელზე წვება ჩრდილები ჩემი  
ხელების, თავის... კედელზე წვება...  
და მწამს, რომ ჩემში დარჩება მუდამ  
ეს უცნაური დღე და სიჩუმე,  
შენი ოთახის შუქი მზეუტავი  
და შეკრებილი თმები ბიჭურად...  
გვეხდება ასეთი მსაჯელობებიც:

მე არ ვყოფილვარ არასდროს ხარბი... და  
ა. შ.  
არის კრებულში ლექსებიც, რომლებიც თავიდან ბოლომდე ერთი ამოსუნთქვით, ერთი ძალით არის დაწერილი: „მე მინდა შენს ღანდს ეს ლექსი ვუთხრა“, „როდესაც ასე ახლო ვგრემი“, „მატარებლებით სავსეა ღამე“. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი...

თავისი მოცულობით და შესრულებით აგრეთვე დიდი ყურადღების ღირსია „კაცის ხელები“. ზოგიერთს ეს ნაწარმოები პოემად მიანინია. ეს, ჩემის აზრით, არ არის სწორი. აქ არაფერია იმის შესავალი, რაც ტრადიციულ პოემას მოეთხოვება. „კაცის ხელები“ — ლექსების ციკლია, ყარვად შეკრული და ერთი მთავარი საზით ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. ციკლის იდეურ დანიშნულებას სსნის მინაწერი: „უძღვნი ინეინრებს, რომლებმაც შექმნეს დედამიწის თანამგზავრა“. მთავარი თემა — აღმზინი, მისი თანდაყო-

ლილი სწრაფვა სიმაღლისაკენ — უძველესი დროიდან დღემდე. „კაცის ხელები“ — ერთი მთლიანი წყველია აღმზინის ხედიდან მხილველი ანგრევის.

არის ხელები: კეთილი და პატიოსანი  
არის ხელები: ბოროტებით და შურით სავსე.

ამ ლექსების ციკლს, მუდამ, თითქმის მუდამ, როგორც მზიან ტროტეარზე მიმავალ კაცს თავისი ჩრდილი, თან სდევს ქალის სახე. მამაკაცი აშენებს, ქალი ამხნევეს, მთავრენებს, ეუფლებს, რომ არ დაიღალოს; მამაკაცი იბრძვის — ქალი ძალას მატებს, მამაკაცი ანგრევის — ქალი წინ აღუდგება მას, სერს აღმზინის სახე დაუბრუნოს... ქალი სენთქავს ყოველ სტრიქონში...

შრომა... შემოქმედება... შენება... მაგრამ ხდება, როდესაც აღმზინები თავის ამ მთავარ დანიშნულებას ღალატობენ, ზოგი ნებით, ზოგი უნებლიედ „და იარაღის ხმარებას სწავლობს ხელი, რომელიც ხატავდა გუშინ“. ვაბოროტება, რწმენის დაკარგვა, ისევ ხელახალი აღორძინება, ხელახალი ღრუღვა შენებისადმი. აი ის აზრები, რომლებიც აწვევდნენ ავტორს და რაც უდემიწვევით ყარვად გამოხატა მან მხატვრული სახეებით. ო. ჭილაძეს, რაც არ უნდა ტრავიკულ სურათს ხატავდეს, არ ავიწყდება, რომ აღმზინი ხვალისდელი დიდი ცხოვრობს, უკეთესის და უკეთესისათვის იბრძვის და კაცი, რომლის მიზნებსაც გუშინ „ტყვიას ესროდნენ“, რომელიც „ნესტიანი სანგრის ფსკერიდან, გამოფიტული და დაღლილი უძეკრად ვარსკვლავებს“, დღეს ამ ვარსკვლავებს დაუფრობს ფიქრობს და ისევ „ემებს საყვარელ ხელებს, რათა სიცოცხლე გაგრძელდეს ქვეყანად“.

იმედი, სურვილი, ბრძოლა — ყველაფერია ამ ლექსებში. დაბოლოს ლექსების გვირი ასე ეუბნება ქალს თავისი ხელების შესახებ:

ისინი ახლაც შენ გეკუთვნიან,  
შენ გნატრულობენ,  
შენ დაგვებენ —  
როგორც გემები ნავსადგურებს.  
ჩიტები ბუდეს  
და მიწისქვეშა წყაროები გზებს მიწისაკენ,  
რათა აგწიონ  
მთებზე მაღლა,  
ღრუბლებზე მაღლა  
და მთელ ქვეყანას  
მოეფინოს შენი სინათლე.

აქ უკვე ქალი არა მარტო ქალია ის არის მშვილობა, პუმიურიობა და შემოქმედებითი აზრი, კაცობრიობის სწრაფვა სრულყოფისაკენ

კენ—სიმბოლო მეტად გამართლებული და რეალისტური, რადგან ქალი ყოველთვის სიღვაძელს, სიღამაზისა და შთავგონების წყაროა, როგორც ცხოვრებაში, ისე პოეზიაში.

ამით და არა მარტო ამით არის კარგი რკაცის ხელები. ყურადღების ღირსია ამ ციკლის ფორმალური მხარეც. ლექსების უმრავლესობა დაწერილია თეთრი და ე. წ. თავისუფალი ლექსით. ო. ჭილაძე ზედმიწევნით კარგად ფლობს ამ ფორმას:

იხინი გვანან  
მარადმწვანე და მალალ ხეებს,  
რომლებიც მზეში გვიჩრდილებენ და  
გვასვენებენ.

იხარინ გვანან მდინარეებს,  
რომლებსაც ჩვენთან  
მოაქვთ სინათლე,  
მოაქვთ სითბო  
და სიღამაზე.

იხინი გვანან მუხამრიდებს და ქარსაცავეებს.  
ზვერს ჰგონია, რომ ქართულ პოეზიას არ  
გაანია ამგვარი ფორმის ტრადიცია. ჰგონიათ,  
თითქოს, ვინც ასე სწერს უცხოური პოეზიის  
გაეღენას განიცდის. ეს რა თქმა უნდა დიდი  
შეცდომაა. რომ არაფერი ეთქვათ შეველ ქარ-  
თულ ჰიმნოგრაფიაზე, რომ არაფერი ეთქვათ  
სხვა პოეტებზე. ასეთი ფორმით არაერთი და  
ორი დიდებული ლექსი დაუწერია გ. ტაბი-  
ძეს. სამწუხაროა, რომ ვალაკტიონის ეს ლექ-  
სები მანცდამაინც პოპულარული არ არის  
(საერთოდ, ჯერ კიდევ ბევრი მისი ლექსია  
გაუხმურებელი). ამაში ბრალი მიუძღვით,  
როგორც მისი რჩეულების შემდგენელებს, ისე  
მის კრიტიკოსებსაც, რომელთაც ვერ შენიშ-

ნეს თუნდაც ისეთი დიდებული ლექსი, რო-  
გორც არის „დედოფალი“. ~~ეჭიდუნ დრომდე~~  
სათანადოდ არ იყო შეფასებული. რვერდუ-  
ციურ-რომანტიკული პოეზიაც „ჯონ რიდი“.

და, გინდაც, არ იყოს საქართველოში ასე-  
თი ფორმის ტრადიცია და, ეთქვას, რომელიმე  
მუხრან მაჭავარიანმა ანდა ოთარ კილაძემ  
უცხოეთიდან შემოიტანეს იგი (მე ვიშეორებ-  
ვთქვით), განა ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი  
უცხოელი პოეტების გავლენას ემკვებებ-  
რებიან? ერთმა კაცმა ძალიან მოსწრებულად  
თქვა, ურემია ქართული ეროვნული, ტრადი-  
ციული ტრანსპორტი, მაგრამ ურშით შორს  
ვერ წავალთო. და განა ვინმეს მოუვა აზრად,  
რომ ვინც ეღმავლით, ან რეაქტიული თვით-  
მფრინავით მოგზაურობს, უცხოელების გავ-  
ლენას ემორჩილება?

სხვათაშორის უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ  
თავისუფალ ლექსებს შეაქვთ ო. ჭილაძის  
რიტმებში ერთგვარი მრავალფეროვნება. „კა-  
ციის ხელების“ გარდა, თითქმის ყველა ლექსი  
მიმსგავსებული რიტმით არის დაწერილი. სა-  
კიროა ყველა ლექსს თავისი და მხოლოდ  
თავისი დამახასიათებელი მუსიკა ჰქონდეს,  
საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს ო. ჭილა-  
ძემ, რათა დროულად დააღწიოს თავი ერთი  
ლექსიდან მეორეში გარდამავალ რიტმებს.

ო. ჭილაძეს დიდი სამწერლო გზა აქვს წინ.  
მისი პატარა წიგნი ბევრს პირდება ქართულ  
შეიბველს, ქართულ პოეზიას, და თუმცა ავ-  
ტორი ჯერ ძიების პროცესშია, თუმცა მისი  
გზა ჯერ სხვა პოეტებთანაც მიდის, მაგრამ  
ისევ მასთან ბრუნდება. პოეტი სხვისგანაც  
ითვისებს, რაც კარგია, ოღონდ არა ისე, რომ  
თავისი დაკარგოს, არამედ რომ გაამდიდროს  
და აღამაღლოს.



## ქართული კულტურის კვლევის მორიგი მიღწევა

1920 წელს გამოცემულ „ფილოსოფიის შესავლის“ წინასიტყვაობაში ვწერდით: „ეს წიგნი მძიმე პირობებში იწერებოდა, მაგრამ ჩვენზე ბედნიერი თაობა, რომელიც სამშობლოს აღორძინების შუქსაც მოუხსრება, გვაძაბავს იმ ბუჩქს, რომელიც განთადის თანხლებითაა“. ორმოცი წლის შემდეგ — რაც საბჭოთა საქართველოს არსებობის ისტორიის ემთხვევა, — ფილოსოფიური კულტურა საქართველოში ისე შორს წაიდა, რომ მას ზოგადი საკითხების გაშუქებისთან ერთად ცალკეული დარგების ღრმა კვლევაც სავსებით ძალეძს. ამის ერთ-ერთი უკეთესი საბუთია ალ. ფრანგიშვილის წიგნი „ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში“. რამდენადაც ეს გამოკვლევა ადისტრუტებს, — რომ თავისი აღრებული აუცილებლობის ხანადან, არა ერთი ათეული საუკუნის შემდეგ, ქართული აზროვნება მე-20 საუკუნეში, ძლიერი ტრადიციის ნიადაგზე, კვლავ დიდ უნარს იჩენს განვითარებისა — არ შეგვიძლია ამ მოკლენას საგანგებო ყურადღება არ მივაქციოთ. ეს მით უფრო გვევალება, რომ ა. ფრანგიშვილი ეყრდნობა ქართული ფილოსოფიის ისტორიას და თავისი კვლევის პერიოდისაკენ — მე-18 — 19 საუკუნეებისაკენ — ამ გზით მიდის. შემდეგშია, აღნიშნული პერიოდის ფსიქოლოგიური ცოდნის კვლევისას, ავტორი არ სწყევტს კავშირს ქართული ფილოსოფიის განვითარებასთან.

შრომის ფარგლებში ქრონოლოგიურად უკვე სათაურითაა შემოსაზღვრული და გამოჩვენებული, მაგრამ თავისი საგნით იგი იმდენად ახალია, რომ თავდაპირველად ამ საგნის კვლევა (1—8 გვერდამდე) ნეგატიური დადებითებით მიდის. მე-8 გვერდზე მოცემულია ცდა საკვლევითი საგნის პოზიტიური განმარტებისა. აქ კეთებულბოთ:

„ჩვენი გამოკვლევის საგანს საქართველოში მე-17 — 19 საუკუნის დასაწყისის ქართველ მოაზროვნეთა ფილოსოფიური შეხედულებების ნაწილად წარმოადგინალი ფსიქოლოგიური ცოდნის, ვ. ი. ადამიანის სულიერი ცხოვრების შესახებ ცოდნის, ისტორია წარმოადგენს“.

ამ მიმართულებით ცნებათა დაზუსტების საშუალებით ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ მისი „გამოკვლევის საგანი... არის ფსიქოლოგია, როგორც ფილოსოფიური ცოდნის დარგი, აღორძინების ხანაში“ (გვ. 19).

ხალხურ და ლიტერატურულ კომპონენტებს რომ თავი დავანებოთ დროებით, ავტორი, ცხადია, ქართული „ფილოსოფიური ფსიქოლოგიის“ შესწავლის დროს, ამ ფილოსოფიის თავისებურებებთანაა შესწავლის აუცილებლობის წინაშე დგება. აღსანიშნავია აქვე, რომ ავტორის ზოგიერთი სიმწელის გადაღახვა იმიტომ დასჭირდა, რომ ნაშრომის დაწერისას, მისთვის საჭირო პერიოდის ქართული ფილოსოფიური-ისტორიული გამოკვლევა არ არსებობდა და მას თვითონ უხდებოდა მუშაობა, როგორც უშუალოდ თავის პრობლემატიკაზე, ისე ქართული ფილოსოფიის სათანადო ისტორიულ ნაკვეთზედაც.

ფსიქოლოგიის დიალექტიკურ-მატერიალისტური წინამძღვრების ნიადაგზე, მათზე დაყრდნობით ავტორი მოკლედ იხილავს ფსიქოლოგიის ისტორიისათვის იმ ძირითადი დამატარებლების მნიშვნელობას, რომელიც ფილოსოფიაში მოქმედებს, ასეა გაშუქებული საქართველოში 17 — 19 საუკუნის პირველი მეოთხედის ფსიქოლოგიური ცოდნის განვითარების შინაგანი კანონზომიერება. რამდენადაც ამ პროცესს საქართველოში აღნიშნულ პერიოდში ადგილი ჰქონდა, იმდენად ავტორის კვლევის საგანს წარმოადგენს (25) ამ პროცესის ისტორიული აუცილებლობის დადგენა ისტორიულად მოცემულ ფაქტების ნიადაგზე. ავტორი იმორჩება აქ ლენინის მიერ მოცემულ („Ленин, Экономическое содержание народничества...“) ფსიქოლოგიური მიმდინარეობათა, როგორც ფილოსოფიური ცოდნის ნაწილის, იდეოლოგიურ დახასიათებას.

მე-17 — 19 სს. ქართული ეთარების განხილვის შემდეგ, ავტორი გვხვს საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის საკითხს კულტურის დარგში. აქ მას ყველაზე მეტად ინტერესებს ქართული განმანათლებლების იდეოლოგია, როგორც მეცნიერული ცოდნის ჩასახვა-განვითარების წინამძღვარი (49).

გარკვეული მნიშვნელობით შეიძლება აღნიშნული პერიოდის პროგრესულ მიმდინარეობათა „ხალხურობაზე“ ლაპარაკი, თუკი საერთო განვითარების ფარგლებში ეს პერიოდი ევოლუტური რეაქციის პერიოდია და მისი სიახლე და რეალში, რომელზედაც აკად. კ. კვცილიძე ლაპარაკობს, მეტად პირობითი ვარაუდია (52). რაც შეეხება საბას, უნდა ითქვას, რომ ადამიანის შესახებ ცოდნის შემუშავების პირობე-

ბი მის ჯერ კიდევ არა აქვს, თუმცა ფილოსოფიის შესწავლისაკენ შემობრუნება — ადამიანის სულიერი ცხოვრების შესწავლისაკენ მობრუნებასაც მოასწავებდა. ენისა და ცნობიერების უშუალო კავშირიდან გამომდინარე (ენა ხომ ცნობიერების სინამდვილეა), ავტორი ეყრდნობა საბას ლექსიკოგრაფიულ მუშაობას და ფილოლოგიური ცოდნის განვითარების სააქმესაც მასვე უკავშირებს (65 — 66).

ფსიქიკურ ფენომენთა კანონზომიერების ენასთან კავშირში კვლევისას ავტორი ადგენს საყურადღებო ფაქტს „გულ“-ფუძის მნიშვნელობის შესახებ ქართულ ენაში, სახელდობრ იმას, რომ ქართულ ენაში „შინაგანა“ განცდის სინამდვილე მოლიანად წარმოადგენილია „გულ“ — სიტყვის მნიშვნელობასთან მჭიდრო კავშირში (108), ეს ერთნაირად ვეხება, როგორც სუბიექტურ მდგომარეობათა განცდის (ემოციური განცდების) სფეროს, ისე ობიექტური სინამდვილის განცდის მოქმედებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური განცდების სფეროსაც.

ავტორი იხსენიებს რუსთაველთან დაკავშირებულ „გულ“ სიტყვის მნიშვნელობის დადგენის ერთ ჩვენს ცდას (1937 წელს). უნდა აღვნიშნათ, რომ ჰყენ მაშინ ვიგარძენით მხოლოდ ამ პრობლემების არსებობა და მნიშვნელობა, მაგრამ ისე ვერცხად და ღრმად ამ საკითხს ვერ მივუღწეით, როგორც ამის ალ. ფრანგიშვილი აკეთებს. ავტორმა ზედმიწევნით გამოიკვლია დადგენილი ფაქტები და დაასაბუთა რომ „განცდის სინამდვილე, უთუოდ თავისებურად არის გამოხატული ქართულში“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში „გულს“ საესკიზით იმას ამ უნდა ნიშნავდეს, რასაც ავტორი ამ სიტყვაში ხედავს. (გვ. 114 — 115).

მეტად საინტერესო ჩანს ავტორის ცდა „გულ“ სიტყვასთან დაკავშირებული ცალკეული ფენომენების თავის შიკრიას პიროვნების აქტიურობის ფარგლებში. ამ ნიდაგზე, მარქსის მიდევნებით, „ფსიქიკური პროცესები წარმოსდგება, როგორც ინდივიდუალობის ორგანიზმი“, რაც ნიშნავს „სინამდვილესთან ადამიანურ დამოკიდებულების ფორმებს, რეალურ საგნობრივ მოქმედებაში წარმოებულს“ (122). ავტორი ფიქრობს, რომ ქართულ ენაში ასეა აღბეჭდილი „ფსიქიკურის თავისებურება“, რაც ენის ფსიქოლოგიის, ასე ვთქვათ, ამოსავალი ცემა უნდა იყოს ამის შედეგად, ავტორი დამატებით იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ნამდვილი რეალური ცხოვრების შესატყვისი თვალსაზრისის შავალითაა ფსიქიკური სინამდვილის გამოხატვის თავისებურება ქართულ ენაში“.

ეს ნათლად და დამაჯერებლად ნახევი, მხოლოდ სიფრთხილედ გემართებს, რათა ქართულ ენაში, ამ თვალსაზრისით, რაღაც განსაკუთრებული თვისება არ ვიგულოთ (გვ. 124).

საბა ორბელიანის თხზულების „სიბრძნე სიკრუის“ განხილვის საფუძველზე ავტორი მართებულად ასკენს, რომ ფსიქოლოგიასთვის მისში უშუალო და ბევრი არაფერია მოცემული და იგი, მართლაც, უფრო „იდეოლოგიური“ ატმოსფეროს დასახასიათებლად გამოდგება (153), ამიტომ ავტორიც ფიქრობს, რომ ალორძინების ჩანის ფსიქოლოგიური ცოდნის ნიშნები „პირველად საბა ორბელიანის“ „ლექსიკონში“ გვხვდება (156). ამას, ცხადია, ვრთავს შემდგომ „სპეკალი“ ანტონ ბაგრატიონისა. საბას ნაშრომი სწორადაა დახასიათებული, როგორც მკაფიო გამოვლინება ალორძინებისაკენ მიმავალი ქართული აზროვნებისა, მაგრამ მე-12 — 13 სს. ხანა არაა კლასიციზმის ხანა, არამედ კლასიციზმის აღდგენისა, რენესანსისა (166).

ქრისტიანული იდეებისა და ანტიკურობის შემკვიდრების შესახებ, თითქოს არაფერი მნიშვნელოვანი არ გავუთქვამთ — ზიბეის ავტორიტეტის გამოყენება საქმარის არაა. მე-4 საუკუნეში შეამზადა მე-5 საუკუნის დიდი პრობლემები — ეკრძოდ ფსიქოლოგიაშიც — პანთეისტურა, მატერიალისტური მიმართულების შემუშავების გზით. გრ. ნოსელს რომ თავი დაეხებოთ, აქ მნიშვნელოვანია — როგორც ავტორი აღნიშნავს — ნემესიოს ემესელი — მისი „ბუნებისათვის კაცისა“. ავტორისათვის აქ საინტერესოა მხოლოდ იმის აღნიშნა, თუ რატომ დაინტერესდა ი. პეტრიწი ნემესიოს ემესელით, პროკლეს გვერდით.

ავტორი სავსებით მართალია, როცა ამბობს: „სრულად კანონზომიერა სამეცნიერო კვლევის ამოცანად დაიხსოს სულხან საბა ორბელიანის მეცნიერულ-ფილოსოფიურ შეხედულებათა დადგენა „ქართული ლექსიკონის“ მიხედვით“ (184).

საბორი იქნება ყველა ამისათვის „სიბრძნე-სიკრუის“ არა მარტო აჩაყების იდეების, არამედ თვით ძირითადი ფილოსოფიური პრობლემათვის გათვალისწინება.

„შინაგანმდებარე“ სიტყვის გაგების კვლევისას არისტოტელეს მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს. ყოველშემთხვევაში „ლაგოსის“ ორგვარი მნიშვნელობა (აზრისა და აზრის გამოხატაველ სიტყვის შორის) აქ გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ეს არ იქნება საბასათვის „მხოლოდ სიტყვასთან მიმართებაში განხილვა“ გონების ძალისა (191).

ამის მიხედვით შეიძლება გავიგოთ არისტოტელეს თხზულებაში „სულსათვის“ (პერი ფსახეს 111, I 9) მოხსენიებული „სიტყვიერი“ ნაწილი სულისა, საბას ტერმინ-ცნებების ვაგება — ანალიზი, ჩვენს ავტორს უდავოდ გაეუთებული აქვს მეცნიერული ანალიზის მოთხოვნილებათა სრული დაცეო, სწორადაა გზაც ბერძნულ შესატყვისებთან შედარებისა გამოყვე-



ვის მოელს ამ ნაწილში არ შეიმჩნევა ისეთი რამ, რაც არსებით შენიშვნას იწვევდეს. ჩვენ შეიძლება გვეთქვას, რომ, თუ ძნელი არ იქნებოდა, გამოკვლევაში უნდა გაეთვლებოდა ის, რაც საბას მასალას, როგორც ლექსიკონის წესით მოცემულს, აკლდა. ლაპარაკია, ცხადია, ერთგვარი სისტემაზე ფსიქოლოგიური ცოდნისა, რაც საბას ლექსიკონის წესით აქვს გაეთვებული. ავტორისათვის ეს საკითხი ცნობილია, ის ამას აცეთებს. მაგრამ საბას ფსიქოლოგიური ცოდნის გადმოცემას ამის შემდეგაც ვმჩნევა, ლექსიკონის გზით მოცემული ცოდნის კვალი, რომელსაც ნამდვილი სისტემატიურობა აქვია. ამის გარდა, საესებით გამართლებული იქნებოდა, რომ ავტორი ცდილობდა უჩვენებინა საბას მიერ დამოუკიდებელი გზის ერთგვარი ძიება, ჩვენ ეს ფილოსოფიური ტრანზიენსის მიმართ გაეაყვით (იხილე მხოლოდ ნაწილობრივ), საინტერესოა — არსებობს თუ არა ასეთი ვარაუდები ფსიქოლოგიურ ცნებათა მიმართაც. ავტორისათვის ეს საკითხიც ცნობილია. იგი თვალისწინებს რაც მოკლევანს, სადაც საბა, მიუხედავად თავისი მასალის ნახესობისა, მაინც დამოუკიდებელია თავისი წყაროებიდან. ასეთია ლექსების საკითხი, სულის საკითხი, სადაც საბა მაინც გვერდს უვლის თავისი წყაროების მონიაცებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნეოპლატონისტური ხაზი ფსიქოლოგიურ ტერმინ-ცნებათა განხილვის დროს, რომელთაც ჩვენი ავტორი თანმიმდევრულად და დასაბუთებულად აღგვს საბას გაგებათა სისტემაში. ეს ვარაუდები საესებით უნახებმა იმ მიითთვება, რომელსაც საბა ატარებს თავის ცნობილ წინასტყუებაში, სადაც იგი წყაროთა შორის პირველ ადგილზე პეტრიწს იხსენიებს.

ჩვენმა ავტორმა უდავოდ მოახერხა ამ შემთხვევაშიც თავისი მეცნიერული მიზნის მიღწევა (300 — 302). უნდა დაეთანხმოთ ავტორს, რომ მან ვადალათა ლექსიკონის მეოთხე, მოწოდებული სწავლათა თავისმყურისათვის ასე, რომ „დადგენილად შეიძლება ჩათვალოს, რომ ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების შესახებ სულხან საბა ორბელიანს ჰქონდა დრმა ფილოსოფიური რეფლექსიის შედეგად შემუშავებული სისტემა შეხედულებებისა“ (301). მართო ეს კვლევა იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ წარმოდგენილი ნაშრომი დიდ მეცნიერულ გამოკვლევად დაგვესახა. ჩვენ მხოლოდ ერთი შენიშვნა გვქონება ამ შემთხვევაში. წარმოდგენილი დასისტემა საბას შეხედულებებისა უნდა ჩათვალოს ჩვენი ავტორის დამსახურებად, ვინაიდან თვით საბამ არა თუ ვერ შესძლო, ან ვერ შესძლებდა ასეთი სისტემის სახით წარმოგვინა მასალა, რომელიც მის ხელთ იყო, მას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს არც ევალებოდა ქართული აზროვნების იმ ისტორიულ პერსპექტივაში, რომელშიაც ის გამოდიოდა. ფეოდა-

ლური რეაქციის პერიოდში, სისტემად გაშლილ ადრინდელი ქართული ნააზრების შემდგომ, აღორძინების ერთგვარ ნაშრომში ჩენის ხანაში, საბას ევალებოდა (და შეეძლო) ფილოსოფიური-ფსიქოლოგიური ცნებებით და ტერმინებით ე. ი. ლექსიკოგრაფიული მეოთხედით, შეეწყო მკლე ქართული აზროვნების აღორძინების საქმისათვის. მას მეტი არც შეეძლო და არც ევალებოდა. აი, შემდეგი საფუძვარი იყო ანტონ ბაგრატიონი და მას უკვე აღარ ჰქონდა უფლება საბას მეოთხედ დასაჯერებოდა: რაც საბას ისტორიულად ევაებებოდა, ის ანტონ ბაგრატიონს აღარ ევატებოდა.

რა თქმა უნდა, საბა ლექსიკოგრაფიული მეოთხედით, მაგრამ საესებით მეცნიერულად აკვამდა ნაწევრ-ნაწევრ მეცნიერული ცოდნის შენობას და, ამდენად, ჩვენი ავტორის მიღწევად უნდა ჩათვალოს, როგორც აღინიშნა, რომ მან ეს საკითხი გააშუქა. მაგრამ ჩვენ მაინც გვიჩნედება იმის დათანხმება, რომ თითქმის ფსიქოლოგიურ ცნებათა დასისტემატიზაციად თავის მოყრისათვის საბას გაანხდა ერთგვარი პრინციპი „რითაც ხელმძღვანელობდა სულხან საბა, რომელსაც ლექსიკონში ცოდნის ამა თუ იმ დარგის ცნებათა განახლებები შექმნიდა“, არ უნდა იყოს ის, რაც ჩვენს ავტორს მოჰყავს: „რომელცა სწორედ იქვეს, გინა რომელმან დამაჯერა, იგი დაეწერა, რომელი არ ემოწუნე, არც მე დაეწერე“. ეს დასატერტებს მხოლოდ მას, რომ საბა ერთგვარ შერჩევას აწარმოებდა ნასარგებლები მასალისა და მუტს არაფერს. აქედან სისტემის შესაქმნელ პრინციპამდე დიდი მანძილია.

ჩვენმა ავტორმა მშვენივრად იცის, რომ საბას მიერ წარმოდგენილი შეხედულებანი „ეპოლიტიური და ნაყვლად ორიგინალურია“ (303), რაც სისტემის ცნებას ძნელად გვეუბნა. მიუხედავად ამისა, ავტორს მეცნიერების ყოველგვარი მოთხოვნის ნიადაგზე აქვს ჩატარებული საბას ფსიქოლოგიურ სწავლათა შესახებ კვლევა. ტერმინ-ცნებები, იქნება ეს ნახშიარი ვერემ შიორეს მიერ (მე-11 საუკუნის სახელოვანი მოაზროვნისი და ფილოლოგის) თუ — პეტრიწისა და არსენ იყალთოელის მიერ — საუბოო სიზუსტით არის შედარებული სწორედ ფილოსოფიური-ფსიქოლოგიური მნიშვნელობათა თვალსაზრისით. ამავე დროს უვლა ეს ტერმინები დაყვანილია ბერძნულ ძირებზე, თუ ეს ისინი აქედანაა ნაწარმოები, რაც ძალიან ხშირი შემთხვევაა. ეს უსაზღვრო სფეროა კვლევისა და, ცხადია, თუ ზოგი რამ შეიძლება სადაოდ ან უსრულოდ მოგვეჩვენოს. ასე მაგალითად, ტერმინ-ცნება „ეოზალი“, მიუხედავად ავტორის ზედმიწევნითი კვლევისა, მაინც განზე დარჩა და ავტორმა ის, რამდენიმე სხვა ტერმინთან ერთად, შენიშვნაში მოიხსენია (გვ. 299).

თეთონ საბა ამ ტერმინს მიიწერს ნემესიოსს (იხ. გვ. 110 ლექსიკონისა) ანუ, უფრო სწორედ მოჰყავს ადგილი ნემესიოსიდან, სადაც ეს სიტყვა მოხსენებული, მაგრამ ცნება — ტერმინის განმარტებას არ იძლევა. ეს ტერმინი ვხვდებთ ი. პეტრიწიანა (შრომები, 11 ჩვენი გამოცემა, გვ. 223), საიდანაც მისი მნიშვნელობა არც თუ გარკვეულად ჩანს, მაგრამ მაინც ვასაგებია.

როგორც საზოგადოდ ფილოსოფიაში, ისე ფსიქოლოგიური ცოდნის სფეროშიც ანტონ მავსაკიონი, რომელიც ეს წარმოდგენილია მის „სპეკულში“, მოასწავებს განთავისუფლებას იმ განსაზღვრულობიდან, რომელშიც მომწყვდეული უფო ისტორიული პირობების მიხედვით საბას ცნება — ტერმინითა განსაზღვრებათა გვა. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ „მომღვრება სულისა და სულიერი ცხოვრების შესახებ წარმოდგენილია როგორც ფილოსოფიური ცოდნის დამოუკიდებელი დარგი“ (316), ძნელია მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ „ფსიქიკური მოქმედების რეალური პროცესების ბუნების გარკვევა“ თითქმის ნაცადი იყოს „იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც უახლოვდებიან მატერიალისტური ფსიქოლოგიის ამოსავალ დებულებას“ (317).

ანტონი, მართებულადაა აღნიშნული, იცნობს არისტოტელეს მიერ სულის რაობის საკვლევ მეთოდოლოგიურ პრინციპებს. ანტონმა, ისეც დასაშვებია, ისინი დავით უძლეველის მეოხებით გაიყნო, მაგრამ კ. ჩალითანის დამოწმება ამ შემთხვევის გასარკვევად ზედმეტია, რადგან იგი არ სცნობს ანტონთან და მომდევნო ქართულ ძეგლებში დავით უძლეველის კვალს (322).

ავტორი საკმაოდ არკვევს ნეოპლატონიკურ ელემენტებს სულის ანტონისმიერი გაგებისას, კერძოდ პლოტინის გაელენის (7—88), დიალექტიკური გაგება სულისა, ნეოპლატონობის მიერ წინააღმდეგობათა მხილვითა და დღევანდელი, ის ძირითადი ხაზი იყო, რომელიც პლოტინით დაიწყო და შემდეგ განვითარდა, ფილოსოფიაში. (328), ავტორი სწორედ იქცევა, როცა ნასესხებ ნეოპლატონიკურ არგუმენტებს ანტონის არგუმენტების კვლევას უყენებს გვერდით (330) ესადა, ამ დამოუკიდებელი არგუმენტების შემუშავებისას ანტონი ქართულ წყაროს — ი. პეტრიწს იყენებს. ავტორი სამართლიანად ჩერდება სავანებოდ იმ რწმენაზე (334) თუ რას წარმოადგენს „ძილ“-ის და „მოქმედების“ მომენტთა განსხვავება სტელის მიმართ და მისი არსებობა სულის მიმართ. „პორტენიურის“ და „მოქმედების“ იგივეობა სულის სფეროში ჩვენს ავტორს უფლებას აძლევს ანტონის შეხედულება, უფრო სწორად ი. პეტრიწის საბუთის გამოყენება, უფრო აღინდელ მიღწევად აღიაროს ჰესერლის ასე-

თივე დებულების მიმართ. თუმცე შეიძლება საფუძვლიანი იყოს აქ მერტა „გარკვევლობის მოთხოვნა. ასევე მნიშვნელოვანია „მომენტთან დაკავშირებული ანტონის მიერ იმაზე მითითება, რომ ცნობიერება არის ფსიქიკური სინამდვილის არსებითი ფაქტი, რითაც მან, — ხაზს უსვამს ავტორი, — დეკარტეს დაასწრო (338), ავტორის მსჯელობა (გვ. 339—340), „თითქოს აქ არ უნდა იწვევდეს ეჭვს“ და სხვ. საფუძვით ნათელი არაა: „მატერიალისტური მსოფლმხედველობის ნიადაგზე გააზრება“ რას უშუშლის ანტონის დებულებას, რომ სული იხვეწება მისი „მოქმედებით ხორცთა მიერ“?

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სულისა და სხეულის დამოკიდებულება ნეოპლატონიკურს, — მაგ. ი. პეტრიწს — ასე აქვს გამოთქმული: „და კვალ და ესე ყოველმან (იუწყის — შ. ნ.) ვითარმედ სული სხეულთა და წარმოდგომილა, ხოლო თუ ვითარ ბრძენთაოდენ“ (ი. პეტრიწი, შრომები, 11 გვ. 42).

ავტორი შეეცნობა კეთილსინდისიერებით იცხადებს, რომ მას ანტონის მიერ აღბერტ დიდის (ანუ ალბერტის — როგორც ანტონი სწერს) სათანადო შეფასებისათვის თვით აღბერტის ტექსტით არ უსარგებლია და რომ იგი ა. შანიდერისა და სხვ. მონოგრაფიებით სარგებლობდა. ეს მობოდიშება ამკობს ჩვენს ავტორს. მაგრამ ეს მაინც და მაინც საჭირო არ იყო, რადგან მონაცემების მიხედვით, აღბერტ დიდის ტექსტებით თვით ანტონსაც არ უსარგებლია მან ეს ამბები, როგორც თვითონ აღნიშნავს, ლათინთა ფილოსოფოსების მეოხებით ისწავლა, რაც იმ მისიონერებს უნდა გულისხმობდეს, რომლებთანაც ანტონი ხშირი შეხვედრისა და ხანგრძლივი ბაასის შესაძლებლობა ჰქონდა.

რაც შეეხება ანტონის მიერ ორგვარი თვალსაზრისით — მეტაფიზიკურ-იდეალისტურიც და „ადამიანის ფსიქიკურ მოქმედებასადმი რეალური ფაქტების თვალსაზრისით მისდგომას“, — ეს სწორია და ვასაგებია, რადგან ასეა ეს ქართულ წყაროებში, რომლებსაც იგი საბოლოო ანგარიშში მიუყვება, მაგ. ი. პეტრიწი. კარგია, რომ ასეთი შეფასების შესაძლებლობას კ. მარქსი ადასტურებს ამ შესანიშნავ ციტატაში, რომელიც ჩვენი ავტორს მართებულად მოჰყავს (372).

კარგად არის ჩვენი ავტორის მიერ აღნიშნული, ანტონის შეხედულებათა განხილვისას, „მგრძნობელობითი ძალის“ შესახებ არისტოტელეთა ორგვარი გზით კავშირი — აღბერტ დიდისა და ნემესიოსის უმეტესის გზით; კარგად არის გამოყენებული აგრეთვე არისტოტელეს დებულების — მსეგაძნობა საგნის გარემოებარეობის შესახებ ე. ლენინის შენიშვნა (382). ერთია მხოლოდ იმ „მატერიალისტში“, რომელზედაც ე. ლენინი შემდეგ ლაპარაკობს,

ანტონს პირდაპირი წილი არ უღვეს, არამედ მღვნდა, რამდენადაც არის ბრტულეს „უახლოვედა“. ამიტომ ავტორის მტკიცება, რომ იგივე შეიძლება ითქვას „სპეკულიან“ ზემოთ მოყვანილი გრძობადი აღქმის თეორიის შესახებაც, რაც ვ. ლენინსა აქვს ნათქვამი არისტოტელეს მიმართ („Аристотель вплотную подходит к материализму“) — ანტონისათვის დიდი პატივისცემა უნდა იყოს.

ავტორი მართებულად ჩერდება „სპეკულიან“ ანტონის მიერ შეგრძნების თეორიისადმი დამოკიდებულების საკითხზე. როგორც ვიცით, არც სწორია, რომ ანტონი ალბერტ — არისტოტელეს შემოქმედია ამ საკითხის ისეთ ვალკურად დაუახლოვდა, რომლის შესახებაც ვ. ლენინმა თქვა „Аристотель вплотную подошел к материализму“ — ის კი სწორია, რომ „სპეკულიან“ მარჯვე პოზიციამდე დგას ამ არსებითად ფილოსოფიურ პრობლემაში. ეს ვვალადფერი სწორია და ნათელია.

ჩვენ მხოლოდ ყურადღებას მივაქცევთ ავტორის განცხადებას, რომ „ამ პრობლემატიკის ასეთ გაშუქებას გასაგებია მიზეზები მოეჭებნება იმ კონკრეტულ სიტუაციაში, რომელშიაც ანტონის „სპეკულიან“ იწერებოდა“. (გვ. 400). შეიძლება შევიქმნას შემთხვევითება, თითქოს „სპეკულიან“ და მისი ავტორისათვის სავანგებო სიტუაცია არსებობდა, რომელიც ქმნიდა ქართული ფილოსოფიის ისტორიაში ისეთ ფაქტს, რომ ერთი და იგივე მთავროვნე ერთი მხრივ ადეალისტური თვალსაზრისის მომხრე იყო, სხვით სხვა, უფრო პოზიტიურ ძიებათა სფეროში მატერიალიზმს უახლოვდებოდა. ავტორს ზემოთაც მოვახსენეთ, რომ ეს უღაო ფაქტი. მის მიერ სწორად შემჩნეული, საერთოდ არას დამახასიათებელი ქართული ფილოსოფიის ისტორიის ზოგჯე პერიოდისათვის. აქ უნდა გავიხსენოთ ი. ბეტრეფის მიერ „ღვთაებრივი“ თვალსაზრისით და „მუნებითი“ თვალსაზრისით სავანთა განხილვა, სადაც ის თავის ცნობილ „არისტოტელეობაზე“ ლაპარაკობს და სადაც ის, მართლაც, მატერიალიზმს უახლოვდება. ასეთი ხაზების აუცილებლობა ჩანს, იმთავითვე ჩიხსახა და მეტად თუ ნაკლებად იჩენდა თავს ამა თუ იმ კონკრეტულ ისტორიულ-სოციალურ გარემოში. ამიტომ ცხადია, რომ „სპეკულიან“ და მისი ავტორი არაა სავანგებო მდგომარეობაში და ავტორის მიერ სწორად შემჩნეული და აღწერილი ვითარება ქართული ფილოსოფიის ისტორიის საერთო კანონზომიერებით განისაზღვრება.

ანტონის შინაწერიდან — პირველად გარეგნითი გრძობათა შინაგანი გრძობანი ამისათვის მოვიხსენიეთ, ვინაჟამაც სულისათვის არის სიტყვა ჩემი“ (თ. 133) — ფართო დასკვნის გაკეთება ცნობიერების ცნებისათვის არ ზერბდება, და ალბერტ დიდის იქით წყარო თითქოს

არ ჩანს, რადგან ისიც თითქმის ასეთივე არის. იყო ზოგადი გრძობებისა და კერძო გრძობათა შესახებ, მაგრამ ინტერესს არაა მოკლებული ავტორის აზრი ანტონის ერთგვარი თავისებურების შესახებ ცნობიერების საკითხში (412).

დაახლოვებით ასეთივე დამოკიდებულება ანტონის ჩინაწერებისა წარმოიხინებს (ანე როგორც ჩვენ ახლა ვამბობთ — წარმოსახვის“) შესახებ ალბერტის ნათქვამის მიმართ ამავე საკითხზე. ჩვენი ავტორი მინც დასძინს, რომ „მთლიანად სპეკულის მოძღვრება, შინაგანი პირობითი ძალების შესახებ მინც თავისებურია“ და „შინაგნელობის“ ანტონისებურ განსხვავებას მიუთითებს (417). შეიძლება ავტორის აქ არ ვედავოთ. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორს, რომ „სახისა და შინაგნელობის განსხვავება წითელი ზოლივით მიყვება გრძობათა აღქმის ფსიქოლოგიის საკითხების გაშუქებას“ (425), ავტორს უნდა დავეთანხმოთ, რომ ანტონის ფსიქოლოგიურ სწავლათა გასაგებად არ კმარა „ცალკეული შინაგანი პირობითი ძალების“ — წარმოიხინების, პაზრის დანტაზიის, წესიერებისა და სხვათა შესახებ სხვადასხვა წყაროებიდან ამოღებული ციტატების შედარებითა კვლევა. ცხადია, როგორც ავტორი ამბობს, რომ „სპეკულიან“ თავისებურება მამინ იქნება გავებული, თუ ის აღებული იქნება როგორც მთლიანი ნაწარმოები (435). ამ დებულებას ავტორი ნათელყოფს „მუსიკების“ შემდეგ თავის ნიდაგზე, სადაც ნემსისოსავან დამასკელის მიერ ნახესხები აზრის კვალი შემცირებულია ანტონის საკუთარი ნაზრევით (438 და სხვა).

გრძობითი აღქმის ფსიქოლოგიის დასაბრუნლში განხილულია მეტად შინაგნელოვანი საკითხი — მოძღვრებისათვის მგრძობადობის ცალკე სფეროთა მატერიალური სუბსტრატის შესახებ“ (ზომ არ აუბებდა გვეთქვა „სუბსტრატის“ შესახებ“), ეს საკითხი (444—454) ზედმიწევნით არის ჩვენი ავტორის მიერ განხილული“ სპეკულიან ფსიქოლოგიის მიმდღვრების ძირითადი დებულებების საფუძველზე. ანტონის მიერ მატერიალურ სუბსტრატადღე ფიზიოლოგიურ მოკლენათა დაყვანა რაც ამ ნაწილშია განხილული, მეტად შინაგნელოვანი ეტაბა „ჩვენი ფსიქიკურის შესახებ მეცნიერული ცოდნის ჩამოყალიბების გზაზე“, (445). ამ მხრივ ანტონმა ისევე მოამზადა მე-19 საუკუნეში ფიზიოლოგიურ მონაცემთა ნიდაგზე დაფუძნებული ფსიქოლოგიის შექმნა გაბრიელ ქიქოსის მიერ რუსულ ენაზე, როგორც დარლქიტაისა და მატერიალიზმის შესახებ ქართულში ნაზრევმა მოამზადა იმავე მე-19 საუკუნეში სოლომონ დოდაშვილის ნაზრევი.

სამართლიანადა აღნიშნული, რომ რაციონალური შემქნების განხილვა „სპეკულიან“ არსებითად განმეორებაა იმისა, რაც ქართულ წინა-



მორბედ აზროვნებას შეეშველება, და აღორძინების პერიოდისათვის ს. ს. ორბელიანმა ლექსიკონში ერთხელ კიდევ ჩამოაყალიბა ანტონმა, ცხადია, აქ მხოლოდ ზოგიერთი ტერმინოლოგიური სიმაღლე შეიტანა (455).

როგორც წინათაც აღნიშნულია, ავტორი მართებულად ამბობს, რომ მრუდელად გარკვეული დამოკიდებულებისათვის წყაროებისაგან, განსაკუთრებით არისტოტელისაგან, ანტონი „სპეკული“ მაინც არ მიჰყვება ამ უცანსეცელს ყველა შემთხვევაში და ყველა საფეხურზე და, საბოლოო ანგარიშში, მთელ რიგ საკითხებში დამოუკიდებლობას იჩენს, მაგალითად, ისეთ პირველ საკითხში, როგორც იყო მოძღვრება „ისტყვიერი ძალის“ შესახებ, სადაც არისტოტელს ზენდიედილური და, მასმასამდე, უკვდავი ნაწილი ეგულებოდა სულსა, ანტონი მაინც მას „გერმონობლითი ძალებისაგან“ გამყვებითად არ წარმოიდგენს (463 და სხვ.) უდავოა ავტორის დეშულემა, რომ ანტონისათვის „გონება“ წარმოსდგებოდა როგორც სულიერი ძალა, და არა როგორც ზენდიედილური შემეცნების საწყისი... და რომ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საფუძვლად გონების უკვდავების მტკიცებისა“ (470). ჩვენ მხოლოდ მივაქცევთ ყურადღებას ამ გარემოებას, რომელსაც წინათაც აღვნიშნავდით, და რომელსაც ჩვენი ავტორიც აღნიშნავს, სახელდობრ რომ იდეალისტური ნაყლის გვერდით მატერიალისტურის არსებობა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის წინაპერიოდშიც სავარაუდოებელია.

ასევე სწორია ავტორის მტკიცება, რომ გონება და „მიდმოგონება“ ე. ი. დისკრისიული, „ბოულებითა“ აზროვნება არაა ანტონისათვის მოწყვეტილი ერთმეორისაგან და საფეხურებრივად უნდა წარმოედგინათ. მართებულადაა ამ ფაქტში ნეოპლატონიზმის (ფაქტურად ი. პეტრიწის) გავლენა დანახული (473), და აქედან უკვე ნათელია ავტორის დისკრისის სისწორე „ემპირიული ფსიქოლოგიის“ გადალახვის პოზიციისა და მატერიალიზმისაგან „გაუბედავი“ მიზეზების შესახებ (475). თეთონ ავტორიც აღნიშნავს, რომ ანტონის (და ს. ს. ორბელიანის) პრაგმეტიული სააზროვნო ნაყლის ახსნა ფილოსოფიის ისტორიის საქმეა, ეს სწორია, და ჩვენც ამის გაკეთება ვცადეთ. ჩვენი ავტორიც კარგად ზედავს რაშია საქმე და შესანიშნავად იყენებს ფრ. ენგელსის მითითებას საქმის ეთიკურების ნათესაუფლად. საკითხი ეგება მიაზროვნეთა შესახებ მათი „სასიტემის მიხედვით“ მსჯელობის შემდგომისა, რადგან „სასიტემები“ წარმოიშობიან ადამიანთა შიშობიანობისაგან წინააღმდეგობათა დაძლევისათვის (480). განმანათლებლობის ხანის ფსიქოლოგიური ცოდნის (და საერთოდ ცოდნის) განხილვის ისტორიულ შესავალში ავტორი სწორად

იყენებს საკითხს საქართველოს რუსეთთან შეერთების მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ სრულიად არ იყო სავრობა დასაგეგმარებას „საინტელექტუალური მოაზროვნეთა ვითომდა გავლენის შედეგებელთა წინააღმდეგ დიდი კამათი. ავტორმა კარგად იცის, რომ ეს ორი მოვლენა ერთმანეთს არაა და თამარაშვილთან ბრძოლა შეუფერებლად გამოიყურება ავტორის სერიოზულ და ნათელ ისტორიულ-კულტურულ კვლევის პერსპექტივებში (482-400).

შესანიშნავია მე-18 ს. მეორე ნახევრის საქართველოში ფსიქოლოგიური ცოდნის შესავლის კვლევა და მსჯელობა ანტონის რაციონისტული სკოლის შესახებაც.

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ანტონის ამ პერიოდის ნააზრების პირობების ამომწურავად შესწავლა ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის პრობლემაა. ის არაა მართალი, როცა იცხადებს, თითქმის ეს „ამდენად მისი ე. ი. ავტორის შ. ნ.“ კომპენტაციის ფარგლებს სცილდება“ (496). ავტორი მიხედავს ავტორს ამ საკითხისაც, რომელიც შექმნილია დავიდავად განხილვა მოცემულია ჩვენს მიერ ქართული ფილოსოფიის ისტორიის II ტომში. ავტორი თვითონაც კარგად არკვევს ანტონის მიერ ახალი თეალაზრისის შეთვისებას, რომელიც არჩევს და ერთი მეორეც უპირისპირებს არისტოტელის დოგმატიკურად და შეცნირებულად გავებას „ფილოსოფიებისა“ და „ფილოსოფიურ“ თეალაზრისის.

აღ. ფრანგიშვილი სწორად იქცევა, როდესაც ანტონის მეორე პერიოდის ნაპრობოთა შორის, თავისი მიხედვისათვის, ფსიქოლოგიათა იმ სახეობებს ანაწევრებს, რომლებიც ამ ახალ ნადავზე, ანტონის ამ საკითხზე ცოდნა-სწავლას გადააბიხიებს. ეს ეგება „მეტაფიზიკის“, „ეპიტელოგიების“ და „ფიზიკის“ ფსიქოლოგებს (511). სავსებით ნათლადაა მოცემული და გამოყენებული ანტონის მიერ ფსიქოლოგიური ცოდნის ახალ რედაქციაში გავებისათვის განვითარების გზა დეკარტეს მიერ წამოყენებული ცნობიერების ცნებისაგან და ამის ნადავზე შემთხვევითი შინაგანი კერტის, ინტროსპექციის მეთოდამდე, რომელიც ლიბანიცი-ფილოს სკოლაზე გავილი, ბუმიანსტერის სახელმძღვანელომდე სწვდება.

ანტონის თარგმნითი ფსიქოლოგიის გავებაში უნდა დავეთანხმებით ავტორს. თუმცა უნდა შევნიშნათ, რომ „მცნობელობის“ იმავი, როგორც ვითომდა ცდისებულთან დაკავშირებულის, უკვლე შემთხვევაში, ისეთი ნათელი არაა, როგორც „გაიუსსწავლებს გულისხმის მყოფელობა“ (518 და სხვ.).

ავტორი ყურადღებას აქცევს, რომ ანტონი „სპეციალური გამოკვლევის საგნად ზღის ფსიქოლოგიურ ტერმინოლოგიას“, ლაპარაკია ბუმიანსტერის თარგმანისათვის დართულ ქართულ

ფსიქოლოგიურ ტერმინებზე. მართალია, ამ მომენტებზე ფსიქოლოგიურ ტერმინებზეა ლაპარაკი, მაგრამ ანტონი ხანდხან „სპეკულაცი“ მიმართავდა ლექსიკოგრაფიულ მეთოდს ცნებათა განმარტებისათვის. ეს ამბავი მისი დროისათვის ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს. სხვა ლექსიკოგრაფიულ მეთოდი გამართლებული იყო კულტურულ-ისტორიული სიტუაციით, ანტონისა კი არა.

ბუნებისმეტყველების დარბაზი კომენტარებზე შეიძლება უფრო მოკლედ ყოფილიყო განხილული, რადგან შედარებით „სკეპტიკან“. ახალ ბერის არაფერს იძლევა (521—542) ამ შემთხვევაშიც „ფიზიკაში“ წარმოდგენილი ფსიქოლოგიური ცოდნა განსხვავდება ფილოსოფიურ ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული ცოდნისაგან. ცხადია, რომ ამ „ბუნებში“ ფილოსოფიასთან დაკავშირებით თავდაპირველდგება საკითხი „გრძნობის“ შესახებ (მეგრძნობის შესახებ). ეს იყო გზა ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიისაკენ, მაგრამ მას რეალური შედეგები არ მოჰყოლია, რის მიზეზდაც ავტორის სამართლებრივ მოპყვას საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა (449).

ფრიად მნიშვნელოვანია ანტონის სკოლის მოღვაწეთა — ტიმოთე გაბაშვილის, ფილოპე ნათამბაშვილის და ზაქარია მადიანაშვილის ნაშრომთა მიმოხილვა. შეიძლება ავტორის ურთიერთობა მივეყვით იმ ვარაუდებისათვის, რომ ტიმოთე გაბაშვილი, მიუხედავად ანტონის საქმის ვარაუდულად დიდი შექებისა, ფაქტულად ოპოზიციას უწევს მას. ერთად, ი. ბეტრეის ნააზრევინს აღდგენის ტენდენციებში მნიშვნელოვანია დადგენა იმისა, რომ ანტონ უკონდიდულს თარგმანს (ალბერტ დიდისა) საფუძვლად სდებია მხიბარ სევსტიელის 1715 წლის თარგმანი, რაც სომეხ-ქართულთა ფილოსოფიური ურთიერთობის ისტორიისათვის უფრადსაღებია (567).

უფრო ფაქტულ უნდა ჩაითვალოს, რომ ანტონი „სპეკული“ წერისას იჩენს ცოდნის ალბერტ დიდის არა მარტო „Summa theologiae“, არამედ მის სხვა ნაშრომებისაც, ან რომ მას საბუნდოვანად ჰყავდა გამოყენებული სხვა პირები — კათოლიკე მისიონერები, რომლებიც ალბერტის ორიგინალი იცნობდნენ (571). უნდა აღინიშნოს, რომ აღდგენილი რჩება — იცოდა თუ არა ანტონმა ლათინური ენა, ან ხომ არაა ზოგი რამ იმის დამადასტურებელი, რომ მას ალბერტის (და არა „ალბერტის“, რაც მისმინით ათვისებულს მოწმობს) აზრები ზეპირი ვადმოცემით აქვს შეთვისებული სიმჭურის გავლენით.

სემინარებში წარმოებული ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური მუშაობის ისტორიას ჩვენი ავტორის ნაშრომში ერთგვარ სიახლის მნიშვნელობა აქვს და, ამდენად, ასეთი თავის შეტა-  
10. „მართობი“ № 5.

ნა ნაშრომში გამართლებულია. არსებითად კი, როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, „სპეკული“ რია არ წარმოადგენდა ისეთ დამატებულ ტექსტს, რომ იქ ადგილი ჰქონოდა ანტონისა და მისი სკოლის მიერ ჩამოყალიბებულ მეტაფიზიკურ-რაციონალისტური ფსიქოლოგიის შემდგომ განვითარებას“. ამის გამო, შეიძლება ეს ნაწილი მოკლე მიმოხილვით ამოწურულყო.

იოანე ბაგრატიონის მატერიალისტური ფსიქოლოგიის მიმოხილვა, განსაკუთრებით „კალმასობის“ ავტორის და იონა ხელაშვილის გამოთხა სულის ბუნებისათვის — დაეს არ იწვევს. ჩვენს აქ უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ ეს ნაწილიც ზედმეტად ვრცელია. განსაკუთრებით უნდა ითქვას, რომ იონა ხელაშვილის აზრებს დასაბუთებულად შეიძლება მოკლედ, რადგანაც აქ ორიგინალური არაფერია და მტკიცების მეთოდური ტრადიციულია. მართალია, იოანე ბაგრატიონი ვრცელად ეყამთება იოანე ხელაშვილს. მაგრამ თავისი დროისათვის ამას უფროდ აზრი ჰქონებია და ამითვე განისაზღვრებოდა. მეორე მხრივ, იოანე ბაგრატიონის ბრძოლაში ხელაშვილის დოგმატიზმისა და მისტიციზმის წინააღმდეგ არ შეიძლება ვაამდვიროს ჩვენი რწმენა ბაგრატიონის პოზიციის რადიკალიზმის მიმართ. ჩვენი ავტორი გრძნობს, ცხადია, ამ ვარაუდების და წერს: „ამრავად, მართალია, „კალმასობაში“ მოყვანილია შეხედულება, რომ ადამიანის სული უკვდავია, სხეულისაგან განსხვავებულია და მოქმედებს სხეულის მონაწილეობის გარეშე... მაგრამ საკითხებს ისე არკვევს, რომ მეტოხვევს დასაბუთებულად ეჭვს აღდრავს იონასისწორებში, რასაც მეტაფიზიკური მოძღვრება წინამძღვრად იღებს“ (653). ამ ვარაუდების შეიძლება არკვევდეს იმ შემთხვევაში სოციალური ვარაუდების მოხსენიება, რომელსაც ავტორი მიმართავს (658). ერთი ცხადია, სულის სუბსტანციულობის მიღებაზე ხელი ვერ შეუშალა იოანე ბაგრატიონის ბრძოლაში მეტაფიზიკურ-რაციონალისტური ფსიქოლოგიის წინააღმდეგ“ ამის შემდეგ წარმოებული განხილვა ი. ბაგრატიონის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული ფსიქოლოგიისა — დაეს არ იწვევს. მართალია, „სულიერ ძალთა“ შესახებ სწავლან ი. ბაგრატიონი ავტორებს კონდოლატიკ დამუშავებით, მაგრამ რამდენადაც ის ამ დებულებებს იღებს წინააღმდეგობა ი. ხელაშვილის პოზიციის მიმართ ნათელია, თუმცა ი. ბაგრატიონმა ვაიზარია ის უარყოფითა შედეგებიც, რაც ლ. კ. კონდოლატიკის განსაზღვრულობისთან არის დაკავშირებული. (ავნოსტიციზმი) და გნოსეოლოგიური დელიზმი (1687 და შემდეგ).

ავტორის მოყვანილი აქვს ადგილები „კალმასობიდან“, სადაც მოცემულია იონა ხელაშვილის აზრების საწინააღმდეგო დებულებები (ერთად ანალიზური მეთოდის შესახებ) და ამ აზრებს ავტორი იონას აქმიყვინებს. შენიშვნა-

ში (697) ავტორი ამ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას აფასებს „კალმასობის“, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების, „საგულისხმო ფაქტად“. მოყვანილი ფაქტის მნიშვნელობა გაიკლებათ შეტია, რადგან „კალმასობის“ ავტორის საკითხი აქამდე იოანე ხელაშვილის ერთ წერილზეა აგებული და თვით „კალმასობის“ ავტულებში მოცემული საბუთი პირად აღარებზე უფრო ძლიერი საბუთია.

ავტორი აწარმოებს იოანე ბაგრატიონის ფსიქოლოგიურ სწავლათა დაღვივებას, სადაც იოანე უდაოდ „ბირი გამოუთხარა იდეალისტურ მოძღვრებას სულის შესახებ და განაერთარა მატერიალისტური შეხედულებანი ფსიქიკურზე“. მაგრამ ბრძოლა მეტაფიზიკურ-რაციონალისტურ ფსიქოლოგიის წინააღმდეგ — არსებითად ფილოსოფიური ხასიათის და მნიშვნელობის პრობლემათკაცს უკავშირდებოდა და საკითხის გარკვევა მოიგებდა, თუ ამ კვლევას ასეთ კავშირში ჩაებატარებლით. ეს არ ნიშნავს, რომ კვლევას ასეთი ხასიათის უფრო მჭიდრო ფაქტიურად რაიმე აკლდეს, ლამაზაყია საკითხის მეტ სინათლზე.

სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიის ამოსავალი მომენტების შესახებ ავტორი ფრად სადავო დებულებებს აყენებს: ს. დოდაშვილის ამოსავალი იდეამიანისგან თავისთავად არ იყო მისთვის მთავარი, რამდენადაც ს. დოდაშვილს ადამიანი მოქმედების პრეველაციის თვალსაზრისით ანტრეესებდა, რაც შან გამოხატა თავის განმარტებაში ფილოსოფიისა, რომელსაც ჩვენი ავტორი კარგად იცნობს. („ფილოსოფია არის მეცნიერება მთელი ჩვენი მოქმედების უკანსკნელი საფუძვლების შესახებ“ (721). აქ ფიქტე გამოყენებულია ს. დოდაშვილის მიერ. იოანე შადის შუალობით. უკანსკნელს გუთვნოდა წიგნი „ზოგადი ფილოსოფიის საფუძველთა შესახებ“, დაწერილი ლათინურ ენაზე (ტომი 1, ლოგია, დაბეჭდა 1812 წ. ბარკოის უნივერსიტეტის სტამბაში).

ს. დოდაშვილი, ცხადია რუსეთის მოაზროვნეთაგან მრავლად იყო დაეალებული, მაგრამ არ უნდა იყოს საყუბით ყურადღების გარეშე

დღივებული, რომ იგი ქართული სააზროვნო კულტურის ტრადიციების გამგრძელებელი იყო და, მხოლოდ ამის გვერდით — რადიშვილისა და სხვების (720) ავტორი თვითონაც აღნიშნავს ასეთ სიახლოვეს ქართულ ტრადიციებთან ამიტომ რადიშვილის ტრადიციის გვერდით ავტორი სამართლიანად აღნიშნავს რომ ს. დოდაშვილის საფუძური „შინაგან და ორგანულ კავშირში იმყოფება საქართველოში ფსიქოლოგიური ცოდნის განვითარების წინა საფუზერთან“. კიდევ მეტი, ჩვენმა ავტორმა კარგად იცის, რომ ს. დოდაშვილის შეხედულებანი „ყალიბდებოდნენ მისი დროის რუსეთის შოწინავე ფილოსოფიური აზრების ზეგავლენით... და იგი მინეც ყალიბდებოდა საქართველოში ფილოსოფიური ცოდნის განვითარების შინაგან საფუზერის სახით“.

ჩვენი ავტორი უდაოდ სწორად არკვევს რიგ პრობლემებს ს. დოდაშვილთან დაკავშირებით. სახელდობრ, რომ ს. დოდაშვილი არ იყო კანტიანელი, როგორც ერთბაშად დაასვენეს ეან. როდლეომა და სხვ, რომ იგი უახლოვდებოდა მატერიალისტურ ახსნას რიგი საკითხებისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ს. დოდაშვილის „კონცეფციაში“ ცნობიერების შესახებ მნიშვნელოვნად დამკუთხულია ცნობიერების იდეალისტური სუბიექტურ-ინტროსპექტული კონცეფცია.

ასეთთა ა. ფრანგიშვილის ნაშრომი, იგი უდაოდ აღწევს თავის მიზანს. ავტორმა პირველმა დიდი ფაქტიური მასალის საფუძველზე და გონებამახვილი მიხედვრებით აღმოაჩინა და მეცნიერულად დაადასტურა მე-17—19 სუკუნეთა განმავლობაში საქართველოში ფსიქოლოგიურ სწავლათა ისტორიის არსებობა.

ა. ფრანგიშვილიმა თავისი იშვიათი გამოკვლევით დაადასტურა, რომ საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი და განვითარებული სააზროვნო კულტურა შეიცავს ისეთ ცალკეულ მხარეებსაც, რომელთა კვლევას დრო უკვე დადგა. ერთი ასეთი მხარე ქართული სააზროვნო კულტურისა შან თვითონ გვიჩვენა და ესაა ამ დარგში მორიგი მიღწევა.



# ფაუსტური იდეები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

(წერილი პირველი)<sup>1</sup>

პირამზე. მინდვრის ყუბილთა შორის ვეფას ყველაზე უფრო პირამზე უყვარდა. მართლაც არის რაღაც განსაკუთრებული ამ უცნაური მცენარის ბუნებაში. ვაჟა ამბობს, რომ „... თვალები მას ყოველთვის მზისკენა აქვს მიხურბილი“. იგი „მზის მოტრფიალეა“. „როგორც შეილის თვალები თან დასდევს ღვდას და ცდილობს არსად დაეშალოს ღვდა, ისე ამისი. მზე ღვდა, პირამზე შეილა მზისათა“. ალბათ გოეთესაც ამიტომ უყვარდა ასე ძლიერ პირამზე, რომ ფრანგა მწერალი პოლ ვალერი უსაყველურებს კიდევ: „ერთი მისი საყვარელი მცენარისა არ იყოს, თავს იგი ყოველთვის სინათლისა და სითბოსკენ იბრუნებს“.

გოეთე და ვაჟა მართლაც სინათლისა და სითბოს პოეტები არიან. ისანი აღმამაწერას ასპექტში განიხილავენ სამყაროსა და ბუნების მრავალფეროვნებას, მის სილამაზეს.

ვაჟა კარგად იცნობდა დიდი გერმანული მწერლის შემოქმედებას. იგი ორგანულად განიცდიდა გოეთეს მიერ ბუნების ვატალურ გაგებას და ცდილობდა უფრო ღრმად ჩაწვდომოდა მის აზრს. ალ. სალარბის ცნობით ერთხელ ვაჟა მისულა მასთან ფიქტეს „ფიზიოლოგიური წერილებისა“ და ბუნებრივ „ძალა და მატერიის“ წასაღებად. აქ მათ წუთობივით ალ. ბარატინსკის ლექსი „გოეთეს სიკვდილზე“, სადაც რუსი პოეტი ამბობს, რომ გოეთე ბუნებასთან სუნთქავდა ერთიან სიკაცობით, რომ ის არჩევდა ნაკადულების ჩხრიალს, ასმენდა ფოთლების სუნბარს, გრძნობდა ბალახების აიშოცენებას, კითხულობდა ვარსკვლავების წიგნს და ემუსაიდებოდა ზღვის ტალღებს.

ამ ლექსს განსაკუთრებულ მთაბეჭდოლება მოუხდენია ვაჟაზე. საღარიბე წერს: „მთელი მთა სიხარულისა ამოსკდა ლექსს გულიდან, ებრუტვიით ტრიალებდა... და გაიშახლდა: აი ჩემი სარკე! შე ვიპოვე ჩემი თავი“.

ასე ღრმად განიცდიდა ვაჟა ბუნების გოეთესეულ თვალსაზრისს. იგი სწავლობდა მის ნაწარმოებებს, განსაკუთრებით „მცენარეთა შეტამორფოზმას“ და „ფაუსტს“. თავის კრიტიკულ წერილებსა და მოგონებებში ვაჟა ყოველთვის დიდს მოწონებთ იხსენიებდა გოეთეს;

მისაბამ მაგალითად და მიუწვდომ მწვერვალად სთვლიდა მის ღრმამაზროვიან შემოქმედებას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ვეფას შეხედულებები ბუნებაზე გოეთეს ბუნებისმცენარებიდან გამოშლინარობდეს. არა. ვეფას შემოქმედება უფრო ზღვაა კგავს ვიდრე მდინარე მას შეიძლება შენკავადები ჰქონდეს, მაგრამ არა ხათავე. იგი ისე დიდი და ორიგინალური პოეტური მოვლენაა, რომ მართლაც შეეძლო ეთქვა, „შე ვტრიალებ ჩემი დერძის ირგვლივ“. მართალია, ვაჟა ბევრ რამეში ეთაწბნებოდა გოეთეს, ალტაცებულიც იყო მისი გრანდიოზული შემოქმედებით, განსაკუთრებით „ფაუსტოთ“ და ბუნების ვატალური კონცეპციით, მაგრამ საკუთარი თვალსაზრისის მიხედვით დამოუკიდებლად ჩამოაყალიბა. ამიტომაც, რომ ის თავს თავს ზედავს გოეთეს სარკეში და არა პირაქით. ვაჟა უმთავრესად ემოციურად განიცდიდა ბუნებას, გოეთეში კი მეცნიერული ინტერესი სჭარბობს. ორივენი სხვადასხვა ასპექტით, მაგრამ მიხედვით ბუნების ობიექტურ კანონებს სწავლობენ. ფაუსტური ბუნებისმეტყველების პარადიგმაული განვითარებაც ამ კანონების შეინარჩუნებაშია. ეს კი განსაკუთრებულ უჭრადღებას მოითხოვს, რადგან ფაუსტურის ცნების შინაარსის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს სწორედ ბუნების საიდუმლოებათა ახსნა წარმოადგენს. ფაუსტი, როგორც „გნოსოლოგიური სუბიექტი“ ცდილობს ბუნების წიაღში შეჭრას და მისი იდუმალი მზარეების გაშუქებას.

ბუნების როგორც მთლიანობის შეცნობის პროცესში უალიბდება ფაუსტის დამოკიდებულება სამყაროსთან.

ხალხურ თქმულებაში „ბუნების“ ცნება „ეოსმოურის“ ცნებას უკავშირდება. ვარემე სამყაროს საიდუმლოებათა ახსნის სურვილი უფრო მეტად ბუნების გარეგნულ მოვლენებს ეხება, ვიდრე მის აზრს. ფაუსტი იმაზე მეტს არაფერს მოითხოვს შეფესიკათელისაგან, რაც იმ ღრმის ბუნებისმეტყველებისა და ვარსკვლავთმრიცხველობის საგანს შეადგენს. ეს სურვილი ჯერ კიდევ ეფერება, და საქმაოდ მარტივი. ხალხურ თქმულებაში აღწერილი „ღის-პეტაკები“ ეხება მხოლოდ ქარის, სეტყვის, წვიმის და სხვა უბრალო მოვლენების ახსნას, ან სამოთხისა და ჯოჯოხეთის საიდუმლოება-

<sup>1</sup> წიგნიდან „ფაუსტური პარადიგმა“.

თა გაგებას, რასაც ბუნებასთან კავშირი არც აქვს. შემდეგ საკითხი უფრო რთულდება. ისახება ბუნების მოვლენების კანონზომიერებათა შესწავლის ამოცანა. ფაქტურ პარადოქსებში ჩნდება მისწრაფება სამყაროს, როგორც მთლიანობის კომპლექსური შეცნობისადმი. კუშიარიტების ძიების სფერო ღრმავდება და მოვლენებიდან არსისაკენ მიდის. მთელი სამყარო წარმოიდგინება, როგორც ერთიანობა და მოძრაობა. ფაქტური ძიება პირველსაწყისის პრობლემებსაც აყენებს და მაშინვე აწყდება წინააღმდეგობას მადიბლური გონების მისწრაფებასა და შესაძლებლობას შორის. ადამიანი ვეღარ წვდება ბუნების მთლიანობას. მართალია, ფაქტის წინაშე მთელი მაკროკოსმოსი ვაშლილი, მაგრამ მის არ შეუძლია სწავლეს მთლიანს. ამიტომ მიმართავს იგი დემონურს და ცდილობს „ბუნების სტიქიაში შეჭრას“. ამკერძი ძიება სრულყოფილ სახეს პირველად გოეთესთან იღებს. ბუნება აქ გაგებულა როგორც კანონზომიერება. მასში შეცნეირულის თვალსაზრისით საფერტესო საკითხებთან ერთად დანახულია ეთაერია და ესთერტიკური ფენოშენიტი. სილაზებისა და სიკეთის პარადოქსურად გოეთეს ყურადღებას ახაყობს ბუნების შინაგანი ცხოველყოფილი ძალა, რაც გარდასახვის გზით მოვლენების მრავალფეროვნებაში ელნდება. იგი როგორც ბუნებისშეტყველი იკვლევს ცვალებადობის ფორმებს, მცენარეთა და ცხოველთა მეტამორფოზის კანონებს, სახეათა შექმნას, არსებობის მარადიული განახლების მიზეზებსა და პრინციპებს. ამასთანავე ბუნების გრძნობა გოეთესთან ესთერტიკურ მოვლენად იქცევა. მზის ამოსვლის დიებული სურათი ხალხით აესხებს ფაქტის სულს. ვერთერი დნება ბუნების სიმშვიდში. იგი გრძნობს „მდებარე კავშირს უსახლგრო და უსმოდ მეტყველ ბუნებასთან“ (გოეთე). ადამიანები და ბუნების მოვლენები ერთ კონტრაშენქტულ პარამონიას ქმნიან. სუბიექტი და ობიექტი პოლარულ წინააღმდეგობას ქონს ან წარმოადგენენ, არამედ განმარტავენ და აესხებენ ერთმანეთს. გოეთე წერს: „ყველაფერი, რაც არის სუბიექტში, არის ობიექტშიც და კიდევ რაღაც ყველაფერი, რაც არის ობიექტში, არის სუბიექტშიც, და კიდევ რაღაც“. ეს კიდევ რაღაც იზიდავს პოეტურ შოაგონებას. შემოქმედების მახვილი თვალი მოვლენებში ყოველთვის მეტს ხედავს, ვიდრე მათში ჩანს, ეს „მეტი“ შეცნეირების სფეროს მიეკუთვნება, რადგან, გოეთეს აზრით, შეცნეირება ბუნების იდუმალი ძალთა მანიფესტაცია, ხოლო შეცნეირება ადამიანი მისი უმძლესი შედეგი გარდა ამისა, „ბუნებას საყოთარი, ყოვლისმომცველი აზრი აქვს, მაგრამ მას ვერაჟინ ამჩნევს“. ფაქტური სული შილიტვის განსჭერტოს ბუნების ეს „საკუთარი აზრი“.

პოეტური ხელოვნება საერთოდ არასოდეს არ-

სებულა ბუნების სილაზის ემოციური აღქმის გარეშე. ორფეოსის მითური ჩანჩქის ცენტრალსაგ საგნებსაც აცოცხლებდა. ცემოქროლს ჯადოსნურ სიმღერაზე ქვებიცი იყყებდნენ ხტომას. სილაზაზე იყყვდა მძლავრ პოეტური აღმავრება, ხოლო პოეზია ხშირად ადამიანურის ისპექტში გამახტავდა მას. გოეთეს მიხედვით, „ჩვენ არაფერი ვიცით სამყაროს შესახებ ადამიანთან დამოკიდებულების გარეშე“. არც ბუნების გრძნობაზე შეიძლება ლაპარაკი ამის გაუთვალსწინებლად. „ადამიანი თავის თავს ხედავს ბუნების სარკვეში“, — ამბობდა გერმანელი პოეტი რიქერტი. უფრო სწორი იქნებოდა, ეთქვა „თავის მსგავსს“ ხედავს, ან სულ გოეთესებურად რომ დეუსტეტებინა — „სხვა თეთონს“ (andere Selbst). ხედავს და არა „თავის თეთონსა“ (seiner Selbst). ყოველ შემთხვევაში ადამიანი ბუნებაში სუნთქავს, ბუნება კი ადამიანში. „განა ბუნების გული ადამიანის მკერდში არა სცემსო?“ — კითხულობს გოეთე. ბუნებისა და ადამიანის პარამონიულობის ასეთი გრძნობა პოეზიის სათვეებებდან მოდის. „მზე დედაა ჩემი, შოვარე მამაშემო“, — ამბობდნენ ჩვენი უძველესი წინაპრები. პოეტური აზროვნების დიდ შარავსას დღემდე მოსდევს ბუნებისა და ადამიანის ასეთი პარამონიის გრძნობა.

ამ გრძნობის უმაღლეს პოეტურ გამოვლენას წარმოადგენს გოეთე და ფეა, რომელნიც ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის ღრმა ფილოსოფიურ გაგებას იძლევიან და პოეტური კოსმოგონიის რთულსა და ლოგიკურ სისტემას ქმნიან. მათი ბუნებასთან დამოკიდებულება შოფლმხედველობრივი ხასიათისაა. ისინი არა მარტო სწავლობენ ბუნებას, არამედ განმარტავენ კიდევ, ამ მზრავთა საინტერესო გოეთესა და ვაჟას ურთიერთობის განხილვა. ცნობილია, თუ რა დიდ დროს ანდომებდა გოეთე ბუნებისშეტყველების საკითხების შესწავლას. მისი შრომები მორფოლოგიის, მცენარეთა მეტამორფოზისა და ფერების შესახებ, აგრეთვე ანატომიისა და ფიზიოლოგიის საკითხებზე დიდ მეცნიერული ბრებულებას წარმოადგენენ.

ბუნების საიდუმლოების ფაქტური წვდომა, პირველად გოეთესთან იღებს ქემშარტი. ფილოსოფიურ სახეს. ყველაფერი გონიერული, რაც ბუნების შესახებ მინამ იყო თქმული, გოეთეს ბუნების ფილოსოფიაში იყრის თავს. იგი მრავალმხრივ ასახავს ყოფიერების მრავალფეროვნებას. ჯერ კიდევ მისი თანამედროვენი ამბობდნენ „ბუნებამ მოისურვა ენახა როგორი სახე ჰქონდა და გოეთე შექმნა“. გოეთეს სარკვეში მართლაც სრულყოფილად გამოჩნდა ბუნების უსახლგრო სიდიდე. აღრინდული შწერლება, მათ შორის ეს ეს რუსოც უფრო

1 გამოჩენილებს რა თქმა უნდა ვხვდებით (პოეტისთვის, ლესინგე).

უმოციერის თვალსაზრისით უფერებდნენ ბუნებას. ვოეთეს ლინეოსისებური თვლი კი მის კომპლექსურ რაობას წყდება. მეცნიერული, ეთიკური და ესთეტიკური თვალსაზრისის ერთიანობა ქმნის მისი საბუნებისმეტყველო კონცეპციის მყარ საფუძველს.

კოსმიური მთლიანობა. ვოეთეს აზრით, ბუნება ყველაფერს და „ყველაფერი მასშია განუწყვეტლივ“. იგი მთლიანია, ერთ საერთო კანონზომიერებისაღმი დაშორილიებული. გოეთე წერს, რომ „ბუნება, რა მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს, მანაც ყოველთვის ერთიანია“. იგი იზიარებს სპინოზას აზრს კოსმიური მთლიანობის შესახებ და აღიარებს ბუნების კანონების უსაზღვრობასა და გარდევადობას. ვოეთეს აზრით, ბუნება შედარებით მოქმედებსა და ცვალებადობაშია. იგი განასხვავებს და აერთიანებს, ქმნის, ანგრევს და ისევ ქმნის, უწყვეტობს ავლებს ქმნილებათა შორის, მაგრამ იმავე დროს ვეღას სემს ვერთიანებისაქენ მისწრადებას.

ბუნება განუწყვეტელი პროცესია. „იგი მთლიანია და მუდამ დაუმოკიდებელი“. მას უყვარს მოძრაობა. იგი ხან შეჩერდება, რომ დაეწონოს, ხანაც ანჭარბება, რომ „თავი არავის მოაწყინოს“ და ცდალობს სულ ახალ-ახალ ფორმაში მოგვევლინოს. ბუნება არ წარმოადგინება სიცოცხლის გარეშე. „სიცოცხლე მასი საუკეთესო გამოკვლევაა“. წერს გოეთე. თვით სიცოცხლიც კი მასთვის ზერხია, რომელსაც იმისთვის იყენებს, რომ „ამრავლოს სიცოცხლე“. ბუნება შეფარვლობს ყოველივე დაიკოს. იგი მკაცრიცა და კეთილიც. მისი გვირგვინია — სიყვარული. სიყვარულითვე შეიძლება მასთან მიახლოება. მხოლოდ სიკეთესა და სიყვარულს გადუმშლის იგი გულს. ვინც მას მიენდობა, „გულში იყრავს, როგორც ღვიძლ შვილს“. ბუნება ხარობს ოცნებით, მაგრამ ვინც ამ ოცნებას თავისში ან სხვაში აშხერტებს, სჯის მას“. იგი გვესაუბრება ვეღას, მაგრამ მთინე არ გვიხსნის თავის საიდუმლოებას. ფაუსტი კი სწორედ ამ საიდუმლოებასაქენ ისწრადება: მას სურს ყველაფერი ვიკავოს, რაც მასშია „ხასიაღმშლოებელი“. ამის მიღწევი კი იმით შეიძლება თუ ვიკვარებთ „თანახმად ბუნებისს“.

ამაშია პრობლემის აზრი. მთავარია ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის დადგენა. გოეთე ამ საკითხს გამოხატავს მოკლე სენტენციისში: „ყველა ადამიანი ბუნებაშია, და ბუნებაც ყველა ადამიანში“. იგი ბუნებაში ადამიანურს ხედავს, ხოლო ადამიანში ბუნებრივს. მისი უმაღლესი იდეალია „ცხოვრება თანახმად ბუნებისა“. ამ იდეალს პრაქტიკული ადამიანია, როგორც ცხოვრების უმაღლესი ფორმა და თუ ცხოვრება არისა ბუნებისა, ადამიანი მისი მწვერვალია. გოეთე წერს, რომ ბუნების გვირგვინს მშვენიერი ადამიანი წარმოადგენს. ამიტომაც „ცხოვრება თანახმად ბუნებისა“ ადამიანის „ადეალურ

მდგომარეობას“ გამოხატავს და ამის მიხედვებით აქედან გამომდინარეობს გოეთეს „ცხოვრება თანახმად“ და ბუნების პარამონიული ერთიანობის შესახებ.

ვთქვა იზიარებს ამ თეორიას. აღ. სალარაძე წერს: „ლუკა ეკუთვნოდა იმ მძლავრ მოძრაობას, რომლის ლოზუნგად ერთ დროს იყო: „ცხოვრება თანახმად ბუნებისა“. იგი ვერ ეტეოდა პროვარაიის განსაზღვრულ ჩარჩოებში, არ სწამდა პრაქტიკისში, „პატარა საქმეები“, იგი სპობდა ქვეყნის ბოროტებას ერთი ხელის დაკვერით: „ყველაფერი ან არაფერი“. მისი ფილარბახული ქმნაში აღწედა კოსმიურ საზღვრებამდე. ლუკა სტოიცი, ფიჯელტერის მოტრფილი, პირველი ქართველი ელენია, რომელიც შეედგა ბუნებას“.

ამიტომ იყო ვთქვა ასე მძლიერ დანერტრესებული გოეთეს ბუნებათმეცნიერებთა. იგი ჯერ კიდევ ვორის საოსტატო სემინარიისი კითხულობდა მის „მეცნიერთა მეტამორფოზას“. ბუნების ამ ორი დიდი მესაიდუმლის ნააზრეში ბეჭეტი რამაა საერთო, მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაცაა. მართალია, თვითონ ვთქვამს, ჩემი თავი ენახე გოეთეს სარკეშით, მაგრამ ბუნების ვთქვანილი გაგება არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ვოეთეს სარკის ანარკელი. თუ საკითხს სამყაროს პოეტური ასახვის თვალსაზრისით შევხედავთ, ვთქვამს გრანდიოზული შემოქმედება ვერც ჩაეტევა ამ სარკეში. მართალია ასეთი მასშტაბების დადგენა ძნელია, მათი შედარება — უხერხულაც. მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ ვთქვა პოეტური დამოკიდებულება ბუნებასთან უფრო თანმიმდევრულია, ვიდრე გოეთესი.

საერთოდ ცნობილია რომ გოეთეს თვალსაზრისი ბუნების შესახებ არ არის ბოლომდე თანმიმდევრული, ამას თვითონაც აღიარებდა. იტალიისი მოგზაურობის შემდეგ იგი მნიშვნელოვანდ გაემიჯნა თავის ადრინდელ შეხედულებებს. თუ მანამ ბუნებას ის უმთავრესად პოეტურ ასპექტში ხედავდა, იტალიისი მოგზაურობის შემდეგ უფრო მეცნიერული ინტერესი სჭარბობს. გოეთე წერს, რომ ამის შემდეგ იგი უფროსად გოეთეს თუ ბოტანიკოსის თვალსაზრისით უფერებდა საგნებსა და მოვლენებს, ვიდრე პოეტის თვლით. „პოეტური თვალსაზრისით ბუნება მე აღარ შიტაცებსო“, — წერდა გოეთე. მეტიც, 1828 წელს დაწერილ „განმარტებაში აფორისტული სტატიისა „ბუნება“ უთვედრმად მოხუცი გოეთე აღარებს თავის ძველსა და ახალ შეხედულებებს ბუნებაზე და „ილილის მიმგვრელად“ მიიჩნევს პირველს. ამის გამო მისი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის ნაწარმოებებში თანდათან ნელდება ბუნების ის დიდი ემოციური პათოსი, რომლითაც გამოქვეალული იყო უფრო ადრინდელი შემოქმედება. რაც შეეხება მის ბრწყინვალე საბუნების-

მეტყველო ახსნალებს, ისინი უფრო მეტნი-  
რულ ინტერესს იწვევენ, ვიდრე პოეტუო-  
ბენ კა, უწინაარეს ყოვლისა გოეთეს და ვაჟს  
სწორედ პოეტური ასპექტი გვიანტერესებს და  
არა შეცნობილი. ამ მხრივ იც, ცხადია, ვაჟა  
უფრო ლამიმდგრადულია. ის ბოლომდე მიყვება  
ბუნების ფილოსოფიურ, ესთეტიკურ და ეთი-  
კური მხარეების პოეტური აღქმის გზას. ვაჟა  
ბუნებას სპეციალური, ბუნებისმეტყველური  
ინტერესით არ ეკიდება. იგი სამყაროს მთლი-  
ანობის პოეტურ სურათს ქმნის და ერთ განუ-  
ყოფელ კომპლექსად წარმოიდგენს მის მრავ-  
ალფეროვნებას. ამ მხრივ იგი უზადლოა  
მსოფლიო ლიტერატურაში. მაგრამ ეს იმას არ  
ნიშნავს თითქოს ვაჟას ბუნებისმეტყველების  
პოეტური ასპექტი გამოირიცხავს მხოლოდმხედვე-  
ლობრივ მომენტს, პირიქით, მისი შემოქმედებებს  
სიძლიერე სწორედ იმაშია, რომ ის თავის და-  
მოკიდებულებას ბუნებასთან შიდალმობატურ  
პოეტურ ფორმებში ავლენს. მართალია ის თა-  
ვლისწინებს სხვა დიდი მწერლებს გამოკლი-  
ნულობას, მაგრამ მაინც პრინციპულად ახალსა  
და უფრო სრულყოფილ კონცეპციას ქმნის.

ვაჟა საერთოდ დიდ ინტერესს იჩენდა ფილო-  
სოფიისა და ლიტერატურის საკითხებში. თ.  
ხუსეივაძე გადმოგვცემს: „თუ რაიმე ახალი  
წიგნი გაჩნდიდა ქართულ ან რუსულ ენაზე,  
ამას ვაჟას ხელში ვნახავდით. ყოველ ახალს  
შობაობას ლიტერატურაში ვაჟასაგან შეე-  
ტყობდით“<sup>1</sup>. ალ. სალარძის ცნობით ვაჟამ  
„შეისწავლა ბერაელიტი, სოკრატე, პლატონის  
„რესპუბლიკა“, ეპიკური. გადაიკითხა ბეკონი,  
კანტი, ბოჩერი, ლებეჟერი, სენეკა, „სა-  
современный социализм“ ლაველუაი, „მე-  
ნარეთა შეტამორფოზა“ გოეთესი, და ბოლოს  
მეუბრუნდა პომპროსს, ვირგილიუსს, დანტესს,  
მილტონს, შექსპირს, ბაირონს და ფოტესს. მო-  
ლოტონისა და ბოლსეგრის მატერიალიზმში იგი  
ექებდა პასუხს ნებისა და სტრლის რაობაზე“.

თუ რა ბრწყინვალედ იცოდა ვაჟამ გერმანიის  
ლიტერატურა, ჩემს მის მიერ ჯერ კიდევ გო-  
რის საისტრტო სემინარიის წყალობით მოხსენ-  
ებების: „ლექსი შერანი, როგორც ბარათაწე-  
ვის მსოფლმხედველობის გამოშვებები“. ამ  
მოსხენებში, როგორც ვიცი, ის განიხილავს  
ე. წ. „მსოფლიო სეიდის“ პოეზიას, კერძოდ  
ბაირონის შემოქმედებას. ვაჟა ავრტიკებს  
იმათ, ვინც „თავის ხსნას საზოგადოების გარე-  
შე ექმნის“ და ახსენებს, რომ „პიროვნების მნიშ-  
ვნელობა ფასდება მხოლოდ მისი თავადმდებელი  
მოღვეფიობით საზოგადოებრივ სფეროში და  
არა მის გარეშე“. „მე ამას ვამბობ საზვას-  
მითო“, განუცხადებია თურმე ვაჟას. ის არ  
იზიარებდა თან რაც რუსოს შეხედულებას,  
თითქოს კულტურამ ადამიანი ჩამოაშორა ბუნე-

ბას და გაუბედურა. ვაჟა კრიტიკულად იყო  
განწყობილი ვერტერისადმი, რამელიც საზოგა-  
დოებიდან ბუნებაში გაქცევაში „უიღრეს ბეი-  
მისმამდე და ბოლოს თვითმკვლელობამდე მი-  
იყვანა“. იგი უმწყოლდ მიიჩნევს შატოპარიანის  
რენესანს, რადგან ის ბუნებაში მხოლოდ თავ-  
დაწვივებას ეძებს.

ასევე კრიტიკულად ითვისებს ვაჟა გოეთეს  
შეხედულებებს ბუნებაზე. იგი გააცხებულია  
გოეთესა და სპინოზას პანთეისტური შეხედუ-  
ლებებით, ზოგჯერ ეთანხმება კიდევ თავის  
წინამორბედებს. მაგრამ ვველიერს მაინც საკუ-  
თარი აზრების „მანგანამ“ გადაამუშავებს და  
სრულიად დამოუკიდებელ სისტემას ქმნის. ეს  
სისტემა ზოგ რამეში შეიძლება მართლაც ჰგე-  
დეს სპინოზასა და გოეთეს აღრინდელ მატერია-  
ლისტურ-პანთეისტურ შეხედულებებს, მაგრამ  
ამას, ცხადია, არავითარი კავშირი არა აქვს, და  
არც შეიძლება ქონდეს, რელიგიურ-პანთეის-  
ტურ წარმოდგენებთან; მით უმეტეს პირველ-  
ყოფილ ანიმიზმის გადმონათობთან. ამ საკითხს  
ბევრი ქართული შეცნობის შეეხება. შეხედუ-  
ბას, თითქოს ბუნების ვაჟასეულ ვაგებში პან-  
თეისტური შეხედულებები ელინდებობდეს, მთე-  
ლი კატეგორიულობით იქნა უარყოფილი. მაგ-  
რამ ამ კატეგორიულ ტონში ერთგვარი გადა-  
ქარბება იგრანობა, როდესაც გოეთეს მუ-  
თითებს სპინოზას პანთეიზმის მატერიალისტურ  
ხასიათზე, მან სთქვა, რომ ამგვარად ვაგებულ  
პანთეიზმს შეიძლება ისიც მიეუთენოს. იგივე  
ითქმის ვაჟაზეც. თუ პანთეიზმს ვაგანთავისუფ-  
ლებთ რელიგიური შინაარსისაგან და სპინოზა-  
სებურად მატერიალისტურად განმარტავთ, შე-  
იძლება ვაგ-ფშველს შეხედულებებშიც ბე-  
რი რამ აღმოჩნდეს ამგვარად ვაგებულის.

რაც შეეხება ვაჟას დამოკიდებულებას პარ-  
ველყოფილ ანიმიზტურ წარმოდგენებთან, აქ  
მართალია დიდ გუგებრობასთან გვაქვს საქმე-  
მართალია ეს გაუგებრობა ვაგანდულ იქნა ამ  
უქანასეულ დროს გამოქვეყნებულ შრომებში,  
მაგრამ ბუნების ვაგანეული ვიტალოზი კონცე-  
ციის განმარტება დღესაც ბევრ ხარეზს შეი-  
ცავს. შესაძლებელია ამ ხარეზის გვესებში  
ერთგვარი დახმარება ვაგეციონის გოეთესა და  
ვაჟას შეხედულებების შედარებობით შესწავლა.

მეტყველი ბუნება. ყოველ ემოქას თავისებუ-  
რი განცდა აქვს ბუნებისა. თითოეული პოეტი  
საკუთარი თვალთახედვის ასპექტში ხე-  
ავს სამყაროს ხილულ მშვენიერებას. ზო-  
გი გაოცებულა საჭეობათა სიდიადით  
და მის გამო გამოსთქვამს თავის აღ-  
ტაკებას. ზოგიც ბუნების „გონივრულ კანო-  
ნებს“ სწავლობს და მათ გამოხატავს ერთნი  
ტერეტის სიხარულით ტუბებიან, მეორენი კანონ-  
ზომიერებათა ძიებით. თავის მხრივ ბუნებაც  
„ყველას განსაკუთრებულ სახით ეცნება“  
(გოეთეს). ის მრავალფეროვანია და ამოუწერა-

<sup>1</sup> ს. უბნანიშვილი, „ვაჟა-ფშაველა“ გვ. 96.

ე, ზოგისთვის შეტყველო, ხოლო ზოგისთვის უტყვი. ნ. ბარათაშვილი წერს, „მრწამს, რომ არს ენა არს საიდუმლო ესაკეთოთ და უსულო შორას“ — და განა ეს შარტო ბარათაშვილს სწამს? საყოველთაოდ სახეშობველი პოეტთა შორის ბევრია ასეთი. მათ შორის ვაჟა-ფშაველას იმის გაჩვენება საჭირო, თუ რა „საიდუმლო ენაზეა“ აქ ლაბარაჟი; ან რას უნდა ნიშნავდეს გოეთეს მსგავსება უხანო მეთველებს შესახებ?

უძველეს ხალხებს რდესდაც მართლაც სჯეროდნო ბუნების სულიერობა. ეს მათი პრაქტიკული მსოფლგაგების შედეგი იყო. შედეგ კაცობრიობამ განეთოარების უზარმაზარი გზა გაწვლო. გონებამ გაფინტა ბუნების ასეთი კრწმორწმუნეობითი ვაგების ბუნება. აღამიანები თანდათან განათავსულდნენ ანიმისტური წარმოდგენებისაგან, მაგრამ უსულო საგანთა ვიტალური ხედვა დღემდე შემორჩა პოეზიას. ახლა, ცხადია, სერიოზულად არავაფიქრობს, თითქოს რომელიმე პოეტს სჯეროდეს, ხეს, წყაროს, მთას, მდინარეს აზრი და გონება ჰქონდეს, მაგრამ ვერც იმას უარყოფს ვინმე, რომ ამ პირობითობას დღემდე იცავს ყველა ქვეყნისა და ხალხის პოეტური პარანსა. პოეზიაში ბუნება დღესაც ცოცხლობს, ფიქრობს, აზროვნებს. ის ხან სველიანია, ხანაც მხიანურლია. ფრინველები და მცენარეები შეტყველებენ, წყაროები ზღრჩულდებენ, მთები ოცნებობენ. ყველაფერი ზარობს მზით, სიცოცხლოთ, არსებობით, თუმცა ატე ერთ მწერალს არ სწამს, რომ ეს ნამდვილად ასეა. ბუნების ვიტალური წარმოდგენა დღეა ხანია რაც გამოვიდა რწმუნის ფაჩვლებიდან და ვინც დღეს მასში ისევ პირველყოფილ ანიმისტურ წარმოდგენებს ეძებს, მისდებებურად თეთონაც ასეთ რწმუნას იზიარებს.

არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს ბუნების ვიტალური ვაგება მხოლოდ ლიტერატურული ხერხი ან აღმანიანთა ცხოვრების აღუგორიული გამოხატვის საშუალება იყოს მხატვრული ასახვის ხერხი და ფორმა მსოფლმხედველობრივ მომენტს არ გამოირიცხავს. პირაგით, მწერლის თვალსაზრისი ეძებს ასახვის შესაფერ ფორმას. უძველი დღე მწერალი პოელობს კიდევ მას და თავის თვალსაზრისს აღეკატურ ლიტერატურულ ფორმაში ავლენს. მსოფლმხედველობისა და გამოსახვის საშუალებათა ერთმანეთისაგან გათიშვა სრულიად არ გამოხატავს ნამდვილ მდგომარეობას. იგი გამოწყველია მხოლოდ იმით, რომ ბუნების ვიტალური ვაგება როგორმე ჩამოაშორონ ანიმისტურ თუ რელიგიურ-მანიქისტურ წარმოდგენებთან ვაივიების შესაძლებლობას. ამისათვის ზოგიერთი მკვლევარი ვაგას „ბუნების ფსიქოლოგიიდან“ სრულიად გამორიცხვის მსოფლმხედველობრივ მომენტს და მას წმინდა ლიტერატურულ ხერხად, ან ისეთ ტენდენციად

აცხადებს, რომელიც მხოლოდ გამოსახვის სფეროზე ვრცელდება. ეს სწორი არ არის: ასეთი თვალსაზრისი იღობებს ვაგას შემოქმედების ძალასა და მნიშვნელობას.

გოეთესა და ვაგას ბუნებასთან დამოკიდებულების საკითხი მართლაც რთულია, მაგრამ ამ რთულ კითხვამ სრულიად ვარკველ პასუხს თითონ ის მწერლები იძლევიან, რომლებიც რაგანულად გრძნობენ ბუნების ცხოველყოფელ ძალას, პირველ რიგში კი უდიდესნი მათ შორის: გოეთე და ვაჟა-ფშაველა. ისინი კალმის ერთი მოსმით აბათილებენ იმით აზრს, ვინც მათ შემოქმედებაში უძველესი აღამიანის ანიმისტურ ან ანტროპომორფისტულ წარმოდგენებს ეძებს. გოეთე — წერს, რომ „ბუნებას არა აქვს შეტყველება და ენა, მაგრამ იგი ქანის ათას ენასა და გულს, რომლითაც ის ლაპარაკობს და გრძნობს“. ვაჟა-ფშაველამ ამბობს: „ვებედეთ კარგად, ბუნებას რომ თვალეზი არა აქვთ, არც თავი აბა და ტვინი ხად ექნება? მაგრამ მისი წესი და რიგი, მისი სიტყვიც აზრისა და მისწრაფების ზეენ გავოცებს და ვაყვირებებს“. ბუნების „მეტყველ“ და „ურტეა“ ნიშნულეს შორის ამ განსხვავებას ვაჟა სრულად სისხვლით გვიჩვენებს თავის ერთ-ერთ ლექსში:

„ჩვენ, უენ-პირი ბუნება,  
სხვა ვართ, კაცთაგან ესხვედებით“-ო,  
ამბობს ის.

გოეთე ბუნებაში დიად აზრებს ხედვას. ის ყურს უდგებს მის შინაგან ხმას, მის „საიდუმლო მეტყველებას“, რომელიც ცხადია, სრულიად არ ვაგს აღამიანთა ენას. ბუნებას თავისი საკუთარი ენა და გული აქვს, რომლითაც ის მეტყველებს და გრძნობს. გოეთე წერს „ბუნება განუწყვეტლოდ ფიქრობს და აზროვნებს, მაგრამ არა როგორც აღამიანი, არამედ როგორც ბუნება“. მისი აზრით, ბუნება „თავისი საკუთარი ყოვლისმომცველი აზრი აქვს“. გოეთე დაბეჯითობით აცხადებს, რომ ეს ბუნებაში სწორად აზრს, იღეას ხედვებს მისი შეხედულებით საგნები და მოვლენები კანონზომარე წესრიგს წარმოადგენენ და არა შემთხვევით თანამიმდევრობას (zufälliges Nacheinander). ვაღმოსცემს რა მცენარეთა მეტამორფოზის სურათებს გოეთე, წინააღმდეგ იმდროინდელი ემპირიკოსებისა, წერს „ეს გამოცდილება კი არა იღეააო“. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს თითქოს გოეთეს ჰეგელის მსგავსად სწამდეს, რომ გონებასა და ბუნებას ერთი არის გაანითათ და ამ „არსში“ ლუთავბითვის განწყენილობას ხედვადებს. არა, იგი ბუნების იღეაში მისი შინაგანი ძალის, მისი კანონზომიერების გონიერულობას გულისხმობს. განსხვავება იმაშია, რომ შეღინგი, ჰეგელი, სტეფენსი და სხვები ამ „არას“ ვარედან შგნით აძლევენ მითარითულებას (Hineingedeut.). გოეთე კი შგნოდან გარეთ (herausgedeutet). იგი სამყაროს მატერიალურ რეალობიდან გამოიმდინარეობს და არა მის გარეშე არსებულ ძალიდან. გოეთე თუ



წერს „ბუნების აზროვნების“ შესახებ თვითონვე აზრს, რომ ეს აზროვნება საგნობრივია (gegenständlich).

ფრ. გუნდოლფი გოეთეს ამ აშკარად მატერიალისტურ თეზას რომ ევარდერი მოუხერხა, მთელი მისი საბუნებისმეტყველო კონცეპცია „ბუნების მითოსის“ ინტენსივობაზეა გამოყრდნობილი. ასეთივე შეცდომას უშვებს ყველა ვინც ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში სიმბოლიზმს ეძებს. თვით ვაჟა ამ საკითხზე სრულიად გარკვეულ მისაზრებებს გამოთქვამს. თუ გოეთეს ბუნების ფილოსოფიამი არის ზოგიერთი დღე-ღამეობრივი ადგილი, რაც საშუალებას აძლევს მის ფალსიფიკატორებს „რელიგიური პანთეონის“, „ბუნების მითოსის“ ან „წინინდა სიმბოლიზმის“ ნიშნები ეძებონ მის ნაწერებში, ვაჟა თავის ნათელი განმარტებებით სპობს ასეთ შესაძლებლობას. როცა ის ბუნების განიერლობაზე ლაპარაკობს, კიდევ აღნიშნავს, რომ ბუნების მოქმედება მისი „წესი და რიგია“, გონიერული და არა ბუნება როგორც მატერიალი რეალობა. სწორედ ამას გულისხმობს ის როცა წერს, „ბუნება გონიერულია“, მის თავისი „ზნე“ აქვს, ის ერთი „ფიქრითა და გრძნობითაა შებურთბილი“-ო და არა იმას თითქოს უსულო საგნების განიერება ან სულოებობა სჯეროდეს. პირაქით, ვაჟა ამბობს:

უსულო საგნებს სული ჩაებერე,  
ავასაუბრე ლოდებს კლდისა-ო.

ე. ი. საგნები კი არ არის სულიერი, არამედ მე ჩაებერე მათ სული და „ავასაუბრე“. სხვა აღვალს ვაჟა წერს: „რაც უნდა ვეცადო, ლოდებს მხას ვერ ამოვადლებინებ, ენას ვერ ჩაეუღამ. ბრაზი კი მომდის, ღვთისა წინაშე, და ამიტომ იმით მაგვირად მე მოუყვები უბედობას ეითომ ისინი ლაპარაკობენ, რა არის მინდა რომ იტყვონ და ამით ჩემს თავს შევე ვატყუებო“. შეიძლება ლოდებს ასეთ ასაუბრებებს ეწოდოს ლიტერატურული ხერხი, უკეთ საშუალება და არა ბუნების ვიტალიურ გრძნობას. და ბოლოს ეს ლიტერატურული ხერხიც ზომ ვაჟას მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს. ბუნების ვიტალიური გრძნობის ვალმოციემა არც შეიძლება ამ პირობით ფორმის გარეშე. ასაუბრების ხერხს თუ არ მიმართა მწერალი ვერც გამოხატავს ბუნების ფსიქოლოგიას, მის იდეალურ მტკვვევებას. აქ გვიჩვენებს ფაუსტმაც ვამოსიდა და ეს. მან მოახოვა ლუციფერს ბუნების სულის აქტიუველება, მგარამ ევარდერი ვაიკო; მხოლოდ სიმომეშობა სახეზე, ყურებს კი არავითარი ბგერა არ მისწვლავდა. ამიტომაც ხდება იმ მწერლები იდეალური ბუნების ეს „საიდუმლო ენა“ ან „სული მტკვველება“ ადამიანურ ენაზე „თარგმნა“ და ამით ცხადყოფს მისი შინაარსი. ვიმოყრებ, რომ ამას შეიძლება ლიტერატურული ხერხი ეწოდოს და არა თითონ ბუნების გაგების თა-

ვისებურ კონცეპციას გოეთესა და ვაჟას შემოქმედებაში. ისინი ბუნების ცხოველმყოფელურ ძალას ხედავენ და ადამიანურ ანტიკტში აღიქვამენ მას. ეს კი ადამიანურის ბუნებრივი საშუალებით გამოხატვის კი არ ნიშნავს, არც ბუნებისათვის ადამიანური თვისებების მიწერას, არამედ თვითონ ბუნების როგორც ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებული ობიექტური რეალობის ადამიანურის ასპექტში დანახვას. ზოგიერთი მკვლევარი სწორედ აქ უშვებს შეცდომას და ფიქრობს, რომ ვაჟა ადამიანურ განცდებს მიაწერს ბუნებას. ეს უხეში შეცდომა ბუნებისათვის ადამიანური განცდების მიწერის თეორია (Einfühlungstheorie) დასავლეთის იდეალისტური ფილოსოფიისა და ესთეტიკის წარმომადგენლების, გროსის, ლაპსის, ვორინგერისა და სხვათა მიერ იქნა შემუშავებული პლატონისა და ჰერდერის ანალიტიკური შეხედულებების მოხედვით. მათი აზრით ასეთ შემთხვევაში ადამიანი თავის განცდებს აწერს ბუნებას. გროსისთვის თვით ეს განცდებია ორგვარი: პასიური (Zufühlung) და აქტიური (Nachfühlung). პირველ შემთხვევაში ბუნების ძალთა ანალიტიკურ და ანტირომანტიკულ წარმოდგენებთან გვეყვს საქმე, ხოლო მეორეში ბუნების ძალებთან ერთად ამოდლებთან. ასეთი შეცდომის ზეგავლენით თუ აიხსნება ვაჟას შემოქმედებაში სწორედ ანალიტიკური და ანტირომანტიკული შეხედულებების ძებნა.

ბუნებისათვის ადამიანური განცდების მიწერის თეორიის იდეალისტური ხასიათი იმაში მდგომარეობს რომ ასეთ შემთხვევაში ესთეტიკური სახე იქნება არა გარეშე საშუაროს მიხედვით, არამედ თვითონ შემოქმედ სუბიექტში. ვაჟა-ფშაველა კი პირაქით სწორედ გარეშე საშუაროში, ბუნებაში ხედავს ადამიანურ განცდებს. სა და სახეებს. ეს კონცეპცია თავისი ბუნებით მატერიალისტურია. ვაჟა უყოველთვის გარკვევით მართებებს ობიექტურობა სინამდვილის რეალობაზე. მისი უტრადლება სწორედ ბუნების სინამდვილისადმი მიმართული. ვაჟას მახვილი პოეტური ხედვა ვაცილებით მეტს აჩვენებს ბუნებაში, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანისა, და ამიტომაც ობიექტური სინამდვილის, ბუნების სრულიად თავისებურ, სუბიექტურ სახეს იძლევა. სინამდვილის, როგორც შემეცნების საფუძვლისა და შემეცნებელი სუბიექტის დიალექტიკური ურთიერთობით აღწერს ვაჟა ბუნების მოლოანობის სწორ პოეტურ წარმოსახვას. არავითარი ფორმა ასახვის, რომელიც სინამდვილეზე სწორ წარმოდგენას გვაძლევს, რა რიგ სუბიექტურიც არ უნდა იყოს ის არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს რეალისტური ასახვის პრინციპს. ამ შემთხვევაში უდიდესია როლი თვით მწერლის შინაგან ხედვას ანუ ობიექტური სინამდვილის სუბიექტურ აღქმას ენიჭება. გოეთე წერდა, რომ საგანი მხოლოდ საგანი კი არ არის, არამედ მდგომარეობა. (Zustand) თუ რა მდგომარეობაში იქნება ნაჩვენები საგანი ეს თვითონ შემოქ-

<sup>1</sup> Fr. Gundolf, Goethe, s.378.

მდებარე დამოკიდებული. ისეთი ძლიერი წარმოსახვის მწერლისთვის როგორცაა ვაჟა, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მას საგნებსა და მოვლენებზე საკუთარი თვალსაზრისი აქვს შემოწმებული. ეს თვალსაზრისი ობიექტური სინამდვილად გამომდინარეობს. ვაჟა თითონ წერს, რომ პოეტის ფანტაზია ისეთს აზაფერს ქმნის რეალობიდან არ გამომდინარეობდესო. იგი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მწერლის სუბიექტურ აღქმას. ვაჟა გოგაფის სწორედ იმიტომ თქვია უღიღეს მწერალს, რომ მან ხალხურ თქმულებას დოქტორ ფაუსტის შესახებ ახალი ხორცი შეასხა და ცხოველი სული შთაბერა. ვულგარული მატერიალისტები მხოლოდ ცალმხრივ ზემოქმედებას სინობდნენ ობიექტისა სუბიექტზე, ხოლო სუბიექტის როლი ბუნების შენობაში უგულისვებულყოფდნენ. ეს არამც თუ შემოქმედა ადამიანის, ქვეწარმავლების მიმართაც არ გამოდგა მართალი. ფიქრობდნენ რომ ქაველეთი მხოლოდ ვატიკოს ზეგავლენით იცვლიდა ფერს. ცდებმა სულ სხვა სურათი უჩვენეს. იმავე ქაველეთის სხვა და სხვა ფერის საფეალებზე ვაჟაფშაველას და მან ფერი სწორედ ამ სათვალეების მიხედვით შეიცვალა და არა ვარემოსი. ე. ი. ისეთი ფერი მიიღო, როგორც ხედავდა და არა ისეთი როგორც მის ვარემო იყო. შემდეგ ქაველეთი და აბრკავეს და მან სულაც არ შეიცვალა ფერი. ყოველივე ეს დიალექტიკური მატერიალიზმის იმ დებულებას ადასტურებს, რომ შეგარბნება ობიექტურად არსებელი საფის ადამიანის გრძობით ორგანიზებზე ზემოქმედების შედეგია და ობიექტური ქვეყნის სუბიექტური სახე. ვაჟა თავისი დიდი პოეტური აღლოთი მივიდა ამ დებულებამდე და ბუნების მართლაც მალაღმბატურული სურათები მოგვცა.

ბუნების ასეთი ეტალური აღქმის შემთხვევა ბევრია. მწერალთა საგნებსა და მოვლენებს ძალიან ხშირად ილიქამენ ადამიანურის ასპექტში. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ხე — ან ტყე. ხე თავისთავად ბუნების ელემენტია, ობიექტური რეალობა. სიტყვა „ხე“ საერთო, ზოგადი ცნებაა. მხატვრული ლიტერატურაში კი იგი სხვადასხვა ასპექტში შეიძლება იყოს დანახული. როცა ა. მიკევიჩი „ხეებისა და ნადირების მწვანე დედაქალაქის“ შესახებ წერს, გაეჩვენება, რომ ბუნების უსლო საგნებზეა ლაბარაკი. პოეტის ისე დამაჯერებლად შევყავართ „ხეთა საზოგადოებაში“ რომ გვგონია თითქოს ცოცხალ არსებებთან გვეჩნდეს საჭმე. აქ ყველაფერი ვაცოცხლებულია: ხეებს ბუნებისათვის ჩაუკილიათ ხელი და თითქოს ფერხულს ადარებენ აპირებენ. თმასუბუქ სვიას ყირმანო შოთხვი მოხვევია, ქნავი ახალგაზრდა მწყვესივით აღაჩულა, ასკილი და ძახელი ბაეშევივით ჩაუცქერდნენ, ეოლო წითელ ტუნებს უწვდის მათ საკონულად. ტანყენარი თოთი არყის ხე და რკილია მეფე-დედოფალივით ჩამდგარან ხეთა

საზოგადოებაში, მალალი წიღლები ჩუმად დგანან და მოხუცებივით დასკვირბან შეიღწეობენ, კუხიან მუხას საუქუნეთა სიმბიმისაგან! თავი დაუხრბია და სიძველისაგან საფლავის ჯვარივით დახაეხებული თავის დაქვევებულ ფესვებს დაყრბობია.

რ. მ. რილეე რელიგატური განწყობილების პოეტია და იმიტომაც ხის ტოტები მას სალოცავად ზეცისკენ აპურბობლ ხელებად აქვს წარბოდგენილი. სევედისა და სასოწარკვეთის პოეტის ელაფორგის ძველი თმები მგლოვიავრ ქალივით აქვს გამოწლი და კაცობრიობის ცრელებად დაღვრილ იმედს დასტირბის, რ. ოლდინკტონის ხე იკაროსივით მზისკენ გაფრენას ცდილობს, მაგრამ ფესვებით მიწაზეა მიკრული. მ. ზაყანის კვიპაროსი ხანჯალივითაა ამოწვდილი ვაჟის საფლავზე, ს. ჩიქოიანის ალვის ხეები ქალწულბივით მიირბევიან ზღვის ნაპირისკენ. ვ. ლოთინის ოლე — ვანმარტოების სიმბოლოა და სხვა.

ეს მაგალიტები იმიტომ მოეიტანე, რომ ვაჟა მართლაც მთელ ქვეყანას მოწყვეტლ, ფშავეთის ხეთაში ჩაკეტლ, რაღაც წარბართლ მთელენად არ მოგვეჩვენოს. ბუნების ასეთი ეტალური აღქმის მაგალიტები ისედაც ბევრია მსოფლიო ლიტერატურაში. მაგრამ ვაჟა მინც თავისებური მოეწლია, თუნდაც იმიტომ, რომ ის არა მარტო წერს ამის შესახებ, არამედ თავისი ცხოვრბითა და ბუნების უსლო აღქმით ვაგარმობინებს ამას. დ. კობიაშვილის მოტონებებში ნათქვამია: „ერთხელ მე და ვაჟა თინენთში მიედიოდით. ვხა. ზედ სოფელ ვარკლთან შევიჩრდიოთ და საოკის დაეუწყეთ კრფა. საოკი ძიბებაში ჩვერ ერთბინეთს დაგმორბდა. შემდეგ ვაჟა შინდის ძირში ვნახე დამჯღარი, გაოფლიანებული რაღაცას ლაბარაკივითა, როღესაც დაშვიდიდა მივედი და ეუთბარია: რა იყო რა დაგვმართა, ვის ელაბარაკობლი? ეოკის ვეკამათობლიო მიპასუხა. „ბუნებაში ყველაფერი ცოცხალია, ყველას ენა აქვს, თეითეული მახლობელია. ტყეში შვინდბიცი ერთადაა მოქრბებული. წიფლებიცი კიღვე ერთადა და სხვა ერთნარი მცენარეებიცი კიღვე ერთად ხარობენ“.

ეს ხომ „გამოსახვის ხერხი“ ან ალევგორია არ არის? ზემოთ მოტანილ მაგალიტებში შეიძლება ბევრია ასეთი, მაგრამ როგორც ვხედავთ ვაჟა თვითონ ხედავს ტყეს ასეთი ეტალური თვალსაზრისით და იმიტომაც წერს თქვინა არ ვიცი, მე ეი უღარან ტყეს დალონებულს, დაღარდიანებულ ადამიანს ვამსგავსებო. და ყოველივე ეს ვაჟისთან მარტო პოეტური ხერხი კი არ არის, არამედ ბუნების აღქმის შინაარსიც. იგი ბუნების მთლიანობაში აქცევს ყოველივე არსებულს და ადამიანური ცხოველმყოფელური თვალსაზრისით შეიცნობს ქვეყნის „წესისა და რიგის“ გონიერულობას.

გოეთე ამბობდა ხედავ იმავე დროს ფორმის მიცემათ. ეს ითქმის ვაჟის პოეზიაზეც, რაკი ის ბუნებას ადამიანურ ასპექტში ხედავს ასეთივე

ფორმის აქლეს მის პოეტურ გამოსახულებას. ყოველივე ეს მისი ძლიერი შინაგანი, პოეტური ხედვის შედეგია და ამისთვის მას არავითარი საფუძველი არ სჭირია, არც ანიმუზმის არც ინტროპრომორფიზმის, სიმბოლიზმისა თუ პილოპოიზმის; და ვინც მიუხედავად ამისა მაინც ცდილობს ასეთი სათვალევები მორტგოს მას, ან ბუნების ვიტალური ხედვა უბრალო პოეტურ ხერხად თუ გამოსახვის, შეიძლება ვერც ამჩნევს როგორ ბუნებრივად უცვლის ფერს და აღაზიბებს ეაქს პოეტურ სამყაროს.

**მთანი მალანი.** ესაა მთავარი გოეთესა და ვაქსა განსაკუთრებით ვაქსა ნატურფილოსოფიაში ვაქსა ეწერს ბუნების ფსიქოლოგიის შესახებ. თითქოს ცოცხალ აღმამანებთან ჰქონდეს საქმი. მის წარმოდგენაში ბუნების ელემენტები ფიქრობენ, აზროვნებენ, სწეხან, ან როგორც ბ. ბარაბაშვილი წერს, „სხვა ენებზე უცხოველესი ენით საუბრობენ“. ვიმეორებ არა იმიტომ, რომ გოეთეს ან ვაქსას სურთ აღმამანის ფსიქოლოგია გამოხატონ ბუნების მოვლენების საშუალებით, ან ბუნებას მიაწერონ აღმამანური გრძობები, არამედ თვითონ ბუნების ხედავენ აღმამანური ფსიქიკის თვალსაზრისით. ამიტომაცაა მათ შემოქმედებაში ბუნება ხან მზიარული და ხანაც მოღუშული, მწველი ავისაც და კარგისაც უფუქვით პირდაპირ: ვანა ეს ბუნებრივი არ არის? რამდენი რამ არის ბუნების მოვლენებში ისეთი, რაც სწორედ აღმამანურის თვალსაზრისითაც ვასაგები? დაობლებული ნუქის მწუხარებაში რა არის ისეთი, რაც თუნდაც აღმამანურ მწუხარებას არ ჰვადუნეს. ვანა სინტერესო არ არის, ტოლ-დავარგული გეიდ ჯადრისაგან რომ ეკვლება? ან მისი სიმღერა სიყვდილის წინ იმასვე არ გვანიშნებს, რასაც ხალხები: „ლექსო ამოგოქომ, ამოგოქომ, თორა იქნება გვედებოდგო?“ ბარად ჩამოვარდნილი „მთასა მუეიარალიც“ ხომ იმვე კომპლექსის მოვლენაა, რაც სიყვარულით გამშავებული ტარეიდის ველად გავრა. რამდენი რამაა, — და სწორედ აღმამანურის თვალსაზრისით, — სინტერესო კინაქველების ფუსფუსში, ფუტურების გამრჯობაში, ჰინკინების ვანუქვადეტი მოვლენაში და სხვა და სხვა ვინ იცის რისთვის ირთვებათ ასე კობრად მინდრის ვვაეილები, ან მტრელები რას შეუღუნებენ ერთმანეთს? შეცნირება ხომ ფიქრობს იმაზე, ფუტკარი იმიტომ მიდრინავს ვვაეილთან, რომ ის საამო სურნელებს აფრქვევს, თუ ვვაეილი აფრქვევს საამო სურნელებს, რომ ფუტკარი მიდრინდეს მასთან? რამდენი ასეთი უცნაური, მავრამ აღმამანურად სინტერესო ამბებია ცნობილი. ამას წინათ ასეთი დაკვირვება მოახდინეს: ვანას „მეუღელ“ მოსტაცეს; კარგა ხანს ეძება დაშფურხებულმა თავისი ცხოვრების ვეგობარს, შეძლებ ვეუთი იჭრა ცაში, ფრთები დაეცვა და მიწას დაენარცხა. ვანა ეს აღმამანის თვითმკვლელობაზე ნაკლებ ტრაგიკულია? ან ცუცხლოს

აღით ვარშემორტყმული მორიელი რამ-თავს ქვებს ბარჩეხებს და ამათ იცდენს დაწეის ტანჯვას, ბარჩალ-წაგებული ბაერის ამბავს არა ჰვადეს? „ნუთუ ია, ბუნებრივით და ეკვებით დანარდილული, არ მოგვაგონებს დანავრულს სიმართლეს? — კითხულობს თვითონ ვაქსა. ასეთ ფაქტებზე დაუსრულებლად შეიძლება წერა. ჩვენ მათ ვეცნობით, მავრამ ყოველთვის ღრმად როდი ეუკვირდებოთ. ვაქსა კი მთელი არსებით შედის ბუნების ამ საოცრებათა სფეროში. ეს მისი სტიქიაა, მისი ემოციური სამყარო და პოეტური შთაგონების წყარო. ეს რომ მთებს ვახედავს ისე იტყვის, იფანენ და ელოდენო, თითქოს მართლაც ლოდინით მოქანცულ აღმამანებთან ჰქონდეს საქმი: „მთებო! მთებო! რას ელით, ვის ელით? — ესუბრება ის მათ — „ნუთუ ვაყავთ სატრფო დიდა ხნის უნახავი? იქნებ შეილი დამკარგეთ? იქნებ მმა ან დედა ვაყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგსულიათ?“ ჩაფქრებულ ვაქსა მთებს რომ თვალს მოავლებს, ჰგონია რომ მასთან ერთად მთებიც ფიქრობენ. ამა ვაქსა ვინ დაავკერებს, რომ მთები არ ფიქრობენ, არ იყნებობენ? რომ მათ არა იქნენ აბოი, იდეა, გრძობა, როგორ არა! — გეტყვით ის — მამ რაა ის მშვენიერი ვვაეილები, მათ რომ გულმკერდს უმშვენიებო? ვაქსა მათი იყნება, იდეა, ნუგემი. ან თავს რატომ იბურვენ ხშირი ნისლეებით, თუ ჩუმი-ჩუმიდა რასმე არა ფიქრობენ, რად მოვავთ ზალისი? რად აღენენ ცოთა წყაროთ? რად აღმანებენ ზევეებს? რად ზრდიან ხარ ვიხეთა? რად სრულიად დარწმუნებულის ტონით უსავეედერებს მათ — ვის იტუებთ თქვე კარგებოთ.

ვაქსის მხოლოდ ის აწეულობს, რომ ბუნება „ბატუებს“ და უშადავს თავის ფიქრებს იმ რადავას, რაც „მასში მასზე მეტია“. ფულსტრობა ამ „რადაცის“ ძიებასაც ნიშნავს, დაკმაყოფილებას იმისა, რასაც ვერმანელები Allhunger-ს ან Hunger nach Allheit-ს უწოდებენ, ვაქსა ვაქსა ეკი „თავისა და გულის ვაქსამაქრობას“. მთელი კაცობრიობა მისწრაფის ამ „რადაცისაკენ“. ვეკლა ცდილობს ვასნას რა არის მასში „ჩასაიდუმლოებული“ (hineingeheimniss)! ვაქსა ვენიილორი პოეტური ვანზოვადობების მიხედვით, ამ სურვილითაც შეწყობილი ყოველი ნივთი, საგანი, ბუნება, მთანი მალანი. „სდგანან და ელიან — წერს ფაქსილი ბრძენი, — უსაზღვროა მთების მოლოდინი. ან რა დაამართოს იმათ გულში მოლოდინის ზღვას? არა იქნეს იმას ბოლო, არც დასასრული, როგორც ელთავნას...“

სდგანან და ელიან. გული სტიკივით, ძალიან სტიკივით, მავრამ არ იხოცებიათ, არც ჰლემდებიათ. ელიან ვის? ან რას? რადაცას, დიხა რადაცას. ეს რადაცაა უნახავის დანახვაა“.

მავრამ უნახავი ვის დაუნახავს. ან ვონებამ ვით ვანკვირტოს მისი ბუნება, ვინ რა ვავთოს

1 გოეთეს ვამოთქმავა.

ჩენი თვალთახედვის მიღმა რა ამაღლება; „ადამიანის თვალი და გული“ გაუმადლარია, — განგრძობს ვაჟა. „წახებს და გაათავებს რასაც იმითი თვალი და გული მისწევდებოდა“, ახლა კი „სხვა ახალი მოსწევრება იმით თვისად და გულსა“. „ეს ხომ თვალ-გულის გაუმადლობაა? — კითხულობს ის და უნასუტხებს „სწორედ რომ ისაია“.

თვალ-გულის ეს გაუმადლობა, ეს Allhunger აწევლებს როგორც გოეთეს ისე ვაჟასაც. მას უნდა ვიკავოს რა არის ბუნებაში „ჩასაიდუმლოებული“, მოუსმინოს ბუნების იდუმალი მიტყვევლება. გოეთე რომ ამბობდა, ბუნება თავის საიდუმლოებას მხოლოდ მშვენიერების სახით გვიჩვენებს, ვაჟა ამას პლასტიკური სიხედაღით ხატავს. მისი მთელი თავიანთ იდუმალი მშვენიერებას ფერად-ფერად ყვავილებში ამქლავებენ, ცივ წყაროებში, ხალახებში, ირმების სილამაშეში, ნისლის მსუბუქ დინებაში და სხვა. ბუნებას თავისი ფორმა აქვს ფორმისა და ოცნების. იგი ნისლით ფოქრობს, ყვავილებით ოცნებობს, წყაროებდად ღერის ცრემლს და ხარ-ირმებით ლალობს. ესაა ვაჟასთვის ბუნების ენა, მისი მეტყველება, აზროვნება და იმედი. მაგრამ მას, როგორც ფაუსტს, ბუნდოვნად ესმის ბუნების ეს იდუმალი საუბარი. ამაშია მისი სრულიყოფის ნაკლი. მას ბარათაშვილივით სწამს, „რომ არს ენა რამ სიიდეშლოა“, მაგრამ არ ენმის ამ ენის იდუმალი მიტყვევლება. ამიტომ არ ესმის რომ იგი ჯერ კიდევ არ არის ბუნების ის მწვერვალი, გოეთე რომ მშვენიერ აღამაანს უწოდებს. ასეთი მისი მიხედვაა — იდეალური, მაგრამ არა რეალური გვირგვინი ბუნებისა. სამაგეროდ ვაჟასთვის თვით ბუნების აღამაანური გრძობაა რეალური. ამიტომაც, რომ ის ასეთი დიადი გულბრწყინობით ესერის მთებს საყუდურს: „რატომ არ მღერით მთებში? განა ისე უნდა მოვედოე, რომ თქვენი ხმა, თქვენი სიმღერა ვერ გაეიგონო? რატომ არ იციან? დიმილი მაინც ამღერენ თქვენი, კარგებო?“ და თუ მთები არ ამღერდებიან, ვაჟა ამბობს მათ: თუ ისინი არ გადიდებენ, „არსთა მხილველი“ პოეტი პარიზებებს დაღანში გამოხატავს მათ ღიმილს, თუ არ გალაღდებიან, ხარ-ირმებს ალაღობებს მათ მწვერვლებზე და ვინაობრეულ ხილვას აყალიბა თითონაც შესასახებს, „ხარის გვერდი ნიალადარსთა“.

განა ეს ლიტერატურული ხერხია? ან დ. კობიაშვილის მოგონებიდან მოტიანი სიტყვები ალგორითული? არა. ეს ბუნების უშუალო, იდეალური განცდაა, ისეთვე უშუალო და გულწრფელი, როგორც ის ფაქტი საკვდილის წინ ევამე კლადან ნაფინი წყალ რომ მოითხოვა — „მთას მაგრძობინებნო“. ან მოწყვლების დს რომ უთხრა, „თუ ღმერთი გწამს ლოგანი იორტაზე გაშალე და გარშეშო ყვავილები დაყარე, აქნებ მაშინ მაინც წარმოვიდგინო ჩემი ძვირფასი მთა“.

ბუნებისა და აღამაინის ფსიქოლოგურია ერ-

თიანობის ასეთი შეგრძნების შედეგად მსოფლიო-ლიტერატურაში უბაღლო ვეცხეული გრძობითი ული პოეტური სახეები: ვეშაი რომ დატყვევებულ მუსე აუშებს, გვირგვინისანი ვახაფხული თავის მერანს „გამაპროლებს“ და აღამაინივით ამოყვება ფრევეთის ხეებს; აქ მის არავი შემოყვება და გზაზე ვარდ-ყვავილებს გაუფენს. წინასწარ „ბუნების მაცოცხლებელი სურათი“ ჩამოუტროლებს ველ-მინდვრებს, ცრურად დაღლილი ნისლი საღდა ფერდობზე მიწება დასასვენებლად ან ფიქრად შემოყვება შავგრემან ჭიუხებს.

მთებია ვაჟას სტიქია, მისი რომანტიკული გაცემა. მთებს რომ შეხედავს, თათქოს ქვეყნად მალდება პოეტის თვალში, რადგან მთები სიმალღია. იგი ამბობს, „მიყვარს სიმალღე, მით მიყვარს მთებით“. ვაჟას აღამაინებშიც ის უყვარს „ეინც ახრთაა მალღობს“. სპეროზიას მალღი შეუბს რომ ნისლი შემოხევეა, ვაჟას ჰგონია, რომ ის ფიქრობს, და თუ გულს ჯავრი შემოყვარა, სწუხს მთებიც დაღარდაანდენო; თუმცა მან იცის, რომ სვედას ხალისი მოსდევს, „ღარღი სიმღერაში დენდა“, მწუხარების შემდეგ ვაჟას პირს „ქვედა ვრდი მოეფინება“, თითონაც „სამღერებს“ და მთებსაც გაღასახებს, „რატომ არ მღერით მთებო“.

ასე ცოცხლად წარმოუდგება ვაჟას ბუნების სურათები და საერთოდ მთელი ქვეყანა. იგი აღამაინური სახეებში ივლენს ყველაფერს: ცას, დედამწიას, გაზაფხულს, სიყვარულს. მისთვის ლალი ზაფხულის ბუნება თამარ მეფის სახეა, ველზე რომ „ყოილინ“ ყვავიან — თამარისვე თვალები. არავი ხმაღმომოტყმული ვაჟავა, მთები აბჯარასმული რაინდები; ცას გულმკერდ აქვს გაშაშლილი და ზედ ვარკვევაცაბა აყვარა ოღებდად, გვირგვინისანი ვახაფხული მერანს მიაპროლებს, მთიდან „ზოცივით“ მიზლანხედა გოგოთურა, ორბი კალის ლეწს პაერში, ნაკალი თმებს უყვიერის, წყარო სიმღერით ჩამორბის ხეში, თათქოს მთელი ბუნება ტყიანური თვალმით მისწერება მას და რაღად საიდუმლოს უშხებს. მთები ხომ სულ მთლად ცქირად არიან გაღმცეცელნი. დგანან და ვლიან რაღაცას, უსაღეროსა თუ უნახავს. ენი იცის, რა ამავეია მათ გულში, რატომ ასე ღიმილდ ამოიბარევენ ზოღმე? ხანდახან მთი ობერა ნიაღვრად ჩამოედინება ხოღმე ბარში, დილით არავი გამოიღვიძებს და თვალებს იღმუნეტს, მთები ხევისკენ გაღმობებნიან, ხელპირს დაიბანენ და აბჯარასმული გოღათებივით დაღვებთან სიერის დარაჯებდად „ყოღლაამშეული“ ვაჟა გაოგნებული მშვეურებს ამ დიდებულ სანახაობას და მთებს კი არა, ვითომც ცოცხლ აღამაინებს ხედავდეს, ფიქრად გაუდევნება და თავისდაუნებურად შესასახებს: ვაჟანი! შემდეგ გამოერყვეა. „სულთა თვალთა წინაშე“ მორიალე უცნურ სახეებს ხელით „ჩამამღერტავს“ და მიაყოლებს: რა ღამაში ხართ ტიღლებო!“-ო.

**ბუნების გული.** ადამიანისა და ბუნების მოვლენები ერთი მიზნისკენ უნდა იყვნენ მიმართულნი. მხოლოდ მათი ერთიანობა გაზიარებას განაზღვრავს ადამიანისა და ერის სულისას. ვაჟის სწავს „**სტოგერბა როგორც მთლიანობა**“. მისი ბუნების ფილოსოფია მოიცავს ყველაფერს, „ყოველ მოვლენას, ყოველ ძალას ბუნებისა ცალ-ცალკე და ერთად აღებულს“. ვაჟა არ ყოფს ერთმანეთისაგან ადამიანსა და ბუნებას. ორივე მსგავსია და სიცოცხლით სრულყოფის ერთი მიზნისკენ მიმართული. მათ შორის არა მარტო მსგავსებაა, ერთგვარობაცაა. ბუნება და ადამიანი ვაჟის მსოფლმხედველობაში ერთიანდება **სიცოცხლის განგრძობისა და სრულყოფის უმაღლეს იდეაში**. როგორც პოეტისთან, ისე აქაც, ადამიანისა და ბუნების ჰარმონია **მთლიანობის** სფეროს ეკუთვნის. ცალკეული ელემენტები შეიძლება ერთმანეთისაღმე დაპირისპირებულნიც იყვნენ, მაგრამ რამდენადაც ყველაფერი ბუნების მთლიანობას წარმოადგენს, ეს ქმნის მათი ჰარმონიის შესაძლებლობასაც. ამიტომ ვინც ბუნებაში მარტო „ელემენტებს“ ხედავს მთლიანობისა და ერთგვარობის აზრს ვერ წვდება და ვაჟის მიერ დანახული ყოველი ფაქტი ადამიანურისა და ბუნებრივის იგივეობისა მხოლოდ ალგორითად ეხვევა, რაც მსგავსებას ნიშნავს და არა ერთგვარობას. ვაჟისთან კი საქმე მხოლოდ ლიტერატურულ ხერხებსა და ალგორითებს კი არ ეხება, არამედ **მთლიანობასა და ერთგვარობას**. აქედან გამომდინარეობს ვაჟის თვალსაზრისით, იგი ერთნაირ კანონზომიერებებს ხედავს ბუნებასა და ადამიანებში. ამასთანავე არა მხოლოდ ეთიკურს, არამედ **მსოფლმხედველობა**ს რაგვის თვალსაზრისით. ვაჟა ალგორითებით კი არ იფარგლება (ვიმეორებ რომ ეს საკმაოდ გვიკვეთილი ლიტერატურული ხერხია) არამედ ბუნებასა და ადამიანებს შორის მსგავსებას და ერთგვარობას ხედავს. ამიტომ აკეთებებს იგი ერთმანეთთან ბუნებასა და ერის სულს განაზღვრულებას.

ვაჟის შეხედულებით არსებობს ძირითადი აზრი სიცოცხლისაღმე სწრაფებაში, მისი უმაღლესი ფორმა კი ადამიანია. სამყარო, როგორც მთლიანობა, მხოლოდ ადამიანურის ასპექტში წარმოადგინება. ბუნება და ადამიანი ერთმანეთს კი არ გამოხატავენ, ერთგვარობის სფეროში არიან მოქცეული და უფოფერების ერთისა და იმვე კანონზომიერებისაღმე დამორჩილებული. ამ კანონზომიერებას შინაგანი გონიერულობის საერთო პრინციპი მართავს, რაც, ცხადია, რელიგიური დემრითი კი არ არის, არამედ თვითონ ბუნების „ზნე“, მისი წესი და რიგი.

გოეთე ძალიან ბევრს წერდა ბუნების, როგორც ლეთაებრივი ძალის განფენილობის შესახებ. მართალია, ლმერითი მასთან პანიმისტური ცნება იყო, მაგრამ ერთგვარი იდეალისტური მისტიკის შემცველიც ვაჟა სრულად ათავისუფლებს ბუნების ყოველგვარი მისტიკური ბუ-

რუსისაგან. ლეთაებრივის ცნებაც მხოლოდ მეტაფორულ როლს ასრულებს. მისი პრაქტიკაა:

გამოიღარა, ბუნება

გამოიწნა, როგორც ლეთაება“ — წერს იგი. მისი აზრით ლეთაებრივი კი არ გლინდება ბუნებაში არამედ თვით ბუნება აჩენს თავის „ლეთაებრივ სახეს“. აქ, ნ. ბარათაშვილის თქმა რომ გამოიყენოთ, ვაჟა „ეკრძას ლეთაებობას“ ცნობს და არა ლეთაებრივის ტოტალურობას მისი წარმოდგენით, თვით ბუნებაა ყოვლისმომცველი „არსებით გაწოდებული“, ერთი ფიქრითა და გრძნობით განმტკიცებული. გოეთე ბუნების უმაღლეს ქმნილებას მშვენიერ სახეში ან, როგორც „ფუსტში“ წერს, ღირსეულ ადამიანში ხედავს. ვაჟა ორივე ცნებას აერთიანებს და ბუნების უმაღლეს ქმნილებად დიდებულ ადამიანს მიიჩნევს. „ჩვენ ხომ ვთქვით ყოველივე დიდებულ ბუნებასა ჰგავსო“ — წერს ვაჟა. ადამიანიც ბუნებას ჰგავს, მაგრამ მხოლოდ დიდებული ადამიანი. „ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს თავის ღირსებით და ნაყოფი“ — განგრძობს ვაჟა მისი აზრით, ბუნება ადამიანური, ხოლო ყოველი დიდებული ადამიანი ბუნების მსგავსია. ადამიანს თავისი ღირსებაც აქვს და ნაყოფიც ასეა ბუნებაც. იგი სოკეთის მქნელიცაა და ბოროტიცაა. აუთორიტარებს, მაგრამ მათი ცდის ლაშობა და სიტურფით ყვევის, მისი არს სიყველა. ვაჟის სწავს სიკეთის უპირატესი ძალა და ამიტომაც ამბობს: „ვინც არ იწამებს კეთილსა, იქცეს მიწად და წყალად“ — იგი მოუწოდებს ყველას, „განამსჯალეთ კეთილს“, და ცდილობს უველგან და უველაფერში სიკეთის საწყისი ნახოს. ბუნება თუ რამე ცოდვას ჩაიდენს, თვითონაც ნანობს ამას („ბუნება ნანობს ცოდვასა“) ან თუკი სადმე ბოროტება გამოვლენდა, ვაჟამ იცის, რომ მისი არსებობა გრძელი არ იქნება.

„და ჩვენ ხომ ვიცით დარი სდევს

ჰარიშალსა და წვიმასო“ — ამბობს ის და გაოცებული გვეკითხება, გული რათ უნდა დაღრმავდეს, რათ უნდა გაიბეროს ნისლით? სულ ასე ხომ არ ვიქნებით ყინეთ დაკრუნჩხულნი, ზღვებული ისევე „მოიღოს“ და იანიც „ყოველგვინიანო“. მან ისიც იცის, რომ „საწყეთრო ეჭვის დღელამებობა“, რომ ბოროტს აუცილებლად სიკეთე მოყვება, ღამეს დღე, ადარს დარი, ზამთარს ზაფხული. როცა მზე ჩადის და დედამიწას ღამის კალა ეფარება მთა ძაძით იმოსება, დღე თვალებს სვედიანად ნაბავს, მთები შუბლს შეიკუმხნინან, მაგრამ ყოველივე ეს დროებითია. მზე ისევ ამოვა, ისევ ითავება, მთები გულმკერდს გადაიხსნიან და ქვეყანა შევითან ამოისუნთქავს, ამაში ხედავს ვაჟა ბუნების მტკიცე კანონზომიერებას, მთლიანობას: ხევი მთას მონებს, მთა ხევსა, წყალნი ტყეს, ტყენი მდინარეთ, ყვაილი მიწას, მიწა თავის აღზრდილ მცენარეებს. აქ „ყველას ერთმანეთი უყვარს“. „ყვაილი ყვა-

ვილთან ყვავის, „ხალხი კონცის ბალახს“, ხე-  
ხეს, შწერი-შწერს, „ყველაზე ჭეშმარიტი გრძნო-  
ბა ბუნებისა არის სიყვარული“ — წერდა გოე-  
ლე, ვაჟას ბუნებაეუ ადამიანისაღმოსი სიყვარულსა  
და სიკეთის გრძნობით სუნთქავს. იგი რძედ  
ადენს წყაროებს და თავის უხე კალთას აფარებს  
ყველას. ფრინველები და მცენარენი მგობრულ-  
ლად ცხოვრობენ. ისინი ნათესაებდეი არიან. ყვა-  
ელები, რომელთაც ვაჟა „დედამიწის ანგულო-  
სებს“ უწოდებს ერთმანეთის დებია, კლდეები  
მთების მამშვენი“ მშები, სასუტელა იას დობი-  
ლია, ბუღბული ვარდის მშობილი, ნარგვიზი და  
იადონი მიჯნურები არიან. ისინი შეუხერხებენ  
ერთმანეთს და ყვებინ ზღაბრებს სიციხელებზე,  
სიყვარულზე. მართალია ბუნებაშიც არის მტრო-  
ბა; ძეგრა როქოს ძძძგნის, ყვაე-უფრნები დაქრულ  
არწიეს ეომებინ, ზვაეები კლდეებს ანგრევენ  
და ვაჟაც გმობს ბოროტს და არა მარტო ვაჟა,  
ბუნების ელემენტებიც: ქუნი აღმუთოებულია  
ძეგრას საქციელით, შვლის ნუკრი ადამიანის სი-  
სასტყეთი; მავრამ სახოლოოდ კეთილისა და ბო-  
როტის შეფარდება ვაჟას კონცებეიაში ყოველ-  
თვის სიკეთის უბრაატესობას გულისხმობს. მიუ-  
ხედავად სიმკაცრისა ბუნება მინც კარგა, კე-  
თილი, ლამაზი; „მინც რომ ლამაზი არის,  
მინც სიტურფთი ყვაეისა“.— „წერს იგი. ვაჟას  
აზრით არა მარტო ბუნებაა ლამაზი, არამედ  
„კაცობის არხიც“. და თუ ბუნების სილამაზე  
მარადილია, არც კაცობის ლამაზი არ-  
ხი შეიძლება იყოს წარმავალი. „არ  
უნდა მოკდეს ლამაზი არხი კაცობის ჩემისათ“—  
წერს ვაჟა. ბუნებისა და ადამიანის ასეთი არსე-  
ბითი ერთგვარობა განსაზღვრავს მათი ერთიან-  
ობის. ამიტომია, რომ ვაჟა მიზნობლილად სამყა-  
როს გრანდიოზული მშვენიერებბით. იგი მონაა  
ბუნებას. „მონა ვარ მონა ბუნების, თავი არა  
მაქვს დავისაუ“ — ამბობს ის.

ასეთია ადამიანისა და ბუნების დამოკიდე-  
ბულება. მათ შორის არ არის არაფერი დი-  
სტანცია; „ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენი  
შიათ“, — ამბობს ვაჟა.

შემომეხიზნეთ ქედებო  
თქვენც შამიხინეთ მურადანო, მიმართავს  
იგი მთებს.

ადამიანმა გულში უნდა ჩაიყენოს სისხლად მთე-  
ლი ბუნება, ან „დედამიწის ლამაზი გულა“ მეო-  
რე გულად ზაიდვას საფულეში.

„...მეორედში მისხდებართ  
ვაგნო, მეორე გულადა“ — წერს ვაჟა.

„ბუნების გული განა ადამიანის მეკრდში არა  
სცემსო?“ — ამბობდა გოეთე. მას უყვარდა  
თქმა, რომ შემოქმედება სუნთქავს, ჩასუნთქვა—  
სინამდვილე, ამოსუნთქვა — ხელოვნება. იგი  
არ უყოფდა ერთმანეთსგან შინაგანსა და გარე-  
განს, პირიქით წერდა რომ; „არაფერია შინგით,

არაფერია გარეთ, რადგან რაც შინგითაა იგივეა  
გარეთო“.

ვაჟას შემოქმედებაეუ ბუნებბით სუნთქვას არცეს  
უპირისპირებს ერთმანეთს ვარგვენსა და შინაგანს  
მისთვის ყველაფერი ერთია, მთლიანი, ბუნების  
ყოველი ელემენტი, ყველაფერი, „რაც ადამიანის  
გარეშეა, იმავე დროს თავი ადამიანისეკია მო-  
ცემული“ — წერდა ვაჟა. მისი აზრით რაც არ  
უნდა მაღალ საფეხურს მაღლწიოს კაცობრიობამ.  
„მასში მინც უნდა სხანდეს ისევე ბუნება, საერ-  
თოდ“. ამიტომ ყველაფერი ადამიანისეკია, თე-  
თონ გოეთესი, ვაჟისი, მოლად მათ გუთუნით  
ქვეყანა, მთასი — მთა, ბარში — ბარი, ზღვა და  
ხმელეთი, ცაზე ვარსკვლავები, დილით მანათო-  
ბელი მზე, ლამით გუშავი მთვარე, ავღარი, ენი-  
ეული, ცის ქვევა, ვარდის ვაფურქვენა, კლდის  
თავს გაშლილი პირშიე, — ყველაფერი როგორც  
ერთიანობა. და მთლიანობა. ამის გარეშე ვაჟა  
არავითარ არსებობას არ ცნობს. იგი კმაყოფილ-  
დება მოვლენებბით, იმით, რაც „ჩვენი თვალთა-  
ხედვის არეშია“, (ენგელსი), რითაც მნიშვნე-  
ლოვნად განსხვავდება კანტისა და თვით გოე-  
თესგანად კი. მის ნაელებ აინტერესებს პირველ-  
წყაროს მეცნიერული ასპექტი. ყოველ შემთხვე-  
ვაში იგი ფუსტეფით უსივრცო მხარეში არ დე-  
ქებს პირველენომენს (Urphänomen) მისი  
ძიების სფერო მატერიული სამყაროა, ბუნების  
რეალური მოვლენები და მათი კანონზომიერება.  
ვაჟა მხოლოდ ხილულ სინამდვილეს ცნობს და  
მასში ჩასაიდუმლებულ აზრის გაგებას ცდი-  
ლობს. მთელი კოსმორფი სამყარო მისი ადამი-  
ანური თვალთხედვის წინაშეა გაშლილი. იგი  
ამ სამყაროს ონტოლოგიურ ცენტრს ეძებს და  
მის ირგვლიე ალაგებს ბუნებასა და საზოგადოე-  
ბის ყოველგვარ მოვლენას. ვაჟა ბუნებისა და  
ადამიანის მარმონიულ ერთიანობაში უფრის  
თავს ფაუნტურის ცნებას შინაარსის დეზინტე-  
გრირებულ ელემენტებს და ყოველიე ამის  
ერთ ფოქუსში აქცევს.

როგორც აღვნიშნეთ გოეთეს შემდეგ ჭეშ-  
მარბებბის, მშვენიერების, სოციალური მარმო-  
ნის, სიყვარულის, სიკეთის, ბედნიერების და  
თავისუფლების იღებბი თანდათან გაიქრა ბურ-  
ეუზულო დეკადანსის მწერლობაში საკირო იყო  
ისეთი ძალის ახალი შემოქმედის მოსვლა, რომე-  
ლიც სამყაროს მთლიანობისა და ყოველადობის  
ფარგლებში მოახდენდა ამ იღებბის რეინტეგრა-  
ციას და ლოგიკური სიმტკიცით დაუბრბისპირდე-  
ბა „საეკენის დასასრული“—ან სოსოლუტური უარ-  
ყოფისა და დეკადანსის ფილოსოფიის. ასეთი შე-  
მოქმედი ვაჟა-ფშაველა. რა თქმა უნდა არიან  
სხვებიც. დიდები და პატარები, მაგრამ ფაუნტურ-  
რი იღებბის რეინტეგრაციის თვალსაზრისით მათ  
შორის პირველი ადგილი მაინც ვაჟას ეკუთვნის.



# პარტფელი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან\*

საინტერესოა, ასეთი დეტალი: ენდარმთა მეფის მოხსენებაში აქ ციტირებული ადგილი-სათვის მეფის ხაზი ვაუსკამს და გვერდზე მიუწერია: „საუბედუროდ, სავსებით მართალია“

ასე მომწიფდა მთავრობის სფეროებში აზრი შკატირის რეპრესიების აუცილებლობისა არა მარტო რევოლუციურად განწყობილი სტუდენტების წინააღმდეგ არამედ, მათი თანამგრძობი პროფესორების წინააღმდეგ. პირველი მსხვერპლი ამ რეპრესიებისა პროფესორი პავლოვი აღმოჩნდა.

სტუდენტობის ერთ-ერთი საყვარელი პროფესორი ისტორიკოსი პლატონ ვახლიის ძე პავლოვი 1862 წლის 5 მარტს მეფის მთავრობამ დააპატიმრა და შკარე დღესვე ვაუსკამსთვლად გადასახლა შორეულ ვერტლუგაში. რა იყო ამის მიზეზი?

მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც ამასთან დაკავშირებით იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნდა, ნათქვამი იყო:

„ლიტერატურულ საღამოზე, ამ თვის 2 არტებში... პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა სტატსკი სოვეტნიკმა (სამოქალაქო მრჩეველმა) პავლოვმა წაიკითხა თავისი სტატია „ჩუგაიის ათასი წლის შეახება“. ამ სტატიის კითხვის დროს პატრონი პავლოვმა თავს ნება მისცა ისეთი გამოთქმები და შეახებულები ეხსარა, რომლებიც არ ყოფილა ცენზურისაგან გასაწველი მის სტატიის და რომლებიც ხელს უწყობენ მთავრობის წინააღმდეგ ემპოფილიზმის გამოწვევას. ამის გამო სტატსკი სოვეტნიკს პლატონ პავლოვს ეკრძალება საჯარო ლექციების კითხვა და გაეცმულა განყარვლება მისი ვიდეოსების შესახებ შორეულ სამაზრო ქალაქში საბოლოოდ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.“<sup>1</sup>

ამ ამბავს უფრო დამწკრილებით გადმოგვიცემენ თავიანთ მოგონებებში ნ. ნიკოლაძე და ლ. პანტილევი, რომლებიც ესწრებოდნენ ამ ლიტერატურულ საღამოს, სადაც პავლოვმა ლექცია წაიკითხა.<sup>2</sup> მათი მოგონებებიდან ჩანს,

რომ პავლოვს არ გამოუთქვამს რაიმე განსაკუთრებული, მთავრობის აშკარად საწინააღმდეგო აზრი, მაგრამ მის მიერ გადაკრით ნათქვამმა სიტყვებმაც კი, რომლებშიც, ნ. ნიკოლაძის მოწმობით, იმდროინდელი „წყალობლებისა და დაწესებულებათა ვიჯანაღისების“ იმედი იყო გამოთქმული, დამსწრეთა არაჩვეულებრივი აღტკინება გამოიწვია. პავლოვი მრავალჯერ გამოიწვიეს სცენაზე; მქუხარ ტანისაგან უზარმაზარი დარბაზი გრგვინავდა და ზანზარებდა. — გადმოგვიცემს ნ. ნიკოლაძე.

ეს იყო პროფესორ პავლოვის მთელი აღიზნება, რასაც მისი გადასახლება მოჰყვა გამორჩენილი მეცნიერისადმი ასეთმა შეკერვამ და უსამართლო მოპყრობამ აღაშფოთა სტუდენტები და მათი კომიტეტი ენერგიულად გამოეხატა პავლოვს.

სტუდენტთა კომიტეტმა დაადგინა, პროტესტის ნიშნად, შეეწყვიტათ საჯარო ლექციების კითხვა. თავდაპირველად ამ დადგენილებას შეუერთდნენ პროფესორებიც, მაგრამ შემდეგში მათმა უმჯავლესობამ, ცნობილი პროფესორის კოსტომაროვის მეთაურობით, შეიცვალა პოზიცია და მოითხოვა ამ დადგენილების შეცვლა.

„ისანი ამტკიცებდნენ, — გადმოგვიცემს ნ. ნიკოლაძე, — რომ ერსებას დახურვა — ეს სწორად მთავრობისათვის იქნებოდა ზელსაყრელი, რომ ეს ზიანს მოუტანდა მხოლოდ სტუდენტობას, რომელიც დარჩებოდა დაქსაქსული, უხელმძღვანელოდ; ხოლო უმთავრესი კი ისაა, რომ სტუდენტობა მოკლებული იქნებოდა საზოგადოებასთან შეხვედრისა და მასში პროპაგანდის გაწვევის საშუალებას.“<sup>3</sup>

უმჯავრობდნენ რა ასეთ მოსაზრებებს, მოწინავე პროფესორები ზელახლა შეიკრიბნენ დადგენილებების გადასახიჯად ა. ე. სოვეტოვის ბინაზე. თავიანთ კრებაზე მათ მიიწვიეს აგრეთვე ბესარიონ ლობიჯანიძე, როგორც სტუდენტთა კომიტეტის წევრი.

<sup>1</sup> იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, ტ. I, გვ. 126 — 128; Л. Ф. Пантелеев, Воспоминания, стр. 227 — 229.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, ტ. I, გვ. 128.

\* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 3, 4.  
<sup>1</sup> იხ. М. Лемко, „Очерки особ. движения шестидесятых годов“, 1908 г., стр. 12—13.

სტუდენტთა კომიტეტის წევრები არ მოელოდნენ, რომ მათი დადგენილების წინააღმდეგ მათივე თანაგრძნობი პაროფესორები წავიდოდნენ, და როცა ბ. ლოლობერიძემ მათ ამის შესახებ აცნობა, კომიტეტის წევრთა აღშფოთებას სახელგადასმელი არ ჰქონდა. აი როგორ გადმოგვცემს ამ მომენტს ლ. პანტელევი:

„ღამის თერთმეტ საათს უკვე ვაუცილებულა იყო, რომ შემოდის ლოლობერიძე. „კომიტეტში მოვდიოდი, — ამბობს ის, — მაგრამ შემთხვევით შევხვდი სოვეტოვს; მან მითხრა, რომ მასთან შედეგმა პაროფესორების კრება, და დაენიშნენ მთხოვა მეც დაესწრებოდი კრებას იმისათვის, რომ შემდეგ გადმოვიკა ჩვენი კომიტეტისათვის, რასაც პაროფესორები დაადგინდნენ. მე დავთანხმე, და იცით რა, პაროფესორებმა უარი თქვეს მიღებულ გადაწყვეტილებაზე და დაადგინეს, რომ განაგრძობენ ლექციების კითხვას; მათ ივალდებულებს, რომ ზღალ კოსტომაროვის ლექციის დაწყებამდე ან თვითონ ვამოცხადდებიან ქალაქის თვითმართვლობაში, ან თვითველი მათგანი ჩვენი კომიტეტის სახელზე გამოგზავნის წერილობით ცნობას იმას შესახებ, რომ მისი ლექციები გაგრძელდება“. ლოლობერიძის მიერ მოტანილმა ამბავმა ენით აღწერული სენსაციის გამოიწვია ნ. უტინმა, რომელმაც ვერ ვაპირებო საქმის ვითარება, შეუტია ლოლობერიძეს: „როგორ შეგძლოთ თქვენ ასეთ რამეზე დასთანხმებულად იყოთ? თქვენ არ გჭონდათ არავითარი უფლება“. „მე არაფერზეც არ დავთანხმებულვარ, მხოლოდ ვთვლი და ვუსმენდს“.

ბუნებრივად ისმებოდა კითხვა: რაღა უნდა გვექნა?!

ეს ამბავი მოხდა 1862 წლის 7 მარტს. მეორე დღეს დანიშნული იყო პაროფ. კოსტომაროვის საჯარო ლექცია. სტუდენტთა კომიტეტმა გადაწყვიტა მიენც თავისი გავტარა და იი, 8 მარტს საღამოს კოსტომაროვის ოქციონზე მან მოაწყო ისეთი მთავრობის საწინააღმდეგო საპროტესტო დემონსტრაცია, რომელმაც მთელ რუსეთში გაიხშირა. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს ძალაღან უყვარდათ კოსტომაროვი, მის ლექციას ისინი სტუდენტთა და ერთსულოვანი საპროტესტო ლოზუნგებით შეხვდნენ: „ძასს!“, „არ გვინდა!“, „ჩვენ გვიდა პავლოვი“. ლექცია ჩაიშალა.

ამრავად, სტუდენტთა კომიტეტმა მრავალრიცხოვანი საზოგადოების წინაშე სამარცხენო ბოძზე გააკრა მთავრობის რეაქციული პოლიტიკა. ენდარმთა შეფი, იძულებული იყო ელიარებინა, რომ გაძლიერდა „მთავრობის საწინააღმდეგო პარტიის გაშვებაობა. ამ პარტიის მიერ პავლოვი ისეა საზოგადოების წინაშე

გამოყვანილი, როგორც სიმართლესათვის უღანაშულო წამებული“!

კოსტომაროვის ლექციაზე მომხდარი ამის შემდეგ მთავრობამ აკრძალა საჯარო ლექციების კითხვა მალე დაიშალა სტუდენტთა ზემოხსენებული კომიტეტიც. ზოლო სტუდენტთა კრებაზე არჩეულმა ახალმა კომიტეტმა, რომელშიც ნ. უტინი და მისი უახლოესი თანამებრძოლები აღარ შედიოდნენ, რეაქციის გაძლიერების გამო, შედარებით ზომიერი მოქმედებას კურსი აიღო<sup>1</sup>.

ამის შემდეგ ნ. უტინი, რომელიც მაშინ რუსეთის რევოლუციური ახალგაზრდობის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელთაგანი იყო<sup>2</sup>, სათავეში უდგება თანამებრძოლთა მცირე ჯგუფს და ახალბებს უაღრესად აქტიურ არალეგალურ რევოლუციურ საქმიანობას. სწორედ ეს ჯგუფი, რომელშიც თელსაზინს როლს თამაშობდა მ. ლოლობერიძეც და რომელიც ყანდარმერამ უტინის პარტიის<sup>3</sup> სახელით მონათლა, დაუკავშირდა არალეგალურ რევოლუციურ საზოგადოება „ზემლია ი ვოლიას“ და ენერგულად ჩაება მის საქმიანობაში.

რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა ბ. კოზმინმა 1955 წელს „ლიტერატურული ნასლედსტოში“ გამოქვეყნა საინტერესო მასალები და გამოკვლევა ნ. უტინის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ, საიდანაც კარგად ჩანს, როგორც თვით უტინის, ისე მისი უახლოესი თანამებრძოლების და მათ შორის ნ. ლოლობერიძის ენერგული რევოლუციური საქმიანობა საერთოდ და კერძოდ კი მათი კავშირი „ზემლია ი ვოლიას“ ხელმძღვანელებთან, მათა შესვლა „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში და იქ განაღებული აქტიური რევოლუციური მუშაობა. ბ. კოზმინი ხშირ შემთხვევაში ეყრდნობა ლ. პანტელევის ცნობებს, რომელსაც ამ საკითხზე ფრიდ საინტერესო მასალები მოეპოვება თავის „მოგონებებში“.

ბ. კოზმინის მიერ თავმოყრილ მასალებს, ლ. პანტელევის მოგონებებს და სხვა აქამდე ცნობილ წყაროებს ავსებენ ჩვენს მიერ არქივში გამოვლანებული ახალი მასალები და ამის შედეგად ჩვენ საშუალება გვეძლევა შევხვედეთ წარმოდგინოთ ცოტად თუ ბევრად მთლიანი სურათი რუსეთის ამ რევოლუციური ახალგაზრდობის თავდადებული მოღვაწეობისა,

<sup>1</sup> ЦГИАМ, ф. ШО, 1 экз. д. 230, ч. 1, 1862 г.

<sup>2</sup> აბ. Л. Пантелеев, Воспоминания, стр. 269.

<sup>3</sup> აბ. «Литературное наследство», т. 62, стр. 614.



რომელთანაც უდავოდ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ქართველი ხალხის შევიდებით.

უბრალოდ უფროსი ჩვენ შევიდებით დაედიანთ, ვინდაც შედიოდნენ ე.წ. „უტინის პარტიის“. მასალების სიმცირის გამო, რა თქმა უნდა, ძნელია უტინის ყველა თანამებრძოლის დადგენა, მაგრამ ზოგიერთი მითვანას შესახებ უტყუარი საბუთები მოიპოვება. უდავოდ დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, რომ უტინის უახლოეს თანამებრძოლთა გვთვით შედიოდნენ ევგენი ბენიკინი და ბეს. ლოლბერიძე. ამას ამტკიცებს, გერ. ერთი ის ფაქტი, რომ ისინი შედიოდნენ სტუდენტთა რევოლუციურ კომიტეტში ნ. უტინთან ერთად; მეორე, — ის, რომ იმავე უტინთან ერთად არიან ისინი მოთავსებული მესამე განყოფილების მეორე შედგენილ გასაჩივრება სიაში და ბრალდებაც სამივეს, ზუსტად ერთნაირი აქვს წაყენებული; დაბოლოებული, ამას ამტკიცებს პენატციანის მიმართ — პეტერბურგის ობერპოლიცემისტრის ერთერთი აგენტის ცნობა<sup>1</sup>, ხოლო ბ. ლოლბერიძის მიმართ — რევოლუციონერი ქალის მარხარე ალექსანდროვისკის ჩვენება<sup>2</sup>. ამით გარდა „უტინის პარტიის“ ეკუთვნოდნენ აგრეთვე ლ. ფ. პანტელევი, პ. ლ. სპასი და სხვები.

უტინის გვუფის ერთ-ერთი პირველი არაღვალური ნაბიჯი იყო პროფესორ პავლოვის საქმის გამო პროკლამაციის შედგენა და გავრცელება. ეს პროკლამაცია პეტერბურგში გამოჩნდა 1862 წ. 15 მარტს. იგი შეიცავდა მოაზრობის წინააღმდეგ პროტესტს პროფესორ პავლოვის უკანონოდ გადასახლების გამო<sup>3</sup>.

ამ პროკლამაციის გამოსვლის მეორე დღესვე განდობიერების აგენტი თავის უფროსებს მოახსენებდა: „თითქმის არ არის სიყვითლე, რომ მოწოდება პავლოვის შესახებ, რომელიც გუშინ გამოჩნდა, შედგენილია უტინის პარტიის მიერ (...) უტინის პარტია შესდგება მჭიდროდ დაბაზმული საზოგადოებისაგან, რომლის მოქმედება საიდუმლოდ რჩება ყველასათვის, ვინც იმ საზოგადოებას არ ეკუთვნის. ცხადია, რომ ეს საზოგადოება ყველაზე მეტად იცავს პავლოვს. ამასთანავე ერთად სხენებული პარტია ეძლეოდ ღვას ჩერნიშევსკის დასაცავად“<sup>4</sup>.

ამ ცნობიდან აშკარაა, რომ მესამე განყოფილების აგენტთა ძალიან ობერატიული მოქმედება და საქმიანობა კარგადაც ეტყვევოდა

რევოლუციონერთა მოქმედებაში. აგენტები იმ ხანებში დღე და ღამე უთავდასებლდნენ ჩერნიშევსკის ბინას და აღრიცხავდნენ ამაყდათ ყველა, ვინც კი ჩერნიშევსკისთან დადიოდა. მათი ცნობებიდან ჩანს, რომ 1861 წლის ბოლოდან მოკიდებულია ჩერნიშევსკის დაბატიმრებაშივე მისი ყველაზე ხშირი სტუმრები სწორედ ნ. უტინი და მისი თანამებრძოლები იყვნენ<sup>1</sup>. ჩერნიშევსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სტუდენტთა მოძრაობას, ყურადღებით აღევნებდა თვალს მათ ყოველ ნაბიჯს, თანაუგრძნობდა, ეხმარებოდა და ხელმძღვანელობდა მათ, როგორც ლ. პანტელევი გამომოკცემა, ჩერნიშევსკი თვითონაც ყოფილა უტინის ბინაზე, როცა იქ სტუდენტთა კომიტეტის სხდომა ყოფილა<sup>2</sup>.

უაღრესად საინტერესოა აგრეთვე მესამე განყოფილების ერთი ცნობა, საიდანაც ჩანს ბ. ლოლბერიძის საიხლოვე ჩერნიშევსკისთან და აგრეთვე მისი უშუალო მონაწილეობა პროფ. პავლოვის გადასახლების გამო „უტინის პარტიის“ მიერ შედგენილ პროკლამაციებში. ამ ცნობაში ნათქვამია: „ლოლბერიძე ბესარიონი უნივერსიტეტის არეულობაში მონაწილეობისათვის გარიცხულია სტუდენტთა შემადგენლობიდან. ცხადია განათავისუფლების შემდეგ ის ჩერნიშევსკისთან ცხოვრობდა. უტინისა და პენატციანის მსგავსად, ლოლბერიძეზე ეჭვია მიტანილი, რომ მან შეადგინა მოწოდება პავლოვის სასარგებლოდ“<sup>3</sup>.

ჩერნიშევსკის ბინაზე ბ. ლოლბერიძის ცხოვრების ფაქტმა არ უნდა გავივიწყოთ: როგორც ჩანს ჩერნიშევსკისთან დაახლოებული პირების ცხოვრება მის ბინაზე იშვიათი მოვლენა არ უოფილა. მაგალითად, ნ. ნიკოლაძის მოგონებებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ერთხანს ისიც ცხოვრობდა პავლოვსკში ჩერნიშევსკის ბინაზე მეზონინში<sup>4</sup>.

„უტინის პარტიის“ აქტიურმა რევოლუციურმა მოქმედებამ და პაპულარობამ იმათაგანვე მიიქცია „ზემოა და იქვე“ ხელმძღვანელო ყურადღება და უკვე 1862 წლის მარტში მით (ცენტრალური კომიტეტის წევრის ა. ა. სლუბცოვის საშუალებით) მოლაპარაკება გამართეს ნ. უტინთან, რომელმაც უწყყმანოდ მიიღო წინადადება სხენებულ საიდუმლო საზოგადოებაში შესვლის შესახებ. უტინმა, ბუნებრივად საიდუმლო საზოგადოებაში შეიყვანა თავისი უახლოესი თანამებრძოლები, რომელ-

<sup>1</sup> იხ. «Литературное наследство», т. 62, стр. 613.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> М. Лемке, «Очерки освободительного движения «шестидесятых годов», 1908 г., стр. 13.

<sup>4</sup> «Лит. наследство», т. 62, стр. 611—612.

<sup>1</sup> «Лит. наследство», т. 62, стр. 612.

<sup>2</sup> Л. Пантелеев, Воспом., стр. 272.

<sup>3</sup> იხ. «Процессы Н. Г. Чернышевского, Архивные материалы». Саратов. ОГИЗ. 1939 г., стр. 33.

<sup>4</sup> ნ. ნიკოლაძე, «ჩრ. ნაწერები», ტ. 1, გვ. 138.

ბიე თავის მხრით ცდილობდნენ ახალი წევრები მიეზიდათ. მარტო ლ. პანტელევმა, როგორც თვითონ ამბობს „მოგონებებში“, ოცამდე ახალი წევრი მიიზიდა „ზემლია ი ვოლის“ შემადგენლობაში. უტინის ჯგუფმა უაღრესად თვალსაზრისით, წამყვანი როლი თამაშა „ზემლია ი ვოლის“ საქმიანობაში, გამოაცოცხლა და გააძლიერა მისი შემოკრება.

ამრიგად, დადგენილად უნდა ჩათვალოს შემდეგი ფაქტები: ბესარიონ ლოღობერიძე იყო პეტერბურგის სტუდენტთა 1861 წლის დიდი პოლიტიკური გამოსვლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ზედმდგანაწევრი; სტუდენტთა მდღეობების ჩაქრობის შემდეგ, საპატრონოდან გამოსვლასთანავე ის შევიდა სტუდენტთა კომიტეტში და ენერგიულ მონაწილეობას იღებდა კომიტეტის შიდა საქმიანობაში, ხოლო ამ კომიტეტის დამსხვრელების შემდეგ მკიდროდ დაუკავშირდა ნ. უტინს, ე. პეტრუჩინს, ლ. პანტელევს და სხვ., და მათთან ერთად შეადგინა ე. წ. „უტინის პარტია“, რომლის წევრებს უახლოესი კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ ჩერნიშევსკისთან; უდავოდ დადგენილია ისიც, რომ ნ. უტინი და მისი „პარტია“ 1862 წლის ვახაფხულზე დაუკავშირდნენ „ზემლია ი ვოლის“, შევიდნენ მის შემადგენლობაში და გადმოქცნენ მის ყველაზე აქტიურ და ენერგიულ მოღვაწეებად.

მაგრამ არსებობს, თუ არა პირდაპირი საბუთი იმისა, რომ პირადად ბ. ლოღობერიძე შედიოდა „ზემლია ი ვოლის“ შემადგენლობაში?

ასეთი საბუთი კიდევაც არ არსებობდა, ჩვენ მაინც უფლებამ გვაქვსებოდა ზემოთხსენებული, უკვე დადგენილი ფაქტების საფუძველზე გვევლინებოდა სხეულებულ საიდუმლო საზოგადოებაში ბ. ლოღობერიძის უდავო მონაწილეობა, მაგრამ აქამდე ჩვენ ასეთი მტკიცებულების პირდაპირი საბუთიც მოგვეპოვება.

ბ. კოზმინი, რომელიც ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენებ ნაშრომში დაწერილებით იხილავს „ზემლია ი ვოლის“ შემადგენლობაში ნ. უტინის შესვლისა და მოღვაწეობის საკითხს, იხსენიებს ცნობილი რევოლუციონერი ქალის ბ. ალექსანდროვსკიას ერთ ფრიად საინტერესო ცნობას, რომელსაც ჩვენს საკითხის გასარკვევად გადამწვევტი მნიშვნელობა აქვს. ქვემოთ მოგვყავს როგორც ეს ცნობა, ისე მასთან დაკავშირებით ბ. კოზმინის მსჯელობა, რომელიც ჩვენთვის აგრეთვე საინტერესოა:

„1862 წლის მარტში „ზემლია ი ვოლის“ ცენტრალური კომიტეტის წევრმა ა. ა. სლუპცოვმა წინადადება მისცა უტინს შესულიყო საიდუმლო ორგანიზაციაში. უტინი, რომელიც, პანტელევის ცნობით, ადრეც ლაპარაკობდა

მკიდროდ დაჩაზმული რევოლუციონერი ორგანიზაციის აუცილებლობაზე, ხალხისა და მისი მხდა სლუპცოვს...

პირველ სერიოზულ საქმედ, რომელიც წილად ზედა უტინს, როგორც მანს, პ. გ. ზაინცევის მოსყიდვის წრესთან მოლაპარაკება იყო, სამწუხაროდ, ამ მოლაპარაკების შესახებ ჩვენ მარტო ბ. ალექსანდროვსკიას ცნობა მოგვეპოვება. მისი სიტყვით, 1862 წ. მარტის შუა რიცხვებში პეტერბურგში ჩამოვიდნენ ზაინცევის წრის წევრები ა. პ. ბოტოვსკი, ი. ე. პონიატოვსკი, დ. პ. ევრეინოვი და რუმენსკი. მათი თხოვნით, ალექსანდროვსკიამ ისინი გააცნო უტინს, რომელიც თავისთან მიიწვია. აქმდა საკვირველად, — გადმოვეცემს ალექსანდროვსკია, — (უტინი) მარტო კი არ მოვიდა, არამედ პანტელევთან და ლოღობერიძესთან ერთად, — ამ უკანასკნელს მე არც კი ვცნობდა. მათ ჩემი მოკლება უნდოდათ, მაგრამ, მოუხედავად ამისა, ჩემამდე მაინც აღწევდა ზოგიერთი სიტყვა, საიდანაც მე შეშეძლო დამესკენა, რომ ისინი ერთმანეთის წინაშე რიდაცოთ თავს იჭებდნენ, და, ბოლოს, გადაეცინეს ერთმანეთი და უფლანი ერთდროულად დაშალნენ. შემდეგში მე გავეცი, რომ ისინი ამ დამეს სადღაც კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, თანაც კიდევ შეიმატეს რამდენიმე პირი, რომელთაგან ვიცო მხოლოდ „სოფრემენისის“ თანამშრომლის სლუპცოვის გვაჩი, — და იქ შეიერთეს ორივე საზოგადოება ერთად...”

იმაზედაც რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ ალექსანდროვსკიას აშკარად აჩვენია ა. ა. სლუპცოვი „სოფრემენისის“ თანამშრომელ ე. ა. სლუპცოვს, მის ზვენებაში კიდევ ერთი უფრო მნიშვნელოვანი შედეგებზე მოიპოვება: გაერთიანება, რომელზედაც ალექსანდროვსკია ლაპარაკობს, არ მომხდარა: ზაინცევის წრე „ზემლია ი ვოლის“ შემადგენლობაში არ შესულა<sup>1</sup>.

ამ მრავალმხრივ საინტერესო ცნობიდან ნათელი ზდება, რომ ნ. უტინს პირველსავე სერიოზულ საქმეში, რომელსაც ის „ზემლია ი ვოლის“ დაფუძნებით აკეთებდა და რომელშიც თვით ამ საიდუმლო საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ა. ა. სლუპცოვი მონაწილეობდა; უშუალოდ და აქტიურად ჩაუბამს თავისი უახლოესი თანამშრომლები ლ. პანტელევი და ბ. ლოღობერიძე. ამ ფაქტის შემდეგ არა გვერინა შეიძლებაოღეს ორი აბრის არსებობა იმის შესახებ, შედიოდა თუ არა ბ. ლოღობერიძე „ზემლია ი ვოლის“ შემადგენლობაში. ვფიქრობთ, ჩვენ სრულ უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ბ. ლოღობერიძე გვერდში ედგა

<sup>1</sup> „Литературное наследство“, т. 62, стр. 614.

ნ. უტინს ამ უკანასკნელს „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში შესვლის შემდეგაც და ის არა მარტო შედიოდა „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში, როგორც მისი რიგითი წევრი, არამედ დ. უტინთან ერთად ასრულებდა ფრიად პასუხსავემ დავალებებს და, მაშასადამე, ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ხსენებულ ორგანიზაციაში. საფიქრებელია, რომ ნ. ლოლობერიძე იყო „ზემლია ი ვოლიას“ პეტერბურგის კომიტეტის წევრი. ყოველ შემთხვევაში, უდავოდ მივგანზიან, რომ სწორედ ბ. ლოლობერიძე იყო ერთი ამ კავებადღეთაგანი, რომელიც „ზემლია ი ვოლიას“ ცენტრალურ (თუ პეტერბურგის) კომიტეტის სხდომაზე მოითხოვდა აჯანყებელი პოლონელებისათვის აქტიურ მხარდაჭერას და მზად იყო მონაწილეობა მიეღო მარტოებელზე თავდასხმაში. რახედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

იმავალ წვენ ხელთა ჰეაქვს არა ერთი და რიი ახალი საარქივო საბუთი<sup>1</sup>, საიდანაც ჩანს, რომ 1862—1863 წლების განაყოფობაში ბ. ლოლობერიძე უაღრესად აქტიურ და ენერგიულ არალეგალურ მუშაობას ეწეოდა.

პოლიცია და ეანდარმეში მის ყოველ ნაბიჯს აღრიცხავდნენ. მესამე განყოფილების აგენტის მოხსენებებიდან ნათლად ჩანს, რომ ბ. ლოლობერიძე ხსენებულ პერიოდში რევოლუციურ მუშაობას ეწევა არა განცალკევებულად, არამედ იმავე ნ. უტინის ჯგუფში, ე. ი. ახლა უკვე „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში. ჩვენს ხელთ არსებული საბუთებიდან გარკვევით ჩანს აგრეთვე, რომ ბ. ლოლობერიძესთან ერთად არალეგალურ მუშაობას ეწევა დიდი ლოლობერიძე, რომელსაც მესამე განყოფილების აგენტები „უმიტროს დოლობერიძე“ ისენიებენ. ამ ერთ-ერთი მეტის-მეტად საინტერესო საბუთი, რომელიც ჰვენ მესამე განყოფილების საქმეებში აღმოვაჩინეთ და რომელიც ახალ შუქს ფენს ირავე ლოლობერიძის არალეგალურ საქმიანობას:

„ჩვენსამდე მოღწეული ცნობებით, კვირას<sup>2</sup>, კერძო აგარაყე პეტერბურგში უტინის პარტიამ ნამდვილად გამართა სადღიო, რომელზედაც ლოლობერიძემ (სტუდენტი?) რომელიც ჩერნიშევსკისთან დადის და თანაც პავლოვსკში ცხოვრობს) წარმოთქვა სიტყვა, რომელიც შეიცავდა საყვედურებს ლიბერალური პარტიის მიმართ, რომ მის წევრთა შორის ნაკლებად აქტიურობდა და სრულებით არ ირის ერთსუ-

ლოვნება და გადაწყვეტი ღონისძიებებზე. შემდეგ მან სთქვა, რომ საიდუმლო კომიტეტს განზრახული აქვს შეტევითი მოქმედება აწარმოოს. ეს სიტყვა, როგორც ამბობენ, სტუდენტთა ხელიდან — ხელში გადავიდა. ლოლობერიძე (უმიტროს) ზემოხსენებულ საიდუმლო მავარი შეტაკება მოუხდა ერთ-ერთ მოსადილესთან. როცა მას სიტყვის თქმა უნდოდა, ამ დროს ყოფილმა სტუდენტმა დებედევა დაიყვირა: „ნახათ რაც მოგვით, თქვენ ხომ არისტოკრატი ხართ...“ სიმე დღელამდე მივიდა, მაგრამ როგორღაც მოახერხეს შერევა“<sup>3</sup>.

აქედან ნათელია, ჯერ ერთი, ის რომ ბუს. ლოლობერიძე ამ დროს (1862 წ. სექტემბერი) კვლავ უტინის პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრია და ამ პერიოდშიც აქტიური რევოლუციური მოქმედების, — „შემტევი“ პოლიტიკის მომხრეა; შემდეგ ამ საბუთიდან ნათელია, რომ რევოლუციურად განწყობილ სტუდენტთა შორის ბუს. ლოლობერიძე იმდენად მოაქლარული გამხდარა, რომ მისი სიტყვა გადაუწყვირათ და სტუდენტებს შორის ზეილიდან—ზელიც გადასულა; დაბოლოს, საბუთიდან აშკარაა, რომ ბუს. ლოლობერიძეს „უტინის პარტიის“ და, მაშასადამე, უნდა ვიგულისხმობო „ზემლია ი ვოლიას“ საქმიანობაში ჩუბბაშს თავისი, ქართული თანამოაზრები, კერძოდ დავით ლოლობერიძე, რომელიც ამ დროისთვის იმდენად გაზრდილა იდეურად, რომ ცდილობდა საჯაროდ პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ზემოთ ხსენებულ საბუთში, განსაკუთრებით საყურადღებოა სიტყვები: „მან სთქვა, რომ საიდუმლო კომიტეტს განზრახული აქვს შეტევითი მოქმედება აწარმოოს“. ცხადია, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ლაპარაკია „ზემლია ი ვოლიას“ პეტერბურგის კომიტეტზე, მაგრამ საიდან ცუოდანებოდა ბ. ლოლობერიძეს ამ კომიტეტის განზრახვები, ან, კიდევ ურთ რომ სცოდნოდა, რა უფლებას ჰქონდა სტუდენტების წინაშე საჯაროდ ელაპარაკა საიდუმლო კომიტეტის სახელით? ჩველი მისახედრი არ ირის, რომ ასე მოქცევა მას შეეძლო მხოლოდ იმავე საიდუმლო კომიტეტის დავალებით, რაც მისს მახევენებლია, რომ ბ. ლოლობერიძე ხსენებულ კომიტეტის წევრი ან, ყოველ შემთხვევაში, უაღრესად ნდობით აღმურვალი პირი უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა ასეთი დეტალიც: ზემოხსენებულ დოკუმენტს, რომელიც 1862 წლის 18 სექტემბერსაა შედგენილი, იმავე თარიღით, ფანქრით წარწერილი აქვს ეანდარბთა შეფის შემდეგ რეზოლუცია:

„ხომ არ შეიძლება უფროს ლოლობერიძეს

<sup>1</sup> ეს და აგრეთვე სხვა ახალი საარქივო საბუთები, რომლებიც რუსეთში მყოფი ქართველი ახალგაზრდობის რევოლუციურ მოღვაწეობას შეეხებიან, ცალკე წიგნად იქნება გამოქვეყნებული პ. რ.

<sup>2</sup> ლაპარაკი 1862 წლის სექტემბრის ერთ-ერთ კვირა დღეზე.

<sup>3</sup> ЦИГАМ, ф. 109, л. 277, а, л. 257, 258, 1861 г.

თავიზიანად გამოვეითხოთ მის შეხედულებებსა და განზრახვებზე. — რამდენადაც ის კავკასიელია, ამის გაცემა წარმატებით შეიძლება ე. პ. ბუტკოვის დახმარებითა.

აქედან ჩანს, რომ ენდლარშია შეფი ამდენად დანტერესებული ყოფილა ბ. ლოლობერიძის საქმიანობით, რომ აღარ დამკვიფრებულა აგენტურის მიერ მოპოვებული ცნობებით და ახლა სხვა გზით, — მაღალ თანამდებობის პირების გამოყენებით (ბუტკოვი სტარს-საკრეტარი (სახელმწიფო მდივანი) და ე. წ. „კავკასიის კომიტეტის“ საქმეთა მმართველი იყო) და „თავიზიანი ლაბარაკით“ უცდია გავიოს ის, რისი ვაგებაც აგენტების საშუალებით ვერ მოუხერხებია. მაგრამ, როგორც ჩანს, ენდლარშია შეფს, ამ ბერძნითაც ვერ მიუღწევია თავისი მიზნისათვის. ამას ვგაფიქრებინებს ის გაერმოება, რომ პ. ლოლობერიძე 1862 წელს გადაუტარა დააბრუნებას.

იმ ორმოცდაათი ექვსიტანოლი რევოლუციონერიდან, რომელთა აერთდროულად და სასტიკი ჩხბრეცა იყო განზრახული და რომელთა სია მეფეს 1862 წლის აპრილის ბოლოს წარუდგინა, მთავრობამ იმავე წლის ზაფხულში თათქმის ყუფლანი დააბრუნრა. დააბრუნებას გადაურჩა მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, მათ შორის ნ. უტინი და ბ. ლოლობერიძე. როგორ მოხდა ეს?

ბ. კოზნინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „თუ უტინი მაშინ დააბრუნებას გადაურჩა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობას უფრო ეიდუვ არ ჰქონდა ხელთ მისი მამხილებელი ფორმალური საბუთები“<sup>1</sup>.

საფიქრებელია, რომ სწორედ ასეთვე მიზეზით გადაურჩა დააბრუნებას ბ. ლოლობერიძეც, რომელიც ეტყობა კარგი კონსპირატორი ყოფილა.

1862 წლის ივნისში დააბრუნებას ნ. ჩერნიშევსკი და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის სხვა გამოჩენილი ხელმძღვანელები. გაალოერდა რეაქცია. ყოველდღე თხელდებოდა რევოლუციონერთა რიგები. მაგრამ ბ. ლოლობერიძე მაინც შეუმოგვრად განაგრძობდა არა-

ლგალორ საქმიანობას<sup>2</sup>. ეს საქმიანობა ვას არ შეუწყვეტია მაშინაც კი, როცა მისი უპაქლევის მეგობარი ნ. უტინი იძულებული იყო საზღვარგარეთ გაქცეულიყო (1863 წ. მაისში). და მხოლოდ 1863 წლის შემოდგომაზე, როცა გამძვინვარებული რეაქციის ვითარებაში „ზემლია ი ვოლია“ იძულებული იყო არსებობა შეეწყვიტა, ბ. ლოლობერიძემ ერთ-ერთმა უკანანგულმა დატოვა ბრძოლის ველი და სამშობლოში გამოემგზავრა.

ზემოთ ჩვენ უკვე დაინახეთ, რომ „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში ბესარიონს გარდა შედიოდა აგრეთვე დავით ლოლობერიძე (რომლის რევოლუციურ მოღვაწეობაზე დიფერილებით ქვემოთ გვეყენება საუბარი), მაგრამ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამათ გარდა „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში შედიოდნენ სხვა ქართველებიც. თუმცა ეს საკითხი შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს, მაგრამ უკვე ამჟამადაც სრულ საფუძველით შეგვიძლია ვიგარანდოთ, რომ „ზემლია ი ვოლია“ შემადგენლობაში ბესარიონ და დავით ლოლობერიძეებს გარდა შედიოდა აგრეთვე ვრიგოლ ჯავახიშვილი.

გ. ჯავახიშვილი (ვორის მხარის სოფ. ხოვლეს მცხოვრები). პეტრობურგის უნივერსიტეტში 1860 წელს შედგა და სტუდენტთა მღელვარების დროს მეორე კურსზე ყოფილა. როგორც ნ. ნიკოლაძის მოგონებებიდან ჩანს, გ. ჯავახიშვილმა სტუდენტთა მოძრაობაში უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო. ის დააბრუნებას და სხეულებთან ერთად რ დეკემბრამდე იჯდა ციხეში. ნ. ნიკოლაძე ვრიგოლ ჯავახიშვილს ახასიათებს, როგორც „ყეთილ და უაღრესად წესიერ კაცს“<sup>1</sup>.

რა საფუძველი გვაქვს ჩვენ ვიფიქროთ, რომ გ. ჯავახიშვილიც იყო „ზემლია ი ვოლიის“ წევრი?

ასეთი მოსაზრების გამოთქმისათვის საფუძველს უპირველეს ყოვლისა გვაძლევს ის ფაქტი, რომ გ. ჯავახიშვილი დაკავშირებული ყოფილა „ზემლია ი ვოლიას“ ცენტრალური კომიტეტის წევრ პ. ბუტკოვსკისთან. ზემოთ ჩვენ უკვე მოგისვენეთ აქედ. მ. ნეჭინას გამოკვლევა, სადაც ნათქვამია, რომ „ანდრუშენკომ პუტკოვსკისთან მისვლისას მასთან ნახა ვრიგოლ ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი) — სტუდენტთა მოძრაობის მონაწილე, რომელიც იდრე პუტკოვსკისთან ერთად იჯდა პეტრობურგის ციხეში. გ. ჯავახიშვილი ამ დროს უკვე პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა“.

აქ მოხსენიებული ანდრუშენკო „ზემლია ი ვოლიას“ მოსკოვის ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო და 1863 წლის მაისის პირველ

<sup>1</sup> «Литератур. насл.», т. 62, стр. 618.

<sup>2</sup> დამახასიათებელია ერთ-ერთი რუსი რევოლუციონერის 1862 წლის 27 აგვისტოს დააბრუნებულ ვასილიევის საინტერესო ჩვენება: ვასილიევი აღიარებს, რომ რევოლუციური ლიტერატურით მას ამიარგებდნენ მისი უახლოესი აზნაგები, მათ შორის — ლოლობერიძე (იხ. М. Лемке. «Политические процессы в России 1860-х гг.», М. 1923 г., стр. 663).

უფრო საფიქრებელია, რომ აქ ლაბარაკი ბესარიონ ლოლობერიძეზეა, თუმცა ვამოიხილები არც ისაა, რომ ვასილიევის დავითი ჰყავდეს მხედველობაში.

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, ჩხ. ნაწერები, ტ. I, გვ. 103.

რიცხვებში მოსკოვის კომიტეტის დაჯილბოთი ჩავიდა პეტერბურგში პ. პუშტორსკისთან „ზემლია ი ვოლიას“ პროგრამის ირველიც მოსალაპარაკებლად. სწორედ ამ დროს უნახავს მას ვრცელ ჯავახიშვილი პ. პუშტორსკისთან; თუ ვაეითვალისწინებთ, ერთის მხრივ, იმ გარემოებას, რომ გ. ჯავახიშვილს პუშტორსკისთან ნაცნობობა ჯერ კიდევ სტუდენტთა მღელვარების დროიდან ჰქონია და საპატიმროშიაც მასთან ერთად მჯდარა, ხოლო, მეორეს მხრივ, — იმ ფაქტს; რომ პ. პუშტორსკის „ზემლია ი ვოლიას“ წევრ სტვა ქართულუბთანაც ჰქონია კავშირ-ერთიერთობა (გაეხსენით იმავე მ. ნენჯინას ცნობა: „პ. პუშტორსკი აღიარებს, რომ იცნობდა ლოლობერძენს“), — ცხადი გახდება, რომ გ. ჯავახიშვილის ყოფნა მასთან სწორედ 1863 წლის მაისში არ შეძლება შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს და რომ ეს ფაქტი მივითითებს გ. ჯავახიშვილის კავშირზე „ზემლია ი ვოლიასთან“.

მეორე დანკენას მხარს უჭერს და ამბობს ის ფაქტიც, რომ გ. ჯავახიშვილს ძალიან ახლო ერთიერთობა ჰქონია ბეს. ლოლობერძენსთან და ისინი ერთად გამომგზავრებულან პეტერბურგიდან 1863 წლის შემოდგომაზე.

თბილისიდან 1863 წლის 7 ოქტომბერს პეტერბურგში გაგზავნილ ერთ-ერთ პირად წერილში ნიკო ლოლობერძენე ატყობინებს დავით ლოლობერძენს, „ბესარიონი და ჯავახიშვილი ჩამოვიდნენო“<sup>1</sup>. ცოტა გვიან, სახელდობრ 1863 წლის 11 ნოემბერს ნიკო კვლავ ატყობინებს დავითს: „ბესარიონი, ჯავახიშვილი და ა. ზოლოყაშვილი ჩამოვიდნენ. ბესარიონს მის-

ცეს გიმნაზიაში არითმეტიკის უმცროსი მათემატიკა“<sup>1</sup>.

პ. ლოლობერძენის გამოგზავრება 1863 წლის შემოდგომაზე პეტერბურგიდან სავსებით ბუნებრივი და ვსაგებია: უნივერსიტეტი მას დიდა ხნის დამთავრებული ჰქონდა, ხოლო „ზემლია ი ვოლიას“ ორგანიზაციამ რეაქციის გადაღერების გამო არსებობა შესწყვიტა. ამის შემდეგ მას, რა თქმა უნდა, პეტერბურგში დარჩენა აღარ შეეძლო: თვით მოვლენათა ლოგის ძალით ბეს. ლოლობერძენს პეტერბურგის მღელვარე რევოლუციური ცხოვრება უნდა გაეცალა თბილისის გიმნაზიის არითმეტიკის მასწავლებლის უწყინარ თანამდებობაზე, მაგრამ რატომ გამოგზავრება მასთან ერთად გ. ჯავახიშვილი, რომელსაც იმ დროს უნივერსიტეტი ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა ჰქონოდა დამთავრებული? ამ კითხვას ადვილად ავსენით, თუ ვაეზიარებთ იმ საფუძვლიან აზრს, რომ ეს უკანასკნელიც „ზემლია ი ვოლიას“ წევრი იყო და მისი დამოსის შემდეგ იძულებული იყო გაელოდა პეტერბურგის პოლიციას ავენტებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოხსენებულ პირებს გარდა „ზემლია ი ვოლიას“ წევრთა შორის სტვა ქართულუბიც უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით მათზე ძნელია კონკრეტული ფაქტებით ლაპარაკი, ამ საკითხს შემდგომი მეცნიერული კვლევა-ძიება სჭირდება. სრულადაც არ მიგვიჩნია გამოირცხულად ავრთვე, რომ „ზემლია ი ვოლიას“ წევრები ყოფილიყვნენ თვით საქართველოში, კერძოდ თბილისში, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს საკითხიც არ არის შესწავლილი.

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 109, оп. 214, д. 492.

<sup>1</sup> იქვე.

(გაგრძელება იქნება)



იოსებ მამკვიდიძე



## პირველი ქართული თარიღიანი ხელნაწერი

I

ქართველებს პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ ერაყშიც კი ქონდათ ძველი აღმოსავლეთის დიდსა და პატარა ხალხებთან.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების დროიდან ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაძლიერდა და შეტი კავშირი დამყარდა ბიზანტიის ხალხებთან; ქართულ ეკლესიას ანგარიშს უწევდნენ ანტიოქიის პატრიარქებმა.

მაშინდელი მსოფლიოს წამყვანი ძალებს შორეულ საქართველოს ცნობა და აღიარება იყო, რომ ქართულმა ეკლესიამ არა XI ს. როგორც ეს არასწორად წერია ამის წინათ რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წიგნში, არამედ უკვე V საუკუნეში, — 475 — 488 წლებში მოიპოვა დამოუკიდებლობა და თავისი კათალიკოსი გაიჩინა საქართველოში და მის გარეთ ქართული საგანმანათლებლო ცენტრები უკვე არსებობდა და მათ შიშართულებს განსაზღვრავდა ქართული სახელმწიფოს ინტერესები და ქრისტიანობა მანამ, სანამ მეცნაერულმა აზრმა არ გაიმარჯვებდა.

ქართულ საგანმანათლებლო ცენტრთაგან საზღვარგარეთ უძველესად ითვლება პალატრა (ძველი ლავრა პალესტინაში), რომელიც IV — V საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს დაარსებული. მალე იქვე შეიქმნა ხატიონის, ექვთიმეს, თედორესა და სხვა გიწმინდის ლავრებიც.

საბას ლავრა 483 წელს დაუარსებიათ. აქ სიუენეთა განშავლობაში ითარგმნა ქართულად მრავალი თხზულება ბერძნულ, სირიულ, არაბულ, სომხურ და სხვა ენებიდანაც და იქვე იქმნებოდა ქართული ორიგინალური თხზულებებიც. მიუხედავად ამისა, ქართული სასულიერო მწერლობა არა საზღვარგარეთ, არამედ თვით საქართველოში დაიწყო.

საბას ლავრაში მრავალი ქართველი ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას V — VII საუკუნეებში. იგი თანდათან გამოდრეკა VIII — IX საუკუნეებში და X-ში აქ შეიძლება ითქვას, აღდგა ქართველების ნამდვილი ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება.

მასში ქალებიც მონაწილეობდნენ. «Роды

женщин в истории грузин в Палестине значительная» (6. მარი). კიდევ უფრო შინაშენლოვანი იყო ქალების როლი თვით საქართველოში; მათში მრავალი წიგნობარი გვხვდება. ი. კავჭავაძე რომ თათქარიძეს აღაპარაკებს «წიგნი რა ვაქციის ხელობაა, — ეგ ხომ ქალის საქმეა», ეს ძველი წარმოდგენის გადმონაშთია.

მერ სატუნისა და წყებულში არაბთა ტომების გავრთიანება, მათმა ქრისტიანი ხალხების გამუსლიმანებისათვის ცეცხლითა და მახვილთა მოქმედებამ ძალიან ავნო არა მარტო საზღვარგარეთის, არამედ დედა სამშობლოში მყოფ ქართველებსაც. არაბები შუი აზიასა და კავკასიასაც კი მისწვდნენ და, რაღა თქმა უნდა, არ დაინდობდნენ პალესტინაში მყოფ ქართველ ქრისტიან სასულიერო პირებს. მათ თავს ესხმოდნენ არაბები, ელტდნენ, საცხოვრებლებსა და სალოცავებს უნგრევდნენ.

ქართველები იძულებული გახდნენ საბა განწმინდის ლავრიდან არაბთაგან დაშორებულსა და ძნელად მისაწვდომ მაშინდელი პართლადილებელი აღმოსავლეთის სინას მთაზე შემდგარი ენენ, სადაც, — როგორც აღ. ევაბრელი აღნიშნავს, — თითო-ორთაა ქართველი მე-7 — 8 საუკუნეებშიც მოღვაწეობდა.

ამგვარი, პალესტინის ძველი ლავრების, უფრო კი საბას ლავრის, — წერს კ. კეკელიძე, — პირდაპირი გავრძელება სინას მთის ქართველთა სამწერლო-საგანმანათლებლო ცენტრი. აქ გადმოაქეთ ქართველებს პალესტინის სამონასტრო ტრადიციები და იქვე შესრულდნენ ან სხვა გზით მოხვედრილი ქართული ხელნაწერები და უძვირფასესი ნივთები.

სინას მთაზე მოღვაწე ქართველები ეწეოდნენ ძველი ხელნაწერების რესტავრაციის (გადაწერის, „შემოსვას“, — უდაში ჩასმის), მათ აღწერას (არსებობს ძველი კატალოგიც, იხ. ჭკეშითი), ძველი თარგმანების დედნებთან შედარების და დაზუსტების, ახალი თხზულებების შექმნას. აქ ისინი, ქართულს გარდა, წერდნენ ბერძნულს, სირიულსა და არაბულ ენებზეც, რასაც მოწმობს ასეთ ხელნაწერთა ქართული პავინაცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ სინას მთაზევე შემუ-

შედა მე-10 საუკუნეში ის ქართული ხელი, რომელსაც, განსხვავებით საბაწმინდო ან ათონურ ხელთაგან, სინური ხელი ეწოდება.

პალესტინაშია შექმნილი და სინას ქართული მონასტრისაგანია შეწირული მკაირი ლეთეთელის, გიორგი გრძელის ძის მიერ სინური მხატვრობის 864 წლისა.

სინას მთის № 67 ხელნაწერს მე-2 მინაწერში ბასილი მხატვრული აღნიშნავს: „მადლითა ღმრთისათა მონასტერი საესენია წიგნით“<sup>1</sup>.

მართლაც, როგორც სინას № 77 ქართული ხელნაწერი გვაუწყებს, იქვე არსებობდა მონასტრის ქართული წიგნთსაცავი (ბიბლიოთეკა), რომელსაც ოთხი ოთახი ექაბა, მათში წიგნები თაროზე ელაგა. აქედან ხელნაწერის გატანა არ შეიძლებოდა; იგი მსურველს აიკვ უნდა წიგნითა და ასეე თავის ადგილზე დაედო. სამაგვიროდ იქვე სენაკებშიც იყო საკითხავი წიგნები (იხ. ხელნაწერი № 67).

6. მარია სწერს: „Кроме этой фундаментальной библиотеки на Синае существовала частная пещерная библиотека для пользования отшельников; живших в грузинской пещере св. Кирика“. (წინასწ. ანგარიში, გვ. 44).

აი, ასე მაღალი იყო ჩვენში უკვე მიზნს წიგნისადმი დამოკიდებულების კულტურა.

ქართული საგანმანათლებლო ცენტრები საზღვარგარეთ ძირითად საარსებო საშუალებებს საქართველოდანვე ღებულობდნენ. მათ დედა სამშობლოში ჰქონდათ განუყოფელი რიგ სოფელთა და მიწის ნაკვეთთა შემოსავალი და უხვ შეწირულებას უგზავნიდნენ ქართული მეფეებზეც. მაგ, დავით აღმაშენებელი და ქვეყნის თვალად წოდებულ თამარს.

6. მარია წერს, რომ XI—XII საუკუნეებში საქართველოს გაძლიერებამ არა მარტო მატერიალურად უზრუნველყო საზღვარგარეთის ქართული კოლონიები, არამედ სულიერადაც გაძლიერა ისინი და გაზარდა მათი წონა საზღვარგარეთვე; ეს ცენტრები პოლიტიკურ გავ-

ლენას აღედგინენ იმ საბუნძოლოებზე, რომელთა ტერიტორიაზეც ისინი მდებარეობდნენ.

ქართველების ეროვნული შეგნება და სული ძლიერდებოდა. «Она опиралась, главным образом, на нравственные силы народа». «Блеск не только литературный, но политический Грузии, Грузии Давида Строителя есть результат медленной, но основательной культурной работы многих предшествовавших поколений. Эти древние поколения создали в Святой Земле и на Синае грузинские обители, центры просвещенной подвизнической жизни в национальном духе».

საქართველოში მდგომარეობის გაუარესების ხანებში, განსაკუთრებით XIV საუკუნიდან დაიწყო სინას მთის ქართული საგანმანათლებლო კოლონიის მოშლა და იგი გაუქმდა, მაგრამ სინას მთის სახელი მაინც კარგად იყო ცნობილი საქართველოში. არა მარტო ტიმოთე გაბაშვილი ისწრფოდა „მოხილვად სინად“ (იხ. მისი „მომოსვლა“, თბ., 1956 წ., გვ. 6). ასეთვე ინტერესით ეწვია სინას მთას მეფე ერეკლე მეორის კარის ხუციეს და შემდეგ სტამბოს გამგე ჭრის-ტრეფორე აყვარაშვილი, რომელმაც ერთერთი ხატის უკანა მხარეზე ასომხედრული წარწერა დატოვა<sup>2</sup>.

## II

კიდევ უფრო დიდი იყო და არის ინტერესი სინას მთისა და იქ დაკული ქართული ხელნაწერებისადმი ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და საერთოდ ქართული კულტურის ისტორიის შეკვლევებში.

ასეთთაგან სინას მთაზე პირველი პროფ. ალ. ცაგარელი იყო 1883 წლის თებერვალში 3 დღით. მან აქ აღწერა ქართული ხელნაწერები და გამოაქვეყნა წიგნი «Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае. — Православный палестинский сборник, т. IV, № 1, 1888 წ. აქედანვეა ამობეჭდილი (ახალი პავანაკითხ) ხელნაწერთა აღწერილობანი და სხვა დანართებით მისივე «Сведения о памятниках грузинской письменности», т. II, №. — პეტერბურგი 1889 წ.

სინას მთაზევე იყვნენ 1902 წ. 6. მარია და მისი მოწოდებ ივ. ჯავახიშვილი, პირველმა მამინევე გამოაქვეყნა სინასა და იერუსალიმში მოკლებების ანგარიში (იხ. წინასწ. ანგარიში) და მხოლოდ ერთი ბეღ დანაკრები შემოთხვევის ე. ვ. მ. შო, რომელმაც აქ აღარ ვილაპარაკებთ, თითქმის ოთხი ყოველი წლის შემდეგ გამოქვეყნდა 6. მარიის სათანადო წიგნი „აღწე-

<sup>1</sup> И. Я. Марр. Описание грузинских рукописей синайского монастыря, Моск.-Киев.-Ленинград, 1940 წ., გვ. 168 (ქვემოთ ამ წიგნს დავასახელებთ შემოკლებით „6. მარია, აღწერილობა“; ასევე ივ. ჯავახიშვილის „სინას მთის ქართული ხელნაწერთა აღწერილობა“ (იხ., 1947 წ.) სათაურს ვამოკლებთ „ივ. ჯავახიშვილი, აღწერილობა“, ხოლო 6. მარიის. Предварительный отчет о работах на Синае, введенных сотрудничестве с И. А. Джаваховым, и в Иерусалиме, в поездку 1902 года (апрель—ноябрь) — Сообщения (российского) Палеостинского общества, т. 14, № 11, პეტერბურგი, 1903 წ., აღნიშნავთ მოკლედ „6. მარია წინასწ. ანგარიში“.

<sup>2</sup> იგი 6. მარის ვადმოუწერი 1902 წელს და ახლა უკვე გამოქვეყნებულია იხ. ი. მ. გ. რ. ე. დ. ე. ერეკლე მეორის 24 შვილი—ყურნ. „ცისკარი“, 1958 წ., № 10, გვ. 170—171.

როლობა\*) და ამის შედეგად გამოიკა ჩვენს ნ. მარის გეგმითვება და ხელმძღვანელობით შედგენილი ივ. ჯავახიშვილის ნაწილიც („აღწერილობა“).

მიუხედავად ძალიან მძიმე პირობებისა, რის გამოც შეიძინავეართვანი მივლინებიდან მუშაობა მხოლოდ 4 თვის განმავლობაში მოხერხდა, და მიუხედავად აღწერილობის განსაზღვრული მზრით ჩატარებისა, მაგ., ნ. მარის იერუსალიმის ქართული ხელნაწერების მკაცრ აღწერილობას, — სამართლიანად წერს ელ. შერტიშელი, — „აქვარა უმარატესობა აქვს არა მარტო ნ. ზუბინაშვილისა და ალ. ცაგარის აღწერილობებთან, არამედ რ. ბლიეის კატალოგთანაც, რომელიც არც ათეული წლით უფრო გვიან არის შედგენილი“.

ნ. მარის შემოსწავლელი წინასწარი ანგარიში გახდა საბაბი იმისა, რომ საქრისტიანო მწერლობის დიდი სპეციალისტი, ბერლინის უნივერსიტეტის სახელგანთქმული პროფესორი ა. ჰარნაკი წერდა: ამ ანგარიშიდან ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნის ქართულებიც, ქართული წერილობითი ძეგლები ისე მნიშვნელოვანია, რომ დღეის იმით უკვე არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხის სწორად გადაწყვეტა აღარ შეიძლება ისე, თუ ქართულ ლიტერატურულ წყაროებს სათანადო ანგარიში არ ვაყენებთ.

სინას მთის ქართული ხელნაწერების უახლესი აღწერილობა გუთუნის ცნობილ არქონისტსა და ქართველოლოგს, ლუვენის (ბელგია) უნივერსიტეტის პროფესორს ეტარა ვარიტს.<sup>1</sup> იგი მონაწილეობდა ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის ექსპედიციაში სინასს და იერუსალიმში 1949 — 1950 წლებში. მან დამოუკიდებლემბინა იტალიური ქართული ხელნაწერები, რომელთა თითო პირის მიღება მოხერხდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა ვ. უზნაძემ.

### III

შემოსწავლელი მიკროფილმების გადიდებულ ფოტოსურათების მიხედვით გამოქვეყნდა ამას წინაო, სინური მრავალთავი 864 წლისა“ — აქად. აკადე შანიძის რედაქციით, წინასიტყვაო-

ბითა და გამოკვლევით, რომელიც ბიბლიისს ხელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომების მე-5 წიგნს წარმოადგენს (თბ., 1959 წ.).

ტექსტი ფოტოსურათებიდან გადმოწერაით და სასტამპოდ მოუმზადებიათ ხსენებული ძველი ქართული ენის კათედრის წევრებს (იხ. გვ. 04 და 016).

„მრავალთავის“ ტექსტს წინ უძღვის: შინა-არსი (ქართულად, გვ. 05 — 011; რუსულად, გვ. 13 — 14), რედაქტორის წინასიტყვაობა (ქართულად, გვ. 015 — 016; რუსულად, გვ. 017 — 019), დათქმული ნიშნები (გვ. 020) და ტაბულები (№№ 1—11).

ხელნაწერის ტექსტი მოიცავს ნაბეჭდ 3 — 283 გვერდებს. შეზღვევ წარმოდგენილია ა. შანიძისათვის დამახასიათებელი ღრმა მეცნიერული გამოკვლევა — „სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“ (გვ. 285 — 338).

სინას მრავალთავი შეიცავს 52 თავს, ანუ სტატიას, წარმოადგენს ერთგვარ ქრესტომათიას, კრებულს, რომლის თავები განკუთვნილი იყო საერთოდ მიღებული საეკლესიო კალენდარული რიგის მიხედვით საკითხავად (ასეთი კრებული სხვა ხელნაწერებში 24 დეკემბრით იწყება).

მრავალთავის 1 — 50 თავების ავტორები და თქმელები არიან 111 — 5 ს. პირები, ხოლო დანართები (280 — 283) ქართველ მოღვაწეებს (9 — 10 ს.) ეკუთვნიან.

„მრავალთავი“ განსხვავდება მეორე ტიპის ძველი ქრესტომათიისაგან, რომელსაც „იადგარი“ ეწოდება და პირველის რაგიოვე დალაგებულ საგალობლებს შეიცავს.<sup>1</sup>

სინური მრავალთავის ჩვენამდე მოღწეული ნაწილის (ხელნაწერის სულ აკრია 79 ფურცელი, იხ. ა. შანიძის გამოცემა, გვ. 297) საკითხავები შემდეგ უძრავ და მოძრავ დღესასწაულებზე ეკითხებოდნენ:

შობის 26 დეკემბრის (ამას სინურ მრავალთავში წინ უსწრებს „საკითხავნი ხარებისანი“ 25 მარტისსურის და ზაქარიაას დადუმებისათვის), წმ. იოანისა 26 დეკ. წმ. სტეფანესი 27 დეკ. ბასილისი 1 იანვ., განცხადების 6 იანვ., მიტქმის 2 თებ., ორმოცთა მოწამეთა 9 მარტ., მარტვათა შობის ორშაბათის საკითხავი, ზხოზის, დიდი ოთხშაბათის, ალესების, ახალციხიის, ამაღლების, მარტკლის, იოვანე ნათლისმცემლის შობის 24 ივნისს და მისივე თავის ეკეთის 29 აგვისტოს, ფერისცვალების 6 აგვისტოს, მძინების 15 აგვისტოს, ღმრთის შობისის შობის 8 სექტ., სატფერების 13 სექტ., ჯვართ ამაღლების 14 სექტ., წამების ბერების და პავლესი 28 დეკ., შესვენებულთა (მარტკლის შემ-

<sup>1</sup> იხ. მისივე «Агиографические материалы по грузинским рукописям Иверы» — Записка Восточного отделения Русск. археолог. общества, ტ. XIII, წ. II—III, ს. პეტერბურგი, 1900 წ., გვ. 4—79.

<sup>1</sup> იხ. მისი Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinai, ლუვენი, 1956 წ.

<sup>1</sup> ილ. აბულაძე. მრავალთავი. — ენაქის მოამბე, ტ. 14, თბ., 1944 წ.



დღე პირველ კვირის), სინა-რაითის მოსვრის 13 იანვარს (შტრ. ჟ. ვართი, ციტ. Cataloge. გვ. 92-93: „Bedi Karthlisa № 32-33, გვ. 21-22, 1959 წ. „მრავალთავის“, ა. შანიძის რედ. გამოცემაზე დართული გამოკვლევა, გვ. 290).

სინური მრავალთავის შემდგენელი თუ გადამწერლები არიან: მაკარის ლეთელი (ა. შანიძის აღნიშვნით, ლეთელი სოფელი ქარეღის რაიონში, ცენტრიდან 7 კმ-ზე, და შესაძლებელია, მენიშავს ავტორი, მაკარი აჭაურიც იყოს). პიმენ კახი და მაკარის დედის ძმისწული ამონა, — ძე ვახთანგ მოძარდულია.

ა. შანიძის რედაქციით გამოცემული სინური მრავალთავის ხელნაწერის გვერდები ემთხვევა ნ. შარის აღწერილობის მიხედვით იმავე ხელნაწერის ტექსტს დასაწყისიდან ვტ. ყოლესი—სიტყვამდე (ნ. შარი, გვ. 2—10, ა. შანიძე, გვ. 3—89).

აქ ნ. შარი შენიშნავს: „Следует пробыл за потерю следующих листов. Часть ее оказалась в р.п. № 57“.

ა. შანიძე აქ შენიშნავს: „დასაწყისი აქლია S ხელნაწერს. სათური აღდგენილია უდაბნოს მრავალთავის მიხედვით (საქ. ხელნაწერების ინსტიტუტის (A—1109, გვ. 90, 263“).

ასე გრძელდება 152 გვერდის (ფ. 145) „ენით“ სიტყვამდე (ნ. შარის აღწერილობა, გვ. 10, 11).

შემდეგ უკვე არღვევა ნ. შარის აღწერილობისა და ა. შანიძის გამოცემის მიხედვით ხელნაწერის გვერდთა ერთნაირობა, მეორე გადაწყველია 60-61 გვერდით. ტექსტის ზოგიერთი ნაწილი მანამდეც იყო გამოცემული, მაგ. „პოვნაა წმ. სტეფანოსის“ დაბეჭდა ნ. შარმა ფრანგული თარგმანით (იხ. ქვემოთ) და სხვა, მაგრამ მათზე აქ აღარ ეწერება, რადგან სათანადო ცნობები (გამოცემებისა და გვერდების აღნიშნაზე) წარმოდგენილია სინური მრავალთავზე დართულ ა. შანიძის გამოკვლევაში (გვ. 292—294).

შეენიშნათ კი, რომ ერთ-ერთი თავის სიათური „პოვნაა წმინდისა სტეფანოსის, რჩეულსა მის მსაბურთსა და პირველ-მოწამისაა“ ერთნაირად იკითხება ნ. შარის აღწერილობასა (ფრ. 7, § 10) და ა. შანიძის გამოცემაში (გვ. 63) ხოლო ნ. შარის პეტიკოციაში — Le sinai — xare géorgien (Patrologia Orientalis, ტ. XIX, ნაწ. 5, პარიზი, 1926, გვ. 657) — იმავე ტექსტის სათურია „პოვნაა ნაწილითაა წმიდისა სტეფანოსისა, პირველ დიაკონისა და პირველ მოწამისაა“!

ა. შანიძის გამოცემაში გახსნილია უოველი ქარაგმა, ასეთ სიტყვათა ნაწილი შემოკლებულდაცა (ქარაგმით) დაბეჭდილი სქოლიოებში, რაც წყაობების სიზუსტის შემოწმების საშუალებას იძლევა. ეს გამოსადგვია კიდევ ქარაგმების ხმარების სიტყვების დადგენასათვის

მრავალთავში, რისთვისაც დინტარესებულ პირს დიდ სამსახურს დაწვეს სასწრაფო მრავალთავის ის ნაწილები, რომლებიც ნ. შარის აღწერილობაშია წარმოდგენილი (გვ. 2-26) და წარმოდგენილია ისე ზუსტად, რომ ხელნაწერში კალმის შეცდომაა „დასაბამითგან წერთა“ (24) და ასევეა დაბეჭდილი (შტრ. იქვე, გვ. IX), რაც არც ა. შანიძის გამოცემაშია, მაგრამ ტექსტში აღდგენილ ფორმას „წელთა“ წერს (გვ. 280 გვ.), ხოლო სქოლიოში (გვ. 11) „წერთა“ ფორმაც აღდგენილს.

იშვიათი გამოცემისაა ნ. შარის „აღწერილობის“ გამოცემაში, რომ, მაგ. წერს „წარმოვითარა ასი ესე წელი ანბანისა“ (გვ. 26 ტექსტში ბოლოში), ხოლო ა. შანიძის გამოცემაში კი სიტყვა წელის მაგიერ წერთა წილი (გვ. 275 გვ.), და ესაა ზუსტი.

სწორია ა. შანიძე, რომ მან გეოგრაფიული სახელი სინა ბოლოშევიელ სახელად დეტრფა და ნათესობით ბრუნეში წერს სინას მთის, სინას ხელთნაწერება და არა სინის. ასევე ბეჭდავდა ამ სახელს ივ. ჯავახიშვილი „აღწერილობის“ (1947 წ.) გამოცემაში, მაგრამ აქ სინას წერია, თუთ ამ აღწერილობაში შესულ ტექსტებში სინის, სინისაა გვხვდება მხოლოდ მაშინ, და ისიც იშვიათად, როცა იგი მსაზღვრელადაა გამოყენებული (გვ. 124, ფ. 192 და გვ. 242 გვ.).

სხვაგან (წარმოქმნილ ფორმათ: სინელი, სინური და ა. შ. გამოცემით) ყველგან ხმოვანფთხიან უკვეცილ სახელად გვევლინება იგი (შტრ. ივ. ჯავახიშვილი, აღწერილობა, გვ. 295, საძიებელი).

საესებით მართალია ა. შანიძე, როდესაც იგი 864 წ. მრავალთავის სამ ხელთავან მაკარის ხელზე ამბობს: მასში ქართული მრგოლიანი ასო „ჟ“ იშვიათად არის თავ-შეკრული“ (გვ. 300). მეორე ხელში მრგოლიანი ასოებითვე დაწერილი „ბ ყ ხ მ ი რ ა ჯ“ არის თავშეკრული, ზოგჯერ ვ — ც“. მესამე ხელშიც ასევე ბ, ვ, ყ ზოგჯერ თავშეკრულია (იქვე).

წინადაც შემწნულ, მაგრამ სადაოდ გამზდარ ამ ფაქტს, ანგარიში უნდა გაეწიოს ჰეენს პალეოგრაფიისში.

ცნობილია, რომ აღნიშნული მოხაზულობა V—VII საუკუნეების ქართულ ხელუბს ახასიათებთ. ასეთი მოხაზულობების არსებობას სინური მრავალთავში ივ. ჯავახიშვილი უარყოფდა. თავშეკრული ვ ომების 958—966 წარწერაში, იმავე ავტორის სიტყვით, „ნამდვილ ამოცანას წარმოადგენს“ (ქართ. პალეოგრაფია“, თბ., 1949 წ., 171).

ნ. შარმა მიუთითო და ა. ნ. გენკომ დაბეჭდა, რომ თავშეკრული ბ 864 წ. სინური მრავალ-

1 შტრ. ნ შარი. ზემო ციტ. „Агиографические материалы...“, გვ. 48, 49.

თავშიც გვხვდება და იქვე გამოაქვეყნა ამ ხელნაწირის ორი გვერდის ფოტოსურათი (ხ. «Тексты и розыскания по кавказской филологии» ტ. 1, ლენინგრადი, 1925 წ., გვ. 48-49 გვერდებს შორის ჩაერთული ფურცელი).

რ. ჯავახიშვილი მაინც ძველ აზრზე დარჩა. პასუხად დაბეჭდა, რომ ა. ვენკოს მიერ დამატებულ 7 ასოთაგან ნამდვილად (1) არც ერთი „თავშეკრული არ არის, თუ ცინკოგრაფიული ბადის ეკლს აქა-იქ შეცდომით ნაწერის ექვენილება არ შეიჩინეთ“ (ციტ. „პალეოგრაფია“, გვ. 176; იქვე, გვ. 239).

ნამდვილად კი ამ გვერდებზე, ზოგჯერ მაინც, ბ. და ვ. თავშეკრულია.

რამაი საშუა? ა. ვენკო წერდა: ეს იმის შედეგია, რომ ენა და წერა უძველთესი ქრონოლოგიური თანამიმდევრუბას პირდაპირი ხაზით არ ვითარდებათ (ციტ. ნაწილი, გვ. 47).

ეს, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ ჩვენ ამას ისიც გვინდა დავუმატოთ, რომ სინას მრავალთავი გ. და დ. წერია ლ. ა. უფრო ძველი ხელნაწირიდან, რომლებშიც ბ. ვ. და ვ. უძველად თავშეკრულად ეწარებათ და ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ გადაწერები ძველ ხელნაწირებში (ეს მით უფრო თავს იჩენს მაშინ, როდესაც გადაწერის სიტყვას ვერ ამოკითხავს და მას „გადახატავს“). მაგ. ა. ვენკოს მიერ გამოაქვეყნებულ სურათზე სიტყვებში გარეწმინდვ (ა. შანიძის გამოც., გვ. 244, რ. იყო თინე (იქვე სტრიქ. 21), სხვას რომ თავი დავანებოთ, თავშეკრულ უს წარმოგვიდგენს.

ჩვენ ხელთ გვაქვს 864 წ. ხელნაწირის 60-67 ფურცელთა ფოტოსურათები. აქ ა. შანიძის გამოცემის მხედვით 63-ე გვერდზე სიტყვები სტრიქონებში გ. — დაბნებსა, 5 — მსახოჯრთა (გამოცემით — მსახერთა), 6 — მეოფთა, იქვე — მსაყლობებო, 11 — დიდებულა, 13 — სახარებასა, 22 — ყო (ყოველ ექვს ვარშე), 28 — ვოჟა, 2 ქვემოდგან — ურთა; გვ. 64-ზე სტრ. 10 — მოუქარებისა, 11 — წარსაწყმედელად, 27 — უწყოდე, 35 — მტყუებულთა და ა. შ. განსაუფრებით გვ. 69-ის — ა ბ ბ ბ (გვ. 65-ის წერია აბბბს) ორივე ბ თავშეკრულია, ხოლო იმავე გვერდზე სტრ. 17 — ა ბ ბ ბ ა ს ორივე ბ. უძველად თავგახსნილია.

ომის მე-10 ს. წარწერაში რომ, მაგ., ვ. თავშეკრული გვხვდება, ეს აიხსნება მით, რომ ეპიგრაფიკა ასათა არქაულ მოხაზულობებს უფრო დადბანს იყენებს, ვიდრე ხელნაწერები.

სინური მრავალთავი პალეოგრაფიულად (და მით უფრო ენობრივად) სხვა მხრივაც საყურადღებოა (შტრ. ა. შანიძე, გვ. 299-300 და 302-306).

აღნიშნულთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილის შენიშვნა, რომ „არაფერი პალეოგრაფიული თვალსაზრისით არანეულებრივი ამ კრებულიების დამწერლობაში...“ არაა და რომ

ამვე ძეგლის „თხზულებათა ენა არაფერს განსაკუთრებულს არ შეიცავს...“ ამის შემდგომ ძალაში ვეღარ რჩება.

ძველი უძველად სამავალითოდაა გამოცემული. მაინც გვაქვს ცალკეულ ისეთი შენიშვნა, რომლებიც გამოცემის ძველი ღირსებას არ ამდაბლებენ, მაგრამ მაინც სჯობს, რომ ისინიც დახუსტდნენ.

1. ანტიქრის თარიღის პდ-ს შემდეგ ხელნაწერი შეიცავს სიტყვებს: „ლ(ო)ც(ა) ყ(ა)თ ამონა მხზარელისათჳს ც(ო)დ(ი)ლსა ფ(რ)იად: წ(მ)ადანო: ზ(ე)და: წ(ი)ლ: სნ: ლ(ო)ც(ა) ყ(ა)თ“ (ნ. მარის გამოცემით გვ. 24, შენიშ. 1, ტაბ. XVIII; ა. შანიძის გამოც. სტრ. 10, შტრ. გვ. 280).

ა. შანიძეს ამ სიტყვების ნაწილი („ზედა“ სიტყვამდე, გვ. 280) გამოკლევაში ვადაურტინია (გვ. 299, § 4) და ნაწილი („ზ(ე)და“ წილი ს. ლ(ო)ც(ა) ყ(ა)თ“) ცალკე მოუთავსებია (გვ. 301, § 5) იმ მოტივით, რომ „ეს მოსდევს ქრონიკოსს, შეიძლება იგულისხმებოდეს, რომ წიგნის დამწერიდან გავიდა 250 წელი, ე. ი. ეს სიტყვები მიუწერიით თითქმ 1114 წელს“ (იქვე).

არაა მოხსნილი შესაძლებლობა, რომ ეს ს. მარია პირდაპირ წელს — 250-ს — აღნიშნავდეს და იგულისხმებოდეს, რომ მინაწერი 1030 წელსა (780+250) შესაყლებულია.

ე. ი. ასეთ შემთხვევაში ის 250 სინური მრავალთავის 864 წელს კი არ უნდა მიუვშობოთ (864 + 250 = 1114), არამედ შოქციების 780-ს (= 1030 წ.).

უქანსკელ სიტყვებს „ღც ყთ“-ს მ. მარია შენიშვნას უკეთებ: ეს გვიანდელი მინაწერი „спондимо сделана рукою известного свийского писца Иоанна“ (24, შწნ., 1).

სინური მრავალთავის ერთ-ერთი მინაწერის იოვანეშიც იოვანე-ზოსიმეს ხედავენ ნ. მარი (გვ. 25) და ა. შანიძე (გვ. 301). ეს მართლაც იოვანე-ზოსიმია, რადგან ის ასე იხსენიება იქვე ტექსტში და თარიღიც დასაბამითავე ხედავენ (981) და ქრონიკოსსა (201; 780+201 = 981). ცალკე იგივე უდრის 981 წელს. იოვანე-ზოსიმე ჯერ კიდევ ცოცხალია. იგი, კ. ეკელისის ვარაუდით, 987 წლის ახლო ხანში ვარდიცვალა. წინა ანტიქრზე მინაწერის ს. ჩენი ვარაუდით 1030 წ., და მით უფრო ჩემომხსენებელი 1114 წ. მისთვის გვიანია, მაშასადამე, იგი იოვანე-ზოსიმის არ უნდა ეუფთნოდეს, თუმცა ზოლი კი მისას ჰგავს.

სა (ხელნაწირის ფ. 214, ნ. მარის ილუქილობის გვ. 25) რიცხვის მომდევნო მინაწერიც „ქება და დიდება ქართლისა ენისა“ (ა. შანიძის გამოცემით ფ. 275, გვ. 283) მართლაც იოვანე-ზოსიმეს ხელითაა ნაწერი და ტექსტის ავტორადაც თავითვე ითვლება, თუმცა

მას პ. ინგოროვსა მხოლოდ ვადამწეროდ აღიარებენ (იხ. მისი „ეტიორიკი მერჩულე“, თბ., 1954 წ., გვ. 751—753).

როგორცადაც ხსნა არ უნდა ვაგვსნათ, ვფიქრობთ, რომ მინაწერის მაცნე თავის ადგილზე (რა თქმა უნდა, სათანადო შენიშვნათ) დატოვება აჯობებდა, რადგან დართულ ტაბულაში იგი მაინც ჩანს და ტექსტში კი აღარაა.

2. სახელოვანი შეცნაური ა. შანიძე თავის გამოკვლევაში წერს: „864 წლის შიხავლათავის აღწერა წილად ჰხედომია ნ. მარს“ (გვ. 288; იგეგმისხევა ნ. მარსისა და ივ. ჯავახიშვილის 1902 წ. სინას მთაზე ყოფნისას, თ. 2).

ნ. მარსი კი ჩვენ გვიხიბრა: ივ. ჯავახიშვილს მიეცემა სამუშაო და ჩემთვის საინტერესო ხელნაწერი მისი აღწერა ნაწილი ამომიხილო. ივ. ჯავახიშვილი ამასვე აღსატყობს: „ნ. მარსი, სხვათა შორის, სწორედ ამ უძველესა თარიღიან 864 წ. ხელნაწერის გულისათვის იყო წამოსული“ სინაზე, მაგრამ იგი „აღსაწერად მე მერგო და შემდეგ პროფ. ნ. მარს დავერთო“ (ცრ. „ქართ. პალეოგრაფია“, 1949 წ., გვ. 175 და 176).

მეგონი მანვე უფრო ვრცელად აღნიშნა ნ. მარსის გარდაცვალებას 5 წლისთაზე სავარაუდოდ მის მუხედვას საღვთო დარბაზში ზეპირად წარმოთქმულ ძალიან გულთბილსა და მეცნიერულად დიდ მნიშვნელოვან სიტყვაში, რომელიც, სამწუხაროდ, სტენოგრაფიულად არ ხაწერია, მაგრამ, საუბრის ვრცელი გეგმა და სათანადო შენიშვნები განსვენებულმა მეცნიერის მდივარ პირად არქივშია დაცული.

ხელნაწერის ასეთ გადაცემზე უმთავრესად კიდევ იმითმე მივაქცევთ ყურადღებას, რომ ნ. მარსი აღწერდა თავის ნაწილადან ზოგიერთ ხელნაწერს ივ. ჯავახიშვილს (იხ. ქვემოთ, № 45-დან). მაგ., 1031 წელს ვადამწეროდ ხაწერ ქართულ ხელნაწერს № 78-ში ნ. მარსმა აღმოაჩინა არაბული ანბანი, რომლის ასოებს ქვემოდან აქვთ მიწერილი სახელწოდებები ქართული ასოებით და იშპატებენ როგორც ქართულლოგთა, ისე არაბისტთა უფრადღებას (როს გამოც იგი ჩვენ გამოვეცი კიდევ!). მაგრამ ხელნაწერი ივ. ჯავახიშვილს აწერია (იხ. ამისი აღწერილობა, გვ. 127).

ნაწილობრივ მაინც ასეთა შემთხვევებით აიხსნება ის ვარაუდები, რომ ივ. ჯავახიშვილის აღწერილობაში № № 1-40, მაგრამ № 32-33 რიგით ივ. ჯავახიშვილის ნაწილში უნდა იყოს და არაია, ხოლო ნ. მარსაში კი ეს № 32-33 არ უნდა იყოს და არაია.

№ 40-ის შემდეგ № № 72-80 და 97 აღწე-

რილია ივ. ჯავახიშვილის ნაწილში, ხოლო № 41-44, 46, 47, 49-54, 56-71, 80-83, 85, 86, 88-92 (92-ის უდაზე № 1 კატალოგის ფრაგმენტ) და 93-96 ნ. მარსის აღწერილობაშია წარმოდგენილი.

№ № 23, 24, 27, 28 არ არის ივ. ჯავახიშვილის აღწერილობაში, ხოლო ისინი და არც № № 45, 48, 55, 84, 87 ნ. მარსის აღწერილობაშიც არ ჩანან. სხვა მხრივ ეს ორი აღწერილობა ერთი მეორეს ავსებს.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ გვაკლია 9 ხელნაწერი. ზოგიერთ მათგანის კვალი მიგნებულია (იხ. ა. შანიძის წერილი, გვ. „კომუნისტი“ № 111, 1956 წ. 13 მარტი), მაგრამ ნომრობით რომელია, გერგერობით ეს არ ვიცით.

სხვათა შორის, თუ ვაგვიხსენებთ, რომ აღკავარლას აღწერილობაში 93 ქართული ხელნაწერი იხსენიება, ხოლო მარსისა და ჯავახიშვილის აღწერილობებში უკანასკნელი № 97-ა (97-93=4), გამოდის, რომ 1893—1902 წლებში მხოლოდ 4 ხელნაწერი დაეარტულია, მაგრამ ეს ზუსტი არაა.

8. ავად. ა. შანიძე სინურ შიხავლათაზე დართულ გამოკვლევაშივე წერს: „სინას მთის ხელნაწერთა აღწერილობა დაიბეჭდა მისა: [ნ. მარსი, თ. 2.] სიკვდილის შემდეგ პირდაპირ ისე [ხაზი ჩვენია, თ. 2.], როგორც მას სინას მთაზე შეუდგენია სხვა ახსნა-განმარტების გარეშე“ (გვ. 288).

ეს რომ ზუსტი არაა, ჩანს ნ. მარსის აღწერილობაზე დართულ წინასიტყვაობიდანაც, სადაც აღნიშნულია: „И. Мегрелидзе велось издание, основаны приложенные иллюстрации, сличена часть текстов в отрывках с соответствующими фотоснимками из архива Н. Я. Марра, составлено оглавление...“ (გვ. IX).

სხვათა შორის, აღწერილობა დაწერილი იყო დიდი ოქტომბრის რევოლუციამდელო ორთოგრაფიით. ის ჩვენ შევეცალეთ ასლით; ამივე სტრუქტურების ავტორსა და პროფ. უ. დ. დონდუას ეკუთვნით ზოგიერთი ის კთხეასხვაობანი, რომლებიც სქოლორებშია დაბეჭდილი, აქა-ქე მივეთოთ იმ ლიტერატურაზე, რომელიც 1902 წ. შემდეგ გამოიცა და, მამსადაძმე, 1902 წ. აღწერილობაშივე იქნებოდა შეტანილი; დონდუასწავლთა და წმიდათა აღსანიშნავი რიცხვები პირადად ჩვენ შევემოწმეთ ძველი კალენდრის („Месяцесловие“) მიხედვით და სხვა.

სხვა მომენტებს რომ თავი დაეანებოთ, აღნიშნულიდანაც ნათელია, რომ ნ. მარსის ნაშ-

1 Н. В. Мегрелидзе. Арабская азбука в древнегрузинской транскрипции. — Эпиграфика Востока, т. VIII, Москва-Ленинград, 1953 წ., გვ. 36—42.

1 სხვათა შორის აღნიშნავთ, ამის გამო ვაზარდა კორექტურულ შეცდომათა გასწორების რიცხვი (იხ. ნ. მარსის აღწერილობა, გვ. X—XI).

რომის დედანი ჩვენ შექანაქრად არ გამოგვი-  
ცია.

აქვე შევნიშნავთ: ეს ნაწარმი ნ. მარმა რომ  
ჩვენ გადმოგვცა, გაიცლებით უფრო მოეშა-  
ღებული იყო გამოსაცემად, ვიდრე მისივე  
„იურუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მკვლ  
ალწერილობა“ (იხ. ნ. მარის არქივი, ჩვენ ამას  
ვებეჭდებოდით სანს ხელნაწერების დამატებად,  
მაგრამ ქალაქი მიგვაყვდა და ივ. ჯავახი-  
შვილის ალწერილობა (რომელიც ავტორმა  
მართლაც მომზადებული დატოვა გამოსაცემად  
დამატებებითაც კი, გვ. 311—317), მაგრამ უკა-  
ნასკნელთ აწერია: დასაბეჭდად ამან და ამან  
მოამზადო, ჩვენ კი ეს არ ვქენით. კიდევ შე-  
ტყ. ნ. მარს უნდოდა ჩაწერა წინასიტყვაო-  
ბაში: ეს წიგნი ჩემი ამ მოწიფის თავდადებისა  
და მისივე და ვ. დ. დონდუას უანგაგო  
შრომის ვარემ ჯერ (და იქნებ ვერაუპ ვერა-  
დროს) ვერ გამოვიტოვად, მაგრამ არც ერთმა  
ჩვენთაგანმა მას ეს არ დაეანებეთ (პირადად  
ჩვენს მიმართ ეს მან სხვა ფორმით ერთგან  
მიანც აღნიშნა).

4. გამოცემა მოიგებდა, რომ საკეთარ სახელ-  
თს საძიებელი მსლებოდა (ლექსიკონით ხომ ვი-  
დევ უკეთესი იქნებოდა).

ეამორებთ, უკელავე ეს მიანც ვერ ამც-  
რებს ავად. ა. შანიძის მიერ დიდი ჯაფისა და  
გამოცელების შედეგად შესრულდულ ამ  
დას საქმეს, ვერ ამზადებს გამოცემისა და  
მისზე დართულ გამოცელების მეცნიერულ  
ღირსებებს.

864 წ. ხელნაწერის მნიშვნელობა წარუ-  
დულია ქართული ეტლტრის ისტორიაში. გარ-  
და იმისა, რომ ესაა ქართული თარიღიანი პირ-  
ველი ხელნაწერი, მისში შემოხატულია IX ს.  
ქალაქური ქართული ენის ნიმუშები და უფ-  
რო აღრინდელი ენობრივ ნორმებიც. ნ. მარი  
ამ ძეგლის ენას Образцовый литературный  
язык-ს უწოდებდა.

სინთრა მრავალთვე შინაარსებულადც სა-  
ყურადღებოა და ენის მხატვრობით საოც-  
რება იმ დროისათვის. რუსთაველს ენას დი-  
დად ღირსებელი წინაპრები გააჩნდა ამ ძეგ-  
ლის. „შუშანიკის ცხოვრების“, მერჩულ-  
სა და ზოგიერთ სხვათა თხზულებათა სახით.

მრავალთვის ქართული მთარგმნელები მხა-  
ტრულად და ლამაზარულად (სხარტად) წერ-  
დნენ, რათა საკითხავებს პეტი ზემოქმედება  
მოეხდინათ მსმენელებზე.

„ცნობილია, რომ ძველი გადამწერლები  
მართო უბრალო კომისის გადაღებანი არ  
იყვნენ; ისინი გადამწერის დროს ხატებენ ან  
გამოქმედებს, თუ რაიმე მხრივ შეუწყნარებ-  
ლად მიაჩნდათ, სველიდნენ“<sup>1</sup>. მაგრამ 1927

წელს ა. შანიძის მიერ გამოცემული „ხანაერ-  
მრავალთვის“ ტექსტები მოწმობენ, რომ ტექს-  
ტებს შემდეგი გადამწერლები კედამოცელებად  
არ ცვლიდნენ. ეს გარემოება, რაღა თქმა  
უნდა, როგორც სწორადია შენიშნული, მრავალ-  
თისათვის თავთა ტექსტებს მნიშვნელობას  
პიტებს.

ა. შანიძის მიერ 1927 წელს გამოქვეყნებუ-  
ლი ნაშრომი „ხანაერტი მრავალთვი“ შეი-  
ცეს პალიმნესტებში ამოკითხულ ნაწყვეტ-  
ნაწყვეტ ტექსტებს (სათანადო კომენტარებსა  
და გამოცვევებს), რომლებიც შინაარსებულად  
სხვადასხვა ავტორის თხზულებათა კრებულაა.

ა. შანიძემ შანიძე დაადგინა, თუ ვის იმ-  
თენით ხანაერტი „მრავალთვის“ 12 ნაწყვეტი-  
დან 8, ხოლო დანარჩენი 4 ნაწყვეტის ავტო-  
რის დადგინა მამინ ვერ მოხერხდა?<sup>2</sup>

სანს მთარ ქართული ხელნაწერების მიე-  
როფილების თბილისში მიღებას შემდეგ  
ა. შანიძემ გამოარკვია, რომ ზემოხსენებულ  
ოთხ ნაწყვეტთაგან, რომელთა ავტორება უც-  
ნობნი იყვნენ, ერთი მათგანი ყოფილა ნაწყვე-  
ტი ანთაპატროს ბოსტრელის საკითხავიდან,  
რომლის სათაურია „წმ. ღმრთის მშობელი-  
სათვის და ზაქარიას დადებებისათვის“, ხოლო,  
— როგორც წერს ა. შანიძე, — „ორი ნაწყვეტი  
ნაწილებია სვეტიცხოვანოს (სვეტიცხოვანოს) გაბალო-  
ნელის ბზობის საკითხავისა, რომლის სათაურია  
„შესხმისათვის ურმათასა და დაჯდომისათვის  
უფლისა კაცუსა ზედა შესვლასა მას მისისა იე-  
რუსელშიდ“<sup>3</sup>.

მამისადავ, გამოსარკვევი დარჩა მხოლოდ  
მე-12 ნაწყვეტის ავტორი თუ სადაურობა. იი,  
ამ შემთხვევაშიც რამდენად მნიშვნელოვანა  
გამოდგა 864 წელს გადამწერილი მრავალთვი.  
ვეორის მხრივ, როგორც უკვე თქვლია,  
ზემოაღნიშნული ფაქტი იძლევა საფუძველს,  
რომ დავასკენათ: 864 წელს გადამწერილი მრავალ-  
თისათვის ნაწყვეტები გაიცლებით აღრე, ქარ-  
თული ენის ხანაერტობის პერიოდშიც (V—VII)  
არსებულა ქართულ ენაზე და მათ ეკლესიები  
იყენებდნენ.

ამავე აზრს იზიარებს ე. გარათიცი, რომელიც  
ა. შანიძის გამოცემას სწორფად გამოხატაურა.  
მან პარიზის ქართველოლოგიურ ორგანოში  
„Bede Karthlis“ (ტ. VI—VII, № 32-33, პა-

<sup>1</sup> ილ. აბულაძე. ენიკის მოამბე, ტ. XIV, 1944 წ., გვ. 246.

<sup>1</sup> თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, 1927 წ., გვ. 98—159.

<sup>2</sup> თბილისის უნივერსიტეტის მოამბე ტ. 67, (1957 წ.), გვ. 299.

<sup>3</sup> ციტ. უნივერსიტეტის „შრომები“, ტ. 67 (1957 წ.), გვ. 300, სინთრა მრავალთვი, გვ. 293—294.

რიზი, 1959 წ. ნოემბერი, გვ. 20-23) საქმიანი წერილი გამოაქვეყნა და აღნიშნა, რომ ცნობილმა თბილისელმა პროფესორმა (Professeur professeur de Tiflis) ბნმა აკაიე შანიძემ, რომელსაც 1957 წ. 70 წელი შეუსრულდა, გამოაქვეყნა ქართული უძველესი თარგმანი ზელნაწერის, ქართული ფილოლოგიის ძვირფასი დოკუმენტის, მთლიანი ტექსტი, რომელიც სინასა და ბიზანტიულ მთარგმნელებზეც აღრინდელია, და მით უფრო აღრინდელია ათონის მთარგმნელებზეო (წინათონურიო).

ზემო დასახელებულ წერილშივე გამოქვეყნდა ე. ვართის აზრით, სინური მრავალთავის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ აღარ არსებობს ის მოვლეა, რომლის ტექსტიდანაც ის ითარგმნა ან გაკეთდა. ამ ქართულ ტექსტს დიდა მნიშვნელობა აქვს ბერძნული პატროლოგიისა და ბიზანტიური ფილოლოგიისათვისაც. ავტორი ასევე: სინურა მრავალთავის ტექსტი est un trésor non seulement pour la philologie georgienne, mais aussi pour la patrologie et pour l'histoire de la liturgie «ეს არის განძი არა მხოლოდ ქართული ფილოლოგიისათვის, არამედ აგრეთვე პატროლოგიისა და ლიტურგიის ისტორიისათვის»<sup>1</sup>.  
კიდევ უფრო დიდა ამ ძეგლის მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიის შესასწავ-

ლად; იგი მდიდარია არა მარტო გრამატიკული ფორმებითა და ლექსიკით (ტერმინებით, სოფლის მეურნეობის, ნოსნობის, სამკურნალოს, თევების სახელებით, სამუსიკო ტერმინებით, კერპულების, ქორწილის, წვეულებისა და სხვათა), არამედ ორთოგრაფიულად და სტილისტიკურადაც.

წევნ საესებით ეზიარებთ ა. შანიძის აზრს: «ეს ძეგლი იმდენად მნიშვნელოვანია ქართული ენის ისტორიისათვის, რომ აუცილებელია მისი სიმთონის შედგენა, რომ გამოვლენილ იქნეს გრამატიკული ფორმების მრავალფეროვანება და სიტყვიერი მარაგის მთელი სიმდიდრე» (იქვე, გვ. 338).

ა. შანიძემ ძალიან მნიშვნელოვანი საქმე შეასრულა ამ ძეგლის გამოცემათ. ვისურვებდით, რომ ხსენებულ სიმთონადაც მისივე ხელმძღვანელობით შედგეს და გამოქვეყნდეს; ვისურვებთ, რომ მანვე გამოაქვეყნოს სინას მთის ქართული სხვა ზელნაწერებიც და საჭიროა აგრეთვე გამოქვეყნდნენ ერთად, როგორც ეს ნ. მარისავე განზრახული, მისივე და ივ. ჯავახიშვილის სათანადო აღწერილობანი ნ. მარისავე «იერუსალიმის ქართულ ზელნაწერთა მოკლე აღწერილობის» დამატებით. ეს მით უფრო სასურველია, რომ ნ. მარის აღწერილობა უკვე არ იშოვება და ახლა საქართველოშივე გააქვს მიკროფილმები, რომელთა ფოტოკოპირების მიხედვით შესაძლებელი და საჭიროა ამ და მით უფრო მაშინ ახალგაზრდა ივ. ჯავახიშვილის მიერ აღწერილობის ნაწყვეტ-ნაწყვეტი და გაბმული ტექსტების დაზუსტება.

<sup>1</sup> Bodi Karthlisa № 5. VI — VII, № 32-33, პარიზი 1959 წ., გვ. 22.



# ვერეა პიკსალაძე



## პეპი წმინტის „არსენა“

1860 წლის 18 აგვისტოს, სტუდენტი აკაკი წერეთელი ასე სწერდა პეტერბურგიდან დედას... „სისკარში“ ჩემ ლექსებს აღარ ვაბეჭდინებ აწი, და თუ ვნებათ, მანდ მოგართმევთ ხოლმე. ეგრე ოთხმოცი ფურცელი მექნება სხვადასხვა ლექსები და კამედები, თუ სხვა რამე — ერთი ჩამადანი მაქ...“<sup>1</sup>

ამვე დროს, აკაკის დღემდე ცნობილ პიესათა შორის, ყველაზე ადრინდელი დათარიღებულია 1867 წლით. არც შემდეგში, თავის მოგონებებში შეხვებია აკაკი საკითხს იმის შესახებ, თუ რომელ „კამედებს თუ სხვა რამეს“ წერდა იგი სტუდენტობის დროს, როდესაც მოწინავე ქართულ ახალგაზრდობასთან ერთად ეწაფებოდა რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს.

ლენინგრადის თეატრალურ ბიბლიოთეკაში ინახება პიესების მდიდარი კოლექცია, რომელიც გადაეცა ბიბლიოთეკას პეტერბურგისა და მოსკოვის საცენზურო კომიტეტის არქივებიდან. თეატრალურ ბიბლიოთეკაში დაცულია რამდენიმე ათეული ათასი პიესა, რომელიც კი ოდესმე ყოფილა განხილული შეფის რუსეთის ცენზურის მიერ და ინახებოდა მის არქივში. 1948 წელს, ამ ფონდის შესწავლის დროს, ჩვენ მოვიპოვეთ სამი რუსული ხელნაწერი პიესა, რომელთა ავტორია ვინმე თავადი წერეთელი (Кн. Церетели). პიესების ცენზურაში გატარების თარიღი 1864, 1865 და 1866 წლებია<sup>2</sup> ამ სამი პიესიდან ერთის სათაურია: «Разбойник Арсений» Истинное происшествие из грузинской жизни «Драма в 3-х действиях 5-ти картинах». Сочин. кн. Церетели მეორე პიესაც, «Грузин и армянин, или хитрость за хитростью», აგრეთვე ქართულ მასალაზეა აგებული. მესამე პიესის სათაურია «Семейная революция».

სამივე პიესა გადაწერილია ერთი ხელთ. თავმჯდომარეზე, სამივე პიესას სხვა ხელთ გაკეთებული აქვს ხელგაყრული წარწერა: პიესა «Арсений Разбойник»-ს По спектакльной плате, Адрес: на Сенной площади, в собственном доме. პიესა «Семейная революция»-ს Адрес: На Сенной площади у Страстного бульвара, в собственном доме.

პიესა «Грузин и армянин»-ს «Имею честь просить принять эту пьесу на условиях по спектакльной плате князь Церетели. На Сенной площади у Страстного бульвара, в собственном доме».

სადარება ეს მისამართი? დღეს „სენაის პლანშიადი“ მხოლოდ ქ. ლენინგრადშია და „სტრასტნოი ბულვარი“ კი მოსკოვს. მაგრამ როგორც სათანადო წყაროების შესწავლიდან გამომდინარე, „სტრასტნოი ბულვარი“ ქ. პეტერბურგში არას დროს არ ყოფილა, „სენაის პლანშიადი“ კი, მართლაც, არსებობდა მოსკოვში, სწორედ „სტრასტნოი ბულვარის“ კუთხეში, 1872 წლამდე<sup>3</sup>.

უდავოა, რომ სამივე ეს პიესა ერთ ავტორს ეკუთვნის. ეს ირკვევა ავტორის გვირგვინის ერთნაირი ხელის და პიესებზე წარწერილი ერთნაირი მისამართის მიხედვით. ვინ უნდა ყოფილიყო ეს თავადი წერეთელი, რომლის ინიციალები ხელნაწერში დასახელებული არ არის?

ერთი ბედნიერი შემთხვევა გააძლევს საშუალებას ამ საკითხზე გადაწყვეტილი პასუხი მივცეთ. პიესა „Арсений Разбойник“-ის პირველი მოქმედება სავსებით ემთხვევა ეურნალ „Сисკარში“ 1868 წლის აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ აკაკი წერეთლის პიესის „არსენას“ ტექსტს. იგი მის თითქმის სიტყვასიტყვითი რუსულ თარგმანს წარმოადგენს. ამგვარად, ეს პიესაც და მასთან ერთი დანარჩენიც უდავოდ აკაკი წერეთლის დღემდე უცნობი პიესებია.

სწორედ ეს პერიოდი (1862—66 წლები) აკაკის ბიოგრაფიაში შედარებით ნაკლებად არის ცნობილი და გარკვეული. თვითონ პოეტი თავის მოგონებებში „ქართული თეატრის დაარსება საქართველოში“ წერს, „1862 რუსეთიდან დროებით ჩამოვედი ჭუთაისში და აქა ვცხოვე-

<sup>1</sup> ლ. ასათიანი, „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, გვ. 169.

<sup>2</sup> იხ. ე. ვირსალაძე, აკაკი წერეთლის უცნობი პიესები, ლიტერატურული გაზეთი, 1949 წ.

<sup>3</sup> П. В. Сытин «Из истории московских улиц, М. 1948 г. изд. «Московский рабочий» стр. 129.

რობდი... — იგი აგვიწყრს ქუთაისში გატარებულ ზამთარს და დასძენს: „ვახაფხულზე წაველ ისევ რუსეთს და რამოდენიმე წელწი იქ დავრჩი“<sup>1</sup> მკვლევარი ლევან ასათიანი თავის მონოგრაფიაში „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“ ამბობს: „1864 წელს აკაკი მოსკოვშია. ამ წლის 24 ივნისით დათარღებულია მისი აქროსტიბი სათაური: „საეოლოს აღბოშში“. საფიქრებელია რომ წინა წლის ვახაფხულზე, საწმობლოდან რუსეთისაკენ გაბრუნებულმა პოეტმა შემოდგომა და ზამთარი პეტერბურგში გაატარა და უნივერსიტეტს წარუდგინა თავისი საკანდიდატო შრომა...“<sup>2</sup> ვფიქრობთ, რომ 1864—65 წ. წ. აკაკიმ ხშირითადად მოსკოვს გაატარა. თვით აკაკი თბი შენიშნავს თავის „თავგადასაფარში“: „მოვრჩი თუ არა უნივერსიტეტს, გადავედი მოსკოვში, იქ იმავე წელიწადს დავცოლავილანდი“.

საინტერესოა, რომ აკაკის ლექსი „ნაღირობა“, რომლის ავტოგრაფიც საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება<sup>3</sup> და რომელიც 1871 წ. ეყრნალ „კრებულში“ დაიბეჭდა, დათარღებულია ასე: „1864 წელსა მოსკოვი“. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა იმისა, რომ მიმოხვეული პიესა აკაკის უფრო ადრე, პეტერბურგში ყოფნისას, სტუდენტობის პერიოდში პქონადა მოფიქრებული ან დაწერილი.

სწორედ ამ „კამედაეზას და სხვა რამეს“. გულისხმობდა აღბო ახალგაზრდა პოეტი, როდესაც პეტერბურგიდან ატყობინებდა დედას, რომ ნაწერებით „ერთი ჩამიღანი“ ვაფსონაზონ პიესათა შორის პიესა „Грушан и армянин“ სწორედ კომედიას წარმოადგენს.

შორისავე ნაციონალურ-გამანათავისუფლებელი ბრძოლის იდეებით გატაცებულ ახალგაზრდა აკაკის პიესა „არსენას“ თუმა შესაძლებელია სწორედ პეტერბურგში ჩასახილდა... იქნებ პირველ, უშუალო ბიძგად ამ სიუჟეტის დამუშავებისათვის იქცა შეხვედრა „გაილამაიკების“ გენიალურ ავტორთან.

აკაკი ასე აგვიწყრს ტარას შევჩენკოსთან ამ შეხვედრის ზოგიერთ მომენტს: „ის (შევჩენკო ე. ვ.) უფრო ახლოს მომიჯდა, ლაპარაკის ხალისი მოემატა და დამიწყო გამოკითხვა ბევრი რამის შესახებ.

„რა ბევრი რამა აქვს საერთო ამ ხალხს ჩვენ ხალხთან!“ — შენიშნა მან. შევჩენკომ ამოიოხრა და დაიწყო ლაპარაკი უკრაინაზე, უნიაზე და სხვ. ლაპარაკობდა სვედიანი კილოთი, მაგრამ გამოკითხვებული, და მე ვე-

ლარ ვცნობდი მასში წინანდელ მოხუცს. ჩვენი საუბარი ვაგრძელდა ღამის სამ საათამდე. ჩვენ ვაგმორდიით როგორც მეგობრები და პირობა დადგვეთ, რომ უფრო ხშირად შეხვედროდით ერთმანეთს. მაგრამ ვი, რომ ჩემს ბედნიერებას აღარ ეღობა განხორციელება... მხოლოდ ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა დამჩნა ნათელ მოგონებად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. ვაღიარებ, რომ პირველად მისი სიტყვებიდან ვაივებ, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საყუთარს ხალხს სიყვარული.“<sup>1</sup>)

ლევან ასათიანი სამართლიანად შენიშნავს, რომ სასტიკი ცენზურის პირობებში აკაკის არ შეეძლო თავის მოგონებებში დაწერილობით გადმოეცა მთელი საუბრის შინაარსი, მაგრამ არ არის გასაკვირველი, რომ აკაკის შევჩენკოსთან საუბრის დროს მოეგონებინა „გაილამაიკის“ ვმირის იარემას ბედთან მრავალი საერთო მქონე ვმირი არსენა „კოპზარის“ ეგზემპლარი ხომ აკაკის ბიბლიოთეკაში 1860 წლიდან, სტუდენტობის პერიოდშიდან ინახებოდა.

შესაძლებელია, სწორედ ამ საუბარმა აღუძრა აკაკი წერეთელს სურვილი ეცადა კალამი რუსულად, და ფართო რუსი საზოგადოებისათვის დაეწერა პიესები ქართული ხალხის ცხოვრებით.

სამივე პიესა განხილვის შედეგად აკრძალული ყოფილა საცენზურო თეატრალურ-ლიტერატურული კომიტეტის მიერ. პიესა „არსენას“ გაკეთებული აქვს წარწერა: „По рецепту Н. Р. Ч. от 31 июля 1865 года за № 4472 по журналу т. л. комитета 18 сентября 1865 года неодобрено к представлению.“

მეორე პიესა წარდგენილია კომიტეტში 1864 წ. 10 ნოემბერს, და 29 ივლისს 1867 წელს ყოფილა აკრძალული. მესამე პიესა აკრძალულია 1866 წლის 30 ივლისს.

ამ სამი პიესიდან ამჟამად განვიხილავთ პიესა „Арсений разбойник“-ს

აკაკი წერეთლის დრამატურგიულ მემკვიდრეობაში მისი დაუმთავრებელი დრამა „არსენას“, რომლის მხოლოდ ერთი მოქმედება იყო დღემდე ცნობილი, ყოველთვის იჭრობდა მკვლევართა ყურადღებას. „ციციკოს“ 868 წლის აგვისტოს ნომრის სარჩევში ნათქვამია: „არსენას“, დრამა 5-ს მოქმედებად თ. აკ. წერეთლისა.“ დრამის ბეჭდვა ამ პირველი მოქმედებით ამოიწერა და მის ხელნაწერსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

პიესის მოქმედ პირთა სიის ანალიზი მოწ-

<sup>1</sup> იხ. ლ. ასათიანი — „ცხ. აკ. წერეთლისა“, გვ. 243.

<sup>1</sup> საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექცია H: 1501

<sup>2</sup> ლ. ასათიანი „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, გვ. 178, 190 წ.

<sup>3</sup> ხელნ. № 6.

მოს, რომ ავტორს ღრამა მოფიქრებელი ქონდა, როგორც მისი დროის საქართველოს სოციალური ცხოვრების ამხანაგელი სურათი. პიესის მოქმედენი პირნი არიან მეფის რუსეთის მოხელე ხელჯობიანი ხერხაძე, მისი თანაშემწე გაიძევა კუდურაძე, თავადის ქალი მაკრინე გოჩენაძე და მისი დედინაცვალი ელისაბედი, ქართველი თავადი, სომეხი, ებრაელი, ტუსალები, გლეხები და ბოლოს ყაზალი არსენა თავისი ამხანაგებით. არსენას გარშემო შემოკრებილ ყაზალთა შორის ავაციის საქართველოს ყოველი კუთხის წარმომადგენელი პაუტ გამოყვანილია: იმერელი, გურული, ჩაქველი, ქართლელი, კახელი და ოსი.

პიესის მოქმედება იწყება მაკრინე გოჩენაძის სახლში. მეფის მოხელე ხერხაძე და მისი თანაშემწე კუდურაძე ბნელი და მკვნე პიროვნებანი არიან. მათი დილოგიდან ირკვევა, რომ სხვა მრავალ დანიშაულებასა და უკანონობასთან ერთად, ხერხაძის მოუწმელაჲს მაკრინეს მამა და მაკრინეს დედინაცვალი თავის საყვარლად გაუხდია. ყოველთაჲ ეს, მხოლოდ საშუალება ყოფილა ხერხაძისათვის, რათა მშვენიერი მაკრინე შეერთო და მისი სიმდიდრე ხელთ ეგდო. ხერხაძემ ცნობილად დაიყოლია ელისაბედი, მათ ყალბი წერილით შეატყობინეს მაკრინეს — თითქოს მისმა დანიშნულმა ახალგაზრდა თავადმა გაორგამ უღალატა. სასოწარკვეთილ მაკრინეს დედინაცვალი ქმრად ხერხაძეს სთავაზობს. მაკრინე შემთხვევით შეიტყობს ხერხაძისა და დედინაცვლის ვერავფასს, რომელთაც სურთ იგი თავის გააყენილების საფარად გამოიყვანონ და მის სიმდიდრეს დაეპატრონონ. რაჲც მისმა ხრკმა ვერ ვასტრა, ხერხაძე მაკრინეზე ძალადობას ცდის, „ბრძოლის“ დროს მაკრინე კლავს ხერხაძეს. სწორედ ამ დროს ჩამოდის ლაშქრობიდან დაბრუნებული გიორგი. იგი მოწმე ხდება ამ ამბისა, შეიტყობს ელისაბედის მუხანათურ როლს და კლავს მას. აქ თავდება პირველი მოქმედება.

ქრნალ „ციცკარში“ დაბეჭდილი პიესის — „არსენას“ პირველი მოქმედება არ გვაძლევს არავითარ გუხსა და ნიშანს იმის ვასაგებად, თუ როგორი იყო მწერლის დამოკიდებულება პიესის მთავარი გმირისადმი — არსენისადმი, როგორ ფიქრობდა იგი მის განსაზღვრებასა და ჩვენებას?

ამვე დროს, პიესის ამ ერთ ცნობილ მოქმედებაში ზოგიერთ გაუგებრობასაც ვქონდა ადგილი, პირველ მოქმედებაში არსენა ზრ ჩანს, სამაგიეროდ აქტიურ როლს თამაშობს მაკრინეს დანიშნული თავადი გიორგი, რომელზედაც მოქმედ პირთა სიაში არაფერია ნათქვამი.

პიესის მოქმედ პირთა სიაში მოხსენებულია ელისაბედი - მწყემსი, მესალამურა, ნამდ-

ვილად კი პირველსავე მოქმედებაში ირკვევა, რომ ელისაბედი არა მწყემსი-მესალამურა, არამედ თავადის ქალია, მაკრინე ვახუშტაძის დედინაცვალი და ხერხაძის საყვარელი. ელისაბედი კედება პირველსავე მოქმედებაში, ისე რომ მას მწყემსი-მესალამურისთან არავფერის საერთო არც პიესის შემდეგ ეითარებში შეიძლება ქპონოდა. ვერც ერთი ამ კონხეითაგანი ვერ იქნებოდა ახსნილი, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ — არავითარი ხელნაწერი არც პიესისა, არც ამ პირველი მოქმედებისა არ გავაჩინია.

როგორც აღვნიშნეთ რუსული „არსენას“ პირველი მოქმედება თითქმის სიტყვა-სიტყვით მიყვება „ციცკარში“ დაბეჭდილ ქართულ ტექსტს. განსხვავება მხოლოდ ზოგიერთ მოქმედ პირთა სახელებშია, ამის მიზანი ცნულობათვის თვალს ახვევა უნდა ყოფილიყო.

ქართული ვარიანტის მაკრინე გოჩენაძე, — რუსულად ნინო კობაძე ერქვა. მის დედინაცვალს არა ელისაბედი, არამედ მართა.

მაკრინეს დანიშნული რუსულ ვარიანტშიაც გიორგია მწყემსი ნომრეგანი, მოხსენებული პირველ მოქმედებაში — რუსულში ლაზარეს სახელს ატარებს.

არსენას მკვლელი ქართულ ვარიანტშიც კვრამა — რუსულში სეფისკვრამა.

ხელჯობიან ხერხაძესა და მის თანაშემწეს რუსულ ტექსტში გვირები სულ არა აქვთ. განსაზღვრულია მხოლოდ მათი თანამედრობა და ეროვნება. Уединяй начальник и его секретаря (оба из туземцев, одеты по европейски).

ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ქართული ტექსტის პირველ მოქმედებაში არსენა არ ჩანს, სამაგიეროდ პიესაში ჩნდება ვინმე თავადი გიორგი — მაკრინეს დანიშნული, რომელიც მოქმედ პირთა სიაში სრულებით არ არის მოხსენებული.

რუსული ტექსტი ადილად გვიხსნის ამ გაოჯებრობას. მოქმედ პირთა სიაში რუსულად წერია: Князь Георгий Мардадае — молодой мелочниоер, жених Нины — впоследствии разбойник Арсений.

როგორც პიესის შემდეგი ეითარებიდანაც ირკვევა, გიორგი თავისი დანიშნულის დედინაცვლის — თავადის ქალი ელისაბედის მოკვლის შემდეგ ყაზალად გაეარდება ტყეში, სადაც

1 აქ გამართლდა მკვლეიარ სიმონ ხუნდაძის მოსაზრება: „არსენას კლავს იმერელი კვრამა (ზომ ამ არის აქ შემოკლებული სტფისკვრამა)“. როგორც დავინახავთ ქვემოთ, განსხვავებული მკვლევიარის მთელი რაჲც სხვა საყაზალად გამოთქმული მოსაზრებები მტკიცდება პიესა „არსენას“ სრული ტექსტის მოპოვების შედეგად.



შემოიკრებს თანამებრძოლთა ჯგუფს. არსენას სახელით იგი ფართოდ არის ცნობილი საქართველოში, მაგრამ ნამდვილი ვინაობა მისი არაიან იცის.

მარტის უფროსის მოკვლის გამო, ნინო-მკირინე ციმბირის ეგზავნება. გიორგი-არსენა დაუხვდება გზაზე ციმბირში მიმავალ პატიმართა ჯგუფს, გაათავისუფლებს ნინოს და დანარჩენ პატიმართ და სამაგიეროს უხდის გაიჭვრა კედურაძეს, რომელიც ახლა მოკვლილი მარტის უფროსის ადგილზეა დანიშნული. გიორგი და ნინო-მკირინე და-ძმობას შექმნიან ერთმანეთს, უარს ამბობენ პირად ცხოვრებაზე და ტყვე შეაფარებენ თავს არსენას მეფობრებთან ერთად. ერთ ღამეს მათთან შეიპარება მოგზავნილი მკვლელი ჰელიკოპტერი. ამ ღამეს, ქარიშხლის დროს მები დაეცემა მუხის ქვეშ მლოცველი ნინოს. არსენა გამოქვამულში შემოიტანს მკვდარ ნინოს. ამ დროს სეფისკერამე ზურგში ჩასცემს მას დანას.

პიესაში გამოყენებულია რიგი ეპიზოდები ხალხური „არსენადან“. სომხის გაყარება, ებრაელ ვაჭრის დასჯა, არსენას მოკვლა და სხვა.

ამრიგად, რუსული ტექსტი წარმოადგენს დრამა „არსენას“ მისი დასრულებული სახით. მისი შესწავლის შედეგად საყურადღებოა ისიც, რომ თუ ვინ იყო აკაკის არსენა და რა სურდა პოეტს ერეკნებინა ამ დრამით.

მაგრამ პიესის შესწავლიდან ნათელი ხდება მთელი რიგი სხვა გარემოება. იხსნება ყველა გაუგებრობა, რომელიც ადგილი აქვთ ქართულ ტექსტში.

ხეენ ავღანისებურად რომ ერთი ამ გაუგებრობათაგან დაავიწყებულია მკირინე გონუნიანის დედინაცლის სახელიან. ქართულ ვარიანტში წერია „ელისაბედი — მწყემსი, მესალამურე“, აქ კორექტორულ შეცდომას ჰქონია ადგილი. ელისაბედი და მწყემსი მესალამურე ორი სხვადასხვა მოქმედი პირია.

ელისაბედი, როგორც ვთქვი, თავადის ქალია, მკირინეს დედინაცვალი. იგი ავდება პირველსავე მოქმედებაში.

მწყემსი-მესალამურე დამოუკიდებელი პერსონაჟია; სწორედ მისი ხმა ესმის მკირინეს პირველ მოქმედებაში, აივანზე განმარტობულს.

„...ვიში ვიში საყვარელი ნოსრევან მწყემსმა აკუნესა თავისი მიცდური სალაშქრია...“ ამბობს იგი.

რუსულ ვარიანტში ეს მწყემსი მეორე მოქმედებაში ჩნდება არსენას თანამებრძოლთა შორის. მხოლოდ აქ მას ლაზარე ჰქვია.

ტყვეში შეხვედრის შემდეგ გიორგი-არსენა ეუბნება ნინოს:

«Нина, сегодня день твоего освобождения. С тех пор как мы расстались, меня и пер-

ный раз посетила радость; не хочешь ли слушать сырель, которую мы так жадно слушали когда-то?... Он здесь теперь, в мой шайке.

Нина: Как! Он здесь! Лазарь?

Разв. Лазарь. Да, я здесь барыня!.. позвольте мне сыграть ту песню, которую Вы особенно любите... და სხვა.

რუსული ტექსტი ქართული ტექსტის სხვა ვარიანტებისაგან განსხვავდება: ქართულ ტექსტში კედურამე ხერხაძის შესახებ ამბობს: „ნიკიპამ დღესაც რომ ჩამოიჭმუნოს წარბები და კოვასავით ცრემლები ღვაროს... მაშინაც ვერ შემაძღვინ... იგი აის ეს ნიკიპა? რუსულ ტექსტში სწერია:“... Пускай он хмурит брови до подбородка...“ ე. ი. ნიკიპამ დღესაც მაგიერ უნდა იკითხებოდეს: ნიკიპამ დღესაც რომ ჩამოიჭმუნოს წარბები...

ქართულ ტექსტში, არის რიგი ადგილებისა, სადაც ცენზურის მიერ ამოგდებული ტექსტები მრავალწერტილით არის შეცვლილი. რუსული ტექსტი აქაც გვყვლის. ცენზურის მიერ აკრძალული პიესა მთლიანი სახით გადაჩნა რუსულ არქივში. ზოგიერთი ადგილის წაყიფება შეტად საგულისმომ მასილებს გვაწვდის.

როგორც ცნობილია, პიესის პირველ მოქმედებაში ხერხაძისა და კედურაძის შორის დიალოგი წარმოებდა. კედურამე უკმაყოფილოა ხერხაძისა, ავადდროს მას წარსულს და აგონებს საზიაროდ ჩაღვნილ მათ ბნელ საქმეებს.

«კედურაძე: დიახ! მე ვგაამბობდით! მაშინ ვინ დაეჭრა თავის ხერხიანობით... ამდენი ბორტმოქმედება... თურმე? და ერთი მკითხეთ ვისთვის წაიფიქმინდეს სული და ვინ ვასარგებლეს, თუ არა შენ.»

საინტერესოა რომელი ბორტმოქმედების მხილება იყო დაფორული აქ ცენზურის მიერ? რუსულ ტექსტში შესაფერის ადგილს ვკითხულობთ:

«Секретарь: ...Кому вы обязаны своим богатством? Кто совершал преступление, разбой, воровство? Кто ломал церкви и похищал оттуда церковные богатства? Кто украл казенные деньги из канцелярии? Кто брал взятки?»

... Я, Я совершал, все, все и потом легко опутывал невинных, ловко подводил их вам под следствие, а вы присуждали их к ссылке в Сибирь, к временному заключению, прикрывая тем наши поступки! Скажите, где теперь эти несчастные невинные жертвы ваших преступлений? Кто за них ответит Богу, людям и закону? Я! ...если не больше, вы как не меньше вашего... И какую же награду я получаю от Вас за все это!»

მეტი პირდაპირობით მხილება მედის რუსე-

თის მოხელეთა ძალადობისა შეუძლებელია. საინტერესოა, რომ აკაის არქივში დაცულ წერილებში აკაი წერეთელი არაერთგზის უბრუნდება ქართული ეკლესიებს გაიარცის საიოთხს და მასში ეროვნულ უბედურებას ხედავს. „რაც მაჰმადიანებმა დაგვაკლეს, ის ქრისტიანებმა შეასრულეს...“

„ველაზე უფრო მდიდარი, „სალარო სიძველე“ იყო სვანეთის „ეკირიყეს ეკლესია“ ძნელად მისასვლელ ადგილს აგებული და იმერეთში გელათის ტაძარი... ამ ოცდაათი წლის წინთ ის ეკლესია გაძარცვეს და გაიტანეს ყველაფერი. ავაზაკობა ყარაჩაელებს დამბარალდა, რადგანაც კვალი, ვითომც იქ ჩანდა. მაგრამ, არ ვასულია ერთი წელიწადი, რომ ადგილობრივმა პრისტავმა ამ ტაძარში შენახული და გაძარცვის დროს დაკარგული ქაშარი ერთ ესმეს მიართვა და ნაკვალად საჩუქრად მიიღო ჭვირფხას ბლმასის ბეჭედი...“<sup>1</sup> იქნებ ეს ფაქტები ჰქონდა მხედველობაში აკაის, როდესაც იგი არსენას თავფურცელს აწერდა: «Истинное происшествие из грузинской жизни» ამ საკითხს უბრუნდება იგი რუსულ წერილშიც «Автокефалия грузинской церкви», რომელიც ქერხალ „Новое обозрение“-ში დაიბეჭდა.

საგულანსშია, რომ თავის მოგონებაში (ხელნაწ. ინტ. Н: 1491) აკაი წერს: „გელათი რაო გაძარცვეს ელიცას გამოეგზავნა კორესპონდენცია, ვითომ „სიზმარი“, მაგრამ ნამდვილად კი აეწერა. რადგანაც ხელმოწერელი იყო, მე დამბარალდა და დიდი ტანჯვა-წვალება გამოვიარე“ (გვ. 6).

გასაგებია, რომ რუსეთის ცენზურამ მოლიანად აკრძალა ეს პიესა, საქართველოში კი ცენზურამ მხოლოდ პირველი მოქმედება დაბეჭდა და იქაც ამოშალა ყველა მიუღებელი ადგილი.



დაუბრუნდეთ ტექსტის ისტორიას. ერთი კითხვა იბადება ქართული და რუსული ტექსტის შედარების დროს. რომელ ენაზე დაიწერა პირველად „არსენა“?

იქნებ რუსული თარგმანი ცენზურისათვის სახელდახელოდ გაკეთებულ თარგმანს წარმოადგენს? თარგმანს, რომლის მიზანი იყო მხოლოდ ამ პიესის ცენზურაში გატარება?

ამ კითხვაზე იშთავითვე შეიძლება ვადაჭრილი პასუხის მიცემა: „არსენას“ რუსული ტექსტის ენა იმდენად მხატვრულია, ისეა დაბეჭდილი, რომ ლაპარაკი სახელდახელოდ გაკეთებულ თარგმანზე შეუძლებელია. პიესისთან ზერეულ. გაცნობაც კი გვარწმუნებს, რომ

ავტორს სურდა რუსი მკითხველისათვის სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოების შექმნა. რაზე მომენტები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია, ეს ტექსტი თავიდანვე რუსულად ყოფილიყო ნაწერი. ამის სასარგებლოდ შემდეგი მოსაზრებანი ლაპარაკობს:

1. ცნობილია, რომ აკაიმ შესანიშნავად იცოდა რუსული ენა.

სწორედ ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს აკაის რუსული ლექსი.

Я инсьмо твое, милой и нежной  
Сохраню у себя на груди...  
Но улыбкой всегда безмятежной  
Лучших чувств ты во мне не буди.  
Вся душа моя — жертвенник жгущий  
Мое сердце — молитвенный храм,  
Мое чувство — есть свечот могучий,  
Мои песни — тебе фимнам!..  
Я хочу чтобы свет и сознание  
Мысль и чувство могли озарить —  
Я как агнец иду на заклание  
Чтобы в сердце тебя вопарить  
И огнем пусть мой пепел совьется  
Буйный ветер его разовьет  
Моя песня пусть в мире поется,  
Эту песню пусть всякий поет  
Я хочу чтобы в облаке света  
Знали все, что ты в сердце поэта  
Затаила божественный луч.

ამაჰამდ ლიტერატურულ მუხეუმში აღმოჩნდა აკაის კიდევ ორი რუსული ლექსის ავტოგრაფი ერთი მათგანი „Яко отвечаю“ სახუმარო ლექსია შეორე — აკაის ლექსის „ბულბულის“ თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს:

Отдыхая средь лесистых  
Ветром выbleмых ветвей  
Стал насмешливую трелью  
Заливаться соловей! და სხვა.

აკაის კალამს ეკუთვნის, როგორც ცნობილია, ოცზე მეტი საგაზეთო და საყურნალო წერილი რუსულ ენაზე მათ შორის მხატვრული პროზის ნაწარმოებნიც არის. მაგ: ლექცენა «Нефталли—Хан (Новое обозрение 1887 წ. № 1327), «Земный камень» (Новое обозрение 1892 წ. № 2859) და სხვა.

საინტერესოა, რომ აკაის ავტოგრაფებში რუსულ ენაზე დაწერილი თუ თარგმნილი სცენები „Новый суд или сцена у мирового судьи“ ეს სცენები არსენას პირველი მოქმედების მსავსადად დაიბეჭდა ქართულად გაზ. „დროებაში“ (1883 წ. 20 მაისს, № 106).

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ აკაის არა-

<sup>1</sup> ლიტერატ. მუხ. ავტ. 125.

<sup>2</sup> ხელნაწ. ინსტიტუტი Н ფონდი, ავტოგრაფ. № 29.

ერთელ უცდია კალამი რუსულ ენაზე სრულ-ფსოვან მხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

2. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბუთს წარმოადგენს ამზხრივ აკაის ის ორი პიესაც, რომლებიც „არსენას“ ტექსტთან ერთად იქნა აღმოჩენილი. თავისი შინაარსით ორივე ეს პიესა რუსული საზოგადოებისათვის არის გამიზნული. პირველი მათგანი საყოფაცხოვრებო კომედიაა. მოქმედება წარმოებს პეტერბურგს. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია ქართული თავადი — მცხოვრები რუსეთში და ერთიც სომეხი ვაჭარი, დანარჩენი პერსონაჟები და გარეშო მთლიანად რუსულია.

მეორე პიესის მოქმედება მთლიანად რუსულ საზოგადოებაში წარმოებს. პიესა მამათა და შვილთა ურთიერთდამოკიდებულებისა და ნიღლიზმის საკრიტიკო საკითხებს არკვევს. ამ პიესას ბევრი აქვს საერთო აკაის პიესასთან — „ქელსა და ახალ შუა“.

3. მნიშვნელოვანია პიესის ტექსტურული ანალიზიც, ასეთი ფრაზები როგორც:

„ნიკამიდესაც რომ ჩამოიჭრებოის წარბები და კოკასავით ცრემლები ღვასო“ — რუსულიდან თარგმნილის შთაბეჭდილებას ახდენს.

„კოკასავით ცრემლის ღვრა“ — ქართული გამოთქმა არ არის. რუსულად ეს ფრაზა ბევრად უფრო ბუნებრივად ელერს „Пускай он хмурит брови хоть до подбородка и льет слезы в три ручья“... ანდა ქართული: „შე როგორც ელჩი ბელზებელისა, ეშმაკების ურმით მოგრინანდი“ — ეს „ეშმაკების ურემიც“ ნაძალადევიდ ელერს ქართულში. რუსული ტექსტი უფრო ბუნებრივია: Как курьер великого вельможу я развезжаю на беговской тройке“. უფრო სტრია ანუ ვამოთქმებიც:

„მოშვილს პახოდიდგან მე შემემთხვა უბედურება“ რუსულად იგი — На возвратном пути из похода“... „მამინ ვინ დაფარა“ — „შამ ვინ დაფარას“ მკვიერ და სხვა ასეთი მგალობლების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ანალიზს აძნელებს, რა თქმა უნდა, ის გარემოება, რომ „არსენას“ რუსული თუ ქართული ტექსტის შემქმნელი — აკაია ტექსტში მრავალი ვ. წ. „ქართული ზემები“ სინტაქსური თუ შინაარსობრივი ხასიათისა, მგერამ სპიკობაჟია, რის შედეგია ეს „ქართული ზემები“ ქართულიდან რუსულად თარგმნისა, თუ ქართული ადამიანის მიერ რუსულად წერისა?...

სავსესხმთა ის მოსაზრება, რომელსაც პიესა „არსენას“ ენის შესახებ გამოთქმის აკაის ენისა და სტილის ღრმა მცოდნე, მისი გამოცემელი, პოეტი-აქადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი: „სტილიც გამწორებულია. არა ჰგავს აკაის პიესების ენას?...

ანალიზს მეორე გარემოებაც აძნელებს: რო-

გორც აღნიშნეთ, ქართული და რუსული ტექსტი ზოგან სცილდება ერთმანეთს, ხან რუსულია უფრო გავრცელებული, ხან ქართული.

ჩვენ უხედავთ, რომ მიუხედავად იმისა, დაიწერა „არსენა“ რუსულად, თუ იგი თარგმნილია ქართულიდან, რუსულ ტექსტს თავისი დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობა ჰქონდა.

ახლაგაზრდა აკაის პირველ ცდებს დრამატურგიაში სცენიური თავსაზრისით შეიძლება მრავალი ნაკლი ჰქონდეს, პიესა ზოგჯერ ახალგაზრდული გულუბრყვილობის იერს ატარებს, მაგრამ, ასე თუ ისე, „არსენას“ სრული ვარიანტის მოპოვების შედეგად, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ ვინ იყო აკაის პირლი, როგორ იყო ავტორის ჩანაფიქრი მის შთაინობაში.

არსენას საზე ქართულს მწერლობასა და კრიტიკაში მუდამ ინტერესსა და ყურადღებას იწვევდა. ცნობილია, რომ ხალხური „არსენას“ სრული ვარიანტის მოპოვების შედეგად, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ ვინ იყო აკაის არსენა, როგორ იყო ავტორის ჩანაფიქრი მის შთაინობაში.

არსენას საზე ქართულს მწერლობასა და კრიტიკაში მუდამ ინტერესსა და ყურადღებას იწვევდა. ცნობილია, ხალხური „არსენას ლექსის“ არჩვეულებრივი პოპულარობა. მით უფრო დამაფიქრებელი და ინტერესის გამოიწვევს იყო აკაის „არსენა“, რომელიც შეიდი წლათ აღრე დაიწერა, ვიდრე პირველად გამოქვეყნდა ხალხური არსენას ტექსტი.

ქართული მწერლობის ისტორიაში პირველად ამ საკითხს სპეციალურად შეეხო სიმონ ზენდაძე. იგი წერს: „1868 წლის აგვისტოს ქურნალ „ცისკრის“ ნომერის დაბეჭდილია აკაის დრამის „არსენას“ დასაწყისი. ეს ღრამა ვაზნარახული ყოფილა ზეთ მოქმედებად. აღნიშნულ ქურნალში გამოქვეყნებულია მხოლოდ პირველი მოქმედების ორი სცენა, დანარჩენი მოქმედებები არ გამოქვეყნებულა. მისი ავტორგრაფი ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩათვალოს. არც რაიმე სხვაგვარი ცნობები არსებობს ამ დრამის შესახებ... უდავოა, რომ ეს ღრამა ავტორის დამთავრებული ექნებოდა, თორემ მის ბეჭდვას არ დაიწყებდა... ვინ იცის როგორ გაშლიდა (ან ჰქონდა გაშლილი) ავტორის დრამის შემდეგი მოქმედების შინაარსი და როგორი სახით გამოიყვანა არსენას... მასალების უქონლობა ჯერ კიდევ არ სწევს სპიკობას ან დადებითად ან უარყოფითად. აკაის შექმნილი სულ სხვა გზას, გაერმოსა და ფონზედესაბა არსენას ტრამა. ეს მისი „პოეტური უფლება“ იყო... განსეუებული მკვლევარის ამ კითხვებზე დღეს სრული პასუხის გაცემა შეიძლება სიმონ ზენდაძის ეს მოსაზრებანი და-

ლიან ახლო იყო სინამდვილესთან. როგორც დავინახეთ, აქამდე გამოიყენა ეს „პოეტური უფლება“ და არსენას სახე ახალ „სოციალურ გარემოსა და ფონზე“ გვიჩვენა. გამართლდა ის მოსაზრებაც, რომ „არსენას“ ხელნაწერი საცენზურო კომიტეტში უნდა ექაჩოთ. მხოლოდ სიმონ ხუნდაძე ვერ წარმოიდგენდა, რომ ეს არა თბილისის, არამედ პეტერბურგისა, ან მოსკოვის საცენზურო კომიტეტი იყო.

პოეტი-აყადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი 1949 წელს გამოხუცდა აქავეს თბულებათა 5 ტომის შენიშვნაში „არსენას“ გამო წერს: „ამ პიესის გაგრძელება არსად არ ჩანს — არც დაბეჭდილის და არც ხელნაწერის სახით“ 1.

პატივცემული მკვლევარი, თავის შენიშვნებში მივიტოვებ პიესა „არსენას“ და პიესა „ქედურ-ხანუმის“ დიდ მსგავსებაზე. როგორც ცნობილია, „ქედურ-ხანუმი“, რომლის ავტორად იგუჯრება არ ჩანს, პირველი დაბეჭდვა 1880 წელს „ივერიაში“ 1880 წელს, ხოლო ნებადართულია 1897 წელს.

„იქვე და აქვე“ წერს ი. გრიშაშვილი... გაშუქვანილია ბოლოა მოხუცებები, გადაფარებული ქართულები. თვითმპყრობელობის რუხეთის ჩინოსნები, რომელთა კენჭებშიც იტანჯებოდნენ იალმარათლი ადამიანები... რადგან „არსენაში“ თავისი გამჭვირვალე შენაარსით შინს სინათლე ვერ ახილა, აქამდე „ცენზორის თვალის ასახვევად“, პიესის მოქმედება მეთექვსმეტე საუკუნის ოსმალეთის საქართველოს ცხოვრებას დაუკავშირა და ამ სახით 1880 წელს დაბეჭდა... ვინც დაკვირვებთ შეადარებთ „არსენას“ მოქმედ პირებს და „ქედურ-ხანუმის“ შინაარსს, დარწმუნდება რომ ორივე პიესის შინაარსობრივი მიზანი და იდეური კონცეპცია ერთი მეორისაგან არ განსხვავდება“ 2.

არ შეიძლება ამ მსგავსების დადგენაში არ დაეთანხმებოდნენ მკვლევარი, მაგრამ ვფიქრობთ რომ ეს მსგავსება, ძირითადად უფრო გარეგანულია. ქედურ-ხანუმში ავტორი შემოიღობა იმ მონაცემებით, რომელიც დაბეჭდილ „არსენას“ ქართულ ვარიანტშია მოცემული. პიესის შემდეგი განვითარება გვიჩვენებს რომ „არსენა“ გაიკლებით უფრო დემოკრატიული და რადიკალური იყო. „არსენას“ გმირები უფრო გამბედავი და მოქმედნი არიან. „ქედურ-ხანუმის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ელენე, მოძალადესთან ბრძოლაში მარცხდება, მისი მსხვერპლი ხდება. „არსენაში“ კი მაკრინე-ნინო მომარჯვებულ ხანჯალს გულში ჩასკვამს მოძალადეს და შემდეგ ვაბედულიად რჩება ტყეში, პირად ბედნიერებას იფიქრებს ჩაგრულთა ინტერესების დასაცავად.

ასევე არჩილ სოსტს არაფერი აქვს საერთო

1 ა. წერეთელი, თბულებანი, ტ. 5, გვ. 577.

2 ა. წერეთელი, თბ. ტ. V, გვ. 588:

გიორგი-არსენასთან. გიორგი არ იხვეს უკან არჩილივით, არამედ სმაგიეროს უბნის ელისაბედს, კლავს მას, ტყეში ვაჯარდება და ქიზინად ისახავს „ტირანების წინააღმდეგ ბრძოლას, ჩაგრულთა დაცვას და პირად ინტერესების დაცეფიქებას“.

ვფიქრობთ, რომ აქავე არ ჰყარავდა ბოლოდღე იმის იმედს, რომ დაბეჭდვად „არსენას“ მთლიანად ქართულად. 1868 წლ. ეფრან „ციცკარში“ გამოქვეყნებული დასაწყისი ამ პიესისა მოწობას, რომ აქავე მასზე მუშაობას განაგრძობდა და იქნებ მის ზომიერად გაგრძობასაც ფიქრობდა. ჯერ ერთი, ქართული ვარიანტი ნაჯარუდელია არა სამ, არამედ ხუთ მოქმედებად. ანალოზი მომქმედ პირთა სისაყრომელსაც პირველი სიმონ ხუნდაძემ მოქცია ვერადლება, გვიჩვენებს, რომ რუსულ ვარიანტთან შედარებით, აქავეს სურდა კიდევ უფრო გაეზარდა პიესაში არსენას როლი. რუსულ ვარიანტში არსენას თანამებრძოლნი ასე არიან დახასიათებული „Арсений и шайма разбойников“. ქართულ ტექსტში ავტორი დაწერილებით წერს ამ ყაჩაღთა შესახებ „ოსი, გურული, რაჭველი, ქართული კახელი და სხვ.“ სინის, აქავე ფიქრობდა ქართულ ვარიანტში არსენა საქართველოს ყველა კუთხის წინააღმდეგ გამოეყენა — მისი როლი უჩვენებდა საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ყველაფერი ეს, და აგრეთვე ის გარემოება, რომ ქართული ვარიანტი ხან შემოკლებულია რუსულთან შედარებით, ხან კი გაგრძობილია გვიფიქრებინებს, რომ „არსენას“ ქართული თარგმანი თვით აქავეს მიერ უნდა ყოფილიყო შესრულებული.

ჩვენ ვხედავთ, რომ პიესა „არსენა“ არა მარტო ასახავს XIX საუკუნის საქართველოს სინამდვილეს, იგი ილაშქრებს ამ სინამდვილის წინააღმდეგ და თავის დროისათვის შუჭვი, აქტივდურ, საკირობოროტო საკითხებს ეხება როგორც აღნიშნავენ მკვლევარები სერგი გორგაძე და ამბროკი ვარჯილაძე, შეიძლება ამ პიესის სიუჟეტს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი კონკრეტული ფაქტებიც ჰქონოდა საფუძვლად. ყველაფერს ამას შეუშალა ხელი პიესის დაბეჭდვას. შემოხვევითი არ არის, რომ პიესის რუსულ ვარიანტს სათაურად აქვს: «Арсений — Разбойник. Истинное происшествие из грузинской жизни».

• •

დრამა „არსენაში“ გადაშლილია XIX სუკ. მეორე ნახევრის საქართველოს სოციალური ვითარების სურათი. მოქმედება დრამაში სხვადასხვა იდეალს, სხვადასხვა სოციალურ წრეში ვითარდება. აქ ნაჩვენებია როგორც მეფის

მოხელეთა თავგასული თარეში, ისე მალალო წრის წარმომადგენელთა (ნინოს დედინაცელო და მახრის უფროსი) ზნედაცემულობა და ამორალობა, ხერხივე — მახრის უფროსი შეგნებულად და მოფიქრებულად აწყობს თავის ბნელ გეგმებს; ყაჩაღობა, მეჭრაბაეობა, ძალიან მისი ყოველდღიური საქმიანობაა. იგი არ ჩერდება მეკვლეობის წინაშეც, მოწამლავს ნინოს მამას, თავის მსხვერპლის შეუღლებს ვახიდის საჯვარად, მგერამ იმასაც გამოიყენებს კიდევ უფრო საზიზღარი გეგმის შესასრულებლად. მის მიერ მოკვლეული კაცის ქალიშვილს სურს დაეპატრონოს, რათა მისი სიმდიდრე ჩაიგდოს ხელში. ნინოს დედინაცელოც მალალო წოდების ზნედაცემულების შავაღოთაა. მართალია, მან არ იცის ქმრის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი, მაგრამ საყვარლისა და სიმდიდრის დაკარგვის შიშით მზად არის თავისი გერი ნინო ხელში ჩაუგდოს ხერხაქეს, ვაჟბედურის იგი, დააკარგვიანოს საქმართ და მის პერვემ ვინაგრძის კავშირი ხერხაქესთან.

პეტის მეორე მოქმედება არსენასა და მის თანამებრძოლთა ბანაკს გვიჩვენებს. აქაი სიყვარულით ვეხატავს ტყეში ვახიზნულ ვიორგისა და მის გარშემო შემოკრებილ გლეხთა ცხოვრებას. იგი გლეხთა ტიპების მთელ გაღურეს ვეიჩენებს და მათი ცხოვრების ჭირვარამს ვეხატავს. ჩაგვრასა და მონობის გომოქცეული გლეხები არსენასთან პოვებენ თავშესაფარს, მისი თანამებრძოლი ხედვიანი.

აქვე მწყემსი-მესალამურეც მისი დედა ვიორგის ძიძა ყოფილა. ვიორგის უბედურებამ მოსიყვარულე ძიძა სიციცხლეს გამოასალმა. დედის სიკვდილის შემდეგ მისმა ვაჟმა ვიორგი მოსაქანა და მასთან არჩია ტყეში ყოფნა.

სანტიტრესოა, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ დაწერილ ამ პიესაში, აქაიომ მთავარი მახელი არა ბატონთა წინააღმდეგ უმთა ბრძოლაზე, არამედ მოხელეთა ძალადობასა, უყარონობასი, მეჭრთამობასა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლაზე ვადაიტანა. არსენას გარშემო შემოკრებილ გლეხთა ტყეში გვიარდნის მიზეზი ყოველთვის მოხელეთა ძალადობაა.

პეტის მეორე მოქმედებაში არსენა ათავისუფლებს პატიმართა ჯგუფს, მაგრამ ვთავისუფლებულნი მასთან დარჩენის სურვილს ვამოსაქაჟენ. არსენა ვამოქვითხავს მათ დასუჯის მიზეზს: ერთ-ერთი მათგანი, უამბობს შემდეგს: მას თურმე ერთი შავთვალა ვოგონა შეუყვარდა ამა ეხე ძეტსია, კოდა ნასილ ვმსთე კოროლ. პრავაზისა დრუკ კ დრუკ, დენი იუზნოეო სჩასტია პრავიზიკლასია... მაგრამ ახალგაზრდა ვაჟს მეტოქე ვამოუჩნდა: «с которым нельзя было бороться и он почти насильно женился на ней...»

...ამ არსენა აწყვეტიანებს მას აზბავს წამო-

ძახილით: И ты уступил? Кто был твой соперник?

ახალგაზრდა უპასუხებს, რომ მისი მეტოქე იყო მამასახლისი, რომელსაც სწყალობდნენ ძალთაგლების წარმომადგენელი. ბოლოს მან, მოკლა მამასახლისი და ხალხის წინ საქვეყნოდ აღიარა, რომ მეკვლეობა შეგნებულად ზაიღინა.

„Браво дай брат мне руку—ты будешь мне лучшим помощником“. — წამოიძახებს არსენა. თავის თავგადასავალში აქაი წერს: „რა ბატონყმობის მოსპობა იყო ის მოსპობა, როცა ბატონი და ყმა ჯაჭვით ერთმანეთზე გადაბმული ჩინოვნიკს ეჭირა ხელში და ორივეს აბრაობდა — ლეღტა?“<sup>1</sup> „არსენა“ ამ შეხედულების პირდაპირი ილუსტრაცია იყო.

თავის დრამაში აქაი ხალხური „არსენას“ მრავალ ეპიზოდს იყენებს. არსენა საყოველთაოდ ცნობილი ვმირია, მტრისათვის თავზარდამცემი, — ღარიბი გლეხების დამცველი თვით არსენა ასე ლაპარაკობს თავის თავზე:

«Бояться меня!... Я стал для целого края страшлицей! Одно мое имя на всех наводит панический страх! Именем моим грудных детей пугают, чтоб их унять. Неужели в целой Грузии нет равного мне соперника?... Нет, верно есть! Не мало храбрых юношей у нас, но мало героев: но они не имеют моей решимости и самопожертвования. Мое ремесло дало мне и отвагу и неуверасимую решимость!»

გლეხთა მასებში არსენას იცნობენ და უყვართ, მთავარიან ღამით ტყეში ორი გლეხი შიღის. უმჯობროს შიშს ვამოსაქვამს არსენას წინაშე. მოხუცი გლეხი მას მიუგებს: Вздор. Он ночью никогда не нападает, да нас и днем не тронет. Он любит и жалует подобным нам бедных крестьян. Он только алых людей грабит».

არსენა დახედება ამ გლეხებს ვზახე, ფულს აძლევს მათ და უბარებს, რომ თუ ვისმე მათგან ვაუქირდება, შაბათობით ტყეში არსენა მოქებნოს და დახმარებას მიიღებს.

პიესაში მრავალი ეპიზოდი არის აღებული „ხალხური არსენადან“, ასეთია ეპიზოდი ეზრავლ ვეპართან, მისი არხონის დამწუნება და შეიკლა არსენას მიერ.

მაგრამ, აქაის არსენა არც მარაბდელი გლეხია, არც ილიას კაცი ყანაღი. ვიორგე-არსენა მალალო წრიდან ვამოსული, სოციალურ-პრობოტების წინააღმდეგ მებრძოლი პარტისტანტია. დუბროვისკისა და ვარლ მოთობის მსგავსად, პირადმა ტრავედიამ ვასთიშა იგი თავის კლასთან, სოციალური ბოროტება, შხართველი კლასების ვახრწინილება დაანახვა. მათ მსგავსად იგი იძულებულია დისტოვის თავისი

<sup>1</sup> ა. წერეთელი, თხზულებანი, ტ. IV გვ. 69.

სოციალური ვარემო, ვიხიზნოს ტყეში, რათა ახალ მგვობართა შორის, ჩაგრულთა წარმომადგენლებთან ერთად, ეძიოს დაკმაყოფილება, გამოსავალი მისცეს თავის აღშფოთებასა და პროტესტს.

აკაის არსენა ტიპური წარმომადგენელია ლიბერალური თავად-აზნაურობისა, რომელიც არა მშრომელთა მასების, ჩაგრული კლასის ინტერესებს აყენებს ყველაზე წინ, არამედ იბრძვის „საერთოდ“ ყველას ბედნიერებისათვის, ჩავერისა და ტირანის წინააღმდეგ.

თავის თანამებრძოლთა გვერდში ახალი წვერების შეყვანისას არსენა მათ დიკს აღვინებებს. ამ დიკში არსენას მთელი კრედიო გამოთქმული:

«Поклянитесь мне перед этим крестом в верности. Она состоит в том, чтобы грабить всех злых тиранов и мучителей, слабых и помогать бедным, забывая при этом личные интересы и не щадя себя».

არსენას არა აქვს ჩამოჯალიბებული მსოფლმხედველობა, არ გაანინი ბრძოლის გარკვეული პროგრამა, ამიტომ იგი წინასწარ ვაწწართლიც არის თავის ბრძოლაში.

მაგრამ, აკაის არსენა მინც სულ სხვა ეპოქის შვილია, ვიდრე ვლადიმერ დუბროვსკი ან კარლ შოთარ. იგი მათთან შედარებით ბევრად უფრო დემოკრატიულია და რადიკალური. არსენა მთელ თავის სიცოცხლეს სწირავს არა პირად შურისძიებას ან დაკარგული ბედნიერების აღდგენას, — არამედ სუსტთა და დაზარულთა ინტერესების დაცვას. იგი ხელს იღებს პირად ბედნიერებაზე, თავის სატრფოს დათ ვაფიციება, რომ მასთან ერთად უმწიკლოდ ემსახუროს საერთო საქმეს „პირად ინტერესთა დავიწყებით“. ეს გარემოება გასაყვივით არის, რადგან აკაის არსენა ახალი ეპოქის შვილია, ეპოქისა, რომელიც კლასთა შორის წინააღმდეგობათა შერი გამაფრებიათა და დაძაბვით ხასიათდებოდა.

აკაის „არსენა“ ვაბედული მხილებაა თვითმპყრობელური რუსეთის სიმანხისა. აკაი დაუზოავად ილაშქრებს თვითმპყრობელურ რუსეთის მოხელეთა წინააღმდეგ.

არსენას შიერ ტყეში დაწერილი მარხის უფროსი უტიფრად მიმართავს არსენასა და მის თანამებრძოლთ:

Уезд, нач. — Стыдитесь, вы разбойники! Трешните.

Арсений: Что ты сказал? «Разбойники»? Вагляни на меня, потом и на них! Снажи, покраснели ли хоть один из нас при твоём слове? Снажи!

Уезд, нач. На то вы и разбойники, чтоб не краснеть.

Арсений: — Нет, мы не разбойники, но вы разбойники, и тогда ты не вправе го-

ворить так с нами!.. Разбойник, убивая других, рискует и своею жизнью! Не знает: он ли кого убьет, или его самого убьют, но вы будете наверняка! Вы одним роу черком пера, в одну секунду больше совершайте злодейств чем какой-нибудь разбойник, во всю жизнь свою, всем своим оружием».

აკაის არსენას სავსებით შეგნებული აქვს ზნედაცემულება მშართველი კლასისა, მზაგარეული წოდებისა; იგი მის წინააღმდეგ ილაშქრებს მთელი თავისი შეგნებითა და მოქმედებით.

«Ты продавши свою совесть, играешь, законами, — მიმართავს იგი მარხის უფროსს ...поворачиваешь, всякое дело и так и сяк, вверх ногами, не щадя невинных. Но теперь конец твоему злодейству... будешь у нас вверх ногами, злодей! Возьмите его и повесьте за ноги вниз головой на самом высоком дереве...» — უბრძანებს იგი თავის ამხანაგებს.

მაგრამ თავის ბრძოლაში არსენა ინდივიდუალისტ პროტესტანტად რჩება. იგი ხელავს, რომ ბრძოლისა და სისხლის ვარემე შეუძლებელია უსამართლობის დაძლევა უფლებების მოპოვება, მაგრამ არავითარი შეგნებული გეზი მის ბრძოლას არა აქვს. იგი რჩება სტიქიურ პროტესტანტად და ასეთივეა ამიტომ მისი ბოლო. სიცივა და ნინოც შემოხვევითი მოქმედი ძალებს მსხვერპლი ხდებიან.

ნინოს, ქარიშხლის დროს ვარემ მუხლმოდრეკით მლოცველს, — მეხი კლავს. მის სიყვდილით თავზარდაცემულ არსენას ვერაგულად ჰკლავს მოგზავნილი მკვლედი — სეფოსკვარაძე.

საგულისხმოა პიესის ბოლო. არსენას თანამებრძოლნი შემოიკრებებიან მკვდარ არსენასა და ნინოს ვარემეში. ერთი მათგანი ამბობს: ბატონებო, მოვაშროთ აქაურობას ეს ორი მკვდარი. დაემარხოთ ერთად, ისე, როგორც გმირთ შეეფერება. — ჩვენ კი, შამილს შევაფაროთ თავი და მამადანიათა მივიღოთ.

როგორც აღინიშნა, მოპოვებული პიესა ერთგვარ ახალგაზრდული, გულბრწყილი რომანტიზმის აერს ატარებს, მაგრამ იგი თავის დროისათვის შეტად დემოკრატიული და რადიკალურია. აკაის ლიტერატურულ შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის გასაყვად, ისევე, როგორც საერთოდ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის თელსაზრისით, მისი მნიშვნელობა გვემოტანალია.

მიუხედავად ამისა, ქართულად არის თუ რუსულად ნაწერი ეს პიესა, იგი ორივე შემთხვევაში აკაის შემოქმედების ნაყოფია და წარმოადგენს საყურადღებო ფაქტს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.



# გრიგორ მთავარიანი



## მარიამ ღმერთი

(დაბადების 50 წლისთავის გამო)

„ენიც თვის მამულზე მარად ფიჭობდა და საშობლოსთვის უძგერდა გული, მისი სახელი უცნისაჲდ იყოს მაღლი და სხენებული“ — მეგობართა ერთი ჯგუფისაგან მარიამ ღმერთის ეუბოს შესამკობად მოტანილი გვირგვინის ეს წარწერაც ნათლად მეტყველებს ამ შესანიშნავი ქართველი მანდილოსნის მიერ სასახლოდ განვლილ ცხოვრების გზაზე, მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. ეს მუდამ მოფუსფუსე, ყოველგვარი საზოგადოებრივი საქმიანთ ეგზომ გატაცებული ადამიანი დღე-ღამე იმაზე ფიჭობდა, თუ რა საჩვენებლობა მოეტანა თავისი დაჩაგრულ ერისათვის.

შოხედავად მრავალფეროვანი საქმიანობისა, მარიამს არ უყვარდა თავის თავზე ლაპარაკი და ვერც ქება-ხობებს იტანდა. შრომობდა და უჩინრად, ჩემად, „ერთგულად და მტკიცე რწმენით, რომ რაიმე ნაყოფს მოიტანდა“. და განა ცოტა ნაყოფი მოიტანა მარიამ ღმერთის უნაგარი მოღვაწეობამ? ავიღოთ თუ გინდ იგივე სახალხო თეატრი, რომელსაც მან საძირკველი ჩაუყარა ავქალის აუდიტორიაში. ამ ახლად წამოწყებული საქმის ვარემო მან ერთსულეოდ ნად დარაზმა ყველა, ვისაც კი გული შესტკოოდა ეროვნული საქმისათვის და ხალხის გათვითცნობიერების ერთ-ერთ საშუალებად თეატრი მიანდა. მარიამი იყო ამ დიდი საქმის სულის ჩამდგმელი — ის მოულოზდა თანხებს, არჩევდა სცენისმოყვარეებს, რეჟისორებს, დიდი ვიეაგლახით უყრიდა თავს წარმოდგენისათვის საკურო საგნებს, თავის ზურგიით ეხიდებოდა ხოლმე სცენისათვის, ნათოვარ თუ ნათუჭარ შეთავსებ, ბალიშებს, სკამებს, მაგიდებს. ავქალის გაყინულ აუდიტორიაში ზამთრობით ძნელი იყო რეპეტიციების გამართვა, ამიტომ მარიამი უშთაერესად თავის ან სხვის ოჯახებში აწყობდა რეპეტიციებს. თვითონვე ხელმძღვანელობდა ყველა რეპეტიციას და, როგორც შეეძლო სოფ. მგალობლიშვილიც თავის მოგონებებში აღნიშნავს — „მისმა მუყაითმა, ძლიერმა ენერგიამ და საქმის სიყვარულმა ფეხზე დააყენა ავქალის აუდიტორია“. ამ უკანასკნელმა, როგორც ცნობილია, უდიდესი როლი შეასრულა, საერთოდ ქართული თეატრის აღორძინებისა და, კერძოდ, შრომელთა გამოფხიზლებისა და განვითარების საქმეში.

მეგრამ მარიამის საზოგადოებრივი მოღვაწეობა მარტო ავქალის აუდიტორიის დაარსებით როდი ამოიწერებოდა. მას ყოველგვარი საზოგადო საქმე იტაცებდა: ამუშავებდა ეგრეთწოდებულ სახალხო კათხებს, კავშირი ჰქონდა პოლიტიკურ პარტიებთან, მუშაობდა საკვირაო სკოლებში, აქტიურად მონაწილეობდა ლაიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებაში, აწყობდა დილა-სალამოებს, კონცერტებსა და წარმოდგენებს ლაიბ სტუდენტთა სასარგებლოდ და სხვ. გარდა ამისა, რაც მთავარია, ეს გონებანათელი ქალი, კარგად გაძნობდა, რომ ჩვენი მომავალი მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ ახალი თაობის ეროვნულ ნიადაგზე აღზრდასთან, რომელსაც ტყუა-გონების უჩლუნგებდა მამინდელ სკოლაში გამეფებული რეჟიმი და რუსეთიდან „განმანათლებლად“ მოვლენილი მეფის მოხელეები. ეს ახამკითხე აღზრდებში ხელაუნერად ჰქალაღნენ ერთნული სულისკვეთების ყოველგვარ გამოვლინებას, სკოლებში ქართული წიგნის ჰქანაზბაც არ იყო. ასეთს თითო-ორილა ქართულ ოჯახში თუ ნახავდით. მოზარდის გონებისათვის მისაწვდომი წიგნი სათლით საქებარი იყო. მარტო ქურნალი „ჯე-ჯილი“ სავსებით ვერ აკმაყოფილებდა ბავშვთა მხარდ, მოთხოვნებს. აღნიშნულმა გარემოებამ ღრმად ჩაადიქრა მარიამ ღმერთი და მან გადასწყვიტა დაეარსებინა მეორე საბავშვო ქურნალი. ამ იღვის განხორციელება დიდ საქმელებთან იყო დაკავშირებული, მეგრამ რა ვაუშვარდებოდა ამ მადლიანი ქალის ჯადოსნურ ენერგისა ჯარსაგათი დატრიალდა, ამ კარგი საქმის ცხოვრებაში გასტარებულად ვარს შემოიკრიბა გულშემატკიავარი ადამიანები. მოიწვია სათათბიროდ ა. წერეთელი, ა. გოვებაშვილი, ი. მაჭავარიანი, ს. მგალობლიშვილი, გ. გუბტანი, ა. თაქთაქიშვილი, ცნობილი კარიკატურისტი, მხატვარი ი. შვერლინი და სხვ. არსულმამაც ერთხმად გაიხიარეს მ. ღმერთისაზრი ახალი საბავშვო ქურნალის დაარსების შესახებ. კამათი გამოიწვია მხოლოდ მომავალი ქურნალის სახელწოდებამ. ზოგი ამბობდა „ნინი“ დავარქვათ, ზოგი „წყაროს“ უქარდა მხარს, მეგრამ საბოლოოდ მიიღეს მ. ღმერთისა წინადადება და ქურნალს დაარქვეს „ნაქადული“, რომლის შესახებ აკვიმ თურმე თავისე-

ბერად წაიხუნჯა: „კარგია „ნაკადული“ — „გაჯღღ“ მორწყვის და საუცხოვო მოსავალი ექნება“.

„გაჯღღთან“ ერთად „ნაკადულმა“ ნამდვილად რომ „საუცხოო მოსავალი“ მოგვცა. მისი ფეთქებული ნიშრის გამოსვლის შოთღმენლად ელოდნენ ბავშვებიც და მოზრდილებიც.

მარიამმა, ვისაც კი შეეძლო წერა თუ თარგმნა, უყვლი დაჩაზმა რედაქციის გარშემო. „მარიამმა დამაინტერესეს და დამაწერინა პირველი საბავშვო მოთხრობა — „დამგობრდნენ“, — იგონებს ჩვენი მსოფიანი მწერალი ნინო ნაკაშიძე, რომელიც დემურის გარდაცვალების შემდეგ, „რედაქციონი კომისიამ“ ერთხმად აირჩია „ნაკადულს“ რედაქტორად. ბავშვებისა და მოზრდილთა საყვარელი მწერალი ნ. ნაკაშიძე თითქმის ორა ათეული წლის მანძილზე რედაქტორობდა „ნაკადულს“ და კეთილსინდისიერად განაგრძობდა მარიამის მიერ დაწყებულ საქმეს.

სრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა დემურის, რომ ეტრნალი „ნაკადლის“ მდგომარეობა ვანემტოციებინა. მან ამ კეთილშობილურ საქმეში ჩააბა ჩვენი გამოჩენილი პოეტები და მწერლები — აკაკი, ვაჟა, ირ. ევდოშვილი და სხვა მრავალი, რომელთა შემოქმედების ნიმუშები უხვად ამკობდა „ნაკადულს“ ყოველ ნომერს. მ. დემურია თავდაუზოგავად იღწვოდა ეტრნალის გამოცემისათვის საკურო თანხების საშოვნელად, მასალების შესაგროვებლად; თვითონვე მიჰქონდა-მოჰქონდა სტამბაში ანაწილები და კლდეები, ასწორებდა კორექტურას, ებრძოდა ცენზორს, რომ როგორმე დაეხსნა მისი ბრკვალებისაგან დასაბუქდდ გამზადებული მისალები; ყოველგვარ ზომას ღებულობდა იმისათვის, რომ ეტრნალი თავის დროზე გამოსულიყო. თუ რამელიმე ავტორი დაბრკებულ წაწარმოებს დროზე არ მიაწვდიდა რედაქციის, მარიამი ღელავდა და უყვლს ემუღარებოდა: „თქვენი ჰირიმი, მომწოდეთ მასალები, ეტრნალი არ ჩამოვდითო“. „გთხოვთ, დასწერით საბავშვო მოთხრობა. თქვენი მხატვრული ნიჭით კიდევ დაატრებთ პატარი ბავშვები. თქვენი მოთხრობა „პაწია მეგობრები“ ღიზა ორბელიანისამ ინგლისურად გადათარგმნა და დაბეჭდვბა რომელიმე ინგლისურ ეტრნალში“! — სწერდა იგი ნიკო ლომოურს.

მიუხედავად შიმში ღატორთვისა, მარიამი „ნაკადულში“ მწერლობასაც ეწეოდა. ზხირად ითავსებდა ეტრნალში ორიგინალურ თუ თარგმნილ საბავშვო მოთხრობებს და ისტორიულ ამბებს. მთავალით, მის კალამს ეკუთვნის სა-

ბავშვო მოთხრობები: „შალვა და თამრო“, „ორი მეგობარი“, „არჩილის და ლეიანის პირველი შობის ხე“, „მებრზავი ლესოს“, „მერტყლობანა“ და სხვ., რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ასეთი იყო მოკლედ ცხოვრება და მოღვაწეობა მარიამ ევანეს ასულ დემურის ქალი, რომელიც დაიბადა 1860 წლის აპრილში ქ. გორში, მარიამის მამა სმბაზრო სამართელოს მოხელე იყო. ღედით ნაადრევად დაობღებული მარიამ ოზრდებოდა, 1882 წლის შეთქმულების მონაწილის, ელიზბარ ერისთავის ოჯახში, სადაც მან საყვარელ შეივყარა შეითვისა ქართული ლიტერატურა, გაეცნო ქართულ ფოლკლორსაც და მშრომელი ხალხის ადით-ჩვეულებებს. მამაც მალე გარდაეცვალა და დარჩა ხელმოკლე ბებიის ანაზრად. მაგრამ, ბუნებით ნიჭიერმა და ენერგიით აღსავსე მარიამმა, თვითონვე გაიკეთა ცხოვრების გზა ადვილობრივი დამყვებით სკოლის დამთავრების შემდეგ, ის შედის თბილისის საბავშვო ინსტიტუტში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს და იწყებს შემოიბას ჯერ სახსერეში, მერე კი ოზრგეთში. მან თავისი გულისხმიერებით, საქმიანდში სიყვარულითა და დაუღალავი მუშოობით მალე გაითქვა სახელი და მოიპოვა დიდი ავტორიტეტი. „ეინ იცის, რამდენი ფეხმძიმე ქალი და ჩვილი ყრბა დაუხსნია სიყვდილის ბრკვადვბიდან“ — იგონებს მარიამის შესახებ ექ. თვ. ელიაშვილი. მაგრამ მარიამს მხოლოდ ეს საქმიანობა ვერ ავსაყოფილებდა, ის მოწოდებული იყო უფრო დიდა, საზოგადოებრივი საქმისათვის, რასაც, როგორც დავინახეთ, ასე პირნათლად და რაინდულად ართმევდა თავს.

სიყვდილის პირას იყო მისული, მაგრამ მიინც წმინდა სანთელივით იწვოდა მის მიერ სძირიკველჩაყრილი საქმეებისათვის: „ხედავ გვედები, — შესჩივლა მარიამმა სიციცხლის უჯანსიკნელ დღეებში, თავის უახლოეს მეგობარს კიტა აბაშიძეს, — მაგრამ სიყვდილს არ დავებებ, ოღონდ „ნაკადულსა“ და სახალხო თეატრის საქმე მოეწყოს კარგად“.

მარიამ დემურია გარდაეცვალა 1910 წლის 22 იანვარს, იგი დაკრძალულია ეყიის სისაფლაროზე.

მარიამის დაკრძალვის დღეს ერთ-ერთმა მისმა თანამედროვემ აღნიშნა: „დაუფიწყარმა მოღვაწემ თვით ხალხის გულში სამუდამო ძეგლი დაიდგა. ვანა ასეთი მკველარი მკვერად ჩიითვლება?“ — კითხულობს ის. რა თქმა უნდა, არა, ვინაიდან მარიამ დემურისას სახელი მუდამ მოწიწებითა და მადლობის გრძნობით მოიხსენიებს ჩვენი ხალხი, სახალხო თეატრისა და საბავშვო ეტრნალ-გაზეთების მკველეარა.

<sup>1</sup> ეს მწერ-მოწერები დაეულია საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში.



## ს. ფაშალიშვილის პოეტიკური



სიკო ფაშალიშვილი უკვე ორმოცდაათი წელია მოღვაწეობს ქართულ მწერლობაში. ამ წლის განმავლობაში იგი სისტემატურად ბეჭდავდა ლექსებს, აწვობდა ლიტერატურულ საღამოებს და, საერთოდ, კარგად იყო მიღებული მკითხველი საზოგადოების მიერ. უკანასკნელ წლებში ს. ფაშალიშვილი თითქოს ჩამოშორდა პოეტურ სარბიელს და მისი ლიტერატურული ინტერესები სხვა მიმართულებით წარიმართა: მთარგმნელობითი საქმიანობა, კინოდრამატურგია, სატირული ემორისტული ფელეტონები, მემუარული ხასიათის ნარკვევები და შრომები — აი სარბიელი, რომლითაც თითქოს შემოიფარგლა მისი საქმიანობა ბოლო ხანებში.

ახლანან „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა მისი ლექსების ერთმოცული, რომლის გამოსვლამაც ხელახლა გააგვიხსენა სიკო ფაშალიშვილი როგორც პოეტი. „რა დააბერებს ბულბულსა, როცა მას სასიმღერო აქვს?!“ — თქვა პოეტმა ვიორჯი ლეონიძისადმი მიძღვნილ ლექსში და ს. ფაშალიშვილის კრებულმა საუკუნით დაგვიდასტურა ამ პოეტური სტიქონების სიმართლე.

სიკო ფაშალიშვილის ბიოგრაფია დამახასიათებელია რევოლუციამდელი მშრომელი ადამიანისათვის. მიჩნადელი ღარიბი ვლახის შვილმა, ჯერ კიდევ ბავშვმა იგემა მოკვამვირედ ყოფნის სიმწარე, უღვლბობა, გაქირვების სუსხი. მისი შრომები ევრც იოტნებდნენ იმაზე, რომ შვილისათვის განათლება მიეცათ, მაგრამ სწავლას მოწყურებულმა „მწვილმა, რომლის სულშიც ადრევე ჩაიდვარა პოეზიის. ნათელი, ვადალბა ყველა დაბრკოლება და ვაიკვლა გზა საზოგადო სარბიელისაკენ. ცამეტი წლისამ ერთ წელიწადში დაამთავრა სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი, ხოლო შემდეგ ქართულ საზოგადო მოღვაწეთა ხელშეწყობით სკოლის გარეშე სწავლისა და თვითგანვითარების საკმაოდ გრძელი გზა განვლო და მხარში ამოუდგა ქართულ კალმის ოსტატებს.

ს. ფაშალიშვილი მშრომელი ხალხის წიაღიდან შემოვიდა ქართულ მწერლობაში და ამან განსაზღვრა კიდევ მისი შემოქმედების ძირითადი ტენდენცია. მამული, ხალხი, მისი

ლხინი და სევდა იყო თავიდანვე პოეტის ლექსების მთავარი თემა. „შე შენი სევდით დამინალვლია და შენს სიხარულს აღვუდგენივარ.“ — ეუბნება იგი სამშობლოს და წერს:

მინდა სიკეთის ბალი მქონდეს გულში  
და რგული,  
რომ სანთლად დაეწვა შენი შუკით  
შემოკარგული  
ჩემი სიცოცხლე — ეს ბუნების პატარა  
ძღვენი —  
და ჩემი ქუეყნის სამსახურში დავლიო  
დღენი  
(„ჩემი სურვილი“).

სიკო ფაშალიშვილი ქართულ მწერლობაში მოვიდა 1905 წლის რევოლუციის მომდევნო წლებში, როცა გამძვინვარებული შავი რეაქციის პირობებში გაძლიერდა უიმედობისა და დაბნეულობის სულსკვეთება. ამ განწყობილებების სუსხი ფაშალიშვილსაც არ ასცდა, მის გულსაც ჩაეწვეთა კეთანი, სევდა, მაგრამ იმედის სიხივი, უსამართლობის წინაშე ქედმოუხრელობის სულსკვეთება მაინც არ ჩაეკვლია და არ აუღია ხელი თავის რწმენასა და იცნებებზე. „მაგრამ არა შურის ცხოვრების ტლანქ ხელს ქედმოხრით ვუთხრა სიტყვა მონისა!“ — წერს იგი 1913 წელს დაწერილ ერთ-ერთ ლექსში. პოეტი ხან მხიარული იცნებოთ მღერის, ხან ნაღვლიანად, მაგრამ ელის ამ დღეს, როცა ხალხის ცრემლები წარღვნიდ გადიოქვევა და მოუწოდებს მშრომელთ:

გზიდან არ ვადაეუხვიოთ,  
თუნდაც ჩავეიტყდეს ბორანი,  
დე, ქარიშხალი დმოოდეს,  
დე, მოგჩხაოდეს ყოჩანი,  
აღთქმულ ბილიკით, აღთქმულ გზით  
გადავიაროთ მთა-ბარი, —  
აინთოს, უნდა აინთოს  
დიდი მიმავლის ლაშკარი!  
(„სიმღერა“).

„სული ეძახის ახალ გაჩეიარეს!“ — წერს პოეტი ამ პერიოდში დაწერილ საახალწლო ლექსში „ახალი რწმენა“ და ამით გამოხატავს თავისი რევოლუციამდელი შემოქმედების ძირითად სულსკვეთებას.

ხოლო როცა ეს ახალი გარიჟრაჟი მოვიდა, პოეტი სიხარულით მივივება მას და გულწრფელად უმღერა მის დახადებას, ამ გარიჟრაჟში შობილ ახალ ქვეყანას. ამიერიდან პოეტის „ცხოვრების ცას ღრუბელი გადაიფარა“, „დიდი შხის სხივი“ გადისწყნად და მისი ლექსებიც ზალისიანი ინტონაციებით აულერდა. „ჩემი დიდი დრო სიმღერას ითხოვს“, — ამბობს პოეტი და უმღერის „დიდი ბრძოლის და დიდი შენების“ დღეებს, ზოფულდებს, შემოქმედ შრომას — ჩვენი ეპოქის მარშს, თავისუფალი ზალისის გმირულ შემართებას და წინსვლას, ბარაქობას და სიკეთით ავსილ ქვეყანას.

ამ სიმღერაში პოეტი მაღალ მორალს, სიფიქსურულს, ნათელი მიზნებისაკენ სწრაფვას გვიხატავს, რადგან მხოლოდ ეს მიზანია პოეტის მოწოდებად, მისი სიმღერის აზრად, მით უფრო, რომ ღრმად სწამს ხელოვნებას მაღალი ბუნება, მისი ესთეტიკური და მორალური შემოქმედების ძალა.

სიცოცხლის სიფიქსურული ს. ფაშალიშვილის შემოქმედების ერთ-ერთი შთავარი მოტივია. („მამ სალამი, გაბაფხლო“, „განითადი“ და სხვ.). მისი ლექსები გამოირჩევა ცხოვრებაზე, ადამიანის დანიშნულებაზე ფილოსოფიური ჩაფიქრებით, აზრისა და მიზნის ძიების წყურვილით. ამის გამო მის მხატვრულ მანერას ალაგ-ალაგ მორალისტიკისა და რატორიკის ელემენტები ემჩნევა, ზოგჯერ კი მისი ინტიმური ფიქრების სამყარო ერთგვარი ტრაგიკული ინტონაციებით და მელანქოლიის ნისლით არის დამძიმებული („სიბერე მოდის“, „ჩველი ცოცხლის ქვეშ“ და სხვ.), მაგრამ ეს მხოლოდ წუთით მონაბერი განწყობილებებია და ვერ ჩრდილავს მისი ლექსების შუქით სავსე ოპტიმიზმს, რომელსაც სიცოცხლისა და ცხოვრების გაანალიზებული ზალხური მსოფლშეგერაძნება ასაზრდოებს.

პოეტის შემოქმედებაში სიცოცხლის სიფიქსურული გრძნობისთან ორგანულად არის დაკავშირებული მეორე გრძნობა — სამშობლოს სიფიქსურული. მისთვის არ არსებობს სიცოცხლის მივენიერება სამშობლოს გარეშე. ამიტომაც რომ პოეტი ასეთი მღელვარე გრძნობითა და რომანტიკული ვანცლით წერს სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირებზე. „მარტყია მათზე ფიქრების ალყა, ვით ერწანისის ცას — ვარსკვლავთა ჯარი.“ — ამბობს პოეტი სასიძულელო წინაპრებზე და მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობით აცოცხლებს მათ სახეს თავის ლექსებში. 1954 წელს დაწერილ ლექსში „ეს იყო მაშინ...“ პოეტი თრთოლვით აფიქსურებს სტრასს ხუთი წლის ქარიშხლიან დღეებს და მათ, ვინც ხალხისათვის გასწორა თავი, ლეწავდა ბორჯილს და ზედინერ მომავალს გვიზადებდა. „ის დრო წარსულს არ ჩაბარდება“ — გრძნობით ამბობს აეტორი და ამ ლექსში პოეტურადაა თქმული ის სიმართლე,

რომ ჩვენი ხალხის გმირული ისტორია ცოცხალი ძალაა, რომელიც სოციალისტური აწმყოსა და კიდევ უფრო ნათელ მარშავლისათვის საბრძოლველად შთავგავიწინებს.

ქლიერი პატრიოტული სუნთქვითაა აღსავსე ლექსების ციკლი „ერწანისის საღამომი“ და ლექსი „პატარა კახის გახსენება კავკასიონთან“, რომელშიც ღირსეული გრძნობიერებითაა გამოთქმული შთამომავლობის თავგანსაცემი ამ შამაცი და ბრძენი ადამიანისადმი, ვისი სიცოცხლეც იმას შეეწირა, „რომ საქართველოს მზეს წყველილი არ მოპყროლოდა!“ დიდი წინაპრის სახელისადმი მოწინებთ, მასზე მღელვარე ფიქრით არის შთავიწინებული ლექსის ბოლო სტრიქონები. აქ ჩაქსოვილი მოქალაქეობრივი აზრი უტყუარ ემოციურ ძალას ანიჭებს მათ:

ნეთუ აღმოჩნდეს უმაღური, რომ შენს დიდ ამაგს  
 ეტყვი შეხედოს, დაიფიქროს, არ სცეს  
 თაყვანი, არ სცეს თაყვანი მისი ქვეყნის სარდალს,  
 „ამ სცეს თაყვანი მისი ქვეყნის სარდალს“  
 და მამას,  
 ეთ თაყვანს სცემდნენ ჩვენი დიდი მამა-  
 შაანნი...  
 არა, ვა ლტოლვა ვაჯავიერი ვერვინ  
 დამარხოს,  
 ვერ გამოვიჩნდეს უფუნური მტერი  
 მტრისგვლი,  
 თეთ ეს მთებიც კი. მოგახანა: პატარა  
 კახო,  
 ეურთხეულ იყოს შექმოსილი შენი სახელი!“  
 მოქალაქეობრივი კეთილშობილებითაა და გრძნობათა სინახით გამოირჩევა ს. ფაშალიშვილის ინტიმური ლირიკაც. მისთვის იმთავითვე უცხო იყო ქალისადმი ტრფილიების ფიზიოლოგიური შეგერაძნება, რაც მისი თაობის ზოგმა წარმომადგენელმა თავის დროზე მოღად აქცია. ფაქიზი ღირსეული გრძნობით გამობარი ლექსით „პასუხი უკანასკნელ წერილზე“. მკითხველის სულში ნაკადულივით იღვრება ამ ლექსის სპეტაკი განწყობილება. პოეტი უნახავი ვანცლით ახსენებს კვდებით აღსავსე, დაუბრაბველ პირველ სიფიქსურულს, რომელიც მას ვარდის სურნელს და პირველი იის სინაზეს აფიქსურებს. ეს უწრფელესი გრძნობა მის სულში ვერ წაშალა, ვერ გააბრუნდა, დრომ და მისი გახსენება ასეთ მთრთოლვარე სტრიქონებს ათქმევინებს:

შენი სიცოცხლის, ფიქრის, ზღვა გრძნობის  
 უოველი წამი დამილოცნია,  
 და გოცინი ისე, როგორც ბავშვობის  
 შემდეგ არვისთვის არ მიცოცნია  
 პოეტური გამოსახვის არსენალი მდიდარია  
 სხვადასხვა ხერხებით. ყველა პოეტი შერტყა-  
 ლებად იმარჯუებს თვითველ მათგანს, მაგ-

რამ ჩვეულებრივ ამითუდ პოეტის ხელში მხოლოდ რომელიმე მათგანი იქნის უბირატეს მნიშვნელობას, თანაც თვითველი პოეტური ინდივიდუალობა ისეთ ნიუანსს თუ ფერს ანიჭებს მას, რომლითაც შეაფარდ გამოვიარჩევთ ხოლმე ერთის ხმას მეორასაგან. ზოგ პოეტს დამახასიათებელი ინტონაციით აცნობთ, ზოგს საკუთარი პოეტური ტემპერამენტით, ზოგს ლექსის მელოდიური ელფრადობით, ზოგსაც პოეტური თქმის გრაციით, სიმშუბუჭით და ა. შ. ს. ფაშალიშვილის ლექსებში ამგვარ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ კლასიკური უბრალოებით აღბეჭდილი პოეტური მეტყველება, რომელშიც მთავარია ნათელი ფერწერა და გონების თვალთ, და არა გრძნობადი აღქმით, ვაზრებულ მხატვრული სხვა.

მაგრამ მისი პოეზიის თავისებურება შინც ის არის, რომ მასში ზომიერადაა შერწყმული ეპიკური და ლირიკული ელემენტები, აზრი და გრძნობა. ვერ ვიტყვი, რომ მის ლექსებში აზრის პრიმატი იგრძნობოდეს, ან პირაქუ — გრძნობა ბატონობდეს ყველაფერზე. მისი პოეტური მანერა კარგად ითავსება ეპიკურ და ლირიკულ საწყისებს და ამის გამოა, რომ პოეტს თითქმის არ სჩვევია, ერთი მხრივ — მხოლოდ გრძნობად აფექტებზე დაყრდნობული თვითმიზნური მოღვესება და, მეორე მხრივ — უფრო დეტალირება. რასაც პოეტის გონება ხედავს, ღრმად განიცდის მისივე გული და მღელვარე პოეტურ ფიქრებად აქცევს მისი გრძნობის ქერა. სწორედ ამ გავებით აქვს პოეტს იმის უფლება, რომ თქვას:

გულის მონა ვარ, მისი სურვილი  
 არ შეიცვალა და არ იძლია, —

არც სიყვარული, არც სიძულვილი  
 შიტომ უგულოდ არ შემოიღო  
 (ათე გული შეტყაყნა?)

ს. ფაშალიშვილი სუვეტური ლექსის კარგი ოსტატია. ეს სუვეტი ან გარკვეულ ამბავს ემყარება და თბრობით ელემენტს შეიცავს, ან კიდევ განწყობილებით დაჭერილი ისეთი დეტალებისა და შტრიხებისგანაა ჩამოქნილი, რომელთა შორის გარეგნულად არც შეინიშნება ლოგიკური კავშირი, მაგრამ პოეტის სათქმელი ცხადად შეღავდება ლექსის ემოციონალურ აქცენტს და ამ დეტალებისა და შტრიხების კომპოზიციურ განლაგებაში. ორსვე შემთხვევაში ს. ფაშალიშვილის ლექსს ახასიათებს აზრის სიცხადე, განწყობილების მთლიანობა, კომპოზიციური დახვეწილობა. დამახასიათებელია ისიც, რომ მისი ლექსი ჩვეულებრივ, სრულდება ლამაზად მოქმედი სტრიქონით, რომელიც ზოგჯერ აფორისტულ სიცხადეს აღწევს.

ყოველი პოეტი იმით ფასდება თანამედროვეთა და შთამომაველთა თვალში, თუ რა პირებს აძლერებს მისი ჩინგი და რას ჩაგონებს, სათუთნე მოუწოდებს ხალხს. ს. ფაშალიშვილსაც, რომელმაც ქართულად თარგმნა პროლეტარიატის საბრძოლო ჰიმნი „ინტერნაციონალი“, თვითონვე თქვა, რომ ხალხის გულში მხოლოდ ის პოეზებს ბინას, ვინც კაცურ კვალს სტოვებს ამ ქვეყნად. ჩვენ კი ისღა დაგერჩენია, რომ მისივე სიტყვებით ვესურვოთ პოეტს:

ღე, წლებმა თმები შევერცხლონ,  
 ლექსი ნუ დაგმობდებო!

შოთა სულაზარიაძე

### ბ. ჯაბუშანურის ლექსები



გაბრიელ ჯაბუშანური პოეტების იმ თაობას ეკუთვნის, რომლებიც დიდი სამშალო ომის წინა წლებში გამოვიდნენ. მისი პირველი ლექსების კრებულები — „არაგვიანა“ დღემდე ინარჩუნებს ზემოქმედებით ძალას ჩვენს მკითხველებზე. ყოველ შემთხვევაში ისეთი ლექსები, როგორცაა: „ცხენი“, „ხეცური მღვწეები“, „ჯიხვები“, „ორწყალიში“, „ორი და“, „ფანტაზია“ და „ხევსურები“ თელავის ბაზრობაზე ბევრს მეტყველებენ ავტორის კუთვნილ ნიჭიერებაზე. გაბრიელ ჯაბუშანურის შემოქმედებითს მთავარ დერიტას ხეცურული პოეზია წარმოადგენს. მართალია, ხევსურეთის პოეტურ ფოლკლორს ფაშაურ პოეზიის სინათლე, მოქნილობა და სილღე აქ-

ლია, მაგრამ სიმაგიეროდ ხაზმატის კლდეთა სიმაგრე აქვს თანდაყოლილი. გარდა ამისა, ხორხისმეორე ბგერებით დამაძიმებელი ხეცურული ლექსი მთებში დაქუბებულ თოფზე ძლიერად ეტყის. ერთერთ აღრინდულ ნაწარმოებში მშობლიური ზეპირსიტყვიერებით მოხიბლული პოეტი ასე მიმართავს ხეცურ მღვწეებსა და მონადირეებს:

„ვიცი, მთაგზაზე ბრძენ ზოგაის შინდს, —  
 ზეერავთ ბუნებას მხერამშირანი;  
 და თუ ჩემი ხმის ეხოც ვაისმის,  
 შეც თქვენი ჯიშის ვარ ნაშვიარი.“  
 ამგვარ სულიერ ნათესაობას ჯაბუშანურის შემოქმედებაში შეაქვს ის თავისებურება, რითაც მას სხვა პოეტებისაგან განასხვავებ.

პოეტრი გულით შეგრძობილი და მონადირეული თვლით დანახული მაშინდელი საგნებში თუ მოვლენები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ დღესაც, თითქოს მათი ავტორი ეს-ეს არის ახლა დამბრუნდა პიტალოებზე დაცლილ ბოლივერიდან და ნაპეხარო ხეობების ორთქლი და კვამლი ასდიოდესო ბეჭებიდან. ამიტომ არის, რომ პოეტთან ერთად ასე უშუალოდ ვანვიცდით ხვესური მელეკისა და მონადირისადმი მიძღვნილ სტრიქონებს:

„ახვალ მწვერვალზე, მოივლებ სანჯალს,  
მეგარ მუხლსა და შარჯვენას ვარჯი;  
და როს ცისკარი დაიწყებს კანკალს,  
შენ ჩამოაგდებ უდიდეს ხარჯიხეს.

თან სხივი:

— ხარო, რომ წაგებეხსა,  
ვეღარ გაცალე! დავდგ ნიშანი...  
ჯიხესა თოფ დავჯარ ბერხენსა,  
ქალს ჯიხს იქნის რქისანი“...

გაბრიელ ჯაბუშანიურს ძველ ხვესურ მელეკისევეთ ჯერ შეიძლება ქართული პოეზიის ლერჯანისათვის არ შეუწირავს „უდიდესო“ ხარჯიხე ლექსი, მაგრამ მის მაინც ვარჯიხე ველი ველი მიუძღვის მის წინაშე. იგი ხომ რამდენიმე კარგი პოეტური კრებულის ავტორია. მისი ლექსების ახალი კრებული — „შუთა ქვეყანა“, რომელიც, ამას წინათ „სამბკითა სპართელლომ“ გამოიცა, უდავოდ საინტერესო წიგნია მასში მოთავსებული საყოველთაოდ ახალი ნაწარმოებები. მათი ცალკე-ცალკე განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანდა. შეეზერებოდით მხოლოდ არსებითზე.

უწინარეს ყოვლისა, რამდენიმე მეგობრული შენიშვნა: პირველი ლექსი, რომელიც წიგნის საერთო სათაურს ატარებს სახელად, წინაარსობრივად ინტერესმოკლებული რიგია, მაგრამ შესრულების მხრივ მკრთალ შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი ნახევრად თეთრი ლექსია და ფორმის გარკვეულ კანონზომიერებას არ ემორჩილება. სხვა ლექსებში სხვაგვარ ნაკლოვანებებთან გვაქვს საქმე. ესენია: დიალექტით გადატვირთვის შემთხვევები, ძალდატანებული ილიტერაციი, ვდაჭარბებული ასონანსები და ზოგჯერ პოეტური აზრის ბუნდოვანობაც. ახლა კი შევეხებით იმ ლექსებს, რომლებშიც წინააღმდეგობა და ლაზარის მატებენ ჯაბუშანურის ამ ახალ კრებულს.

ერთი ასეთთაგანია „პტროზა და სივგარული“, რომელშიც სამყაროს თავისებურად აღქმისა და გაგებას ამჯავნებს პოეტი. გააგებულნი ცა დღევანდელი და ქუხილით იკლებს დედაშიწისა. ეს უკანასკნელიც ეხოების სპით გამოსთქვამს საყვედურს ცისადმი. მაგრამ თუნდაც, კოპრისფერი ბნელეთი ბაციღებია, ამომავალი მზე გაოცებულია ცისა და მიწის ამგვარი ქვევით: ისინი ხომ უსსოვარი დროის მოჯუნერები ირინი? მაშ რატომ დაობენ, რა

აქეთ მათ სამტრო ერთმანეთთან?!. თითქოს მზეს გულისწყობა გუგესო, ცა და მიწა თანდათან გონზე მოდიან და ერთმანეთზე უღიზიუნოდ გავებულს საბოლიშოდ უხდებთ საქმე:

— ბოდიში ცაო! — ჩურჩულებს მიწა.  
— მიწაე, ნუ მიწყენი — იცინის ზეცა.

ჩვენი აზრით ეს ძალზე ადამიანური ამბავია, რომელსაც ასოციაციით თვითონ ცხოვრების საინტერესო მოვლენებშიც გადავეყვართ და გვაეიწყებდა ნაწარმოების ერთგვარი პირობითობა.

კარგი ჩანაფიქრი უღვეს საფუძვლად მოხუცის შესახებ დაწერილ ლექსს. კაცმა, რა-მელმაც თავისი სიყმაწვილე, სიბაბუჯე და სიჭარბავე სიღუჭიერება და სიღარიბეში გაატარა, დაბრმავდა სწორედ იმ დროს, როცა თავისუფლების შუბე დაძხვდა ქვეყანას. ახლა ქვეყანა მას ეკუთვნის, მაგრამ როგორღა დატბებს მისი მშვენიებით?! სიცოცხლის აზრს მხოლოდ იმასშიღა ხედავს, რომ მისი შეილები და შეილიშვილები ხარობენ მის მაგივრად. ტრაგეზიში მაინც ტრაგეზიშია და აქი ავტორიც არ ხეჰავს თვალს სინამდვილეს წინაშე, როცა ამბობს:

„რა ძნელია: ნანატრს ფლობდე,  
მაგრამ თვლით ვერ ხედავდე“...

ქემშიარბიტი ნიჭითა და ჯანსაღი გონებით დაჯილდოვებული პოეტისათვის არ არსებობს არაპოეტური თემები. იგი ჩვეულებრივია და უბრალო რომელიც ხედავს ცხოვრების ღრმა შინაარსს, ამჩნევს მასში მშვენიერებასა და სილამაზის უხილავ ფესვებს. ამაზე მერყველებს თუნდაც დილდურ კატაზე დაწერილი ჯაბუშანიურის ორი ლექსი. კატა, რომელსაც იგი უღუჭრებს, ავტორის თქმისა არ იყოს, შეიძლება ოდენსე მართლაც უნაზუსტი პაღმართის სააღერსო სულგმული იყო. ახლა კი მის-საღ, პოეტის ჭერჭვენი ნებიერობს, მისთვის სულერთია ქრისტე და ილაპი, რის გამოც ავტორი დამაქენს:

„ღესქიცი ასე: ასგზის ნახენდი  
მოდს და მგოსანს ვიპრდება ჯილდოს;  
მერ დრო დაგფლავს მიწის ნახტოცი  
და ლექსი კი უნდა ხელახლა სიწოეს  
ახალი მზედრის ცეცელი და ძალა,  
ლექსს ლავარდებში რილია აბობბს,  
მისთვის ერთია ქრისტე და ილაპ,  
ვააქროლე და გაათბე მარტო“...

ამავე თემაზე დაწერილ მეორე ლექსში პოეტი სულ სხვა გააზრებას იძლევა. იგი სწუხს სიბერის მიმე წუთებზე, როდესაც წაერთმევა გამახვილებული სმენა, გრძობა და ცხოვრების სივყარვე მიუწვდომელი შეიქმნება მისთვის. ამიტომ ჩვენ სავეებით უნებ-

როგორ გვეჩვენება უოველივე ის, რასაც იგი დილური კატის შესახებ ამბობს:

„დაბერდა ჩემი დილური კატი,  
დაზანტდა, თვალსაც დააკლდა ცივას;  
და აღარ უსმის, მგდომარეს კართან,  
როგორ ხრავს თავი განჯინის ფიცარს.“

სინამდვილის ამგვარ აღქმას პოეტი არ დაჟავს ავადმყოფურ განწყობილებათა მორევის ფსევრზე, როგორც ეს დეკადენტური პოეზიის წარმომადგენლებს ემართებოდათ ზოლმე. ლექსში ამბავივლელთა ეს მძაფრი გახცდა მხოლოდ და მხოლოდ სიცოცხლისადმი უდიდესი სიყვარულით არის ნაყარნახევი. ამ მოსახრების შეუმცდარობას ადასტურებს თუნდაც ის რამდენიმე სტრიქონი, რომელსაც ვკითხულობთ ლექსში — „მთელ ღამეს“...

„უთვალავ დღეებს ვინათხოვრებდი,  
რომ ერთა ზღვები მეჭრა მზარულით;  
ეპ, რა რიგ მიყვარს მე ეს ცხოვრება  
ამდენი სევდით და სიბარულით“...

გაბრიელ ჯაბუშანური არ არის მელოდიის, განწყობილების პოეტი. მისი შემოქმედების ამოსავალ წერტილს უოველთვის რაიმე გარკვეული აზრი წარმოადგენს. განწყობილებას თუ მელოდიას იგი მხოლოდ შემდეგ იღწევს, ეს როდია ცუდი თვისება, მაგრამ ცუდია მაშინ, როდესაც ავტორი პოეტური აზრის გახსნაში ბუნებრივობას ვერ ინარჩუნებს. ამიტომ მისი ლექსი ზოგჯერ მსჯელობითია. საქაროა, გაბრიელ ჯაბუშანურმა ამ გარემოების მეტი ყურადღება დაუთმო, თუ არ სურს ლექსის კარგი გააზრება უცალოდ დაიკარგოს. მაშინ იგი ხშირად აღარ იტყვის:

„ყოთარ დედას თავის ერთაზე,  
დაკარგულ ლექსზე მე მიტარია“...

სარეცენზიო კრებულში დიდი ინტერესით იკითხება ლექსები: „დილა საჯიბვეში“, „ნტოლევილი“, „თბათვე“, „ცხრა თაიგული“, „ამოდ მიხობ“, „ქისტის ქალები მიდიან წყაროზე“ და „ორი თასი“. კარგ პოეტურ გააზრებასთან ერთად დასახელებულ ნაწარმოებებში ჩვენ ვგრძნობთ პოეტის მღვდლურ გულის ფეთქებასაც. საილუსტრაციოდ საქმარისია მოვითხოვთ თუნდაც ურთიმოდ დიქონრილი ლექსი „ორი თასი“:

...და შენ მუქალო, ლუდიანი მომართვი თასი,  
ჩემს წინ დგახარ და ილიმები მნათობივითა,  
სასმისში ელავს მოცინარა შენი ხატება.  
დაგლოც გულით. დავეწაფე მოწყურებული  
თასს და მწაღია, სულის სწორო, შეგსვა  
მთლიანად.

დაეცალე ჯამი. კვლავ მწყურისარ გავეყვითა  
და გვედრებთ, რომ სასმისი ამიგოს კვალად.  
შენ უმაღ მოგაქვს ორი თასი პირამდე საესე,  
ერთს მე მთავაზობ და მეორეს—რაყიფსა ჩემსა,  
შენ ახლა ჩამარ ჩემი ჩია რაყიფის თასში...  
ვიღაცა ხვესურს შვიანჩე ჩემი სასმისი,  
გავშორდი ხალხს და  
აღარ ძალმძის წვეთის დაღვევაც...

ხშირად შინაგან სიმდიდრეს მოყვებული პოეტები ისტატობის ყალბ ნიღაბს იფარებენ და თავიანთ მხატვრულ ფერთა სიღარიბეს ვითომდა მათთვის დამახასიათებელი ზომიერების აუცილებელი გრძნობით ამართლებენ. გაბრიელ ჯაბუშანურს საამისო არაფერი აქვს. მას თავისუფლად შეუძლია უფრო მეტი ფერებით გაამდიდროს თავისი პოეზია. იღეს-დაც უთქვამთ: როგორც თვალი შორს, ისე გულიც შორს!.. გაბრიელ ჯაბუშანურზე ეს არ მართლდება. ჩვენ მისი გულის ხმა კარგად გვესმის შორეულ ხვესურეთიდან. ვუსურვოთ შემდგომი წარმატებანი.

ზალვა ანისულაშვილი

## სათავედასავლო რომანი



ამ ბოლო წლებში საქმიოდ ბევრი დაიწერა სათავედასავლო თანრის ნაწარმოებების შესახებ საბჭოთა ლიტერატურაში. საქვეშირო პრესაში გამართულმა დისკუსიამ ცხადპყო, რომ სათავედასავლო პროზა დიდი ლიტერატურის აუცილებელი და ორგანული ნაწილია, რა თქმა უნდა, თუ ის ჯანსაღი ტენდენციებითა და მალაზმხატვრული ღირსებითაა. რა-

გორი ხასიათის თეორიებიც არ უნდა მომარჯუნ ამ თანრის უარისშყოფელებმა, ერთი კი ცხადია, რომ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები ერთნაირი ინტერესით კითხულობენ სათავედასავლო წიგნებს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ხშირად გამოდის ზერევე, შაბლონური და მხატვრულად უსუსური სათავედასავლო ნაწარმოე-

ბები, რომლებიც უდავოდ უფლებებზე გემოვნებას მეთხოვეს. ამიტომ უნდა ვიზრუნოთ არა სათავგადასავლო ლიტერატურის წინააღმდეგ საერთოდ, არამედ ვავილაშქროთ ამ ენარის სუსტი ნაწარმოებების წინააღმდეგ.

თერმინში „სათავგადასავლო ლიტერატურა“ იგულისხმება სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებები, გაიხსენეთ რა დღის სხვაობა ამ ენარის მსოფლიოში სახელმძივქელი ისტატივის დანიერ დეფოსა და ჯონათან სვიფტის, ეიულ ვერნისა და ფინიშორ კუბერის, მიანდისა და კონან-დოილის, მარკ ტვენისა და ლეო ბუენარის წიგნებს შორის. სათავგადასავლო ლიტერატურის გავება, როგორც ე. წ. „წმინდა“ დეტექტივისა, რასაკვირველია მიუღებელია ჩვენთვის. თუ სანამდე მიიყვანა ბურჟუაზიული საზოგადოება და კერძოდ, მისი მოზარდი თაობა ამ ყბადღებულმა დეტექტიურმა რომანებმა და „კომიკებმა“, ეს ნათლად ჩანს სტატიკურ მონაცემებში ბორტომქმედებათა კატასტროფული ზრდის შესახებ. ასეთი სათავგადასავლო წიგნების მართკომარული სათაურების ჩამოვლაც კი ამბარუნება და კომენტარების გარეშე დაღადებენ მათ შინაარსზე. სხვათაშორის, დეტექტიური ლიტერატურის დამღუპველი ზეგავლენა ახალგაზრდობაზე შესანიშნავად აქვს აღწერილი ახალგაზდა გერმანელ მწერალს ერის ლოსტის რომანში „დასავლეთის მარჯა ვანგერობის დაცემას“ (მოსკოვი, 1957 წ.).

ჭარბული ორიგინალური ლიტერატურა საერთოდ ღარიბია სათავგადასავლო ენარის ნაწარმოებებით. ორდღ დგებუქე არც თუ ისე დიდხანია გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. მისი პირველი წიგნი „დამნაშავენი“ გამოიცა სამამულო ომის დრის. ო. დგებუაძის აღრიდელი ნაწარმოებები („დამნაშავენი“, „უცნობი მეგობარი“, „მეორედ დაბადება“, „ამბავი ერთი ქალისა“, „ღვთისმშობლის მოტაცება“ და სხვ.) მიუხედავად სიუჟეტის სიმბაფრისა, მხატვრულად მაინც ვერ იდგნენ სათანადო სიმაღლეზე. მათში უფრო მოყოლა სკარბობდა აღწერას, და გარეგანი პორტრეტი ფსიქოლოგიურ პორტრეტს არც თუ ისე იშვიათი იყო ენობრივი სიფერჰრთაღე და ტრაფარეტული სახეები. უკანასკნელი რომანი „ჩაბირული თოლია“ წინვადღამული ნაბიჯია ამ ზრდის.

„ჩაბირული თოლია“ ავტორის მიერ განზრახული ნაწარმოების მსოლოდ პირველი ნაწილია მაგრამ არაერთი დღუმთავრებლობა მასში არ იგრძნობა. ამ შემთხვევისათვის იგი ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ რომანად, თუ არ ვივლისებხმებ მკითხველის ბუნებრივ ინტერესს გმირების მოშაველო ბედისაღძი.

„ჩაბირულ თოლის“ აქვს სათავგადასავლო რომანისათვის აუცილებელი ყველა კომპონენ-

ტი: დახლართული და ზრავლწინავოცანი სიუჟეტი, შმაფრი სიტუაციები და შეფიქრებულ მოკვეთილი, სხვადასხვაგვარი ხასიათების

ჩვენს ქვეყანაში მოშხდარი ისტორიული მოვლენების ფონზე ავტორი გვიხატავს თავისი გმირების ცხოვრებასა და ზრძოლას. რესუთის გამოლი ტრამალებიან მოქმედება გაღმოდის აფხაზეთის მიუვალ მთებში, აბობოქრებული შავი ზღვის ნაბირებიდან ქალიქება და სოფლებში. მოშხდარი სოციულრპოლიტიკური ძვრების ორომტრიალში ერთმანეთს ეჯახება სამი აღმანის ინტერესი, და შთელი რომანი სწორედ ამ სამი აღმანის თავგადასავალია, თავგადასავალი აღსაქვ ხიფათითა და შოულოდნელობით, შრავალი ჩართული ამბებითა და მათთან დაკავშირებული პერსონაჟების აღწერით.

„ჩაბირულ თოლიაში“ ოთხ მთელამდე მოქმედი პირია, მაგრამ მთავარი პერსონაჟი, მაინც სამია — დათა ბუქია, ვიორჯი თორია და შარია საბურა.

დათა რომანის ცენტრალური ფიგურია ქობოლიძემდე ზღვამ გაიტაცა იგი და ზღვის კაცი ვახდა. შამაცი და უშიშარი შკაძერის სახელი დაუვარდა. ბრვე და ახოვან ვეჯაკს ბავშვით სათუთი გული აქვს. ფიცბი და გორობია, მაგრამ შედად მოსიყვარულე, როგორც ყველა ზღვაოსანს, არვის ვადაკვრაც უყვარს და შავარი მუშტების დატრიალება. მას არაფერი გაეგება პოლიტიკისა, მაგრამ ცხოვრებამ ბევრ რამზე აუხილა თვალი და რომანის ბოლოს იგი უქვე შეგნებული მებრძოლი ხდება. ძველებური სიფიქტეც ცეშა განსჯამ შესცვალა. სიანტერესოდ აქვს ავტორს მოთხოზილი დათას ცხოვრების გზა: თურქ მეშინდლე ფარაშასანთან სამსახური, კატარღის შოტაცება და მეზღვართა კომუნის დაარსება. ტუაფუნად სოხუმამდე მოგზაურობა, სამატიმრო და გაქცევა, ტყეში გაფირღნა და ისეე ზღვის პირას ჩამოსვლა.

დათა ნამდვილი ვეჯაკია, ილაღმართლი და უბოროტი. კაცის დაღატი და გაყიღვა მის წარმოდგენას იღმეტება მან შოლადატ ტრეტიისაც კი არ ვხვოლა ტყვია. წრფელი სიყვრული ავთშირებს მას ეახკის ქალ შარიასთან.

შარია საბურის მამა თეთრგვარდილებმა ჩამოახრწეს, შვემდე მასზე აკიდებულმა ვიორჯი თორიამ თვეობით ატარა ე. წ. „შოხალი-სეთა“ არშიის ვანღაგებამში. ბიჭურად გაოცებული გამოიქცა შარია, მაგრამ თორია არ ეშვება და აი, საქართველოში კეთილმა აღმანება გაღამალეს იგი. შარიას პირველ შიხვედრისთინავე შეუყვარდა დათა ბუქია. მასზე ოცნებით ათენებს ღამეებს. წყველი ოთრია ისეე მიავნებს მას, შარიას ვაპარეა უნდი, მაგრამ დათა ძმადშეფიქტული მეგობრებით იტაცებს მას.

მარია ქერა გოგონა, უმწიკვლო და მეოცნებე, გაბედავი და საზრიანი. სრულიად ახალგაზრდამ ბევრი ქიზვარამი გამოიზარა და აღიარებდა ავირებებს, ყველაფერს გონების სალი თვალთ ეუფრებს. მის გარშემო აცანძრება ერთმანეთს შეჯახებული ორი ადამიანის ერთ ბუციასა და გიორგი თორიას ინტერესება.

სულითბორკამდე გადაგვარებული ადამიანი, თვითგვარდიელთა სადაზვერვო სამსახურის კამიტანი, რომელსაც ხელები აქვს მოსვრილი უღანაშულო ადამიანთა სისხლით, გიორგი თორია ყოველგვარი მზაკერობისა და ვერაგობის ბუდეა. სინდისგარეცხილი იგი ყველაფერზე მოაწერს ხელს. მაგრამ ამ უარყოფითი გმირის მანც შერჩა ზოგიერთი ადამიანური თვისება. გიორგი თორია მტრის ხელში ჩაგვარდნილიც კი იჩენს საოცარ გულმაგრობას. აი, რას ეუბნება იგი დათას:

„— სანამ წყალში ვაღამავდებდე, მელაპარაკე, როგორც თანასწორს. ნუ გამოიფენებ ზორიბად შენს უპირატესობას. რა ვუყოთ, რომ ძალა შენს ხელშია და მე მარტო კაცი ვარ. იმიტომ გეუბნები ამას, რომ კარგად გაცნობ. თქვენ, მუხლგაურები, საოცრად ყოყონია ხალხი ხართ, რაბან ზღვის ღელვას უმკლავდებით, ყველას თავი ვამაგებად მოგაქვთ და გაიწყნებათ, რომ ზღვაში ქვიწყინებიც დაეურავენ“.

თორიას წრფელი სიყვარულით, გულწმინდოდ უყვარს მარია. და თვეების განმავლობაში ერთად ყოფნის მიუხედავად ამბობიც არ შეუბედნია მისთვის, შეუღლად უნდა. თვით და ვერ დაიფიწყა მისი სიყვარული აი ვიკოა მარიაც მადლიერებით ლაბარაკობს გიორგის სათუთ დამოკიდებულებაზე მასთან. დიდი ხნის ძებნის შემდეგაც კი, როცა ხელთ ჩაიგდო მარია, მანც ვერ გაიშტა იგი.

ორიოდ სიტყვა დანარჩენი პერსონაჟებზედაც. დათას მეგობარი მუხლგაური ანტონ გურგელა, კომენდანტი რომა სიგუა, ოფიცერი ელხატოეი, გამოშვიებული კონდატე არამეძია, „ხელმარდა“ ბექვა, ლახი შოკვათი, აფხაზი ხესარყვა, შკაბერი კოსტა — ყველა ეს მელარხარისხოვანი პერსონაჟი ავტორის რელიეფურად აქვს დახატული. მათთან შედარებით უფრო უსიციოცხლოა ვაჰანის სახე, რომელსაც საკმაოდ დიდი ფუნქცია აქვს რომანში დატყარებული.

ვინაიდან რომანში აღწერილი ამბები სამოქალაქო ომის წლებში ხდება და მისი ერთგვარი მთავარი გმირი გიორგი თორია თვითგვარდიელთა ოფიცერია, ხოლო მარია „მოხა-

ლისეთა“ არმიის ტერიტორიაზე იმყოფება, იმიტომ რომანში დახატულია რამდენიმე ასტორიულად ცნობილი პირთგნებაც: ყერაქოდ, თვითგვარდიელთა სარდლობა — დენიკინი, მია-შავეცი, შკურო და სხვ. ამ ეპიზოდებში ავტორის გამოყენებული აქვს ფაქტობრივი მასალები, სახელდობრ გენერალ მი-შავეციის ყოფილი ადიუტანტის პ. მაკაროვის მოგონებანი, გამოცემული 1929 წ.

რომანში ბევრია დამინტერესებელი ეპიზოდები, განსაყურებები თორიასა და პეტროტუკის უკანასკნელი შეხვედრა, დათასა და ვაჟურად გადაცემული მარიას პირველი ნახვად, გვარდიელბთან შეტაკება „თოლის“ გემბანზე. დათასა და „ხელმარდის“ შებრძოლება საკანში, გამოშვიების მთერ ტრიკიოს ვაბრყევა, გაქცევა საბატშიროდან, ზანციეი მი-შავეციისთან, ელხატოეისა და კაზუი კამიტნის სტუმრობა გენერალ შკუროსთან, გვარდიელთა განიარაღება და სხვ.

რომანში კარგად არის აღწერილი პეიზაჟი, განსაყურებები ზღვისა. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს: „თვალწვდენელ სივრცეზე ღურჯად ვაწოლილი ზღვისპირი მძინარე ყრმის მეგრდივით ირხეოდა. მზე პორბოზტიდან აღმაცურად ამხარებოდა. დასავლეთიდან ნელბობლი ნიავი უბრყავდა. დანელიანციის პლანტაციიდან წამოსული მადლობი ზღვის პატარა ყურამდე ჩადიოდა და პალმებთა და ბამბუკებთა დაბურულ გორაკს ისე ებეჯინებოდა, თითქოს ამ მუშტად შერკულ ბეჭვობთ იცავს თავს დაუდნდებელი ზღვისაგანი. შორიდან ოფიფებივით მოჩანდნენ შეთვევბთა აფრავაშლილი გოგმანა ნავები. კიდევ უფრო შორს, როგორც მოწმენდილ ცაზე ღრუბლის ნაფლეთი წინ მიიწვდა გემი და ვარდისფერად ლალაბა პორბოზტზე შავი ბოლის ნავალეეს სტოვებდა. დასიციული თოლიები ზანტად დაფარფატებდნენ ცაში“.

ბოლოს რამდენიმე შენიშვნა გვიწდა მივეცეთ ავტორს.

რამდენადღე ვიცით, მეფის არმიაში ოფიცრის ჩინი — ლეიტენანტი არ არსებობდა (ვარდა ფლოტისა), ასე რომ ელხატოეი პორუჩიკი იქნებოდა. 115-ე გვერდზე სამხედრო კატარღას „მობრანი“ ჰქვია, შემდეგ იგივე კატარღა „ავთინდილდ“ იქვია (117-გვ.). გაუგებარია გიორგი თორიას წლოვანება: 37-ე გვერდზე სწერია „ოცდაათიოდე წლის“, 11-ე გვერდზე კი „ორმოციოდე წლის“. დროის მოწაკვეთით კი ორი წელაც არ არის გასული. ინგლისელის თანამგზავნი რუსი ოფიცერი უკერ პოლოცხიკია (გვ. 396-397), შემდეგ კი პოდპოლკოვნიკი (გვ. 398).

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (სერისი — „ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის შრომები“ მე-4 ნომრად) გამოაქვეყნა პროფ. სერგი ელენტიის ვაშკოველის — „ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა“ პირველი ნაწილი.

წიგნი განხილულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფონეტიკური საკითხი: მარცხლის აგებულების პრობლემა. ესაა პირველი ცდა ქართველურ ენებში მარცხლის სტრუქტურის კვლევისა. აქვე აღანიშნავია, რომ დაახლოებით ამავე საკითხებთანაა დაკავშირებული პროფ. პ. ფოგტის ახალი გამოკვლევა, რომელიც გამოქვეყნებულია ნორვეგიულ საენათმეცნიერო ჟურნალში. ნორვეგიულ მეცნიერს მიზნად დაუსახავს ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის შესწავლა და იმისათვის ის იყენებს (როგორც ეს სარეცენზიო წიგნის წინასიტყვაობაშია აღნიშნული) ქართული ენის ისტორიულ მონაცემებსა და ხშირად მიმართავს შედარებებსაც. ფოგტის აზრით, ქართული ენა თავისი მასალების თავისებურებებითა და მათი ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნებით საინტერესოა ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც. ვინაიდან ეს ფაქტები ქართულ ენას განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს და მკაფიოდ აყენებს ზოგიერთ მნიშვნელოვან პრობლემას (იხ. წინასიტყვაობა).

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის შესწავლას სერგი ელენტი იწყებს სწორედ მარცხლის სტრუქტურის ანალიზით. მარცხლის თეორია კი, როგორც ცნობილია, ფონეტიკის ერთ-ერთი ურთულესი სფეროა. ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, „მარცხელი ის ფოუნსია, სადაც თავს იყრის წარმოთქმის ნორმების ყველა რთული ფონეტიკური საკითხი, როგორცია: ბგერის არტულაციური, აგუსტიკური და ფუნქციური საკითხები, ბგერათა შეერთების, ბგერათა სპეციფიკური კომპლექსების, შერთვა-დამართვის, დიფთონგების, სონორობის, ბგერათა ცვლადობის, აქცენტუაციის, ინტონაციისა და სხვა მრავალი ფონეტიკური თავისებურება“ (გვ. 11). აქ ჩამოთვლილი საკითხების სპეციალურმა კვლევამ მრავალი მეცნიერი სწორედ მარცხლის პრობლემის აუცილებელ შესწავლამდე მიიყვანა. ისე, მაგალითად, ლატვიური ენის აქცენტუაციის შესწავლის საფუძველზე ა. აბულე შინაგანი აუცილებლობით მივიდა მარცხლის კვლევამდე; რუსული მხვილის შესწავლამ აიძულა შჩერბა, ბოგოროდიცა, ავანესოვი და სხვები, რათა სწორედ მარცხლის ბუნება გაერკვიათ, და სხვ.

მარცხლის ბუნების დასადგენად, კაცმა რომ თქვას, არ არის ვაშკოველური ერთიანი თვალსაზრისი. ეს სხვადასხვაობა თავს იჩენს ისეთი თეორიების არსებობაში, როგორცია ზიგერისი, იესპერსენისა და სხვათა ე. წ. სონორობის თეორია, შტორმისა და სხვათა პერნაქალების ჯახების თეორია, მარცხლის ფიზიოლოგიური და ფუნქციური თეორიათა ერთგვარ შემართებელ პოზიციასაც ღვანის დე სოსიური, ლ. შჩერბა და გ. აბულედიანი.

სარეცენზიო წიგნის შესავალში დახასიათებულია მარცხლის თეორიების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

აქედმეიოს გ. აბულედიანის შეხედულება მარცხლისა და მარცხალთვასაყარის შესახებ, როგორც მართებულად შენაშნული (გვ. 21), „შემოწმებულია ქართული წარმოთქმისა და ქართული სპეციფიკური კომპლექსების შესწავლის საფუძველზე“. გ. აბულედიანი ფიქრობს, რომ მარცხლის შედგენილობა და მარცხალთვასაყარი განსხვავებულია ენათა მიხედვით; მარცხლის საკითხი ორგანულად არის დაკავშირებული ბგერათმეწერების საკითხთან, ვინაიდან ცოცხალ მეტყველებაში ფონეტიკურად არსებობს მხოლოდ მარცხელი და არა სხვაგვარი ბგერათმეწერება.

ნაშრომში ამოსავალ დებულებაა მიჩნეული მარცხლის თეორიაში გ. აბულედიანის მიერ დადგინილი ცნება აქცესიური და დეცესიური კომპლექსების შესახებ. აქ უადგილოა და მოუხერხებელი დაწერილებით შევსებულ ამ სპეციალურ საკითხზე, — იმასლა ვიტყვი, რომ გ. აბულედიანის მიერ დადგენილ ამ ახალი ფონეტიკური ცნების საფუძველზე კარგად იხსნება ქართული წარმოთქმის თავისებურებები. ს. ელენტიის ნაშრომში არა ერთი და არც ახალი დაკვირვება და ფაქტობრივი მონაცემი ამართლებს და ადასტურებს აქცესიურ-დეცესიური კომპლექსების თეორიას.

შრომამში გამოირკვეულია მარცხლის თეორიის შემდეგი საკვანძო საკითხები: ბგერათმეწერების ფონოლოგია, მარცხლის აგებულება, მარცხალთვასაყარი, ხმოვნის სინკაპიტება და ჰაპლოლოგია, რედუბლიკაცია.

სასეუბთ ბუნებრივია, რომ ავტორი მარცხლის პრობლემის კვლევას იწყებს ბგერათმეწერების ფონოლოგიით. „თუ რა სახის ბგერათმეწერების ტიპები არსებობს ქართველურ ენებსა და მის დიალექტებში, ამის დადგენა ერთ-ერთი მთავარ ამოცანას წარმოადგენს მარცხლის პრობლემის კვლევისას“ (გვ. 29). ს.



ელენტს მის მიერ დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით ლინგვისტური ალბათობის საკითხებიდან ინტერესებს, თუ როგორია ბგერების უშუალო თანამიმდევრობათა შესაძლებლობანი ქართულურ ენებში. წინასწარი გამოანგარიშებით, მაგალითად, ირკვევა, რომ ქართულში 1225 „პირველი რივის“ ბგერათშეერთების კომბინაცია არის მხოლოდ მოსალოდნელი. აქედან შეუძლებელია თანხმობანთა შეერთების 347 კომბინაცია (მაგალითად, რუსულში, პროფ. ზინდერის გამოანგარიშებით, ასეთი შეფარდებაა: 2656 — 274). გამორკვეულია ისიც, რომ ქართველურ ენებში ბგერათშეერთების ფონოლოგია ხმოვნებში უფრო მარტივია, ვიდრე თანხმოვნებში. ავტორის მიერ დადგენილია რამდენიმე პრინციპი, რომელთა საფუძველზედაც მიღებულია ნაირფეროვანი კომპლექსები და ბგერათშეერთების ტიპები.

გვ. 97 — 98 ლაპარაკია ემფატიკურ „ა“-ზე. ამასთან დაკავშირებით ს. ელენტი ეხება პროსოდიულ ხმოვნებს. ავტორს მინდა მოვავლონ, რომ ამგვარი უფუნქციო „ა“ დადასტურებულია პროზაულ მეტყველებაშიც, ოღონდ ზნეზნეში (იხ. ჩემი „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან“, 1954, გვ. 121). ხომ არ არის ეს „ა“

(რომელსაც მე პირობით „ზმნის შეერთება“-ს ვუწოდებ) ამავე რიგისა?

ცალკე თავი (მესამე) მიეძღვნება მარცვლის აგებულებას ქართულსა, ჭანურ-მეგრულსა და სვანურში. როგორც ირკვევა, ქართველურ ენათა მარცვლები გამოირჩევიან უმეტესად თავისი რთული შედგენილობით. იშვიათია ენა, აშობს ავტორი, რომელსაც ისეთ რთული შედგენილობის მარცვლები ჰქონდეს, როგორც ქართულსა და მის მოძვე ქართველურ ენებს აქვს.

სარეცენზიო წიგნის ამ ნაწილში საინტერესო მასალებია დამოწმებული ხსენებული დებულების საილუსტრაციოდ.

ჩვენი ფურნალის ხასიათი არ იძლევა საშუალებას უფრო დაწვრილებით შევეჩუდებო წიგნში აღქმულ სპეციალურ საკითხებზე. იმასლა დავსაქმეთ, რომ პროფ. ს. ელენტის ეს წიგნი ფრად სიყურადღებო ნაშრომი და მანვენებელი ქართველური ენების ფონეტიკური მხარის შესწავლის თანამედროვე ღონისა. ნაშრომი დაფუძნებულია დიდძალ ფაქტობრივ მასალაზე. დასკვნები დამაჯერებელია. ვფიქრობთ, სარეცენზიო წიგნი მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ჩვენი ენის შეცნობრული კვლევა-ძიების დარგში.

ზოთა ქობულაძე

# ახალი წიგნები



## გამომცემლობა „საბჭოთა საბავშვლო“

- მის. ჯგავნაშიელი — რომანები. ტ. III. რედ. რ. ბეინაშვილი გვ. 592, ფასი 12 მან.  
 ეგნატ ნინოშვილი — თხზულებათა სრული კრებული. ტ. II, რედ. გ. ციციშვილი, გვ. 358, ფასი 11 მან. 60 კაბ.  
 მარიამ ვარციხელი — მოთხრობები. რედ. არჩ. დავითიანი, გვ. 356, ფასი 6 მან.  
 სანდრა შანშიაშვილი — პიესები. ტ. I. რედ. ბ. მირცხულავა, გვ. 422, ფასი 15 მან.  
 შ. აბრამიშვილი — ზღმარტლი. რედ. ც. კვიციანიძე, გვ. 40, ფასი 65 კაბ.  
 საჭ. სსრ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგება, სპეციალიზაცია და სოფლის მეურნეობის გაძლიერების ხისტიკები — ტ. II, რედ. დ. ფაილაძე, გვ. 402, ფასი 19 მან. 20 კაბ.  
 ბუნებრივი პირობები და რესურსები — ტ. I, რედ. დ. ფაილაძე, გვ. 236, ფასი 11 მან. 70 კაბ.  
 ჩაის კულტურის ავგონიები — რედ. მ. დოლაბერიძე, გვ. 74, ფასი 1 მან.

## გამომცემლობა „ნაკადული“

- მირზა გელაშანი — ცხარეაბა. რედ. ე. ბეწუკელი, გვ. 190, ფასი 3 მან.  
 ნელი ოქრობერიძე — თავები დათენია. რედ. შ. ჯაბიაძე, გვ. 10, ფასი 3 მან. 20 კაბ.  
 ნახი კლასონია — კორტა. რედ. ქ. ნადირაძე, გვ. 46, ფასი 1 მან. 50 კაბ.  
 ნანგი — რედ. ხატია ბერულავა, გვ. 182, ფასი 6 მან.

## გამომცემლობა „ცოდნა“

- ნ. ი. ლილიყოვი — სსრ კავშირის გეოგრაფია. IX კლ. მთარგ. ვ. ბურჯანიძე, გ. ზარდალიშვილი, ივ. შამიაშვილი, რედ. დ. სალუქიაძე, გვ. 448, ფასი 4 მან. 95 კაბ.  
 დ. ჯგავნა — ქართული ენა. რუსული სკოლის VI—VII კლ. რედ. ე. გელაშვილი, გვ. 194, ფასი 1 მან. 75 კაბ.  
 ე. ვ. ბაზილევინი, ს. ვ. ბახრუშანი, ა. შ. მანკრატოვა, ბ. ვ. ფობტი — სსრკ. ისტორია. ნაწ. III X კლ. მთარგ. ნ. ცხაკია, რედ. ჯ. უნუტიძე, გვ. 370, ფასი 4 მან. 75 კაბ.  
 თ. პ. კორაყანი — ძველი მსოფლიოს ისტორია. V—VI კლ. მთარგ. გ. მამფორია, რედ. ქ. ენუქიძე, გვ. 236, ფასი 6 მან. 95 კაბ.  
 ბ. ვ. სტრატოლატოვი — ტრიგონომეტრიის ამოც. კრებული. IX—X კლ. მთარგმნელები. ლ. კვატაშიძე, გვ. მიქაბერიძე, რედ. ლ. კვატაშიძე გვ. 132, ფასი 1 მან. 65 კაბ.  
 გრ. ბარაშიძე, გ. ჯაკობია — ქართული ლიტ. VIII კლ. რედ. ე. პოლოლიკაშვილი, გვ. 290, ფასი 2 მან. 90 კაბ.  
 პრ. კეკელიძე, დ. ყიფშიძე, ბ. ფლენტი — მშობლიური ლიტ. VII კლ. რედ. ე. გელაშვილი, გვ. 428, ფასი 3 მან. 90 კაბ.  
 ი. ნ. შევჩენკო — არითმეტიკა. V—VI კლ. მთარგმ. ელ. ტულუში, რედ. ლ. კვატაშიძე, გვ. 248, ფასი 2 მან. 35 კაბ.  
 ე. ა. კოსინსკი — შუა საუკ. ისტორია. VI—VII კლ. მთარგმ. დ. დეკანოზიშვილი, რედ. ი. დოლიძე, გვ. 234, ფასი 4 მან. 25 კაბ.  
 ვ. შუტკუდიანი, ა. სტურჯა — ქართული ენა. არაქართული სკოლის VIII კლ. რედ. ე. პოლოლიკაშვილი, გვ. 128, ფასი 1 მან. 45 კაბ.  
 ნ. ნიკიტინი — გეომეტრია. ამოც. კრებული. VI კლ. მთარგ. ი. შტეინბერგი, რედ. გ. მიქაბერიძე, გვ. 130, ფასი 1 მან. 60 კაბ.  
 გრ. ბარაშიძე — ქართული ლიტ. სწავლების მეთოდის საკითხები. რედ. გ. ნიორაძე, გვ. 272, ფასი 5 მან.  
 ს. ბურჭულაძე — ხანა. VII—X კლ. რედ. გ. მიქაბერიძე, გვ. 372, ფასი 4 მან. 15 კაბ.  
 მ. ა. მონტკოვი — პედოგოგიკური ნაგებობანი რეკონსტრუქცია. რედ. ს. ხედგინიძე, გვ. 230, ფასი 7 მან. 30 კაბ.  
 გ. შარაშიძე — საჭ. თევზების სარეკვი. რედ. შ. ლეინაშვილი, გვ. 254, ფასი 5 მან. 90 კაბ.  
 ი. ქარულიძე, გ. ხახანაშვილი, ვ. მაღალაშვილი — ელექტრომედი. რედ. ი. გ. ქარულიძე, გვ. 454, ფასი 14 მან. 60 კაბ.  
 გ. ოშიძე — მასალათა გამძლეობა. რედ. ც. ანდლუაძე, გვ. 352, ფასი 9 მან.  
 კ. ტ. ტაბატაძე — ენოლოგია გეოგრაფია. რედ. ნ. ა. თევზაძე, გვ. 370, ფასი 10 მან. 40 კაბ.  
 დ. ა. ცვეტკოვი — სინთეზური მალაშობილებების ნივთიერებანი. X კლ. მთარგმ. ნ. ჯაფარიძე, რედ. ა. სენიძე, გვ. 58, ფასი 50 კაბ.  
 პ. ნ. სნაქინევი, პ. გ. ტერეხოვი — ქვეყნის ნაწილების გეოგრაფია. VI კლ. მთარგმნელები: თ. კოკლაშვილი, ი. აფხაზაძე, რედ. დ. სალუქიაძე, გვ. 254, ფასი 2 მან. 85 კაბ.

3260 8 ა.

179/177



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО  
ГРУЗИНСКОЙ ССР.

«Сაბჭოთა საქართველო»